ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

ზურაბ დავითაშვილი

# ნაციონალიზმი და გლობალიზაცია

„მეცნიერება"
თბილისი
2003

სერიის მთავარი რედაქტორი *მარინე ჩიტაშვილი*

საავტორო უფლება (copy right) ეკუთვნის ფონდს „ღია საზოგადოება - საქართველო“

ISBN 99940-735-7-5

# შინაარსი


წინასიტყვაობა ........ 7

თ ე მ ა 1. ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო, ერი-სახელმწიფო ........ 10
- 1.1 ერი ........ 10
- 1.2 სახელმწიფო ........ 21
- 1.3 ერი-სახელმწიფო ........ 33

თ ე მ ა 2. ნაციონალიზმის არსი და ტიპოლოგია ........ 45
- 2.1 ნაციონალიზმის ცნება ........ 45
- 2.2 ნაციონალიზმის ტიპოლოგია ........ 57

თ ე მ ა 3. ნაციონალიზმის თეორიები ........ 88
- 3.1 პრიმორდიალიზმი ........ 89
- 3.2 მოდერნიზმი ........ 100
  - 3.2.1 ეკონომიკური ტრანსფორმაცია ........ 101
  - 3.2.2 პოლიტიკური ტრანსფორმაცია ........ 107
  - 3.2.3 სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია ........ 117
- 3.3 ეთნოსიმბოლიზმი ........ 128

თ ე მ ა 4. ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები ........ 142
- 4.1 ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში ........ 142
- 4.2 მინინაციონალიზმი. ეთნოკონფლიქტები მსოფლიო პოლიტიკაში ........ 150
- 4.3 გეოპოლიტიკა და პანნაციონალისტური მოძრაობები ........ 155
  - 4.3.1. გერმანული გეოპოლიტიკა და პანგერმანიზმი ........ 155
  - 4.3.2. რუსული გეოპოლიტიკა. ევრაზიანიზმი და პანსლავიზმი ........ 160

4.3.3. პანამერიკანიზმი და ევროპული პანნაციონალიზმი ... 169
4.3.4. პანნაციონალიზმი აზიასა და აფრიკაში ... 175

თ ე მ ა 5. გლობალიზაცია – დეფინიცია და არსი ... 183
5.1 დებატები გლობალიზაციის ცნების ირგვლივ ... 185
5.2 გლობალიზაცია და მისი ასპექტები სხვადასხვა თეორიის თვალსაზრისით ... 189
5.3 გლობალიზაციის ფორმები, ისტორია, ჩარჩოები ... 195
5.4 გლობალიზაცია:მითი თუ რეალობა? მომხრეები და მოწინააღმდეგეები ... 200

თ ე მ ა 6. გლობალიზაცია და სახელმწიფო ... 207
6.1 თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირება: ანტიგლობალისტური ხედვა ... 207
6.2 ერი-სახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში: გლობალისტური ხედვა ... 213
6.3 თავდაცვა და უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში ... 221

თ ე მ ა 7. ეკონომიკური გლობალიზაცია ... 228
7.1 საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაციის ეპოქაში ... 229
7.2 ფინანსების გლობალიზაცია ... 237
7.3 ვაჭრობის გლობალიზაცია ... 239
7.4 წარმოების გლობალიზაცია ... 242
7.5 გლობალიზაცია და მოსახლეობა ... 245
7.6 გლობალიზაცია და ეკოლოგიური პრობლემები ... 249

თ ე მ ა 8. კულტურის გლობალიზაცია ... 258
8.1 ზოგადი თავისებურებანი ... 258
8.2 კულტურის გლობალიზაცია ისტორიულ რეტროსპექტივაში ... 265
8.3 თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის ფორმები ... 273
8.3.1 გლობალური ინფრასტრუქტურები: ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი ... 273
8.3.2 კულტურის ტნკ-ები. კულტურის გლობალური ბაზარი ... 276

8.3.3 რადიო და მუსიკის ინდუსტრია ............................ 277
8.3.4 ტელევიზია ............................ 279
8.3.5 კინო ............................ 280
8.3.6 ტურიზმი ............................ 282
8.4 ინგლისური ენის გლობალიზაცია ............................ 283
8.5 დასავლური ღირებულებების ექსპორტი და ვესტერნიზაცია ............................ 287

თ ე მ ა 9. გლობალიზაცია, საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი ............................ 295
9.1 ცივი ომის შემდგომი მსოფლიო სხვადასხვა ხედვა ............................ 297
9.2 ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემის გლობალური ტენდენციები ............................ 305
9.2.1 კაპიტალიზმის ტრიუმფი ............................ 305
9.2.2 აშშ – ერთადერთი ჰეგემონი ............................ 308
9.2.3 რუსეთი – რეფორმები თუ დაქვეითება? ............................ 310
9.2.4 ჩინეთი – მომავლის ჰეგემონი? ............................ 312
9.2.5 იაპონია და „აზიის ვეფხვები“ ............................ 314
9.2.6 ევროპა – ინტეგრაცია, გაფართოება, სიძნელეები ............................ 316
9.2.7 ჩრდილოეთი-სამხრეთი ............................ 319
9.3 გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი ............................ 321
9.3.1 თანამედროვე წესრიგის ელემენტები ............................ 323
9.3.2 გლობალიზებული მსოფლიო წესრიგი, თუ წესრიგი გლობალიზებულ ქვეყნებს შორის? ............................ 327

თ ე მ ა 10. ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში ... 331
10.1 ნაციონალიზმი გლობალისტური თვალთახედვით ............................ 333
10.2 ნაციონალიზმის სახეები გლობალიზებულ მსოფლიოში ............................ 342
10.3 ცივილიზაციათა შეჯახება? ისლამური ფუნდამენტალიზმი გლობალურ ერაში ............................ 359

თ ე მ ა 11. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები ............................ 369
11.1 პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია ............................ 370

11.2 ნაციონალიზმი მომავალში ... 376
11.3 ერები სახელმწიფოს გარეშე ... 382

თემა 12. ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები თანამედროვე საქართველოში ... 388
12.1. თანამედროვე ქართული ნაციონალიზმი და მისი ისტორიული წანამძღვრები ... 388
12.2. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ნაციონალიზმის თვალთახედვით ... 406
12.3. ეთნოკონფლიქტების მოგვარების შესაძლო გზები ... 425

ლიტერატურა ... 436

# წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი, როგორც სახელმძღვანელო, განკუთვნილია უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების (საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, აგრეთვე, ისტორიისა და გეოგრაფიის) სპეციალობების მაგისტრანტებისათვის. მასში მოცემულია ის ძირითადი საკითხები, მიდგომები და თეორიები, რომლებიც თანამედროვეობის ორი უმნიშვნელოვანესი ფენომენის – ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის – არსის, თავისებურებებისა და მათ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ არის შემუშავებული მეცნიერებაში (უპირველეს ყოვლისა, დასავლურ, კერძოდ, ბრიტანულსა და ამერიკულ ლიტერატურაში).

ცხადია, ერთმა წიგნმა, რომელიც მხოლოდ ერთსემესტრიანი კურსის სახელმძღვანელოდ არის გათვალისწინებული, შეუძლებელია სრულად დაიტიოს ისეთი რთული და მრავალმხრივი მოვლენების ყველა მხარე, როგორიც ნაციონალიზმი და გლობალიზაციაა. აღნიშნული პრობლემების ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს და დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია საკმაოდ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს მის შესახებ. მაგრამ არსებული ლიტერატურის უდიდესი უმრავლესობა ევროპულ ენებზე (ძირითადად ინგლისურად) არსებობს და ამიტომ ქართველი მკითხველის საგრძნობი ნაწილისთვის ჯერჯერობით მაინც ხელმიუწვდომელია. ეს ვითარება ერთ-ერთი დამატებითი მიზეზი იყო, რათა მომზადებულიყო სახელმძღვანელო სამაგისტრო კურსისათვის, მაშინ, როცა სამაგისტრო კურსებში სახელმძღვანელოები, როგორც წესი, მიღებული არ არის და მაგისტრანტებს კურსის მომზადება უშუალოდ წყაროების, მონოგრაფიებისა და სტატიების ინდივიდუალურად დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე ევალებათ. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მივიჩნიეთ, სახელმძღვანელოსთვის დაგვერთო ლიტერატურის საკმაოდ გრძელი სია, რათა ენის მცოდნე სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს მოიძიოს მისთვის

საინტერესო მასალა. გარდა ამისა, თითოეულ თემას თან ერთვის შესაბამისი საკითხის ირგვლივ არსებული უმთავრესი ლიტერატურის მითითება. აღნიშნული მასალა შესულია ქრესტომათიაში, რომელიც ცალკე გამოდის და წინამდებარე სახელმძღვანელოს დამატებას წარმოადგენს.

ძირითადი მიზეზი, რამაც „ნაციონალიზმი და გლობალიზაციის“ სამაგისტრო კურსის შემოღება (შესაბამისად სახელმძღვანელოს მომზადება) განაპირობა, არის აღნიშნული პრობლემის უაღრესად აქტუალური ხასიათი და მისდამი საყოველთაო ინტერესი. ამ დაინტერესების შედეგია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, მომრავლდა როგორც ბეჭდვითი მასალა, ისე ზეპირი გამოსვლები, სადაც არაპროფესიულ დონეზე, ცალმხრივად დადებითად ან უარყოფითად არის შეფასებული როგორც გლობალიზაცია, ისე ნაციონალიზმი და მათი ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია განათლებულ საზოგადოებას, პირველ რიგში, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს და მომავალ სპეციალისტებს მიეცეს საშუალება ახლოს გაეცნონ სხვადასხვა ხედვას იმ პრობლემების ირგვლივ, რომლებსაც ბევრი თანამედროვე ეპოქის შინაარსად და მთავარ ნიშნად თვლის. სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად შემოთავაზებული წიგნი.

ნაციონალიზმის საკითხებით ჩვენი დაინტერესება დაიწყო 1996 წელს, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაში (აშშ, ვაშინგტონი) სტაჟირებაზე ყოფნისას. განსაკუთრებით კი 1999–2000 წლებში, როცა ფულბრაიტის პროგრამით ვმუშაობდით ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლაში (ტაფტის უნივერსიტეტი) და კენედის ხელისუფლების სკოლაში (ჰარვარდის უნივერსიტეტი). მაშინ მომზადდა სამაგისტრო კურსი „ნაციონალიზმი საერთაშორისო პოლიტიკაში“, რომელიც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მაგისტრანტებს ეკითხებათ. რაც შეეხება წინამდებარე სახელმძღვანელოს, მასზე მუშაობისას დიდად დაგვეხმარა მივლინება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ნაციონალიზმის კვლევის ცენტრში (ბუდაპეშტი).

გაცნობიერებული გვაქვს რა მთელი სირთულე, რაც ასეთი შინაარსის სახელმძღვანელოს შექმნას ახლავს, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ წიგნი დაზღვეული იქნება ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ იგი

ამ სახითაც დახმარებას გაუწევს არა მარტო სტუდენტებსა და ასპირანტებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც, რომლის მხრიდან ყველა საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.

დასარულს, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, გაწეული დახმარებისთვის მადლიერებით მოვიხსენიო პროფესორები – ჩარლზ დორანი (ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი), ჰურსტ ჰანუმი (ტაფტის უნივერსიტეტი), პეტრ ლიომი და პოლ როე (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი), განსაკუთრებით კი აწ განსვენებული შესანიშნავი მეცნიერი და პიროვნება პროფესორი ედუარდ კოდუა. დიდ მადლობას ვუხდი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სოციალურ მეცნიერებათა მხარდამჭერი პროგრამის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს (დირექტორს პროფ. მარინე ჩიტაშვილს, კოორდინატორებს – მაკო მიქაბერიძესა და ირაკლი ცერცვაძეს), რომელთა თანადგომისა და მორალურ – ფინანსური მხარდაჭერის გარეშე წინამდებარე ნაშრომის შექმნა და გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა.

## თემა 1

# ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო, ერი-სახელმწიფო

## 1.1 ერი

ერის ცნება ერთ-ერთი რთული და სადისკუსიო საკითხია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. საყოველთაოდ აღიარებული და ყველასათვის მისაღები პასუხი კითხვაზე „რა არის ერი?" არ არსებობს და ზოგიერთი მეცნიერის აზრით (Seton-Watson, 1977), საერთოდ შეუძლებელია ერის მეცნიერული განმარტება არსებობდეს, რადგან ყოველი ერი იმდენად უნიკალურია ელემენტების კომბინაციით, რომ ამ ელემენტების განზოგადება და ერის ნიშნებად მათი მიჩნევა წარმოუდგენელია. ასევე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა ერების წარმოშობის დრო (არის ერი მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში წარმოქმნილი ფენომენი თუ იგი უძველესი დროიდან არსებობს?) და სხვაობა ერსა და სხვა ეთნოსოციალურ ერთობებს შორის (ტომი და ხალხი, ანუ ხალხოვნება[1]).

რა შინაარსისაა ტერმინი „ნაცია" (რუსული – нация, ინგ. – the Nation, ფრანგ. – la Nation), რომელსაც ჩვენ ახალ

---

[1] ტერმინი ხალხოვნება თავისებური ნეოლოგიზმია. ამ ცნებაში ვგულისხმობთ ისეთ ეთნოსოციალურ ერთობას, რომელიც უპირატესად ტომის სტადიაზე მაღლა დგას, მაგრამ ერად ჯერ არ ჩამოყალიბებულა. რუსულად ეს ცნება გამოიხატება სიტყვით „народность", რომელსაც ქართულად ტრადიციულად თარგმნიან როგორც ხალხს. მაგრამ ამის გამო, რომ „ხალხი" მეტად მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა, ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან აცილების მიზნით, გამოვიყენებთ ახალ სიტყვას „ხალხოვნება" შემოვთავაზებთ.

ქართულში დამკვიდრებული სიტყვის „ერის" სრულ იგივეობად მივიჩნევთ?

ისევე როგორც სიტყვა ეროვნებას (ინგ. Nationalithy ფრანგ. Nationalité) ერსაც (ნაცია) ორი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს – ეთნიკური და ზოგადი (პოლიტიკური). პირველი მნიშვნელობით ერი ეთნოსის არსებობის ფორმასა და მის გარკვეულ სოციალურ ორგანიზაციას აღნიშნავს, ხოლო ეროვნება ეთნიკური მიკუთვნებულობის გამომხატველია. ძირითადად ამ მნიშვნელობით იხმარება ეს ცნებები ქართულსა და რუსულ ენებში, მაგრამ ინგლისურსა და ფრანგულში ერს უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, იგი სახელმწიფოს მთელ მოქალაქეთა ერთობლიობას აღნიშნავს.

შესაბამისად, ეროვნებაც სახელმწიფოს მოქალაქეობას ან ქვეშევრდომობას გულისხმობს. ამიტომ ტერმინები – la Nation Franciase (ფრანგი ერი) ან The American Nation (ამერიკელი ერი) ეთნიკურ ფრანგებს ან ამერიკელებს კი არ ნიშნავს, არამედ – საფრანგეთისა და აშშ-ის მოქალქეებს, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ერის ამგვარ გაგებას ევროპულ ენებში თავისი ახსნა და ისტორია აქვს, რამეთუ ევროპულ სინამდვილეში ერების ჩამოყალიბება მათი ეროვნული სახელმწიფოების ფორმირების პარალელურად ხდებოდა.

ამგვარად, პოლიტიკური მნიშვნელობით ერის ცნება არ ემთხვევა ეთნიკური მნიშვნელობით ერის ცნებას (გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როცა სახელმწიფოს თითქმის მთელ მოსახლეობას ერთი ეთნოსის წარმომადგენლები შეადგენენ, მაგ., იაპონია, კორეა, პორტუგალია). ამერიკელი ერი (პოლიტიკური მნიშვნელობით ანუ ზოგადად) თავის თავში აერთიანებს ეთნიკურ ამერიკელ ერს (ე.ი. აშშ-ში მცხოვრებ ეთნიკურ ამერიკელებს) და სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობას, რომლებიც აშშ-ის მოქალაქეებია. როცა ლაპარაკია ვთქვათ ინდოელ, ნიგერიელ თუ ზაირელ ერებზე აქ ყოველთვის იგულისხმება ერი ზოგადი (პოლიტიკური) მნიშვნელობით ანუ ამ ქვეყნების მოქალაქენი, რადგან ეთნიკურად ინდოელი, ნიგერიელი თუ ზაირელი ერი არ არსებობს.

პოლიტიკური მნიშვნელობით ერის განსაზღვრა სირთულეს არ წარმოედგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა ერია, მათი წარმომავლობის მიუხედავად. გაცილებით რთულია ეთნიკური მნიშვნელობით ერის განსაზღვრა. ე.ი. რომელი ეთნოსი შეიძლება იწოდებოდეს ერად და რატომ,

ანდა რა შემთხვევაში რჩება ეთნოსი ხალხოვნების (ეთნოხალხოვნების) დონეზე და რა შემთხვევაში შეიძლება იქცეს ერად?

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გამართლებულია ტერმინ ეთნოერის (ეთნონაციის) და, შესაბამისად, ეთნოეროვნების (ეთნონაციონალობის) შემოღება, რათა მკვეთრად გაიმიჯნოს ერისა და ეროვნების ზოგადპოლიტიკური და ეთნიკური მნიშვნელობები.

მაშ რა არის ეთნოერი და როდის ყალიბდება იგი?

ერის (ეთნოერის) საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული განმარტება არ არსებობს. არც ისაა დადგენილი, რა ძირითად ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეთნოსი, რომ ის ერად ჩაითვალოს და განსხვავდებოდეს სხვა ეთნოსოციალური ერთობებისაგან.

საბჭოთა ლიტერატურაში დამკვიდრებული წარმოდგენა ემყარებოდა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს. კერძოდ, დიდი ხნის მანძილზე ურყევ ჭეშმარიტებად ითვლებოდა ი. სტალინის ცნობილი განსაზღვრა „ერი არის ადამიანთა მყარი ისტორიული ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოვლინებაც კულტურაშია“ (ი. სტალინი, ტ. 2, გვ. 319). ამ განმარტებით ერს ოთხი ნიშანი აქვს — საერთო ტერიტორია, საერთო ენა, საერთო ეკონომიკური წყობა და საერთო ფსიქიკური წყობა, რომლის გამოვლინებაც კულტურაა.

ერთი შეხედვით აქ საეჭვო არაფერია. ყველა ეს ნიშანი უდავოდ ახასიათებს ერს და თითოეული მათგანი აუცილებელია მისი არსებობისათვის. მაგრამ ეს ნიშნები აქვს ხალხოვნებასაც და ხშირ შემთხვევაში ტომსაც კი. ამიტომ მთავარი სირთულე იმ ძირითადი კრიტერიუმის პოვნაა, რომლითაც ერი განსხვავდება უფრო დაბალი დონის ეთნოსოციალური ერთობებისაგან. ასეთ მაჩვენებლად მიჩნეული იყო ეკონომიკური ერთობის სიმტკიცე. ვ. ლენინის აზრით, ყველაზე მთავარი ერის ფორმირებაში არის ხალხის ადგილობრივ ჯგუფებს შორის ეკონომიკური კავშირების განმტკიცება და შესაბამისად ადგილობრივი ბაზრების შერწყმა ერთ ზოგადეროვნულ ბაზრად. რაკი ზოგადეროვნული ბაზრის ჩამოყალიბება მარქსიზმის მიხედვით მხოლოდ კაპიტალისტურ (ან სოციალისტურ) წყობაშია შესაძლებელი, ამიტომ ერებიც კაპიტალისტურამდელ ეპოქებში არ არსებობდნენ და მათი ჩამოყალიბებაც კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ დაიწყო. აქედან გამომ-

დინარე, მსოფლიოში არსებული ერები დაიყო ბურჟუაზიულ (კაპიტალისტურ) და სოციალისტურ ერებად.

კიდევ უფრო გაურკვეველი ვითარება იქმნებოდა თვით საბჭოთა კავშირში მცხოვრები ეთნოსების ეთნოსოციალური სტატუსის დადგენის თვალსაზრისით. ვერანაირი კრიტერიუმით ვერ დადგინდებოდა რომელი ეთნოსი იყო ერი და რომელი ხალხოვნება. საბჭოთა ენციკლოპედიებსა და ცნობარებში, მაგალითად, ბურიატები, იაკუტები, ბაშკირები, აფხაზები, ერებად მოიხსენიებოდა, ხოლო ჩეჩნები, ინგუშები, ხუნძები, ჩერქეზები და თათრები ზოგადი ტერმინით – ხალხი. იმის მტკიცება კი, რომ აფხაზებს ზოგადეროვნული ბაზარი და მტკიცე ეკონომიკური ერთიანობა ჰქონდათ და ამიტომ ერია, ხოლო ჩეჩნები ჯერ ერი არ არის, აბსურდი იქნებოდა. ეს წინააღმდეგობა ნათელი იყო ყველასათვის და ამიტომ ბევრმა მეცნიერმა სცადა სიცხადე შეეტანა ერის ცნების დადგენისა და მისი ნიშნების სრულყოფაში.

1966–1969 წლებში ჟურნალ „Вопросы Истории"-ს ფურცლებზე გამართული დისკუსია ფაქტიურად უშედეგოდ დასრულდა, რადგან საბოლოო შემაჯამებელმა სტატიამ კვლავ ერის სტალინისეული განმარტება დატოვა ძალაში, რომლის მიხედვითაც ერი ოთხი ნიშნის: ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობისა და კულტურაში გამოხატული ფსიქიკური წყობის ერთობაა. ეს ნიშნები კი, როგორც უკვე ვთქვით, ნებისმიერ ეთნოსს შეიძლება ახასიათებდეს.

დასავლურ ლიტერატურაში არაერთი მცდელობა იყო პასუხი გაეცათ კითხვაზე, – „რა არის ერი?" ყველაზე ხშირად გამოიყენება ცნობილი ფრანგი მწერლისა და ისტორიკოსის ერნესტ რენანის სიტყვები: „ერი არის დიდი სოლიდარობა. მის საფუძველშია წმინდა გრძნობები გაღებული მსხვერპლისა წარსულში და იმ მსხვერპლისა, რომელსაც მომავალში გაიღებს. ერი გულისხმობს გმირულ წარსულს, ერთიან ნებას აწმყოში და მოქმედების საერთო პროგრამას მომავალში. ერის არსებობა არის ყოველდღიური პლებისციტი" (ციტირებულია Nationalism. Oxford. 1994, გვ. 17). მართალია, ეს უფრო ემოციური განმარტებაა, ვიდრე მეცნიერული, მაგრამ ორ მეტად საინტერესო მომენტს მოიცავს. პირველი, რომ ერი განხილულია არა როგორც საერთო ნიშნების ერთობლიობა, არამედ როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომლის არსებობა ყოველთვის უნდა მეღავნდებოდეს (ერის არსებობა არის ყოველდღიური პლებისციტი). მეორე კი, იმ

ფაქტის ხაზგასმაა, რომ ერი მხოლოდ ის ჯგუფია, რომელსაც ერთიანი ნება და მიმავალი ქმედების საერთო პროგრამა აქვს.

ინგლისელი სოციოლოგი და ეკონომისტი ჯ. სტიუარტ მილი ერს განსაზღვრავს როგორც მრავალი საერთო ნიშნით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობას, მაგრამ მთავარ პირობად მას მიაჩნია პოლიტიკური ბედისა და ისტორიის ერთობა, რაზეც დამყარებულია საერთო სიამაყე და დამცირება, სიხარული და მწუხარება (ციტირებულია Э. Поздняков. Философия политики. том.2, 1994. გვ. 9). ამ განმარტებაში პირველად გვხვდება მინიშნება ისეთ ნიშანზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ერისა და სხვა ერთობების (ხალხოვნება, ტომი ან თუნდაც ზოგადად ჯგუფი) შორის. კერძოდ, კავშირი პოლიტიკასთან და სახელმწიფოსთან.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სცადა ერის ცნება დაეკავშირებინა სახელმწიფოსთან იყო გამოჩენილი გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი. იგი ერს განიხილავს როგორც პოლიტიკურ კატეგორიას, რომელიც შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სახელმწიფოსთან მიმართებაში. ვებერის აზრით, ერი გრძნობათა ერთობლიობაა, რომელმაც თავისი ადეკვატური გამოხატულება მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოში შეიძლება ნახოს. დროით განზომილებაში ვებერი ერს სახელმწიფოზე წინ აყენებს და მიაჩნია, რომ ერი არსებობს იქ, სადაც ხალხს სჯერა, რომ ის ერია და აქვს მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამგვარად, ეროვნული იდენტურობის გრძნობა წარმოადგენს სახელმწიფოს არსებით საყრდენს და სახელმწიფო არსებობს მანამ, სანამ შეუძლია გამოიწვიოს ეროვნული გრძნობები საკუთარი ძალაუფლების მხარდასაჭერად. თავის მხრივ, ერი თავის თვითმყოფადობას მხოლოდ თავისი სახელმწიფოს მხარდაჭერით ინარჩუნებს (Nationalism p.18–21).

ამგვარად, ვებერის მიხედვით ერი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა ის გააცნობიერებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას და იბრძვის მისთვის. მისი აზრით, სწორედ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ აქცია უნგრელი, ჩეხი თუ ბერძენი ხალხები ერებად.

ასეთნაირად წარმოშობილი ერები. გერმანელი ისტორიკოსის ფრიდრიხ მეინეკეს მიხედვით, „ერი-სახელმწიფოს" კონცეფციაში ერთიანდება, რომლის მიხედვითაც ერი ყალიბდება ჯერ როგორც კულტურული ერთობა. შემდეგ ეროვნული თვითშეგნების ზრდა იწვევს „ეროვნული სახელმწიფოს" შექმნის

აუცილებლობას და ამდენად იქმნება პოლიტიკური ერთობა. ასე წარმოიშვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერების დიდი უმრავლესობა.

„ერი-სახელმწიფოს" კონცეფციას მეინეკე უპირისპირებს „სახელმწიფო – ერების" კონცეფციას. ამ კონცეფციის მიხედვით, ერი ყალიბდება სუვერენული სახელმწიფოს შიგნით. საერთო სუვერენიტეტი წარმოშობს საერთო ინსტიტუტებს და ერად ყოფნის წარმოქმნილი გრძნობა თანდათანობით შლის ადრე არსებულ კულტურულ განსხვავებებს ქვეყნის შიგნით მცხოვრებ ეთნოსებს შორის. ე.ი. სახელმწიფო ქმნის ერს. დასავლეთ ევროპის ეროვნული სახელმწიფოები და ერები, მეინეკეს აზრით, სწორედ ამ გზით ჩამოყალიბდა (ციტირებულია Э. Поздняков, том II, с.12).

დასავლეთში გავრცელებულ აზრს, რომ სახელმწიფოებრიობა ერის აუცილებელი ნიშანია მარქსიზმი უარყოფითად შეხვდა. სტალინმა 1929 წელს გამართულ დისკუსიაზე კატეგორიულად უარყო წინადადება, რომ ერის განმარტებაში ჩართული ყოფილიყო საკუთარი სახელმწიფოს არსებობის ნიშანი, რადგან ასეთ შემთხვევაში ყველა დამონებული ხალხი, რომელსაც წართმეული აქვს სახელმწიფოებრიობა ერის კატეგორიიდან უნდა ამოშლილიყო (Сталин И. В. соч. т.11, с.334). მიუხედავად ამისა, მარქსისტი მეცნიერები, მართალია, იძულებული იყვნენ ამ აზრს დათანხმებოდნენ და სახელმწიფოებრიობა არ ჩაეთვალათ ერის ერთ-ერთ ნიშნად, მაინც ვერ უარყოფდნენ სახელმწიფოს დიდ როლს ერის არსებობაში.

დასავლელების სამეცნიერო აზროვნებაში კი ერისა და სახელმწიფოს ცნებები პრაქტიკულად იდენტურ ცნებებად იქცა.

ამერიკელი სოციოლოგი კარლ დოიჩი პირდაპირ აცხადებს, რომ ერი ის ხალხია, რომელსაც თავისი სახელმწიფო აქვს. ხალხი, რომელიც ცდილობს მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება თავისი ეთნიკური ჯგუფისათვის ჯერ მხოლოდ ხალხოვნებაა და მხოლოდ მაშინ, როცა იგი ამას მოიპოვებს იქცევა ერად (Deutsch. 1966, p.96–97).

ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსი და მწერალი ხოსე ორტეგა-ი-გასეტი თვლის, რომ ფრანგი, იტალიელი, გერმანელი თუ ესპანელი ერები, მხოლოდ მაშინ წარმოიშვნენ, როცა საკუთარი სახელმწიფოები შექმნეს. ე.ი. სახელმწიფოებმა წარმოშვა ერები. არც სისხლით ნათესაობა და არც ენა არ არის ეროვნული სახელმწიფოს საფუძველი. პირიქით, ეროვნული

სახელმწიფო ყველანაირად შლის ენობრივ თუ ტომობრივ განსხვავებებს და როცა ამას აღწევს იქმნება შედარებით ერთგვაროვანი ენობრივი და პოლიტიკური ერთობა, რომელიც ერის ჩამოყალიბების საფუძველია (ს. ორტეგა-ი-გასეტი. 1993).

იმისდა მიხედვით, თუ როგორ და როდის წარმოიშვა ესა თუ ის ერი, ინგლისელი მეცნიერი ჰიუ სეტონ-ვატსონი ერებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: ძველი ერები, რომლებიც არსებობდნენ და თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები ჰქონდათ მანამდე, სანამ ნაციონალიზმის დოქტრინა შეიქმნებოდა (ე.ი. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე) და ახალგაზრდა ერები, რომლებმაც ნაციონალიზმის იდეოლოგიაზე დაყრდნობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად მიაღწიეს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ერებად ჩამოყალიბდნენ თავიანთ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად. პირველ მათგანს სეტონ-ვატსონი მიაკუთვნებს (ევროპელი ხალხებიდან) ინგლისელებს, შოტლანდიელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს, დანიელებს, შვედებს, უნგრელებს, პოლონელებსა და რუსებს. ამათგან სამ ერს – შოტლანდიელებს, უნგრელებს და პოლონელებს – ნაციონალიზმის ეპოქის დადგომამდე (XIX საუკუნის დასაწყისი) საკუთარი სახელმწიფოებრიობა უკვე დაკარგული ჰქონდათ (Seton-Watson H. 1977, p.6–10). რაც შეეხება გერმანელებს, ავსტრიელებს, იტალიელებს თუ ნორვეგიელებს (აღმოსავლეთ ევროპის ხალხებზე რომ არაფერი ვთქვათ) ჯერ ისინი ერებად არ იყვნენ ჩამოყალიბებული.

ეროვნული პრობლემატიკისა და ერის თეორიის ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი, ინგლისელი სოციოლოგი ენტონი სმიტი წარმოშობის მიხედვით ერებს ორ ტიპს გამოჰყოფს – ტერიტორიულ ერსა და ეთნიკურ ერს. პირველი მათგანი ყალიბდება არსებული სახელმწიფოს საზღვრებში, სადაც ხდება იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების თანდათანობით დაახლოება ან ეთნიკური უმცირესობების ასიმილაცია გაბატონებული ეთნოსის მიერ და იქმნება ახალი, ერთიანი ერი. ასეთი ერის ჩამოყალიბების საფუძველი პოლიტიკური ორგანიზაცია, კერძოდ, სახელმწიფოა. ეთნიკური ერის საფუძველი კულტურული ერთობაა. ხდება ეთნოსის თვითშეგნების ზრდა, მისი პოლიტიზირება, ჩნდება მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისა. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ იგი უკვე შესაძლებელია ტერიტორიულ ერად გადაიქცეს და თვითონ მიახდინოს იქ მცხოვრები

სხვა ეთნიკური ერთობების (ეროვნული უმცირესობების) ასიმილაცია (A. Smith. 1993, p.134–138).

როგორც ვხედავთ, მარქსიზმისგან განსხვავებით, დასავლელი მეცნიერები თვლიან, რომ ერი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ერთობაა.

ერის ცნების შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა ერის რაობაზე და გავცეთ პასუხი კითხვას რა შემთხვევაში არის ესა თუ ის ეთნოსი ერი?

უპირველს ყოვლისა, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა ერის არსებობის აუცილებელი პირობაა. მეტიც, ესაა არა ერთ-ერთი, არამედ მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი და მხოლოდ ის ეთნოსი შეიძლება ჩაითვალოს ერად, რომელსაც საკუთარი ეროვნული სახელმწიფო აქვს.

რაც შეეხება ეროვნულ სახელმწიფოს, აქ ვგულისხმობთ არა იმ გაგებას, რომ სახელმწიფოს მოქალაქეებს თავი ერთ ერად მიაჩნიათ (მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა), არამედ იმ შემთხვევას, როცა მოცემული ეთნოსის მშობლიური ენა წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალურ სახელმწიფო და ლიტერატურულ ენას. ამდენად, ქართველი ერი ჩამოყალიბდა მაშინ, როცა შეიქმნა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური საქმეთწარმოების ენა ქართული იყო. ინგლისელი ერი წარმოიშვა მაშინ, როცა ინგლისის სამეფოს სახელმწიფო ენა ინგლისური გახდა და ა.შ. თუ ამ მოსაზრებას დავეთანხმებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ერი შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში (გარდა პირველყოფილი საზოგადოებისა) თუ იგი აკმაყოფილებს ორ პირობას – აქვს საკუთარი სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს ოფიციალური და ლიტერატურული ენა მისი მშობლიური ენაა.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა, მხოლოდ ის ხალხებია ერები, რომლებსაც ამჟამად აქვთ საკუთარი სახელმწიფო, თუ შეიძლება ეთნოსს არ ჰქონდეს თავისი ქვეყანა და მაინც ერს წარმოადგენდეს? კერძოდ, არსებობდა თუ არა ქართველი ერი, როცა ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიის ან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა და საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული იყო?

ამ კითხვის პასუხი ასეთნაირად გვესახება:

ერი რჩება ერად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი თავის სახელმწიფოებრიობას კარგავს, ოღონდ მანამდე, სანამ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის სურვილი აქვს და იბრძვის ამისათვის. როგორც კი ხალხში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სურვილი ქრება ის წყვეტს არსებობას როგორც ერი. აქედან გამომდინარე, ქართველი ერი არსებობდა მაშინაც, როცა სახელმწიფო არ ჰქონდა, რადგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეა ქართველ ხალხში არასოდეს ჩამკვდარა.

მსოფლიო ისტორიაში გვაქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მაგალითები. დღეს ბელორუსია დამოუკიდებელი ქვეყანაა (ადრე ის არასოდეს ყოფილა სუვერენული სახელმწიფო), მაგრამ თუ მოსახლეობის უმრავლესობას ურჩევნია იყოს რუსეთის შემადგენლობაში და პოლიტიკური დამოუკიდებლობა გაცვალოს სხვა ქვეყნის შემადგენლობაში უკეთეს ეკონომიკურ პირობებზე, ამასთანავე ამჯობინებს საქმის წარმოება ბელორუსულის ნაცვლად რუსულ ენაზე იყოს. მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბელორუსი ერი არ არსებობს და ის რუსი ერის შემადგენელი ნაწილია. ე.ი. საკუთარი სახელმწიფოს არსებობაც კი არ არის საკმარისი პირობა ერის არსებობისათვის, თუ ხალხში პოლიტიკური დამოუკიდებლობა უმთავრეს ღირებულებას არ წარმოადგენს.

ბელორუსიის მაგალითი იშვიათი გამონაკლისია. მსოფლიო ისტორიაში გაცილებით მეტია შემთხვევა, როცა ხალხი, რომელსაც წარსულში არასოდეს ჰქონია საკუთარი ეროვნული სახელმწიფო, დღეს იბრძვის ამისათვის. უნდა ჩაითვალონ თუ არა ისინი ერებად?

როგორც ჩანს, მარტო დამოუკიდებლობის სურვილი და მისთვის ბრძოლა არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ესა თუ ის ეთნოსი ერად ჩავთვალოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ხალხი მზად არის დამოუკიდებლობისათვის და შეუძლია თვითონ უზრუნველყოს საკუთარი თავდაცვა, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ეკონომიკური ცხოვრება და ყოველივე ამისათვის საკუთარი ძალები აქვს, შეიძლება ითქვას, რომ იგი უკვე პოტენციური ერია.

თავისთავად ცხადია, რომ ეთნოსების ერებად ჩამოყალიბება ძალზე ბევრ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ერი მხოლოდ იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ ისტორიულ სამშობლოს მოწყვიტეს და ჯერ სხვა ქვეყნის შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობა

მიიპოვეს (მოლდაველები, მაკედონიელები). ერებად ჩამოყალიბდა ზოგიერთი კუნძულის მოსახლეობაც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (ბარბადოსელები, ტრინიდადელები, იამაიკელები და ა.შ.), მაშინ როცა 25 მილიონიანი ქურთი ხალხი, საკუთარი სახელმწიფოს არარსებობის გამო, მხოლოდ პოტენციურ ერად რჩება. უძველესი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მქონე ტიბეტელი ხალხი დღეს საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებულია, თუმცა რჩება ერად და საეჭვოა, რომ ოდესმე უარი თქვას საკუთარი სახელმწიფოს აღდგენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ:

**ერი არის მხოლოდ ის ეთნოსი, რომელსაც აქვს (ან წარსულში ჰქონდა) საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ამ ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა. ამასთანავე, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება (ან მისი აღდგენა), ეთნოსის უმთავრესი მიზანია და მას ამის უნარი შესწევს.**

ერის ასეთი განმარტება საკმაოდ მკაცრად ზღუდავს ერად ყოფნის პირობებს და მკვეთრი ზღვარი გაჰყავს ერსა და ეთნოსის სხვა სოციალურ-ისტორიულ ერთობებს შორის. ამ განმარტებაზე დაყრდნობით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს დავადგინოთ არის ესა თუ ის ეთნოსი ერი, თუ – არა. ამასთანვე, მკვეთრად გავმიჯნოთ ერი პოლიტიკური მნიშვნელობით და ერი ეთნიკური მნიშვნელობით. მაგალითად, კანადელი ან შვეიცარიელი ერები პოლიტიკურად ერებია, მაგრამ არა ეთნოერები. კანადაში ორი ეთნოერია – ანგლოკანადელები და ფრანკოკანადელები, რადგან ორივე მათგანი ერის აუცილებელ პირობას აკმაყოფილებს – აქვთ საკუთარი სახელმწიფო, სადაც მათი მშობლიური ენა სახელმწიფო ენაა (ინგლისური, ფრანგული). ასევე შვეიცარიაში ოთხი ეთნოერია, გერმანოშვეიცარიელები, ფრანკოშვეიცარიელები, იტალოშვეიცარიელები და რეტორომანელები და თითოეული მათგანის მშობლიური ენა შვეიცარიის სახელმწიფო ენაა. იგივეს ვერ ვიტყვით ზაირელებსა და ნიგერიელებზე. ზაირელი და ნიგერიელი ერები მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობით არსებობენ (ამ ქვეყნების მოქალაქეების ერთობლიობა), მაგრამ არც ერთი ეთნოერი ამ ქვეყნებში არ არის,

რადგან არც ერთი ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის სახელმწიფო ენის ფუნქციას არ ასრულებს.

შედარებით რთულია ე.წ. პოტენციური ერების დადგენა, ე.ი. იმ ეთნოსების გამოყოფა, რომლებსაც არც დღეს და არც წარსულში თავიანთი ეროვნული სახელმწიფო არ ჰქონიათ, მაგრამ ამჟამად იბრძვიან პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და აქვთ ყველა პირობა საკუთარი ძალებით უზრუნველყონ დამოუკიდებელი არსებობა. ასეთი ხალხების რიცხვი შედარებით მცირეა და სანამ დამოუკიდებლობას მიაღწევენ, ნაადრევია მათი ერებად მოხსენიება. მაგრამ არც ხალხებად იქნებოდა მათი ნათვლა სწორი. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი მოხსენიება პოტენციური ერების სახელით.

კავკასიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ აქ სამი ერია — ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. არც ერთი სხვა ხალხი ერად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არც ერთ მათგანს წარსულში (დღევანდელზე რომ აღარაფერი ვთქვათ) არ ჰქონია თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო და ლიტერატურული ენა, რომელიც ოფიციალური ენის ფუნქციას შეასრულებდა. (VIII–X საუკუნეებში არსებული აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო იყო, რომლის ოფიციალური ენა ქართული იყო და ქართველები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ). რაც შეეხება პოტენციურ ერებს, ძნელი გასარკვევია ჩრდილო კავკასიის რომელი ხალხი შეიძლება მოხვდეს ამ კატეგორიაში. დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეა აქ აშკარად არც ერთ ერს არ გაუცხადებია. მხოლოდ ჩეჩნებია ერთგვარი გამონაკლისი. მაგრამ საეჭვო საკითხია, ისინი ჩეჩნეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის იბრძვიან თუ ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეა ამოძრავებთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მამოძრავებელ ძალად რელიგია გამოდის და არა ეროვნული სახელმწიფოს იდეა. რაც შეეხება აფხაზებს, მათი მიზანი ამდენად პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ არის, რამდენადაც საქართველოდან გასვლა და საკუთარი გამოსავალს რუსეთთან შეერთებაში ხედავენ. ასეთი მისწრაფება ერს არ შეიძლება ახასიათებდეს.

ერის ზემოთ მოცემულ განმარტებას გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის უკეთ გარკვევის საკითხში, როგორიცაა ხალხთა თვითგამორკვევა. ვფიქრობ, რო-

მელ ხალხს აქვს უფლება მოითხოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ცალსახა პასუხი უნდა გაეცეს – მხოლოდ და მხოლოდ იმ ერებს (როგორც რეალურს, ისე პოტენციურს), რომლებსაც ამის ისტორიული გამოცდილება აქვთ ან გააჩნიათ ყველა პირობა დამოუკიდებლად იარსებონ. ხალხოვნებებისა და ტომებისათვის თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს, რომ მსოფლიოს 4000-ზე მეტმა ეთნოსმა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვოს. ამის დაშვება კი იმდენად აბსურდულია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

## 1.2. სახელმწიფო

ერთან შედარებით სახელმწიფო ცნება გაცილებით უფრო კონკრეტული და ნაკლებად სადისკუსიოა. ეს არის პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული, ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც აქვს მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი და წარმოადგენს რა საზოგადოებას, ახორციელებს ხელმძღვანელობას ამ საზოგადოებაზე და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: მუდმივი მოსახლეობა, ზუსტად განსაზღვრული ტერიტორია, ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს ტერიტორიაზე და მოსახლეობაზე, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციას და მართვას კანონების საფუძველზე. სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა სუვერენულობა და სხვა სახელმწიფოების მხრიდან მისი სახელმწიფოებრიობის ცნობა და აღიარება (I. Rourke, 1993, p.161–165).

**სუვერენიტეტი** ანუ სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობა საგარეო პოლიტიკაში, სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანია. ეს ცნება ასევე გულისხმობს იურიდიულ თანასწორობას სახელმწიფოთა შორის.

თავისთავად ცხადია, რომ სუვერენიტეტის საფუძველი და უმთავრესი ელემენტი დამოუკიდებლობაა. სწორედ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორებია 1648 წლის ვესტფალიის ზავიდან (როცა საღვთო იმპერია წმინდა წყლის ფორმალობად

იქცა, სადაც რომის პაპის ძალაუფლება საკუთარი სამფლო-ბელოთი შემოიფარგლა) დაწყებული შუა დღიდან. მაგრამ დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური. ხშირ შემთხვევაში პატარა, სუსტი სახელმწიფო იძულებით არის დამოკიდებული დიდ და ძლიერ მეზობლებზე, რომ მისი სუვერენიტეტი მხოლოდ ფორმალური სუვერენიტეტია და არა რეალური. ასევე იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო უხეშად არღვევს თავისი მოქალაქეების უფლებებს, საერთაშორისო საზოგადოება უფლებამოსილია გაატაროს გარკვეული ქმედებები ამ სახელმწიფოს მიმართ. თუმცა, როგორც წესი, თვით ამ სახელმწიფოს მიერ ასეთი ქმედებები მის შინაურ საქმეებში ჩარევად ფასდება (ყოფილი საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ამის ნათელი მაგალითებია).

ბუნებრივია, იურიდიული თანასწორობა სუვერენულ სახელმწიფოებს შორის არ ნიშნავს პოლიტიკურ თანასწორობას. სიდიდე და სხვა მარაგის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობით, ტერიტორიით, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით უზარმაზარ განსხვავებას იძლევა, მაგრამ გაეროს გენერალურ ასამბლეაში თითოეული თითო ხმით არის წარმოდგენილი.

**ტერიტორია.** სახელმწიფოს მეორე აუცილებელი მახასიათებელი ნიშანია ტერიტორია ანუ ის სივრცე, რომელზეც ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ვრცელდება მისი კანონმდებლობა. ცხადია, რომ ეს ტერიტორია სავსებით განსაზღვრული უნდა იყოს და აშკარად გამოხატული საზღვრები ჰქონდეს. სახელმწიფოთა უმრავლესობას მართლაც აქვს გამიჯნული და საყოველთაოდ აღიარებული საზღვრები. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სწორედ სასაზღვრო დავები და ტერიტორიული პრეტენზიები ხდება კონფლიქტების და ომების მთავარი მიზეზი სახელმწიფოებს შორის.

მესამე სამყაროს (განსაკუთრებით აფრიკის) სახელმწიფოთა შორის საზღვრების უმრავლესობა ხელოვნურად თვითნებურად, მეტროპოლიებს შორის შეთანხმების საფუძველზე გატარებული და ძირითადად მერიდიანებს და პარალელებს მიჰყვება. ამის გამო მთელი რიგი ხალხებისა ორ და მეტ სახელმწიფოებს შორის აღმოჩნდნენ განაწილებული. რასაც მდგომარეობა უკიდურესად გაამწვავა და პრინციპულ კონფლიქტებს დაუდო სათავე. ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტი საზღვრის დადგენა (დელიმიტაცია და დემარკაცია) ფიზიკურად გართულებულია იმის გამო, რომ საზღვარი რთული გეოგრაფიული პირობების მქონე ადგილებზე (უდაბნო, მაღალმთიანი რელიეფი და ა.შ.)

გადის. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად, საუდის არაბეთის საზღვარზე ომანთან, იემენთან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან. კიდევ უფრო რთულადაა საქმე ტერიტორიული წყლების საზღვრის დადგენისას, ხოლო იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ვერ ახორციელებენ თავიანთ იურისდიქციას მთელ საკუთარ ტერიტორიაზე და მათი ტერიტორიის ნაწილი სეპარატისტებისა ან სხვა სახელმწიფოს მიერ კონტროლირდება, საკმაოდ ბევრია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, ტერიტორია სახელმწიფოს უთავრესი სიმდიდრეა და არც ერთი ქვეყანა თავის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას არ შეურიგდება. სახელმწიფო ტერიტორიის გარეშე წარმოუდგენელია. პალესტინის შემთხვევა, რომელსაც ხშირად უწოდებენ უტერიტორიო სახელმწიფოს, დროებითი გამონაკლისია და თავის ისტორიული მიზეზები გააჩნია. თუმცა ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საკმაოდ ახლო მომავალში პალესტინის სახელმწიფო შეიქმნება და მას სავსებით განსაზღვრული ტერიტორია ექნება.

**მოსახლეობა.** მოსახლეობა ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან (ჩინეთი – 1,3 მილიარდი, ნაურუ – 6 ათასი), მისი რაღაც მინიმალური რაოდენობის გარეშე სახელმწიფო ვერ შეიქმნება, რადგან აუცილებელია იყოს ხალხის გარკვეული რიცხვი, რომელზეც ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია.

ბუნებრივია, სახელმწიფოს მოსახლეობის (ქვეყნის მოქალაქეების) აბსოლუტური უმრავლესობა იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, მაგრამ მოქალაქეთა რაღაც რაოდენობა შეიძლება ცხოვრობდეს სხვა ქვეყნებში. ასევე სახელმწიფოს შიგნით ყოველთვის არის უცხოელ მოქალაქეთა გარკვეული რიცხვი, რაც ხშირად მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს (მაგალითად, სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელ არაბულ სახელმწიფოებში უცხოელ მოქალაქეთა ხვედრითი წილი ადგილობრივ მოსახლეობაზე მეტია).

**დიპლომატიური აღიარება**. შეიძლება დაისვას კითხვა: როდესაც გარკვეული პოლიტიკური ერთეული აცხადებს დამოუკიდებლობას და არც ერთი სახელმწიფო ამ დამოუკიდებლობას არ ცნობს, არის თუ არა ეს პოლიტიკური ერთეული სახელმწიფო? პასუხი ცალსახაა – არა. სხვა სახელმწიფოების

მიერ დიპლომატიური ცნობა და აღიარება აუცილებელი პირობაა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რათა იგი გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. აღიარების გარეშე საეჭვოა, რომ თვითგამოცხადებულმა ერთეულმა დიდხანს გაძლოს (თუ, რა თქმა უნდა, მას ფარულ დახმარებას სხვა სახელმწიფო არ უწევს, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა).

მიუხედავად ამისა, დღეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა თვითაღიარებული, თვითგამოცხადებული „სახელმწიფოები" ან ტერიტორიები, რომლებიც სხვადასხვა სეპარატისტული მოძრაობების ანდა დანაშაულებრივი ორგანიზაციების კონტროლის ქვეშაა. ეს დეფაქტოდ არსებული „სუვერენული" ტერიტორიები თანამედროვე კონფლიქტებისა და საერთაშორისო დაძაბულობის ძირითადი კერაა. განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა ეს პრობლემა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სადაც არაერთი თვითგამოცხადებული რესპუბლიკაა (აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი, მთიანი ყარაბახი, ჩეჩნეთი, დნესტრისპირეთი).

უფრო რთული კითხვაა თუ რამდენმა ქვეყანამ უნდა ცნოს ესა თუ ის პოლიტიკური ერთეული, რომ ის სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნეს მიჩნეული? ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, რადგან იმდენად სახელმწიფოთა რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც რომელმა სახელმწიფოებმა ცნეს იგი.

**შიდა ორგანიზაცია.** ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა. მისი გამოხატულებაა ხელისუფლება, კერძოდ, მთავრობა, რომელიც ახორციელებს მართვას და უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეებისა და ტერიტორიის უსაფრთხოებას. თუ სახელმწიფოში შიდა ორგანიზაცია მოშლილია, მაშინ ქვეყანა ეფლობა ანარქიასა და ქაოსში. მაგრამ სახელმწიფოს არსებობა მაინც გრძელდება მანამ, სანამ იგი არ დაიშლება და ეს დაშლა (სხვა სახელმწიფოსთან შეერთება ან გაყოფა და ა.შ.) ოფიციალურად არ იქნება აღიარებული სხვა სახელმწიფოების მიერ. დღეს საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოში ისეა დარღვეული შიდა ორგანიზაცია, რომ ხელისუფლება ფაქტიურად ვერ ახორციელებს თავის მოვალეობას და ქვეყანა სხვადასხვა კლანებსა, მაფიოზურ გაერთიანებებსა და ბანდფორმირებებს შორის არის განაწილებული. ასეთ ქვეყნებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „არშემდგარ სახელმწიფოებს".

ომების და რევოლუციების შემთხვევაში ხშირია მთავრობის ემიგრაციაში წასვლა. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოთა ნაწილი სწორედ დევნილ ხელისუფლებას აღიარებს და მასთან ინარჩუნებს კავშირებს, თუმცა სახელმწიფოს უკვე დიდი ხანია სხვა მთავრობა მართავს.

**შინაგანი ნდობა**. სახელმწიფოს კიდევ ერთი აუცილებელი ნიშანია შინაგანი ნდობა ანუ მოსახლეობის ერთგულება და ლოიალური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისადმი. თუ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოზიტიურად არ არის განწყობილი თავისი სახელმწიფოსადმი, არა აქვს პატრიოტიზმის გრძნობა და ეწინააღმდეგება ხელისუფლებას იმ ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება, მაშინ ქვეყნის ხელმძღვანელობას ძალიან გაუჭირდება ასეთი სახელმწიფოს შენარჩუნება. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა ამის საუკეთესო მაგალითია. კერძოდ, ეს ქვეყნები იმიტომ დაიშალა, რომ მათი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის (პირველ რიგში არარუსი და არასერბი ხალხებისათვის) აღნიშნული სახელმწიფოები უცხო და მათი ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელი იყო და ბუნებრივია მის მიმართ არც პატრიოტულ გრძნობებს არ განიცდიდნენ და არც მთავრობისადმი ლოიალობით გამოირჩეოდნენ (განსაკუთრებით მას შემდეგ რაც კომუნისტური დიქტატურა შესუსტდა და რეპრესიების საფრთხე მოიხსნა).

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ნათქვამს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ ექვს ნიშანს, რომ მან იარსებოს. სახელმწიფოს არსებობა კი ხორციელდება სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით. ამ უკანასკნელში იგულისხმება იმ ორგანოთა ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციით ახორციელებს საზოგადოების მართვას. სახელმწიფო მექანიზმს მიეკუთვნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოები და ძალოვანი სტრუქტურები (არმია, პოლიცია, უშიშროება, სასჯელ-აღმსრულებელი დაწესებულებები), რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში ატარებენ იძულებით ღონისძიებებს. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს საკუთარი მოსახლეობა დაემორჩილოს ხელისუფლებას, მაშინ ასეთი სახელმწიფოს არსებობა ეჭვქვეშ დგება. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მას, ზოგჯერ, სახელმწიფოს ძირითად ფუნქციად თვლიან. კერძოდ, მაქს ვებერი

სახელმწიფოს განმარტავდა, როგორც დაკანონებული ძალადობის ინსტრუმენტს (ციტირებულია Gellner 1983, p.3), რადგან წესრიგის დამცველების და კონფლიქტის რეგულირების ფუნქცია ძალის საშუალებით ლეგიტიმურად მინიჭებული აქვს მხოლოდ ერთ, ნათლად გამოკვეთილ და ცენტრალიზებულ საზოგადოებრივ ინსტიტუტს. ეს არის სახელმწიფო. მაგრამ, ბუნებრივია, დაკანონებული ძალადობა არ არის სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ დაკანონებული ძალადობა არაა მთელი სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოს ცალკეული ორგანოების ფუნქციაა. თვით სახელმწიფოს ფუნქციები განისაზღვრება, როგორც მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები, გარკვეული სახეები, მოქმედების წრე, რომელიც ხორციელდება კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების საფუძველზე (Общая теория права и государства. 1996, ст. 44).

**სახელმწიფოს ფუნქციები** იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

***შიდა*** — 1. სამართლებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საკუთრების ფორმების და მოქალაქეთა სხვა უფლებების დაცვა. 2. ეკონომიკური. 3. კულტურული, 4. სოციალური, 5. ეკოლოგიური. 6. იდეოლოგიური.

***გარე*** — 1. მშვიდობის შენარჩუნება და მშვიდობიანი თანაარსებობა. 2. საქმიანი პარტნიორობის და თანამშრომლობის უზრუნველყოფა. 3. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა გარეშე ხელყოფისაგან.

სახელმწიფოს ფუნქციონირების და მოწყობის თავისებურებები გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოს **ფორმებში.** სახელმწიფოს ფორმა თავის თავში შეიცავს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ინსტიტუტს — *მმართველობის ფორმას, სახელმწიფო მოწყობის ფორმას და სახელმწიფო რეჟიმს.*

***მმართველობის*** ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შემადგენლობას, მათი ფორმირების წესს და ერთმანეთთან და მოსახლეობასთან მათი ურთიერთქმედების ორგანიზაციას (რესპუბლიკების და მონარქიების სხვადასხვა სახეები).

***სახელმწიფო მოწყობის*** ფორმა განსაზღვრავს ხელისუფლების და მმართველობის ცენტრალური ორგანოების დამოკიდებულებას სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან და თვითმმართველობებთან (უნიტარული სახელმწიფოები, ფედერაციები, კონფედერაციები).

***სახელმწიფო რეჟიმი*** ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდების ერთობლიობას (დემოკრატიული, ავტორიტარული და ა.შ.). რაც შეეხება თვით სახელმწიფო ხელისუფლებას, იგი არის სახელმწიფო აპარატის მიერ შეიარაღებული ხალხის სპეციალურ რაზმებსა და სპეციალურ იძულებით დაწესებულებებზე დაყრდნობით საზოგადოებაზე ხელმძღვანელობა.

სახელმწიფო ძალზე რთული და მრავალმხრივი ფენომენია, ხოლო მისი ფუნქციებისა და ფორმების ურთიერთკავშირების მრავალი ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. სახელმწიფოთა კლასიფიციის სხვადასხვა სისტემები გვხვდება. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფოთა ტიპოლოგია მათი ძირითადი, არსებითი ნიშნების მიხედვით. ამჟამად სახელმწიფოთა ტიპოლოგიისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს – **ცივილიზაციური** და **ფორმაციული**.

პირველ მათგანს საფუძვლად უდევს სახელმწიფოს მიკუთვნება გარკვეული ცივილიზაციისადმი. ცივილიზაცია, თავის მხრივ, ძალზე ტევადი და არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა. იგი განმარტებულია როგორც კულტურის სინონიმი ან საზოგადოების განვითარების დონე, ასევე როგორც კულტურული განვითარების შედარებით მაღალი დონე ანდა გარკვეული დროისა და ადგილის კულტურის მახასიათებელი (**Webster's New American Dictionary, 1995, p.96**). ცივილიზაცია აუცილებლად გულისხმობს საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს, შრომის დანაწილებას და ცენტრალიზებულ ხელისუფლებას. (**Webster's New World Encyclopedia, 1993, p.239**), ამასთანავე, ცივილიზაცია, როგორც წესი, ზეეროვნული ფენომენია და თავის თავში აერთიანებს ერთმანეთთან ახლო მყოფ რამდენიმე ეროვნულ კულტურას, რომელთა გამაერთიანებელი ფაქტორი, როგორც წესი, რელიგიური მსოფლმხედველობაა (მაგ., მართლმადიდებლური, დასავლური, ისლამური, ინდუისტური, ბუდისტური ცივილიზაციები). ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი (**Arnold Toynbee, 1974**) კაცობრიობის ისტორიის მანძილზე 21 ცივილიზაციას გამოყოფს, რომელთაგან მე-20 საუკუნემდე მხოლოდ ექვსმა მოაღწია. ხოლო ამერიკელი პოლიტოლოგი ს. ჰანტიგტონი (**S. Huntington, 1996**) თანამედროვე პერიოდში რვა ცივილიზაციის არსებობას ვარაუდობს. რადგან ცივილიზაციის საფუძველი კულტურაა, ხოლო კულტურის ასზე

მეტი განმარტება არსებობს, ამდენად ცივილიზაციური ტიპო-ლოგიის მრავალ ვარიანტზე შეიძლება საუბარი.

კერძოდ, ცივილიზაციის სხვადასხვა გაგებიდან გამომ-დინარე, შესაძლებელია გამოიყოს ცივილიზაციის შემდეგი სა-ხეები და მათთან დაკავშირებული სახელმწიფოთა ტიპები:

— აღმოსავლური, დასავლური, შერეული;
— ძველი, შუა საუკუნეების, თანამედროვე;
— აგრარული, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური;
— ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული;
— ლოკალური, განსაკუთრებული, თანამედროვე.

სახელმწიფოთა ტიპოლოგიის ცივილიზაციური ვარიანტი ორ სერიოზულ ნაკლოვანებას შეიცავს. ჯერ ერთი, თვით ცი-ვილიზაციების გამოყოფის კრიტერიუმები ძალზე მრავალნაირი და ურთიერთგანსხვავებულია, რაც ართულებს სახელმწიფოთა ტიპებად დაყოფის შესაძლებლობას. მეორეც, ასეთი ტიპო-ლოგიის დროს ვერ ხერხდება გამოიყოს ის მთავარი, რაც ახასიათებს სახელმწიფოს — პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათი. ამიტომ სახელმწიფოთა ტიპოლოგიისას ცივილი-ზაციური მიდგომა, როგორც წესი, დამხმარე ხასიათისაა და ძირითადი ყურადღება ფორმაციულ ვარიანტზეა გადატანილი (განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ასეთი მიდგომა საბ-ჭოთა და მარქსისტული მეცნიერებისათვის, სადაც სახელმ-წიფოს საფუძვლად მიიჩნევდა ხელისუფლების არსი და მისი კლასობრივი ბუნება).

ფორმაციული მიდგომის დროს აქცენტი კეთდება სახელმწი-ფოთა ისტორიული ტიპების გამოყოფაზე. თვით სახელმწიფოს ისტორიული ტიპი კი განისაზღვრება, როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სახელმწიფოს ძირი-თადი, უმნიშვნელოვანესი ერთობლიობა, რომელიც მის კლა-სობრივ არსს გამოხატავს. ამდენად, ერთსა და იმავე ტიპში ექცევა ის სახელმწიფოები, რომლებიც ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას მიეკუთვნებიან და საერთო კლასობ-რივი არსი ახასიათებთ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გამოყოფას, მას საფუძვლად უდევს მატერიალური წარმოების წესი, რაც თავის მხრივ განისაზღვრება წარმოების საშუალე-ბებზე საკუთრების ფორმით. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური

და სოციალისტური. შესაბამისად სახელმწიფოთა ძირითად **ისტორიულ ტიპებს** წარმოადგენს – მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური სახელმწიფოები.

აღნიშნული ტიპოლოგია, მიუხედავად მისი მკვეთრად იდეოლოგიზირებული შინაარსისა, უდავოდ უკავშირებს წარმოების წესს და შესაბამისად ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს, რომლის ხელშიც არის წარმოების საშუალებები, მეორე ადგენს ზოგად კანონზომიერებებს, რაც დამახასიათებელია ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ყველა სახელმწიფოსათვის დაბოლოს, მესამე ავლენს სახელმწიფოთა ერთი ტიპის მეორეთი შეცვლის კანონზიმიერებებს ფორმაციების ცვლის შესაბამისად.

მაგრამ ფორმაციულ მიდგომას აქვს სერიოზული ნაკლიც და ეს მისი ვიწროკლასობრივი ხასიათია. კერძოდ, მხოლოდ წარმოების წესით, გაბატონებული კლასებითა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებით ძნელია აიხსნას სახელმწიფოს არსი, აგრეთვე სახელმწიფოთა განსხვავებები ერთი ფორმაციის შიგნით (**Общая теория права и государства**. 1996б, ст. 300–301).

სახელმწიფოს ტიპებისაგან განსხვავებით, **სახელმწიფოს ფორმებში** იგულისხმება სახელმწიფო მოწყობა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია. ამ თვალსაზრისით განარჩევენ ***მმართველობის ფორმებს, სახელმწიფო მოწყობის ფორმებს*** და ***პოლიტიკური რეჟიმის ფორმებს***.

მმართველობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაცია, განსაკუთრებით მისი ცენტრალური ორგანოების სტრუქტურა, კომპეტენცია, მათი ფორმების წესები, უფლებამოსილების ხანგრძლივობა, მოსახლეობასთან დამოკიდებულება და ხალხის მონაწილეობის ხარისხი ხელისუფლების ფორმირებაში.

ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოჰყო მმართველობის ფორმები იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება უმაღლესი ხელისუფლება – ერთპიროვნულად (მონარქია), პირთა განსაზღვრული რიცხვით (არისტოკრატია) თუ მთელი მოსახლეობის მიერ (დემოკრატია). ეს კრიტერიუმები დღემდე ძალაშია და სახელმწიფოებსაც მმართველობის ფორმის მიხედვით აჯგუფებენ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით ერთი პირი ახორციელებს

მმართველობის, თუ არჩევითი ორგანო. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა მართველობის *მონარქიული* და *რესპუბლიკური* ფორმები.

სახელმწიფო მოწყობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაცია, სახელმწიფოსა და მის შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა *უნიტარული* და *ფედერაციული* სახელმწიფოები. აგრეთვე სახელმწიფოთა კავშირი — *კონფედერაცია*.

სახელმწიფო მოწყობის ფორმა თავისთავად არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ძლიერებას. უფრორე ისაა თუ რამდენად შეკავშირებული და მტკიცეა სახელმწიფო. ხშირ შემთხვევაში სწორედ ფედერაციული მოწყობა ხდება სახელმწიფო ერთიანობის შენარჩუნების საშუალება. თუმცა უზომოდ დეცენტრალიზებულმა ფორმამ შეიძლება ქვეყნის დაშლამდე მიგვიყვანოს, ხოლო ზედმეტმა ცენტრალიზაციამ ცენტრსა და რეგიონებს შორის ისეთი დაპირისპირება გამოიწვიოს, რომ სახელმწიფოს მთლიანობას შეექმნას საფრთხე.

სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდება აგრეთვე *პოლიტიკური რეჟიმის* ფორმების მიხედვით.

პოლიტიკური რეჟიმი ვიწრო გაგებით გულისხმობს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, ხოლო ფართო გაგებით ეს არის მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლებებისა და უფლებების გარანტირებულობის დონე, კონსტიტუციური და სამართლებრივი ნორმების შესაბამისობა პოლიტიკურ რეალობასთან და ხელისუფლების ორგანოების მიმართების ხასიათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ საფუძვლებთან.

პოლიტიკური რეჟიმის მრავალი სახე არსებობს და თითოეულ ისტორიულ ეპოქას პოლიტიკური რეჟიმის შესაბამისი ფორმები ახასიათებს.

მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი იყო ისეთი პოლიტიკური რეჟიმები, როგორიცაა დესპოტია, თეოკრატიული მონარქია, არისტოკრატიის მმართველობა, ოლიგარქიული და მონათმფლობელური დემოკრატიის რეჟიმები. ფეოდალიზმის დროის განვითარებული იყო „ფეოდალური დემოკრატიის", კლერიკალურ-ფეოდალური, მილიტარისტულ-პოლიციური და „განათლებული აბსოლუტიზმის" რეჟი-

მები. კაპიტალიზმის დროს კი არსებობს ლიბერალური, კონსტიტუციურ-დემოკრატიული, ბონაპარტისეული, სამხედრო-პოლიციური, ფაშისტური, აგრეთვე ფაშიზმისმაგვარი (მაგ., რასისტულ-ნაციონალური), ხოლო ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში – რელიგიურ-ფუნდამენტალისტური რეჟიმები. რაც შეეხება სოციალისმს, აქ უნდა ჩამოყალიბებულიყო სახალხო-დემოკრატიული, საერთო-სახალხო პოლიტიკური რეჟიმები, მაგრამ რეალურად შეიქმნა პარტიული დიქტატურის ავტორიტარული, ზოგან კი ტოტალიტარული რეჟიმები.

პოლიტიკური რეჟიმების ეს მრავალფეროვანი სპექტრი ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: *დემოკრატიულ* და *ანტიდემოკრატიულ* რეჟიმებად:

*დემოკრატია* ანუ ხალხის მმართველობა აღნიშნავს სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის ფორმას მაშინ, როცა საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოდგენილია ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული კოლეგიალური ორგანოს სახით, ხოლო კანონით გარანტირებულია მოქალაქეთა ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები, მიუხედავად მათი სქესის, რასის, ეროვნების, რელიგიის, განათლების, ქონებრივი მდგომარეობის და პოლიტიკური შეხედულებებისა. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი წარმოუდგენელია აზრის, სიტყვის, პრესის თავისუფლების გარეშე, მისი აუცილებელი ატრიბუტია მრავალპარტიული სისტემაც. თავისთავად ცხადია, რომ დემოკრატიული რეჟიმის წარმატებით ფუნქციონირება გულისხმობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს.

რაც შეეხება ანტიდემოკრატიულ რეჟიმებს, ზოგადად მათთვის დამახასიათებელია იმ პირობების არსებობა ან უკიდურესი შეზღუდვა, რაც დემოკრატიულ რეჟიმებს ახასიათებთ და ზემოთ იყო საუბარი. ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ანტიდემოკრატიული რეჟიმების ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა ტოტალიტარიზმი და ავტორიტარიზმი.

ტოტალიტარიზმის დროს უმცირესობა ხელთ იგდებს ძალაუფლებას იმისათვის, რომ საზოგადოებას თავს მოახვიოს რომელიმე იდეოლოგია. ყველა ტოტალიტარული რეჟიმი ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავდებიან იდეოლოგიით (მაგ., ფაშიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, კომუნისტური და სოციალისტური რეჟიმები და ა.შ.).

დ. ფრიდრიხი და ზ. ბჟეზინსკი განიხილავენ ტოტალიტარიზმის ექვს კრიტერიუმს: მონოპოლიური იდეოლოგია, ერთადერთი პარტია, ტერორი საიდუმლო პოლიციის დახმარებით, მონოპოლია კომუნიკაციის საშუალებებზე; შეიარაღების მონოპოლიური ფლობა; ეკონომიკის ცენტრალიზაცია. ე. გიდენსი ტოტალიტარიზმის ოთხ ნიშანს ასახელებს: ა) ტოტალიტარული იდეოლოგია, რომელიც უნდა მოიცავს საზოგადოების ყველა წევრს; ბ) ერთადერთი პარტია, რომელიც ქადაგებს მოცემულ იდეოლოგიას; გ) საიდუმლო პოლიცია, რომლის დანიშნულებაცაა [illegible] და დასჯა რეჟიმის მტრების; დ) მონოპოლიური კონტროლი ეკონომიკაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და შეიარაღებულ ძალებზე (ციტირებულია ა. ბერძენიშვილიდან, 2000, გვ. 159–160).

*ავტორიტარიზმი* გარკვეულწილად გარდამავალი რეჟიმია შუალედი ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის. ამ წყობის ხელისუფლება მონოპოლიზებას არ უწევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ზოგიერთ მათგანს (მაგ., ეკონომიკას) აძლევს ავტონომიური განვითარების შესაძლებლობას, რაც ხშირ შემთხვევაში [illegible] შედეგს იძლევა.

ავტორიტარიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ძალაუფლების მატარებელია მცირე რიცხვი (შესაძლებელია ერთი პიროვნება); ძალაუფლების შეუზღუდაობა, რომელსაც მოქალაქეებს კონტროლის შესაძლებლობა არა აქვთ; ძალაზე დაყრდნობა, თუ მოქალაქეების მხრიდან [illegible]; ძალაუფლებისა და პოლიტიკური ცხოვრების მონოპოლიზაცია; პოლიტიკური ელიტის ზემოდან დანიშვნა, [illegible]. ავტორიტარიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთი პირის ან პირთა ჯგუფის შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელიც არ უშვებს პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიას არაპოლიტიკურ სფეროში (Пирачев В.М., Соловьев А.И. 1996, ст.197).

ცალკე უნდა აღინიშნოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დამახასიათებელი *[illegible]* ([illegible]), რაც ხელმძღვანელობის [illegible] ანიჭებს ე.წ. „[illegible]" და [illegible] „[illegible]", რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

## 1.3. ერი–სახელმწიფო

„ერი-სახელმწიფოს“ ცნება ზემოთ უკვე იყო ნახსენები და იგულისხმებოდა ისეთი ერი, რომელიც წარმოიშვა ჯერ როგორც კულტურული ერთობა, შემდეგ კი ეროვნული თვითშეგნების ზრდის შედეგად შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოს აუცილებლობა და ჩამოყალიბდა პოლიტიკური ერთობა (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერების უმრავლესობა). ამის საპირისპიროა „სახელმწიფო-ერის“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ერი ყალიბდება სახელმწიფოს შიგნით, როცა საერთო სუვერენიტეტი წარმოშობს საერთო ინსტიტუტებს, ეთნიკურ ერთობებს შორის არსებული განსხვავებები თანდათან იშლება და წარმოიშვება ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, ე.ი. სახელმწიფო წარმოშობს ერს (დასავლეთ ევროპის ერები).

ამ ცნებებში განმარტების ობიექტი ერია და აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ რომელ ერს შეიძლება ეწოდოს „ერი-სახელმწიფო“ და რომელს – „სახელმწიფო-ერი“.

მაგრამ ბუნებრივია ერი-სახელმწიფოს ცნება შეიძლება გავიგოთ საპირისპირო კუთხითაც. ე. ი. არა ისე თუ როგორ ერს შეიძლება ეწოდოს „ერი-სახელმწიფო“, არამედ ისე, თუ როგორ სახელმწიფოს შეგვიძლია ვუწოდოთ „ერი-სახელმწიფო“?

ყველაზე მოკლე და ლაკონური განმარტებით ერი-სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომლის მთელი მოსახლეობა ერთსა და იმავე ერს მიეკუთვნება. ე.ი. ცნებები ერი და სახელმწიფო ფაქტიურად იდენტურია.

აბსოლუტურად წმინდა სახით „ერი-სახელმწიფო“ არ არსებობს და არც არასოდეს უარსებია, რადგან ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის ყოველთვის არიან სხვადასხვა ერის (ეროვნების) წარმომადგენლები. ამიტომ ერი-სახელმწიფოს ცნება არ გულისხმობს ეთნიკურად აბსოლუტურად ერთგვაროვან სახელმწიფოს, ეს უფრო მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა და მასში შეიძლება სხვადასხვა შინაარსი იდოს. ყველაზე გავრცელებული განმარტებით, როგორც ეს გვხვდება განმარტებით ლექსიკონებში და ენციკლოპედიებში ერი-სახელმწიფო არის სუვერენული პოლიტიკური ერთობა ერთი ერის დომინანტური მდგომარეობით (Politics. The Concise Oxford Dictionary, 1996, p.331). როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში ლაპარაკია

არა იმაზე, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა ერთი ერის წარმომადგენელი იყოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ სახელმწიფოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ერთი რომელიმე ერის წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომელთა ენაც, როგორც წესი, იქნება სახელმწიფო ენა, ხოლო ქვეყნის სახელწოდება ამ ერის სახელთან იქნება დაკავშირებული (მაგ., ფრანგი — საფრანგეთი, ბერძენი — საბერძნეთი, ქართველი — საქართველო და ა.შ.). ერი-სახელმწიფოს ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად ბევრი მკვლევარი ამჯობინებს ტერმინს „ეროვნული სახელმწიფო“.

ფართო მნიშვნელობით „ერი-სახელმწიფო“ (ეროვნული სახელმწიფო) გულისხმობს დღეს არსებულ სახელმწიფოთა ტიპს, როგორც საპირისპირო ცნებას იმ სახელმწიფოებისა, რომელიც ანტიკურ პერიოდში და შუა საუკუნეებში არსებობდა. როგორც ცნობილია, იმდროინდელი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა არა ერის, არამედ მონარქის სახელმწიფოები იყო. მათ საზღვრებში ერთიანდებოდა ის ტერიტორიები, რომლებიც ან დაპყრობითი ომების, ანდა დინასტიური ქორწინების შედეგად იყო ხოლმე შემოერთებული. ხშირ შემთხვევაში ისინი ტერიტორიულად მოწყვეტილი იყო ერთმანეთისაგან, ხოლო მოსახლეობის თვალსაზრისით ეთნიკურ კონგლომერატს წარმოადგენდა. ამიტომ მათ ვერანაირად ვერ ვუწოდებთ ეროვნულ სახელმწიფოებს და მათი საზღვრების სწრაფი და პერმანენტული ცვლილებები სწორედ ტერიტორიული დაქსაქსულობით და ეთნიკური სიჭრელით იყო გამოწვეული. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქ-სახელმწიფოებზე და საეკლესიო (პაპის, არქიეპისკოპოსების) სახელმწიფოებზე, სადაც სახელმწიფოს საფუძველს არა ეროვნული (ეთნიკური) ერთობა შეადგენდა, არამედ რელიგიური კუთვნილება და საეკლესიო ქვეშევრდომობა, ანდა ერთი ქალაქის მოქალაქეობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროვნული სახელმწიფო (ანუ ერი-სახელმწიფო მისი ფართო მნიშვნელობით) შედარებით ახალი ფენომენია. იგი სათავეს იღებს 1648 წლის ვესტფალიის ზავის შემდეგ, როცა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორები გახდნენ სწორედ ეროვნული სახელმწიფოები (ანუ სახელმწიფოები, რომლებიც ერებს წარმოადგენდნენ) და არა დინასტიები, ქალაქები ან ეკლესია. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მანამდე არ არსებობდა ისეთი სახელმწიფოები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ერთ, რომელიმე ერს

მიეკუთვნებოდა (თუნდაც საქართველოს სახელმწიფო შუა საუკუნეებში), მაგრამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების თანხვდენა უდავოდ ახალი მოვლენაა და ამდენად ეროვნულ სახელმწიფოზე ლაპარაკი ძველი და შუა საუკუნეების პერიოდებისათვის საფუძველს მოკლებულია.

ყველა ევროპელი ერი შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: ერი, რომელიც ჩამოყალიბდა და შემდეგ შექმნა სახელმწიფო (ერი-სახელმწიფო) და ერი, რომელიც წარმოიშვა როგორც ერთიანი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა (სახელმწიფო-ერი). აქედან გამომდინარე, ერ-სახელმწიფოშიც შეიძლება გავარჩიოთ სახელმწიფოთა ორი ტიპი: სახელმწიფო, რომელიც ერმა შექმნა და სახელმწიფო, რომელმაც ერი შექმნა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გამიჯვნა გარკვეულწილად პირობითია. ერი, რომელიც ჩამოყალიბდა ჯერ როგორც კულტურული ერთობა და შემდეგ შექმნა საკუთარი სახელმწიფო, აგრძელებს ფორმირების პროცესს უკვე საკუთარი სახელმწიფოს შიგნით. ამ თვალსაზრისით იგი განიცდის იმავე პროცესს, რასაც ის ერები, რომლებიც ერებად სახელმწიფომ ჩამოაყალიბა (სახელმწიფო-ერები).

მიუხედავად ამისა, გარკვეული განსხვავებები იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკურად ერთიანი, ცენტრალიზებული ობიექტები და ამის საფუძველზე გააერთიანა მოსახლეობა ერთ ერად და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შეიქმნა როგორც უკვე ჩამოყალიბებული ერების პოლიტიკური ორგანიზაცია, მაინც არსებობს და ხშირად ეს განსხვავება ტერმინის შინაარსშიც აისახება. კერძოდ, ინგლისელებიც და ფრანგებიც ერებად ჩამოყალიბდნენ მას შემდეგ, რაც ინგლისისა და საფრანგეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოები შეიქმნა და ინგლისელი და ფრანგი ერების ცნებაში ამ ქვეყნების მთელი მოსახლეობა გაერთიანდა. ამიტომაც ერის აღმნიშვნელი სიტყვა როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ ენებში პოლიტიკური შინაარსისა და სახელმწიფოს სინონიმია. ვებსტერის ახალ ამერიკულ ლექსიკონში სიტყვა Nation-ის (ერი) ერთ-ერთი განმარტებაა „პოლიტიკურად ორგანიზებული ხალხი, რომელსაც აქვს საერთო ტერიტორია და ჰყავს საერთო მთავრობა“ (Webster's New American Dictionary, 1995, p.345), ხოლო სიტყვა State (სახელმწიფო), სხვა განმარტებებთან ერთად განმარტებულია, როგორც „ხალხის ერთობლიობა“, რომელსაც უკავია ერთი ტერიტორია და მოქცეულია ერთი მთავრობის

ძალა" (იქვე, გვ. 504). ამიტომ, როცა ინგლისურიდან ან ფრანგულიდან ქართულად სიტყვა Nation-ს გადმოგვაქვს ერად, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ცნებაში ძალიან ხშირად სახელმწიფო იგულისხმება. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაერთიანებული სახელმწიფოთა ორგანიზაციად უნდა გავიგოთ, ეროვნული ვალუტა – სახელმწიფო ვალუტად, ეროვნული უნივერსიტეტი – სახელმწიფო უნივერსიტეტად და ა.შ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერების წარმოშობის პროცესი წინ უსწრებდა სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესს. ამიტომ აქ ერები ჩამოყალიბდნენ ჯერ როგორც ეთნიკურ-კულტურული ერთობები და შემდეგ შექმნეს თავიანთი სახელმწიფოები. მაგალითად, გერმანიის და იტალიის სახელმწიფოების წარმოქმნა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ გერმანულ ხალხში (ისევე როგორც იტალიელებში) საბოლოოდ ჩამოყალიბდა საერთო ეროვნული თვითშეგნება და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. ხოლო ავსტრია-უნგრეთის თუ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ხალხებმა (უნგრელებმა, ჩეხებმა, ხორვატებმა, სლოვენებმა, სლოვაკებმა, სერბებმა, ბულგარელებმა, რუმინელებმა, ალბანელებმა) გააცნობიერეს თავიანთი ეთნიკულტურული ერთობა და მიზნად დაისახეს თავიანთი საკუთარი, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა. ამიტომ ამ ხალხების ენებში ერის აღმნიშვნელ სიტყვებს (გერმანულში – die Nation, რუსულში – нация, ქართულში – ერი), უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს და სახელმწიფოს სინონიმად არ იხმარება. ეს ტერმინოლოგიური აღრევა ხშირად სერიოზულ გაუგებრობას იწვევს.

ეს ტერმინოლოგიური მრავალმნიშვნელობა მაინც იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთ უდავო ფაქტზე შევთანხმდეთ: ერი-სახელმწიფო (ისევე როგორც ეროვნული სახელმწიფო) ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს სახელმწიფოში ერთი დომინანტი ერის (ეთნოსის) არსებობას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მსოფლიო სახელმწიფოების შედარება მათი მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის მიხედვით და ერი-სახელმწიფოების (ეროვნული სახელმწიფოების) გამოყოფა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ ერთი ეროვნების (ეთნოსის) უპირატესი როლით.

პირდაპირი მნიშვნელობით ერ-სახელმწიფოდ უნდა მივიჩ-ნიოთ ეთნიკურად აბსოლუტურად ერთგვაროვანი ქვეყნები, ანუ ის სახელმწიფოები, სადაც ძირითადი ერის ხვედრითი წილი ქვეყნის მთელი მოსახლეობის 99%-ს აღემატება. მსოფლიოს 190 სახელმწიფოდან ასეთი მხოლოდ თერთმეტია: უნგრეთი, ისლანდია და პორტუგალია ევროპაში, მალდივის რესპუბლიკა, იაპონია, სამხრეთი კორეა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აზიაში, მადაგასკარი და სან-ტომეს და პრინსიპის რესპუბლიკა აფრიკაში, ჰაიტი ლათინურ ამერიკაში და ტონგა ოკეანეთში (Население мира, 1989, ст. 429–266).

მაგრამ რადგან ასეთი სახელმწიფოები უმალ გამონაკლისია, ვიდრე ჩვეულებრივი მოვლენა, უფრო უპრიანი იქნება თუ სახელმწიფოებს რამდენიმე კატეგორიად დავყოფთ იმის მი-ხედვით, თუ როგორია ძირითადი ეროვნების ხვედრითი წილი.

პირველ კატეგორიაში გაერთიანდება ის სახელმწიფოები, რომლებშიც დომინანტი ერის ხვედრითი წილი 90%-ზე მეტია – სწორედ მათ შეიძლება ეწოდოს ერი-სახელმწიფოები. მეორე კატეგორიაში შევა ის ქვეყნები, სადაც ძირითადი ერის ხვედრითი წილი 70–90%-ს შორისაა (ჩვენ მათ მოვიხსენიებთ როგორც ეროვნულ სახელმწიფოებს), ხოლო მესამე კატეგორიაში ვაერ-თიანებთ იმ სახელმწიფოებს, სადაც ძირითადი ერის ხვედრითი წილი 50%-დან 70%-მდეა ანუ პირობითად ეროვნული სახელმწი-ფოები, ეთნიკური უმცირესობების მაღალი ხვედრითი წილით. დანარჩენი სახელმწიფოები მიეკუთვნება მრავალეროვან ან ორეროვან სახელმწიფოებს და მათი ეროვნულ სახელმწიფო-ებად და მით უფრო ერ-სახელმწიფოებად განხილვა საფუძველს მოკლებულია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერი-სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება სახელმწიფოთა დღევანდელი ტიპი, როგორც ხალხის პოლიტიკური ორგანიზაცია და უპირისპირდება სახელმწიფოს შუასაუკუნეობრივ გაგებას, როცა სახელმწიფოს გამოხატულებას მეფე, მღვდელმთავარი თუ სხვა პიროვნება წარმოადგენდა).

მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოების კლასიფი-კაციას ერ-სახელმწიფოებად, ეროვნულ და პირობითად ეროვ-ნულ სახელმწიფოებად საფუძვლად ვუდებთ მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურას, გასათვალისწინებელია მთელი რიგი გარემოებები იმისდა მიხედვით თუ რომელ ქვეყანაზეა ლაპა-რაკი, რა იგულისხმება ეროვნულ ჰომოგენურობაში და როგორი ეთნოპოლიტიკური მდგომარეობაა სახელმწიფოში.

ერთ-სახელმწიფოების კატეგორიაში, როგორც ზემოთ ითქვა, მოხვდნენ ის ქვეყნები, სადაც ძირითადი ერის ხვედრითი წილი მთელი მოსახლეობის 90%-ს აღემატება. ევროპის ერთ-სახელმწიფოების შემთხვევაში (ავსტრია, ალბანეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, ფინეთი, ჩეხეთი, შვედეთი) სურათი მეტნაკლებად ნათელია და რაიმე დამატებით განმარტებებს არ საჭიროებს. თუ არ ჩავთვლით, რომ ზოგიერთი ერისათვის (ავსტრიელები, გერმანელები, იტალიელები) დამახასიათებელია რთული შიდაეთნიკური სტრუქტურა. რაც გამოიხატება დიალექტებისა და ყოფითი კულტურის მრავალფეროვნებაში. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ეროვნული კონსოლიდაციისათვის და ის ფაქტი, რომ ავსტრიელებიც, გერმანელებიც და იტალიელებიც მკვიდრად კონსოლიდირებული ერებია არავისში ეჭვს არ იწვევს.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა აზიის ერთ-სახელმწიფოების შემთხვევაში. კერძოდ, ჩინეთის მოსახლეობის 94% ეთნიკური ჩინელია და ამდენად ჩინეთის ერთ-სახელმწიფოების კატეგორიაში შეყვანა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეთნიკური უმცირესობები (მოსახლეობის 6%) აბსოლუტურ მონაცემებში შეადგენენ 70 მილიონ კაცს (გაცილებით მეტს ვიდრე საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის ან იტალიის მთელი მოსახლეობა) და მათ უკავიათ ჩინეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი (მეტი ვიდრე მთელი დასავლეთ ევროპის ფართობი). ამას ემატება ისიც, რომ თვით ჩინური ეთნოსის შიდა ეთნიკური სტრუქტურა ძალიან რთულია და დიალექტები განსხვავებულია იმდენად, რომ სხვადასხვა დიალექტებზე მოლაპარაკე ჩინელებს ერთმანეთისა თითქმის არ ესმით. ამდენად, ჩინეთის ერ-სახელმწიფოდ მიჩნევა გარკვეულ კითხვებს ბადებს.

ასევე თავისებური მდგომარეობაა არაბულ სახელმწიფოებში. კერძოდ, იორდანიაში მოსახლეობის 98% არაბია, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს და საერთო კულტურა აქვს. მაგრამ მათგან მხოლოდ 46%-ია იორდანელი არაბი. მაშინ. როცა 52%-ს პალესტინელი არაბები შეადგენენ. თუ პალესტინელებსა და იორდანელებს სხვადასხვა ერად ჩავთვლით, მაშინ იორდანია ორეროვან სახელმწიფოდ უნდა განვიხილოთ, მაგრამ ეს ხალხები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ თვითიდენტიფიკაცია პალესტინელთან თუ იორდანელთან უფრო

გეოგრაფიულია, ვიდრე ეთნიკური. ამიტომ იორდანიას ერ-სახელმწიფოდ განიხილავენ. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებზე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წილი ნახევარსაც არ აღწევს, მაგრამ რადგან დანარჩენი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სხვა არაბული ქვეყნებიდან მიგრირებულები შეადგენენ, ამიტომ ეს ქვეყნებიც (კატარი, ბაჰრეინი, კუვეიტი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ომანი) ეროვნულ სახელმწიფოებს მიეკუთვნება და არა მრავალეროვანს.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა აფრიკის (კერძოდ, ტროპიკული აფრიკის) შემთხვევაში. მადაგასკარის მოსახლეობის 99%-ზე მეტს მალგაშები შეადგენენ, მაგრამ ეროვნული კონსოლიდაცია არც თუ ისე ძლიერია და მადაგასკარელების, როგორც ერთიანი ერისა და მით უმეტეს ერი-სახელმწიფოს კატეგორიაში გაყვანა გარკვეულწილად პირობითია. მონოეთნიკურ სახელმწიფოებად უნდა მივიჩნიოთ ბურუნდი და რუანდა, მაგრამ ტომობრივმა დაპირისპირებამ ისეთი მასშტაბები მიიღო და იმდენი ხალხი შეიწირა, რომ ამ ქვეყნების ერთეროვან სახელმწიფოებად განხილვა ერთობ საეჭვოა.

რაც შეეხება ამერიკის ერ-სახელმწიფოებს, ისინი ყველანი იმ ახალგაზრდა სახელმწიფოებს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი მოსახლეობა ფაქტიურად ერთ ერად შეაკავშირეს. ამიტომ ისეთი ერები, როგორებიცაა ბარბადოსელები, ჰაიტელები, დომინიკანელები და სხვები ფაქტიურად ამ ქვეყნების მთელ მოსახლეობას აერთიანებს. ბევრი ლათინო-ამერიკელი ერი კი (ბრაზილიელი, კუბელი, პარაგვაელი, ჩილელი და სხვა) მიუხედავად იმისა, რომ ენითა და კულტურით ერთ მთლიანს და კონსოლიდირებულ ერებს ქმნის, თავიანთ თავში აერთიანებს სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის ხალხებს.

ეროვნულ სახელმწიფოებს ჩვენ მივაკუთვნებთ იმ ქვეყნებს, სადაც დომინანტი (ტიტულარული) ერი მოსახლეობის 70%-დან 90%-მდეა. მაგრამ ეს კრიტერიუმი გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ ეთნიკურ უმცირესობებში არ იყოს ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფის აბსოლუტური უპირატესობა. თუ მაგალითად, მოსახლეობის 70% მოდის ტიტულარულ ერზე და 25 %, რომელიმე სხვა ეროვნებაზე, მაშინ ასეთი სახელმწიფო ორეროვანი ქვეყნების, ანდა უკიდურეს შემთხვევაში პირობითად ეროვნული სახელმწიფოების კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ და არა ეროვ-

ნულ სახელმწიფოებს. სწორედ ამიტომ ერაყი (სადაც მოსახლეობის 76%-ს არაბები, ხოლო 20%-ს ქურთები შეადგენენ), ანდა კვიპროსი (ბერძნები – 79%, თურქები – 19%) ვერ მოხვდნენ ეროვნული სახელმწიფოების კატეგორიაში. მიუხედავად ძირითადი ერების რიცხობრივი დომინირებისა, ეთნიკური დაპირისპირების ესკალაცია და ეთნოკონფლიქტის მასშტაბები შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების ეროვნულ სახელმწიფოებად მიჩნევას.

ევროპის ეროვნულ სახელმწიფოებში ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და გარკვეულწილად საფრანგეთი. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 77%-ს შეადგენენ ინგლისელები, 9%-ს – შოტლანდიელები, 2%-ს – ჩრდილოეთირლანდიელები (ოლსტერელები) და 1,5%-ს – უელსელები (ამას ემატება სხვა ქვეყნებიდან ემიგრირებული მოსახლეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტია). ესპანეთში მთელი მოსახლეობის მხოლოდ 71%-ს შეადგენენ ესპანელები, 18% მოდის კატალონიელებზე, 8% – გალისიელებზე და 2% – ბასკებზე. საფრანგეთში კი ფრანგების წილად მოდის მოსახლეობის 83%, 3% მოდის ელზასელებზე, 2% – ბრეტონელებზე, 0,5-0,5% – კორსიკელებზე და ბასკებზე და თითქმის 11% – სხვა არაევროპულ ეთნიკურ ჯგუფებზე. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ სამივე ამ ქვეყანაში რამდენიმე მკვიდრი ეროვნების თითოეულში და ამდენად მიუხედავად დიდი ბრიტანეთი ინგლისელების, ესპანეთი ესპანელების, ხოლო საფრანგეთი ფრანგების ეროვნულ სახელმწიფოდ, გარკვეულ ეჭვს იწვევს. მაგრამ იმის გამო, რომ სამივე ეს ქვეყანა „სახელმწიფო-ერების" კლასიკური მაგალითია, სადაც ერების ჩამოყალიბება მოხდა უკვე არსებული, ცენტრალიზებული სახელმწიფოების შიგნით, გამართლებულად მიგვაჩნია მივაკუთვნოთ ისინი ეროვნული სახელმწიფოების კატეგორიას.

აზიის ეროვნულ სახელმწიფოებზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ, რომ სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები ამ კატეგორიაში მოხვდნენ იმის გამო, რომ თითოეულ მათგანში დომინანტს შეადგენენ არა საკუთრივ მკვიდრი ერების (ბაჰრეინელები, კატარელები, ომანელები, ქუვეითელები) წარმომადგენლები, არამედ მთლიანად არაბული მოსახლეობა, რომელთაც მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა არაბული ქვეყნებიდანაა მიგრირებული. ეთნიკური უმცირესობების მაღალი ხვედრითი წილია ბირმაში, ვიეტნამში, კამბოჯაში და თურქეთში და ეს ქვეყნები (განსაკუთრებით ბირმა) მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ

ეროვნულ სახელმწიფოებს. რაც შეეხება ისრაელს, თუმცა იქ მოსახლეობის 18% არაბია, ისრაელი მაინც უდავოდ მკაფიოდ გამოხატული ეროვნული სახელმწიფოა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა აფრიკის შემთხვევაში. აქ თუ ჩრდილოეთი აფრიკის არაბულ სახელმწიფოებს არ ჩავთვლით (ალჟირი, ლიბია, მაროკო, მავრიტანია), ეროვნული სახელმწიფოების კატეგორია უკიდურესად პირობითია, რადგან ვერც ერთ ქვეყანას ვერ მივიჩნევთ რომელიმე ერის ეროვნულ სახელმწიფოდ. აქ ლაპარაკია, მხოლოდ ცალკეული ეთნოსების (ხალხოვნების, ხოლო ზოგჯერ ტომის) უპირატეს როლზე ქვეყნის მოსახლეობაში. სახელმწიფო ენების ფუნქციას კი ყველგან ევროპული ენები ასრულებს და ამდენად ტსვანას, ბასუტოსა თუ სვაზის ეროვნულ სახელმწიფოებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ძალიან ნაადრევია.

ასევე სპეციფიკური მდგომარეობაა ამერიკის ეროვნული სახელმწიფოების შემთხვევაში. აქ დომინანტ ერად ითვლება ის ძირითადი ეთნოსები, რომლებიც თავად არიან ძალიან რთული შემადგენლობის, როგორც ეთნიკური წარმოშობის, ისე ანთროპოლოგიური თუ რელიგიური თვალსაზრისით (ამერიკელები, არგენტინელები, მექსიკელები, ვენესუელები და ა.შ.), ხოლო ეთნიკურ უმცირესობად მიიჩნევიან ის ეთნოსები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თვითმყოფადობას და არ შერწყმიან ამ ახლადჩამოყალიბებულ ერებს. კერძოდ არგენტინაში ასეთები არიან იტალიელები, ესპანელები, ებრაელები, კეჩუა, გალისიელები, კატალონიელები, პოლონელები, უკრაინელები და ა.შ. აშშ-ში ასეთებია ადგილობრივი ინდიელები და ის იმიგრანტები, რომელსაც სრული „ამერიკანიზაცია“ ჯერ არ განუცდიათ და ამდენად თავს ამერიკელ ეთნოსს არ აკუთვნებენ. იგივე შეიძლება ითქვას ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიმართ.

აქ ქვეყნების კატეგორიაში არ ხვდება გრენლანდია, პაპუა, ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები და ტუვალუ, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ადგილობრივი ძველი ეთნოსები შეადგენენ, თუმცა მათი ენები სახელმწიფო ენების რანგში არ არის აყვანილი და ამდენად მათ ეროვნულ სახელმწიფოებზე ლაპარაკი ნაადრევია. ერთგვარი გამონაკლისია გრენლანდია, სადაც მკვიდრი ესკიმოსი მოსახლეობის ენას, დანიურთან ერთად, სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს.

პირობითად ეროვნულ სახელმწიფოების კატეგორიაში, როგორც უკვე ითქვა, ის სახელმწიფოებია გაერთიანებული, სადაც დომინანტი ერის ხვედრითი წილი 50–70%-ს შორის მერყეობს. მაგრამ ისევე როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავებული სიტუაციაა იმისდა მიხედვით თუ რომელ კონტინენტსა და რეგიონში მდებარეობს ესა თუ ის სახელმწიფო.

ევროპის შემთხვევაში, ამ კატეგორიის ქვეყნებში ეთნიკურ უმცირესობებს, როგორც წესი, შეადგენენ ის ხალხები, რომლებიც არაადგილობრივ ეთნოსებს მიეკუთვნებიან, უმრავლეს შემთხვევაში ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქვთ ისტორიული სამშობლო (სახელმწიფო) და ამდენად მიგრანტ ეთნოსებად მიიჩნევიან.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა აზიის შემთხვევაში. აქ ეთნიკური უმცირესობები ადგილობრივი, მკვიდრი ეთნოსებია და ამიტომ თვით ამ ქვეყნების მიკუთვნება, თუნდაც პირობითად, ეროვნული სახელმწიფოების კატეგორიისადმი (ირანი, ავღანეთი, ნეპალი, ტაილანდი) უაღრესად სადისკუსიო საკითხია, ხოლო ერაყი, კვიპროსი და შრი-ლანკა იმდენად არიან გახლეჩილი ეთნიკურ დაპირისპირებაში, რომ მათი ჩათვლა რაიმე ზომით ეროვნულ სახელმწიფოდ, მხოლოდ სტატისტიკის (ძირითადი ერის ხვედრითი წილი) საფუძველზე ხდება და ფორმალურია.

ასევე სრული ფორმალობაა აფრიკის სახელმწიფოების (ბენინი, განა, კაბო-ვერდე, მალავი, კონგო) გაყვანა პირობითად ეროვნული სახელმწიფოების კატეგორიაში. აქ ქვეყანაში მოსახლეობის ნახევარზე მეტს, თითოეულ მათგანში, ამა თუ იმ ადგილობრივი ტომის წარმომადგენლები შეადგენენ, მაგრამ არც ერთი მათგანის ერად მიჩნევა არ შეიძლება. არც ერთი ტომის ენას არა აქვს სახელმწიფო თუ ოფიციალური ენის სტატუსი. გარკვეულწილად გამონაკლისია კაბო-ვერდე, სადაც მოსახლეობის 67%-ს შეადგენენ ე.წ. კაბოვერდელები, — პორტუგალიურად მოლაპარაკე ეთნოსი, რომელიც პორტუგალიელებისა და კონტინენტიდან შემოყვანილი აფრიკელების შერწყმის შედეგად წარმოიშვნენ, აგრეთვე სუდანი, სადაც მოსახლეობის ნახევარს სუდანელი არაბები შეადგენენ და არაბულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს.

რაც შეეხება ამერიკის ქვეყნებს, აქ მოსახლეობის უმრავლესობა ის ეთნოსებია, რომელთა სახელწოდებაც ქვეყნის სახელ-

წოდებიდან მომდინარეობს, კერძოდ, ესპანურენოვანი პერუელები, ეკვადორელები და გვატემალელები და ინგლისურენოვანი ბელიზელები ბარბადოსელები ტრინიდადელები და ტობაგოელები. უმცირესობებს კი შეადგენენ ინდიელები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ საკუთარი ენა და კულტურა, ხოლო ტრინიდადსა და ტობაგოში – ინდოელები და პაკისტანელები. ასევე იმიგრანტები შეადგენენ ოკეანეთის ქვეყნების მოსახლეობის ეთნიკური უმცირესობის აბსოლუტურ უმრავლესობას (გუამი, ნაურუ, საფრანგეთის პოლინეზია, უოლესი და ფუტუნა).

ორენოვანი და მრავალენოვანი ქვეყნების კატეგორიაში გაერთიანებული არიან ის სახელმწიფოები, რომლებშიც არ არის დომინანტი ერი, ანდა რამდენიმე მკვიდრი ერის შემთხვევაში, ყველა მათგანის სტატუსი თანაბარია და თითოეულის ენას სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნია (მაგ., შვეიცარია). იშვიათი გამონაკლისის გარდა (ანდორა, მონაკო, გარკვეულწილად სინგაპური და მალაიზია), ასეთ ქვეყნებში ეთნიკურ უმცირესობებს ადგილობრივი, მკვიდრი ეთნოსები შეადგენენ. ბევრ მათგანს აქვს პრეტენზია, საკუთარი ეროვნული სახელმწიფო შექმნას, რაც ხშირად ეთნიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტების წყარო ხდება. სწორედ ამ კატეგორიის ქვეყნები წარმოადგენენ დესტაბილიზაციისა და შეიარაღებული შეტაკებების კერებს.

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ), აქ ერი-სახელმწიფოს კატეგორიას მიეკუთვნება მხოლოდ სომხეთი. ეროვნული სახელმწიფოების ჯგუფს შეადგენენ რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი, უზბეკეთი და თურქმენეთი. პირობითად ეროვნული სახელმწიფოებია – მოლდავეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, ხოლო მრავალეროვანი – ყაზახეთი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა ზემოთ განხილულ კლასიფიკაციას ერ-სახელმწიფოებად, ეროვნულ სახელმწიფოებად, პირობითად ეროვნულ სახელმწიფოებად და მრავალეროვან სახელმწიფოებად საფუძვლად უდევს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და დომინანტი ეთნოსის ხვედრითი წილი. მაგრამ დღეს, დასავლეთის ქვეყნებში ჭეშმარიტ ერ-სახელმწიფოებად ითვლება ისეთი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა თავს მიიჩნევს ერთი ერის წარმომადგენლად, მიუხედავად თავიანთი ეთნიკური კუთვნილებისა.

## კითხვები და დავალებები:

1. რატომ უარყოფს ზოგიერთი მეცნიერი ერის მეცნიერული განმარტების არსებობის შესაძლებლობას?
2. რა განსხვავებაა ერის პოლიტიკურსა და ეთნიკურ მნიშვნელობებს შორის?
3. რით განასხვავებს ფ. მეინეკე ერ-სახელმწიფოებს სახელმწიფო-ერებისგან?
4. დაასახელეთ ერები, რომლებიც სახელმწიფომ ჩამოაყალიბა და ერები, რომლებიც ჯერ ერად ჩამოყალიბდნენ და შემდეგ შექმნეს სახელმწიფოები.
5. ჩამოთვალეთ სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები.
6. რა მიეკუთვნება სახელმწიფოს ფუნქციებს?
7. დაასახელეთ სახელმწიფოთა ტიპები ცივილიზაციური და ფორმაციული თვალსაზრისით.
8. ჩამოთვალეთ სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები.
9. რით განსხვავდება ტოტალიტარული რეჟიმი ავტორიტარულისაგან?
10. როგორ სახელმწიფოებს უწოდებენ ერ-სახელმწიფოს?
11. რომელი სახელმწიფოები მიეკუთვნება ერ-სახელმწიფოებს ევროპაში?

## ლიტერატურა


1. ს ტ ა ლ ი ნ ი ი.ბ. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თხზულებები. ტომი 2. თბილისი. 1947, გვ. 312–326.
2. П о з д н я к о в Э. А., Философия политики. Том 2. Москва. 1994. ст. 3 30.
3. Nationalism. Edited by J. Hutchinson and A. Smith. Oxford University Press. Oxford. New-York. 1994, p.p. 15–46.
4. Общая теория права и государства. Под. редакцией В.В. Лазарева. Москва. 1996, ст. 273–317.
5. Теория государства и права. Под редакцией М.Н. Марченко. Москва. 1996, ст. 80–112. 173–186.

თემა 2

# ნაციონალიზმის არსი და ტიპოლოგია

## 2.1. ნაციონალიზმის ცნება

იმის გამო, რომ ტერმინი „ერი" ანუ „ნაცია" მრავალმნიშვნელოვანია და მისი საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს, ყველა ცნება, რომელიც ერისაგან (ნაციისაგან) მომდინარეობს, ასევე ძნელად ექვემდებარება ცალსახა განმარტებას და უაღრესად მრავალმნიშვნელოვანია. ეს, პირველ რიგში, ეხება ტერმინ „ნაციონალიზმს", რომელიც ხშირად სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით გვხვდება.

ცნობილ ინგლისელ მეცნიერს, ნაციონალიზმის ერთ-ერთ აღიარებულ მკვლევარს, ენტონი სმიტს თავის წიგნში „ნაციონალიზმის თეორიები" მოჰყავს მაქს ვებერის გამონათქვამი, რომ ცნება „რელიგია" შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო. ეს შეიძლება სცადო მხოლოდ ამ საკითხის ირგვლივ დაწერილი სამეცნიერო წიგნის დასკვნაში. ე. სმიტს მიაჩნია, რომ ეს მოსაზრება სავსებით სამართლიანია ისეთ ცნებისათვის, როგორიცაა „ნაციონალიზმი" (Smith A. 1983. p.165).

მართლაც, თუ გადავხედავთ ნაციონალიზმის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას ადვილად შევამჩნევთ, რომ ამ ტერმინში სულ სხვადასხვა შინაარსი ძევს. იგი ზოგჯერ წარმოადგენს ეროვნული გრძნობების სინონიმს, ზოგჯერ ეროვნულ მოძრაობას აღნიშნავს, ზოგჯერ კი იდეოლოგიის სახით წარმოგვიდგება. გარდა ამისა, იგი ხან პოლიტიკურ მოვლენად მოიაზრება, ხან კი კულტურასთან ასოცირდება. აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელი იყოს ნაციონალიზმის

„სინთეზური" გაგებაც, რომელიც ამ ცნებაში გულისხმობს ნაციონალიზმს როგორც იდეოლოგიას. ისე მოძრაობას თავისი პოლიტიკური და კულტურული განზომილებებით (Smith A. 1983. Hutchinson J. 1987).

ვებსტერის ახალ ინტერნაციონალურ ლექსიკონში ნაციონალიზმის ექვსი სხვადასხვა განმარტებაა მოცემული

1. ეროვნული ხასიათი, ეროვნულობა.

2. ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი კილო, ხასიათი, ნიშანი.

3. ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოკიდებულებისადმი ერთგულება და მისი დაცვა.

4. საკუთარი ერისა და მისი პრინციპებისათვის თავდადება; პატრიოტიზმი.

5. სოციალიზმის ფაზა. როცა ხდება მეურნეობის დარგების და პირველ რიგში მრეწველობის ნაციონალიზაცია, არსებითად იგივეა, რაც კოლექტივიზმი.

6. დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს ამა თუ იმ ერის განსაკუთრებულობას და თვლის მას ღვთისაგან რჩეულ ხალხად (Webster`s New International Dictionary. 1996).

ბუნებრივია, ყველა ეს მნიშვნელობა თავის გამოყენების დიაპაზონითა და მასშტაბებით ტოლფასი არ არის. როგორც წესი. ყველაზე უფრო ხშირად ნაციონალიზმის ცნება იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ზემოთ ნახსენებული ექვსი განმარტებიდან მესამეა, ისე „ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა". სწორედ ასეა განმარტებული ნაციონალიზმი ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებში.

ცხადია, ნაციონალიზმის ეს განმარტება ნაციონალიზმს წარმოგვიდგენს, როგორც უაღრესად დადებით და პროგრესულ მოვლენას, რადგან ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულება და მისი დაცვა მაღალზნეობრივი და ამაღლებული ღირებულებაა. ამ იდეისათვის მებრძოლი და თავშეწირული სახე, როგორც წესი, ეროვნულ გმირებად ცხადდებიან და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ.

ნაციონალიზმის სულ სხვა განმარტებაა წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში. მაგალითად, ს. ოჟეგოვის რუსული ენის ლექსიკონში ნაციონალიზმი განმარტებულია როგორც „რეაქციული ბურჟუაზიული

იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეროვნული შუღლის გაღვივებისა და სხვა ერების დაჩაგვრის ხარჯზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს გაბატონებულ ერს, მხარს უჭერს ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, აცხადებს რა მას მთელი ერის ინტერესებად" (Словарь русского языка. 1952). დაახლოებით ასეა განმარტებული ნაციონალიზმი ყველა სხვა საბჭოთა გამოცემაში.

აღნიშნული განმარტებების მიხედვით ნაციონალიზმი უაღრესად უარყოფითი, რეაქციული ფენომენია, რომელიც უამრავი ბოროტებისა და უბედურების წყაროდ შეიძლება იქცეს. ამიტომ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენა ჩანასახშივე უნდა განადგურდეს, რომ მან საზოგადოება არ მოწამლოს და გზას არ ააცდინოს.

როგორც ვხედავთ, ნაციონალიზმის ცნების განმარტება დიამეტრალურად საპირისპირო შეიძლება იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა კუთხით და როგორი მსოფლმხედველობითი საფუძვლიდან შევხედავთ ამ მოვლენას. ამავე დროს ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მარქსიზმი ცალსახად უარყოფითად აფასებს ნაციონალიზმს, ხოლო ე.წ. „ბურჟუაზიული" იდეოლოგიები მასში მხოლოდ დადებით მხარეს ხედავენ. ჯერჯერობით არც ერთ თეორიულ სკოლას ან მიმდინარეობას არ შეუფასებია ნაციონალიზმი, როგორც ცალსახად დადებითი ან უარყოფითი ფენომენი და, ალბათ, ასეთი შეფასება არც არასოდეს გაკეთდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისეთი რთული და მრავალმხრივი მოვლენის, როგორც ნაციონალიზმია, ერთმნიშვნელოვანი შეფასება საერთოდ შეუძლებელია.

ნაციონალიზმის შესწავლის ერთ-ერთი პიონერი კარლტონ ჰეიესი ნაციონალიზმს ოთხი თვალსაზრისით განიხილავს:

1. ნაციონალიზმი არის მიმდინარე ისტორიული პროცესი, რომელიც მდგომარეობს ეროვნებების პოლიტიკურ ერთობებად გარდაქმნაში, და გამოიხატება ეროვნული სახელმწიფოების (ერი-სახელმწიფოების) ჩამოყალიბებაში;

2. ნაციონალიზმი არის თეორია, რომელიც მოწოდებულია ახსნას მიმდინარე ისტორიული პროცესი;

3. ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ქმედება, რომელიც ხორციელდება ხელისუფლების პოლიტიკური ძალის ან პოლიტიკური პარტიის მიერ და აერთიანებს ისტორიულ პროცესს და პოლიტიკურ თეორიას (ფრანგული ნაციონალიზმი, ჩინური ნაციონალიზმი და ა.შ.).

4. ნაციონალიზმი არის გრძნობა, სული, რომელიც ახასიათებს მოცემული ეროვნების წევრებს და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს იდეისადმი თავდადება დომინირებულია მისადმი ეროვნებობის რწმენით და საკუთარი ერი-სახელმწიფოს მისიით (C.J.H. Hayes, 1926).

კ. მეიქის მიხედვით, ნაციონალიზმი ლიბერალური ბუნებისაა. იგი ერთდროულად არის სიკეთეც და ბოროტებაც, დალოცვაც და შეჩვენებაც. ნაციონალიზმი, როცა პატრიოტიზმის სინონიმად გვევლინება. მაშინ იგი გაერთიანების ფუნქციას ასრულებს. შოვინისტური და დესტრუქციული ნაციონალიზმი თავისუფლების და დემოკრატიის საფრთხეა. მაშინ, როცა ნაციონალიზმი შეუწყნარებლობასა და მტრობის იდეოლოგიად იქცევა, როცა იგი კონფლიქტის და ომის საფუძველი ხდება, მაშინ ის ტერორიზმის ყველაზე ბოროტებად და ნგრევისა და მკვლელობების იარაღებს.

ჰეისი გამოყოფს ნაციონალიზმის შვიდ ბაზისს: ა) ერის გამორჩეულობის და უპირატესობის რწმენა; ბ) აზროვნების, ქცევის, კულტურის ერთგულების სახით გაერთიანება; გ) მასების მორჩილების ზრდა; დ) ხალხის ერთეულების გადაქცევა ომზე და ომისათვის მზადებაზე, მებრძოლად [illegible]; ე) ჯინგოიზმი (შოვინიზმი) ანუ სხვა ეროვნებების სიძულვილი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა; ვ) იმპერიული მისწრაფებების, ექსპანსიონიზმის და ტერიტორიული მოთხოვნების გამოვლინება; ზ) შეუწყნარებლობა და აგრესიულობა (C. Heyes, 1926).

ჰანს კონის მიხედვით, ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის ბუნებრივი მდგომარეობა, ცნობიერება, როცა ინდივიდი თვითიდენტიფიკაციას ახდენს „ჩვენ ჯგუფთან“ (ნაციასთან) და მისადმი ერთგულებას მიიჩნევს უმაღლეს ღირებულებად (Kohn H. 1955, p.9)

ბოიდ შეფერი თავის წიგნში „ნაციონალიზმი მითი და რეალობა“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანებს ახლა მისწრაფება ჰქონდათ თავიანთ ეროვნულ ერთეულის ახალს გზით თავისი ერი. მიუხედავად იმისა, თუ სად არიან ისინი, ყველგან მათ მდგომარეობაში ყოფნისას, საერთოდ და მშვიდობიანად მიიჩნევს თავიანთ ერს. სწორედ ამ დამოკიდებულების საკუთარი ერისადმი ერთგულების ის ნაციონალიზმი. შეფერის აზრით, ნაციონალიზმი არის ის, რასაც ნაციონალისტები ამბობენ. მას არა აქვს ცალსახა განსაზღვრება, სხვაგან იგი ერთობაა

მითს, რომელიც შეიძლება აბსოლუტურად მცდარი იყოს. ამიტომ სიყალბე და ჭეშმარიტება ნაციონალიზმში მჭიდროდ არის ურთიერთგადახლართული, ხოლო ნაციონალიზმის განმარტებისთვის ყველაზე მართებული გზაა განისაზღვროს თუ რისი რწმენა აქვს ერს, რისი სჯერა მას. ასეთი მსჯელობის შედეგად შაფერი ნაციონალიზმად მიიჩნევს სხვადასხვა იდეას, დაწყებული ერის მისწრაფებით ტერიტორიული ერთობისაკენ, დამთავრებული სხვა ხალხების ათვალისწუნებითა და სიძულვილით (Shafer, 1955, p.7–8).

უილიამ პფაფი ნაციონალიზმს მიიჩნევს თანამედროვე ეპოქის ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ ძალად, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის ევროპაში, როგორც პოლიტიკური შედეგი რომანტიზმად წოდებული ლიტერატურულ-ინტელექტუალური მოძრაობისა. ამასთანავე, პფაფი არ მიიჩნევს ნაციონალიზმს იდეოლოგიად იმ მიზეზის გამო, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს ზოგადად ნაციონალისტი (განსხვავებით კომუნისტისაგან, ლიბერალისაგან, კონსერვატორისაგან), არამედ შესაძლებელია იყოს კონკრეტულად გერმანელი, რუსი ან ირლანდიელი ნაციონალისტი (Pfaf .1993, p.13–14).

კარლ დოიჩმა ნაციონალიზმის არსის ახსნა სცადა არა პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული ფაქტორებით, არამედ კომუნიკაციის თეორიისა და კიბერნეტიკის საფუძველზე. მისი აზრით, ნაციონალიზმის (იგი ამჯობინებს ტერმინს ნაციონალურობას – nationality, რაც არ ნიშნავს ეროვნებას) საფუძველი არის უფრო ეფექტური და ადვილი კავშირებისა და ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა შენივე ერის წევრებთან, ვიდრე სხვებთან (K.Deutsch, 1965).

ერნესტ გელნერი ნაციონალიზმს განსაზღვრავს როგორც პოლიტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეთნიკური ერთობები (ტერიტორიები) ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ამ პრინციპით უნდა განისაზღვროს ნაციონალიზმი, როგორც გრძნობა და როგორც მოძრაობა. ნაციონალისტური გრძნობა არის ან ამ პრინციპის დარღვევით გამოწვეული გაბოროტება ან ამ პრინციპის არსებობით გამოწვეული კმაყოფილება. ნაციონალისტური მოძრაობა კი არის ნაციონალისტური გრძნობის რეალურ მოქმედებაში მოყვანა, აღნიშნული პრინციპის განხორციელების მიზნით (E. Gellner, 1983, p.1).

ლუის სნაიდერმა სპეციალური წიგნი უძღვნა ნაციონალიზმის არსს (L..Snyder, 1954), რომელშიც მოცემულია

ნაციონალიზმის ცნების განსხვავებული აღქმა ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ეთნოლოგების, ფსიქიატრების და ფსიქოანალიტიკოსების მიერ.

ისტორიკოსები ნაციონალიზმში, უპირველეს ყოვლისა, ხედავენ ისტორიულ პროცესს, რომელიც ეროვნებების პოლიტიკურ ერთეულებად (ერ-სახელმწიფოდ) ჩამოყალიბებას გულისხმობს. მ. ბოემი განარჩევს ნაციონალიზმის ფართო და ვიწრო მნიშვნელობებს. ფართო მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის ეროვნული დოქტრინების პრიმატი ფასეულობათა იერარქიაში, ვიწრო გაგებით კი, ეს საკუთარი ერის განსაკუთრებული შეფასება და სხვა ერებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულებაა. ჰ. კოჰნი კი ასხვავებს ნაციონალიზმის კონკრეტულსა და აბსტრაქტულ მნიშვნელობებს. კონკრეტული მნიშვნელობით იგი ეროვნული სულის (გონის) გამოხატვის სხვადასხვა საშუალებაა (ენა, კულტურა, ტრადიცია, ისტორია). აბსტრაქტული მნიშვნელობით კი, ერის ცხოვრებისა და ქმედებების მაკონტროლებელი იდეების ერთობლიობაა (სოლიდარობის გრძნობა). თუმცა ისტორიკოსების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, გრძნობაა და ამდენად იგი სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენაა, ისინი მიიჩნევენ, რომ განმსაზღვრელი ფაქტორი ისტორიული პირობებია, რომ ნაციონალიზმის წარმოშობა და მისი განვითარების თავისებურებები კონკრეტულ ისტორიულ გარემოზეა დამოკიდებული. კერძოდ, ნაციონალიზმი წარმოიშვა XVII საუკუნის ბოლოს, როცა ყველა მოითხოვდა, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთი კულტურის მქონე ხალხს ჰქონოდა პოლიტიკური ერთობის სახე, სადაც სუვერენი სწორედ ეს ხალხი იქნებოდა და არა მეფე. ლოზუნგი „გაუმარჯოს მეფეს!" შეცვალა ლოზუნგმა „გაუმარჯოს ერს!", ხოლო თუ ლუდოვიკო XIV-ს შეეძლო ეთქვა „L'etat c'est moi!" (სახელმწიფო ეს მე ვარ), გამარჯვებული ბურჟუაზია თვლიდა, რომ ფრანგ ერს საერთოდ არ სჭირდება მეფე. საფრანგეთიდან ნაციონალიზმი სხვა ევროპულ ქვეყნებშიც გავრცელდა და ბევრგან ავტოკრატიული რეჟიმი ხალხის მმართველობამ შეცვალა. ნაციონალიზმი გახდა მძლავრი პოლიტიკური ძალა და, ალბათ, ყველაზე უფრო წარმატებული იდეოლოგია, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა XIX–XX საუკუნეების მსოფლიო ისტორია (L. Snyder, 1954, p.75–82).

სოციოლოგებისათვის ნაციონალიზმი სოციალური მოძრაობაა, რომელიც ეროვნებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო

თვით ეროვნებები და ერები სოციალურ კატეგორიებად მოიაზრება, როგორც „დიდი კოლექტივები“. მაქს უირტი თვლის, რომ ნაციონალიზმი ეროვნებების სოციალური მოძრაობაა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოში ადგილის მოპოვებას, შენარჩუნებას და გაძლიერებას, განსაკუთრებით შევიწროებისა და კონფლიქტის დროს. ამ თვალთახედვით ნაციონალიზმის განმსაზღვრელი ფაქტორი ჯგუფია. ზოგიერთი ავტორი პარალელს ავლებს ცხოველთა სამყაროსთან, სადაც ჯოგში ან ხროვაში მყოფი წევრები მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობენ და იქ მოხვედრილ სხვა ცხოველებს უკიდურესი აგრესიით ხვდებიან. ცხადია, ეს შედარება გადაჭარბებულია, მაგრამ გარკვეულწილად მიუთითებს ადამიანთა საზოგადოებაში „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფებს შორის არსებულ ინსტიქტურ დაპირისპირებაზე. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ცალკეული ავტორები ნაციონალიზმს განმარტავდნენ როგორც, „ჩვენ ჯგუფზე“ (ე.ი. ერზე) ზრუნვას და მისდამი ერთგულებას. სხვები უარყოფენ ასეთ მიდგომას და თვლიან, რომ ნაციონალიზმი არის არა „ჩვენი ჯგუფის“ გრძნობა, არამედ ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის წონასწორობა ურთიერთდამოკიდებულ ფუნქციონალურ სისტემებს შიგნით, ანუ „ჩვენი ჯგუფის“ გრძნობა ჩნდება მხოლოდ გარკვეული სტრესის დროს. სოციოლოგებიც განასხვავებენ ნაციონალიზმის კონკრეტულ და აბსტრაქტულ ფაქტორებს. პირველი მათგანის შესწავლა და მათზე დაკვირვება (ენა, წეს-ჩვეულებები, კულტურა, ტერიტორია, მოქალაქეობა) არ წარმოადგენს სირთულეს, აბსტრაქტული ფაქტორების შესწავლა კი ფსიქოლოგების საქმეა. სოციოლოგები ნაციონალიზმის არც პოლიტიკურ და კულტურულ ხასიათს უგულებელყოფენ. კერძოდ, ფ. ზნანიეკი ნაციონალიზმს ეროვნული კულტურის საზოგადოების აქტიურ სოლიდარობას უწოდებს. ეროვნული კულტურის საზოგადოება მისი აზრით, არის მეოთხე და უმაღლესი ქრონოლოგიური ეტაპი ძველი პრიმატული (დამწერლობამდელი) საზოგადოების, პოლიტიკური საზოგადოების ანუ სახელმწიფოსი და ეკლესიასტური საზოგადოების შემდეგ. ნაციონალიზმი სწორედ ეროვნული კულტურის საზოგადოების სინონიმად მოიაზრება. სოციოლოგთა ნაწილი თვლის, რომ ნაციონალიზმი ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებობდა, როცა იგი არსებული პირობების საპასუხოდ წარმოიშვა და შენარჩუნდა საზოგადოებრივ აზროვნებაში. მკვლევართა უმრავლესობა ამ აზრს არ ეთანხმება და თვლის, რომ

ნაციონალიზმი მთელი ახალი დროის ფენომენია, როცა წარმოქმნილმა სოციალურმა ფაქტორებმა განაპირობა ნაციონალიზმის სახესხვაობები (L.Snyder, 1954, p.82–85).

ინტეგრაციული (ანუ აღორძინებითი, როგორც ინტეგრაციის დასავლეთის ქვეყნებში (წლებში) თავისებურებით. ნაციონალიზმისათვის ორი მიზანი არსებობს. პირველი მთავრის მიხედვით ნაციონალიზმი იბრძოდა. ბრძოლებით ინტეგრაცია ა. შ. თვლის, რომ დაწყებული ამ ხანის ქვეყნის ძალი ხორციელდება და თანამშრომლობა გარეთ ძალებს შორის. ევროპის ერთიანი ფეოდალიზმის მიზნით ბრძოლა ერთ ადამიანთა მისწრაფება ბრძოლა ჯგუფების საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებისათვის. ერის ნაციონალიზმი, როგორც ეროვნულობის მოწყობის თანამშრომლობით ხასიათდება. ტენდენციის განსახიერებული თანამედროვე ისტორიის სახელმწიფოებში, თანამშრომლობა ადამიანთა აზრობრივი ისტორიაში შეხამებულია. მაგრამ ბრძოლის ძალის თანამშრომლობა ტერიტორიების პოლიტიკის, ერთიანობა მეორე ჯგუფი ეროვნულ ამ თემების, როგორც მისწრაფებისა და აგრესიულობების, ე. ი. ახლის არის, ნაციონალიზმი არა ისტორიული, არამედ ჯგუფური ძალების მეორე და ევროპული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა. იგი მისწრაფებას, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს მანიფესტი იყოს დამოკიდებული და მისწრაფებით. მაგრამ მაშინ თავისი, როცა შეხამებით ხელმძღვანელ გაჩნდა, ვინაიდან ერის ერთობის და დიდების მიღწევისას. თუმცა ეხლა ადამიანის, რომ თითქოს ეს იყოს ნაციონალ არის განსაზღვრული თავით ინტეგრაციის შედეგი (L. Snyder, 1954, p.85–88).

ეპოქებისაგან შორისაც გამიჯნული მოსაზრებები ნაციონალიზმის არსის შესახებ. ამის შეხედულება, რომლებიც თვლის, რომ ნაციონალიზმი ისტორიაში მრავალგვარი. ე. ჯონსონი თვლის, რომ ჯგუფური ცნობიერება ადამიანის 4 ძირითადი ისტორიული პერიოდი, ეპოქის, ხანისა და თაობების ისტორიული ეპოქა, ადამიანის ცხოვრება დამახასიათებელი ევოლუციური მოვლენა ჯგუფი (სახელმწიფოში). ეს განსხვავებული არის ამბების. ტომების, ძალის თუ სისხლის წარმოშობით. ტერიტორიული ერთობა ადამიანის მიზნის (ბრძოლა). ვინაიდან მიზნის მიმართ მოქმედებისას, ადამიანებს შეს და სხვა მეთოდებით განვითარებულ, თავისი ბუნებით ისტორიული. ხშირ ცნობიერება მეორედ აგრესიულ ისტორიების თემის და ნაციონალიზმის მოვლენების აზრო-

ბინებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა სურვილები, მოტივები, საჭიროებები. ფსიქოლოგების აზრით, ინდივიდუალურ და კოლექტიურ გონს შორის ურთიერთდამოკიდებულება საკვანძო საკითხია ნაციონალიზმის კვლევაში. ადამიანი თავს მიიჩნევს დიდი სამყაროს ნაწილად („ეგოს ექსპანსია") და დ. კარტსის სიტყვებით, ეროვნულ ჯგუფთან საკუთარი თავის გაიგივებით პიროვნებას შეუძლია დაიკმაყოფილოს მატერიალური მოთხოვნები, შეივსოს ფსიქიკური რეზერვები, იყოს ნაცნობ ჯგუფში და სიძულვილი უცხოელზე გადაიტანოს. ნაციონალიზმი ფსიქოლოგიური ფენომენია, როცა პიროვნება თავის თავს აიგივებს მასების სიმბოლოებთან, იგი მტრულ და სახიფათო სამყაროში თავდაცვისა და უსაფრთხოების საჭიროების გამო წარმოქმნილი პასუხი და უკურეაქციაა, გრძნობაა, როცა ინდივიდი განადიდებს, აღმერთებს თავის ეროვნულ სახელმწიფოს, უპირისპირებს სხვა ქვეყნებს და აღიარებს მის პრიორიტეტს ინდივიდებზე. ფაქტიურად ნაციონალიზმი იგივე რელიგიაა, რომელსაც თავისი ღმერთი, სიწმინდეები და დღესასწაულები აქვს (L. Snyder, 1954, p.88–94).

ფსიქიატრები ნაციონალიზმს უყურებენ როგორც გადახრას, როგორც საზოგადოების სულიერ ავადმყოფობას. ზოგიერთი მათგანის აზრით, სულიერი დაავადებები საზოგადოების ავადმყოფობაა და არა ინდივიდის. ამიტომ საზოგადოება ისევე შეიძლება იყოს ავადმყოფი, როგორც პიროვნება. ნაციონალიზმის გამოვლინება საზოგადოებას აყენებს ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც არის პიროვნება ნევროზისა და ფსიქოზის დროს. ნაციონალიზმი გარკვეულწილად თავდაცვითი მექანიზმია ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ იგი უფრო დევიანტური ფორმებით გამოიხატება, ვიდრე რაციონალურით. ფსიქიატრები ნაციონალიზმში ნევროზის სამ ელემენტს გამოყოფენ: *შფოთვა*, რომელიც გამოწვეულია სხვა მტრულად განწყობილი ერების შიშით, ერი სასოწარკვეთილებასა და დემორალიზაციამდე მიჰყავს და ხსნას ნაციონალიზმში ეძებს; *არასრულფასოვნების გრძნობა*, რომელიც ჩნდება სხვა ერებთან საკუთარი ერის შედარებისას და მის დასაძლევად საკუთარი უპირატესობის მტკიცებას აქვს ადგილი, კერძოდ, რომ ჩვენი ყველაფერი საუკეთესოა, კლიმატით დაწყებული სამზარეულოთი დამთავრებული; *არამდგრადობა*, რაც გამოიხატება ნაციონალიზმის მობილურობაში და მსგავსად ინფექციური დაავადებისა იგი გადამდებია, რადგან ადვილად შეიძლება

გავრცელდება ერთი ქვეყნიდან მეორეში. ფსიქიატრთა ნაწილი უფრო შორს მიდის და ნაციონალიზმში ფსიქოზის ისეთ სახეებს ხედავს, როგორიც პარანოია და შიზოფრენიაა. სახელდობრ, რ. ბრიკნერი გერმანულ ნაციზმში მეგალომანიურ პარანოიას ხედავდა. ხოლო ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის აზრით, ზოგიერთი ნაციონალისტური იდეა [illegible] რეალობისა და ფიზიკური სინამდვილის მოწყვეტილია, რომ თავისუფლად შეიძლება შიზოფრენიულ გამოვლინებად ჩაითვალოს (L.Snyder. 1954, p.94–99).

ფსიქოანალიტიკოსების მტკიცებით, ნაციონალიზმი არ არის ლოგიკური და რაციონალური მოვლენა. მისი საფუძველი ქვეცნობიერ, ირაციონალურ სფეროშია. ქვეცნობიერი შიში ცნობიერ სფეროში ურთიერთობების შიშით სიძულვილს ქმნის. ერი ინდივიდისათვის ღმერთის ან მამის სიმბოლოა, იგი ან გიცავს, ან გსჯის. ამიტომ მისდევენ, და როგორც გრძნობა ნაშიერ-[illegible] შვილების მამისადმი ბავშვობაში. ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსის აზრით, ერის სიყვარული შემცვლელია მისი ინდივიდების [illegible]. ინდივიდი კი მუდმივ კონფლიქტშია სოციალურ სამყაროსთან. მკვლევართა ნაწილი ხაზს უსვამს ნაციონალიზმის მჭიდრო კავშირს რელიგიასა და მითოლოგიასთან. ჰ. ფრიდმანის აზრით, ადამიანს აქვს ბუნებრივი ინსტინქტი, რომლის ნაწილი სოციალურად [illegible] და სოციალური კონსოლიდაციისათვის აუცილებელია [illegible]. ისინი შეიძლება გამოხატული იქნეს ამგვარად [illegible], [illegible], მითოლოგიასა და რელიგიაში. ნაციონალიზმი რელიგიის შემცვლელია, რადგან იგი ფსიქიკურ მოთხოვნილებებს პასუხობს. ერი და სახელმწიფო ღმერთს ცვლის, ხოლო „Mein Kampf" და „კაპიტალი" – ბიბლიას. ნაციონალიზმი შეიძლება მშობლების ფიქსაციის გაგრძელებაც იყოს. ინდივიდი ბავშვობაში [illegible] [illegible] მამის [illegible], ხოლო [illegible], როგორც ჯგუფის წევრი სახელმწიფოს. [illegible] [illegible]. სხვა ფსიქოანალიტიკოსები ნაციონალიზმში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქვეცნობიერ [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] ნაციონალიზმი ინდივიდის ფსიქოლოგიურ [illegible] და [illegible] მოთხოვნის პასუხობს, როგორც ჯგუფური გრძნობა. ნაციონალიზმი შეიძლება გამოხატავდეს შიშს და [illegible] [illegible] (რომელიც ბავშვში მშობლების [illegible] [illegible] [illegible]), [illegible] და

რწმენას, რომ საკუთარი ერი სხვებზე მაღლა დგას და სხვა ერები მის დაკნინებას ცდილობენ (L.Snyder, 1954, p.100–106).

რა საერთოს ხედავს ლ. სნაიდერი ნაციონალიზმის არსის სხვადასხვა დისციპლინურ ხედვაში? საერთო აზრით, ნაციონალიზმს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს – კონკრეტული (გეოგრაფიული, ლინგვისტური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული) და აბსტრაქტული (ფსიქოლოგიური). იგი არ არის თანდაყოლილი ინსტიქტი, არამედ სოციალურად განპირობებული ემოციაა. ის თანამედროვე საზოგადოებაში სოციალურად სანქციონირებული სიმბოლოა და მოქმედებს როგორც პასუხი ჯგუფის უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით. მისი განხორციელება ხალხთა უმაღეს ეთიკურ მიზნად იქცა. ნაციონალიზმი ქცევის მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი ფორმაა. თუმცა მან გამოხატვის იმდენი ფორმა მიიღო, რომ შეუძლებელია ისეთი განმარტება მოიძებნოს, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს (L.Snyder, 1954, p. 110).

მართალია ნაციონალიზმის ინტენსიური კვლევა 70–80-იანი წლებიდან გაიშალა, მაგრამ თანამედროვე მკვლევრებს რაიმე არსებითი ცვლილება ნაციონალიზმის ცნების განმარტებაში არ შეუტანიათ. ჯ. კელასი (K.Kellas, 1991, p.6) ნაციონალიზმს განმარტავს როგორც იდეოლოგიას, რომელიც პიროვნებისაგან უმაღლეს ლოიალობას მოითხოვს ერისადმი და ამ ერის წარმომადგენელი სახელმწიფოსადმი. ვ. ბლუმი კი მხარს უჭერს ე.წ. იდენტიფიკაციის თეორიას და თვლის, რომ ხალხები ყალიბდებიან ერებად და ქმნიან სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყონ ფსიქოლოგიური უსაფრთხოება საკუთარი „ჩვენ ჯგუფისათვის" (W.Bloom, 1990). ჯგუფის წევრები (ერი) მოქმედებენ თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად. ერის ინტერესები კი, როგორც წესი, მოითხოვს საკუთარი სახელმწიფოს დაარსებას და მისი ტერიტორიისა და გავლენის გაფართოებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის სხვა ერების ინტერესებთან.

ე. სმიტი (A.Smith, 1983, p.20) ნაციონალიზმის ექვს მთავარ პოსტულატს გამოყოფს: 1. კაცობრიობა ბუნებრივად არის დაყოფილი ერებად; 2. ყოველ ერს აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი; 3. ყოველი პოლიტიკური ძალის წყარო არის ერი; 4.თავისუფლებისა და თვითშენარჩუნებისათვის აუცილებელია ხალხის იდენტიფიცირება ერთან; 5. ერის არსებობა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მის საკუთარ სახელ-

მწიფდება: 6. ერთ-სახელმწიფოს შიგნით ლოიალობა და ერთ-გულება ავტონომია და ორგანოების [illegible] ხელა ლოიალობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ნაციონალიზმი არის როგორც შეხედულებები, ისე მოძრაობები ძალა. ერთის მხრივ, ის [illegible] [illegible] [illegible] დიდი პოლიტიკური ერთობები. [illegible] [illegible] თუ [illegible] [illegible] [illegible]. მეორეს მხრივ, იგი [illegible] [illegible] სახელმწიფოებს და [illegible] [illegible]. პოლიტიკურ [illegible]. ამ [illegible] როგორც [illegible], [illegible] აქვს როცა ორივე [illegible] [illegible] [illegible] მაგალ. ევროპის სახელმწიფოს მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც ლიტველი ერის არ მიეკუთვნება, საკუთარ ეროვნულ ინტერესებს აყენებს უფრო მაღლა ვიდრე ამ სახელმწიფოს ინტერესებს, სადაც ცხოვრობს. სწორედ [illegible] [illegible] [illegible] ქართველი [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] სახე, [illegible] პოლიტიკური [illegible] [illegible] შეიძლება [illegible] [illegible] [illegible] ტერიტორიების ერთ-ერთ [illegible] მხარეზე.

ნაციონალიზმი [illegible] [illegible] უფრო [illegible] მნიშვნელობით. რაც საკუთარი ერის და ეროვნული სახელმწიფოს ერთგულებასა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვას ნიშნავს პატრიოტიზმის [illegible] [illegible]. ეს ცნება მართლაც ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. მაგრამ განსხვავება მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია. სახელდობრ, პატრიოტიზმი ნაციონალიზმისაგან განსხვავდება. [illegible] [illegible] პოლიტიკურ ქმედებას. მაშინ, როცა ნაციონალიზმი აგრესიულად უპირისპირდება პოლიტიკურ აქტებს და მოძრაობას. ასევე უნდა განვასხვავოთ [illegible] არა [illegible] (რასიზმი, ნაციზმი, ფაშიზმი) ნაციონალიზმი და ნაციონალიზმი [illegible]. ნაციონალიზმის აბსოლუტურ [illegible] (თუ [illegible] არის) აქვს [illegible] საკუთარი [illegible] [illegible] ნაციონალიზმი „[illegible] [illegible] [illegible]", რომელსაც აქვს ძალა და უფლება. მაგრამ არა [illegible] მიზანია. ეს [illegible] რომ [illegible] [illegible] ერის ნაციონალიზმს, რომელიც შეიძლება [illegible] [illegible] [illegible] პოლიტიკური მოძრაობის [illegible] (მაგ., [illegible] ნაციონალური [illegible] დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ) (The Concise Oxford Distionary of Politics, 1996, p. 334). რაც შეეხება [illegible] ნაციონალიზმს, მისი [illegible] [illegible], როგორც [illegible] [illegible] არის

ეროვნულის პრიმატი რელიგიურ, კლასობრივ თუ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. ნაციონალიზმის ე.წ. რომანტიკული ფორმა ემყარება ენობრივ, კულტურულ და ისტორიულ ერთობას და ამდენად ეს ღირებულებები ლოკალურია და არა უნივერსალური. ასეთი ნაციონალიზმის ეკონომიკური განზომილება კი ისაა, რომ ყველა რესურსი და სიმდიდრე მხოლოდ ერის საკუთრება უნდა იყოს.

ნაციონალიზმმა, როგორც ევროპულმა იდეოლოგიამ, მკვეთრი ცვლილება განიცადა მესამე სამყაროში. ევროპული ნაციონალიზმის კლასიკური დებულება, რომ ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო რამდენადაც შესაძლებელია ერთეროვანი უნდა იყოს, აბსოლუტურად განუხორციელებელი აღმოჩნდა აფრიკასა და აზიის ქვეყნების უმრავლესობაში. ამან კი სახელმწიფოსა და ეთნიკური ნაციონალიზმის დაპირისპირების უკიდურესი გამწვავება გამოიწვია. ხოლო ერი-სახელმწიფოს ნაცვლად, ტიპური კვაზისახელმწიფოები (ან არშემდგარი სახელმწიფოები) ჩამოყალიბდა.

ფაქტია, რომ ნაციონალიზმმა როგორც გრძნობამ და როგორც პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი შეასრულა უახლეს ისტორიაში და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ნაციონალიზმი განუყოფელია ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა ერი-სახელმწიფო და ხალხთა თვითგამორკვევა, რაც დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კატეგორიებია. მიუხედავად საერთაშორისო ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესისა, ნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი კი საერთოდ იმ აზრს იზიარებს, რომ XXI საუკუნე ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის შეჯახების ეპოქა იქნება.

## 2.2. ნაციონალიზმის ტიპოლოგია

ნაციონალიზმი, როგორც რთული და მრავალმხრივი ფენომენი, შეიძლება სხვადასხვა კუთხით იქნეს აღქმული და შესწავლილი. შესაბამისად ნაციონალიზმის კლასიფიკაციის და ტიპოლოგიის არაერთი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სქემა არსებობს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეიძლება

ქონდეს ამომწურავობისა და სრულყოფილების პრეტენზია. ცხადია, თითოეულ კლასიფიკაციაში არის ჭეშმარიტების მარცვალი და შეიძლება კიდეც საკმაოდ ნათლად წარმოაჩენდეს ნაციონალიზმის ტიპებს და სახეებს ამა თუ იმ კუთხით (ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ.). მაგრამ ისეთი უნივერსალური ტიპოლოგია, რომელიც ნაციონალიზმის ყველა ასპექტს შეეხება, არ არსებობს და საეჭვოა, რომ ოდესმე შეიქმნას.

ამიტომაც ნაციონალიზმის კლასიფიკაციის შესახებ საუბრისას დასაწყისშივე უნდა მივითითოთ, თუ რომელი კრიტერიუმის მიხედვით ხდება ამ მოვლენის დაყოფა ტიპებად და სახეებად.

ტრადიციულად, ნაციონალიზმის ყველაზე ძველი და გავრცელებული ტიპოლოგია, ისტორიული ტიპოლოგიაა, რომელსაც კრიტერიუმად ქრონოლოგიური პრინციპი უდევს. ლუის სნაიდერს თავის წიგნში „ნაციონალიზმის არსი" მოჰყავს ნაციონალიზმის ისტორიული ტიპოლოგია. სადაც ამ ფენომენის შემდეგი ძირითადი ფაზებია გამოყოფილი:

**ა) ინტეგრაციული (გამაერთიანებელი) ნაციონალიზმი (1815–1871 წლები),** როცა ნაციონალიზმის საფუძველზე ხდებოდა დაქუცმაცებული ფეოდალური სამთავროებისა და სათავადოების გაერთიანება თანამედროვე, ეროვნულ სახელმწიფოებად (გერმანიისა და იტალიის მაგალითი). როცა ნათელი გახდა, რომ ლიბერალიზმი არ იყო საკმარისი ერის გაერთიანებისათვის, იგი ნაციონალიზმმა შეცვალა და საკმაოდ წარმატებითაც. ბისმარკის ცნობილი ფრაზა: „დიდი საკითხი წყდება არა პარლამენტის რეზოლუციებით, არამედ რკინითა და სისხლით", სწორედ ამის გამოხატულება იყო.

ბ) **დამანგრეველი ნაციონალიზმი** (1871–1900). გერმანიისა და იტალიის ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება მძლავრი სტიმული გახდა სხვა ეროვნებებისთვის, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფო არ ქონდათ და სხვადასხვა იმპერიების შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ჩაგრულნი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ნაციონალისტური იდეოლოგიის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიის ეროვნულ უმცირესობებზე. ეს ხალხები იბრძოდნენ რა თავიანთი ეროვნული სახელმწიფოების შესაქმნელად, შესაბამისად ევლინებოდნენ იმ სახელმწიფოების დამანგრევლებად, რომელთა შემადგენლობაშიც იყვნენ.

სწორედ ამიტომ მიიღო ამ პერიოდის ნაციონალიზმმა დამანგრეველი ნაციონალიზმის სახელი.

**გ) აგრესიული ნაციონალიზმი (1900–1945).** XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან ადგილი აქვს ერთაშორისი სიძულვილისა და დაპირისპირების ნამდვილ აფეთქებას და ფართოდ გავრცელებას. ბრძოლა ნედლეულისა და გასაღების წყაროებისთვის ნაციონალურ ელფერს იღებს და აგრესიულ იმპერიალიზმად გვევლინება. სუპერნაციონალისტები ხმამაღლა ლაპარაკობენ თავიანთ დიად მისიაზე, ცივილიზაციას აზიარონ ჩამორჩენილი ხალხები. ფაშიზმი, ნაციზმი და ბოლშევიზმი ასეთი მესიანური იდეის მატარებელი იდეოლოგიები იყო. აგრესიული ნაციონალიზმის ლოგიკური შედეგი იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები.

**დ) თანამედროვე ნაციონალიზმი (1945–1954).** მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოების შექმნის მიზნით. ცხადია ეს პერიოდი მარტო აღნიშნულ ცხრა წელს არ მოიცავს და სნაიდერის წიგნის გამოსვლის შემდეგაც ათეული წლები გაგრძელდა. ლიტერატურაში იგი უფრო ხშირად ანტიკოლონიური ნაციონალიზმის სახელით არის ცნობილი და XX საუკუნის 80-იან წლებამდე გაგრძელდა. მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიძლება ლაპარაკი ნაციონალიზმის ახალ, თანამედროვე ეტაპზე, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ადრე არსებული ნაციონალიზმისაგან.

ნაციონალიზმის ერთ-ერთი პირველი და უაღრესად საყურადღებო ტიპოლოგია შემოგვთავაზა ნაციონალიზმის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კარლტონ ჰეიესმა 1931 წელს. წიგნში „თანამედროვე ნაციონალიზმის ისტორიული ევოლუცია" (Hayera, 1931) ამ ტიპოლოგიაში ნაციონალიზმის ქრონოლოგიისა და შინაარსის სინთეზის თავისებური ცდაა მოცემული. ჰეიესი გამოჰყოფს ნაციონალიზმის შემდეგ ძირითად ტიპებს:

**1) ჰუმანური ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის პირველი სისტემატური დოქტრინა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და როგორც სახელიდან ჩანს, ჰქონდა აშკარად გამოხატული ჰუმანური მიზნები: კერძოდ, ტოლერანტობა სხვა ერების მიმართ და მათი უფლებების პატივისცემა.

ჰუმანური ნაციონალიზმის სათავეებთან იდგნენ ჟან-ჟაკ რუსო, რომლის სახელითაა დაკავშირებული ნაციონალიზმის დემოკრატიული ფორმის ჩამოყალიბება; ინგლისელი პოლიტიკოსი ჰენრი ბოლინგბროკი, რომელმაც საფუძველი დაუდო ნაციონალიზმის არისტოკრატიულ ფორმას და იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი, რომელიც ნაციონალიზმში უფრო კულტურულ ფენომენს ხედავდა, ვიდრე პოლიტიკურს. ჰუმანური ნაციონალიზმის ამოსავალი წერტილია, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება განვითარდეს საკუთარი გზით, თავისი ეროვნული გონება და ხასიათის შესაბამისად.

**2) იაკობინური ნაციონალიზმი.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, ადრე არსებული ნაციონალიზმი (რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული) რამდენიმე მიმართულებად დაიყო. რუსოს დემოკრატიული ჰუმანური ნაციონალიზმიდან წარმოიშვა იაკობინური ნაციონალიზმი. ეს სახელი მან მიიღო იაკობინელთა პოლიტიკური კლუბისაგან, რომლის წევრებმაც მიზნად დაისახეს რესპუბლიკანიზმისა და დემოკრატიის იდეების ხმლით გავრცელება. „ძმობა, ერთობა, თავისუფლების“ იდეის დამკვიდრებამ ძალის საშუალებით საფუძველი დაუდო ოპოზიციის მიმართ არატოლერანტულ, უკომპრომისო, მიზნის მისაღწევად ფანატიკურ და მესიანური მიზნების მქონე ნაციონალიზმს, საიდანაც თანამედროვე ნაციონალიზმის არაერთი საბაზისო დებულება განვითარდა.

**3) ტრადიციული ნაციონალიზმი.** ბოლინგბროკის არისტოკრატიული ჰუმანური ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ საფუძველი დაუდო ნაციონალიზმის თავისებურ ტიპს, რომელიც ტრადიციული ნაციონალიზმის სახელით არის ცნობილი. ამ ნაციონალიზმის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ კაცობრიობის ჭეშმარიტი ბედნიერების მიღწევა არა იმდენად მასების, არამედ ელიტარული ფენების საქმეა. აბსოლუტურად უარყოფდნენ აბსტრაქციებს და რევოლუციის ეროვნულ განვითარებაში, ისინი მიილტვოდნენ ისტორიისა და ტრადიციებისაკენ. თუმცა ტრადიციული ნაციონალიზმი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის რევოლუციისათვის დამახასიათებელ ფორმებს, მას იდეალად იგივე მიზნები ჰქონდა, რაც იაკობინურ ნაციონალიზმს. ტრადიციული ნაციონალიზმის წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ ედმუნდ ბერკი, ლუი ამბრუაზი, ფრიდრიხ ფონ შლეგელი.

**4) ლიბერალური ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის ეს სახე არის რაღაც შუალედური ტრადიციულ და იაკობინურ ნაციონალიზმს შორის. იგი არ შეიძლება ცალსახად მივაკუთვნოთ არც დემოკრატიულ და არც არისტოკრატიულ ნაციონალიზმს, მაგრამ ორივე მათგანის მახასიათებლებს შეიცავს. ლიბერალური ნაციონალიზმის სამშობლო ინგლისია, ხოლო მის ფუძემდებლად ჯერემი ბენთემი ითვლება. ლიბერალური ნაციონალიზმი არსებით როლს ანიჭებს ერი-სახელმწიფოს აბსოლუტურ სუვერენიტეტს და მასთან ერთად ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს. იგი ეროვნულ სახელმწიფოებს აკისრებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობის დამყარებასა და შენარჩუნებაში. ლიბერალური ნაციონალიზმის მთავარი მიზანი ყველა ერის დამოუკიდებლად განვითარებაა.

**5) ინტეგრალური ნაციონალიზმი.** იმპერიალიზმის ეპოქაში ერი-სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ და ბრძოლამ ნაციონალიზმი დაუპირისპირა ლიბერალიზმსა და ჰუმანიზმს. ინტეგრალური ნაციონალიზმი უარყოფს სიმპათიას სხვა ერების მიმართ და მათთან თანამშრომლობას, ქადაგებს შოვინიზმს, მილიტარიზმსა და ექსპანსიონიზმს. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება პერსონალურ, ინდივიდუალურ თავისუფლებას, თუ იგი არ შეესაბამება ეროვნული სახელმწიფოს მიზნებს, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ეროვნული სახელმწიფოსადმი ერთგულება შეუდარებლად მაღლა დგას ყველა სხვა სახის ლოიალობაზე (სოციალური, კულტურული, კლასობრივი, რელიგიური და ა. შ.). ინტეგრალური ნაციონალიზმის წარმომადგენლები იყვნენ კიპლინგი და როდსი (დიდი ბრიტანეთი), დ'ანუნციო და მუსოლინი (იტალია) პობედონოსცევი და პლევე (რუსეთი). და ა. შ.

**6) ეკონომიკური ნაციონალიზმი.** ეკონომიკური ნაციონალიზმი სახელმწიფოს განიხილავს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ერთობადაც. ამ მიმართულების მიხედვით, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიაღწიოს ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფას. მის ხელში უნდა იყოს საწარმოების ძირითადი ნაწილი, ფინანსები, ბაზარი, საბაჟო, ნედლეული და აკონტროლებდეს ინვესტიციებს. ეკონომიკური ნაციონალიზმი ამგვარად გვევლინება, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მძლავრი ფაქტორი.

კ. ჰეიესის აღნიშნული ტიპოლოგია დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას. თუმცა, ბუნებრივია, აქ ბევრი რამე სადავო და ძნელად გასაზიარებელია.

ძველისაგან განსხვავებით, რომელმაც ნაციონალიზმის ვერ-ტიკალური (ქრონოლოგიური) კლასიფიკაცია მოგვცა, ჰანს კოჰნმა ჰორიზონტალური განზომილებით სცადა ნაციონალიზმის ტიპო-ლოგია (Kohn, 1955). კოჰნი გამოდიოდა იქიდან, რომ ნაციონა-ლიზმი ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია და თავისი ხასიათით დამოკიდებულია იმ ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოზე, სადაც და როდესაც ის აღმოცენდა. ამ თვალსაზ-რისით, ივი ნაციონალიზმის ტიპოლოგიის დიქოტომიას აგებს და ორ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს გამოჰყოფს: *დასავ-ლეთი* (ბრიტანეთი და მისი კოლონიები, ნიდერლანდები, საფ-რანგეთი, შვეიცარია) და *არადასავლეთი* (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა და აზია).

კოჰნი თავის ანალიზს ოთხი მიმართულებით აგებს: წარმო-შობა, ისტორიული მოტივაცია, თავისებურებები და განვითარება.

**წარმოშობის** თვალსაზრისით, დასავლური და არადასავ-ლური ნაციონალიზმი ერთმანეთისგან შემდეგნაირად განსხვავდება. დასავლეთში ნაციონალიზმის წარმოშობა უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოვლენა იყო, მას წინ უძღოდა ერი-სახელ-მწიფოების წარმოშობა, ანუ სახელმწიფოს ნაციონალობამდე ერი ერთად გააერთიანა მთელი მისი მოსახლეობა. არადასავლეთში ნაციონალიზმი წარმოიშვა უფრო გვიან და თანაც სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გაცილებით დაბალი დონის პირო-ბებში. აქ ნაციონალიზმი იყო საპროტესტო პროცესი არსებული სახელმწიფო მოდელის წინააღმდეგ, საწყისი სტადიიდან კულტუ-რული ერთობის გაცნობიერებიდან მოდიოდა და შემდეგ იძენდა პოლიტიკურ ხასიათს.

**ისტორიული მოტივაციის** თვალსაზრისით განსხვავება ასევე აშკარა იყო. ახალი პერიოდის დასაწყისში (XVI საუკუნე), როცა ნაციონალური ერთობების ჩასახვა ხდებოდა, რენესანსმა და რეფორმაციამ უდიდესი როლი ითამაშა და მკვეთრი გავლენა მოახდინა კულტურასა და რელიგიაზე. საშუალო კლასმა უფრო სწრაფად იმძლავრა მთელი თავისი შესაბამისი ფასეულო-ბებით და დააფუძნა ახალი საზოგადოება ამ ფასეულობებზე დაყრდნობით, რაც ერი-სახელმწიფოსთვის იყო აუცილებელი. პირიქით, საზოგადოების წარმართველ ძალად იქცა ერი-სახელმწიფოს მთავარი დამცველი – პატრიოტული ბურჟუაზია.

ნაციონალიზმი დასავლეთ სამყაროში აღმავლობის ძალების პროდუქტი იყო, რომელმაც XVIII საუკუნეში იჩინა თავი. არადასავლეთში, პირიქით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ

ევროპაში, რენესანსის და რეფორმაციის გავლენა ნაკლები იყო. გერმანიაში მაგალითად, ამ ორ უდიდეს მოვლენას ძირითადად საგანმანათლებლო და თეოლოგიური ხასიათი ჰქონდა, თუმცა გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გამორიცხვაც არ შეიძლება. მართლმადიდებელ სამყაროზე, ახლო აღმოსავლეთსა და აზიაზე კი რენესანსისა და რეფორმაციის გავლენა თითქმის არ შეიმჩნეოდა.

**თავისებურებების** მიხედვით კონი პარალელს ავლებს დასავლეთსა და არადასავლეთს შორის შემდეგი სქემის მიხედვით:

**დასავლეთი**

**ღია საზოგადოება**. დასავლური ნაციონალიზმი პროდუქტია განმანათლებლობის ეპოქისა, რომლის ძირითადი იდეალები იყო ძმობა, ერთობა, თავისუფლება, კონსტიტუციონალიზმი, პარლამენტარიზმი, ლიბერალიზმი, დემოკრატია, ტოლერანტიზმი, სიტყვის თავისუფლება. ეს პლურალისტური ანუ ღია საზოგადოებაა.

**რეალიზმი**. ნაციონალიზმი ეყრდნობოდა რეალურ სიტუაციას. ერის განვითარებასა და სახელმწიფოს მშენებლობაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისტორიული წარსულს. ერი განიხილებოდა როგორც რეალური, ცოცხალი, არსებული მოვლენა. პოლიტიკური ინტეგრაცია ემსახურებოდა რაციონალურ მიზნებს.

**მოქალაქეთა კავშირი**. ერი განიხილებდა როგორც მოქალაქეთა კავშირი შეერთებული საერთო სურვილით, რაც გამოიხატებოდა სოციალური კონტრაქტით და სხვა შეთანხმებებითა და პლებისციტებით. ხალხს უნდა ემუშავა ერთად საერთო მომავლისათვის.

**ინდივიდუალიზმი.** პიროვნების უფლებები წმიდათაწმინდა და ხელშეუხებელი იყო. ყოველი ადამიანი ითვლებოდა ინდივიდუალურ პიროვნებად, მიუხედავად მისი სოციალური კლასისა და ისტორიული ეროვნებისა.

**თვითრწმენა** — დასავლური ნაციონალიზმი თვითდარწმუნებული და პოზიტიური იყო.

**ბურჟუაზიის მხარდაჭერა**. ეყრდნობოდა მძლავრი ბურჟუაზიის მხარდაჭერას.

**ჩაკეტილი საზოგადოება.** ეს განსხვავებულობის იდეაზე აგებული იყო, რომელიც არის მოკლებული. ნაციონა-ლიზმი ნაწილდება არა თავისუფლებების, არამედ მოვალეობის ემსახურო შენს ქვეყანას. ეს ავტორიტარული ანუ ჩაკეტილი საზოგადოებაა.

**იდეალიზმი.** ეფუძნება იდეალური სამყაროს რწმენას. [illegible] იყო [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

**ხალხის საზოგადოება.** ერი განიხილება, რო-მელიც ბიოლოგიური ერთობა, [illegible], [illegible] ერთობის — საერთო [illegible] გაერთიანებული [illegible] იყო არა [illegible] და [illegible] [illegible], არამედ ხალხის საზოგადოება.

**კოლექტივიზმი.** [illegible] არა ინდივიდის, არა-მედ კოლექტივის [illegible], რაც ეფუძნება [illegible], [illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

**ქვემდგომობის (არასრულფასოვნების) კომპლექსი.** არ შეიძლება [illegible], რაც [illegible] [illegible] იყო [illegible].

**არისტოკრატიული საფუძველი.** ეფუძნება არისტოკრატიის და [illegible] ([illegible] კონსერვატიული [illegible]) [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] ნაციონალიზმი [illegible] და [illegible] საზოგადოების [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ([illegible] [illegible], [illegible] [illegible]) [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] ნაციონალიზმის [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

დაპირისპირებული სახით არის წარმოდგენილი. პირველი მათგანი მხარს უჭერს დასავლურ მოდელს და ცდილობს დასავლური ღირებულებები დანერგოს და შეითვისოს. მეორე ფორმა კი, მაქსიმალურად იბრძვის შეინარჩუნოს ეროვნული განსაკუთრებულობა და უნიკალურობა, თავს არიდებს სხვა ცივილიზაციებთან კულტურულ კონტაქტებს. წარსულის იდეალიზაციით, ძველ დიდებაზე მითების შეთხზვით და ეთნიკურ სოლიდარობაზე ხაზგასმით არადასავლური ნაციონალიზმი ისტორიას იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

კონის ზემოგანხილული დიქოტომია საკმაოდ სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა არადასავლური ქვეყნების მეცნიერთა მხრიდან იმ მოტივით, რომ დასავლური ნაციონალიზმი ცალსახად პროგრესული, ხოლო არადასავლური ნაციონალიზმი კონსერვატორული და არადემოკრატიული სახით არის წარმოდგენილი. თუმცა კონი არსად არ ლაპარაკობს დასავლური ნაციონალიზმის უპირატესობაზე, ანდა მის პროგრესულობაზე არადასავლურ ნაციონალიზმთან შედარებით.

ჰეიესიც და კონიც, როგორც ისტორიკოსები, ნაციონალიზმში მისი ფორმირების მომენტში ხედავდნენ ჰუმანურ, ლიბერალურ და აღმშენებლობით ძალას, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ანტიჰუმანურ, დამანგრეველ და აგრესიულ „იზმად". ორივე მათგანი უარყოფითად აფასებდა ნაციონალიზმის ასეთ გამოვლინებებს და იცავდა იმ ნაციონალიზმს, რომელშიც ქვეყნისა და ეროვნული ტრადიციების სიყვარული შერწყმულია ინდივიდუალური ღირსების გრძნობასთან.

ნაციონალიზმის ტიპოლოგია არა მარტო ისტორიული კუთხით შეიძლება განხორციელდეს, არამედ პოლიტოლოგიურ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია მის სულ სხვადასხვა ტიპებად და სახეებად დაყოფა.

პოლიტოლოგმა მაქს სილვიუს ჰანდმანმა ნაციონალიზმის ოთხი ძირითადი სახე გამოჰყო:

**1. ჩაგრულთა ნაციონალიზმი**. ნაციონალიზმის ეს ფორმა გავრცელებულია იმ ხალხებში, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი სახელმწიფო და ძალით არიან შეყვანილი სხვა ქვეყნის (ქვეყნების) შემადგენლობაში, განიცდიან ეროვნულ ჩაგვრას და შევიწროებას. ამ ნაციონალიზმის მიზანია ეროვნული თავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენა (პოლონელები რუსეთსა და გერმანიაში, ჩეხები – ავსტრიაში, ბერძნები – ოსმალეთში, ქართველები – რუსეთის იმპერიაში და სხვ.).

**2. ირედენტისტული ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის ეს სახე გავრცელებულია იმ ხალხებში, რომლებსაც აქვთ თავიანთი ეროვნული სახელმწიფო, მაგრამ ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ (მოსაზღვრე ტერიტორიებზე) დარჩა კომპაქტურად განსახლებული. მათი შემოერთება ასეთი ნაციონალიზმის ძირითადი მიზანია (იტალიელები, უნგრელები, რუმინელები, ბულგარელები, სომხები).

**3. თვითდაცვითი ნაციონალიზმი.** თვითდაცვითი ნაციონალიზმი არის პასუხი იმ საფრთხეზე, რომელიც ეროსახელმწიფოებს ემუქრებათ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ტრანსნაციონალური კორპორაციებიდან და საერთოდ საერთაშორისო ცხოვრების კოსმოპოლიტიზაციიდან. დღევანდელ დღეს ნაციონალიზმის ამ სახეს შეიძლება ვუწოდოთ ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი, რომელიც თავისებური რეაქციაა გლობალიზაციის პროცესზე.

**4. პრესტიჟის ნაციონალიზმი.** ასეთი ნაციონალიზმი მიიჩნევს, რომ ერის წარსული, მისი კულტურა და ღირებულებები, რომლებიც აღფრთოვანებას იმსახურებენ, სათანადოდ არ არის დაფასებული. შესაბამისად იგი ითხოვს სხვა ხალხებისგან ამ ერის დაფასებას და პატივისცემას (ციტირებულია Snyder, 1954, p.122–123).

სოციოლოგები ნაციონალიზმის კლასიფიკაციას ბუნებრივია თავიანთი მეცნიერების კუთხით ახდენენ. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ჯგუფურ ქცევას აქცევენ. ლუის ვირტი თავის ნაშრომში „ნაციონალიზმის ტიპები" ნაციონალიზმის შემდეგ ფორმებს გამოყოფს (ციტირებულია: Encyclopedia of Nationalism, 1990):

**1. ჰეგემონური ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის ეს სახე მიმართულია ცალკეული ჯგუფების ერთ ერად და ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისაკენ. ასეთი ნაციონალიზმის მაგალითია XIX საუკუნის გერმანული და იტალიური ნაციონალიზმი, რომლის შედეგადაც ერთიანი გერმანია და ერთიანი იტალია წარმოიშვა. უნიფიკაციის შემდეგ ამ ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელია ძალმოსილების გაფართოებისკენ სწრაფვა და აგრესიული იმპერიალისტური მისწრაფების გამოვლენა.

**2. პარტიკულარისტული ნაციონალიზმი.** ამ ტიპის ნაციონალიზმი დაფუძნებულია ავტონომიის (სეცესიის) მოთხოვნაზე. ჯერ იწყება კულტურული ავტონომიის მოთხოვნით, შემდეგ გადადის პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის

მოთხოვნაში დაბოლოს სეცესიას და დამოუკიდებლობას ისახავს მიზნად. ნაციონალიზმის ეს სახე დამახასიათებელი იყო ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის და ოსმალეთის იმპერიებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის.

**3. მარგინალური ნაციონალიზმი.** ეს ტიპი შეიმჩნევა იმ ხალხებში, რომლებიც ცხოვრობენ სასაზღვრო რაიონებში და შერეული კულტურა ახასიათებთ. ისინი განსაკუთრებული სიმძაფრით იცავენ თავიანთ ტრადიციებს (ელზასის, ლოტარინგიის, სილეზიის, საარის მოსახლეობა).

**4. უმცირესობების ნაციონალიზმი.** იბრძვის უმცირესობების ეროვნული განსხვავებულობის ოფიციალურად აღიარებისთვის და საკუთარი კულტურისა და ტრადიციების მაქსიმალურად შენარჩუნებისთვის სხვა ქვეყნის ფარგლებში (ციტირებულია Snyder, 1954)

ნაციონალიზმის თავისებური კლასიფიკაცია შემოგვთავაზა პოლონური წარმოშობის ამერიკელმა სოციოლოგმა კონსტანტინ სიმონს-სიმონოლევიჩმა. მან კრიტერიუმად აიღო არა ნაციონალიზმი როგორც გრძნობა, იდეოლოგია ან პოლიტიკური პროგრამა, არამედ როგორც მოძრაობა. მან ნაციონალიზმი განსაზღვრა, როგორც აქტიური სოლიდარობა ჯგუფისა, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს ერი და მიისწრაფის ჰქონდეს სახელმწიფო. ნაციონალიზმი არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ლიბერალური ან არალიბერალური, დემოკრატიული ან არადემოკრატიული. იგი მოძრაობაა და გამოხატავს იმ ბრძოლის ეტაპებს, რომლის მიზანი ერთობისა და თავისუფლების მიღწევაა.

სიმონს-სიმონოლევიჩი გამოჰყოფს ნაციონალისტური მოძრაობის ორ ძირითად სახეს: უმცირესობის ნაციონალიზმს (იბრძვის თვითშენარჩუნებისათვის) და განმანთავისუფლებელ ნაციონალიზმს (იბრძვის დამოუკიდებლობისთვის).

**უმცირესობის ნაციონალიზმში** თავის მხრივ გამოიყოფა **სეგრეგაციული** და **პლურალისტური** ტიპები. ორივე მათგანი იბრძვის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, მაგრამ პლურალისტური ნაციონალიზმი მიისწრაფვის სრული სამოქალაქო თანასწორობისათვის საზოგადოებაში, მაშინ როცა სეგრეგაციული განცალკევებით ყოფნას მოითხოვს და სხვა ეროვნებებთან კონტაქტში არ შედის (მაგ., ებრაელთა თემები შუა საუკუნეების ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში).

**განმანთავისუფლებელ ნაციონალიზმში** სიმონს-სიმონოლევიჩი შემდეგ სახეობებს გამოჰყოფს: **აღდგენითი** (გამო-

ცოცხლებისა. ეს ტიპი აერთიანებს იმ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ახლა ცდილობენ აღადგინონ საკუთარი სახელმწიფოებრიობა და შეინარჩუნონ ეროვნული კულტურა.

**ავტონომიურ-სეცესიონისტური.** ამ ტიპში იგულისხმება ცალკეულ ქვეყნებში კომპაქტურად დასახლებული მცირერიცხოვანი ეთნოსები, რომლებსაც ადრე არ ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ამჟამად იბრძვიან ჯერ პოლიტიკური ავტონომიისათვის, შემდეგ კი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის.

**ანტიკოლონიური.** იბრძვის კოლონიალიზმის რეჟიმის წინააღმდეგ, კოლონიზებული ხალხების განთავისუფლებისა და სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის.

**ადგილობრივი.** იგულისხმება ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის მოძრაობა და ბრძოლა მისული დამპყრობლების წინააღმდეგ თავიანთი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით. ამის მაგალითია ამერიკელი ინდიელები, კავკასიის მთიელები რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნეში, რიფები (მაროკო) ფრანგებისა და ესპანელების წინააღმდეგ და სხვ. (Symmons-Symonolewicz, 1970)

ნაციონალიზმის კლასიფიკაცია სცადეს ფსიქოლოგებმაც, რომლებმაც ძირითადი ყურადღება სახელმწიფოებრივი აზროვნების რეალურ და წარმოსახვით მხარეებს, იდეებისა და სიმბოლოების აღქმის და ხასიათების ძალას მიაქციეს. ამ მხრივ საყურადღებოა გუსტავ იხაიზერის ხედვა, სადაც იგი ნაციონალიზმის ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: ცნობიერს და არაცნობიერს (ციტირებულია Encyclopedia of Nationalizm, 1990, p. 241).

**ცნობიერი ნაციონალიზმის** დროს ჯგუფის წევრები აშკარად, საჯაროდ და „მიზანდასახულად" გამოხატავენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებს, ეროვნულ ღირებულებებს და ხაზს უსვამენ საკუთარ სიძველეს თუ გამოკვეთილ განსაკუთრებულობას. მათი მოქმედება შეგნებული და გაცნობიერებულია.

**არაცნობიერი (ან ქვეცნობიერი) ნაციონალიზმის** დროს ისინი ვინც მიეკუთვნებიან მოცემულ ეროვნულ ჯგუფს, თუმცა არ გამოხატავენ და ხშირად არც ჰქონდეთ გააზრებული ეროვნული იდეა, მაინც ისეთი გავლენის ქვეშ არიან ეროვნული ღირებულებების მხრიდან, რომ არაცნობიერად ყველაფერს ხედავენ და აღიქვამენ ეროვნული პოზიციებიდან. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ის, რაც არ ეთანხმება მის ეროვნულ ღირებულებებს, აღიქმება როგორც უცხო, მტრული და მიუღებ-

ბელი. სწორედ ეს ირაციონალური, აგრესიული და მტრული განწყობა არის ძალზე სიცოცხლისუნარიანი და საშიში ფენომენი, რომელიც არაერთხელ გამხდარა დაპირისპირების წყარო და ნაციონალიზმი წარმოუჩენია ყველაზე უფრო უარყოფითი კუთხით.

მკვლევართა უმრავლესობა ნაციონალიზმს მაინც პოლიტიკასთან აკავშირებს და კლასიფიკაციის კრიტერიუმებიც პოლიტიკურია.

ამერიკელი მეცნიერი ჯონ ბროილი [Breuilly, 1993] თავის წიგნში „ნაციონალიზმი და სახელმწიფო" მიზნად ისახავს დაასაბუთოს, რომ ნაციონალიზმი პოლიტიკის ერთ-ერთი ფორმაა. ნაციონალიზმის სახელმწიფოსაგან მოწყვეტა შეუძლებელია, რადგან ნაციონალიზმის პოლიტიკური მიზანი ერი-სახელმწიფოა, ხოლო ერი-სახელწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება,ეროვნული პოლიტიკის წარმართვაა, რომლის მთავარი მიზანი თვით ამ სახელწიფოს შენარჩუნებაა.

სწორედ **სახელმწიფოსთან** მიმართებაში ახდენს ბროილი ნაციონალიზმის კლასიფიკაციას. ამასთან იგი მხედველობაში არ იღებს სახელმწიფო, ოფიციალურ ნაციონალიზმს, რადგან ნაციონალიზმი მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ოპოზიციური პოლიტიკაა. იგი სამნაირ დამოკიდებულებაში შეიძლება იყოს არსებულ სახელმწიფოსთან: ა) ცდილობდეს მისგან გამოყოფას; ბ) რჩებოდეს მასთან და გარდაქმნას იგი; გ) ერთიანდებოდეს სხვა ქვეყნებთან. ანუ ნაციონალიზმი შეიძლება იყოს **სეპარატისტული, რეფორმისტული და გამაერთიანებელი**.

მაგრამ თვით სახელმწიფოებსაც ბროილი ყოფს ორ ჯგუფად: – ერი-სახელმწიფოები და არაერი-სახელმწიფოები. თუ ოპოზიციურ ნაციონალიზმს ადგილი ერ-სახელმწიფოში აქვს, მაშინ დაპირისპირება მასსა და სახელმწიფო (ოფიციალურ) ნაციონალიზმს შორის გარდუვალია. მსგავსი კონფლიქტი არ წარმოიშვება თუ სახელმწიფო არ მიეკუთვნება ერი-სახელწიფოს კატეგორიას. აღნიშნულის გათვალისწინებით ბროილის სქემა ასეთ სახეს იღებს:

| სახელმწიფო / ნაციონალიზმის ტიპი | არაერი-სახელმწიფოები | ერი-სახელწიფო |
|---|---|---|
| სეპარატიზმი | ბერძნული | ბასკური |
| რეფორმები | თურქული | ნაციზმი |
| გაერთიანება | იტალიური | არაბული |

ინგლისელი მკვლევარი ჯეიმს კელასი [Kellas, 1998] თავის წიგნში „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის პოლიტიკა", ნაციონალიზმის სამ ძირითად ტიპს გამოყოფს:

**ეთნიკური ნაციონალიზმი** არის ეთნოსის ნაციონალიზმი, რომელიც ერს განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ჯგუფს (სისხლის ჯგუფს). ამ ტიპის ნაციონალიზმის მიხედვით, ვერავინ ვერ მოხვდება ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში მისი კულტურისა და ტრადიციების გათავისებისა და შერწყმის გზით, თუ იგი სისხლით და წარმოშობით სხვა ერს მიეკუთვნება, ანუ გერმანელად, ლატვიელად ან თუნდაც ქართველად უნდა დაიბადო. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი არ შეიძლება სრულუფლებიანი მოქალაქე იყოს ერ-სახელმწიფოში, მაგრამ ერის შემადგენელ ნაწილად იგი ვერ ჩაითვლება.

**სოციალური (სამოქალაქო) ნაციონალიზმი.** ამ ტიპის ნაციონალიზმი დამახასიათებელია იმ ერებისთვის, რომლებიც თავიანთ თავს კულტურულ და სოციალურ ჯგუფად მიიჩნევენ და საერთო წარმომავლობისა და სისხლით ჯგუფის ნაცვლად ფასეულობებს ანიჭებენ. სოციალური ნაციონალიზმი ბუნებრივია აღიარებს ეთნიკურ თავისებურებებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელი შეიძლება გახდეს სხვა ერის წევრი, თუკი იგი მის კულტურასა და სოციალურ მახასიათებლებს შეითვისებს. მაგალითად, რუსები რუსად თვლიან ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანს, თუ იგი სოციალურად და კულტურულად შერწყმია ეთნიკურ რუსებს, ანუ სოციალურად და კულტურულად რუსია.

**ოფიციალური (სახელმწიფო)** ნაციონალიზმი. ცდილობს ერთ ერად ჩამოყალიბებისა და საერთო ეროვნული იდენტობა დაუმკვიდროს ქვეყნის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა, ეროვნულობისა თუ კულტურისა. სახელმწიფოთა ნაწილი მიეკუთვნება ერ-სახელმწიფოებს იმ აზრით, რომ მისი მოსახლეობა თითქმის მთლიანად შედგება ერთი ეთნოსისგან (მაგალითად იაპონიის შემთხვევა) ანდა ერთი სოციალური ჯგუფისგან (გაცილებით ხშირი შემთხვევა).

მაგრამ ქვეყნების უმრავლესობა მულტიეთნიკური და მულტინაციონალურია. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ოთხი ერისგან შედგება (ინგლისელები, შოტლანდიელები, უელსელები და ჩრდილოეთ ირლანდიელები ანუ ოლსტერელები), მაგრამ

თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ბრიტანელ ერზე და ბრიტანულ ნაციონალიზმზე. ამ ოფიციალურ ნაციონალიზმში გამოიყოფა შოტლანდიური „სოციალური ნაციონალიზმი", ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში – ირლანდიური (კათოლიკური) ეთნიკური ნაციონალიზმი. ასევე აშშ უდავოდ არის მულტიეთნიკური, მაგრამ ერთი სოციალური ერის სახელმწიფო. ამერიკული ნაციონალიზმი უფრო სოციალურია, ვიდრე სახელმწიფო. კელასის აზრით, ეთნიკური ნაციონალიზმი ყოველთვის დამანგრეველი ძალაა სახელმწიფოს მიმართ და მუდმივ დაპირისპირებაშია ოფიციალურ (სახელმწიფო) ნაციონალიზმთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახელმწიფო მონოეთნიკურია და ეთნიკური და სახელმწიფო ნაციონალიზმი ერთმანეთს ემთხვევა. რაც შეეხება სოციალურ ნაციონალიზმს, იგი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ნაციონალიზმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ერთი სოციალური ერისაგან შედგება (მაგ., ამერიკელები ან ფრანგები), თუნდაც იგი მრავალეთნიკური იყოს. სხვა შემთხვევებში (ანუ როცა სახელმწიფოში ორი ან მეტი სოციალური ერია), სოციალური ნაციონალიზმი ისევე დამანგრეველია სახელმწიფოსთვის, როგორც ეთნიკური ნაციონალიზმი.

ნაციონალიზმის სინთეზური ტიპოლოგია სცადა ცნობილმა ინგლისელმა სოციოლოგმა, ნაციონალიზმის ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა ენტონი სმიტმა (Smith, 1983). იგი თავიდანვე აღიარებს, რომ ნაციონალიზმის ყოველმხრივი და ყოვლისმომცველი ტიპოლოგია ფაქტიურად შეუძლებელია და განსხვავებები იქიდან გამომდინარეობს თუ რა არის მკვლევარის ინტერესის საგანი. როგორც სოციოლოგი, სმიტი უფრო სოციოლოგიურ განსხვავებებს იღებს საფუძვლად, რადგან მათში ხედავს პრობლემის მიზეზობრივი ახსნის საუკეთესო გზას.

სმიტის მიხედვით ნაციონალისტური მოძრაობების კლასიფიცირება კრიტერიუმთა ორ განსხვავებულ ჯგუფზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს: 1) **ფორმალური ანუ გარე კრიტერიუმები**, რომლებიც დაკავშირებულია მოძრაობის ინტენსიურობასა და წარმატებულობის ხარისხთან და **2) სუბსტანციური ანუ შიდა კრიტერიუმები**, რომლებიც ნაციონალისტური მოძრაობების განმსაზღვრელ სიტუაციებსა და შეხედულებებს განიხილავენ.

გარე კრიტერიუმების, ანუ „ინტენსიურობისა" და „წარმატებულობის" შესაბამისად, ნაციონალიზმის ოთხი ტიპი განირ-

ნება. კერძოდ, [illegible] **[illegible]-ტიული** და **განვითარებული** [illegible] ხმების აზრით. [illegible] „ერის" [illegible] XVI საუკუნის [illegible] XIX საუკუნეში.

[illegible] **წარმატებული** და [illegible] (XX საუკუნეში). [illegible]

გარდა [illegible] გამოყოფს [illegible] – **მიმდინარე მოძრაობებს.** [illegible]

[illegible] 1) [illegible] 2) [illegible]

„განსხვავებულობის" [illegible] 1. [illegible] 2. **ტერიტორიული,** 3. **შერეული.**

---

[2] [illegible] XVIII საუკუნის [illegible]

1. **ეთნიკური ნაციონალიზმი** არის ეთნოსის ნაციონალიზმი, რომლის საფუძველი „ჩვენ-ჯგუფის" სხვა ჯგუფებისაგან გამოირჩევა და მათთან დაპირისპირებაა. თუ ეთნოსი დამოუკიდებელი არ არის, ანუ საკუთარი სახელმწიფო არა აქვს, მაშინ ნაციონალისტური მოძრაობის მიზანი ამ ერისთვის სახელმწიფოს შექმნაა. ეთნიკური ნაცინალიზმი ოთხ ქვეტიპს მოიცავს:

**ა) მოძრაობა გამოყოფისათვის (სეცესიური)** – კულტურულად ჰომოგენური ჯგუფების მოძრაობა, რომელიც მოქცეულია უცხო პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში და შთანთქმა ემუქრება (ნორვეგია, ბელგია, საქართველო, ლიტვა XIX საუკუნეში).

**ბ) ირედენტიზმი.** ასევე კულტურულად ჰომოგენური ჯგუფი, რომელიც დანაწილებულია რამდენიმე მჩაგვრელი სახელმწიფოს მიერ (პოლონეთი, იტალია XIX საუკუნეში). ასეთ მოძრაობაში თანაბრად არის წარმოდგენილი სეპარატისტული და ინტეგრაციული მისწრაფებები: გამოყოფა დამპყრობლებისგან და ყველა თანამემამულის გაერთიანება ერთიან სახელმწიფოში. ამასთან, მიზანია არა მარტო მოცემული ეროვნების მოსახლეობის შემოერთება, არამედ იმ ტერიტორიებისაც, რომელზეც ეს მოსახლეობა ცხოვრობს.

**გ) დიასპორული ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის იშვიათი სახეა. ასეთი ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ კულტურული მახასიათებლები იმისათვის, რომ ერად მივიჩნიოთ, მაგრამ გაფანტულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში (ებრაელები, სომხები). მაღალი კულტურული თვითშეგნება და რელიგიური განსხვავებულობა ართულებს მათ ასიმილაციას „მასპინძელ" ხალხებთან. დიასპორული ნაციონალიზმის მთავარი მიზანია ეროვნული კულტურის შენარჩუნება და შემდეგ, ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში, ამ კულტურის მატარებელთა უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასახლება (ასეთ ტერიტორიად, როგორც წესი, „ისტორიული სამშობლო" მიიჩნევა).

**დ) პანმოძრაობები** – მოძრაობა კულტურული ნიშნების მქონე ჯგუფთა ერთობლიობებისა, რომლებიც გაცილებით უფრო მსხვილია, ვიდრე თითოეული კულტურული ჯგუფის პოლიტიკური ერთეულები. არსებული სახელმწიფოები ამ კულტურული ერთობების ნაწილს წარმოადგენენ (არაბული ქვეყნები, თურქულენოვანი სახელმწიფოები და არეალები, სლავური

ტერიტორიები, ისლამური სამყარო). პანმოძრაობები მარტო მისი შემადგენელი ნაწილების ძველი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არ იწყება, არამედ შეიძლება მიზანში ამოღებულ იქნეს სხვა სახელმწიფოების ცალკეული პროვინციები, სადაც მათივე კულტურის მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობს (მაგ., რუსეთის თურქულენოვანი ავტონომიური რესპუბლიკები პანთურქიზმში).

2. **ტერიტორიული ნაციონალიზმი** არის ნაციონალიზმი ერის გარეშე. ამ შემთხვევაში ჯგუფი შედგება რამდენიმე მცირე ჯგუფისაგან და არ ფლობს ერისთვის აუცილებელ ყველა ნიშანს, რაც სრულიად არ უშლის ხელს ნაციონალიზმის წარმოშობას და ეს არ არის მხოლოდ ანტიკოლონიური ნაციონალიზმი. მისი მიზანია ერის სტატუსის მოპოვება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, ძლიერება. ვინაიდან ასეთ მოძრაობას ბუნებრივი კულტურული საზღვრები არ აქვს, იგი ეყრდნობა კოლონიური ერთეულის ტერიტორიას და მიზნად ისახავს მის ფარგლებში ერის ჩამოყალიბებას. აღნიშნული ტიპი ორ ქვეტიპს მოიცავს.

ა) **ჰეტეროგენული** მოძრაობები. ჯგუფს არ აქვს ჩამოყალიბებული კულტურული კავშირები, იგი მრავალი მცირე ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება. ამ მოძრაობის მიზანია ახალი ერთობის (იდენტურობის) ჩამოყალიბება კოლონიური ერთეულის ტერიტორიაზე. ეს ახალი იდენტურობა უფრო ფართოა, ვიდრე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე ჯგუფის იდენტურობა და იგი პოლიტიკური ხასიათისაა (ზაირი, ნიგერია, ტანზანია).

ბ) **კროსკულტურული მოძრაობები.** ჯგუფი კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენურია, მაგრამ ეს კულტურა მას აერთიანებს მის „მეზობლებთან" (ირლანდია, აშშ, დასავლეთ აფრიკის ქვეყნები). ასეთ შემთხვევაში, მოძრაობა ეყრდნობა არსებულ ტერიტორიულ და პოლიტიკურ საზღვრებზე, განსაკუთრებული როლი ენიჭება პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას, რადგან იგი ერის ფორმირებისა და კულტურული იდენტურობის განვითარების აუცილებელ წინაპირობად ითვლება.

3. **შერეული ნაციონალიზმი** გულისხმობს, რომ კოლონიურ ერთეულში არსებობს ერთი შედარებით მსხვილი სტაბილურ-კულტურული ჯგუფი და რამდენიმე მცირე ჯგუფი. მოძრაობა თავდაპირველად ერთ ჯგუფში წარმოიქმნება, მაგრამ

მიზნად ისახავს დამოუკიდებლობის მოპოვებას მთელი კოლონიური ერთეულისთვის (ნიგერია, ინდოეთი, ბირმა, კენია).

„დამოუკიდებლობის" კრიტერიუმზე დაყრდნობით შეგვიძლია განვასხვავოთ **დამოუკიდებლობამდელი** და **დამოუკიდებლობის შემდგომი** მოძრაობები. ზემოთ განხილული მოძრაობების ყველა ტიპი დამოუკიდებლობამდელი მოძრაობების კატეგორიას მიეკუთვნება.

დამოუკიდებლობის შემდგომი ნაციონალისტური მოძრაობები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: 1) **ნაციონალიზმი წარმოშობილი ისეთ ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა დიდი ხნის წინ მოიპოვეს** და 2) **ახლად გათავისუფლებულ ქვეყნებში წარმოშობილი მოძრაობები**:

1. **ძველი დამოუკიდებელი ქვეყნების ნაციონალიზმი** ორ ტიპს მოიცავს:

**ა) მოძრაობა შენარჩუნებისთვის.** სახელმწიფოში გაბატონებული ერი ცდილობს განამტკიცოს საკუთარი დომინირება დისკრიმინაციული და ასიმილატორული პოლიტიკის მეშვეობით. ამასთანავე, გარე სამყაროსთან ურთიერთობაში ეს ჯგუფი საკუთარ თავს მთელი ერის სახელით წარმოადგენს (ამჰარა — ეთიოპიაში, პუშტუნები — ავღანეთში და სხვ.).

**ბ) მოძრაობა განახლებისთვის.** ეს მოძრაობა დამოუკიდებლობის ხანგრძლივი ისტორიის მქონე, ეთნიკურად ჰომოგენურ ქვეყნებში წარმოიშვება, სადაც თითქოს ნაციონალისტებისთვის არავითარი პრობლემა არ უნდა იყოს. მაგრამ ისინი პრობლემას ხედავენ იმაში, რომ საფრთხე ემუქრება ქვეყნის ჰომოგენურობას და თვით დამოუკიდებლობასაც კი. მიმდინარე პროცესებმა და დათმობებმა უცხოელების მიმართ ერის დეზინტეგრაცია გამოიწვია და ეროვნული იდენტურობის გრძნობა შეასუსტა. საზოგადოებას ახალი სულიერი ენერგია სჭირდება, რაც მოდერნიზაციას და რეინტეგრაციას გულისხმობს. შედეგი რევოლუციაა, რომელიც არა მარტო კლასობრივი, არამედ ნაციონალისტურიც არის (ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, ჩინეთი, სპარსეთი, თურქეთი).

2. **ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნების ნაციონალიზმი** სამ ტიპს მოიცავს და ისინი ფაქტიურად დამოუკიდებლობამდელი მოძრაობების გაგრძელებაა.

**ა) მოძრაობა ინტეგრაციისათვის.** ნაციონალიზმის ეს ტიპი ფაქტობრივად ტერიტორიული, ჰეტეროგენიული

მოძრაობის გაერთიანებისა დამოუკიდებლობის მიღწევის პროცეს-ში. ასეა მაგალითად ყოფილი კოლონიური ქვეყნების ტერიტორი-აზე მცხოვრები ხალხებისათვის ერთი ერის ჩამოყალიბება.

ბ) **პროტექციონიზმი.** ტერიტორიული, ეთნოკულტუ-რული მოძრაობების გაერთიანებისა დამოუკიდებლობის მოპო-ვების შემდეგ, ამ შემთხვევაში ნაციონალიზმი კულტურული ინდივიდუალიზმით არ შემოიფარგლება. მაგრამ სურს დამოუკი-დებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება უცხოელები-საგან თავის დასაცავად. ასეთი პროტექციონისტურ ნაციონა-ლიზმს მიმართავდა ბევრი ლათინურ-ამერიკელი სახელმწიფო.

გ) **ექსპანსიონისტური მოძრაობა.** უფრო ხში-რად ირედენტისტური და პანმოძრაობების გაერთიანებისა და გულისხმობს არა მარტო თანამემამულეთა შემოერთებას, არა-მედ იმ ტერიტორიებისაც, სადაც ისინი ცხოვრობენ (მაგ., გერ-მანია ან იტალია გაერთიანების შემდეგ).

ე. სმიტის მიერ გამოყოფილი ნაციონალიზმის სინთეზური ტიპოლოგია სქემატურად ასე გამოიხატება (იხ. ცხრილი 2.1). როგორც ვხედავთ, ეს ტიპოლოგია საკმაოდ სრულია და ფაქ-ტიურად ნაციონალიზმის ყველა სახეს მოიცავს.

ტიპოლოგიის არსებულ სქემებზე დაყრდნობით ჩვენ შევე-ცადეთ მოგვეხდინა ნაციონალიზმის ახლებური ტიპოლოგია და გამოვყავით ნაციონალიზმის ძირითადი ტიპები და სახეები.

**ნაციონალიზმის სახეებში** იგულისხმება ის ფორმა, რო-გორითაც ეს ფენომენია წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ ნაციონალიზმის სამ სახეს: **პოლიტიკურს, ეკო-ნომიკურსა და კულტურულს** (სოციალურ-კულტურულს). ნა-ციონალიზმის სახე გვესმის, თუ რა მიზნებს ისახავს იგი როგორც იდეოლოგია და მოძრაობა — კულტურულს, ეკონო-მიკურს თუ პოლიტიკურს. თუმცა მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ნაციონალიზმის ზედა (მაღალი) ფორმა თავის თავში გულისხმობს ქვედა (დაბალ) ფორმებსაც. კერძოდ, ეკონომიკური ნაციონალიზმი გულისხმობს კულტურულ ნაციონალიზმსაც, ხოლო პოლიტიკური — ორივეს. ანუ კულტურული ნაციონა-ლიზმის დასახული მიზნების შესრულების შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ის მიზნები, რომლებსაც ეკონომიკური ნაცio-ნალიზმი ისახავს, ხოლო ამ უკანასკნელის შესრულების შემთხვევაში უკვე პოლიტიკური მიზნები გამოდის ავანსცენაზე. მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ნაციონალისტური მოძრა-ობა აუცილებლად საფეხურებრივი გზით წავიდეს და სახეებით

შესაძლებელია ნაციონალიზმმა თავიდანვე პოლიტიკური სახე მიიღოს.

**ნაციონალიზმის ტიპებში** იგულისხმება ამ ფენომენის შინაარსი, ანუ რა წარმოადგენს ნაციონალიზმის ობიექტს და რას ეყრდნობა მისი იდეოლოგია და მოძრაობა. ამ თვალსაზრისით გავარჩევთ ეთნიკურ და ტერიტორიულ ნაციონალიზმს. როგორც ეთნიკურ, ისე ტერიტორიულ ნაციონალიზმს სრულიად განსხვავებული შინაარსი და მიზნები აქვთ იმისდა მიხედვით არის ეთნოსი ან ტერიტორია დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული. ამიტომ როგორც ეთნიკურ, ისე ტერიტორიულ ნაციონალიზმში გამოიყოფა დამოუკიდებლობამდელი და დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდები. შესაბამისად გამოიყოფა ნაციონალიზმის რამდენიმე მიზანი.

**ეთნიკურ ნაციონალიზმში** ჩვენ ვასხვავებთ ხუთ ქვეტიპს

**ა) ავტონომისტური.** ასეთი ნაციონალიზმი იბრძვის ეთნიკური ჯგუფის ავტონომიისთვის არსებული სახელმწიფოს შემადგენლობაში და მიზნად არ ისახავს მისგან გამოყოფას და დამოუკიდებლობის მოპოვებას. პოლიტიკური ფორმით იგი გამოიხატება პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით და გულისხმობს სახელმწიფოებრივი ფუნქციების მქონე ტერიტორიულ ავტონომიას (მაგ., ქურთები – თურქეთსა და ერაყში). ეკონომიკური ავტონომისტური ნაციონალიზმი თავს იჩენს მაშინ, როცა გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე არსებულ საწარმოებს (როგორც წესი ეს არის სხვადასხვა წიაღისეულით მდიდარი საბადოები) მოაქვს დიდი შემოსავალი და იგი ცენტრალურ ხელისუფლებას მიაქვს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მოთხოვნებს, რომ მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ადგილზე დარჩეს (მაგ., ზაირში კატანგის პროვინცია, სადაც სპილენძის უმდიდრესი საბადოებია თავმოყრილი). რაც შეეხება ავტონომისტურ კულტურულ ნაციონალიზმს, იგი იბრძვის იმისათვის, რომ ეთნიკურ ჯგუფს მიეცეს საშუალება მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებისა, რაც გულისხმობს ეროვნულ სკოლებს, მასმედიას, თეატრს, ფოლკლორულ ანსამბლებს და ა. შ. (მაგ., ქართველები – თურქეთში).

**ბ) ირედენტისტული** ნაციონალიზმი პოლიტიკური ფორმით გულისხმობს მოცემული ეთნიკური ჯგუფის გამოყოფას (თავისი ტერიტორიით) არსებული სახელმწიფოს შემადგენლობიდან და მის გადასვლას სხვა ქვეყნის შემადგენლობაში, რომელიც, როგორც წესი, მათი ისტორიული სამშობლოა (სამხრეთ

ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთება და ა. შ.). ხშირად ადგილი აქვს ირედენტისტულ მოთხოვნებს ისეთ ქვეყანასთან შეერთების მიზნით, რომელიც ისტორიულად სამშობლოს არ წარმოადგენს (მაგ., აფხაზეთის მოთხოვნა რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის შესახებ). განსხვავებით ირედენტიზმისგან უნდა შევაფასოთ ჯავახეთის „მიბმა" სომხეთთან სამეურნეო და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. ხოლო კულტურულ ირედენტიზმზე — ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის აზერბაიჯანულ კულტურულ არეალში ყოფნა და უფრო ნაკლები მასშტაბით — საინგილოს ქართველობის ქართულ კულტურულ არეალში დარჩენა.

**გ) სეპარატისტული ნაციონალიზმი.** ირედენტისტულისგან განსხვავებით, მოცემული ქვეყნიდან გამოყოფის შემდეგ სხვა ქვეყანასთან შეერთებას კი არ გულისხმობს, არამედ სრულ დამოუკიდებლობას. პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ჩამოყალიბებას. ასეთი მიდრეკილების მაგალითია ჩეჩნები, ბასკები, კვებეკელები და მთელი რიგი სხვა ხალხები. ეკონომიკური თვალსაზრისით, ასეთ ნაციონალიზმზე უნდა მივათვალოთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ყველაზე უფრო განვითარებულ რეგიონებში (ჩრდილოეთ იტალია, ბავარია) არსებული აზრი, ამ რეგიონების დამოუკიდებელი მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში. კულტურული სეპარატიზმის მაგალითად მოყვანილია ის ხალხები, რომლებიც სრულიად განცალკევებულნი არიან ქვეყნის სხვა მოსახლეობისგან და საკუთარი კულტურის მატარებელ თემებად რჩებიან (იეზიდები — თურქეთში, დუხობორები — საქართველოში და ა. შ.).

**დ) დიასპორული ნაციონალიზმი** დამახასიათებელია იმ ეთნიკებისათვის, რომლებმაც დიდი ხნის წინ დაკარგეს საკუთარი სახელმწიფო, გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნება და კულტურა. ასეთი ხალხების ყველაზე მკაფიო მაგალითია ებრაელები და სომხები. პოლიტიკური თვალსაზრისით, ძირითადი მიზანი საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა (ისრაელი, „დიდი სომხეთი"). ეკონომიკური ფორმით იგი ვლინდება სხვადასხვა ქვეყნებში მრავალეროვნულ მეწარმეობაში ყოფნა (მეწარმეობა, კომერცია), კულტურული ფორმით კი — საკუთარი კულ-

ტურის მაქსიმალური შენარჩუნება და დაცვა. ზოგიერთი ხალხი მხოლოდ კულტურული დიასპორული ნაციონალიზმის სახით არის წარმოდგენილი (ასირიელები, ბოშები).

**ე) გამაერთიანებელი ნაციონალიზმი.** ნაციონალიზმის წინა ოთხი ქვეტიპი ე. წ. ჩაგრულთა ნაციონალიზმს მიეკუთვნება და თავისებური „მინი-ნაციონალიზმია“ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც მოცემული ეთნოსი ცხოვრობს. მათგან განსხვავებით დამოუკიდებლობამდელი ეთნიკური ნაციონალიზმის მეხუთე ქვეტიპი – გამაერთიანებელი ნაციონალიზმი – განსხვავებული შინაარსისაა. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ეთნოსის წარმომადგენლებს რამდენიმე დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო (სამეფო, სამთავრო) გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგას გაერთიანების, ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეა. პირველ ეტაპზე ადგილი აქვს გამაერთიანებელ კულტურულ ნაციონალიზმს, რაც საერთო ლიტერატურლი ენისა და კულტურის დაახლოების საფუძველზე აყალიბებს საერთო ეროვნულ თვითშეგნებას და სახავს გაერთიანების აუცილებლობას. პარალელურად მიმდინარეობს ეკონომიკური დაახლოების და ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც ბოლოს პოლიტიკური გაერთიანება მოსდევს (გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება).

**2) დამოუკიდებლობის შემდგომი ეთნიკური ნაციონალიზმი** თავისი შინაარსით მკვეთრად განსხვავდება დამოუკიდებლობამდელი ნაციონალიზმისაგან, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩაგრული ერი თვითონ იქცევა ძირითად, ტიტულარულ ერად. ამიტომ მისი ნაციონალიზმი აბსოლუტურად სხვა მიზნებს ისახავს და ამდენად, ის, რაც დამოუკიდებლობამდე პროგრესული იყო და სავსებით შეესაბამებოდა ეროვნულ ინტერესებს, დამოუკიდებლობის შემდეგ შეიძლება დამღუპველი გახდეს ერისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეთნოსის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ეთნიკურმა ნაციონალიზმმა არსებობა უნდა შეწყვიტოს და ადგილი სახელმწიფო ნაციონალიზმს დაუთმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს მთლიანობა ეჭვის ქვეშ დადგება.

დამოუკიდებლობის შემდგომ ეთნიკურ ნაციონალიზმში შემდეგ ქვეტიპებს გამოვყოფთ:

ა) [illegible]

ბ) [illegible]

გ) [illegible]

შემადგენლობაში შედის. პოლიტიკური თვალსაზრისით ასეთი ნაციონალიზმის მაგალითია, სომალის მისწრაფება ეთიოპიისა და კენიის იმ ტერიტორიების შემოერთების მიზნით, სადაც სომალიელები ცხოვრობენ. გარკვეულწილად იგივე შეიძლება ითქვას სომხური ნაციონალიზმის იმ მიმართულებაზე, რომელიც ყარაბახისა და ჯავახეთის შეერთებას ცდილობს. ეკონომიკური კუთხით შეიძლება ექსპანსიად ჩაითვალოს იაპონიის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის საკუთარ არეალში მოქცევა, ხოლო კულტურული თვალსაზრისით – ამერიკული მასობრივი კულტურის ფართო ექსპანსია მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში.

**დ) მაკრონაციონალიზმი.** მაკრო ანუ პანნაციონალიზმში იგულისხმება ეთნიკურად მონათესავე სახელმწიფოების მისწრაფება შექმნას ზეეროვნული კავშირი, რომლის საბოლოო პოლიტიკური მიზანი ერთიანი მაკრონაციონალური სახელმწიფოა. ასეთი მოძრაობის მაგალითია პანარაბიზმი, პანთურქიზმი, პანსლავიზმი, ხოლო როგორც განხორციელებული სახე – პანგერმანიზმი. ეკონომიკური პანნაციონალიზმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ არაბული „საერთო ბაზარი", ხოლო კულტურულ პანნაციონალიზმად მივიჩნევთ დასავლურ ცივილიზაციას.

**3) დამოუკიდებლობამდელი ტერიტორიული ნაციონალიზმი** ემყარება არა რომელიმე ეთნოსს, არამედ ტერიტორიას, რომლის საზღვრებიც, როგორც წესი, კოლონიზაციების ან მეტროპოლიის მიერ არის განსაზღვრული და იქ მცხოვრები ხალხები ბედის ერთობამ დააკავშირა. ეს გარემოება ხელს არ უშლის ნაციონალიზმის წარმოშობას, რომელიც თავისი არსით საკმაოდ განსხვავდება ეთნიკური ნაციონალიზმისაგან.

დამოუკიდებლობამდელ ტერიტორიულ ნაციონალიზმში ჩვენ ოთხ ქვეტიპს გამოვყოფთ:

**ა) ჰეგემონური ნაციონალიზმი** გარკვეულწილად გარდამავალია ეთნიკურ და ტერიტორიულ ნაციონალიზმს შორის. მართალია, ნაციონალისტური მოძრაობა ტერიტორიულია და ტერიტორიის განთავისუფლებას ისახავს მიზნად, მაგრამ თვით ამ ტერიტორიის მოსახლეობაში აშკარად შეიმჩნევა ერთი ეთნიკური ჯგუფის როგორც რაოდენობრივი, ისე ეკონომიკური და კულტურული უპირატესობა. ასეთი ნაციონალიზმის მაგალითია ბირმული ნაციონალიზმი, სადაც ბირმელები მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ,

(ბელგია, შვეიცარია და სხვ.). კონსოციაციური თვალსაზრისით ის რეგიონი აღმოჩნდება ხოლმე პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რომელიც ტერიტორიის მთავარი ქალაქის (როგორც წესი, სახელმწიფოს) გარკვეული შეღავათებს ან მიმართულ ტერიტორიების მიზნების რაიონისა. ამ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფი კულტურული თვალსაზრისითაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე (მაგ., ტიროლელი სამხრეთ გერმანელები).

**ბ) ჰეტეროგენური ნაციონალიზმი.** ამ შემთხვევაში ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ ჯგუფებიდან არც ერთი არ არის რიცხობრივად გამორჩეული. ასეთი ნაციონალიზმი ხაზგასმით — ტერიტორიულია და ეყრდნობა შეთანხმების ძალას (ინდოეზია, ყირგიზეთი). თუმცა იქაც არც ერთი ადგილობრივი მცხოვრებთაგანი არ წარმოადგენს უმრავლესობას, ადგილობრივი ენები კი, როგორც წესი, უთანასწორო ენებია, აშკარად, გაბატონებულ და კულტურა [illegible]. სახელმწიფო [illegible] ტერიტორიის ხელში მოქცეული [illegible]. ასეთი ტერიტორიული ნაციონალიზმის შეთანხმების აგრეთვე [illegible] (ინდოეთი, ნიგერია). ნაციონალიზმის ამ [illegible] [illegible] ძალიან [illegible] [illegible] [illegible] ძალიან მოქალაქეობრივი, ტერიტორიული და კულტურული ფორმები, რადგან ისინი შედიან [illegible] [illegible] ერთიანდებიან.

**გ) ფედერალური ნაციონალიზმი,** ისევე როგორც ჰეტეროგენული ნაციონალიზმი, ტერიტორიული და მრავალეთნიკურია, მაგრამ მისგან განსხვავებით, ადგილობრივი ეთნიკური და კულტურული ავტონომიის ფორმა მათ [illegible] უფლება, აქვთ საკუთარი დამწერლობა, ლინგვისტური და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული თვითმმართველობის გარანტიები. ამასთან, არც ერთი ეს ადგილობრივი ეთნოსი არ არის აშკარად პრივილეგირებული სხვების მიმართ. ასეთი ტერიტორიული ნაციონალიზმის ერთ-ერთი მაგალითია შვეიცარია, რომლის სახელმწიფოებრივი ხდება ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბება და შემდგომ დამოუკიდებლობისათვის (ინდოეთი, ნიგერია). ამასთან, დამოუკიდებლობამდე [illegible], რომ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ქვეყანა იქნება ფედერალური სახელმწიფო, სადაც ეთნიკურ ჯგუფს თავისი თვითმმართველობა ექნება.

## ნაციონალიზმის ტიპოლოგია (ე. სმიტის მიხედვით)

ცხრილი №2.1

| სუბსტანციური კრიტერიუმები (განსხვავებულობა და დამოკიდებულება) / ფორმულური კრიტერიუმები (ინტენსიურობა და წარმატებულობა) | | ტერიტორიული | | | | შერეული | ეთნიკური | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დამოუკიდებლობამდელი | | დამოუკიდებლობის შემდგომი | | | დამოუკიდებელი | | | | დამოუკიდებლობის შემდგომი | |
| | | ანტიკო-ლონიური | კონსერვა-ტიული | ინტეგრა-ციული | პროტექ-ციული | | სეცესიური | დიასპორული | ირედენტის-ტული | პანმოძრაობა | მოძრაობა განახლები-სათვის | ექსპანსიო-ნისტები |
| პრიმიტიული | წარუმატებელი | | აშშ-ს სამხრეთი | | | | არაკანები ტიბეტელები აჩე კოპტები კორსიკელები | | დრუზები | ლათინო-ამერიკანიზმი | დანიელები | ძვ. ეგვიპტე ფილისტიმე-ლები ელამელები ქანაანელები არამეელები |
| | წარმატებული | კონგო გაბონი სიერა-ლეონე | ავსტრალია ახალი ზელანდია კანადა ბრაზილია კოლუმბია | პრუსია ბურგუნდია | | ეთიოპია ჰოლანდია 16 ს. ინგლისი 17 ს. შვედეთი | ისლანდიელები [illegible] იემენი მონტენეგრო-ელები | | | | სასანიდური სპარსეთი ბირმა ბულგარელები | ასურეთი ხეთები რომი ლიდია |
| განვითარე-ბული | წარუმატებელი | | | | | იუგოსლავია (1945 წლამდე) უნგრეთი ცარიზმი | უკრაინელები სერბები ხორვატები ქართველები ბიაფრა | სომხები | [illegible] მონღოლები ბაკონგო | პან-თურქიზმი ჰელენიზმი პანსლავიზმი | პერუ დომინიკის რესპ. | გერმანია საბერძნეთი საფრანგეთი პოლონეთი იტალია |
| | წარმატებული | ტანზანია ზამბია გვინეა მალი | აშშ ირლანდია არგენტინა ჩილე ჰაიტი | იუგოსლავია (1945 შემდეგ) განა ტანზანია კენია ინდოეთი | ბრაზილია პერუ ვენესუელა ჩილე არგენტინა | ბირმა ინდონეზია მალაიზია სამხრეთ აფრიკა | ნორვეგია ჩეხები პაკისტანი ბელგია ფინეთი ტუნისი | სიონიზმი ლიბერია | იტალია პოლონეთი სომალი ბულგარეთი | გერმანია იუგოსლავია მონღოლეთი | 17ს. ინგლისი 18ს. საფრანგეთი თურქეთი მექსიკა ჩინეთი სპარსეთი შვეიცარია | რუსეთი ჩინეთი აშშ |
| მიმდინარე | | მოზამბიკი ანგოლა | | სამხრეთ ვიეტნამი | | | უელსი ნაგა კურდები ბრეტონელები ბასკები | პალესტინე-ლები | ქურთები ტიროლი | პანაფრიკა-ნიზმი პანარაბიზმი თურანიზმი | კამბოჯა | |

# ნაცვალსახელის ტიპოლოგია

ცხრილი №2.2

| [illegible] | [illegible] | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | [illegible] | | | | | [illegible] | | | | [illegible] | | | | [illegible] | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | | | |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | | | | | |

**დ) მიქსაციური (შერევითი) ნაციონალიზმი.** ასეთი ნაციონალიზმი იმ ტერიტორიებისთვის არის დამახასიათებელი, სადაც ჯერ კიდევ კოლონიალიზმის პირობებში მოხდა ეთნიკური ჯგუფების მიქსაცია (შერევა) და ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი ერთიანი ენითა და კულტურით. ამიტომ ასეთი ტერიტორიული ნაციონალიზმი საკმაოდ ახლოსაა ეთნიკურთან. მისი მაგალითია ბრაზილიური, არგენტინული თუ ურუგვაული ნაციონალიზმი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი ქვეყნები ტერიტორიული ნაციონალიზმის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ერ-სახელმწიფოებად ყალიბდებიან.

**4. დამოუკიდებლობის შემდგომი ტერიტორიული ნაციონალიზმი** ისეთ მკვეთრ ცვლილებებს არ საჭიროებს დამოუკიდებლობამდელთან შედარებით, როგორც ეს ეთნიკური ნაციონალიზმის შემთხვევაში გვაქვს. თუმცა რა თქმა უნდა გარკვეული ცვლილებები აქაც აუცილებელია. ამასთან აქ კავშირი დამოუკიდებლობამდელ და დამოუკიდებლობის შემდგომ ნაციონალიზმს შორის უფრო აშკარაა.

დამოუკიდებლობის შემდგომ ტერიტორიულ ნაციონალიზმში ოთხი ქვეტიპი შეიძლება გამოვყოთ.

**ა) ასიმილატორული ნაციონალიზმი** თავისებური გაგრძელებაა დამოუკიდებლობამდე ჰეგემონური ნაციონალიზმისა, როდესაც დომინანტი ეთნოსი ყველანაირად ცდილობს შეზღუდოს სხვა ეთნოსების განვითარება. იგი წინააღმდეგია არა თუ ტერიტორიული, არამედ კულტურული ავტონომიაც კი მიანიჭოს მას, ცდილობს მათ ყოველმხრივ დათრგუნვას, ატარებს ასიმილატორულ პოლიტიკას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ეთნიკურ კონფლიქტებს და სამოქალაქო ომსაც კი. ამის ნათელ მაგალითად ბირმა და სუდანი გამოდგება.

**ბ) ინტეგრაციული ნაციონალიზმი** უფრო ხშირად ჰეტეროგენური და ფედერალური ნაციონალიზმის დამოუკიდებლობის შემდგომი საფეხურია. ასეთი ნაციონალიზმის დროს ეთნიკური თვითმყოფადობა და კულტურული განვითარება არანაირად არ იზღუდება, მაგრამ მთავარი ყურადღება ინტეგრაციასა და ურთიერთშეკავშირებაზეა გადატანილი. ძირითადი მიზანი პოლიტიკური ერთობის შენარჩუნებაა. ამ მიზნით სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთო-სახელმწიფოებრივი აზროვნების შექმნა და განმტკიცება, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიმატი ეთნიკურ ინტერესებთან შედარებით. ასეთი ნაციონალისტური პოლიტიკის გატარებას ცდილობენ ინდოეთი, პაკისტანი, ნიგერია.

გ) ჰომოგენური ნაციონალიზმი ისეთ სახელმ- [illegible]

დ) ლიბერალური (ერ-სახელმწიფოებრივი) [illegible]

[illegible]

**კითხვები და დავალებები:**

1. განმარტეთ ტერმინი „ნაციონალიზმი" მისი სხვადასხვა მნიშვნელობით.
2. რომელი ოთხი თვალსაზრისით განიხილავს კარლტონ ჰეიესი ნაციონალიზმს?
3. როგორ აღიქვამს ნაციონალიზმს სხვადასხვა მეცნიერება? (მოახდინეთ ნაციონალიზმის ცნების შედარებითი ანალიზი ისტორიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ეთნოლოგების, ფსიქიატრებისა და ფსიქოანალიტიკოსების თვალთახედვით).
4. ჩამოთვალეთ ნაციონალიზმის ექვსი მთავარი პოსტულატი ე. სმიტის მიხედვით.
5. ნაციონალიზმის რომელ ისტორიულ ტიპებს გამოყოფს ლ. სნაიდერი?
6. ჩამოთვალეთ ნაციონალიზმის ტიპები კ. ჰეიესის მიხედვით.
7. დაახასიათეთ ჰ. კონის მიერ შემოთავაზებული ნაციონალიზმის დიქოტომიური ტიპოლოგია.
8. შეადარეთ ნაციონალიზმის პოლიტოლოგიური (ჰანდმანის) და სოციოლოგიური (ვირტის) ტიპოლოგია.
9. ნაციონალიზმის რომელ ტიპებს გამოყოფს კ. სიმონსიმონოლევიჩი?
10. შეადარეთ ნაციონალიზმის კლასიფიკაცია ჯ. ბროილისა და ჯ.კელასის მიხედვით.
11. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ნაციონალიზმის სინთეზური ტიპოლოგია ე. სმიტის მიხედვით.
12. შეეცადეთ მოახდინოთ ნაციონალიზმის თქვენი საკუთარი ტიპოლოგია.

**ლიტერატურა**


1. Smith A.D. – Theories of Nationalism. New-York, 1983. p.p.153– 227.
2. Hayes C. J. H. – Nationalism: A Religion. New-York, 1960. p. 1-10.
3. Snyder L. – The Meaning of Nationalism. New Brunswick New Jersey, 1954. p. 74–111.
4. The Dynamics of Nationalism. Edited by L. Snyder. Princeton. 1965, p. 47–54.

თემა 3

# ნაციონალიზმის თეორიები

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და როგორც სოციალური მოვლენა XVIII საუკუნის ბოლოიდან არსებობს, რადგან თანამედროვე ერების და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ევროპაში მხოლოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ დაიწყო (Baycroft, 1998, p.3). რაც შეეხება ნაციონალიზმს, როგორც აკადემიური კვლევის საგანს, ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ძალიან გვიან, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადაიდგა. ხოლო როგორც ნაციონალიზმის პოლიტიკური თეორია იგი დაახლოებით ნახევარი საუკუნის ისტორიას ითვლის. ალბათ ამიტომაცაა, რომ სოციალური მეცნიერებების კვლევის სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ნაციონალიზმი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და როგორც ბ. ანდერსონმა შენიშნა, მას თითქმის ჰყავდა სხვა „იზმისგან" შედარებით არ წარმოუქმნია დიდი მოაზროვნეები და არ ჰყოლია თავისი ჰობსი, ტოკვილი, მარქსი თუ ვებერი (Anderson, 1991, p.5).

პირველ მსოფლიო ომამდე ნაციონალიზმს უფრო ფილოსოფიური და ისტორიული კუთხით უყურებდნენ და ხაზგასმით აინტერესებდათ მისი წარმოშობისა და ევოლუციის მიზეზები და კანონზომიერებები. ერი-სახელმწიფო განიხილებოდა როგორც სოციალური ცვლილების და კაპიტალისტური მრეწველობის ატრიბუტიკა. ხოლო მარქსისტებიც და ლიბერალებიც ნაციონალიზმს განიხილავდნენ როგორც წარმავალ, დროებით ფენომენს, რომლის ადგილიც მომავალ მსოფლიოს საერთაშორისო წესრიგში აღარ იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც არც ერთ მეცნიერებას შეუმუშავებია ზოგადი თეორია, რომელიც მისადაგებული იქნებოდა ცალკეული, განსხვავებული შემთხვევებისთვის.

ნაციონალიზმის კვლევაში გარდატეხა XX საუკუნის 20–30-იან წლებში მოხდა, როცა ამ სამეცნიერო მიმართულების „დამფუძნებელმა მამებმა" კარლტონ-ჰეიესმა და ჰანს კონმა პირველად სცადეს მოეცათ ნაციონალიზმის უნივერსალური თეორია. მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი ნაციონალიზმისადმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება, როცა დეკოლონიზაციამ და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა პროცესებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ნაციონალიზმის თეორიის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს ის ძირითადი საკითხები, რომელთა მიმართ დამოკიდებულება განსაზღვრავს კიდეც ამა თუ იმ თეორიულ მიმართულებას. ძალზე სქემატურად ეს საკითხები დაიყვანება შემდეგ კითხვებზე:

1. რა არის ერი და რა არის ნაციონალიზმი?
2. რა და რა ტიპის ნაციონალიზმი არსებობს?
3. როდის და როგორ წარმოიშვა ერები და ნაციონალიზმი?

პირველ ორ კითხვაზე, რა არის ერი, რა არის ნაციონალიზმი და ნაციონალიზმის რა ტიპები არსებობს საუბარი ზემოთ იყო. რაც შეეხება მესამე კითხვას, როდის და როგორ წარმოიშვა ერები და ნაციონალიზმი, პასუხის მიხედვით სამი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა გამოიყოფა – პრიმორდიალიზმი, მოდერნიზმი და ეთნოსიმბოლიზმი.

## 3.1. პრიმორდიალიზმი

ტერმინ „პრიმორდიალიზმის" საფუძველს შეადგენს ზედსართავი სახელი „primordial", რაც პირველქმნილს, დასაბამიდან არსებულს, დროში და განვითარებაში პირველს, საწყისს ნიშნავს. ნაციონალიზმის თეორიაში ამ ტერმინით აღინიშნება მიდგომა, რომელიც თვლის, რომ ერები და ნაციონალიზმი ისეთივე ხანგრძლივი ისტორიის ფენომენია, როგორც თვითონ კაცობრიობა. პრიმორდიალისტების აზრით, ეროვნება, ეროვნულობა ადამიანათა არსებობის ბუნებრივი ფორმაა, ისევე როგორც მეტყველება, მხედველობა, ღიმილი და ა.შ. მაშასადამე, ეროვნება პიროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებული, თავისთავად მოცემული ფენომენია, რომელიც ყოველთვის არსებობდა.

პრიმორდიალიზმი არ წარმოადგენს ერთიან, მონოლითურ თეორიას. მისი ცალკეული ვარიანტები სხვადასხვა მიმდინარეობების განვითარებას შეესაბამება. როგორც ერთ-ერთი წამყვანი ნაციონალიზმის მკვლევარი, ე. სმითი (Smith, 1997) პრიმორდიალიზმის სამ სახეობას გამოყოფს, ხოლო სხვა მკვლევრები, კერძოდ უ. ოზკირიმლი (Ozkirimli, 2000) და ჯ. ტილი (Tilley, 1997) მიერ, ყველა ამ თავისებურების გათვალისწინებით, ერთი და იგივე სიტყვებით აღწერილი და გამოყოფილი მხოლოდ პრიმორდიალიზმის სახეების წარმოშობა, აღნიშნული მიდგომის შესაბამისად შეესაბამება: პრიმორდიალისტური მიდგომის სახესხვაობებია მიდგომის ნატურალისტური, სოციობიოლოგიური და კულტურული მიდგომები.

**ა. ნატურალისტური მიდგომა.** ნატურალისტური მიდგომა პრიმორდიალიზმის ყველაზე უკიდურეს ფორმას წარმოადგენს. იგი ამტკიცებს, რომ ეროვნული კუთვნილება ისეთივე ბუნებრივი (ადამიანის სხეულისთვის ნატურალისტური) თვისებაა, როგორც მხედველობა და სმენა, ადამიანს ისევე აქვს ეროვნება, როგორც ცხვირი და ყურები. სწორედ ერი, რომელსაც ის ეკუთვნის ამ ადამიანში მოცემულია, არის წინასწარგანსაზღვრული და ბუნებრივად ფიქსირებული. სხვა სიტყვებით, ადამიანებს ისევე ეძლევათ მიკუთვნება, როგორც ოჯახში, ერებს აქვთ ბუნებრივი საზღვრები, ადგილი ბუნებაში, განსაზღვრული სახით. მისი და ერის ნატურალისტური მიდგომის წარმოადგენელი ერის ნებისმიერ განსხვავების ერთი და ყველაზე ბუნებრივი სახეა ნაციონალიზმის მიმდევრის, განსხვავებით სხვებისგან, აგრეთვე თავის არსებობის მიზეზს და.

აღნიშნულ რომ ერთი იმის გამო, რომ ნაციონალისტები შეიძლება იყვნენ ნატურალისტური თეორიის მიმდევრები, ნაციონალიზმის მიერ ერის ბუნების ... მისი ერთ-ერთი წარმოების უმრავლესობა ბუნებრივად ერთიანი ენობრივი ერთეულების ტერმინები და ტერიტორიის ენა ამ ადამიანების სოციალური, რასაც ქვეყნის ფარგლებში მიიღება ერთეულები და ეთნოკულტურული მიმართულებების ნებისმიერი ნაციონალისტური მიდგომების ერთ-ერთი ლიდერის ფარგლებში ბიოლოგიური სხვა, ერთ მიდგომას ადამიანთა ერთიანობას, რომლებიც ენობრივ ერთობას წარმოადგენს ... ნაციონალისტურ ერთეულებს ჩამოაყალიბებს ... ამის მიზნით „ბუნებრივი“ ტერიტორიული საზღვრებისა და მისწრაფებას ბიოლოგიურ ეთნიკურ ერთიანობას. წარმოადგენენ

თვითრეალიზაციისათვის მუდმივი ბრძოლის ისტორიაა (Hutchinson, 1994).

ელი კედური თავის წიგნში, „ნაციონალიზმი აზიასა და აფრიკაში" (Kedourie, 1971) მოჰყავს თურქი ნაციონალისტის თექინ ალფის მოსაზრებები, სადაც იგი გადაჭრით და სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ თურქი ერი არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 12 ათასი წლის წინ, რომ მათ თავიანთი ისტორიის მანძილზე სელჯუკთა და ოსმალეთის იმპერიების გარდა რამდენიმე უძლიერესი იმპერია შექმნეს და თურქები ჯერ კიდევ მაშინ იყო მაღალი კულტურის ერი, როცა ევროპა ველური ტომებით იყო დასახლებული და სრულ უმეცრებაში ცხოვრობდა; ასევე, თურქული კულტურა მთელი თავით მაღლა იდგა ისლამურ კულტურაზე, რომელთან შედარებითაც იგი გაცილებით ძველია, და თუმცა თურქეთმა გარკვეული დაკნინება და დაცემა განიცადა, გამოჩნდა ხელმძღვანელი, ეროვნული გმირი და წინამძღოლი (იგულისხმება ქემალ ათათურქი), რომელიც თურქეთს ძველ დიდებას უბრუნებს (Kedourie, 1971, p.210–221).

არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სიძნელეს მსგავსი გამონათქვამებისა და მსგავსი რწმენის არსებობის გამომხატველი მოსაზრების პოვნა ნებისმიერი ერის ნაციონალისტი მოღვაწეების ნააზრევში.

ენტონი სმიტი პრიომორდიალიზმის ნატურალისტური მიდგომიდან გამოყოფს უფრო ნაკლებად რადიკალურ შეხედულებას, რომელსაც იგი **პერენიალიზმს** უწოდებს (Smith,1995). სახელწოდება მოდის სიტყვა „perinnial"-ისაგან, რაც მრავალწლიანს, წლების მანძილზე მიმდინარეს ნიშნავს. სმიტი პერენიალისტებად მიიჩნევს იმ მკვლევრებს, რომლებიც თვლიან, რომ ერები უძველეს დროშიც არსებობდნენ, მაგრამ უარყოფენ ერის მუდმივ, ბუნებრივად არსებულ ხასიათს. განსხვავებით „ნატურალისტებისგან", „პერენიალისტები" თვლიან, რომ თანამედროვე ერები არიან თავიანთი შუა საუკუნეების „ორეულების" შთამომავლები. ანუ, თუმცა დღევანდელი ინგლისელი ერი არ არის იგივე, რაც შუა საუკუნეების ინგლისელი ერი (რასაც მაგალითად ამტკიცებენ „ნატურალისტები"), მაგრამ შუა საუკუნეების ინგლისელები უდავოდ იყო ერი და დღევანდელი ინგლისელების „ორეულებად" უნდა მივიჩნიოთ. ამგვარად, ერები არსებობდნენ შუა საუკუნეებშიც და ანტიკურ პერიოდშიც, თუმცა განსხვავდებოდნენ დღევანდელი ერებისაგან. მაგრამ

ის, რომ ახალი ერები იქმნენ. პერენიალისტების აზრით, საქმე არ უნდა იყოს შესაბამისად თანამედროვეობამ კი არ წარმოშვა ერები და ნაციონალიზმი (რასაც მოდერნისტები ამტკიცებენ), არამედ პირიქით, ერებმა და ნაციონალიზმმა წარმოშვა თანამედროვეობა (Smith, 1995, p.168).

სმიტის ეს შეხედულება ბევრმა გაიზიარა, რადგან იმგვარად მოიძებნება მკვლევარი, რომელიც აშკარა ნაციონალისტური მიმართულების პრიმორდიალიზმს უჭერდეს მხარს, სადაც ერის მიიჩნევა ღვთაებრივ არსებულ უცვლელ ერთობად მარადიულ კრიტიკას ვერ უძლებს.

გარკვეული სიმართლე, სადაც გამოსჭვივის პერენიალისტური პრიმორდიალიზმი და ეთნოსიმბოლიზმი, ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ ერები ახალი ფენომენია, მაგრამ მკვლევარს არსებობენ ეთნიკური ერთობები, რომლებსაც ჰქონდათ რა პოლიტიკური ორგანიზაცია, მათი აზრით მოიცავენ თითქმის ყველა იმ ნიშანს, რაც თანამედროვე ერებს ახასიათებს. ეთნიე სმიტის, რომელიც ეთნოსიმბოლიზმის მიმდევარია. პერენიალისტებად მიიჩნევენ ჯონ არმსტრონგს (Armstrong, 1982) და ჯ. ლობერას (Lobera, 1994). თუმცა ძნელი გასარკვევია რა არის ის არსებითი განსხვავება, რაც ერთი მხრივ სმიტს, ხოლო მეორე მხრივ არმსტრონგსა და ლობერას სხვადასხვა თეორიული მიმართულების წარმომადგენლებად წარმოგვიდგენს.

ერთადერთი, რითაც შეიძლება პერენიალისტები და ეთნოსიმბოლისტები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, არის ის, რომ ეთნოსიმბოლისტები ერების და ნაციონალიზმის წარმოშობის პროცესს ახალ დროს (უკანასკნელ ორ საუკუნეს) მიიჩნევენ მოდერნისტების მსგავსად, თუმცა მათი რწმენით ერის ნიშნების მქონე წინამოდერნული ერთობები მანამდეც (შუა საუკუნეებში, ანტიკური დროი) არსებობდნენ. პერენიალისტები კი სწორედ ასეთ ერთობებს მიიჩნევენ ერებად და ამდენად ერების წარმოშობის თარიღი მათთვის გაურკვეველია. მათი აზრით, ერი შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ ისტორიულ პერიოდში, თუ ერისა საზოგადოებაა როგორც პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ერთობა, რის შემდეგაც იგი საჭიროებს სახელმწიფოს შექმნას.

**ბ. სოციობიოლოგიური მიდგომა.** ნაციონალიზმის ფენომენის სოციობიოლოგიური ანალიზი ეკუთვნის პიერ ვან დენ ბერგეს (Van den Berghe, 1978, 1979). თავის სტატიაში (1978) იგი შეეცადა პასუხი გაეცა კითხვისათვის: არის თუ

არა ცხოველები სოციალური არსებანი და რატომ მოქმედებენ ერთობლივად (ჯგუფურად)?“ იგი ამ კითხვაზე პასუხობს მარტივად: „ცხოველები არიან სოციალური არსებანი იმდენად, რამდენადაც ერთობლივი ქმედება სასარგებლოა მათთვის“. ზუსტად ასევე გვაროვნული შერჩევა ანუ ნათესავებთან ერთ საზოგადოებაში ყოფნა არის ადამიანთა სოციალიზაციის არსებითი ფაქტორი. ეთნოსიც (ეთნიკურობა) და რასაც (ანთროპოლოგიური ტიპი) გვარის გაფართოებული ცნებაა. შესაბამისად ეთნიკური და რასობრივი გრძნობები გასაგები ხდება გვაროვნულ-ნათესაური გრძნობების საფუძველზე. ეს კი ადამიანს თავიდანვე მოცემული აქვს და შესაბამისად ეთნიციზმი, რასიზმი თუ ნაციონალიზმი ბუნებრივი, ბიოლოგიურ-გენეტიკური მოვლენაა.

მაგრამ როგორ ხდება საკუთარი ნათესაობის, გვარის თუ ტომის აღქმა? ვან დენ ბერგეს მიხედვით, საკუთარი თავის შემეცნება პირველ რიგში კულტურის კრიტერიუმების საფუძველზე ხდება და არა ფიზიკური მსგავსებისა. გარდა ნათესაური შერჩევისა (სელექციის) ვან დენ ბერგეს შემოაქვს კიდევ ორი ფაქტორი — ურთიერთქმედება და იძულება. ურთიერთქმედება არის თანამშრომლობა საერთო კეთილდღეობისა და სარგებლობისათვის. იძულება კი არის ძალის გამოყენებით ერთი მხარის კეთილდღეობისა და სარგებელის მიღწევა სხვების ხარჯზე. ნათესაური შერჩევა და ურთიერთქმედება დამახასიათებელია შიდა ჯგუფური ურთიერთობებისათვის, ხოლო იძულება ჯგუფთა შორის ურთიერთობებისათვის. ეს უკანასკნელი თავს იჩენს ეთნოსთშორის ურთიერთობებში. თუმცა ეთნოსები შეიძლება იყვნენ სიმბიოზურ, ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებშიც, მაგრამ ეს, როგორც წესი, მოკლე პერიოდი გრძელდება, რადგან ურთიერთობა სხვადასხვა ჯგუფს შორის ძირითადად ანტაგონისტურია.

**გ. კულტურული მიდგომა.** ე.წ. „კულტურული პრიმორდიალიზმის“ წარმომადგენლებად მიჩნეულია ედუარდ შილსი (Shils, 1957) და კლიფორდ გეერტცი (Geertz, 1973). ამ ავტორების წარმოდგენები პრიმორდიალიზმის შესახებ სამ მთავარ იდეამდე დაიყვანება:

1. ეროვნული იდენტურობა პრიმორდიალურია და აპრიორად არის მოცემული. პრიმორდიალური კუთვნილება ბუნებრივი და სულიერია და არა სოციალური.

2. პრიმორდიალური გრძნობები გამოუხატავი და იძულებითია. თუ ინდივიდი მიეკუთვნება რომელიმე ჯგუფს, ის გარ-

დაკავშირება გრძნობას ამ კავშირისადმი ერთგულებას და მის ავსებს (სიყვარულით, რწმენით და ძმობით).

3. პრიმორდიალიზმის არსებითად აფექტური და ზესოციალური ხასიათი (Eller, Coughlan, 1993).

უ. ოზკირიმლი (Ozkirimli, 2000) ამბობს, რომ გეერტსა და შილსის მიერ გეერცის პრიმორდიალიზმის აზრი შეფასება არასწორია, რადგან გეერცი ამბობს, რეალურად თუ ხელოვნურ იდენტიფიკაციის ხერხისადმი; არ მიიჩნევდა პრიმორდიალურად, არამედ მიაჩნდა ის ინდივიდების მიერ „მიკუთვნებულად". ე. სმითის აზრით გეერცის შეხედულება ანთროპოლოგიურ განსხვავებას: „ეს არ ამბობს, რომ ხალხი აყალიბებდა პრიმორდიალისტურ იდენტობებს, არამედ მხოლოდ ამტკიცებს, რომ ბევრ ხალხებს სწამს პრიმორდიალური იდენტობის და გრძნობს მათ ძალას (Smith, 1998, p.158).

გეერცის მიხედვით ადამიანებში არსებობს „კავშირების ინტეგრაციული" (Geetz, 1973, შილსი [illegible], 1993), სადაც იგი ამბობს:

„ვგრძნობ თუ [illegible] ადამიანი არის ამ [illegible] [illegible] ჩამოყალიბებული, რომელიც მას [illegible] [illegible]. ეს [illegible] კავშირის სწორედ ისეთი [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible], არამედ [illegible] [illegible] [illegible], რომელიც არის [illegible] (Geetz, 1973, p.5).

[illegible] [illegible] ე. [illegible], რომელიც კავშირის [illegible] ამ პრიმორდიალურ [illegible], რომელიც განსხვავებულ [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] პრიმორდია-ლიზმი [illegible] განსხვავების [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

უ. ოზკირიმლი (Ozkirimli, 2000) ამბობს, რომ კავშირები პრიმორდიალიზმის [illegible] [illegible] [illegible] ამ [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ე. [illegible], რომელიც [illegible] განსხვავებულ [illegible] [illegible] [illegible]. რომელიც [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] (Connor, 1994, p.202). [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და კავშირის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ერთმანეთს, [illegible]-

რად, პიროვნებები საკუთარ თავს აღიქვამენ „მიმაგრებულებად“ თავიანთი კულტურის ელემენტებთან, როგორც არსებულთან და უხსოვარი დროიდან მოცემულთან. კონორის აზრით, რაც განაპირობებს პოზიციას და ქცევას არის არა ის, „რაც არის“, არამედ ის, „რაც ხალხს მიაჩნია რომ არის“. ეს კი ოზკირიმლის საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ კონორი კულტურული პრიმორდიალიზმის წარმომადგენლად მივიჩნიოთ.

ზოგადად პრიომორდიალიზმს (პერენიალიზმის ჩათვლით) შედარებით ცოტა მიმდევარი ჰყავს. განსაუთრებულ კამათს იწვევს ცალკეული საკითხები, რომლებზედაც ქვემოთ შევჩერდებით:

***ა) ეთნიკური და ეროვნული კავშირების ბუნება.*** პრიმორდიალისტებისათვის (გარდა კულტურული პრიმორდიალიზმის წარმომადგენლებისა) აქსიომას წარმოადგენს ისეთი ეთნიკური და ეროვნული ნიშნების, როგორიცაა ენა, რელიგია, თემი და ა.შ. წინასწარ, ერთხელ და სამუდამოდ „მოცემულობა“ და პრაქტიკულად უცვლელობა. ეს ნიშნები ბუნების მოცემულია, სტატიკურია და თუმცა ფორმით შეიძლება იცვლებოდეს, შინაარსი ფაქტიურად არ განიცდის ცვლილებას და ასევე გადაეცემა თაობიდან თაობას. ასე რომ, ჩვენ უბრალოდ ვართ მოწმენი ეროვნული არსის (რაც უცვლელია) გამოვლინებისა სხვადასხვა (ცვალებადი) ფორმით.

უკანასკნელ წლებში გამოსულ მრავალ მონოგრაფიასა თუ შრომაში კატეგორიულად არის უარყოფილი აღნიშნული წარმოდგენები. მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეთნიკურობა შეუძლებელია მყარ და უცვლელ ფენომენად მივიჩნიოთ, რადგან არა თუ თაობიდან თაობაში, არამედ პიროვნებამაც კი ცხოვრების მანძილზე შესაძლებელია შეიცვალოს ენა, რელიგია, კულტურა და შესაბამისად სხვა ეთნიკური იდენტურობა შეიძინოს. ეთნიკურობას ის სოციალური და კულტურული გარემო განსაზღვრავს, სადაც მოცემული პიროვნება ცხოვრობს. გარემოს შეცვლის შედეგად შესაძლებელია (მაგრამ არა აუცილებელი) ეთნიკურობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი შეიცვალოს. რადგან ეთნიკური იდენტურობის ნიშნების ცვლილება შესაძლებელია, მაშინ შეუძლებელია ისინი პრიმორდიალურად მივიჩნიოთ და მათი უცვლელობა ვამტკიცოთ.

ცხადია პრიმორდიალისტები ისეთი გულუბრყვილონი არ არიან, რომ ასეთ ცვლილებებს ვერ ხედავდნენ და იმას ამტკი-

ცნებებს. რომ ესაა რელიგია და კულტურა უცვლელია. ისინი თავისთავად ამ ცვლილებებს არ უარყოფენ. მაგრამ ამტკიცებენ, რომ „არსი" რჩება უცვლელი. მაგალითად, თანამედროვე ქართველის, რელიგიისა და კულტურის ცოდნა რომ თუ აქვს საერთო III საუკუნის ქართველის ენასა, რელიგიასა და კულტურასთან, მაგრამ ის, რომ რაღაც ძირითადი რამ უცვლელია, აგრეთვე საზოგადოების ცხოვრებით. რომ მაშინაც და ახლაც ეს ქართველის ენა, რელიგია და კულტურა ერთი და იგივე განსხვავებებით და განსხვავდება სხვებისაგან. რაც შეეხება ცვლილებებს ისტორიების მიერ ეთნიკური იდენტურობის ცვლილებებს, ეს მათი აზრით, უფრო შესაბამისია და მათ ეხება მხოლოდ ეთნიკურ საზღვრებს მიუთითებს.

## ბ) ეთნიკური და ეროვნული კულტურების წარმოშობა.

პრიმორდიალისტების ერთ-ერთი ცენტრალური დებულებაა, რომ ეთნიკური და ეროვნული კულტურები „არსებითად მოცემუ-ნარჩენებია". ეს ჩანს ენტონი სმითის სიტყვებში კულტურული ერთობლიობების და ისტორიული ნარატივის შესახებ. ეს მის ორიგინალ თავისებურ მიდგომას ეფუძნება პრიმორდიალისტური კონცეფცია არის ავტორისა. საერთო კულტურული და ისტორიული არ ეთნიკურობის ასპექტის.

თუ ამ დებულების საფუძველზე. შესაძლო ასახსნელი იქნება. რადგან შეიძლება ზოგიერთს ეთნიკურ ჯგუფს ქართველი და სხვათა საზოგადოების შესაბამისი, ხოლო სხვებს არა თუ ერთ და საზოგადოების ჩამოყალიბება უკვე შეიძლება. არამედ არსებობდა ეგრეთ წოდებული და სხვა ხალხების შეჯერებული ავტორთა ურთიერთობების აზრით. ეთნიკური კულტურების განვითარება ხანგრძლივი ევოლუციის საფუძველზე საერთოდ ცვლის მათ არსს.

საკითხის ასეთი ახსნისათვის არის თუ არა აუცილებელი ეთნიკური იდენტურობის მყარად ყოფნა აღიარებული, რომ ერი ჩამოყალიბდება და ერთ-სახელმწიფოდ შეიქმნება? პრიმორდიალისტები ამ კითხვას დადებითად პასუხობენ და ამტკიცებენ, რომ ერი ეთნიკური იდენტურობის მოდერნიზებული განვითარება და უძველესი ეროვნული ტრადიციები შეიძლება ეყრდნობა. მოდერნისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ერები ყალიბდებიან და ერთ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება არ არის დამოკიდებული ეთნიკური იდენტობისაგან. სწორედ შეიძლება ეს ეთნიკური იდეის მნიშვნელოვანი ფაქტორი ერის ფორმირებაში. მაგრამ საკმაოდ ხშირად მისი როლი უმნიშვნელოა.

ერნესტ გელნერი (Gellner, 1997), რომელიც ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მოდერნისტული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, კამათს პრიმორდიალისტებსა და მოდერნისტებს შორის ერების წარმოშობის ეთნიკური ძირების შესახებ ადარებს ცნობილ დავას თეოლოგებს შორის იმაზე, ჰქონდა თუ არა ადამს ჭიპი. ერთნი თვლიან, რომ რადგან ადამი უშუალოდ ღმერთმა შექმნა, მას ჭიპი არ უნდა ჰქონოდა, ხოლო მეორენი „ამტკიცებენ", რომ ღმერთმა ყველაფერი გააჩინა უცვლელი სახით და ამდენად ადამსაც ჰქონდა ჭიპი. ამ კამათის გადმოტანით ნაციონალიზმის თეორიაში მივიღებთ, რომ მოდერნისტები პირველ პოზიციაზე დგანან, ხოლო პრიმორდიალისტები მეორეზე.

გელნერი თვლის, რომ ძალიან ცოტაა ისეთი ერი, რომელსაც მართლაც აქვს „ისტორიული ჭიპი". ზოგიერთს ჭიპი მისმა ნაციონალისტურმა პროპაგანდამ შესძინა, ხოლო ზოგიერთი ერი ნამდვილად უჭიპო ერია. ამ უკანასკნელის მაგალითად მას მოჰყავს ესტონელები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისამდე არა თუ ეროვნულ და ეთნიკურ იდენტურობას იყვნენ მოკლებულნი, არამედ საერთო სახელიც კი არ ჰქონდათ და ერად მხოლოდ რუსეთის იმპერიის დაშლისა და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ შეიკრნენ. რაც შეეხება ჩეხებს, გელნერი მათ მიიჩნევს ერად, რომელსაც ჭიპი ნაციონალისტურმა პროპაგანდამ შესძინა. კერძოდ, ვესტფალიის ზავის შემდეგ პოლიტიკური რუკიდან გაქრა ბოჰემიის სამეფო, (რომლის მოსახლეობაც ენობრივად და კულტურულად ჩეხების წინაპრები იყვნენ). ჰაბსბურგთა იმპერიის შემადგენლობაში იგი ადმინისტრაციულ ერთეულსაც კი აღარ წარმოადგენდა, ხოლო ჩეხური ენა გლეხურ დიალექტად იქცა. ჩეხური ნაციონალიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა თომას მასარიკმა შეიმუშავა თეორია, რომლის მიხედვითაც ჩეხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ეყრდნობა ჩეხი ერის ძველ სახელმწიფოებრიობას (ბოჰემიის სამეფო), მაღალ კულტურას (XIV საუკუნეში დაარსებული პრაღის უნივერსიტეტი) და ძველ ეროვნულ თვითშეგნებას (იან ჰუსის მოძრაობა), თანაც ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მსოფლიო დემოკრატიული მოძრაობის ნაწილად გამოაცხადა და ამით თავისი ერი ჭიპით უზრუნველყო. თუმცა სხვა ავტორები აშკარად დაუპირისპირდნენ მასარიკის თეორიას და თვლიდნენ, რომ ჩეხი ერი მხოლოდ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა და ამდენად უჭიპო ანუ ძველ ეთნიკურ იდენტურობას მოკლებული ერია.

ამჟამად, მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ერები, რომლებიც ეროვნული და ეთნიკური იდენტიფიკაციის შედეგად წარსულშიც ქონდათ და ამჟამად წარმოადგენენ ერებს ნამდვილი, ისტორიული ქმედით, ახლოდან ცნობილი არიან.

***გ) ეთნიკური და ეროვნული კავშირების მიმართება პიროვნული იდენტურობის სხვა ტიპებთან.*** პრიმორდია-ლისტები ამტკიცებენ, რომ ეთნიკური და ეროვნული იდენ-ტურობა ამჟამად პრიორიტეტულია იდენტურობის ყველა სხვა ტიპთან შედარებით. ე.ი. პიროვნება პირველ რიგში ავლენს თავის ეროვნულ კუთვნილებას და შემდეგ თავის სქესს, ოჯახურ მდგომარეობას, რელიგიას, კლასობრივ თუ სოციალურ ფენა-რებას, განათლების დონეს, პროფესიას და ა.შ. მკვლევართა უმრავლესობა არც ამ შეხედულებას გაიზიარებს და თვლის, რომ სხვადასხვა დროსა და გარემოში იდენტურობის სხვადასხვა ტიპი ხდება პრიორიტეტული. ხშირად ასეთი ერთობის ფორმებს, შეიძლება კი ადვილი აქვს მათ შეჯახებას და დაპირისპირებას. შეუძლებელია ერთ რომელიმე მათგანს ცალსახად მივანიჭოთ პრიორიტეტულობა. მათი რიგობა და მნიშვნელობის ცვლილება გარემო მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

***დ) ემოციისა და ზემოქმედების ხასიათი.*** პრიმორ-დიალისტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემოციები და ზემოქმედების ხასიათი. ზემოქმედების განხილვა პრიმორ-დიალურ იდენტურობას თვისობრივად განასხვავებს იდენ-ტურობის სხვა სახეებისაგან (მაგ., კლასობრივისაგან).

ემოციები უდავოდ დიდ როლს თამაშობს სოციალურ ცხოვრებაში. მაგრამ პრიმორდიალისტები მას რაღაც მისტიკურ მოვლენად წარმოადგენენ და წყვეტენ სოციალური სინამ-დვილისაგან. მათი აზრით, ეს ემოციური კავშირები არ წარმო-იქმნება სოციალური ურთიერთქმედების შედეგად, არამედ თავისთავად იჩენს თავს ნებისმიერ ურთიერთობებში. გარ-კვევა, თუ რომელი ხდება გრძნობების (ეროსი, ეთნიკური ან რელიგიური) საგანში ჩართული და ჩამოყალიბებული, პასუხი ერთია – რიტუალების საშუალებით. რიტუალები მაღალი მოქმედების ხელოვნების, ადგილების და ცალკეული გრძნობების წარმოქმნის ასეთს.

***ე) ერების წარმოშობის თარიღი.*** განსაკუთრებული კამათის საგანია პრიმორდიალისტების მტკიცება, რომ ერები და ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობდა, რაც სამეცნიეროდ და სხვა კლასობრივ საზოგადოებას არსებობს. მოდერნის-ტების მთავარი საწინააღმდეგო არგუმენტი ისაა, რომ ერო-

სახელმწიფოს გარეშე ერისა და მით უფრო ნაციონალიზმის არსებობაზე ლაპარაკი აბსურდია. ერი-სახელმწიფოები კი XVII–XVIII საუკუნემდე საერთოდ არ არსებობდა. ანტიკურ პერიოდში და შუა საუკუნეებში მმართველი ფენა ხშირად ეთნიკურად განსხვავდებოდა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, ეთნიკურობას მაშინ არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დღეს აქვს. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის მმართველ ელიტაში ჭარბობდნენ კავკასიური, ალბანური, ქურთული წარმოშობის პირები და ეს თურქულენოვანი მოსახლეობისთვის რაიმე უცნაურს და მიუღებელს არ წარმოადგენდა. ეთნიკური იდენტურობა არ წარმოადგენდა სახელმწიფოს საფუძველს და ამდენად ერი-სახელმწიფოს ფენომენიც იმ პერიოდში პრაქტიკულად უცნობი იყო.

ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის პრიმორდიალურ შეხედულებას უპირისპირდებიან არა მარტო მოდერნისტები, არამედ ეთნოსიმბოლისტებიც. ენტონი სმიტი, რომელიც ამტკიცებს, რომ უძველესი დროიდან არსებობს ეთნოპოლიტიკური ერთობები, რომლებიც ძველი და შუა საუკუნეების სახემწიფოების საფუძველს შეადგენდნენ (ეთნოსები ანუ ethnie, როგორც იგი უწოდებს), არ თვლის ასეთ ერთობებს ერებად და უარყოფს ერების (დღევანდელი გაგებით) და ნაციონალიზმის არსებობის შესაძლებლობას XVIII საუკუნემდე.

სმიტი განიხილავს ძველ ეგვიპტელებს, ძველ ბერძნებს და ებრაელებს. სამივე ეს ხალხი მისი აზრით, წარმოადგენდნენ ethnie-ს (ეთნოსები – პოლიტიკური მნიშვნელობით), მაგრამ არა ერებს. ამ ხალხების ეკონომიკა არ ქმნიდა ერთიან ბაზარს და ძირითადად თვითდაკმაყოფილებას ემსახურებოდა. არ არსებობდა მოქალაქეობა და შესაბამისად არც უფლებებისა და მოვალეობების კონცეფცია. ამგვარად, უფრო მართებული იქნებოდა ძველი ეგვიპტისათვის ეთნიკური სახელმწიფო გვეწოდებინა და არა ერი და ერი-სახელმწიფო. ხოლო ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და მოძრაობა, არა თუ ძველ ეგვიპტეში, არამედ შუა საუკუნეებშიც კი შეუძლებელია არსებულიყო (Smith A.D. 1991). იგივე შეიძლება ითქვას ძველ ბერძნებსა და ებრაელებზე. მიუხედავად ეთნიკური თვითშეგნების მაღალი დონის (ეთნოცენტრიზმი ბერძნებში) და (იუდაისტური ერთობა ებრაელებში) მათი ერებად მიჩნევა ანტიკურ ეპოქაში საფუძველს მოკლებულია.

როგორც უ. კონორი აღნიშნავს, ნაციონალიზმი მასობრივი მოვლენაა. ის ფაქტი, რომ მმართველი ელიტის ან ინტელიგენციის წარმომადგენლები აცხადებენ ნაციონალურ გრძნობებს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეროვნული თვითშეგნება მომხდარ ფაქტად მივიჩნიოთ და მასების ღირებულებით სისტემად ჩავთვალოთ, მით უფრო მათი განსაკუთრებულობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის პირობებში (Connor, 1994).

აღნიშნული მსჯელობების ბაზაზე ბევრი აკეთებს დასკვნას, რომ პრიმორდიალიზმი ნაციონალიზმის თეორიაში სავსებით დასაბუთებული მიმდინარეობაა და ფაქტიურად მთლიანად უარყოფილია. ასეთი კატეგორიული დასკვნის გაზიარება, ალბათ, არ იქნება გამართლებული, რადგან პრიმორდიალიზმი, მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა უდავოდ შეიცავს რაციონალურ მარცვლებს და ბევრი მისი დებულება საყურადღებო და მისაღებია.

## 3.2. მოდერნიზმი

ნაციონალიზმის თეორიულ მიმდინარეობებს შორის მოდერნიზმი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიაა, ე. სმიტის აზრით (Smith, 1998). მოდერნიზმი თავისი კლასიკური სახით XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო აზია-აფრიკის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ახალი სახელმწიფოების წარმოშობასთან. იგი ნაციონალიზმის დომინანტ თეორიად იქცა.

მოდერნიზმის ძირითადი არსი გამოიხატება იმაში, რომ ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მათი ისტორია მხოლოდ უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. ერები და შესაბამისად ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება და ისინი თანამედროვე ეპოქის ისეთივე პროდუქტია, როგორც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, სეკულარიზმი და ა.შ. ჰობსბაუმი თვლის, რომ „ნაციონალიზმი წინ უსწრებს ერებს. ერები კი არ ქმნიან სახელმწიფოებსა და ნაციონალიზმს, არამედ პირიქით" (Hobsbawm, 1990, p.10).

მოდერნიზმი არ არის ერთიანი და ცალსახად გამოკვეთილი თეორია. იგი უფრო მიმდინარეობათა ერთობლიობაა, რომლებსაც ერთი საერთო ნიშანი – ერისა და ნაციონალიზმის ახალი ეპოქის ფენომენებად მიჩნევა, აერთიანებს. უ. ოზკირიმლი (Ozkirimli, 2000) მოდერნიზმს სამი ნიშნის მიხედვით ჰყოფს: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ის ფაქტორები, რომლებიც განმსაზღვრელად მიიჩნევა ერების და ნაციონალიზმის წარმოშობაში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე ფაქტორი (ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალურ-კულტურული) მიიჩნევა ერის წარმოშობის მიზეზად. ცხადია, სამივე ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ფაქტორს ანიჭებს ესა თუ ის მკვლევარი უპირატესობას, ხდება მათი დაყოფა მოდერნიზმის სხვადასხვა მიმდინარეობად.

### *3.2.1. ეკონომიკური ტრანსფორმაცია*

მოდერნიზმის ამ მიმართულების წარმომადგენლები ძირითადად ნეომარქსისტები არიან, რომლებიც ერების წარმოშობას ეკონომიკურ ფაქტორებს და კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეულ დონეს უკავშირებენ. XX საუკუნის 60–70-იან წლებში გარკვეული პრობლემები შეიქმნა ნაციონალიზმის შესახებ კლასიკურ მარქსისტულ გაგებაში. კერძოდ, ანტიკოლონიურმა და ანტიიმპერიალისტურმა ნაციონალიზმმა საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა და მემარცხენე შეხედულებების ინტელექტუალებისათვის პროგრესულ იდეოლოგიად და მოძრაობად იქცა, რომელიც სიმპათიას და მხარდაჭერას იწვევდა. დამკვიდრდა აზრი, რომ ნეოიმპერიალიზმის, ეკონომიკური იმპერიალიზმისა და საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა ნაციონალური ბრძოლა იყო.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე „ეთნიკური გამოცოცხლების“ პროცესი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, ანუ ნაციონალიზმის იმ სახეობის აღორძინება, რომელიც პრიმორდიალურ საფუძველს ეყრდნობოდა. ლიბერალებისა და მარქსისტების აზრით კი, ეთნიკური ნაციონალიზმი უკვე განვლილი ეტაპი იყო. მან კი მოულოდნელად სერიოზული საფრთხე შეუქმნა არსებულ ერი-სახელმწიფოების მთლიანობას. ტრადიციული მარქსიზმი

ცუდად მომზადებული აღმოჩნდა ამ ფენომენის ახსნისათვის. მარქსისტთა ახალმა თაობამ სცადა შეენარჩუნებინა ეკონომიკის პრიმატი საზოგადოებრივ განვითარებაში, მაგრამ მასთან ერთად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა კულტურის, იდეოლოგიის და ენის როლს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტომ ნაირნისა და მაიკლ ჰეჩტერის შრომები.

*ა) ტომ ნაირნი და „არათანაბარი განვითარება".* ტომ ნაირნი ნეომარქსისტების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, რომელიც ნაციონალიზმის პრობლემებზე მუშაობს. მისი ძირითადი თვალსაზრისი გადმოცემულია წიგნებში „ბრიტანეთის დაშლა" და „ნაციონალიზმის სახეები" (Nairn, 1981, 1997).

თავის პირველ წიგნში ნაირნი რჩება რა ნეომარქსისტად; დიდ სიმპათიას ამჟღავნებს შოტლანდიური ნაციონალიზმის მიმართ და მას პროგრესულ და გამართლებულ მოვლენად მიიჩნევს. ამიტომ იყო, რომ „ბრიტანეთის დაშლამ" დიდი გაკვირვება გამოიწვია როგორც მარქსისტებში, ისე ნაციონალისტებში. როგორც ე. გელნერი აღნიშნავდა ტ. ნაირნის ნაციონალიზმის თეორია შინაარსობრივად სწორია, მაგრამ გაუგებარია როგორ შეიძლება მისი შეთავსება მარქსიზმთან, რომლისთვისაც ნაციონალური ღირებულებების პრიმატი კლასობრივ ინტერესებზე, საერთოდ წარმოუდგენელია.

ნაირნის მარქსისტობა ამ ნაშრომში მჟღავნდება თეზისით, რომ ნაციონალიზმის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ერთ განმსაზღვრელ ფაქტორთან და ეს არის არა ერის შინაგანი განვითარების შედეგი, არამედ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება. კერძოდ ნაციონალიზმი წარმოიშობა, როგორც პასუხი არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებაზე ბირთვსა და პერიფერიას შორის გლობალურ დონეზე. ამგვარად, ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი არც ხალხში და არც ინდივიდშია, იგი მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ.

ნაირნი თვლის, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობა მეტროპოლიასთან შედარებით, კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხებში იწვევს პროტესტის გრძნობას, რომელიც ნაციონალიზმის სახეს იღებს. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოს განაპირა რაიონების მიმართაც, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური განვითარების დონით ჩამორჩებიან ცენტრალურ რაიონებს (მაგ., შოტლანდია დიდ ბრიტანეთში). ამგვარად, ნაციონალიზმი

პროგრესული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოვლენაა, რაც ანტიიმპერიალისტური შინაარსის მატარებელია და ამდენად მხარდაჭერასა და წახალისებას საჭიროებს.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ნაირნი ნაციონალიზმში მხოლოდ ეკონომიკურ მიზეზებს ხედავს და სხვა ფაქტორებს ყურადღებას არ აქცევს. იგი ნაციონალიზმს თავისებურ იანუსად მიიჩნევს, რომელიც ერთი სახით უკან წარსულისაკენ იყურება, მეორე სახით კი მომავალს გასცქერის. ამდენად, ნაციონალიზმის ის მხარეები, რომლებიც წარსულის იდეალიზაციას და ეროვნული გამორჩეულობის გრძნობის გაღვივებას ემსახურება უარყოფით ელემენტებს შეიცავს, მაგრამ ეს უარყოფითი მხარეები გაცილებით მცირე და ნაკლებმნიშვნელოვანია იმ დადებით მხარეებთან შედარებით, რომელიც ნაციონალიზმს, როგორც თავისუფლებისათვის და ეკონომიკური განვითარებისათვის მებრძოლ იდეოლოგიას და მოძრაობას ახასიათებს, რადგან იგი მოსახლეობის მობილიზაციას ახდენს მეტროპოლიის მხრიდან ზეწოლის წინააღმდეგ. მოკლედ, ნაციონალიზმი შედეგია იმ წინააღმდეგობისა, რაც ბირთვსა და პერიფერიას შორის არსებობს და რაც ნეომარქსისტების აზრით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს.

შოტლანდიური ნაციონალიზმის მიმართ მკვეთრად გამოხატული სიმპათია აისახება არა მარტო ნაირნის შოტლანდიური წარმოშობით, არამედ მისი ნეომარქსისტული ხედვითაც, რადგან მიიჩნევს რა დიდ ბრიტანეთს დამპყრობლად და არქაულ, არამოდერნიზებული ბუნების სახელმწიფოდ, თვლის მას პროგრესის შემაფერხებლად. შოტლანდიის დამოუკიდებელი განვითარება (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის ზღვაში, შოტლანდიის ნაპირების სიახლოვეს ნავთობისა და გაზის უმდიდრესი საბადოები აღმოჩნდა) გაცილებით ლოგიკური და გამართლებული ნაბიჯი იქნება, ვიდრე მისი დარჩენა ბრიტანეთის შემადგენლობაში. შოტლანდია, როგორც ბრიტანეთის „შიდა კოლონია", სავსებით იმსახურებს დამოუკიდებლობას, ამიტომ დიდი ბრიტანეთი როგორც ერთიანი სახელმწიფო უნდა დაიშალოს.

თავის მეორე წიგნში (Nairn, 1997) ნაირნი კიდევ უფრო იხრება ნაციონალიზმისაკენ. იგი მკვეთრად აკრიტიკებს ინტერნაციონალზმს, როგორც „მეტროპოლიურ" ანდა „ატლანტიკურ" (ჩრდილოეთის) იდეოლოგიას. მსოფლიოში, სადაც სოციალიზმი

შეუძლებელი შეიქნა, მომავალი დემოკრატიისა და პროგრესის წყარო მცირე ერების ნაციონალიზმია.

ცხადია, ნაირნის ამ მოსაზრებებმა მძაფრი კრიტიკა გამოიწვია და მრავალმა ავტორმა მიუთითა იმ შეუსაბამობაზე, რომელიც მის დებულებებსა და ისტორიულ ფაქტებს შორის არსებობს.

კერძოდ, ნაირნის მიხედვით ნაციონალიზმი წარმოიშვება კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების შედეგად, იგი პასუხია კოლონიალიზმზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება ევროპული (ფრანგული, ინგლისური) ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი. ის ხომ უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე კოლონიური იმპერიები შეიქმნებოდა, ხოლო ანტიკოლონიური ნაციონალიზმი, რომელსაც ნაირნი იმპერიალიზმზე რეაქციად მიიჩნევს უფრო გვიანდელია, ვიდრე ნაციონალიზმი ევროპის ქვეყნებში.

გარდა ამისა, ნაირნი თვლის, რომ ნაციონალიზმის წარმოშობის უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური ჩამორჩენილობაა მეტროპოლიასთან ან სახელმწიფოს ცენტრალურ რეგიონთან შედარებით. მაგრამ ძალიან ბევრ შემთხვევაში ეს წარმოდგენა არ დასტურდება. ჯონ ბროილს (Breuilly, 1993) მოჰყავს მაგალითი, რომ ჰაბსბურგთა იმპერიაში ყველაზე ძლიერი იყო უნგრული ნაციონალიზმი, მაშინ როცა უნგრელები არ წარმოადგენდნენ ჩაგრულ ხალხს და ვერც უნგრეთს მივიჩნევთ იმპერიის ჩამორჩენილ რეგიონად, ხოლო ჩეხეთი ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებული მხარე იყო ჰაბსბურგთა იმპერიაში და ნაირნის თეორიით, აქ ნაციონალისტური მოძრაობა საერთოდ არ უნდა წარმოქმნილიყო. ასევე კატალონია და ბასკეთი სრულიადაც არ არიან ესპანეთის ჩამორჩენილი რეგიონები, ხოლო ბელგია XIX საუკუნის 20-იან წლებში ნიდერლანდების ყველაზე ინდუსტრიული რაიონი იყო. მიუხედავად ამისა, სწორედ აღნიშნულ შემთხვევებში გვქონდა ნაციონალიზმის ყველაზე აშკარა და მკვეთრი გამოვლინებები. იგივე შეიძლება ითქვას ნორვეგიის შვედეთთან და ფინეთის რუსეთთან მიმართებაში. ამავე დროს არავითარ ნაცონალიზმს არ ჰქონია ადგილი ჩრდილოეთ ინგლისსა და სამხრეთ იტალიაში, სადაც ეკონომიკური ჩამორჩენილობა ცენტრალურ რეგიონებთან შედარებით სრულიად აშკარა ფაქტი იყო. ამიტომ ნაციონალიზმის განმსაზღვრელ მიზეზად ეკონომიკის მიჩნევა, მკლევართა დიდი უმრავლესობის აზრით, საფუძველს მოკლებულია.

ნაირნის თეორიის სუსტი მხარეა ისიც, რომ იგი რჩება კლასიკურ მარქსისტულ მიდგომაზე ერების „ისტორიულ“ და „უისტორიო“ ერებად დაყოფის შესახებ. ისტორიული ანუ „ძირითადი“ ერების ნაციონალიზმი რაღაც თავიდანვე მოცემულად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა „პერიფერიული“ ხალხების ნაციონალიზმი, მხოლოდ „ძირითადი“ ერების მიერ მათ ჩაგვრაზე წარმოქმნილი რეაქციაა. ამასთანავე, ნაირნი არ იძლევა იმის მკაფიო ახსნას თუ რატომ იღებს უთანაბრო ეკონომიკური განვითარება ნაციონალიზმის სახეს, ხოლო ამ უკანასკნელის დაყვანა ეკონომიკურ პარამეტრებზე, საკითხის ძლიერი გამარტივებაა.

*ბ. მაიკლ ჰეჩტერი და „შიდა კოლონიზაცია“.* ამერიკელი მეცნიერის მაიკლ ჰეჩტერის წიგნი „შიდა კოლონიალიზმი: კელტური არეალი ბრიტანეთის ეროვნულ განვითარებაში, 1536–1966“ (Hechter, 1975) ნაციონალიზმის ნეომარქსისტულ თეორიაში მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. ნაშრომში ავტორმა ლენინის ცნობილი დებულება შიდა კოლონიალიზმის შესახებ ნაციონალიზმის კუთხით წარმოაჩინა, ამასთან, სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, მან თავისი მოსაზრებების გამაგრება დიდძალი რაოდენობრივი მონაცემებით და სტატისტიკური ანალიზის საშუალებით სცადა.

ჰეჩტერი ნაციონალური განვითარების ორ მოდელზე ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც ადგილი ორი სხვადასხვა ეთნოსის შეხების არეალში აქვს. ესენია ასიმილაცია და კონფლიქტი.

ასიმილაციის შემთხვევას იგი განვითარების დიფუზიურ მოდელად მოიხსენიებს და სამ სტადიად ჰყოფს. პირველი ეტაპი პრეინდუსტრიულია და ამ დროს ბირთვსა და პერიფერიას შორის ურთიერთობა არ არის. ამასთანავე, ფუნდამენტალური განსხვავებაა მათ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინსტიტუციებში. მეორე სტადია ინდუსტრიალიზაციის ეტაპია, როცა ბირთვში წარმოქმნილი ინსტიტუციები „იჭრება“ პერიფერიაში და ძირეულად გარდაქმნის მას. ეს გარდაქმნა ეხება ყველა სფეროს: ხდება ბირთვისა და პერიფერიის დაახლოება და გარკვეულწილად შერწყმა კიდეც. შედეგად, ბირთვისა და პერიფერიის რეგიონების კულტურული ჰომოგენიზაცია მიმდინარეობს და ეთნიკური განსხვავებულობის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი ისპობა. მესამე და უკანასკნელ სტადიაზე განსხვავება ბირთვისა და პერიფერიის

ინტიტუტებს შორის საერთოდ ქრება და ეთნიკური ასიმლაცია უკვე მომხდარი ფაქტია.

ჰეჩტერის აზრით, ასიმილაციის მოდელი „ზეოპტიმისტურია“ და ძალზე იშვიათად აქვს ადგილი. გაცილებით რეალურია მეორე, ე.წ. „შიდა კოლონიური მოდელი“. ამ მოდელის მიხედვით ბირთვი ყოველთვის ინარჩუნებს დეტერმინანტურ მდგომარეობას და კოლონიურ ვითარებაში აყენებს პერიფერიას, რაც ეთნიკურ შეფერილობას იღებს და ნაციონალიზმის წარმოქმნის წყარო ხდება. ამ პირობებში არა თუ ეთნიკურ ასიმილაციას, არამედ ეთნიკურ დაპირისპირებასა და ეთნოკონფლიქტს აქვს ადგილი.

მოკლედ, ჰეჩტერი თვლის, რომ მოდერნიზაციის არათანაბარი გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოქმნის „დაწინაურებულ“ და „ჩამორჩენილ“ ჯგუფებს. დაწინაურებული ჯგუფი ანუ ბირთვი ცდილობს თავისი უპირატესობა დააკანონოს და შეინარჩუნოს. მისი ეკონომიკა ხასიათდება მრავალმხრივი ინდუსტრიული სტრუქტურით, მაშინ როცა პერიფერიული ეკონომიკა დამოკიდებული და დაქვემდებარებულია ბირთვის ეკონომიკაზე. გარდა ამისა, დაწინაურებული ჯგუფი არეგულირებს სოციალურ როლებს და ყველაზე უფრო პრესტიჟული როლები საკუთარი ჯგუფის წევრებისთვის არის განკუთვნილი. ნაკლებად დაწინაურებული და ჩამორჩენილი ჯგუფის წევრები კი ასეთ როლებს მოკლებულნი არიან. ჰეჩტერი ამ მდგომარეობას „შრომის კულტურულ დანაწილებას“ უწოდებს. აშკარად ანუ დე იურედ ეს იშვიათად გამოიხატება. უფრო ხშირია ფარული დე ფაქტო დისკრიმინაცია. ხშირად ეს კულტურული დანაწილება უწყობს ხელს ინდივიდებს თვითიდენტიფიკაცია გაუკეთონ საკუთარ თავს თავიანთ ჯგუფებთან, რაც ჯგუფური სოლიდარობის ზრდას იწვევს.

როგორც მარქსისტი, ჰეჩტერი გამოჰყოფს ორ პირობას, როგორც აუცილებელს ჯგუფური სოლიდარობის წარმოშობისათვის. პირველი: უნდა იყოს არსებითი ეკონომიკური უთანაბრობა ინდივიდებს შორის, რათა ეს უთანაბრობა აღქმული იქნეს, როგორც ნაწილი კოლექტიური ჩაგვრისა. თანაც ეს ჩაგვრა გაცნობიერებული უნდა იყოს როგორც უკანონო და უსამართლო მდგომარეობა. მეორე: ჩაგრული ჯგუფის წევრებს შორის უნდა იყოს საკმარისი ურთიერთობა და კავშირი.

როცა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უთანხმოება ბირთვისა და პერიფერიის ჯგუფებს შორის დიდია, ამ ჯგუფების გაერთიანება ერთ ერად აბსოლუტურად შეუძ-

ლებელია და რადგან კაპიტალიზმის პირობებში ეს განსხვავებები საყოველთაოა, შიდა კოლონიალიზმის მოდელი გაცილებით რეალურია, ვიდრე დიფუზიური.

ჰეჩტერის თეორიას იგივე ნაკლოვანებები აქვს, რაც ნაირნის თეორიას. ეკონომიკური ჩამორჩენილობა თუ არაპრივილეგირებული მდგომარეობის გამოცხადება ჯგუფური სოლიდარობისა და შესაბამისად ნაციონალიზმის ძირითად ფაქტორად კრიტიკას ვერ უძლებს. კატალონიასა და შოტლანდიას, რომ თავი დავანებოთ, თვით ამერიკელი ებრაელების მაგალითიც საკმარისია. მათ ძალიან მაღალი სოლიდარობის გრძნობა ახასიათებთ, მაგრამ საეჭვოა ვინმემ ისინი მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ანდა დაჩაგრულ ჯგუფად მიიჩნიოს. ხოლო ევროპასა და აშშ-ში ებრაელების, სომხების, ბოშებისა და შავკანიანების ეთნიკური გამოცოცხლების ახსნა ეკონომიკური ფაქტორებით ყველანაირ საფუძველს მოკლებულია.

### 3.2.2. პოლიტიკური ტრანსფორმაცია

მოდერნიზმის მეორე მიმართულებად უნდა ჩაითვალოს მიმდინარეობა, რომელიც ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზად პოლიტიკის ბუნების ტრანსფორმაციას მიიჩნევს. კერძოდ ავტორთა ნაწილი ნაციონალიზმისა და საერთოდ ერების წარმოშობის მიზეზად თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებას თვლის, ზოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებას ანიჭებს. არის სხვა პოლიტიკური მოვლენებიც, რომლებიც ნაციონალიზმის ჩამოყალიბების და გავრცელების განმსაზღვრელ ფაქტორად აღიქმება სხვადასხვა მკვლევრების მიერ. შევჩერდებით მხოლოდ სამ ავტორზე.

*ა. ჯონ ბროილი და ნაციონალიზმი როგორც პოლიტიკის ფორმა.* ინგლისელი მეცნიერის ჯონ ბროილის წიგნი „ნაციონალიზმი და სახელმწიფო" (Breuilly, 1993). პირველად 1982 წელს გამოიცა და მაშინვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ფუნდამენტურმა გამოკვლევამ, სადაც 30-ზე მეტი კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე დეტალურად არის განხილული ნაციონალიზმისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირი.

წიგნის დასაწყისშივე ბროილი ხაზს უსვამს, რომ იგი სკეპტიკურად არის განწყობილი ნაციონალიზმის ზოგად, საყოველთაო თეორიის მიმართ და თვლის, რომ ნაციონალიზმის

ყოველი შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. თუმცა ეს არ გამორიცხავს ნაციონალიზმის გარკვეული ტიპოლოგიის შესაძლებლობას. პირიქით აუცილებელია ნაციონალიზმის კონკრეტული შემთხვევების დაჯგუფება გარკვეული საერთო ნიშნების მიხედვით და შემდეგ მათი ცალ-ცალკე შესწავლა.

ბროილის მთავარი დასკვნა ისაა, რომ ნაციონალიზმი პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მიისწრაფვის ძალაუფლებისაკენ და ამართლებს თავის მოქმედებას ეროვნული არგუმენტებით. ეს არგუმენტები სამი მთავარი დებულებით შეიძლება გამოიხატოს:

– არსებობს ერი თავისი აშკარა და გამორჩეული ხასიათით;

– ერის ინტერესები და ფასეულობები პრიორიტეტულია ყველა სხვა ინტერესებსა და ფასეულობებთან შედარებით;

– ერი უნდა იყოს რაც შეიძლება დამოუკიდებელი. ჩვეულებრივ, ეს მოითხოვს სულ ცოტა პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევას.

ნაციონალიზმი, როგორც წესი, ლიტერატურაში ახსნილია სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით. ესენია: იდეები, კლასობრივი ინტერესები, ეკონომიკური მოდერნიზაცია, ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები, კულტურა და ა.შ. მაგრამ ბროილის აზრით, ვერც ერთი მათგანი, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა ვერ ხსნის ნაციონალიზმის არსს. იგი თვლის, რომ ნაციონალიზმი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკაა, ხოლო პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა არის ძალა, ძალაუფლება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ხელშია. ამდენად ნაციონალიზმი სახელმწიფო ძალაუფლებისაკენ სწრაფვაა. სწორედ ეს არის მთავარი და ყველა სხვა ფაქტორი ამ მისწრაფებასთან შედარებით მეორეხარისხოვანია.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ბროილის თეორიაში არის ნაციონალიზმის მიმართება მოდერნიზაციის პროცესთან. ბროილს მოდერნიზაცია ესმის, როგორც ფუნდამენტალური ცვლილება შრომის დანაწილებაში. კერძოდ, შრომის „კორპორაციული" დანაწილებიდან „ფუნქციურ" დანაწილებაზე გადასვლა. პირველი მათგანის დროს ფუნქციები გაერთიანებულია ცალკეულ ინსტიტუციებში. მაგალითად, გილდიას ჰქონდა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული ფუნქციები. შესაბამისად ასეთ პირობებში ეკლესია, გლეხური თემი, თავადაზნაურობა და თვით მეფეც მრავალფუნქციურია. XVIII საუკუნის შემდეგ შრომის ასეთი დანაწილება იცვლება ახალი

„ფუნქციური“ დანაწილებით, როცა ყოველი დიდი სოციალური ფუნქცია კონკრეტული ინსტიტუტის საქმეა. ეკონომიკური ფუნქციები ინდივიდუმებისა და ფირმების საქმე ხდება, ეკლესია მხოლოდ რელიგიური საქმეებით არის დაკავებული, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების დელიგირება ხდება სპეციალურ ბიუროკრატიულ აპარატზე, რომელსაც არჩეული პარლამენტი ან განათლებული დესპოტი აკონტროლებს.

აღნიშნული ტრანსფორმაცია უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ამ ტრანსფორმაციის კავშირი ნაციონალიზმთან თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებაში გამოიხატა, რაც უამრავ მსხვერპლთან და სისხლისღვრასთან არის დაკავშირებული.

ბროილის აზრით, თანამედროვე სახელმწიფოში „საჯარო“ ხელისუფლება სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტების (პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება) ხელშია, ხოლო „კერძო“ ძალაუფლება არაპოლიტიკური ინსტიტუტების კონტროლის ქვეშაა (თავისუფალი ბაზარი, კერძო ფირმები, ოჯახი და სხვ.). მთავარი პრობლემაა ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ანუ როგორ ხდება მოქალაქეთა საჯარო და კერძო ინტერესების დაკმაყოფილება.

პირველი პასუხი „პოლიტიკურია“ და ეყრდნობა მოქალაქეობის იდეას. ამ შემთხვევაში ინდივიდთა საზოგადოება განისაზღვრება როგორც მოქალაქეთა კავშირი. სახელმწიფოს მიმართ ვალდებულება დემოკრატიულ და ლიბერალურ ინსტიტუციებში მონაწილეობით ამოიწურება. „ერი“ მოქალაქეთა ერთობლიობაა და მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებს (და არა კულტურულ იდენტურობას) აქვს მნიშვნელობა.

მეორე პასუხი „კულტურულია“ და ეფუძნება საზოგადოების კოლექტიურ ხასიათს. იგი პირველად ფორმულირებულ იქნა პოლიტიკური ელიტის მიერ, რომელიც შეეჯახა როგორც ინტელექტუალურ (როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო ქმედებების ლეგიტიმიზაცია), ისე პოლიტიკურ პრობლემებს (როგორ უნდა მოიპოვო მასების მხარდაჭერა). ამ პრობლემების გადაწყვეტა სტანდარტიზებულ იქნა და უზრუნველყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ერთიანი იდენტურობა.

ამგვარად, ნაციონალიზმი, ბროილის აზრით, თავისებური, „ჟონგლიორული“ იდეოლოგიაა, რომელიც ორ საწყისს აერთიანებს: ერი, როგორც მოქალაქეთა ერთობა და ერი, როგორც კულტურული ერთობა.

რაც შეეხება ნაციონალისტურ მოძრაობას, აქ ბროილი ორ ასპექტს გამოყოფს: პირველია ურთიერთდამოკიდებულება ამ მოძრაობასა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც ეწინააღმდეგება ან აკონტროლებს აღნიშნულ მოძრაობას. ცხადია სამყაროში, სადაც ერი ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფუძველი, ასეთი მოძრაობა ყოველთვის ოპოზიციურია. მეორე ასპექტი კი გულისხმობს ნაციონალისტური მოძრაობის მიზნებს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია მოძრაობა არსებული სახელმწიფოსაგან გამოყოფისათვის (სეპარაცია), მოძრაობა ნაციონალური გარდაქმნებისათვის (რეფორმები) და მოძრაობა სხვა სახელმწიფოსთან შეერთებისათვის ანდა გაერთიანებისათვის (უნიფიკაცია).

ბოლოს ბროილი გამოჰყოფს ნაციონალისტური იდეების სამ განსხვავებულ ფუნქციას: კოორდინაციას, როცა ნაციონალისტური იდეები ემსახურება საერთო ინტერესების ყველაზე უფრო მაღლა დაყენებას; მობილიზაციას, როცა ნაციონალისტური იდეები ემსახურება მანამდე პოლიტიკური პროცესებიდან გვერდზე მდგომი ფართო მასების პოლიტიკური მოძრაობის მხარდაჭერას და ლეგიტიმაციას, როცა ნაციონალისტური იდეები გამოიყენება პოლიტიკური მოძრაობის გასამართლებლად, როგორც იმ ქვეყანაში, სადაც ეს მოძრაობა მიმდინარეობს და ამ ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული, ისე სხვა სახელმწიფოებისა და მთლიანად მსოფლიო საზოგადოებრივ აზრში.

*ბ) პოლ ბრასი და ინსტრუმენტალიზმი.* ამერიკელი მეცნიერი პოლ ბრასი ნაციონალიზმის თეორიაში შევიდა, როგორც ახალი მიმდინარეობის — ინსტრუმენტალიზმის დამფუძნებელი და მთავარი წარმომადგენელი. ძალიან ზოგადად, ინსტრუმენტალიზმი გულისხმობს, რომ ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობა არის მოხერხებული ინსტრუმენტი დაპირისპირებული ელიტარული ჯგუფების ხელში მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. პრიმორდიალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვლიან, რომ ეთნიკურობა „თავიდანვე მოცემული", წინასწარგანსაზღვრული კატეგორიაა, ინსტრუმენტალისტები მიიჩნევენ, რომ ეთნიკური და ნაციონალური კუთვნილება თავიდან განისაზღვრება და ხელახლა ფორმირდება გარემოებისა და პირობების ცვლილებებისა და პოლიტიკური ელიტების მანიპულირების პასუხად. როგორც თვითონ ბრასი აღნიშნავს, ეთნიკურობისა და ეროვნულობის კვლევა არის კვლევა იმ პროცესისა, რომლისაც ეთნიკური ჯგუფის ელიტა

ირჩევს ჯგუფის კულტურის ცალკეულ ასპექტებს, ანიჭებს მათ ახალ აზრსა და ფასეულობებს და იყენებს როგორც სიმბოლოს ჯგუფის მობილიზაციისათვის, რათა დაიცვას თავისი ინტერესები და დაუპირისპირდეს სხვა ჯგუფებს (Brass, 1991).

ბრასის თეორია რამდენიმე საბაზისო წანამძღვარს ეყრდნობა. პირველი მათგანია ეთნიკური იდენტურობის ცვალებადობა. ბრასის მიხედვით, ეთნიკური თვითშეგნების ზრდა და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში არავითარ მოულოდნელობას არ წარმოადგენს. პირიქით, კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ პირობებში. მეორე, ეთნიკური კონფლიქტები არ წარმოიშვება კულტურული განსხვავებებისა და შეუთავსებლობის გამო, არამედ მისი მიზეზია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ელიტარულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფორმას იღებს. მესამე, ეს დაპირისპირება გავლენას ახდენს შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებზე, რადგან მათი კულტურის ფორმები, ფასეულობები და პრაქტიკული ქმედებები ხდება პოლიტიკური რესურსი ელიტარებისათვის, მათ ბრძოლაში ძალაუფლებისა და პრესტიჟისათვის. ისინი გარდაიქმნებიან სიმბოლოებად, რომლებიც აადვილებენ პოლიტიკური იდენტურობის ფორმირებას. ბოლოს მეოთხე, ყველა ეს წანამძღვარი გვიჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტურობის პროცესი და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში შექცევადია. დამოკიდებულნი არიან რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებზე, ელიტარებმა შეიძლება „გადაითამაშონ" ეთნიკურ განსხვავებებზე და ეძებონ თანამშრომლობის შესაძლებლობები სხვა ჯგუფებთან და სახელმწიფო ხელისუფლებასთან.

ამგვარად, ბრასი თვლის, რომ ნაციონალიზმის წარმოშობის ბაზა ეთნიკური იდენტურობის ფორმირება და ცვლილებებია. თვით ეთნიკური იდენტურობა კი ემყარება „ობიექტურ კულტურულ კრიტერიუმებს", რომელთაც იგი „ეთნიკურ კატეგორიებს" უწოდებს. ეთნიკურ კატეგორიებს შორის საზღვრების დადგენა ძალიან რთულია როგორც პრემოდერნულ საზოგადოებაში, როცა ეთნიკური ტრანსფორმაციის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, ისე პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, როცა კულტურული ასიმილაციის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია.

ეთნიკური ტრანსფორმაციის პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორებია კულტურული ბაზის და ელიტათშორისი დაპი-

რისპირების არსებობა. პირველ შემთხვევაში ხდება ჯგუფის გამორჩეულობის რწმენის დამკვიდრება, შიდაჯგუფური სოლიდარობის განმტკიცება და განსაკუთრებული სოციალური სტატუსის მოპოვება, რისი საბოლოო მიზანიც ჯგუფის პოლიტიკურ სისტემად ქცევა და მის ცალკე ერად აღიარებაა. მეორე ფაქტორი კი ოთხი განსხვავებული ფორმით იჩენს თავს: ესაა დაპირისპირება ადგილობრივ მმართველობასა და უცხო ხელისუფლებას შორის; დაპირისპირება რელიგიურ ელიტებს შორის; დაპირისპირება ადგილობრივ რელიგიურ ელიტასა და კოლაბორაციონისტურ ადგილობრივ არისტოკრატიას შორის; დაბოლოს, დაპირისპირება ადგილობრივ რელიგიურ ელიტასა და უცხო არისტოკრატიას შორის (Brass, 1991, p.63).

მაგრამ არც ეთნიკური გამორჩეულობა და არც ელიტათშორისი დაპირისპირება არ არის საკმარისი პირობა ეთნიკური ტრანსფორმაციის დასაწყებად. ბრასის აზრით, ეს რომ მოხდეს, აუცილებელია არსებობდეს იდენტურობის შერჩეული სიმბოლოების სხვა სოციალურ კლასებთან კომუნიკაციის საშუალებები ეთნიკური ჯგუფის შიგნით, აგრეთვე აუცილებელია სოციალურად მობილიზებული მოსახლეობის არსებობა, რომელთანაც სიმბოლოებით ურთიერთობა შესაძლებელია; დაბოლოს, არ უნდა არსებობდეს მკვეთრი კლასობრივი „გახლეჩილობა“ და სხვა კომუნიკაციური სირთულეები ელიტებსა და სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.

კომუნიკაციების განვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება წერა-კითხვის ცოდნის დონეს, მასმედიას და პირველ რიგში გაზეთს, ადგილობრივი ენებისა და დიალექტების სტანდარტიზაციას. კომუნიკაციური მობილობის მაღალი დონის მისაღწევად ორი პირობაა განსაკუთრებით აღსანიშნავი: ა)როცა ადგილობრივ რელიგიურ ელიტას ეკუთვნის ეკლესია-მონასტრები, აგრეთვე მათ მფლობელობაში მყოფი მიწები და რელიგიური სკოლები; ბ) როცა ადგილობრივი ენა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღიარებულია განათლებისა და ადმინისტრაციის ოფიციალურ ენად, შესაბამისად, ადგილობრივი ინტელიგენცია უზრუნველყოფილია სამუშაოთი და მოღვაწეობის შესაძლებლობით (Brass, 1991, p.64).

ბრასის მიხედვით, ეთნიკური ტრანსფორმაციისათვის საკმარისი და აუცილებელი პირობები თავის მხრივ ნაციონალისტური მოძრაობის განვითარების წინაპირობაა. ნაციონალიზმი, როგორც ელიტური მოვლენა შეიძლება გამოვლინდეს ეთნიკური

ტრანსფორმაციის ნებისმიერ, თვით ყველაზე ადრეულ სტადიაზე. ნაციონალისტური მოძრაობის წარმატება დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე, კერძოდ, მის პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, მთავრობის პოლიტიკაზე და ზოგად პოლიტიკურ სიტუაციაზე.

*გ) ერიკ ჰობსბაუმი და „ტრადიციის გამოგონება"*. მარქსისტი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი ნაციონალიზმის ანალიზში წამყვან როლს ასევე პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ანიჭებს. ავსტრიაში დაბადებული და ნაციზმის ეპოქაში გაზრდილი მეცნიერი ნაციონალიზმის ერთ-ერთი უმკაცრესი კრიტიკოსია, მიიჩნევს რა, რომ მაძინის დროინდელი გამაერთიანებელი და პროგრესული ნაციონალიზმი დიდი ხანია წარსულის კუთვნილებაა და ახალი ნაციონალიზმი ცალსახად უარყოფითი მოვლენაა. თავის წიგნებში „გამოგონილი ტრადიცია" და „ნაციონალიზმის ისტორია 1780 წლის შემდეგ" (Hobsbawm, 1983, 1990) იგი ასკვნის, რომ ნაციონალიზმი ინდუსტრიული რევოლუციის შედეგია, რომლის ისტორია XVIII საუკუნის ბოლოს იწყება.

ჰობსბაუმის მიხედვით, როგორც ერები, ისე ნაციონალიზმი „სოციალური ინჟინერიის" პროდუქტია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „გამოგონილი ტრადიციების" ცნება, რომელშიც ავტორი გულისხმობს პრაქტიკული ქმედებების ერთობლიობას, რომელიც ჩვეულებრივ აშკარად და ფარულად აღიარებული წესებით, სიტუაციებითა და სიმბოლოებით იმართება და მოიცავს წარსულიდან მომდინარე ზოგიერთ ღირებულებასა და ქცევის წესს. ჰობსბაუმი მიიჩნევს, რომ ასეთი გამოგონილი ტრადიციის ყველზე უფრო გამოკვეთილი მოვლენაა ერი. მიუხედავად ერების ისტორიული ახალგაზრდობისა, ისინი ინარჩუნებენ უწყვეტ კავშირს წარსულთან, იყენებენ ისტორიას თავიანთი ქმედებების გასამართლებლად და ჯგუფური შეკავშირების გასამტკიცებლად. წარსულსა და აწმყოს ეს უწყვეტობა ხელოვნურია. გამოგონილი ტრადიციები არის პასუხი ახალ სიტუაციაზე, რომელიც ძველ სიტუაციაზე მინიშნების ფორმით წარმოჩინდება. მაგალითისათვის ჰობსბაუმი მიუთითებს ბრიტანეთის პარლამენტის XIX საუკუნეში აშენებულ შენობას, რომლის გოთური სტილი წინასწარ იყო შერჩეული წარსულთან კავშირის ხაზგასასმელად (Hobsbawm, 1983).

ჰობსბაუმი განარჩევს გამოგონების ორ პროცესს, კერძოდ, ძველი ტრადიციებისა და ინსტიტუციების შეგუებას ახალ სიტუ-

აციასთან და „ახალი" ტრადიციების წინასწარგამიზნულ გამოგონებას ახალი მიზნებისათვის. პირველი მათგანი გვხვდება ყველა საზოგადოებაში, მათ შორის ტრადიციულში, მეორე კი წარმოიქმნება მხოლოდ სწრაფი სოციალური ცვლილებების პერიოდში, როცა წესრიგის და ერთიანობის შენარჩუნება უმთავრესი ამოცანა ხდება. ეს ხსნის „ეროვნული ერთობის" იდეას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის შეკავშირებას და დაცვას დეზინტეგრაციისა და ფრაგმენტაციისაგან, რაც თავის მხრივ ინდუსტრიალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს.

ჰობსბაუმის მიხედვით, პერიოდი 1870-დან 1914 წლამდე გამოგონილი ტრადიციების აპოგეად უნდა მივიჩნიოთ. „ტრადიციების გამოგონება" იყო მმართველი ელიტების ძირითადი სტრატეგია, რათა თავიდან აეცილებინათ მასების დემოკრატიული მოძრაობის საფრთხე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სამი მთავარი ინოვაცია: დაწყებითი განათლების შემოღება, სახალხო ცერემონიების დამკვიდრება (მაგ. ბასტილიის დღე) და სახალხო მონუმენტების მასიური მშენებლობა. ამ მოვლენების შედეგად ნაციონალიზმი ახალ, სეკულარულ რელიგიად იქცა (**Hobsbawm and Ranger, 1983**).

ჰობსბაუმი ეთანხმება გელნერის ცნობილ დეფინიციას ნაციონალიზმის შესახებ, რომ ეს არის იდეოლოგია და მოძრაობა, რომელიც მოითხოვს, რომ პოლიტიკური და ეროვნული ერთეულები ერთმანეთს ემთხვეოდეს, ხოლო პოლიტიკური მოვალეობები ერის წინაშე აღემატება ყველა სხვა მოვალეობას. ამით განსხვავდება მოდერნისტული ნაციონალიზმი ჯგუფური იდენტურობის ადრეული ფორმებისაგან, რომლებიც ნაკლებად „მომთხოვნია". ნაციონალიზმი ჰობსბაუმის მიხედვით მიეკუთვნება ისტორიის ახალ პერიოდს და თანამედროვე ერი-სახელმწიფოების წარმოშობამდე ყოველგვარ ერებსა და ნაციონალიზმზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია. ერთი სიტყვით, ჰობსბაუმი დარწმუნებულია, რომ ერები კი არ ქმნიან სახელმწიფოებს და ნაციონალიზმს, არამედ პირიქით, ნაციონალიზმმა შექმნა ერები და სახელმწიფოები.

ამასთანავე ჰობსბაუმი თვლის, რომ ნაციონალიზმის წარმოშობა უნდა განვიხილოთ პოლიტიკის, ტექნოლოგიის და სოციალური ტრანსფორმაციის გადაკვეთის წერტილში. ნაციონალიზმი არ არის მხოლოდ ტერიტორიული სახელმწიფოს პროდუქტი. ერები და შესაბამისად ნაციონალიზმი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების გან-

საზღვრულ ეტაპზე. კერძოდ, ეროვნული (სახელმწიფო) ენა არ შეიძლება წარმოიშვას ბეჭდვითი სიტყვის გამოგონებამდე და წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებამდე, ანუ სასკოლო განათლების მასობრივად გავრცელების გარეშე. ამგვარად, ერები და ნაციონალიზმი დუალისტური ფენომენია, რომელიც ერთი მხრივ ზემოდან არის კონსტრუირებული, მეორე მხრივ კი აგებულია იმ მისწრაფებებით, სურვილებით, იმედებით, საჭიროებებით და ინტერესებით, რომლებიც უბრალო ხალხისათვის არის დამახასიათებელი და არ არის აუცილებელი ნაციონალური და მით უფრო ნაციონალისტური ხასიათისა იყოს (Hobsbawm, 1990, p.10). ცხადია, მოსახლეობის ფართო მასების განწყობისა და მისწრაფებების გაგება საკმაოდ რთულია. ჰობსბაუმი თვლის, რომ ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგია ზუსტად არასოდეს ემთხვევა მოსახლეობის ფართო მასების აზრებს, ასევე შეუძლებელია დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ნაციონალური იდენტიფიკაცია უბრალო ხალხისათვის იდენტიფიკაციის სხვა ფორმებზე მაღლა დგას; დაბოლოს, აშკარაა, რომ ნაციონალური იდენტიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს დროში, თანაც მცირე მონაკვეთშიც კი.

ნაციონალიზმის ისტორიაში ჰობსბაუმი სამ ძირითად ეტაპს გამოყოფს: საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან 1918 წლამდე, რომელიც თავის მხრივ ორ ქვეპერიოდად იყოფა: 1870 წლამდე, ანუ დემოკრატიული ნაციონალიზმის ქვეპერიოდი, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის იდეებს ეყრდნობოდა და 1870 წლის შემდგომი პერიოდის ნაციონალიზმი, რომელიც რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების ჩაგრული ხალხების სახელთანაა დაკავშირებული.

მეორე პერიოდი 1918–1950 წლებს მოიცავს და ნაციონალიზმის აპოგეაა. ერთი მხრივ, ეს ფაშიზმისა და ნაციზმის აყვავების ეპოქაა, მეორე მხრივ კი ნაციონალიზმი უკავშირდება მემარცხენე, ანტიიმპერიალისტურ და ანტიკოლონიურ ბრძოლას და ამდენად, პროგრესულ მოვლენად აღიქმება.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი ნაციონალიზმის მესამე სტადიაა. ჰობსბაუმის მიხედვით, ამ პერიოდის ნაციონალიზმი ძირეულად განსხვავდება წინა პერიოდის ნაციონალიზმისაგან და იგი იქცევა ნეგატიურ, დამანგრეველ ძალად, რომელიც შლის სახელმწიფოს და წარმოშობს ეთნოკონფლიქტებს. ჰობსბაუმი მიიჩნევს, რომ ნაციონალიზმის ეპოქა დამთავრდა და მას ისტორიული მნიშვნელობა აღარ აქვს.

მოდერნიზმის ე.წ. პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულების (ბროილი, ბრასი, ჰობსბაუმი) მთავარი თავისებურება ისაა, რომ ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობას იგი ისტორიის ახალ პერიოდში ერი-სახელმწიფოების წარმოშობას უკავშირებს და მას პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნევს. ისევე, როგორც ნებისმიერ თეორიულ მიდგომას, ამ მიმართულებასაც აქვს თავისი სუსტი და საკამათო მხარეები, რომელთაგანაც ძირითადია შემდეგი საკითხები:

1. „პოლიტიკური ტრანსფორმაციის" თეორიის მიხედვით ერები და ნაციონალიზმი წარმოიშვა XVIII საუკუნის შემდეგ, როცა ტერიტორიული ერი-სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ. ბევრი მკვლევარი საკმაოდ საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში ეროვნული თვითშეგნება უკვე XV საუკუნიდან არსებობს და ერები სრულიად ჩამოყალიბებული ფენომენი იყო ერი-სახელმწიფოების წარმოშობამდე და მით უფრო საფრანგეთის რევოლუციამდე;

2. ეს თეორია მხედველობაში არ იღებს ადრეულ ეთნიკურ კავშირებს და ერების წარმოქმნის ერთადერთ საფუძვლად სახელმწიფოს მიიჩნევს;

3. ამ თეორიის მიხედვით, ძნელი ასახსნელია, რა აიძულებს უამრავ ადამიანს გაწიროს სიცოცხლე თავისი ერისათვის;

4. ეს თეორია გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტორთა ერთ ჯგუფს და ფაქტობრივად უგულებელყოფს სხვა ფაქტორებს;

5. სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ერის ჩამოყალიბება პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიის მიხედვით ერთდროული პროცესია, რაც ძალიან ხშირად სინამდვილეს არ შეეფერება;

6. ინსტრუმენტალიზმი ძალიან აზვიადებს ელიტის როლს ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაში;

7. ჰობსბაუმის წინასწარმეტყველება ნაციონალიზმის სიკვდილისა და წარსულს ჩაბარების შესახებ არათუ არ მართლდება, არამედ ზოგჯერ საპირისპიროდ ვლინდება.

მიუხედავად აღნიშნული სისუსტეებისა, პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულება ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია და მას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს.

### 3.2.3. სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის მესამე მიმდინარეობაა სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია, რომელიც ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს. ამ მიმართულების ყველაზე მკაფიო წარმომადგენლები არიან ერნესტ გელნერი, ბენედიქტ ანდერსონი და მიროსლავ ჰროში. მოკლედ შევეხებით თითოეული მათგანის ძირითად მოსაზრებებს.

*ა) ერნესტ გელნერი და „მაღალი კულტურა"*. ინგლისში მოღვაწე ჩეხურ-ებრაული წარმოშობის მეცნიერი ერნესტ გელნერი ნაციონალიზმის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ და ღრმა მკვლევარად არის მიჩნეული. ამ სფეროში მოღვაწე ნებისმიერ მეცნიერს აქვს შეხება გელნერის მოსაზრებებთან, იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება მას. ნაციონალიზმის შესახებ გელნერის მთავარი შრომებია: „ფიქრები და ცვლილებები", „ერები და ნაციონალიზმი", „შეჯახება ნაციონალიზმთან", „ნაციონალიზმი" (Gellner, 1964, 1983, 1995, 1997).

გელნერის ნაციონალიზმის თეორია ეყრდნობა დიურკეიმიდან და ვებერიდან მომდინარე სოციოლოგიურ ტრადიციას, რომლებიც კარდინალურად განასხვავებს „ტრადიციულ" და „მოდერნისტულ" (ანუ ახალ, თანამედროვე) საზოგადოებებს. გელნერი გამოყოფს კაცობრიობის ისტორიის სამ ეტაპს: მონადირეობა-შემგროვებლობას, აგრარულს და ინდუსტრიულს. ამ დაყოფიდან გამომდინარე გელნერი მცდარად მიიჩნევს ნაციონალიზმის არსებულ თეორიებს. კერძოდ, მას სრულიად მიუღებლად მიაჩნია ნაციონალიზმის ის თეორიები, რომლებიც ამ ფენომენს ხსნიან როგორც ბუნებრივ, თავისთავად ცხად და თვითწარმოქმნილ მოვლენად, ასევე არ ეთანხმება ელი კედურის თეორიას, რომელსაც იდეათა ხელოვნურ ნაკრებად მიიჩნევს. იგი წინააღმდეგია „მცდარი მისამართის" მარქსისტული თეორიისა, რომლის მიხედვითაც კლასების გამოღვიძებისათვის მიმართულმა „შეტყობინებამ" რატომღაც „შეცდომით" ნაციონალისტური ფორმა მიიღო, დაბოლოს, მიუღებლად მიაჩნია ე.წ. „იდუმალი ღმერთის თეორია", რომელიც ნაციონალიზმს მიიჩნევს სისხლის ან ტერიტორიის ატავისტური, დაფარული ძალის უეცარ აღორძინებად.

გელნერის მიერ ჩამოყალიბებული კლასიკური განმარტებით, „ნაციონალიზმი უპირველეს ყოვლისა არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთეულები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს“ (Gellner, 1983, p.1); ასეთი დამთხვევა კი ძველ საზოგადოებებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, ნაციონალიზმი მხოლოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას, როცა ყალიბდება ეროსახელმწიფოები ერთიანი ეკონომიკით, საერთო ეროვნული ბაზრით, ერთიანი ლიტერატურული ენით და განათლების საერთო სისტემით.

ერების არსებობა ინდუსტრიალამდელ საზოგადოებაში, გელნერის აზრით, განპირობებულია ძალაუფლებისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზე. მონადირეობა-შემგროვებლობის სტადიაზე სახელმწიფო არ არსებობს და ამდენად, ძალაუფლებასა და ნაციონალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია. აგრარულ საზოგადოებაში მმართველი კლასი (თავადაზნაურობა, ეკლესია, ვაჭრები და სამხედრო ბიუროკრატია) თავისი კულტურით ცხოვრობს, რომელსაც ცოტა რამ თუ ექნება საერთო მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან – გლეხობასთან. ფაქტობრივად, ეს ორი სხვადასხვა კულტურაა, ორ „სხვადასხვა“ ენაზე ლაპარაკობენ და ერთიან სოციალურ-კულტურულ ერთობაზე – ერზე ლაპარაკი შეუძლებელია.

სულ სხვა მდგომარეობაა ინდუსტრიულ საზოგადოებაში. „მაღალი“ კულტურა, რაც ერთიან ლიტერატურულ ენას და ერთიან განათლების სისტემას ემყარება, მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. ხდება კულტურის ჰომოგენიზაცია. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მაღალი სოციალური მობილობა. ინდუსტრიული საზოგადოება დაფუძნებულია „მუდმივი ზრდის“ იდეაზე და ამდენად, შეუძლებელია „როლების უცვლელობა“ იქნეს შენარჩუნებული.

გელნერი ასკვნის, რომ ნაციონალიზმი ინდუსტრიული სოციალური ორგანიზაციის შედეგია და ესაა მისი სისუსტეც და სიძლიერეც. სისუსტე იმით გამოიხატება, რომ პოტენციური ერების რიცხვი ბევრად აღემატება იმ ერების რაოდენობას, რომლებიც სინამდვილეში აკმაყოფილებენ მოთხოვნას. ბევრი მათგანი ნაციონალიზმის ერაშიც კი ინარჩუნებს „ძველურ“ კულტურას. ნაციონალიზმის სიძლიერე კი ისაა, რომ იგი განსაზღვრავს პოლიტიკური ერთეულების კანონიერების ნორმებს თანამედროვე მსოფლიოში (Gellner, 1983, p.49).

თანამედროვე მსოფლიოს გელნერი ადარებს „გიგანტურ აკვარიუმს“ ან „სასუნთქ კამერას“, სადაც ჰაერი და წყალი სპეციალური შემადგენლობისაა ახალი სახეობის – ინდუსტრიული ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც არ შეუძლია არსებობა ბუნებრივ ატმოსფეროში და წყალში. მაგრამ ამ სპეციალური სასიცოცხლო ჰაერის შენარჩუნება ხდება განსაკუთრებული მცენარის საშუალებით. ამ მცენარის სახელწოდებაა ეროვნული განათლებისა და კომუნიკაციების სისტემა (იქვე, გვ. 51–52).

ამგვარად, გელნერის მტკიცებით, ერები არსებობენ მხოლოდ ნაციონალიზმის ეპოქაში. ისინი წარმოიშვებიან მაშინ, როცა ზოგადი სოციალური პირობები აყალიბებს სტანდარტიზებულ, ჰომოგენურ კულტურას, რომელსაც მხარს უჭერს და იფარავს ცენტრალური ხელისუფლება და მოიცავს არა მარტო ელიტარულ უმცირესობას, არამედ მთელ მოსახლეობას (Gellner, 1983, p.55).

თავის ერთ-ერთ ბოლო შრომაში (Gellner, 1995) გელნერმა ჩამოაყალიბა ხუთი ეტაპი, რომელსაც გაივლის კაცობრიობა არაეთნიკური იმპერიებისა და მიკროერთეულების ეპოქიდან ჰომოგენური ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებამდე:

**1. ზღვარამდელი პერიოდი.** ზღვრად მიჩნეულია ნაციონალიზმის წარმოშობა და იგულისხმება ის დრო, როცა ეთნიკურობას ჯერ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება და მასსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის არანაირი კავშირი არ შეიმჩნევა.

**2. ნაციონალური ირედენტიზმი.** პოლიტიკური საზღვრები და სტრუქტურები მემკვიდრეობით არის მიღებული წინა პერიოდიდან. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი იწყებს მოქმედებას. ძველი საზღვრები და სტრუქტურები ზეწოლის ქვეშაა ნაციონალისტური მოძრაობების მხრიდან.

**3. ნაციონალისტური ირედენტიზმის ტრიუმფი და თვითდამარცხება.** მრავალეროვნული იმპერიები იშლება და დინასტიურ-რელიგიური პრინციპი ადგილს უთმობს ნაციონალიზმს. ახალი ქვეყნები იქმნება ნაციონალისტური მოძრაობების შედეგად. მაგრამ ეს ქვეყნები დგება თვითდამარცხებისა და დაშლის საფრთხის წინაშე მას შემდეგ, რაც თვითონვე ხდებიან ეთნიკური უმცირესობების მჩაგვრელები.

**4. Nacht und Nebel (ღამე და წყვდიადი).** ეს სახელწოდება მოდის ნაცისტების საიდუმლო ოპერაციიდან მეორე მსოფლიო

ომის დროს. ამ სტადიაზე ყველანაირი მორალური სტანდარტი უგულებელყოფილია. მასობრივი ჟლეტა და ძალით გასახლება ცვლის ისეთ „რბილ“ ფორმას, როგორიც ასიმილაციაა.

**5. პოსტინდუსტრიული ეტაპი.** მოიცავს 1945 წლის შემდგომ პერიოდს. ნაციონალიზმის პრინციპების საყოველთაო გავრცელება, რომელსაც თან ახლავს კულტურული კონვერგენცია, ამცირებს (მაგრამ არ სპობს) ნაციონალიზმის აგრესიულობას და შეუწყნარებლობას.

არანაციონალისტური წესრიგიდან ნაციონალისტურზე გარდამავალი ეს ხუთი ეტაპი, რა თქმა უნდა, არ არის უნივერსალური თვით ევროპაშიც კი. გელნერი ევროპის მასშტაბით ოთხ განსხვავებულ ზონას გამოყოფს:

— დასავლეთი ანუ ატლანტის ოკეანის სანაპირო, სადაც ახალი ისტორიის პერიოდამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო ძლიერი დინასტიური სახელმწიფოები (ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია), სადაც ეთნიკური განსხვავების მიუხედავად სახელმწიფო-ერის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა და ნაციონალიზმის ეპოქაში საზღვრების ცვლილებები თითქმის არ გამხდარა საჭირო. მთავარი პრობლემა გლეხების მოქალაქეებად ქცევა და ახალი, „ინდუსტრიული“ კულტურის შეთვისება იყო.

— მეორე ზონა ყოფილ საღვთო იმპერიას მოიცავდა და ორ მაღალ კულტურას, კერძოდ, გერმანულს და იტალიურს აერთიანებდა. როგორც გერმანული, ისე იტალიური ლიტერატურის ჩამოყალიბება XVIII საუკუნეში ახალი ლიტერატურის შექმნა კი არ იყო, არამედ უკვე არსებულის კონსოლიდაცია. მაღალი კულტურა მნიშვნელოვანი ბაზა იყო პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

— მესამე ზონა, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას მოიცავს და ძირითადად ჰაბსბურგთა იმპერიის ტერიტორიებს აერთიანებდა, ერთადერთი რეგიონია, სადაც ხუთივე ზემოთ აღნიშნულ სტადიას ჰქონდა ადგილი. აქ არ არსებობდა არც მკვეთრად გამოხატული მაღალი კულტურები, არც მათი დამცველი სახელმწიფოები. კულტურისა და პოლიტიკის „შეუღლება“ აქ უფრო რთული და მკაცრი აღმოჩნდა.

— მეოთხე ზონა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ტერიტორიებია. და თუ ოსმალეთის იმპერია დაიშალა, რუსეთის იმპერია ახალ იმპერიად იქცა, რომელმაც 1945 წელს თავის არეალში ის ქვეყნებიც მოიცვა, რომლებიც მესამე ზონაში

იმყოფება. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ეს იმპერიაც დაიშალა, ნაციონალიზმმა აქ უკიდურესი ფორმებით იჩინა თავი. რა სახით განვითარდება ნაციონალიზმი ანუ იქნება ის მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელი ნაციონალისტური ირედენტიზმი, მეოთხე ეტაპის ხოცვა-ჟლეტა და ეთნიკური წმენდა თუ მეხუთე ეტაპისათვის შესატყვისი ეთნიკური დაძაბულობების შესუსტება, ყოფილი საბჭოთა ტერიტორიებისათვის ერთ-ერთი არსებითი საკითხია.

ცხადია, გელნერსაც ჰყავდა მკაცრი კრიტიკოსები, რომლებიც მიუღებლად თვლიდნენ მის თეორიას. ძირითადი კრიტიკის საგანი ხდებოდა ამ თეორიის მეტისმეტი „ფუნქციონალისტურობა", კერძოდ, ნაციონალიზმის სრული დამოკიდებულება ინდუსტრიალიზაციაზე და მისი ცალსახად განხილვა მხოლოდ ამ კონტექსტში. გარდა ამისა, გელნერის თეორია ძნელად ხსნის ეთნიკური და ნაციონალისტური გრძნობების აღორძინებას თანამედროვე მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში, ანდა ნაციონალიზმით გამოწვეულ მგზნებარებას და თავგანწირვას.

*ბ) ბენედიქტ ანდერსონი და „წარმოსახვითი საზოგადოებანი".* ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიმდინარეობის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია ამერიკელი მეცნიერი ბენედიქტ ანდერსონი. თავის ცნობილ წიგნში „წარმოსახვითი საზოგადოებანი" (Anderson, 1983, მეორე გამოცემა – 1991 წ.) იგი შეეცადა ახლებურად წარმოეჩინა ერისა და ნაციონალიზმის ფენომენი.

ანდერსონი ერს მიიჩნევს წარმოსახვით საზოგადოებად (ერთობად). წარმოსახვითია იმიტომ, რომ სულ ყველაზე მცირე ერის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია პიროვნება იცნობდეს თავისი ერის წარმომადგენელთა რამდენადმე მნიშვნელოვან რიცხვს. ამგვარად, პატარა სოფლის გარდა, ყველა სხვა საზოგადოება წარმოსახვითია, რადგან მათ წევრთა დიდი უმრავლესობა ვერასოდეს ვერ შევა ერთმანეთთან პირად კონტაქტში.

ერი, როგორც წარმოსახვითი საზოგადოება, ანდერსონის მიხედვით შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, კერძოდ, ისტორიის ახალ ეტაპზე, როდესაც ე.წ. „ბეჭდვითი კაპიტალიზმის" ეპოქა დგება და წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვა მოსახლეობის მშობლიურ ენაზე კომერციულ ხასიათს იღებს. ცალკეული პიროვნებების (რომლებსაც ანდერსონი პილიგრიმებს უწოდებს და რომელთა

მისიაც ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული ტერიტორიის გამოკვეთაა) ძალისხმევით ყალიბდება ერთიანი კულტურის, საერთო ბედის, ისტორიისა და წინაპრების „წარმოსახვა“, შექმნა და განმტკიცება, რის საფუძველზეც იქმნება წარმოდგენა „ჩვენი ერთობის“ – ერის შესახებ.

ამგვარად, ანდერსონის დასკვნით, ნაციონალიზმი გაგებული უნდა იქნეს არა როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, არამედ როგორც ფართო კულტურული სისტემა, რომელიც მხოლოდ შემდეგ ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობისთვის. ამასთანავე, თავისი წარმოშობის პერიოდში ნაციონალიზმი უპირისპირდება ორ ასევე ფართო სისტემას – რელიგიურ საზოგადოებას და დინასტიურ სახელმწიფოს.

რელიგიური წარმოსახვითი საზოგადოების დაკნინება და მისი შეცვლა ნაციონალური წარმოსახვითი საზოგადოებით ევროპაში, ანდერსონის მიხედვით, ორი მთავარი ფაქტორით იყო გამოწვეული. ერთი იყო არაევროპული სამყაროს, მსოფლიოს დანარჩენი რეგიონების აღწერა-გამოკვლევა, რამაც საგრძნობლად გააფართოვა ევროპელთა ჰორიზონტი და აჩვენა, რომ ცხოვრების ალტერნატიული ფორმების არსებობაც შესაძლებელია. მეორე ფაქტორი იყო „წმინდა“, საკრალური ენების თანდათანობით დაქვეითება და მათი შეცვლა ადგილობრივი ენებით (კერძოდ, ლათინურის შეცვლა ლიტერატურული ფრანგული, ესპანური, იტალიური, გერმანული, ინგლისური და სხვა ენებით დასავლეთ ევროპაში, რაც ბეჭდვის გამოგონებისა და კომერციული მიზნებით მისი გამოყენების შემდეგ მოხდა). ნაციონალიზმი თვითონ იძენს რელიგიის ფუნქციას, სადაც ღმერთის ცნებას ცვლის ერის ცნება, ხოლო რელიგიური სიწმინდეებისა – ნაციონალური სიწმინდეები (ობელისკები, მემორიალები, უცნობი ჯარისკაცის საფლავი და ა.შ.).

ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების მთავარ ფაქტორად ანდერსონს ენა მიაჩნია. კერძოდ, როცა ადგილობრივი სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ, გაზეთებისა და წიგნების ენად იქცევა, ერის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, როცა იგი თავს კულტურულ ერთობად აცნობიერებს, ფაქტობრივად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ამის შემდეგ იწყება პოლიტიკური ერთობის აუცილებლობის გაცნობიერება, რისი მიზანიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნაა.

ცალკეულ შემთხვევებში ენა შეიძლება არ იყოს ძირითადი ფაქტორი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. მაგა-

ლითად, ლათინური ამერიკის შემთხვევაში კრეოლი „პილიგრიმები" იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელზეც ისინი, ვისგანაც განთავისუფლებას ცდილობდნენ. ამავე დროს თავისივე, ახალშექმნილი ერის ნაწილად მიიჩნევდნენ სულ სხვა ენაზე მოლაპარაკე ინდიელებს და მათთან კავშირში ცდილობდნენ საკუთარი სახელმწიფოების შექმნას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ლათინურამერიკული ნაციონალიზმი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ევროპული ნაციონალიზმის თითქმის ყველა კონკრეტულ შემთხვევას. ნაციონალიზმის ბოლო ტალღად ანდერსონი მიიჩნევს ანტიკოლონიურ ნაციონალიზმს, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გამოვლინდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ამ ნაციონალიზმის ფასდაუდებელი „პილიგრიმები" იყვნენ ადგილობრივი ელიტის ის წარმომადგენლები, რომლებმაც ბრწყინვალე ევროპული განათლება მიიღეს მეტროპოლიაში და ბევრი მათგანი თავის ლიტერატურულ თუ პუბლიცისტურ მოღვაწეობას სწორედ ევროპულ ენებზე ეწეოდა. მეტიც, აფრიკული ნაციონალიზმის ყველა წარმომადგენელი ცალკეულ ტომთა ერთ ერად შეკავშირების საფუძვლად ევროპელი კოლონიზატორების ენას მიიჩნევდა და თავიანთი მომავალი სახელმწიფოს ერთადერთი ოფიციალურ ენად მას თვლიდა.

ანდერსონი თავის თეორიულ დებულებებს მრავალი კონკრეტული ფაქტით ადასტურებს (ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების მაგალითზე). მიუხედავად ამისა, სხვა თეორიების მსგავსად, მასაც აქვს სუსტი და ძნელად გასაზიარებელი მხარეები.

ჯერ ერთი, ანდერსონი ძალიან აკნინებს პოლიტიკურ ფაქტორს და გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულ (კერძოდ, ენობრივ) კრიტერიუმებს. ის, რომ პოლიტიკური ფაქტორები ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კულტურულ-ენობრივი, კარგად ჩანს თვით ანდერსონის მოყვანილ მაგალითებში (ლათინური ამერიკისა და აფრიკის შემთხვევები). მეორეც, ანდერსონის მტკიცება, რომ ნაციონალიზმი რელიგიის შემცვლელია, ყოველთვის არ არის მართებული. ცალკეულ შემთხვევებში (ირლანდია, პოლონეთი, სომხეთი, ისრაელი, ირანი) სწორედ რელიგია იყო ნაციონალიზმის მთავარი წარმომშობი და მასაზრდოებელი წყარო. ძნელად გასაზიარებელია ანდერსონის დებულება, რომ ნაციონალიზმი ამერიკაში წარმოიშვა და მისი პირველი გამოვლინება ჩრდილოეთ ამერიკის

ინგლისური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო. ბევრი სადავო საკითხია აგრეთვე ანდერსონის იმ დებულებებში, რომლებიც ოფიციალურ, სახელმწიფო ნაციონალიზმს ეხება და განსაკუთრებით ანტიკოლონიური ნაციონალიზმის ინტერპრეტაციებში. მიუხედავად ამისა, „წარმოსახვითი საზოგადოებანი" ნაციონალიზმის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და დასაბუთებულ შრომად ითვლება.

*გ) მიროსლავ ჰროში და ნაციონალიზმის სამი ფაზა.* ჩეხი მეცნიერი მიროსლავ ჰროში ერთ-ერთი ავტორიტეტული ფიგურაა ნაციონალიზმის თეორიაში. მის შრომებს ხშირად ეყრდნობიან ე. გელნერი, ე. ჰობსბაუმი და ტ. ნაირნი. ჰროში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მის შემდეგ, რაც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური შრომა „ნაციონალური გამოცოცხლების სოციალური წანამძღვრები ევროპაში" (Hroch, 1985), სადაც წარმოჩენილია მისი თეორიის ძირითადი პოსტულატები.

ჰროში ემპირიული დაკვირვების საფუძველზე ევროპაში გამოყოფს სულ რვა ერს, რომლებსაც XIX საუკუნის დასაწყისისათვის თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები ჰქონდათ. ეს ერებია ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, ესპანელები, პორტუგალიელები, შვედები, დანიელები და რუსები. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი იყო თავისი სტანდარტიზებული ლიტერატურული ენა, მაღალი დონის ეროვნული კულტურა და ეთნიკურად ჰომოგენური მმართველი ელიტის არსებობა. ამის გარდა კიდევ არსებობდა ორი ფორმირებადი ერი — გერმანელები და იტალიელები, განვითარებული კულტურითა და ეთნიკურად ჰომოგენური ელიტით, მაგრამ პოლიტიკურ საფუძველს ანუ საკუთარ ერთიან სახელმწიფოს იმ პერიოდისათვის ისინი ჯერ კიდევ მოკლებულნი იყვნენ.

ამავე დროს, აღნიშნული პერიოდისათვის ჰროში ითვლის 30-ზე მეტ „არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს", რომლებიც მოკლებულნი იყვნენ არა მარტო თავიანთ სახელმწიფოს, არამედ საკუთარ მმართველ ელიტას და უწყვეტ კულტურულ ტრადიციებს საკუთარ ლიტერატურულ ენაზე. მიუხედავად კომპაქტური განსახლებისა, ისინი იმართებოდნენ უცხო ჯგუფებით, რომლებიც, როგორც წესი, იმ სახელმწიფოს დომინანტი ერის წარმომადგენლები იყვნენ, რომლის შემადგენლობაშიც ეს ეთნიკური ჯგუფები შედიოდნენ.

არადომინანტი ეთნიკური ჯგუფები ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ თავმოყრილი, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა დასავლეთ ევროპაშიც იყო წარმოდგენილი. ჰროშის აზრით, ამ ეთნიკური ჯგუფების დიდი უმრავლესობა პოტენციურ ერებად ჩამოყალიბდა და ბევრმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც მიაღწია. ზოგიერთ ხალხში პოტენციურ ერად ჩამოყალიბება და საკუთარი სახელმწიფოებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო (ბერძნები, ჩეხები, ნორვეგიელები, ირლანდიელები), ზოგში იმავე საუკუნის შუა ხანებში (ფინელები, ხორვატები, სლოვენები, ფლამანდიელები, უელსელები), ხოლო ზოგში კი საუკუნის ბოლოს (ლატვიელები, ესტონელები, კატალონიელები, ბასკები).

იმისათვის, რომ არადომინანტი ხალხების მოძრაობა ნაციონალისტურ მოძრაობად ჩაითვალოს და ეთნიკური ჯგუფი პოტენციურ ერად იქცეს, ჰროშის მიხედვით, აუცილებელია დაკმაყოფილდეს სამი პირობა:

– ეროვნული კულტურის განვითარება და აღორძინება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ ენაზე, ხოლო ეს უკანასკნელი გახდება განათლების, ადმინისტრაციისა და ეკონომიკური ცხოვრების ენა;

– სრული სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს საკუთარი განათლებული ელიტისა და ყველა კლასის (განსაკუთრებით მწარმოებლებისა და ვაჭრების) ფორმირებას;

– თანაბარი სოციალური უფლებების მიღწევა და პოლიტიკური თვითადმინისტრირების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა.

ჰროში განარჩევს სამ ფაზას ნებისმიერ ნაციონალურ მოძრაობაში მისი დასაწყისიდან წარმატებით დაგვირგვინებამდე.

A ფაზა მოიცავს ნაციონალიზმის საწყის ეტაპს, როცა პირველი აქტივისტების მოქმედება მიმართულია საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ენის უნიფიკაციისა და ლიტერატურული ენის ნორმების ჩამოყალიბებისაკენ, აგრეთვე საკუთარი ისტორიისა და კულტურის შესწავლისა და პროპაგანდისაკენ. რაიმე პოლიტიკური მოთხოვნების წარმოყენება და მოსახლეობის ჩაბმა აქციებსა და საპროტესტო გამოსვლებში ამ პერიოდში არ ხდება, რადგან ამისათვის არც მოსახლეობაა მზად და არც ობიექტური პირობები მომწიფებულა;

B ფაზა იწყება მაშინ, როცა ასპარეზზე გამოდიან აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ მიიმხრონ რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი საკუთარი ეთნიკური ჯგუფიდან, რათა ერთიანი ერის ფორმირებას დაედოს სათავე. დასაწყისში ეს მცდელობები არცთუ ისე წარმატებულია, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი მიზანს აღწევენ და ხდება საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება.

C ფაზა დგება საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისთანავე, როცა მოსახლეობის უმრავლესობა თავს ერთი ერის წარმომადგენლად მიიჩნევს და ყალიბდება საერთო ეროვნული მოძრაობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ეტაპზე, როცა ეთნიკურ ჯგუფში სრული სოციალური სტრუქტურა ჩამოყალიბდება. ცხადია, ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლა უეცრად არ ხდება და იგი საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია (Hrosh, 1985. p.23).

აღნიშნული პერიოდიზაცია, ჰროშის მიხედვით, საფუძველია ნაციონალური მოძრაობების ტიპოლოგიისათვის. მისი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის, ერთი მხრივ, ურთიერთობა B ფაზაზე და შემდეგ C ფაზაზე ტრანზიციისას და, მეორე მხრივ, კონსტიტუციურ საზოგადოებაზე ტრანზიციებს შორის. ამის საფუძველზე ჰროში ნაციონალური მოძრაობის ოთხ ტიპს გამოყოფს ევროპაში:

1. ნაციონალური მოძრაობა იწყება აბსოლუტიზმის ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ მასიურ სახეს რევოლუციური ცვლილებების პერიოდში იღებს. B ფაზის ლიდერები თავიანთ პროგრამას პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად იღებენ. ნაციონალური მოძრაობის ამ ტიპს მიეკუთვნება ჩეხური, უნგრული და ნორვეგიული ნაციონალიზმი, რომლებიც B ფაზაში XIX საუკუნის დასაწყისში შევიდნენ.

2. ნაციონალური გამოცოცხლება იწყება ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ C ფაზაზე ტრანზიცია ყოვნდება, სანამ კონსტიტუციური რევოლუცია არ მოხდება. ასეთ ტიპს მიეკუთვნება ხორვატიული ნაციონალიზმი, სადაც B ფაზაზე გადასვლა 1830-იან წლებში მოხდა, ხოლო C ფაზაზე ტრანზიცია მხოლოდ 1880-იან წლებში განხორციელდა. იგივე კატეგორიებში შევა სლოვენიური (შესაბამისად 1840-იანი და 1890-იანი წლები), ლატვიური და ლიტვური (1860-იანი და 1900-იანი წლები), აგრეთვე სლოვაკური და უკრაინული ნაციონალიზმი.

3. მასობრივი ნაციონალური მოძრაობა ყალიბდება ძველი რეჟიმის პირობებში, კონსტიტუციური წესრიგის დამყარებამდე. ასეთ ნაციონალურ მოძრაობად უნდა მივიჩნიოთ ბერძნული, სერბიული და ბულგარული ნაციონალიზმი ოსმალეთის იმპერიის შემადგენობაში.

4. ნაციონალური მოძრაობა იწყება უკვე ჩამოყალიბებულ, კონსტიტუციურ პირობებში, ეს ფორმა დამახასიათებელია ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში C ფაზაზე ტრანზიცია საკმაოდ სწრაფად მოხდა, კერძოდ, ბასკებისა და კატალონიელების შემთხვევაში. ზოგჯერ B ფაზა ძალიან გაიწელა (ფლამანდიელები), ზოგჯერ კი C ფაზაზე გადასვლა საერთოდ არ მომხდარა (შოტლანდიელები, უელსელები, ბრეტონელები).

ჰროში ასევე გამოყოფს სამ პირობას, რომლებიც აჩქარებს ფაზებს შორის ტრანსფორმაციას: ა) ძველი წესრიგის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი; ბ) მოსახლეობაში უკმაყოფილების ზრდა; გ) ტრადიციული მორალური სისტემებისადმი რწმენის დაკარგვა და პირველ რიგში რელიგიური მემკვიდრეობის როლის დაკნინება.

მაგრამ მასობრივ ნაციონალურ მოძრაობას აღნიშნული პირობები ვერ გამოიწვევს. ახალი ერის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია შემდეგი ოთხი პირობა: ა)კანონიერების კრიზისი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ, მორალურ და კულტურულ დაძაბულობებთან; ბ) ვერტიკალური სოციალური მობილობის ზილომდე შევსება (განათლებული ელიტის ნაწილი მოდის არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისაგან); გ) სოციალური კომუნიკაციების, მათ შორის სასკოლო განათლებისა და საბაზრო ურთიერთობების მაღალი დონე; დ) *ინტერესთა ეროვნულად რელევანტური კონფლიქტები.*

ასეთია მოკლედ ჰროშის მიდგომა ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობისადმი, რომელიც საკმაოდ საინტერესო და არგუმენტირებულია, თუმცა ბევრი მკვლევარი ჰროშს აკრიტიკებს პოლიტიკური ფაქტორების უგულებელყოფისათვის, რაც სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიმდევრებისათვის ზოგადად დამახასიათებელი ნაკლოვანებაა.

## 3.3. ეთნოსიმბოლიზმი

ნაციონალიზმის მესამე მთავარი თეორიული მიმართულებაა ეთნოსიმბოლიზმი. მას გარკვეულწილად შუალედური ადგილი უკავია პრიმორდიალიზმსა და მოდერნიზმს შორის. უარყოფენ რა იმის შესაძლებლობას, რომ ერი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით (რაც გულისხმობს ერთიან თვითშეგნებას, ერთიან ლიტერატურულ და სახელმწიფო ენას და საკუთარი სახელმწიფოს აუცილებლობის გაცნობიერებას მთელი ეთნოსის მიერ) ძველი და შუა საუკუნეების დამახასიათებელი მოვლენაა, ეთნოსიმბოლისტებს ასევე მიუღებლად მიაჩნიათ ერების მთლიანად ახალი პერიოდის ფენომენად წარმოსახვა და იმ ეთნიკური ერთობის უგულებელყოფა ერის ისტორიაში, რომელიც თანამედროვე ერად მის ჩამოყალიბებას უძღოდა წინ.

ეთნოსიმბოლისტები არ იზიარებენ ერების „გამოგონების“ თუ „კონსტრუირების“ მოდერნისტულ შეხედულებებს და დაუშვებლად მიაჩნიათ მოდერნისტების მიერ ერის ჩამოყალიბებაში ძველი მითების, სიმბოლოების, ფასეულობებისა და მოგონებების როლის დაკნინება. თვითონ ტერმინი „ეთნოსიმბოლიზმი“ კარგად გამოხატავს ამ მიმდინარეობის არსს, რადგან იგი ერის და ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში არსებით როლს ანიჭებს ძველი ეთნიკური ერთობების სიმბოლისტურ მემკვიდრეობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნოსიმბოლისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები ამ ტერმინს თითქმის არ იყენებენ. მეტიც, ამ მიმართულების ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს ენტონი სმიტს ასევე ცნობილი ავტორი, ჯონ არმსტრონგი პერენიალისტად მიაჩნია, ხოლო მესამე წარმომადგენელი, ჯონ ჰაჩისონი ორივე მათგანს „ეთნიცისტებად“ მიიჩნევს. მოდერნისტები ეთნოსიმბოლისტებს პრიმორდიალისტების ნაკლებად რადიკალ წარმომადგენლებად მიიჩნევენ, ხოლო რადიკალი პრიმორდიალისტებისათვის ისინი „ლიბერალი“ მოდერნისტები არიან.

პრიმორდიალიზმსა და მოდერნიზმთან შედარებით ეთნოსიმბოლიზმი უფრო ჰომოგენური და მწყობრი თეორიაა. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა წარსულს, ეთნოსიმბოლიზმი თვლის, რომ ერის ფორმირება მრავალსაუკუნოვანი პროცესია და დღევანდელი ერების წარმოშობის გაგება მათი ეთნიკური წარსულის გარეშე სრულიად შეუძლებელია. განსხვავება დღევანდელ ერსა და მის წინამორბედ ეთნოკულტურულ ერთობას

შორის განვითარების ხარისხშია და არა მათ არსში. ამასთანავე, ეთნოსიმბოლისტები უარყოფენ პერენიალისტებისათვის დამახასიათებელ აბსოლუტურ „კონტინუიზმს", ანუ ერების არსებობის უწყვეტელობას (დროში გაგრძელებულობას). ისინი მიიჩნევენ, რომ მართალია, თანამედროვე ერი წარმოადგენს ძველი ეთნოსოციალური ერთობის გაგრძელებას, მაგრამ ერად ჩამოყალიბება მოხდა მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში, როცა შეიქმნა ობიექტური პირობები (კერძოდ, განათლების ერთიანი სისტემა ერთიან ლიტერატურულ ენაზე) ეთნოსოციალური ერთობის ერად გარდაქმნისათვის. ეს არის ძირითადი განსხვავება ეთნოსიმბოლისტებსა და პერენიალისტებს შორის, რომლებიც თვლიან, რომ შუა საუკუნეებისა და ანტიკური პერიოდის ეთნოსოციალური ერთობები, რომლებსაც თავიანთი სახელმწიფოები ჰქონდათ, ჩვეულებრივი ერები იყვნენ.

ეთნოსიმბოლიზმი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს თანამედროვე ერებს მათ ეთნოსოციალურ წინაპრებთან, სხვა თეორიებზე უკეთ ხსნის ზოგიერთ არსებით საკითხს. ჯერ ერთი, ამ თეორიით აშკარად ჩანს, რომელი მოსახლეობა ჩაებმება ნაციონალისტურ მოძრაობაში გარკვეული პირობების დროს და რა შინაარსი ექნება ამ მოძრაობას; მეორეც, იგი იძლევა საშუალებას გაირკვეს მოგონებების, ღირებულებების, მითებისა და სიმბოლოების ძალზე მნიშვნელოვანი როლი: ნაციონალიზმი ხომ ხშირ შემთხვევაში ისეთი სიმბოლური მიზნებისკენ სწრაფვაა, როგორიცაა მშობლიურ ენაზე განათლება, საკუთარი ტელეარხის ქონა თუ ძველი, წმინდა ადგილების დაცვა; მესამეც, ეთნოსიმბოლიზმი გასაგებს ხდის, თუ რატომ და როგორ ახერხებს ნაციონალიზმი მოიპოვოს მოსახლეობის მასობრივი მხარდაჭერა, ანუ რატომ აყვება ხოლმე ხალხი ინტელიგენციის მოწოდებას და მისდევს მას იმ მიზნებისათვის, რომლებიც ხშირად ილუზიურია და საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდება.

ეთნოსიმბოლიზმი, როგორც თეორიული მიმდინარეობა, ქვემოთ განხილული იქნება ამ მიმართულების ორი ცნობილი წარმომადგენლის – ჯონ არმსტრონგის და ენტონი სმიტის შრომების მაგალითზე. ეს შრომები კლასიკურ ნაწარმოებებად ითვლება ნაციონალიზმის თეორიაში, თუმცა არც ნაკლოვანებებისაგან არის დაზღვეული, რაზეც ასევე გავამახვილებთ ყურადღებას.

*ა) ჯონ არმსტრონგი და „მითო-სიმბოლოს კომპლექსი".* ამერიკელი მეცნიერი ჯონ არმსტრონგი პირველი მეცნიერი იყო ნაციონალიზმის თეორიაში, რომელმაც აშკარად ეჭვქვეშ დააყენა წარმოდგენა ერების ახალ ისტორიულ ეპოქაში წარმოშობის შესახებ. მისი ცნობილი წიგნის სათაური „ერები ნაციონალიზმამდე" (Armstrong, 1982) მიუთითებს, რომ იგი ერებს უფრო ადრინდელ მოვლენად მიიჩნევს, ვიდრე ნაციონალიზმს.

აღნიშნულ წიგნში არმსტრონგი მიზნად ისახავს ახსნას ჯგუფური იდენტურობის იმ ტიპის წარმოშობის მიზეზები და თავისებურებები, რასაც დღეს „ერს" უწოდებენ. ეთნიკური ჯგუფების ისტორიის მიმოხილვას არმსტრონგი ამთავრებს იმ პერიოდით, რომელსაც იგი „ნაციონალიზმის ზღურბლს" უწოდებს, ანუ XVIII საუკუნით. ეთნიკური ჯგუფები მას მუდმივ ფენომენად მიაჩნია, რის გამოც მკვლევართა უმრავლესობამ (მათ შორის ე. სმიტმაც) არმსტრონგი პერენიალისტად და პრიმორდიალისტადაც კი მიიჩნია. მაგრამ სინამდვილეში არმსტრონგის მოსაზრებები განსხვავდება პერენიალიზმისაგან და სრული უფლება გვაქვს იგი ჩავთვალოთ ეთნოსიმბოლიზმის წარმომადგენლად.

არმსტრონგი პერენიალისტებისა და პრიმორდიალისტების მსგავსად თვლის, რომ ერები მანამდე არსებობდა, სანამ ნაციონალიზმი წარმოიშობოდა. ამასთანავე, იგი ეთანხმება ანდერსონსა და ჰობსბაუმს იმაში, რომ სხვა ადამიანური იდენტურობების მსგავსად ეროვნული იდენტურობაც გამოგონებაა, მაგრამ მათგან განსხვავებით თვლის, რომ ეს გამოგონება „ამოქაჩულია" ძველი, არსებული ჯგუფური იდენტურობისაგან.

არმსტრონგის მიხედვით, ეთნიკურ თვითშეგნებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი არსებობდა უძველეს ცივილიზაციებში, კერძოდ, ძველ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. თანამედროვე ნაციონალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ეთნიკური თვითშეგნების უკანასკნელი სტადია. ამ თვითშეგნების მთავარი თავისებურება მისი მუდმივობა და მდგრადობაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდება. მხოლოდ დრო გვიჩვენებს, რამდენად მყარი და გამძლეა ეთნიკური კუთვნილება.

ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისას არმსტრონგი ეყრდნობა ნორვეგიელი ანთროპოლოგის ფ. ბართის მიერ შემოთავაზებულ სოციალური ინტერაქციის მოდელს, რომლის მიხედვითაც ჯგუფები საკუთარ თავს განსაზღვრავენ არა თავიანთი საკუთარი დამახასიათებელი ნიშნებისა და თვისებების საფუძ-

ველზე, არამედ „სხვებთან“, „უცხოელებთან“ თავის შედარებით. ამდენად, არ არსებობს არავითარ მუდმივი ფიქსირებული ხასიათი ამა თუ იმ ჯგუფისათვის. იდენტურობის საზღვრები იცვლება ჯგუფის წევრი ინდივიდების აღქმის შესაბამისად და ამდენად, აზრი აქვს უფრო იმ საზღვრების კვლევას, რომლებიც ერთ ჯგუფს გამოყოფს მეორისგან, ვიდრე თვითონ ჯგუფის დახასიათებას. ამგვარად, ეთნიკური იდენტიფიკაციის გაგების არსი სხვებთან კონფრონტაციაა.

ეთნიკური ჯგუფის განსაზღვრა იმით, თუ რით განსხვავდება იგი სხვა ეთნიკური ჯუფისაგან, გულისხმობს, რომ შეუძლებელია განისაზღვროს ზოგადი განმასხვავებელი ნიშანი ეთნიკური ჯგუფისა კოლექტიური იდენტურობის სხვა ტიპებისაგან, კერძოდ, ეთნიკური კავშირები ხშირად იფარება რელიგიური და კლასობრივი კუთვნილებით. ამდენად, არმსტრონგისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა იმდენად მატერიალური, არამედ მათზე გაცილებით მყარი და მდგრადი ფაქტორები, როგორიცაა მითები, სიმბოლოები, კომუნიკაციები და ა.შ.

არმსტრონგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და გამოყოფს ცხოვრების ორ ფუნდამენტურად განსხვავებულ წესს – ბინადარს და მომთაბარეს. მითები და სიმბოლოებიც სწორედ ამ განსხვავებული ცხოვრების წესიდან მომდინარეობს. ბინადარი მოსახლეობის მითები და სიმბოლოები დაკავშირებულია ტერიტორიასთან, ხოლო მომთაბარე მოსახლეობისა – წარმომავლობასთან. პირველი მათგანი დამახასიათებელია ევროპისათვის, მეორე კი ახლო აღმოსავლეთისათვის. მეორე ფაქტორმა – რელიგიამ – განამტკიცა ეს განსხვავება. ისლამმა და ქრისტიანობამ დასაბამი დაუდო ორ განსხვავებულ ცივილიზაციას და მათთან დაკავშირებულმა მითებმა და სიმბოლოებმა ჩამოაყალიბა ეთნიკური იდენტურობები თავისებური, განსხვავებული სახეებით. მესამე ფაქტორია ქალაქი, რომელიც წარმოადგენს ეთნიკური იდენტურობის ცენტრს, სადაც ხდება მითებისა და სიმბოლოების უნიფიკაცია და გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ არმსტრონგის კვლევის არეალი არ სცდება შუა საუკუნეების ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს, იგი წარმოადგენს ეთნიკური იდენტიფიკაციის ძალიან ფართო და მრავალმხრივ მიმოხილვას. ამ თვალსაზრისით მისი ეს წიგნი შეუდარებლად ინფორმაციულია, ვიდრე სხვა მსგავსი შრომები. ე. სმიტის სიტყვებით, ჯ. არმსტრონგმა უამრავი

ფაქტორის (ადმინისტრაციული, .სამართლებრივი, სამხედრო, რელიგიური, კულტურული, სოციალური, მითოლოგიური) საფუძველზე წარმოაჩინა ეროვნული იდენტურობის ჩამოყალიბების გზა, თანამედროვე ერების ეთნიკური „მდგრადობის" მოდელი, რაც პირველ რიგში „მითი-სიმბოლოს კომპლექსის" ხანგრძლივი ზემოქმედებისა და გავლენის შედეგია (Smith, 1998, p.185).

არმსტრონგის მოსაზრებებმა თავისი ასახვა პოვა ეთნოსიმბოლიზმის (და საერთოდ ნაციონალიზმის თეორიის) ცნობილი წარმომადგენლის, ე. სმიტის შრომებში.

*ბ) ენტონი სმიტი და „ერების ეთნიკური წარმომავლობა".* ინგლისელი სოციოლოგის, ე. სმიტის წიგნი „ერების ეთნიკური წარმომავლობა" სამაგიდო წიგნია ნაციონალიზმის თეორიისა და ისტორიის ყოველი მკვლევარისათვის. ამ შრომაში სმიტი შეეცადა მოეცა ერების წარმოშობის სრული სურათი და პასუხი გაეცა კითხვებზე: ა) რა არის ერი? ბ) რატომ და როგორ წარმოიშობა ერები? გ) როდის და სად წარმოიშობიან ისინი? (Smith, 1993).

სმიტის მთავარი თეზისი ისაა, რომ თანამედროვე ერების არსის გაგება შეუძლებელია მათი წარსული ეთნიკური სტრუქტურისა და ისტორიის გარეშე. ერისა და ნაციონალიზმის ფორმირების საფუძველი ის ეთნიკური ერთობაა, რომლის მითების, სიმბოლოების, ტრადიციებისა და მემკვიდრეობის საფუძველზე ხდება თანამედროვე ერის „შექმნა" ეროვნული ინტელიგენციის მიერ.

კითხვაზე „ვინ არის ერი?" სმიტის აზრით, პასუხი ძველი ეთნიკური ერთობის ძიებამ უნდა მოგვცეს. ინგლისურ ენაში არ არის სპეციალური სიტყვა ამ ეთნიკური ერთობის აღსანიშნავად და ამიტომ ავტორი იყენებს ფრანგულ ტერმინს „ethnic". სწორედ ეს ethnic (ქართულად ჩვენ მას პირობითად ეთნოსად მოვიხსენიებთ) არის ის საფუძველი, „მასალა", საიდანაც ერი იქმნება.

მაგრამ რა პირობებია აუცილებელი, რომ ესა თუ ის ერთობა ეთნოსად (ethnic) მივიჩნიოთ? სმიტი გამოყოფს ექვს აუცილებელ ნიშანს:

1. საერთო საკუთარი სახელი;
2. მითი საერთო წარმომავლობაზე;
3. საერთო ისტორია და ისტორიული მეხსიერება;
4. ერთიანი, სხვებისაგან განსხვავებული კულტურა;
5. გარკვეულ ტერიტორიაზე მიკუთვნება;

6. ურთიერთსოლიდარობის გრძნობა.

აღნიშნული ექვსი ნიშნის მქონე ერთობები, სმიტის აზრით, ისტორიის ყველა ეტაპზე გვხვდებოდა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ეთნოსები ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია და ცვლილებას არ განიცდის. ისინი წარმოიქმნება, იცვლება და ქრება სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული თუ ეთნოდემოგრაფიული პროცესების შედეგად. სმიტი ეთნოსების ფორმირების ორ ძირითად მოდელს გამოყოფს – შეერთებას და დაშლას. შეერთების შედეგად ორი ან რამდენიმე ეთნოსისგან ყალიბდება ახალი ეთნოსი, რომელიც ენითა და კულტურით განსხვავდება „შემადგენელი“ ეთნოსებისაგან (მაგ., ინგლისელები და მისი შემადგენელი კელტები, გერმანელები და ფრანგი-ნორმანები); დაშლის შედეგად კი წარმოიქმნება ახალი ეთნოსები, რომლებიც ენითა და კულტურით ასევე განსხვავდება „დედა“ ეთნოსისგან, თუმცა რასაკვირველია სიახლოვე შენარჩუნებულია (მაგ., სლავები და მათგან წარმოშობილი რუსები, უკრაინელები, სერბები, ბულგარელები, პოლონელები, ჩეხები და სხვ.).

ეთნოსის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზებულ რელიგიას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეთნოგენეზისის ძირითადი ფაქტორია; ასევე აღსანიშნავია სახელმწიფოთა შორის ომები, რომლებიც ეთნიკური გრძნობების კრისტალიზაციაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა. კერძოდ, კოლექტიური წინააღმდეგობისა და ერთობლივი მოქმედების დროს მძაფრდება ერთიანობისა და თვითიდენტიფიკაციის გრძნობა.

სმიტი აღნიშნავს, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული ეთნოსი გამორჩეული მდგრადობით ხასიათდება, თუმცა მისთვის უცხო არ არის თვითგანახლების პროცესი. ასეთი „ეთნიკური თვითგანახლების“ ყველაზე გავრცელებული ფორმაა *რელიგიური რეფორმები* და *კულტურული დიფუზია*, რის შედეგადაც მთელმა რიგმა ეთნოსებმა თვისებრივი ცვლილებები განიცადა და ფაქტიურად ახალ ეთნოსებად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ეთნიკური თვითგანახლების ფორმებს მიეკუთვნება ე.წ. *„სახალხო მონაწილეობა“ პოლიტიკურ სისტემაში*, რაც ეთნოსის ერად გარდაქმნის მნიშვნელოვანი ატრიბუტია და *„ეთნიკური გამორჩეულობის მითი“*, რომლის არქონის შემთხვევაში ეთნოსს ემუქრება საფრთხე შთანთქმულ იქნეს სხვა ეთნოსების მიერ.

ერთად ამ ორხმა ფორმამ უზრუნველყო მრავალი ეთნოსის გადარჩენა საუკუნეების მანძილზე, მიუხედავად მათი დემოგრაფიული ცვლილებებისა და კულტურული კონტაქტებისა. ამ ფორმებს, აგრეთვე, თანდათანობით მივყავართ იმისაკენ, რასაც სმიტი „ეთნიკურ ბირთვს" უწოდებს და რაც სახელმწიფოს საფუძველია. სმიტის დაკვირვებით, დღევანდელ ერთა დიდი უმრავლესობა წარმოშობილია ერთი დომინანტი ეთნოსის გარშემო, რომელმაც მიიერთა და „შთანთქა" სხვა ეთნიკური ერთობები და რომლის სახელიც ვრცელდება მთელ ერსა და სახელმწიფოზე.

აღნიშნული მიდგომა მაინც ვერ ხსნის ბოლომდე ერების წარმოშობის საკითხს პრემოდერნულ (ახალ ისტორიამდელ) ერაში, რადგან არის მრავალი მაგალითი, როცა ერი წარმოიქმნა უშუალო ეთნიკური წინაპრების გარეშე. თავისი თეორიის განსამტკიცებლად სმიტი სამ განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს: ა) ერები ჩამოყალიბდნენ გარკვეული ეთნიკური ბირთვის ბაზაზე, იყვნენ რა ძლიერნი და ჰქონდათ კულტურული გავლენა, მათ უზრუნველყვეს სახელმწიფოს წარმოქმნა; ბ) ეს მოდელი ადვილად ჯდება პრემოდერნული საზოგადოებების ტიპში; გ) მაშინაც კი, როცა არ არსებობდნენ პირდაპირი ეთნიკური წინაპრები, მითებისა და სიმბოლოების გამოგონების საჭიროება უზენაეს მნიშვნელობას იძენდა ეროვნული გადარჩენისა და ერთიანობისათვის.

პრემოდერნული ეთნიკური კავშირები განსაზღვრავს, თუ რომელი ეთნოსები შეიძლება ჩამოყალიბდნენ ერებად, მაგრამ ვერ ხსნის, თუ რატომ და როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ტრანსფორმაცია. ამის ასახსნელად საჭიროა გარკვეულ იქნეს ეთნოსის სტრუქტურა და იდენტურობის ფორმირების მოდელი, აგრეთვე ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს მათ. სმიტი ეთნიკური ერთობის ორ ტიპს გამოყოფს – „ლატერალურს" (არისტოკრატიულს) და „ვერტიკალურს" (დემოტიკურს). სწორედ ეს ორი ტიპი წარმოშობს ერის ფორმირების განსხვავებულ ტიპებს.

*„ლატერალური" ეთნოსი* შედგება არისტოკრატიისა და უმაღლესი სამღვდელოებისაგან. ცალკეულ შემთხვევებში იგი მოიცავს, აგრეთვე, ბიუროკრატიას, სამხედრო ელიტას და მდიდარ ვაჭრებს. სახელწოდება „ლატერალურს" (გვერდითი) სმიტი იმით ხსნის, რომ ასეთი ეთნოსი სოციალურად მაღალ ფენებზე იყო „მიჯაჭვული" და გეოგრაფიული გაფანტულობის

პირობებში მჭიდროდ უკავშირდებოდა მეზობელი ეთნოსების მაღალ ეშელონებს. შედეგად, მისი საზღვრები „დაფლეთილი" იყო, ხოლო ეთნოსი – სოციალურ სიღრმეს მოკლებული (რომის იმპერია, ბიზანტია, არაბთა ხალიფატი).

ასეთი ეთნოსის ჩამოყალიბებას სმიტი „ბიუროკრატიულ ინკორპორაციას" უწოდებს. არისტოკრატიული ეთნიკური ერთობის გადარჩენა დამოკიდებულია საკუთარ კულტურულ ორბიტაში მოსახლეობის სხვა ფენების ჩართვაზე. ეს წარმატებით განხორციელდა დასავლეთ ევროპაში (ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, შვედეთი), სადაც დომინანტმა ეთნოსმა შეძლო საშუალო კლასისა და პერიფერიული რეგიონების ჩართვა ელიტარულ კულტურაში. შედეგად მივიღეთ ბიუროკრატიული სახელმწიფო ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ფუნქციებით, მოქალაქეთა უფლებებით, საყოველთაო სამხედრო ვალდებულებებით, საგადასახადო სისტემით, ეკლესიის როლის დაკნინებით და საერო საგანმანათლებლო სისტემის შემოღებით.

*„ვერტიკალური" ეთნოსი* პირიქით, უფრო „სახალხო" და კომპაქტურია. მისი კულტურა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში აღწევს. სოციალური დანაწილება არ არის გამოწვეული კულტურის განსხვავებულობით. პირიქით, გამორჩეული ისტორიული კულტურა ხელს უწყობს საერთო მემკვიდრეობისა და ტრადიციების ქვეშ გააერთიანოს სხვადასხვა კლასები. შედეგად ასეთ ეთნოსში ეთნიკური საზღვრები მყარი და გამორჩეულია, ხოლო ინკორპორაციის ბარიერები – ბევრად რთული.

ასეთი ეთნოსის ერად ფორმირებას სმიტი „ადგილობრივ მობილიზაციას" უწოდებს. იმის გამო, რომ ვერტიკალური ეთნოსები ჩვეულებრივ სუბიექტური ერთობები იყო, ბიუროკრატიული სახელმწიფოს გავლენა არაპირდაპირია. მთავარ ფაქტორად აქ რელიგია გვევლინება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მითს გამორჩეულობის შესახებ, წმინდა ტექსტებს და საეკლესიო პირების ავტორიტეტს. მაგრამ დემოტიკურ საზოგადოებას თავისი შინაგანი პრობლემა აქვს, რომელიც ერის ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე იჩენს თავს. ეთნიკური კულტურა ნაწილობრივ ფარავს რელიგიურ კულტურას. სეკულარული ინტელიგენციის ამოცანაა შეცვალოს ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობის საფუძვლები. სმიტი სამ შესაძლო ვარიანტს გამოყოფს: ა) შეგნებული, განახლებული დაბრუნება ტრადიციებთან (ტრადიციონალიზმი), ბ) მისწრაფება დასავლურ თანამედროვეობაში ჩართვისაკენ (ასიმილაცია) და

გ) ტრადიციებისა და დასავლური მოდერნიზმის სინთეზის განხორციელების ცდა.

ერების ფორმირების ამ ორ სახეს (ლატერალური და ვერტიკალური ეთნოსების გარდაქმნა ერებად) სმიტმა უკანასკნელ წლებში კიდევ ერთი გზა დაუმატა (Smith, 1998). იგი ეხება იმიგრანტ ერებს, რომელთა ფორმირებაც სხვადასხვა ეთნოსების შერწყმის საფუძველზე მოხდა. აშშ-ის, კანადისა და ავსტრალიის პირველი კოლონისტი-იმიგრანტები წინასწარგანსაზღვრული „სასაზღვრო“ ნაციონალიზმით ხასიათდებოდნენ, ხოლო კულტურულად განსხვავებულ იმიგრანტთა ფართო ტალღის მიღებამ წარმოშვა ერის „პლურალური“ ფენომენი, რომელმაც შეითვისა და დაიმკვიდრა ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება პოლიტიკურ, იურიდიულ და ლინგვისტურ ეროვნულ იდენტურობას შიგნით.

მესამე კითხვას: „როდის და სად წარმოიქმნება ერები?“ სმიტი მოკლედ პასუხობს: „სადაც და როცა ნაციონალიზმი გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე“. მისი აზრით, ნაციონალიზმი ვერ აგვიხსნის, რომელი ეთნიკური ერთობა იქცევა ერად და ვერც იმას განმარტავს, თუ რატომ და როგორ მოხდება ეს. ის გვიჩვენებს მხოლოდ სად და როდის მოხდება ეთნოსის ერად ქცევა.

სმიტი ცნება „ნაციონალიზმს“ ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებს:

– ერების ფორმირებისა და შენარჩუნების მთელი პროცესი;
– ერისადმი კუთვნილების გრძნობა;
– ერის ენა და სიმბოლიზმი;
– ერის იდეოლოგია (კულტურული დოქტრინის ჩათვლით);
– პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა ერის მიზნების მიღწევისა და რეალიზაციისათვის.

აქედან იგი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მეოთხე და მეხუთე მნიშვნელობებს და ნაციონალიზმს განსაზღვრავს როგორც იდეოლოგიურ მოძრაობას ავტონომიის, ერთიანობისა და იდენტურობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის იმ მოსახლეობის სახელით, რომელიც მის წევრთა ნაწილის მიერ მიჩნეულია ფაქტობრივ ან პოტენციურ ერად (Smith, 1991, p.72–73). ამ განსაზღვრებაში ძირითადი ცნებებია ავტონომია, ერთიანობა და იდენტურობა. ავტონომია გულისხმობს თვითგამორკვევას და კოლექტიურ ძალისხმევას, მიღწეულ იქნეს ერის ჭეშმარიტი მიზნები და შესრულდეს მისი სურვილები; ერთიანობაში იგუ-

ლისხმება ეროვნული ტერიტორიის გაერთიანება და ერის ყველა წევრის სამშობლოში თავმოყრა; ხოლო იდენტურობა ნიშნავს „იგივეობას“: მოცემული ჯგუფის (ეთნოსის, ერის) წევრები მსგავსნი არიან და განსხვავდებიან არაწევრებისაგან, ანუ ახასიათებთ „კოლექტიური მე“.

მეორე მხრივ ნაციონალიზმის „ძირეული დოქტრინა“, სმიტის მიხედვით, ოთხი მთავარი დებულებით გამოიხატება:

– მსოფლიო დაყოფილია ერებად. თითოეულ ერს აქვს განსაკუთრებული ხასიათი, ისტორია და ბედი;

– ერი არის ყველა პოლიტიკური თუ სოციალური ძალაუფლების წყარო და ერისადმი ერთგულება პრიორიტეტულია ყველა სხვა სახის ერთგულებაზე;

– ადამიანის არსებობა განსაზღვრულ უნდა იქნეს ერთან მიმართებაში, თუ მას სურს იყოს თავისუფალი და გააცნობიეროს საკუთარი თავი;

– ერები უნდა იყოს თავისუფალი და უსაფრთხო, თუ მსოფლიოში მშვიდობა იქნება.

ნაციონალიზმის ტიპოლოგიიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ) სმიტი განარჩევს (1)„ტერიტორიულ“ და (2)„ეთნიკურ“ ნაციონალიზმს.

1.a დამოუკიდებლობამდელი ტერიტორიული ნაციონალიზმი დაფუძნებულია ერის სამოქალაქო მოდელზე, რომელიც მიზნად ისახავს უცხოელი მმართველების განდევნასა და ახალი სახელმწიფო-ერის დაფუძნებას კოლონიის ტერიტორიაზე. ეს „ანტიკოლონიური“ ნაციონალიზმია.

1.b დამოუკიდებლობის შემდგომი ტერიტორიული ნაციონალიზმი ეფუძნება სამოქალაქო მოდელს და მიზნად ისახავს ერთ ერად ჩამოაყალიბოს მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი მოსახლეობა, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. ეს „ინტეგრაციული“ ნაციონალიზმია.

2.a დამოუკიდებლობამდელი ეთნიკური ნაციონალიზმი ეფუძნება ეთნიკურ-გენეალოგიურ მოდელს. იგი ცდილობს გამოეყოს ფართო პოლიტიკურ ერთობას და შექმნას ახალი „ეთნოერი“. ეს „სეცესიონისტური“ ან „დიასპორული“ ნაციონალიზმია.

2.b დამოუკიდებლობის შემდგომი ეთნიკური ნაციონალიზმი. ეფუძნება ეთნიკურ-გენეალოგიურ მოდელს. იგი ცდილობს გავრცელდეს არსებული საზღვრების იქით და თავის შემადგენლობაში ჩართოს თავისივე ან მონათესავე ეთნოსების წევრები, ამ

გზით კი შექმნას მაქსიმალურად დიდი „ეთნოერი". ეს „ირედენტისტული" ან „პანნაციონალიზმია".

ამგვარად, სმიტის მიხედვით, ეთნოსებიდან ერების წარმოშობის პროცესის ორი მთავარი გზა შემდეგ სქემატურ სახეს იღებს:

1. ლატერალური (არისტოკრატიული) ეთნოსი → ბიუროკრატიული ინკორპორაცია → სამოქალაქო-ტერიტორიული ერი → ტერიტორიული ნაციონალიზმი (იმართება ზემოდან ელიტის მიერ).

2. ვერტიკალური (დემოტიკური) ეთნოსი → ადგილობრივი მობილიზაცია → ეთნოგენეალოგიური ერი → ეთნიკური ნაციონალიზმი (იმართება ქვემოდან ინტელიგენციის მიერ).

ასეთია მოკლედ სმიტის თეორია ერების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ამ თეორიამ, ისევე როგორც ეთნოსიმბოლიზმმა მთლიანად, საკმაოდ მკაცრი კრიტიკა განიცადა ნაციონალიზმის სხვა თეორიული მიმდინარეობების წარმომადგენელთა მიერ. მოკლედ შევჩერდებით იმ ძირითად შენიშვნებზე, რომლებიც ეთნოსიმბოლიზმის მიმართ არის გამოთქმული:

ერთ-ერთი ძირითადი შენიშვნა არის ის, რომ ეთნოსიმბოლიზმი კონცეპტუალურად ძალიან მოუწესრიგებელი და არეულია. ვ. კონორი მას საერთოდ ტერმინოლოგიურ ქაოსად მიიჩნევს, სადაც ერთმანეთშია არეული ერის, ეთნიკურობის და ეთნიკური ჯგუფის ცნებები (Connor, 1994). ეთნოსიმბოლისტებისათვის ერი არის დიდი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თავისი სახელმწიფოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის იბრძვის. მოდერნისტებისათვის ერის ასეთი განსაზღვრა მიუღებელია. სწორედ აქედან მომდინარეობს მეორე მთავარი შენიშვნა ეთნოსიმბოლისტების მიმართ, რომლებისთვისაც განსხვავება თანამედროვე ერებისა და ძველ ეთნიკურ ერთობებს შორის უმნიშვნელოა.

მოდერნისტები თვლიან, რომ თანამედროვე ერები იმდენად განსხვავდება ძველი ეთნიკური ერთობებისაგან, რომ მათი ერთ კონტექსტში განხილვა ყოველნაირ საფუძველს მოკლებულია, ხოლო ძველ და შუა საუკუნეებში ერებისა და ნაციონალიზმის არსებობაზე ლაპარაკი უაზრობაა.

ეთნოსიმბოლიზმს აკრიტიკებენ იმიტომაც, რომ ეს მიმდინარეობა ეთნიკურ ერთობებს მიიჩნევს მყარ და მუდმივ ფენომენად და ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ არსებით, თვისებრივ ცვლილებებს, რაც ეთნოსებისათვის არის დამახასიათებელი. ასევე

სადავოდაა მიჩნეული ის ურთიერთკავშირი, რომელიც თანამედროვე ნაციონალურ იდენტურობასა და წარსულის კულტურას შორის არსებობს, ხოლო ეთნიკური თვითშეგნების ფორმირების ეთნოსიმბოლისტურ ანალიზს მოდერნისტები საერთოდ მიუღებლად მიიჩნევენ.

როგორც დავინახეთ, ნაციონალიზმის სამივე ძირითად თეორიულ მიმდინარეობას – პრიმორდიალიზმს, მოდერნიზმსა და ეთნოსიმბოლიზმს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია არც ერთ მათგანს არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 90-იან წლებში გამოჩნდა მკვლევართა ნაწილი, რომლებიც თავს არ მიაკუთვნებენ არც ერთ ძირითად თეორიულ მიმდინარეობას და ფაქტობრივად ახალი მიმდინარეობების დაფუძნებაზე აქვთ პრეტენზია.

ერთ-ერთი ძირითადი პრეტენზია, რომელიც ზემოგანხილულ თეორიულ მიმდინარეობას წაუყენეს, არის ის, რომ ისინი ყურადღების გარეშე ტოვებენ გენდერს როგორც ნაციონალიზმის კატეგორიას, მაშინ როცა ქალის როლი ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში მნიშვნელოვანია. ხოლო ფემინისტური მიდგომა ნაციონალიზმისადმი ძალზე ბევრ საერთოს პოულობს ნაციონალიზმის მარქსისტულ შეფასებასთან. „მუშებს არა აქვთ სამშობლო", როგორც ამას მარქსი და ენგელსი ამტკიცებენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში", თავის გამოძახილს პოულობს ვირჯინია ვულფის სიტყვებში: „როგორც ქალს, მე არ მჭირდება არავითარი ქვეყანა, როგორც ქალისათვის, ჩემი ქვეყანა მთელი მსოფლიოა" (ციტირებულია: Baylis and Smith, 2000, p.452).

მეორე პრეტენზია ნაციონალიზმის აღნიშნული თეორიების „დასავლეთცენტრული" ხასიათია, არადა ნაციონალიზმი მესამე სამყაროს მოვლენაა. როგორც მაიკლ ბილინგი თავის „ბანალურ ნაციონალიზმში" აღნიშნავს, ნაციონალიზმი დასავლეთში თავს მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში იჩენს ხოლმე (Billing, 1995). ის პერიფერიული ქვეყნების „საკუთრებაა", რომელიც ნაციონალიზმის დასავლური თეორიებით ვერ აიხსნება.

კიდევ ერთი ხარვეზი ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებისა არის ე.წ. „ყოველდღიური ნაციონალიზმის" უგულებელყოფა. გადააქვს რა მთავარი ყურადღება მაკროდონეზე, აღნიშნულ თეორიებს ყურადღების გარეშე რჩებათ მიკროდონე, ანუ ნაციონალიზმის ყოველდღიური გამოვლინებები, რაც თავისთავად ნაციონალიზმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

დაბოლოს, ნაციონალიზმი ნაკლებად არის შესწავლილი პოსტმოდერნისტული კუთხით. აქ ორი მიდგომა უნდა გავარჩიოთ: ნაციონალური იდენტურობის რეპროდუქცია ხალხური კულტურის მეშვეობით და ეროვნული „მარგინალების“ (ეთნიკური უმცირესობების, უცხოელი ემიგრანტების) როლი ნაციონალური იდენტურობის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული კუთხით ნაციონალიზმის შესწავლა საკმაოდ განსხვავებულ სურათს მოგვცემს კლასიკურ თეორიებთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს ნაციონალიზმის საერთო, ზოგადი თეორია, რადგან არ არსებობს ნაციონალიზმი „ზოგადად“. იგი ყოველთვის კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. სხვადასხვა ნაციონალიზმს აერთიანებს მხოლოდ თეორიული მსჯელობა მათ საერთო და განსხვავებულ ნიშნებზე. ნაციონალიზმის „განსჯა“ ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ყოველდღიურ საფუძველს ეყრდნობა. რადგან ყოველი ერის ჩამოყალიბების გზა განსხვავებულია, ნაციონალიზმის ნებისმიერი კვლევა უნდა ეყრდნობოდეს ეთნიკურ გენდერულ, კლასობრივ თუ ტერიტორიულ განსხვავებებს, რაც განსაზღვრავს კიდეც ეროვნული იდენტურობის დეფინიციასა და რედეფინიციას (Ozkirimli, 2000, p.226–232).

კვლავ წარმოადგენს რა თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძალას, ნაციონალიზმის თეორიული კვლევა რჩება სოციალური მეცნიერების აქტუალურ საკითხად. ნაციონალიზმის უფრო სრული და ღრმა თეორიული ანალიზი მომავლის საქმეა.

**კითხვები და დავალებები:**

1. რას გულისხმობს ცნება „პრიმორდიალიზმი“ ნაციონალიზმის თეორიაში?
2. რა განსხვავებაა ნატურალისტურ პრიმორდიალიზმსა და პერენიალიზმს შორის?
3. დაახასიათეთ პრიმორდიალიზმის სოციოლოგიური და კულტურული მიდგომები.
4. პრიმორდიალიზმის რომელი ძირითადი დებულებებია კამათის მთავარი ობიექტი?
5. რას გულისხმობს ცნება „მოდერნიზმი“ ნაციონალიზმის თეორიაში?

6. დაახასიათეთ ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიმართულება მოდერნიზმში (ნაირნი, ჰეჩტერი).
7. ერთმანეთს შეადარეთ პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულების სამი მთავარი წარმომადგენლის: ბროილის, ბრასისა და ჰობსბაუმის შეხედულებები.
8. როგორია სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიმართულების ძირითადი თავისებურებანი (გელნერი, ანდერსონი, ჰროში)?
9. რას გულისხმობს ცნება „ეთნოსიმბოლიზმი“ ნაციონალიზმის თეორიაში?
10. დაახასიათეთ არმსტრონგის „მითო-სიმბოლოს კომპლექსი“.
11. მიმოიხილეთ ერების ეთნიკური წარმომავლობის თეორია ე. სმიტის მიხედვით.

12. რა ძირითადი ხარვეზები აქვს ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებს?

## ლიტერატურა


1. Nationalism. Oxford Readers. Edited by J. Hutchinson and A. Smith. Oxford University Press. Oxford and New-York, 1994, p.p. 49–131.
2. Spencer P., Wollman H. - Nationalism. A Critical Introduction. Sage Publications. London. Thousand Oaks. New Delhi, 2002, p.p. 26–56.
3. Ozkirimli U. - Theories of Nationalism. A Critical Introduction. Macmillan Press LTD. London, 2000, p.p. 12–63.

თემა 4

# ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები

## 4.1. ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ კაცობრიობა შევიდა თავისი განვითარების ახალ ფაზაში. „აღმოსავლეთი“-„დასავლეთის“ დაპირისპირების მოსპობამ სათავე დაუდო პერიოდს, რომელიც „ისტორიის დასასრულის“ სახელით მონათლა (ფუკუიამა 1999). ზედმეტად ოპტიმისტური ეს განწყობა გულისხმობდა, რომ კომუნიზმის კრახითა და საბჭოთა კავშირის დაშლით მოისპო უკანასკნელი დაპირისპირება ისტორიაში და დადგა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საყოველთაო გავრცელების ეპოქა. რაკი ისტორია აქამდე მხოლოდ დაპირისპირებულთა ბრძოლა იყო, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისტორია დამთავრდა, რადგან დაპირისპირება აღარ არსებობს. შესაბამისად, იწყება ხალხთა დაახლოების, ეროვნული, ენობრივი, კულტურული თუ სოციალური განსხვავებების შემცირებისა და გაქრობის ეპოქა. ნაციონალიზმი წარსულს ბარდება და გზას გლობალიზაციის პროცესს უთმობს.

90-იანმა წლებმა დაგვანახა, რომ აღნიშნული მსჯელობა უტოპია აღმოჩნდა. ნაციონალიზმი არამცთუ ქრება და ხუსტდება, არამედ ხშირ შემთხვევაში უფრო ინტენსიურად და აგრესიული სახით იჩენს ხოლმე თავს. თანაც, როგორც წესი, 90-იანი წლების ნაციონალიზმი სეპარატისტული, დამანგრეველი ნაციონალიზმია, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ფორმით ვლინდება.

დღეს უკვე ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა არც იდეოლოგიურ, არც გეოპოლიტიკურ და არც ეკონომიკურ, არამედ ეთნოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს და სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატება; ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმსა და უმცირესობების ნაციონალიზმს შორის.

იმის გამო, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი კონფლიქტების წყაროა, ზოგი ავტორი ცალსახად უარყოფითად აფასებს თანამედროვე ნაციონალიზმს და მკვეთრად განასხვავებს მას გამაერთიანებელი და ანტიკოლონიური ნაციონალიზმისაგან.

თავის მხრივ, სეპარატისტული ნაციონალიზმის ლიდერები სრულიადაც არ მიიჩნევენ თავს სეპარატისტებად და თავიანთ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად თვლიან. მათი არგუმენტი მარტივია: საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპია ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყოველ ხალხს აქვს თვითგამორკვევისა და საკუთარი პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის უფლება.

როცა აღნიშნული პრინციპის ფორმულირება ხდებოდა (კერძოდ, 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაცია „კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“ და გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია), მსოფლიოს ხალხების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ კოლონიურ დამოკიდებულებაში იყო. ამასთან, პრაქტიკულად ყველა კოლონია და პროტექტორატი მეტროპოლიისაგან ათასობით კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი. ამდენად, მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი არანაირად არ დაარღვევდა მეტროპოლიის ტერიტორიულ მთლიანობას.

დღეს სიტუაცია დიამეტრულად განსხვავებულია. ე. წ. „ზღვის გაღმა“ კოლონიები თითქმის აღარ დარჩა. ის ხალხები, რომლებიც პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ამა თუ იმ სუვერენული და აღიარებული ქვეყნის ტერიტორიაზე არიან განსახლებულნი, ამიტომ მათი დამოუკიდებლობა გარდაუვლად გამოიწვევს არსებული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას; ამას კი არც ერთი სახელმწიფო არ დაუშვებს. ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპები, ასევე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებია.

წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართლის ორ ძირითად პრინციპს – ტერიტორიულ მთლიანობასა და ხალხთა თვითგამორკვევას შორის, დღევანდელ პირობებში იწვევს მკვეთრ დაპირისპირებას და თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებს სახელმწიფოები წარმოადგენენ და ერთმანეთთან ურთიერთობებისას ვალდებულნი არიან დაიცვან სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა თუ შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ამიტომ სეპარატისტულ მოძრაობას აშკარა მხარდაჭერა სხვა სახელმწიფოების მხრიდან, როგორც წესი, არა აქვს ხოლმე. მაგრამ ვერც ერთი სეპარატისტული მოძრაობა ვერ იარსებებს გარედან მხარდაჭერის გარეშე, რაც ჩვეულებრივ ფარული ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდება.

ფ. ჰოლიდეი, რომელსაც ეკუთვნის თავი „ნაციონალიზმი" ჯ. ბაილისისა და ს. სმიტის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია" (Baylis and Smith, 2001, p. 448–449) ყურადღებას ამახვილებს ნაციონალიზმთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემაზე, როგორიცაა სამართლიანობისა და წესრიგის ურთიერთმიმართება.

იმის გამო, რომ მსოფლიოს სახელმწიფოები და პირველ რიგში დიდი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან შენარჩუნებული იყოს ძალთა წონასწორობა, რაც საერთაშორისო წესრიგის ქვაკუთხედად მოიაზრება, ხშირ შემთხვევაში თვალს ხუჭავენ სამართლიანობაზე, კერძოდ, უგულებელყოფენ თვითგამორკვევის პრინციპებს. ძალთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით მოხდა პოლონეთის სუვერენული სახელმწიფოს გაყოფა რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის XVIII საუკუნის ბოლოს. ასევე ძალთა ბალანსის შენარჩუნების მაგალითი იყო ევროპული ქვეყნების მიერ აზია-აფრიკაში კოლონიების გადანაწილება. ამავე მიზანს ემსახურებოდა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის თანხმობა საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დამორჩილებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას დასავლეთის პასიური პოზიცია 1956 წლის უნგრეთის მოვლენებზე და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ამბებზე. დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია ჩეჩნეთის მიერ თვითგამორკვევის აღიარებული პრინციპის მოთხოვნას.

რეგიონული უსაფრთხოებისა და წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უყურადღებოდ რჩება დამოუკიდებლობის მოთხოვნები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. არც ერთი ქვეყანა ოფიციალურად არ აღიარებს 25-მილიონიანი ქურთი ხალხის უფლებას შექმნას თავისი სახელმწიფო. არც ერითრეის სუვერენიტეტს სცნობდა ვინმე, სანამ თვითონ ეთიოპიამ არ აღიარა თავისი ყოფილი პროვინციის დამოუკიდებლობა.

90-იანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფართოდ გაიშალა ეროვნული მოძრაობა, დასავლეთი ყველანაირად იკავებდა თავს, მხარი დაეჭირა ამ მოძრაობისთვის, შიშობდა რა, რომ ეს გამოიწვევდა დესტაბილიზაციასა და ძალთა წონასწორობის დარღვევას. შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საერთაშორისო საზოგადოება მიესალმა მემკვიდრე სახელმწიფოებს და სცნო ისინი, მაგრამ იმ სურვილით, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგლას ჰერდმა განაცხადა კიდეც 1993 წელს: „მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ახალი სახელმწიფოების შექმნას აღარ ვიხილავთ".

წესრიგის, უსაფრთხოებისა და ძალთა წონასწორობის დაცვის სურვილით უნდა აიხსნას საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია იუგოსლავიის კონფლიქტში 90-იანი წლების დასაწყისში. გაუგებარი იყო, რა დონის თვითგამორკვევისათვის უნდა დაეჭირათ მხარი და რა ეტაპზე უნდა შეწყვეტილიყო ეს მხარდაჭერა.

საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დგება დილემა: თუკი ერთ ეთნიკურ ჯგუფს ეძლევა სეცესიის უფლება, მაშინ დგება იგივე უფლების სამართლიანობის საკითხი სხვა ეროვნებებისთვის. ეს ეხება ბოსნიისა და ხორვატიის სერბ მოსახლეობას, ჩრდილოეთ ირლანდიას, უკრაინაში მცხოვრებ რუსებს, ისრაელის არაბებს და ა. შ.

ცხადია, სრული აბსურდი იქნება იმის მტკიცება, რომ ნებისმიერ ხალხს, ვისაც ეროვნული იდენტურობა აქვს, სახელმწიფო უნდა გააჩნდეს. მსოფლიოში ოთხი ათასზე მეტი ენაა, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ოთხი ათასი სახელმწიფოს არსებობაა აუცილებელი. მაშინ საერთაშორისო სისტემა სრულ ქაოსად იქცეოდა, სადაც ძალთა წონასწორობაზე და რაიმე წესრიგზე ლაპარაკიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში კვლავ დგება საკითხი ნაციონალიზმის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესახებ.

ჯ. რურკე (J. Rourke, 1993) თანამედროვე ნაციონალიზმის შემდეგ დადებით მხარეებს გამოყოფს:

ა) ნაციონალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიას. განმანათლებლობის პრინციპი წარმომადგენლობითი ხელისუფლების შესახებ ნაციონალიზმის მეშვეობით რეალიზდება სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო არენაზე;

ბ) ნაციონალიზმი უზრუნველყოფს ლეგიტიმურობის პრინციპს, რასაც ემყარება თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა. ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოები ხალხისგან იღებენ ლეგიტიმურობას და ვალდებულნი არიან გამოხატონ საკუთარი ხალხის ინტერესები;

გ) ნაციონალიზმი ხალხთა თვითგამორკვევისა და თავისუფლების წამახალისებელი და გამომწვევი ფაქტორია. სადაც ნაციონალიზმის გრძნობა არსებობს, იქვეა სურვილი ხალხის გაერთიანებისა საკუთარი ხელისუფლების ქვეშ;

დ) ნაციონალიზმი ეწინააღმდეგება იმპერიალიზმს. სულ ახალგაზრდა და სუსტი დამოუკიდებელი სახელმწიფოც კი სტიქიურად ირაზმება საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად, როცა იგი ინტერვენციის მსხვერპლი ხდება. 1990–91 წლების ერაყის აგრესიამ კუვეიტის წინააღმდეგ ეს ნათლად დაადასტურა. იგივე შეიძლება ითქვას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ნაციონალიზმზე რუსული საფრთხის წინააღმდეგ.

ე) ნაციონალიზმი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. ნაციონალიზმი ქმნის ერთიან ეროვნულ ბაზარს, სპობს კუთხურობას და კარჩაკეტილობას. ერების ჩამოყალიბების (თანამედროვე აფრიკასა და ნაწილობრივ აზიაში) ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ერთიანი ეკონომიკისა და საბაჟო სივრცის შექმნაა სახელმწიფოში. ეკონომიკური ნაციონალიზმი ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობის შექმნას და ქვეყნის ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

ვ) ნაციონალიზმი ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას. თანამედროვე მსოფლიოში, როცა ინტენსიურმა ხალხთაშორისმა ურთიერთობებმა და განსაკუთრებით გლობალიზაციის პროცესმა საფრთხე შეუქმნა ეროვნულ კულტურებს, ენებს და ტრადიციებს. ნაციონალიზმი ის ძალაა, რომელიც საკუთარი თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის იბრძვის.

ამ ზოგადი დადებითი მხარეების გვერდით იგივე ავტორი წარმოაჩენს ნაციონალიზმის უარყოფით მხარეებსაც:

ა) ნაციონალიზმი იწვევს კარჩაკეტილობას და შეზღუდულობას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ერი უცხო კულტურისა და ტრადიციების გავლენის შიშით ზღუდავს ან წყვეტს კავშირებს სხვა ერებთან და საკუთარ „ნაჭუჭში იკეტება". ეს უარყოფითად მოქმედებს ერის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

ბ) ნაციონალიზმი აყალიბებს ქედმაღლობას და სხვა ერებთან შედარებით საკუთარი ერის უპირატესობის რწმენას. ასეთი ნაციონალიზმი გარდაუვლად იწვევს დაპირისპირებას ერებს შორის და ხშირად შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზი ხდება.

გ) ნაციონალიზმი იწვევს ქსენოფობიას. იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილი და დაპირისპირება საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე მსოფლიოში და ზოგიერთი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პრობლემაა;

დ) ნაციონალიზმი იწვევს მესიანიზმს. ნაციონალიზმის ეს ფორმა დიდი ერებისათვის არის დამახასიათებელი, პირველ რიგში კი ამერიკელებისა და რუსებისათვის. ორივე ერი ცდილობდა თავისი იდეოლოგია მიეხვია თავს მთელი მსოფლიოსათვის (ამერიკული ლიბერალური დემოკრატია და მარქსიზმ-ლენინიზმი). ეს ამბიციები დღესაც გრძელდება, თუმცა რუსეთის შემთხვევაში მარქსიზმ-ლენინიზმი უფრო „მოკრძალებულმა" ევრაზიანიზმმა შეცვალა.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ნაციონალიზმი ისეთივე „ორსახა იანუსია", როგორიც წარსულ ეპოქებში იყო. იგი ერთდროულად არის პროგრესის ხელშემწყობიც და დამანგრეველი ძალაც. ამდენად, საინტერესოა საკითხი, თუ რა მიმართებაშია ნაციონალიზმი დემოკრატიასთან: შეუთავსებელი ცნებებია თუ მათი თანაარსებობა სავსებით შესაძლებელი და ლოგიკურია?

აღნიშნულ პრობლემას შეეხო ქართველი მეცნიერი გია ნოდია ამერიკაში გამოქვეყნებულ სტატიაში „ნაციონალიზმი და დემოკრატია" (Nodia, 1994), რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ავტორთან პოლემიკაში ორი ცნობილი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა და შლომო ავინერი ჩაება (Nationalism, Ethnic Conflict and Democracy, 1994).

გ. ნოდია თავიდანვე მიჯნავს რამდენიმე ცნებას. მისი აზრით, არ არის მართებული დემოკრატიის გაიგივება ლიბერალურ დემოკრატიასთან. ამ უკანასკნელში ორი დამოუკიდებელი ცნებაა – ლიბერალიზმი და დემოკრატია, რომელთა შორის არა მარტო განსხვავებაა, არამედ გარკვეული დაპირისპირებაც, რის გამოც ლიბერალიზმი და დემოკრატია განსხვავებულ მიმართებაშია ნაციონალიზმთან. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ახალგაზრდა, ფორმირებადი დემოკრატია და ძველი, დამკვიდრებული დემოკრატია. ნაციონალიზმი სხვადასხვა სახით ვლინდება დემოკრატიის გზაზე ახლად გამოსულ ქვეყნებში და ძველ, ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებში. მესამე, აუცილებლად უნდა მოხდეს მკვეთრი გამიჯვნა „ადგილობრივად წარმოშობილ" და „შემოტანილ ანუ იმპორტირებულ" ლიბერალურ-დემოკრატიებს შორის. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უპრეცედენტო მოვლენა: ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა კომუნისტური რეჟიმიდან, რაც ნაციონალიზმს სრულიად განსაკუთრებული სახით წარმოაჩენს.

ნოდიას აზრით, ფორმირებად დემოკრატიაში მოძრაობა დემოკრატიისათვის და მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა. „ნაციონალიზმის იდეა შეუძლებელი, მეტიც, წარმოუდგენელია დემოკრატიის იდეის გარეშე, ხოლო დემოკრატია არასოდეს არსებობს ნაციონალიზმის გარეშე. ორივე მათგანი ისეა ერთმანეთთან შეულლებული, რომ არ შეუძლიათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება. ამასთან, მათი თანაარსებობა მუდმივ დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაშია" (Nodia, 1994, p.4). დემოკრატიის საზრისი ხალხის სუვერენიტეტშია ანუ ხალხის ნება უზენაესია. ნაციონალიზმიც ხალხის სახელით გამოდის. ერთიც და მეორეც „თვითგამორკვევის" სახელით მოქმედებს: „ჩვენ, ხალხი" თვითონ გადავწყვეტთ ჩვენ ბედს, ჩვენ დავიცავთ იმ წესებს, რომლებსაც თვითონვე დავადგენთ და არავის მივცემთ ნებას – იქნება ეს აბსოლუტური მონარქი, უზურპატორი თუ უცხო ქვეყანა – გვმართოს ჩვენი თანხმობის გარეშე. ამ არგუმენტს განსაკუთრებული ძალა აქვს ფორმირებად დემოკრატიაში, სადაც ნაციონალიზმი აუცილებელია დემოკრატიზაციის მექანიზმის ასამუშავებლად. როგორც კი დემოკრატია ხდება სტაბილური და მყარი, ნაციონალური გრძნობების მნიშვნელობა ნელ-ნელა მცირდება. დასავლეთ ევროპამ, სადაც ნაციონალიზმს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ბევრად გაასწრო მსოფლიოს დანარჩენ

ნაწილებს საერთაშორისო გაერთიანებების ახალი ფორმების ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ მან ეროვნული სახელმწიფოების გაერთიანების მაღალ დონეს მიაღწია არა ნაციონალიზმის უარყოფით, არამედ ამ იდეოლოგიის ყოველმხრივი გაძლიერებით.

დემოკრატიაზე გადასვლა ხშირად გაიგივებულია ტრადიციულ საზოგადოებაზე უარის თქმასთან. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება მიმდინარეობს იმ პირობებში, როცა ნაციონალიზმი ის ძირითადი იდეოლოგიაა, რომელსაც შეუძლია ხალხი ერთიან საზოგადოებად შეკრას. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ამა თუ იმ დონით არის დაკავშირებული ნაციონალიზმთან. ის, რასაც „კულტურულ აღორძინებას" უწოდებენ, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურ-რელიგიური აღორძინებაა. იგი მოწოდებულია „ერის გამთლიანებისაკენ" და უპირისპირდება ათეისტურ-კომუნისტურ მსოფლმხედველობას. ყველა მოწოდებას ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების შესახებ შედეგი მოაქვს და წარმატებულია მანამდე, სანამ ისინი ემთხვევა ეროვნულ ტრადიციებს და იდენტურობას. ასე აღიქმება დასავლური ღირებულებები. თავისთავად ლიბერალურ იდეებს განყენებულად რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენა პოსტკომუნისტური ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებზე არა აქვს.

ამგვარად, ნაციონალიზმი ერთდროულად არის დესტრუქციულიც და კონსტრუქციულიც. იგი არის საშიშროებაც ლიბერალური დემოკრატიისათვის და მისი ხელშემწყობიც. იყო ნაციონალისტი პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ნიშნავს იყო ვინც გინდა, რადგან აქ ნაციონალისტი შეიძლება იყოს ლიბერალიც და ფაშისტიც. ისინი, ვინც გმობენ ნაციონალიზმს, გულისხმობენ ეთნიკურ შოვინიზმს, თორემ თვითონვე არიან საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ და სუვერენულ ერ-სახელმწიფოდ გარდაქმნისათვის მებრძოლები.

ნაციონალიზმის ეს განსხვავებული სახეები თვალნათლივ ჩანს დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი ნაციონალიზმების შედარებისას. თანამედროვე ნაციონალიზმის „გეოგრაფია" საგრძნობლად განსხვავდება განვითარებულ, ყოფილ კომუნისტურ და მესამე სამყაროს ქვეყნებში.

## 4.2. მინინაციონალიზმი. ეთნოკონფლიქტები მსოფლიო პოლიტიკაში

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი ძირითადად ვლინდება იმ ხალხების ნაციონალიზმის სახით, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან და ეთნიკურ უმცირესობებს შეადგენენ. ასეთი ნაციონალიზმის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მიმართულია სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის წინააღმდეგ და თვითგამორკვევისთვის იბრძვის.

თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართალში განისაზღვრება, როგორც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლება თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი, აკონტროლოს თავისი თავი და არ იყოს სხვის მიერ მართული. როდესაც ამ მოთხოვნით გამოდის ხალხი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს სხვა ხალხის ეროვნულ სახელმწიფოში, იგი თითქმის გარდაუვლად შედის კონფლიქტში ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან, რომელიც იმავდროულად ოფიციალური, სახელმწიფო ნაციონალიზმია. სწორედ ამ, სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ეთნიკური უმცირესობის ნაციონალიზმს, რომელიც მიმართულია ცენტრალური მმართველობის წინააღმდეგ და მიზნად თვითგამორკვევას ისახავს, უწოდებენ მინინაციონალიზმს.

მინინაციონალიზმი ყოველთვის არ არის მიმართული საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ. იგი შეიძლება ავტონომიისათვის, ფედერაციის სუბიექტად ქცევისათვის, ანდა სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდეს. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ტიტულარულ ერთან კონფლიქტი ნაკლებად მწვავეა და შესაძლებელია საერთოდაც იქნეს აცილებული, თუ კონსენსუსის მიღწევა მოხერხდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მინინაციონალიზმი რადიკალური მოთხოვნებით გამოდის, რომელიც სეცესიას და სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობს. სწორედ ესაა დღეს მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობის მიზეზი, სეპარატიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო პრობლემა გახდა, ხოლო წინააღმდეგობა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს შორის ნამდვილ დილემად იქცა.

სახელმწიფო მიიჩნეოდა და მიიჩნევა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების უნიტარული აქტორი. რეალობაში ეს კონცეფცია საკმაოდ სადავოა, რადგან სახელმწიფოთა უმრავლესობა შინაგანად ისეა დაყოფილი და ბევრ მათგანში გარე ძალებსაც ისეთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ, რომ საეჭვოა, ისინი ერთ მთლიან სხეულად მოიაზრებოდნენ.

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი თეორიული პარადიგმა, პლურალიზმი სწორედ იმ დებულებას ამტკიცებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უნიტარული აქტორი. იგი შედგება სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ძალებისაგან, რომლებიც შიგნიდან „ხლეჩენ" სახელმწიფოს (რონდელი 1996). ერთ-ერთ ძირითად „გამხლეჩ" ძალად გვევლინება მინინაციონალიზმი.

XX საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს და ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების სერიოზულ წინაპირობას ქმნიან (Gurr, 2000).

ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების გეოგრაფიული განაწილება ასეთ სურათს იძლევა:

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში 31 ეთნოპოლიტიკური ჯგუფია. შეიარაღებულ კონფლიქტში არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არ არის ჩაბმული. ხუთი ეთნიკური ჯგუფი საშუალო რისკის პირობებშია მოხვედრილი (ბასკები, ჩრდილოეთ ირლანდიელები).

აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი სსრკ ითვლის 59 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს. აქედან ორი ეთნიკურ ომშია ჩაბმული. რვა იმყოფება მაღალი, ხოლო შვიდი საშუალო რისკის მდგომარეობაში (მათ შორის არიან სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ბოსნიელები, კოსოვოს ალბანელები).

აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 34 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს აერთიანებს. ხუთი ჯგუფი ომის მდგომარეობაშია; სამი იმყოფება მაღალი რისკის პირობებში. კიდევ 12 ჯგუფის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო რისკის დონე (კარენები, მინები, შანები ბირმაში, უიღურები და ტიბეტელები ჩინეთში).

დასავლეთი და სამხრეთ აზია 25 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. მათგან 11 ეთნიკური ომის ვითარებაში, 6 მაღალი და 13 საშუალო რისკის კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ (ხაზარები, ტაჯიკები, უზბეკები ავღანეთში, ქაშმირელები ინდოეთსა და პაკისტანში, თამილები შრი-ლანკაში).

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 28 ეთნოპოლიტიკური ჯგუფი გამოიყოფა. 3 ჯგუფი ჩაბმულია ეთნიკურ ომში. მაღალი რისკის პირობებში იმყოფება 6, საშუალო რისკის პირობებში კი 2 ჯგუფი (ქურთები თურქეთსა და ერაყში, შიიტები ერაყსა და ლიბანში, არაბები ისრაელში).

ტროპიკული აფრიკა 67 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს მოიცავს, რომელთაგან 11 ეთნიკური ომის მდგომარეობაშია, 12 მაღალი რისკის, ხოლო 8 საშუალო რისკის დონეზე იმყოფება (ჰუტუ ბურუნდიში, იორუბა ნიგერიაში, ტუტსი ზაირში, აფარები ეთიოპიაში).

ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი სულ 32 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. ამათგან ეთნიკური ომის მდგომარეობაში არც ერთი მათგანი არ იმყოფება. მაღალი რისკის პირობებშია ერთი, ხოლო საშუალო რისკის მდგომარეობაში 11 ჯგუფი (მისკიტო ნიკარაგუაში, მაია მექსიკაში) (Kegley, Wittkopf, 2001, p. 207).

ეთნიკურ უმცირესობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის კატეგორია, რომლებსაც ადგილობრივ ანუ მკვიდრ, ძირეულ მოსახლეობას უწოდებენ. ეს ის ხალხია, რომლებიც თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების გამო უმცირესობად იქცნენ. მათი საერთო რაოდენობა 300 მილიონს უდრის და დედამიწის მოსახლეობის 5%-ს შეადგენს. ხშირად მსოფლიო საზოგადოების ამ ნაწილს მეოთხე სამყაროდ მოიხსენიებენ (The state of Indigenous People, 2000).

მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილის ბრძოლა უბრალოდ უფლებების დაცვისათვის ან ავტონომიისათვის ბრძოლაა და იშვიათად თუ აყენებენ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოთხოვნას. მაგრამ ყველა შემთხვევაში ბუნებრივად დგება პრობლემა: რა უფლებები შეიძლება ჰქონდეთ ამ ათასობით არასახელმწიფო ერთვნებებს?

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი თეორიულად აღიარებს ყველა ხალხის უფლებას თვითონ განსაზღვროს

თავისი პოლიტიკური სტატუსი. მაგრამ თუ თვითგამორკვევას სუვერენიტეტთან და დამოუკიდებლობასთან გავაიგივებთ, მაშინ მსოფლიოში 6 ათასამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, რაც სრული აბსურდია. ამიტომ ყველა ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხი არასოდეს წამოჭრილა. მეტიც, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ავტონომიასაც არ ითხოვს. მათ უბრალოდ არათუ სახელმწიფოს, არამედ ტერიტორიული ავტონომიის მართვაც არ შეუძლიათ თავიანთი მცირერიცხოვნებისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული განვითარების დაბალი დონის გამო.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეთნიკური ჯგუფი მრავალრიცხოვანია და განვითარების დონეც საკმარისია იმისათვის, რომ საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეს, იგი დიდ წინააღმდეგობას აწყდება არა მარტო იმ სახელმწიფოს ხელისუფლებისა და ტიტულარული ერისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფოებისაგანაც. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპმა არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპები, კერძოდ, იგი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპებთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მთავრობა და მოსახლეობის უმრავლესობა თანახმაა მიანიჭოს დამოუკიდებლობა ეთნიკურ უმცირესობას და ამდენად, შეცვალოს საკუთარი ტერიტორია და საზღვრები, თვითგამორკვევის პრინციპი რეალობად იქცევა. ასეთნაირად განხორციელდა ბანგლადეშის გამოყოფა პაკისტანისაგან 1971 წელს, ერითრეის დამოუკიდებლობა ეთიოპიისაგან 1993 წელს და ჩეხოსლოვაკიის დაშლა ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად 1993 წელს.

ხშირ შემთხვევაში დაპირისპირება ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის უკიდურეს ფორმებს იღებს და ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში გადადის. ასეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ნაცისტურ გერმანიაში (ებრაელები, ბოშები), საბჭოთა კავშირში 1943–44 წლებში (ყირიმელი თათრები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ჩეჩნები, ინგუშები, მესხეთელი თურქები, ყალმუხები), ინდონეზიაში 1965–66 წლები (ჩინელები), ერაყში 1984–1991 წლები (ქურთები), რუანდასა და ბურუნდიში 1994–96 წლებში (ჰუტუ).

საერთაშორისო ურთიერთობების დღევანდელ სურათში დაპირისპირება სახელმწიფოსა და მისივე მოქალაქეების ნაწილს

შორის, ანუ ტიტულარული ერის ნაციონალიზმსა და ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმს (მინინაციონალიზმს) შორის, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა და ცალკეულ მკვლევართა აზრით, სწორედ ეს დაპირისპირება გახდა ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ძირითადი მახასიათებელი.

ცხადია, მინინაციონალიზმი უამრავი ფორმით და სახით გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ რამდენი ეთნიკური უმცირესობაცაა, იმდენი მინინაციონალიზმი არსებობს. მაგრამ არის მრავალი ზოგადი ნიშანი, რომელიც იძლევა იმის საფუძველს, რომ ყველა ასეთი ნაციონალიზმი ერთი საერთო სახელით – მინინაციონალიზმით გავაერთიანოთ.

ინგლისელი ისტორიკოსი ჰ. სეტონ-ვატსონი თვლის, რომ მინინაციონალიზმის, ანუ ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი უკმარისობის, დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა (ციტირებულია Suyder, 1982, p.14). ეთნიკური უმცირესობები უკმაყოფილო არიან იმ მდგომარეობით, რომელშიც ისინი არიან და ამიტომ არსებული მდგომარეობის შეცვლას ისახავენ მიზნად. მაგრამ ის მოთხოვნები, რომელსაც აყენებს მინინაციონალისტური მოძრაობები განსხვავდება სიმძაფრით. იგი იცვლება ავტონომიიდან სრულ დამოუკიდებლობამდე. ყველა მათგანში მოიძებნება როგორც ზომიერი, ავტონომიური მოწყობის მომხრეები, ისე უკიდურესი სეპარატისტები.

პირველნი მიდიან კომპრომისზე და კმაყოფილდებიან მხოლოდ მათი უფლებების აღიარებით. მათთვის მისაღებია უფლებების განაწილება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, თუკი დაკმაყოფილდება მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნები. მეორენი მხოლოდ სრულ თავისუფლებას თანხმდებიან და ამ მიზანის მისაღწევად უკიდურეს ფორმებსაც არ ერიდებიან, მათ შორის ძალადობას და ტერორს.

ლ. სნაიდერი (Snyder, 1982, p. 17) ტერორისტების ოთხ გავრცელებულ სახეობას გამოყოფს: 1) ნაციონალისტები, ავტონომისტები ან სხვა უმცირესობები; 2) იდეოლოგიური სექტები და საიდუმლო საზოგადოებები, რომლებიც „თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის" იბრძვიან; 3) დიასპორაში მყოფი, საკუთარი სამშობლოდან მოწყვეტილი ჯგუფები, რომლებსაც მიზნად სამშობლოსთან შეერთება აქვთ დასახული; 4) ტრანსნაციონალური ბანდები, რომლებსაც აქვთ მხარდაჭერა სხვადასხვა ქვეყნებიდან და ორგანიზაციებიდან მსოფლიო რევოლუციის

სახელით. ამ უკანასკნელი ჯგუფის გარდა, სამი დანარჩენი ასე თუ ისე დაკავშირებულია ნაციონალიზმთან და მიზნებიც აშკარად ეროვნული ხასიათისაა.

მინინაციონალიზმის აგრესიულობა და რადიკალური ხასიათი დიდად არის დამოკიდებული, თუ რომელი ქვეყნის ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმზეა საუბარი. როგორც წესი, დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნებში, ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმი უფრო „დემოკრატიული" და ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე მესამე სამყაროს ქვეყნებში. ამის მიზეზი, გაცილებით მაღალი პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია და კანონის უზენაესობაა.

## 4.3. გეოპოლიტიკა და პანნაციონალისტური მოძრაობები

### *4.3.1. გერმანული გეოპოლიტიკა და პანგერმანიზმი*

გეოპოლიტიკის ისტორიას გერმანელი გეოგრაფისა და ეთნოგრაფის ფრიდრიხ რატცელის სახელით იწყებენ. იგი გეოგრაფიული დეტერმინიზმის აშკარა მიმდევარი იყო და თავისი წინამორბედების: ბოდენის, მონტესკიეს და რიტერის მსგავსად საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად გეოგრაფიულ გარემოს თვლიდა. მაგრამ თავის ძირითად ნაშრომში „პოლიტიკური გეოგრაფია" რატცელმა გამოთქვა მთელი რიგი დებულებები, რომლებიც შემდგომში მიჩნეულ იქნა ახალი მოძღვრების – გეოპოლიტიკის ფუძემდებლურ პრინციპებად. თვითონ რატცელი არსად იყენებს ტერმინ გეოპოლიტიკას და არც ჰქონია პრეტენზია ახალი მეცნიერების შექმნისა.

ძირითადი იდეა, რომელიც რატცელმა წამოაყენა, იყო ის, რომ მან სახელმწიფო შეადარა ცოცხალ ორგანიზმს, სულიერ და ზნეობრივ არსებას, რომელსაც სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად ესაჭიროება კვება, ზრდა და განვითარება. ამერიკელი მეცნიერი რობერტ შტრაუს-ჰუპე (Straus-Hupe, 1942) გამოყოფს რატცელის მიერ ჩამოყალიბებულ შვიდ „კანონს":

ა) სახელმწიფოს სივრცე იზრდება მისი კულტურის ზრდასთან ერთად;

ბ) სახელმწიფოს ზრდას თან ახლავს განვითარების სხვა სიმპტომები: იდეები, ვაჭრობა, მისიონერობა, აქტივობის ზრდა;

გ) სახელმწიფოს ზრდა ხორციელდება პატარ-პატარა სახელმწიფოების შეერთებისა და მათი შთანთქმის გზით;

დ) საზღვარი არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო და წარმოადგენს ქვეყნის ზრდის, მისი ძალის თუ სისუსტის და ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების გამოხატულებას;

ე) ზრდის პროცესში სახელმწიფო ცდილობს თავის თავში მოიცვას ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს ფასეული ელემენტები: სანაპირო ხაზი, მდინარეები, ვაკეები, წიაღისეულით მდიდარი რაიონები;

ვ) ტერიტორიული ზრდის პირველ იმპულსს პრიმიტიული ქვეყნები იღებენ გარედან, უფრო მაღალი ცივილიზაციებიდან;

ზ) ტენდენცია შერწყმისაკენ გადაეცემა სახელმწიფოდან სახელმწიფოს და თანდათან იკრებს ძალას.

ამ დებულებებიდან ჩანს, რომ რატცელს სავსებით ბუნებრივ და აუცილებელ მოვლენად მიაჩნია სახელმწიფოს სწრაფვა ტერიტორიული გაფართოებისაკენ, შერწყმისაკენ და გეოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისაკენ. იგი დარწმუნებული იყო, რომ დიდი სივრცეებისკენ სწრაფვა გახდებოდა XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პრინციპი და მსოფლიოში რამდენიმე მსხვილი სახელმწიფო დარჩებოდა.

რატცელის აზრები განავრცო და ახალი იდეებით შეავსო შვედმა პანგერმანისტმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა (კელენმა). მასვე ეკუთვნის ტერმინი „გეოპოლიტიკა".

ჩელენმა თავის ძირითად ნაშრომში „სახელმწიფო როგორც სიცოცხლის ფორმა" საბოლოო სახე მისცა რატცელის იდეებს და აჩვენა, რომ გერმანია ახალგაზრდა და მზარდი ერია, რომელმაც თავის გარშემო ევროპის სახელმწიფოების შემოკრებით უნდა შექმნას „სასიცოცხლო სივრცე" (Lebensraum). ჩელენის აზრით, გერმანიისა და ევროპის გეოპოლიტიკური გაიგივება გარდაუვალი იყო, მიუხედავად პირველ მსოფლიო ომში დროებითი მარცხისა. თვით პირველი მსოფლიო ომი ჩელენის მტკიცებით სავსებით ბუნებრივი გეოგრაფიული კონფლიქტი იყო, რომელიც წარმოშვა ახალგაზრდა და აღმავლობის გზაზე მდგარი გერმანიის და დაცემის გზაზე მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის გეოპოლიტიკურ განვითარებას შორის არსებულმა განსხვავებამ. გერმანიის ეროვნულ ინტერესებს შეადგენს გახდეს მსოფლიო მასშტაბის კონტინენტური სახელმწიფო და

შეიერთოს ის ტერიტორიები და კოლონიები, რომლებსაც „ძველი ხალხები" – ინგლისელები და ფრანგები აკონტროლებენ.

ფრიდრიხ ნაუმანმა თავის წიგნში „შუა ევროპა" წამოაყენა იდეა: იმისათვის, რათა ისეთ მძლავრ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნებს დაუპირისპირდე, როგორებიც რუსეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი (თავისი კოლონიებით) არიან, საჭიროა ცენტრალური ევროპის ხალხებმა შექმნან ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე, რომლის ღერძიც, ბუნებრივია, გერმანია იქნება. „შუა ევროპა" სხვა პანგერმანული იდეებისაგან განსხვავებით არა იმდენად ნაციონალური იყო, რამდენადაც წმინდა გეოპოლიტიკური, რადგან ძირითადი ყურადღება ეთმობოდა არა ეთნიკურ, არამედ გეოგრაფიულ ბედის ერთობას. ნაუმანის პროექტი გულისხმობდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, დუნაისპირა სახელმწიფოების გაერთიანებას, რასაც პერსპექტივაში საფრანგეთის, იტალიისა და სკანდინავიის ქვეყნების ინტეგრაციაც უნდა მოჰყოლოდა.

გერმანული გეოპოლიტიკის აყვავების პერიოდად ითვლება XX საუკუნის 20–30-იანი წლები, როცა გეოპოლიტიკა ნაცისტების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგიად იქცა. ამ პერიოდის გერმანული გეოპოლიტიკის მთავარი წარმომადგენელია კარლ ჰაუსჰოფერი.

ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკური შრომების მთავარი აზრი იმ დაპირისპირებაშია, რომელიც არსებობს „საზღვაო მმართველობის" (თალასოკრატია) და „კონტინენტური მმართველობის" (თელუროკრატია) შორის. გერმანია, როგორც ევროპის ცენტრში მდებარე სახელმწიფო, ტიპური კონტინენტური, სახმელეთო სახელმწიფოა (ისევე როგორც რუსეთი), და საზღვაო დასავლეთის (აშშ-ინგლისი) ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეა. ამიტომ დასავლეთთან ალიანსი, ჰაუსჰოფერის აზრით, გეოპოლიტიკური წინააღმდეგობაა და გეზი ევრაზიულ კავშირზე, კონტინენტური ბლოკის ჩამოყალიბებაზე უნდა იქნეს აღებული (ღერძი – ბერლინი-მოსკოვი-ტოკიო). ამ კავშირის შექმნა ევრაზიას დაუმარცხებელს გახდის, ხოლო დასავლეთის ძლიერებას ბოლო მოეღება. „ანგლოსაქსური პოლიტიკის ბოლო საათი მაშინ ჩამოჰკრავს, როდესაც გერმანელები, რუსები და იაპონელები გაერთიანდებიან" (ციტირებულია: დუგინი, 1999, გვ. 49). ამ აზრს ჰაუსჰოფერი ყოველთვის გამოხატავდა და ხაზსაც კი უსვამდა, რომ გერმანია, მისი ხალხი და კულტურა

წარმოადგენს ევრაზიული, აზიური ტრადიციის დასავლეთით გაგრძელებას.

ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკური იდეების გამარჯვება იყო 1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტი, რაც ამ ორ სახელმწიფოს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებას გულისხმობდა და ერთობლივ პოლიტიკურ ქმედებას ითვალისწინებდა. 1941 წლის ივნისში გერმანიის მოულოდნელი თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ჰაუსჰოფერმა უდიდეს შეცდომად მიიჩნია და ამით ფაქტობრივად ჰიტლერს დაუპირისპირდა. ღერძ ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს ნაცვლად სამკუთხედის წარმოქმნა, სადაც მოსკოვის ადგილი მეორეხარისხოვანი, ნახევარკუნძულოვანი სახელმწიფოს იტალიის დედაქალაქმა რომმა დაიკავა, ჰაუსჰოფერის აზრით, ნამდვილი გეოპოლიტიკური კარიკატურა იყო.

საერთოდ, ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკის გაიგივება ნაციზმთან საფუძველს მოკლებულია. კერძოდ, მოსკოვთან „კონტინენტური ბლოკის“ შექმნის აუცილებლობა პირდაპირ ეჯახება გერმანული ეროვნული თვითშეგნების ტენდენციებს. ნაციზმი ისტორიას უყურებდა რასისტული კუთხით, ანუ მისთვის მთავარი იყო რასობრივი სიახლოვე და არა გეოპოლიტიკური სპეციფიკა. ასეთ შემთხვევაში გერმანიის მოკავშირე ეთნიკურად მასთან ახლოს მდგომი ხალხები ინგლისელები და ამერიკელები უნდა ყოფილიყვნენ და არა სლავები ან მით უმეტეს მუქკანიანი აზიელები. ნაცისტების თვალში ეს უკანასკნელნი რასობრივ მოწინააღმდეგეებად აღიქმებოდნენ.

აქედან გამომდინარე, ნაციზმი ფაქტობრივად ეწინააღმდეგება გეოპოლიტიკას და ევრაზიული კავშირის ნაცვლად ატლანტისტური სტრატეგიისაკენ უბიძგებდა გერმანიას. მაგრამ ამავე დროს ყველას ახსოვდა ვერსალის დამამცირებელი გამოცდილება. ამით აიხსნება ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგობრივი საგარეო პოლიტიკა. ერთი მხრივ, ეს იყო თალასოკრატიული ხაზი (ანტიკომუნიზმი, ანტისლავური განწყობა, სსრკ-ზე თავდასხმა, კათოლიკე ხორვატების წაქეზება მართლმადიდებელი ბალკანელი ხალხების წინააღმდეგ), ხოლო მეორე მხრივ, წმინდა გეოპოლიტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ევრაზიული თელუროკრატია (ომი ინგლისთან და საფრანგეთთან, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი და სხვ.).

მეორე მსოფლიო ომში სასტიკი მარცხის შემდეგ როგორც გერმანული ნაციზმი, ისე გერმანული გეოპოლიტიკა წარსულის მძიმე მოგონებად დარჩა. მაგრამ თუ ნაციზმი დღევანდელი

გერმანელი ერის მიერ ფაქტობრივად უარყოფილია, გეოპოლიტიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა თანდათან ყალიბდება. გერმანელი გეოპოლიტიკოსების მოსაზრებები სრულიად განსხვავდება ომამდელი გეოპოლიტიკური იდეებისაგან და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების რეალური სურათიდან გამოდის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფ. ფრიდის მოსაზრება: „ამ საფეხურზე ბრძოლა სივრცისათვის, როცა აღარ დარჩა გასაყოფი სივრცე, გადაიქცა ბრძოლად სოციალური განვითარების უფრო მაღალი დონისათვის. ვინც ამ ბრძოლაში ლიდერობას იგდებს ხელთ და შეინარჩუნებს, ხვალ მისი კუთვნილება გახდება მთელი მსოფლიო" (ციტირებულია: **Нартов**, 1998, ст. 236). სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა ომის შემდგომი გერმანია და მოკლე ხანში ეკონომიკური თვალსაზრისით ევროპის ყველაზე მძლავრი ქვეყანა გახდა. დღეს გერმანიის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ორჯერ აღემატება ევროპის მეორე ეკონომიკური სიძლიერის ქვეყნის – საფრანგეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. ევროკავშირში გერმანიის პრიორიტეტული ეკონომიკური როლი აფიქრებინებს ზოგიერთ ავტორს, რომ ხდება ევროპის თავისებური „გერმანიზაცია", რადგან რეგიონში ევროპის არც ერთ სხვა სახელმწიფოს არა აქვს ისეთი ეკონომიკური და ფინანსური გავლენა, როგორიც გერმანიას.

რაც შეეხება პანგერმანიზმს, როგორც პანნაციონალისტურ იდეოლოგიას და მოძრაობას, სხვა პანნაციონალიზმებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ არა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების (მაგ., გერმანიკულ ენობრივ ჯგუფზე მოლაპარაკე ხალხების) გაერთიანებას ისახავდა მიზნად, არამედ იფარგლებოდა ერთი ერის – გერმანელების გაერთიანების იდეით. მას შემდეგ, რაც ბისმარკმა შეძლო 38 გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება და ერთიანი გერმანიის იმპერიის შექმნა, პანგერმანიზმის ძირითადი მიზანი გერმანიის საზღვრებს გარეთ დარჩენილი ეთნიკური გერმანელებით დასახლებული ტერიტორიების (ავსტრია, შვეიცარიის დიდი ნაწილი, რუსეთის ბალტიისპირა სანაპიროს ნაწილი) გერმანიის იმპერიასთან შეერთება გახდა.

I მსოფლიო ომის წლებში პანგერმანიზმს დაემატა გეოპოლიტიკური მოთხოვნებიც, რომ გერმანიის ძალაუფლება გავრცელებულიყო ჩრდილოეთის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე ოსმალეთზე კონტროლის ჩათვლით, პლუს ახალი კოლონიების ხელში ჩაგდება აფრიკაში. ომში დამარცხება პანგერმანიზმის

დამარცხებას არ ნიშნავდა, პირიქით, იგი, როგორც იდეოლოგია, უფრო მკაცრი და აგრესიული გახდა.

ნაცისტების ხელში პანგერმანიზმმა ექსტრემისტული ფორმა მიიღო და უკიდურესი რასისტული სახით წარმოჩინდა, ემყარებოდა რა გერმანელი ერის გამორჩეულობასა და არიულ წარმოშობას. ავსტრიის ანშლუსი და სუდეტის ოლქების შეერთება პანგერმანიზმის აშკარა გამოვლინება იყო.

ჰიტლერისეული პანგერმანიზმი ნაციზმის განადგურებასთან ერთად მოკვდა და დღეს იგი გერმანელთა უმრავლესობის მიერ უსიამოვნო მოგონებად და ისტორიულ შეცდომად აღიქმება.

### *4.3.2. რუსული გეოპოლიტიკა. ევრაზიანიზმი და პანსლავიზმი*

რუსულ გეოპოლიტიკურ მეცნიერებაზე ლაპარაკი მხოლოდ XX საუკუნიდან შეიძლება. მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკის გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები უკვე XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა და, შეიძლება ითქვას, ძირითად ნიშნებს დღემდე ინარჩუნებს.

მონღოლ-თათართა შემოსევამ ბოლო მოუღო ძველი რუსეთის სახელმწიფოს და მასთან ერთად ძველ რუს ეთნოსს. სლავებისა და მონღოლურ-თურქული ტომების მიქსაციამ ჩამოაყალიბა ახალი რუსული ეთნოსი, რომელიც, როგორც ახალგაზრდა და ენერგიული ერთობა, ტერიტორიული ზრდისა და გავრცელების ტენდენციით გამოირჩეოდა.

მოსკოვის სამთავროს მიერ სხვა რუსული სამთავროების მიერთებამ წარმოშვა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც ფართობით და მოსახლეობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროპის ნებისმიერ ქვეყანას. ეს მოვლენა ქრონოლოგიურად დაემთხვა ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას — თურქების მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობას და კონსტანტინეპოლის (რუსულად — ცარგრადის) აღებას. შეიქმნა სამ კონტინენტზე გადაჭიმული ოსმალეთის იმპერია, რომლის მიერაც დაპყრობილ და ანექსირებულ იქნა პრაქტიკულად ყველა მართლმადიდებლური სახელმწიფო და ხალხი (რუსების გარდა).

ასეთ ვითარებაში რუსეთის საეკლესიო და შემდეგ სახელმწიფო ელიტაში თანდათან დამკვიდრდა რწმენა რუსეთის,

როგორც მართლმადიდებლობის ცენტრის, ხოლო მოსკოვის როგორც მესამე რომის (ძველი რომისა და კონსტანტინეპოლის შემდეგ) შესახებ. დევიზი: „ორი რომი უკვე დაეცა, მესამე რომი. მოსკოვია, ხოლო მეოთხე აღარ იქნება“ გახდა სახელმწიფო რწმენის გამოხატულება. მოძმე ქრისტიანი, მართლმადიდებელი ერების ოსმალებისგან განთავისუფლება და მათი შემოერთება, ისევე როგორც კონსტანტინეპოლის დაბრუნება, რუსეთის ღვთიურ, წმინდა მისიად გამოცხადდა. ამგვარად, რუსული სახელმწიფო, ისევე როგორც მოგვიანებით რუსული ნაციონალიზმი და გეოპოლიტიკა, ერთგვარი მესიანიზმით შეიმოსა და დღესაც რუსეთის მესიანისტური ფუნქცია რუსი ნაციონალისტებისთვის არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როდესაც ივანე მრისხანემ თავი რუსეთის მეფედ ანუ ცარად (ე. ი. კეისრად) გამოაცხადა, ამით ხაზი გაუსვა რუსეთს, როგორც ბიზანტიის მემკვიდრეს, ხოლო საკუთარი ტიტული ბიზანტიის კეისრის ტიტულს გაუტოლა. XVII საუკუნეში რუსეთმა აითვისა ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უზარმაზარი სივრცეები და მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო გახდა. პეტრე I-მა რუსეთი იმპერიად, ხოლო თავი იმპერატორად გამოაცხადა. ამ პერიოდიდან რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები უკვე მთელ მსოფლიოს სწვდება, მაგრამ ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა, ბალკანეთის, ბოსფორის და დარდანელის ხელში ჩაგდება (ქრისტიანი ძმების განთავისუფლების საბაბით) კვლავ რჩებოდა მთავარ პოლიტიკურ მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად ხდებოდა რუსეთის გაფართოება სამხრეთის მიმართულებით.

XVIII საუკუნეში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორიენტაცია, რომელსაც გარკვეული გეოპოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ესაა ე. წ. მედასავლეთეობა, ანუ „ზაპადნიჩესტვო“. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებს, მიაჩნდათ რა რუსეთი ევროპის ნაწილად, თვლიდნენ, რომ რუსეთის წინსვლისა და წარმატებების ერთადერთი საშუალება მისი ევროპეიზაციაა. ამიტომ რუსეთი მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ევროპას, შეითვისოს მისი კულტურა, გადაიღოს ევროპული წეს-ჩვეულებები, კანონები, ტრადიციები და შეეცადოს იქცეს ევროპის ნაწილად. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელებიდან პეტრე I და ეკატერინე II აშკარად გამოხატული „ზაპადნიკები“ იყვნენ.

XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაამარცხა ნაპოლეონის არმია, ხოლო თურქეთთან და ირანთან ომებით მნიშვნელოვნად გაიფართოვა ტერიტორია სამხრეთის მიმარ-

თულებით, თანდათან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ რუსეთი არ არის რიგითი ევროპული სახელმწიფო. იგი უფრო მეტია, დაახლოებით იმავე მნიშვნელობისა და სიძლიერის ფენომენია, რაც მთელი დასავლეთ ევროპა. რუსები, უპირველეს ყოვლისა ევროპელები კი არა, სლავები არიან. რუსეთი უფროსი ძმაა სლავ ძმებს შორის და მისი მისიაა გაათავისუფლოს თავისი თანამოძმენი, რომლებიც ოსმალეთის თუ ჰაბსბურგთა იმპერიის ფარგლებში არიან და ისინი რუსეთს შეუერთოს. ეს იდეა, რომელიც სლავების განსაკუთრებულობას და ცალკე ცივილიზაციად მიჩნევას გულისხმობს, სლავიანოფილიის (სლავთმოყვარეობის) სახელით არის ცნობილი. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა პანსლავიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც სლავების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას უჭერდა მხარს.

საკუთრივ რუსულ თეორიულ გეოპოლიტიკაზე საუბარი XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძლება. მის პირველ წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ ვ. სემიონოვ-ტიან-შანსკი, რომელმაც შექმნა ლოგიკურად სრულყოფილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონცეფცია მკვეთრად გამოხატული ისტორიულ-გეოპოლიტიკური და „რუსეთ-ცენტრული“ შინაარსით, სადაც იგი ასაბუთებდა რუსეთის საკოლონიზაციო ბაზების შექმნის აუცილებლობას, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიულ-პოლიტიკური სიძლიერის გარანტიას.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რუსული თეორიული გეოპოლიტიკა ძირითადად რუს ემიგრანტთა წრეში ვითარდებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ისტორიკოსი და სოციოლოგი ი. სოლონევიჩი (Солоневич, 1991). იგი გეოგრაფიული დეტერმინიზმის აშკარა გამომხატველია და თვლის, რომ როგორც ამერიკული თავისუფლება და ამერიკული სიმდიდრე განისაზღვრება ამერიკის გეოგრაფიით, ისევე რუსული თავისუფლება და რუსული სიმდიდრე შეზღუდულია რუსეთის გეოგრაფიით. მისი აზრით, რუს ხალხს არასოდეს ექნება ისეთი თავისუფლება, როგორიც ამერიკელებს ან ინგლისელებს აქვთ, რადგან ამ უკანასკნელთა უსაფრთხოება გარანტირებულია ოკეანეებით და სრუტეებით, ხოლო რუსეთის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურია. ამიტომ თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა სახეებს შორის, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთში, სამხედრო ვალდებულება უპირველესია. თუ ამ საკითხში ნებაყოფლობითი

არჩევანი იქნება და მოსახლეობას თავისუფლად შეეძლება უარი თქვას არმიაში სამსახურზე, მაშინ ეს თვით რუსეთის სახელმწიფოს დაღუპვის მაჩვენებელი იქნება. რაც შეეხება რუსეთის სიღარიბეს, ამის მიზეზი პოლიტიკური წყობა და ეკონომიკური სისტემა კი არ არის, არამედ რუსეთის გეოგრაფიული „სიბეჩავე" (обездоленность).

რუსულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მიმდინარეობას, რომელიც ევრაზიანიზმის სახელით არის ცნობილი და რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან პ. სავიცკი, ნ. ტრუბეცკოი, ი. ილინი, გ. ვერნადსკი და სხვები.

ევრაზიანიზმის იდეები ყველაზე მკაფიოდ და ნათლად არის გამოხატული პ. სავიცკის შრომებში, კერძოდ, მის სტატიაში „ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები" (სტატია მოყვანილია ა. დუგინის წიგნში „გეოპოლიტიკის საფუძვლები" თბ., 1999, გვ. 364–370). სავიცკის აზრით, რუსეთი არ არის არც ევროპული და არც სლავური სახელმწიფო. იგი არის ევრაზიის (და შესაბამისად მსოფლიოს) შუაგული, ცენტრალური მიწა, ცივილიზაციის განსაკუთრებული სახე, რომელიც აერთიანებს არიულ-სლავურ კულტურას, თურქულ-მონღოლურ მომთაბარეობას და მართლმადიდებლურ ტრადიციას. ყოველივე ეს ქმნის უნიკალურ, „შუაგულ" წარმონაქმნს, რომელიც მსოფლიო ისტორიის სინთეზს წარმოადგენს, ამიტომ რუსები სლავების უბრალო განშტოება კი არა, არამედ განსაკუთრებული იმპერიული წარმონაქმნია, სადაც ერთმანეთშია შეხამებული სლავური და თურქული კულტურები. სავიცკი ფაქტობრივად ამართლებს მონღოლ-თათართა უღელს რუსეთზე, რამაც რუსეთს შესძინა საკუთარი გეოპოლიტიკური თვითმყოფადობა და შეუნარჩუნა საკუთარი დამოუკიდებლობა. სავიცკის თეზისი „თათრების გარეშე არ იქნებოდა რუსეთი" ევრაზიანიზმის მთავარ ფორმულად იქცა. ევრაზიულობის გეოპოლიტიკური არსი წარმოდგენილია ორი რეალობის – ევროპული ტყისა და აზიური სტეპის სინთეზად. მასში შერწყმულია ისტორიული „ბინადარი" და „სტეპური" სტიქია. სწორედ ეს რუსულ-მონღოლური კონტინენტური აღქმა უპირისპირდება დასავლეთევროპულ ზღვიურ აღქმას.

სავიცკის თეორიაში ერთ-ერთი ძირითადია „ადგილგანვითარების" კონცეფცია, რომელიც ახლოსაა გერმანულ გეოპოლიტიკაში გავრცელებულ „სივრცის" (Raum) ცნებასთან. სა-

ვიცკის აზრით, სოციალურ-პოლიტიკური გარემო და მისი ტერიტორია უნდა განიხილებოდეს როგორც ერთ მთლიანობად შერწყმული, განუყოფელი ერთობა, ერთი გეოგრაფიული ინდივიდუუმი ან ლანდშაფტი. სწორედ ეს არის „ადგილგანვითარების" არსი. რუსეთი არის „ადგილგანვითარება", ერთი მთლიანობა, გეოგრაფიული ინდივიდუუმი – ერთდროულად გეოგრაფიული, სამეურნეო, ისტორიული, ეთნიკური და ა.შ. „ლანდშაფტი". იგი შედგება მრავალი უფრო მცირე „ადგილგანვითარებისაგან" და მათ ინტეგრალურ ფორმას, სინთეზს წარმოადგენს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება არის ის, რომ რუსეთი, როგორც ევრაზიული სახელმწიფო, არის „იდეოკრატიული", რომელიც უნდა შენდებოდეს ზემოდან ქვემოთ და ემსახურებოდეს აპრიორული იდეების განხორციელებას, ხოლო თვით სტრუქტურის სათავეში უნდა იდგეს „ქურუმების" განსაკუთრებული კლასი. იდეოკრატია აერთიანებს იდეალისტურ მოტივებზე დაფუძნებულ არადემოკრატიულ, არალიბერალურ მმართველობას და უპირისპირდება პრაგმატულ, მატერიალურ და კომერციულ მსოფლმხედველობას. ამით ევრაზიანისტებმა გასაგებად ახსნეს ზღვისა და ხმელეთის გეოპოლიტიკური დაპირისპირების (თალასოკრატიის და თელუროკრატიის) საფუძველი: ზღვა – ეს არის ლიბერალური დემოკრატია, სავაჭრო წყობა, პრაგმატიზმი; ხმელეთი კი იდეოკრატია, იერარქიული მართვა და რელიგიური იდეალის უპირატესობაა.

იდეოგრაფიული ევრაზიული სახელმწიფო შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც მონარქიაში, ისე საბჭოური ტიპის პარტიულ სახელმწიფოში. ალბათ ამით აიხსნება ევრაზიანისტების (რომელთა უმრავლესობა ემიგრანტები იყვნენ) საკმაოდ ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი და მისი მთელი რიგი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების აშკარა მხარდაჭერა.

თავისთავად საბჭოთა კავშირის არსებობა თითქმის იმავე საზღვრებში, რომლებშიც მეფის რუსეთი იყო, ევრაზიანიზმის იდეის განხორციელებას წარმოადგენდა. ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს სლავურ და თურქულ ენობრივ ჯგუფებზე მოლაპარაკე ხალხები შეადგენდნენ. მაგრამ აქ მთავარი არა ეთნიკური, არამედ გეოპოლიტიკური ერთობა იყო, რაც მომავალში ერთიანი საბჭოთა ერის შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ცხადია, საბჭოთა კავშირს გამოჰყვა ის გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც რუსეთის იმპერიას ჰქონდა (ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, აგრეთვე ინდოეთის ოკეანეზე გასვ-

ლა), მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისმა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა მთელი მსოფლიო მოიცვა, თანაც მესიანისტური იდეა შენარჩუნებულ იქნა. თუ ადრე ეს მართლმადიდებელი და სლავი ძმების განთავისუფლებას გულისხმობდა, ახლა უმთავრეს მისიად მსოფლიოს მშრომელთა ჩაგვრისაგან განთავისუფლება, მსოფლიო რევოლუცია და კომუნიზმის საყოველთაო გამარჯვება იქცა. 70-იანი წლების ბოლოსთვის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის გავლენის არეალი მსოფლიოს ყველა რეგიონს სწვდებოდა.

სოციალისტური სისტემის კრახმა და საბჭოთა კავშირის დაშლამ გეოპოლიტიკური წესრიგი მსოფლიოში ძირეულად შეცვალა. რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მნიშვნელობა უკიდურესად შესუსტდა, იგი ფაქტიურად ეთნიკურ სახელმწიფოდ იქცა. ეს ვითარება განსაკუთრებით მწვავედ იქნა აღქმული თანამედროვე ევრაზიანისტების (ნეოევრაზიანისტების) მიერ. მათი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა სრულიად არალოგიკური, არაბუნებრივი მოვლენაა, რამაც დაარღვია ტყისა და სტეპის (სლავებისა და თურქების) სიმბიოზი. ამიტომ განახლებული კავშირის შექმნა, ახალი ევრაზიული პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება საჭირო და გადაუდებელი ამოცანაა; ახალი კავშირის იდეოლოგიური საფუძველი კი ევრაზიანიზმი უნდა გახდეს (მართლმადიდებლობისა და ისლამის გარკვეული დოზით).

ნეოევრაზიანიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოჩენილი ისტორიკოსი, გეოგრაფი და ეთნოლოგი ლევ გუმილიოვია. თავის მრავალრიცხოვან და ფუნდამენტურ შრომებში იგი უშუალოდ არ ეხება გეოპოლიტიკის საკითხებს, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული ეთნოგენეზისა და „პასიონარობის" თეორიები სერიოზული საფუძველია მთელი რიგი გეოპოლიტიკური დასკვნების გაკეთებისათვის. ამჯერად ჩვენ არ შევეხებით გუმილიოვის თეორიებს, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ ნიშანს.

გუმილიოვი ავითარებს საერთო ევრაზიულ იდეას იმის შესახებ, რომ ეთნიკური რუსები არ არიან აღმოსავლეთ სლავები, არამედ წარმოადგენენ სლავურ-თურქული შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ განსაკუთრებულ ეთნოსს. აქედან ირიბად გამომდინარეობს რუსების მიერ იმ ევრაზიული მიწების კონტროლის დასაბუთება და სამართლიანობა, რომელიც

თურქული ეთნოსით არის დასახლებული. რუსული კულტურა ჩამოყალიბდა თურქულ-სლავური ეთნოგენეზისის საფუძველზე, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ხორციელდებოდა ტყისა და სტეპის ისტორიული ალიანსის სახით. სწორედ ტყისა და სტეპის გეოპოლიტიკური შეხამება წარმოადგენს რუსეთის ისტორიულ არსს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა მის კულტურას, ეკონომიკას, იდეოლოგიას და პოლიტიკურ ბედს.

. რუსი სუპერეთნოსი ანუ რუსული ცივილიზაცია ჯერ კიდევ ახალგაზრდა, პასიონარული (ე. ი. თავისებური გეობიოქიმიური ენერგიით დამუხტული) ფენომენია და განსხვავდება დასავლური ცივილიზაციისაგან, რომელიც ეთნოგენეზისის უკანასკნელ, დაღმავალ სტადიაშია. ამიტომ სიმძიმის ცენტრის უფრო ახალგაზრდა ხალხისკენ გადანაცვლება გარდაუვალია და „რელიქტური" ეთნოსების ბატონობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

თანამედროვე რუსი ნეოევრაზიანისტები ძირითადად გაზეთ „ზავტრა"-ს გარშემო არიან თავმოყრილი. ისინი გამოირჩევიან უკიდურესი ანტიდასავლური განწყობით და აშკარა იმპერიალისტური მოთხოვნებით, რომლის მიზანიც ახალი ევრაზიული კავშირის შექმნა და რუსეთის სუპერსახელმწიფოს აღდგენაა.

ზოგადად, ევრაზიანისტების აზრით, რუსეთის ევრაზიული სუპერსახელმწიფო არ შეიძლება ეყრდნობოდეს ეთნიკურ, რელიგიურ თუ სოციალურ იდეოლოგიებს (სლავიზმი, მართლმადიდებლობა, სოციალ-დემოკრატია, ნაციონალ-ბოლშევიზმი და ა. შ.), არამედ ერთადერთ გამაერთიანებელ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს ევრაზიულობის, როგორც გეოპოლიტიკური ერთობის შეგნება. მათი აზრით, ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური სიახლოვე სლავ ხალხებს შორის არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მათ კულტურულ და ფსიქიკურ ერთობაზე ვილაპარაკოთ; ანუ, როგორც ეს XIX საუკუნის სწავლულმა კ. ლეონტიევმა თქვა, „სლავები არსებობენ, სლავიზმი – არა".

ევრაზიანიზმისაგან განსხვავებით, პანსლავიზმი სწორედ ეთნიკურ სიახლოვეს ეყრდნობა და მას მიიჩნევს სლავი ხალხების ერთიანობის საფუძვლად.

პანსლავიზმი, როგორც ერთ-ერთი უძველესი მაკრონაციონალიზმი, სხვა პანმოძრაობათა მსგავსად არასოდეს ყოფილა ზუსტად განსაზღვრული, სტაბილური იდეოლოგია. ის უფრო იდეათა კონგლომერატი იყო, რომელიც სლავთა ერთობისათვის

იბრძოდა, თუმცა ვერ განვითარდა როგორც სიცოცხლისუნარიანი მოძღვრება და არც მასებში ჰქონია ფართო მხარდაჭერა.

თავის ადრეულ, რომანტიკულ ფაზაში პანსლავიზმი ესწრაფოდა სლავების განთავისუფლებას ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიებისაგან. ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ სლავების გადარჩენა დამოკიდებულია მათ პოლიტიკურ ერთობაზე, მით უფრო, რომ ყველა სლავი ფლობს საერთო წარსულს, აქვს საერთო მორალური და სულიერი თვისებები და გამოირჩევა სხვა ხალხებისაგან. გერმანული და რომანული ხალხების დრო წავიდა და ახლა სწორედ სლავი ხალხის მისიაა ითამაშოს გმირის როლი ისტორიულ პროცესში.

პანსლავიზმის იდეოლოგიაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა რუსეთის ფაქტორი. იმპერიული რუსეთი თავის თავს მიიჩნევდა იმ ძალად, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა სლავები, გაეერთიანებინა ყველა სლავურენოვანი ხალხი და მიუხედავად იმისა, უნდოდათ თუ არა ეს სხვა სლავებს, შეეყვანა ისინი დიდი რუსეთის შემადგენლობაში. ოსმალეთის იმპერიაში მყოფი მართლმადიდებელი სლავებისათვის ეს იდეა მისაღებიც კი იყო, მით უფრო, რომ ეკატერინე II-ს დროიდან რუსეთი ბოსფორს მიღმა იყურებოდა. რაც შეეხება ავსტრიის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ კათოლიკე სლავებს, მათთვის რუსეთთან შეერთება საფსებით გამოირიცხებოდა და ისინი საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ეს განსხვავება შეუძლებელს ხდიდა პანსლავიზმი ყველა სლავისათვის საერთო იდეოლოგიად ქცეულიყო.

პანსლავიზმის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ჰერდერის წიგნმა „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის", სადაც მან ერთი თავი მიუძღვნა სლავ ხალხებს. ჰერდერმა მოუწოდა სლავ ინტელექტუალებს შეესწავლათ საკუთარი ისტორია, ფრანგულისა და გერმანულის ნაცვლად საკუთარ ენებზე მიეღოთ განათლება, ებეჭდათ წიგნები და გაზეთები და ასე შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა.

ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სლავი ხალხების მოძრაობა თავდაპირველად კულტურული უფლებებისთვის ბრძოლა იყო, შემდგომში კი პოლიტიკური მოთხოვნები და ავტონომიის იდეებიც გაჩნდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩეხური ნაციონალიზმის ფუძემდებლის ფრანტიშეკ პალაცკის მოღვაწეობა. მაგრამ პანსლავიზმის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა 1848 წლის

პრაღის კონგრესმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია ყველა სლავი ხალხის წარმომადგენლებს. ძირითადად კონგრესს ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები სლავი ეროვნებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს კონგრესი აშკარად ანტირუსული სულისკვეთებით მიდიოდა. რუსული მესიანიზმი, გერმანულ ექსპანსიონიზმთან და უნგრელთა დომინირებასთან ერთად სლავი ხალხების მთავარ მტრად მიიჩნიეს.

პრაღის კონგრესის მიმართ რუსეთში მკვეთრად უარყოფითი განწყობა აღინიშნა. რუსული ოფიციალური იდეოლოგია შეუძლებლად თვლიდა სლავთა რაიმე გაერთიანებას და განთავისუფლებას რუსეთის ხელმძღვანელობის გარეშე. ყველა სლავი ხალხი უნდა შესულიყო დიდი რუსეთის შემადგენლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში დამორჩილებოდა მაინც მას. რუსეთის ხელისუფლების რწმენით, ისეთი მძლავრი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, როგორიც რუსეთია, სლავთა ნებისმიერი მოძრაობა დამარცხებისთვის იყო განწირული. რუსეთის, როგორც მსოფლიოს პირველი სახელმწიფოს, რუსი ხალხის, როგორც ღმერთისაგან რჩეულის და რუსეთის განსაკუთრებული, მსოფლიოს გადამრჩენი მისიის იდეა მასობრივად ინერგებოდა რუსეთის მოსახლეობაში და სხვა სლავ ხალხებში.

მსგავსი პროპაგანდისა და ძალისხმევის შედეგად პანსლავური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადაინაცვლა, რამაც დასავლეთ სლავების (პოლონელების, ჩეხების, სლოვაკების, აგრეთვე ხორვატებისა და სლოვენიელების) ერთგვარი გვერდზე გადგომა გამოიწვია, რადგან რუსეთში ისინი ახალ დამპყრობელს ხედავდნენ. 1867 წელს მოსკოვში გამართულ მეორე პანსლავურ კონგრესს პოლონელები საერთოდ არ დასწრებიან. კონგრესზე გამოიკვეთა რუსეთის მისწრაფება სლავი ხალხების რუსიფიკაციისა და რუსული ენის გამოცხადებისაკენ სლავების ოფიციალურ ენად, აგრეთვე მართლმადიდებლური ეკლესიის უზენაესობისა ყველა სლავისათვის.

რუსეთის ხელისუფლებამ სცადა ეს მოწოდებები ცხოვრებაში გაეტარებინა (რუსეთის იმპერიის ფარგლებში), რამაც საკმაოდ მძიმე შედეგები გამოიღო და პანსლავიზმის იდეას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე პანსლავისტური კონგრესი აღარ გამართულა; 1908 წლის პრაღის და 1910 წლის სოფიის კონგრესებმა კი წარმოაჩინა სერიოზული წინააღმდეგობა თვით სლავ ხალხებს (ჩეხებსა და სლოვაკებს, სერბებსა და ხორვატებს, პოლონელებსა და უკრაინელებს) შორის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პრაქტიკულად ყველა სლავმა ხალხმა შექმნა თავისი სახელმწიფო და ნაციონალიზმის გრძნობა პანნაციონალიზმზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა. ცხადია, არავინ მოისურვებდა დამოუკიდებლობა რუსეთის მეთაურობით შექმნილ სლავურ კავშირში შესვლაზე გაეცვალა, მით უფრო, რომ რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურა დამყარდა და საბჭოთა მთავრობამ პანსლავიზმი უარყო, როგორც ცარიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის საშუალება. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წლებში სტალინმა „სლავ ძმებს" საერთო მტრის – გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიბლივად ბრძოლისაკენ მოუწოდა და პანსლავიზმის იდეამაც საკმაოდ ეფექტურად იმუშავა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ყველა სლავური სახელმწიფო სოციალისტური ბანაკის შემადგენლობაში აღმოჩნდა და საბჭოთა კავშირს დაემორჩილა. ეს პანსლავიზმის იდეის თავისებური განხორციელება იყო, ოღონდ სხვა იდეოლოგიის პირობებში. სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან. გარდა ამისა, სამხრეთ სლავების ერთიან იუგოსლავიის სახელმწიფოში, ხოლო სლოვაკების ჩეხებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში ხელოვნურმა გაერთიანებამ საკმაოდ გაამწვავა ეროვნებათშორისი ურთიერთობები ამ ქვეყნებში, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ პანსლავიზმის იდეა პრაქტიკაში არ ამართლებდა. ეს სრულიად ნათელი გახდა სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ, რასაც ყველა იმ სახელმწიფოს ეროვნულ სახელმწიფოებად დაშლა მოჰყვა, სადაც სლავი ხალხები ფედერაციის სუბიექტებს შეადგენდნენ (სსრკ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია). დღეს შეიძლება ითქვას, რომ პანსლავიზმი, როგორც პოლიტიკური დოქტრინა აღარ არსებობს, ხოლო სლავთა ერთიანობისთვის მოძრაობას მხოლოდ კულტურულ-ლინგვისტური ფუნქციები აქვს.

### *4.3.3. პანამერიკანიზმი და ევროპული პანნაციონალიზმი*

პანამერიკანიზმი მაკრონაციონალისტურ მოძრაობებს შორის ყველაზე უფრო თავისებური და „ნაკლებად" ნაციონალისტურია, რაც მის ისტორიულ განვითარებასთანაა დაკავშირებული. თვით ტერმინი „პანამერიკანიზმი" სამი სხვადასხვა

მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს და განვითარების სამ სხვადასხვა ფაზას შეესაბამება.

პირველი მნიშვნელობით პანამერიკანიზმი XIX საუკუნის დასაწყისის მოვლენაა და ესპანეთის ამერიკული კოლონიების ერთობლივ განმათავისუფლებელ ბრძოლად და ერთიანი ესპანურენოვანი ამერიკის სახელმწიფოს შექმნის (La patria granda ანუ „დიდი სამშობლოს“) იდეას გულისხმობდა. პირობითად მას „პანესპანო-ამერიკანიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ.

მეორე ფაზის პანამერიკანიზმი XIX საუკუნის შუა წლებს მიეკუთვნება და ესპანურ-ამერიკული და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოების (ბრაზილია, ჰაიტი) დაახლოებას და ერთ კავშირად ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ამ ფაზას ყველაზე უფრო ტერმინი „პანლათინო-ამერიკანიზმი“ შეესაბამება.

მესამე და ყველაზე ცნობილი ფორმა წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და დაკავშირებულია აშშ-ის სწრაფვასთან მოეპოვებინა ამერიკის სახელმწიფოთა ერთობის ლიდერის ფუნქცია. სწორედ ამ მესამე მნიშვნელობით გამოიყენება დღეს ტერმინი „პანამერიკანიზმი“.

პანამერიკანიზმი (აქაც და ქვემოთაც იგულისხმება ამ ტერმინის მესამე, ფართო მნიშვნელობა), როგორც მაკრონაციონალიზმი მთელი რიგი თავისებურებით განსხვავდება სხვა პანნაციონალისტური იდეოლოგიებისა და მოძრაობებისაგან:

1. სხვა მაკრონაციონალიზმებისაგან განსხვავებით, პანამერიკანიზმი მოიცავს მთელ ნახევარსფეროს, ფაქტიურად ნახევარ მსოფლიოს, მაშინ, როცა სხვა პანნაციონალიზმები გაცილებით მცირე ტერიტორიებს ფარავს და იშვიათ შემთხვევაში თუ ვრცელდება მთელ კონტინენტზე (მაგ., პანაფრიკანიზმი).

2. პანამერიკანიზმი არ ემყარება ლინგვისტურ ერთობას. ძირითადი ენები სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნება;

3. პანამერიკანიზმს არა აქვს საერთო რელიგიური ბაზაც. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში დომინირებს კათოლიციზმი, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში – სხვადასხვა პროტესტანტული მიმართულება.

4. პანამერიკანიზმს მცირე ისტორიული ტრადიცია გააჩნია ერთიანობისათვის. ჩრდილოეთი და ლათინური ამერიკის განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა. ხოლო ამერიკის ერების და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძირეულად განსხვავდებოდა ევროპისა და აზიის ანალოგიური პროცესებისაგან.

5. პანამერიკანიზმის ძირითადი საფუძველი ეკონომიკაა და პანამერიკული ერთობის ძირითადი მიზანიც ეკონომიკური კეთილდღეობის განმტკიცებაა. პოლიტიკური მიზნები პან-ამერიკანიზმს ნაკლებად აქვს, რადგან გარედან საფრთხის ალბათობა უმნიშვნელოა.

6. ურთიერთსოლიდარობა ამერიკის სახელმწიფოებს შორის საკმაოდ სუსტია და თავს იჩენს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანა კონფლიქტში შევა გარეშე ძალასთან. ამის მაგალითად გამოდგება არგენტინა-ინგლისის 1982 წლის დაპირისპირება ფოლკლენდის კუნძულების თაობაზე, როცა ლათინური ამერიკის ქვეყნებმა არგენტინას დაუჭირა მხარი. მაგრამ ეს მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვიერი იყო და ბუნებრივია, არც შედეგი არ მოუტანია (Snyder, 1984, p. 286).

ამგვარად, პანამერიკანიზმი უფრო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კატეგორიაა, ვიდრე ეთნოლინგვისტური და რელიგიურ-კულტურულ სიახლოვეზე დაფუძნებული იდეოლოგია. ამას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს.

ჯერ კიდევ 1823 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ჯეიმს მონროს ცნობილი დოქტრინა აყალიბებდა იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც შემდგომში პანამერიკანიზმს დაედო საფუძვლად. კერძოდ, მონროს დოქტრინა შეიცავდა ოთხ ძირითად პუნქტს: ა) ამერიკის კონტინენტი აღარ წარმოადგენს ღია სივრცეს ევროპელთა კოლონიზაციისათვის; ბ) ამერიკის პოლიტიკური სისტემა არსებითად განსხვავდება ევროპულისაგან; გ) აშშ საკუთარი მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხედ ჩათვლის ევროპული სახელმწიფოების ნებისმიერ მცდელობას, თავიანთი სისტემა მოახვიონ თავს დასავლეთ ნახევარსფეროს რომელიმე ნაწილს; დ) აშშ არ ჩაერევა არც ევროპული ქვეყნების ამერიკაში უკვე არსებული კოლონიების, არც ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში (Perkins, 1955).

მონროს დოქტრინა „ამერიკა ამერიკელებისათვის" რეალობაში ნიშნავდა: „ამერიკის ორივე კონტინენტი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის". მართლაც, როცა XIX საუკუნის ბოლოს აშშ მსოფლიოს ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ იქცა, მან თავისი ყურადღება სამხრეთზე, ლათინური ამერიკის უზარმაზარ სიმდიდრეებზე გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მას ახალი მიწები არ ესაჭიროებოდა, მდიდარი ნედლეულისა და გასაღების ბაზრების ცდუნება საკმაოდ დიდი იყო.

1889 წელს აშშ-ის ინიციატივითა და დაფინანსებით ვაშინგტონში შედგა პირველი პანამერიკული კონფერენცია, რომელ-

ზეც წარმოდგენილი იყვნენ აშშ და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ასე ჩაეყარა საფუძველი პანამერიკულ კონფერენციების ჩატარების ტრადიციას, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია, ფინანსური, სამრეწველო და სავაჭრო პრობლემები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, ჯანდაცვა და კულტურული ურთიერთობები და ა. შ. თუმცა ცხადია, კონფერენციები მიმდინარეობდა აშშ-ის აშკარა ზეწოლით და შეთანხმებებიც უპირველეს ყოვლისა მის ინტერესებს ასახავდა.

1948 წელს ბოგოტაში გამართულ მეცხრე პანამერიკულ კონფერენციაზე დაფუძნდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც ამერიკის სახელმწიფოთაშორისო სოლიდარობის და ინტეგრაციის განმტკიცება წარმოადგენდა. თუმცა აშკარად არათანაბარმა შესაძლებლობებმა და პოტენციალმა, ერთი მხრივ, აშშ-სა და, მეორე მხრივ ლათინური ამერიკის თუნდაც ყველაზე მძლავრ სახელმწიფოს შორის, ამ ორგანიზაციის მუშაობა არაეფექტური გახადა. სახელმწიფოთა უმრავლესობის მხრიდან სულ უფრო აშკარად ჩანდა უკმაყოფილება აშშ-ის სრული დომინირების გამო. განსაკუთრებით ეს შეეხო აშშ-ის პოლიტიკას, როცა იგი უხეშად ერეოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების შინაურ საქმეებში (გვატემალა, კუბა, ჩილე, ნიკარაგუა, გრენადა). ყოველივე ამის გამო, რასაც დაემატა უკიდურესი სხვაობა ეკონომიკური ცხოვრების დონესა და მატერიალურ პირობებში აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობას შორის, აგრეთვე, ენობრივმა, კულტურულ-რელიგიურმა და ეთნოფსიქოლოგიურმა განსხვავებებმა პანამერიკანიზმი საგრძნობლად შეასუსტა და დღეს მისი გავლენა საკმაოდ დაბალია.

პანამერიკანიზმს ბევრ ნიუანსში წააგავს **პანევროპეიზმი.** ისიც პირველ რიგში უფრო გეოგრაფიული და ეკონომიკური კატეგორიაა, ვიდრე ეთნიკურ სიახლოვეზე დაფუძნებული რეალობა.

ევროპის ერთიანობის იდეა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში წამოაყენა დანტემ, შემდეგ კი XVI საუკუნეში – მაკიაველმა. 1849 წელს, როცა კონტინენტის მასშტაბით ნაციონალიზმის აყვავება დაიწყო, ვიქტორ ჰიუგომ პირველად გამოთქვა იდეა „ევროპის შეერთებული შტატების“ შესახებ.

პანევროპეიზმი განსაკუთრებით აქტუალური გახდა II მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უზომო გაძლიერების ფონზე ევროპის გაერთიანება ერთადერთი საშუალება იყო იმისათვის, რომ კონტინენტი პირველხარისხოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად დარჩენილიყო.

გზა ევროპის გაერთიანებისაკენ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იყო. ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯიდან, რომელიც 1952 წელს დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს (საფრანგეთი, გფრ, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) მიერ ევროპის ფოლადისა და ნახშირის კავშირის დაფუძნებით იწყება, ევროკავშირის შექმნამდე ზუსტად 40 წელი გავიდა.

დღეს ევროკავშირი 15 ევროპულ სახელმწიფოს აერთიანებს და უფრო ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, ვიდრე საერთაშორისო. ის ფაქტი, რომ ევროკავშირში შემოღებულია საერთო მოქალაქეობა, ერთიანი ვალუტა, გაუქმებულია სახელმწიფო საზღვრები და საბაჟო ბარიერები, ფუნქციონირებს ევროპარლამენტი, ერთიანი თავდაცვის სისტემა და ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღება, იმის მაჩვენებელია, რომ პანევროპეიზმის იდეა ფაქტიურად რეალობად იქცა და სხვა პანნაციონალიზმებთან შედარებით უფრო წარმატებული აღმოჩნდა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პანევროპეიზმის საფუძველი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებია და არა ეთნიკური. ამიტომ ევროპული ერთობა არ ნიშნავს ცალკეული ეთნიკური (სახელმწიფო) ნაციონალიზმის (ფრანგული, იტალიური, ჰოლანდიური) დასუსტებას და გაქრობას. ევროპის მოქალაქეები, უპირველეს ყოვლისა, თავს ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლად აღიქვამენ და მხოლოდ შემდეგ – ევროკავშირის მოქალაქეებად. მეტიც, ცალკეული ეროვნული ნაციონალიზმისა და პანევროპეიზმის პარალელურად ევროპაში შენარჩუნებულია ეთნიკური სიახლოვის საფუძველზე ჩამოყალიბებული პანნაციონალისტური იდეოლოგიები და მოძრაობები. მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

**ანგლოსაქსონიზმი**. ქადაგებდა ინგლისურენოვანი ქვეყნების პოლიტიკური კავშირის იდეას, დიდი ბრიტანეთის მეთაურობით. ინგლისელებს მიიჩნევდა გამორჩეულ რასად, ღვთის მიერ რჩეულ ერად, რომლის ისტორიული მისიაა დანარჩენი

ბნელი სამყაროს განათლება, ანგლოსაქსებს ცივილიზაცია უნდა შეეტანათ ჩამორჩენილ რეგიონებში და დაენერგათ თავიანთი ჩვევები, კანონები და ცხოვრების წესი. გამოირჩეოდა რა აშკარა რასისტული, შოვინისტური და ექსპანსიონისტური ბუნებით ანგლოსაქსონიზმი, როგორც პანმოძრაობა დარჩა ეფემერულ და სუსტ ფენომენად, რომელიც ვერ გადაიზარდა ორგანიზებულ მოძრაობად და არც ინსტიტუციონალური გაფორმება მიუღია.

**პანლათინიზმი** იყო ინტელექტუალთა ჯგუფის იდეა, რომელიც საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის (ე. ი. იმ ხალხების, რომელთა ენებიც ლათინურიდან ჩამოყალიბდა) ერთიანობას ისახავდა მიზნად. ეყრდნობოდა რა, საერთო ლინგვისტურ ბაზას, ამ ერთობის იდეა დარჩა ოცნებად და ვერასოდეს ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალურ რეალობად. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ აღნიშნული ერები განსხვავდებოდნენ ისტორიული ტრადიციებით, პოლიტიკური ამბიციებით და იმპერიული მიზნებით. ჩამოყალიბდნენ რა ერ-სახელმწიფოებად, ბუნებრივია, მათ არავითარი სურვილი არ გააჩნიათ დაეთმოთ ეროვნული სუვერენიტეტი გაურკვეველი მაკრონაციონალიზმის სასარგებლოდ.

**პანლუზიტანიზმი** ანგლოსაქსონიზმის მსგავსად იმპერიული აზროვნების შედეგი იყო. იგი მიზნად ისახავდა პორტუგალიურად მოლაპარაკე ხალხების ერთიანობას. პანლუზიტანელებისთვის პორტუგალიაა ყველგან, სადაც პორტუგალიურად ლაპარაკობენ. ამიტომ პორტუგალიის მეთაურობით ერთი პოლიტიკური ერთობის ქვეშ უნდა შესულიყო 150 მილიონზე მეტი კაცი (ბრაზილიელები, ანგოლელები, მოზამბიკელები, გვინეა-ბისაუს მოსახლეობა, ტიმორელები და სხვა).

**პანესპანიზმი** პანლუზიტანიზმის ტყუპისცალი იმპერიული იდეოლოგიაა და გულისხმობდა ესპანურენოვანი ხალხების ერთობას ესპანეთის მეთაურობით. პანესპანიზმის მიხედვით „დიდ ესპანეთში“ უნდა გაერთიანებულიყო საკუთრივ ესპანეთი, ლათინური ამერიკის ესპანურენოვანი ოცზე მეტი ქვეყანა, ფილიპინები და აფრიკის ესპანური კოლონიები. ეს იყო ნოსტალგია წარსულ იმპერიულ დიდებაზე, თუმცა სხვა პანმოძრაობების მსგავსად ისიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

**პანიბერიანიზმი** მიზნად ისახავდა იბერიის (პირინეის) ნახევარკუნძულის გაერთიანებას, როგორც ერთიანი ისტორიისა

და ტრადიციების რეგიონისა. ეს იდეაც წარუმატებელი აღმოჩნდა და ნაციონალისტების მცირე ჯგუფის იდეად დარჩა.

**პანსკანდინავიზმი** შედარებით წარმატებული აღმოჩნდა სხვა პანმოძრაობებს შორის. 1952 წელს დანიამ, შვედეთმა, ნორვეგიამ, ისლანდიამ და ფინეთმა (თუმცა ეს უკანასკნელი ენობრივად მკვეთრად განსხვავდება დანარჩენებისაგან) შექმნა ჩრდილოეთის საბჭო, რომლის მიზანიც იყო თანამშრომლობა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში. სკანდინავიური ერთობა უფრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს ემყარება, ვიდრე ნაციონალურს. თუმცა ამ ქვეყნებს ერთიან უნიაში ყოფნის ხანგრძლივი ისტორია აქვთ და ეთნოკულტურულადაც ახლოს არიან ერთმანეთთან (ფინური ენის გამოკლებით), მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მაკრონაციონალიზმს ეროვნული ნაციონალიზმი დაეძლია.

-ევროპული პანნაციონალიზმის კიდევ ერთი განუხორციელებელი მაგალითია **დიდი ნიდერლანდების** იდეა, რომელიც გულისხმობდა ჰოლანდიურენოვანი მოსახლეობის ერთობას. ე. ი. ჰოლანდიის და ჩრდილოეთ ბელგიის (ფლამანდიის) გაერთიანებას და მასთან ჰოლანდიის ყოფილი კოლონიების (მათ შორის სამხრეთ აფრიკელი ბურების) მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს.

### *4.3.4. პანნაციონალიზმი აზიასა და აფრიკაში*

აზიასა და აფრიკაში პანნაციონალისტური მოძრაობები და პანნაციონალისტური იდეოლოგია შედარებით გვიან XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში ყალიბდება და რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში მათ ცოტა რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან და მათი გაერთიანება ერთი საერთო ნიშნის ქვეშ საკამათო საკითხია. ამიტომ მიზანშეწონილია ცალკ-ცალკე განვიხილოთ ამ ორი კონტინენტის პანნაციონალიზმის სხვადასხვა სახეები.

**პანოსმალიზმი, პანთურქიზმი, პანთურანიზმი.** აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ნაციონალისტური მოძრაობა ყველაზე ძლიერად თურქეთში განვითარდა. თანაც თურქული ნაციონალიზმი, ისევე როგორც აქ ჩამოყალიბებული სამი პანნაციონალისტური იდეოლოგია თავისი შინაარსით სეკულარული, არარელიგიური იყო და უფრო ევროპულ ტიპს მიეკუთვნება, ვიდრე აღმოსავლურს.

*პანისლამიზმი* ქადაგებდა ოსმალეთის იმპერიის აღორძინებას იმ საზღვრებში, რომელიც მას თავისი ძლიერების მწვერვალზე ჰქონდა XVI–XVII საუკუნეებში. ამ იდეით ოსმალეთის სახელმწიფოში უნდა გაერთიანებულიყო ფაქტიურად მთელი ახლო აღმოსავლეთი ირანამდე, კავკასიის დიდი ნაწილი, მთელი ჩრდილოეთი აფრიკა მაროკომდე და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა მთელი ბალკანეთით. XIX საუკუნის შუა ხანებში, ამ იმპერიის აღდგენა დაისახეს მიზნად ინტელექტუალებმა, რომლებიც თავს ახალგაზრდა ოსმალებს უწოდებდნენ. 1865 წელს მათ ჩამოაყალიბეს საიდუმლო ორგანიზაცია „პატრიოტული ალიანსი". მათი აზრით, აღდგენილი სახელმწიფო გააერთიანებდა სხვადასხვა ენის, კულტურისა და რელიგიის ხალხებს, რომლებსაც ავტონომია ექნებოდათ, მაგრამ დაემორჩილებოდნენ ოსმალეთის კონტროლს. პანისლამიზმს დასაწყისში ჰქონდა გარკვეული წარმატება, მაგრამ მალე დაკარგა ნდობა, რადგან სრულიად უძლური აღმოჩნდა გადაეჭრა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემა სულთნის ხელში.

*პანთურქიზმი* უფრო სიცოცხლისუნარიანი და პოპულარული იდეოლოგია აღმოჩნდა. იგი მოითხოვდა ყველა თურქულენოვანი ხალხის ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას. ამ სახელმწიფოში საკუთრივ თურქების გარდა უნდა შესულიყვნენ ირანის თურქულენოვანი ტომები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, უიღურები, თათრები, ბაშკირები, ურალისა და ციმბირის თურქულენოვანი ხალხები, ყირიმელი თათრები და სხვ. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში რუსეთის იმპერიას თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეკარგა. პანთურქიზმი ძალზე პოპულარული იყო XX საუკუნის დასაწყისში ე. წ. ახალგაზრდა თურქებს შორის, თუმცა უსაფუძვლო იყო იმის იმედი, რომ სრულიად განსხვავებული ისტორიის ხალხები მხოლოდ ენობრივი და ნაწილობრივ რელიგიური ნათესაობის გამო ერთ სახელმწიფოში გაერთიანებულიყვნენ. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ პანთურქიზმმა დაკარგა გავლენა. თურქი პატრიოტები საკუთრივ თურქული ნაციონალიზმისაკენ შეტრიალდნენ და პანთურქიზმს ზურგი აქციეს. პანთურქიზმი მკაცრი მეთოდებით აღიკვეთა საბჭოთა რეჟიმის მიერაც.

პანთურქიზმის ერთგვარ გამოცოცხლებას ჰქონდა ადგილი 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთბაშად ხუთი ახალი თურქულენოვანი სახელმწიფო

გაჩნდა. 1993 წელს შეიქმნა კიდეც თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია (თურქეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი), მაგრამ რამდენადმე ქმედითი ღონისძიება ამ ქვეყნების პოლიტიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების მიზნით არ გატარებულა.

*პანთურანიზმი* პანთურქიზმთან და პანისმალიზმთან შედარებით ნაკლებად პოლიტიკური მოძრაობა იყო და უფრო კულტურულ-ლინგვისტურ მიზნებს ისახავდა. იგი ცდილობდა ალტაურ-ურალურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების (თურქები, მონღოლები, უნგრელები) დაახლოებას და პერსპექტივაში მჭიდროდ შეკავშირებას. პანთურანიზმის თანახმად, ყველა ის ხალხები, რომლებიც ლაპარაკობენ ამ ენებზე უნგრეთიდან წყნარ ოკეანემდე მიეკუთვნებიან ერთ დიდ პანმოძრაობას. მათი სამშობლოა მითიური მიწა, ლეგენდარული თურანი, რომელიც იხსენიება სპარსულ პოეზიაში. პანთურანიზმს უნდა აღედგინა ატილას, ჩინგიზ-ხანის, თემურ-ლენგის დიდება. მომავალში კი ახალ პანთურანულ ატილას უნდა გაეერთიანებინა ყველა ეს მონათესავე ხალხი თურანის დიდ სახელმწიფოში. ცხადია, ეს უფრო ოცნების სფერო იყო და ამიტომაც პანთურანიზმი დღეს, უფრო მეცნიერ-ლინგვისტთა ინტერესის სფეროა, ვიდრე პანნაციონალისტური მოძრაობა.

**პანისლამიზმი.** პანისლამიზმს ნაკლებად შეეფერება პანნაციონალიზმის სახელი. როგორც უკვე ითქვა, ისლამი ეროვნებას არ სცნობს და ყველა მუსლიმანს ერთიანი ისლამური საზოგადოების, უმმას, წევრად მიიჩნევს. პანისლამიზმის მიზანიც ისაა, რომ ყველა მუსლიმანი ერთიანი ისლამური სახელმწიფოს მოქალაქე იყოს, მოისპოს დაპირისპირება მუსლიმანებს (განსაკუთრებით სუნიტებსა და შიიტებს) შორის, აღიარებულ იქნეს რელიგიური ერთობის უზენაესობა პოლიტიკურ ერთობაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისლამური ღირებულებების დაცვას დასავლეთის მავნე ზეგავლენისგან. პანისლამიზმმა ვერ შეძლო ვერც ერთი დასახული მიზნის შესრულება, მაგრამ სხვა პანმოძრაობებივით მისი გავლენა და მნიშვნელობა არ შესუსტებულა. ისრაელ-არაბული ქვეყნების კონფლიქტმა, დასავლური ღირებულებების ფართო გავრცელებამ მთელს მსოფლიოში (მათ შორის ისლამურ სამყაროში) და ძლიერმა ფინანსურმა ბაზამ, რაც ძირითადად არაბული ნავთობის დამსახურებაა, წარმოშვა უკიდურესად ექსტრემისტული ისლამური ფუნდამენტალიზმი (ისლამიზმი). იგი გან-

საკუთრებით აქტიური გახდა ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ისლამური ფუნდამენტალიზმის მიზანია საღვთო ომი (ჯიჰადი) „ურწმუნოებთან" და პირველ რიგში – დასავლეთთან და ისრაელთან. ბრძოლის ძირითადი მეთოდი ტერორია. განსაკუთრებით მასშტაბური იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, რომელმაც 5 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დასავლეთში ბევრი თვლის, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმი XXI საუკუნის კაცობრიობის მთავარი საშიშროებაა.

**პანარაბიზმი.** პანისლამური მოძრაობისაგან განსხვავებით, პანარაბიზმი პოლიტიკური, ნაციონალისტური მოძრაობა და იდეოლოგიაა, თუმცა რელიგიური, ლინგვისტური და ეთნიკური შეფერილობით. იგი მიზნად ისახავდა ყველა არაბის გაერთიანებას გიგანტურ არაბულ სახელმწიფოში, აქცენტს აკეთებდა ისტორიულ და კულტურულ კავშირებზე არაბებს შორის, ერთიან ლიტერატურულ არაბულ ენაზე და არაბების აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიურ ერთობაზე (ისლამზე).

ობიექტური პირობები არაბთა გაერთიანებისათვის უკეთესია, ვიდრე სხვა პანმოძრაობებისათვის, რადგან ბოლოს და ბოლოს არაბები ერთი სუპერეთნოსია საერთო ენითა და ისტორიით. 18 დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოც ტერიტორიულად ძალიან დიდ, მაგრამ ერთიან, კომპაქტურ არეალს წარმოადგენს. საჭირო იყო მხოლოდ, რომ მმართველი არაბული ელიტები შეერთებოდა პანარაბულ მოძრაობას და არაბული ინტეგრაცია უფრო მაღლა დაეყენებინათ, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები.

სინამდვილეში არაბთა ინტეგრაცია არაბული სახელმწიფოების ლიგის შექმნით ამოიწურა. არაბული ქვეყნების გაერთიანების მცდელობას ადგილი ჰქონდა 1958 წელს, როცა ეგვიპტე და სირია გაერთიანდნენ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შექმნეს. მაგრამ სამი წლის შემდეგ იგი კვლავ დაიშალა. სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი (ეგვიპტური, ერაყული, ალჟირული) უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საერთო არაბული. არაბული ქვეყნების გაერთიანებას მათი ძალიან განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობაც უშლის ხელს (აბსოლუტური მონარქიებიდან საპარლამენტო რესპუბლიკებამდე).

**სიონიზმი.** სიონიზმი როგორც ებრაული იდეოლოგია უფრო მაკრონაციონალიზმის ელფერს ატარებს, ვიდრე ჩვეულებრივი ნაციონალიზმისა. მისი მიზანი მსოფლიოს ქვეყნებში გაფან-

ტული ებრაელების აღთქმულ მიწაზე, პალესტინაში თავმოყრა და იქ ებრაული სახელმწიფოს შექმნა იყო. ამ მოძრაობას მხარს უჭერდა მთელი მსოფლიოს ებრაელობა, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც ებრაელები დევნას და შევიწროებას განიცდიდნენ. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ებრაელებს თანაბარი მოქალაქეობრივი უფლებები ჰქონდათ, ისრაელში ემიგრაციის სურვილი შედარებით ნაკლები იყო.

სიონიზმი არა მარტო წარმატებით განხორციელდა და ებრაული სახელმწიფო თითქმის XIX საუკუნის შემდეგ ხელახლა აღდგა (სადაც სახელმწიფო და მოსახლეობის სალაპარაკო ენად დიდი ხნის მკვდარი ბიბლიური ებრაული ენა –ივრითი – აღორძინდა), არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სიცოცხლისუნარიან და მტკიცე სახელმწიფოდ იქცა. მან ოთხჯერ გაიმარჯვა მის წინააღმდეგ წარმოებულ არაბული ქვეყნების ომში, თუმცა სიონიზმის უმთავრესი მიზანი – გლობალური სუპერნაციონალიზმი – მიუღწეველი დარჩა, რადგან მსოფლიოს ებრაელობის 3/4 მაინც სხვა სახელმწიფოებში ცხოვრობს.

**პანაზიანიზმი**. აზიურ მაკრო ნაცინალიზმებში ორი ძირითადი ტენდენცია გამოიყოფა. პირველია ცალკეული სუპერეთნიკური მაკრონაციონალიზმი, რომელიც დამახასიათებელია რამდენიმე დიდი ერისათვის, მეორე კი ბუნდოვანი და არაორგანიზებული პანაზიანიზმი, რომლის საშუალებითაც აზიელები უნდა გაერთიანებულიყვნენ დამპყრობელი თეთრი რასის წინააღმდეგ.

1. სუპერეთნიკურ მაკრონაციონალიზმში გამოიყოფა იაპონური, ჩინური, ინდური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური (პანბუდისტური) მაკრონაციონალიზმი.

**იაპონური მაკრონაციონალიზმი** ემყარება იაპონური რასის, ერისა და ენის განსაკუთრებულ, ღვთიურ წარმოშობას. იგი მოწოდებულია მართოს მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხები და შეიტანოს მათში კულტურა და ცივილიზაცია. ამ იდეის განხორციელების მცდელობა იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონიის მიერ აზიის უზარმაზარი ტერიტორიების ოკუპაცია. ომში დამარცხების შემდეგ იაპონურმა მაკრონაციონალიზმმაც კრახი განიცადა, თუმცა მისი რეციდივები დღემდე გვხვდება.

**ჩინურ მაკრონაციონალიზმს** ბევრი რამ აქვს საერთო იაპონურ მაკრონაციონალიზმთან. იგიც ჩინელთა გამორჩეულობას და ჩინეთის ხმელეთის შუაგულ მიწად აღიარებას ემყარება.

მისი მტკიცებით ყველა არაჩინელი ბარბაროსია და მხოლოდ მაშინ გახდებიან ცივილიზებული ადამიანები, როცა ჩინურ კულტურასა და ცხოვრების წესს ეზიარებიან. თითქმის მთელი აზია ჩინეთის გავლენის სფეროა, სადაც ჩინეთს ცივილიზაციის შეტანის მისია აკისრია. გამორჩეულობის იდეა მტკიცედზის ჩინურ კულტურაში, რის გამოც ჩინური მაკრო-ნაციონალიზმი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია.

**ინდური მაკრონაციონალიზმი** (პანინდუიზმი) ნაკლებად პრეტენზიულია და ინდუისტური რელიგიის ხალხების პოლიტიკურ ერთობას უჭერს მხარს. ენობრივ და ეთნიკურ განსხვავებებს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. საბოლოო მიზანი ინდოეთის ერთიანობის განმტკიცებაა.

**პანბუდიზმი**. ყველაზე სუსტად გამოხატული მაკრომოძრაობაა. იგი გულისხმობს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ბუდისტური ქვეყნების (ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ტაილანდი, ბირმა) დაახლოებას და ერთ კავშირად ჩამოყალიბებას ბუდისტური კულტურისა და ტრადიციების საფუძველზე.

2. **პანაზიანიზმი** XIX საუკუნის ბოლოს აღმოცენდა, როგორც აზიური ყვითელი რასის პროტესტი თეთრი იმპერიალისტების წინააღმდეგ. იგი ეყრდნობოდა ყვითელი რასის უპირატესობის იდეას და მოუწოდებდა ყვითელკანიან მოსახლეობას გაერთიანებისა და თეთრი ექსპლუატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თუმცა პანაზიანიზმი ანტიიმპერიალისტური მოძრაობა იყო, იგი რასისტულ, ქსენოფობიურ მაკრონაციონალიზმს წარმოადგენდა. მას ძირითადად ინტელექტუალები იზიარებდნენ, მაგრამ დიდი მხარდაჭერა მას არ ჰქონია და ვერც პოლიტიკურ რეალობად იქცა.

**პანაფრიკანიზმი**. პანაფრიკანიზმი ისევე, როგორც პანამერიკანიზმი და პანევროპეიზმი პირველ რიგში გეოგრაფიული, კონტინენტური მოძრაობაა, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი კონტინენტის გაერთიანებას. საკმაოდ სერიოზული ფაქტორი იყო რასობრივი ერთობაც (თუმცა ჩრდილოეთ აფრიკის არაშავკანიანი არაბები ამ ერთობიდან არ გამოირიცხებოდნენ). რასობრივი სიძულვილი მიმართული იყო თეთრკანიანი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ლინგვისტური და კულტურული მომენტები პანაფრიკანიზმში ნაკლებ როლს თამაშობს. საერთო ენისა და კულტურის საკითხი არ დამდგარა. მეტიც, ევროპელებთან ბრძოლა ევროპუ-

ლი ენების წინააღმდეგ ბრძოლად არ ქცეულა. პირიქით აფრიკული კულტურის განვითარების საშუალებად ევროპული ენები იყო მიჩნეული.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას პანაფრიკანიზმი ანიჭებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალას, პრესტიჟს, თავდაცვას. მიუხედავად აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის შექმნისა და მისი ძალისხმევისა, აფრიკული ერთობა მიუღწეველი დარჩა, ვერ დაძლიეს რა ძირითადი ნეგატიური ფაქტორები, პირველ რიგში ტრაიბალიზმი. პანაფრიკანიზმის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, აგრეთვე, ახლად დამოუკიდებლობამიღწეული ქვეყნების სურვილის უქონლობა სახელმწიფოს უზენაესობის ნაცვლად ეღიარებინათ აფრიკის პოლიტიკური ერთიანობის პრიორიტეტი.

ყველა ზემოაღნიშნული მაგალითი მიუთითებს, რომ ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი ყოველთვის უფრო ფასეულია, ვიდრე ნებისმიერი მაკრომოძრაობა და პანნაციონალიზმი.

**კითხვები და დავალებები:**

1. რომელი სახის ნაციონალიზმია ძირითადად გაბატონებული თანამედროვე მსოფლიოში?
2. როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია სამართლიანობა და წესრიგი ნაციონალიზმთან მიმართებაში?
3. თანამედროვე ნაციონალიზმის რომელ დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფდით?
4. როგორ ურთიერთმიმართებაშია ნაციონალიზმი და დემოკრატია?
5. რა იგულისხმება მინინაციონალიზმში?
6. მოკლედ წარმოადგინეთ ეთნიკური დაძაბულობებისა და კონფლიქტების გეოგრაფიული სურათი.
7. დაახასიათეთ გერმანული გეოპოლიტიკის მიმართება პანგერმანიზმთან.
8. მოახდინეთ ევრაზიანიზმისა და პანსლავიზმის შედარებითი ანალიზი.
9. რა ძირითადი თავისებურებებით გამოირჩევა პანამერიკანიზმი?
10. მოკლედ მიმოიხილეთ ძირითადი ევროპული პანმოძრაობები.
11. დაახასიათეთ პანნაციონალიზმი აზიასა და აფრიკაში.

## ლიტერატურა


1. Nationalism.Oxford Readers. Edited by J. Hutchinson and A.Smith. Oxford University Press. Oxford. New-York. 1994, p.p. 241–286.
2. M a y a l l J. - Nationalism and International Society.Cambridge University Press. Cambridge, 1990. p.p. 50–69.
3. K e l l a s J. - The Politics of Nationalism and Ethnicity. Second Edition. St. Martin's Press. New-York, 1998, p.p. 189–226.
4. Nationalism, Ethnic Conflict and Democracy. The Johns Hopkins University Press. Baltimor and London, 1994, p.p.3–31.
5. S n y d e r L. - Global Mini-Nationalism. Greenwood Press. Westport. London, 1982, p.p 1–23.
6. S n y d e r L. - Macro-Nationalisms: A History of the Pan-Movements. Westport, 1984, p.p. 3–16.

## თემა 5

# გლობალიზაცია – დეფინიცია და არსი

ტერმინი „გლობალიზაცია" ერთ-ერთი ყველაზე მოდური და ფართოდ გავრცელებული ცნებაა XXI საუკუნის დასაწყისში. პრესა, რადიო, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება ყოველდღიურად, ყოველ საათს იყენებს ამ სიტყვას, როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს. დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურ სამყაროს, ეპოქას – გლობალიზაციის ეპოქას, ხოლო თანამედროვე პერიოდის ძირითად დაპირისპირებად ლამის „გლობალისტებისა" და „ანტიგლობალისტებს" შორის წინააღმდეგობა მიიჩნიონ.

ტერმინ „გლობალიზაციის" ასეთი ინტენსიური და ფართო გავრცელება მით უფრო საინტერესო და ანგარიშგასაწევია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე ასეთი ცნება საერთოდ არ არსებობდა. იგი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ამ ტერმინით აღნიშნა ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ფენომენი. ხოლო გლობალიზაცია ფართო მნიშვნელობით, როცა იგი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს, 1990 წლიდან გამოიყენება. როცა გამოქვეყნდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის იაპონელი კონსულტანტის კ. ომეს წიგნი „მსოფლიო საზღვრებს გარეშე" (Ohmae, 1990). და კრებული „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება", რომლის შესავალში მ. ელბროუმ ამ ტერმინში გააერთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობით მსოფლიოს

ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან (Albrow. 1990).

ამგვარად, თუ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, ძალიან მალევე ფართო (გლობალური) მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო (პოლიტიკა, სოციალური მხარე, კულტურა, მენტალიტეტი) მოიცვა. იგი გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა და დაუპირისპირდა ისეთ ცნებას, როგორიც ფრაგმენტაციაა (დაყოფა, დანაწილება).

ცხადია, რომ მსოფლიო ერთიანი კულტურის, ეკონომიკის, ენისა და თვით ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს იდეა ახალი არ არის. ყოველ ისტორიულ პერიოდში შეიძლება მოიძებნოს რაიმე იდეოლოგია ან მოძრაობა, რომელიც ამ მიზნებს ემსახურებოდა (თუნდაც მსოფლიო რელიგიები, ანდა კომუნიზმის იდეა), მაგრამ მათ გლობალიზაციად არ მიიჩნევენ. მეტიც, გლობალიზაციის დღევანდელი მნიშვნელობიდან ბევრით არაფრით განსხვავდება ფრანგული ტერმინი „მონდიალიზაცია“ (Monde – ფრანგულად მსოფლიო), რომელიც 50-იანი წლებიდან არსებობს, მაგრამ ფაქტიურად საფრანგეთის საზღვრებს ვერ გასცდა. საქმე არც ტერმინოლოგიურ განსხვავებაშია, რადგან გლობალიზაციის საბაზისო ტერმინოელემენტი „globe“ (სფერო) დედამიწის სფეროს გულისხმობს და მსოფლიოს სინონიმია. მთავარი მაინც ის არის, რომ ნებისმიერი ცნების, ტერმინის წარმოქმნა გარკვეულ გარემოებებთან და პირობებთან არის დაკავშირებული და ის მაშინ შემოდის ხმარებაში, როცა ამის საჭიროება დგება. გლობალიზაცია სწორედ დღევანდელი ფენომენია და ამით არის განპირობებული მისი სწრაფი გავრცელება. ეს ცნება თანამედროვე სიტუაციას ასახავს და მისი გამოყენება სხვა ისტორიული ეპოქების მიმართ გამართლებული ვერ იქნება.

როცა ჯერემი ბენთჰემმა XVIII საუკუნის ბოლოს ახალი ტერმინი „საერთაშორისო“ (international) დაამკვიდრა, აშკარა იყო, რომ ეს სიტყვა იმ ეპოქის შინაარსს შეესაბამებოდა. ეს იყო დრო, როცა იწყებოდა ერი-სახელმწიფოების ეპოქა. ევროპაში, სადაც ერებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ერთდროულად ხდებოდა, სიტყვა ერმა თავიდანვე პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) დატვირთვა შეიძინა. ამიტომ საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო სინონიმებად მოიაზრებოდა (ყოველ შემთხვევაში ინგლისურსა და ფრანგულ ენებში) და საერთაშორისო ურთიერთობები ფაქტიურად სახელმწიფოთა-

შორის ურთიერთობებად აღიქმებოდა. ეს ტერმინი (საერთაშორისო ურთიერთობები) ზუსტად ასახავდა არსებულ რეალობას, რადგან სახელმწიფოები (ხოლო ევროპაში ერი-სახელმწიფოები) საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტიურად ერთადერთი აქტორები იყვნენ.

აღნიშნული მდგომარეობა დღემდე გრძელდებოდა და ამიტომ ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები" ან „საერთაშორისო პოლიტიკა" არავითარ გაუგებრობასა და ეჭვს არ იწვევდა.

მაგრამ XX საუკუნის ბოლოს მიმდინარე პროცესებმა მკვლევართა გარკვეულ წრეში წარმოშვა აზრი, რომ ცნება „საერთაშორისო" უკვე აღარ შეესაბამება რეალობას. ერები და სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად აქტორებს. მათი როლი განუხრელად მცირდება. მეტიც, თანამედროვე ეპოქა ერებისა და სახელმწიფოების კვდომის ეპოქაა, ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ენობრივ ერთიანობისაკენ და სწორედ ესაა გლობალიზაცია. ამდენად, გლობალიზაციის ეპოქას აღარ შეესაბამება „საერთაშორისო პოლიტიკის" ცნება და იგი „მსოფლიო პოლიტიკის" ცნებამ უნდა შეცვალოს, როგორც უფრო ფართომ და ყოვლისმომცველმა. საერთაშორისო პოლიტიკა კი მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობებს გულისხმობს და რომლის როლიც მსოფლიო პოლიტიკაში მუდმივად მცირდება (Baylis and Smith, 2001, p.2).

ამგვარად, გლობალიზაცია ძალზე ფართო და მრავალმხრივი ცნებაა, რომელიც საფუძვლიანად ცვლის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს. ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და იგი მუდმივი დებატებისა და წინააღმდეგობების საგანია.

## 5.1. დებატები გლობალიზაციის ცნების ირგვლივ

ისევე, როგორც არ არსებობს ნაციონალიზმის ერთმნიშვნელოვანი და ამომწურავი განმარტება, ასევე შეუძლებელია

ცალსახად და ამომწურავად განიმარტოს გლობალიზაციის ცნებაც.

როგორც უკვე ითქვა, ტერმინი გლობალიზაცია პირველად გამოყენებული იყო ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის მნიშვნელობით. ახლა ამ მნიშვნელობით ამ ცნებას აღარავინ იყენებს, ან უკიდურეს შემთხვევაში, იგი გლობალიზაციის ფართო პროცესის ერთ-ერთ შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად თუ მიიჩნევა.

გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი განმარტება მარტინ ელბროუს ეკუთვნის (Albrow), რომლის აზრითაც, გლობალიზაცია მოიცავს ყველა იმ პროცესს, რომელიც მსოფლიოს ხალხებს ერთ მსოფლიო, გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის მიხედვით, გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მსოფლიო სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ერთმანეთთან ისეთნაირად აკავშირებს, როცა ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენებით და პირიქით. (Giddens, 1990).

გერმანელი მეცნიერი ემანუელ რიხტერი თვლის, რომ გლობალიზაცია ეს არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულ ერთობად „შეადუღა“ ( ციტირებულია Baylis and Smith, 2001).

ამერიკელი პოლიტოლოგის რობერტ კოქსის განმარტებით, გლობალიზაცია გულისხმობს პროდუქციის ინტერნაციონალიზაციას, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, ახალ მიგრაციულ მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ახალ დაპირისპირებულ გარემოს, რომელიც აჩქარებს ყველა ამ პროცესს დაბოლოს, სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას, რაც მათ გლობალური სამყაროს უბრალო აგენტებად აქცევს (ციტირებულია: Baylis and Smith, 2001).

ზოგიერთი ავტორის გამონათქვამებში აშკარად ჩანს მათი უარყოფითი დამოკიდებულება გლობალიზაციისადმი. კერძოდ, რ. კანტერი თვლის, რომ გლობალიზაციამ მსოფლიო აქცია ერთიან დიდ სავაჭრო ცენტრად (მაღაზიად), სადაც იდეები და პროდუქტები ხელმისაწვდომია ყველგან ერთდროულად, ხოლო მ. ხორის აზრით, გლობალიზაცია არის ის, რაც მესამე სამყა-

როში უკვე რამდენიმე საუკუნეა არსებობს და ადრე კოლონიზაცია ერქვა (ციტირებულია Baylis and Smith, 2001).

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის აღნიშნული განმარტებები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ხშირ შემთხვევაში ეს ცნება სულ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვისაა, რაც აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, როცა ამ ცნებაზე ვსაუბრობთ.

ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გლობალიზაციის ხუთ სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას განასხვავებენ (Baylis and Smith, 2001). პირველ რიგში ესაა *ინტერნაციონალიზაცია*, როცა გლობალიზაციაში გულისხმობენ სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას; მეორე ესაა *ლიბერალიზაცია*, რაც გამოიხატება სახელმწიფოებრივი შეზღუდვების მოხსნასა და შემცირებაში სახელმწიფოთაშორის მოძრაობასა და გადაადგილებაში, ანუ ღია და ინტეგრირებულ ეკონომიკაში და მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლაში; მესამე მნიშვნელობით გლობალიზაცია არის *უნივერსალიზაცია* ანუ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში; მეოთხე მნიშვნელობით (როგორც ეს ხშირად აღიქმება განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს) გლობალიზაცია არის *ვესტერნიზაცია* და პირველ რიგში მისი ამერიკული ფორმა დაბოლოს გლობალიზაცია, *დეტერიტორიზაციის* მნიშვნელობით, როცა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს.

იგივე ავტორები ხაზგასმით განასხვავებენ გლობალიზაციას ინტერნაციონალიზაციისაგან. მათი აზრით, ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დონეზე, ე. ი. სახელმწიფოებს შორის. ამის შედეგად, სახელმწიფოებმა შეიძლება ძლიერი ურთიერთგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე, ბევრი რამით დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც რჩებიან ერთმანეთისაგან განსხვავებული და განცალკევებული. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდროდაც არ უნდა იყვნენ ურთიერთდამოკიდებული, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული. ამისგან განსხვავებით, გლობალური მსოფლიო გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრე-

ბი არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური ურთიერთობები შესაძლებელია თანაარსებობდეს და დღევანდელი მსოფლიოც ერთდროულად არის ინტერნაციონალიზირებულიც და გლობალიზირებულიც.

აქედან გამომდინარე, ჯ. ბაილისი და ს. სმიტი გლობალიზაციას მიიჩნევს როგორც პროცესს, სადაც სოციალური კავშირები ტერიტორიულობისაგან, გეოგრაფიისგან განცალკევებულია ისე, რომ კაცობრიობის ცხოვრება მიმდინარეობს სამყაროში, როგორც განუყოფელ და ერთიან მთლიანობაში.

დაახლოებით მსგავს დასკვნას აკეთებენ დ. ჰელდი და სხვები (Held at al, 1999), რომელთა აზრით, გლობალიზაცია შეიძლება მივიჩნიოთ პროცესად, რომელიც გულისხმობს სოციალური ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირების სივრცითი ორგანიზაციის ტრანსფორმაციას.

გერმანელი მეცნიერი ულრიხ ბეკი ერთმანეთისაგან მიჯნავს გლობალიზაციის, გლობალიზმისა და გლობალურობის ცნებებს. გლობალიზმში ის გულისხმობს მოვლენას, როცა მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. ამ გაგებით გლობალიზაციის ყველა ასპექტი – პოლიტიკური კულტურული. ეკონომიკური, მსოფლიო ბაზარს არის დაქვემდებარებული. ამგვარად, გლობალიზმი ისეთ რთულ ორგანიზმს, როგორიც სახელმწიფოა, მართავს როგორც უბრალო საწარმოს. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ გლობალიზმს თავის გავლენის ქვეშ ჰყავს მოქცეული მოწინააღმდეგენიც კი, რომლებიც უპირისპირდებიან რა მსოფლიო ბაზრის ყოვლისშემძლეობას პროტექციონიზმის სხვადასხვა ფორმით არიან წარმოდგენილი. ბეკი გამოყოფს: ა) *შავ პროტექციონისტებს,* რომლებიც მისტირიან რა ეროვნული ღირებულებების შესუსტებას და დაკარგვას, საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ ნეოლიბერალიზმის პოზიციებზე დგანან და თავიანთი ხელით დუპავენ ეროვნულ სახელმწიფოს; ბ) *მწვანე პროტექციონისტებს,* რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოში მომაკვდავ პოლიტიკურ ბიოტიპს ხედავენ, რომელიც მსოფლიო ბაზრისაგან იცავს რა ეკოლოგიურ სტანდარტებს, თვითონვე საჭიროებს დაცვას; გ) *წითელ პროტექციონისტებს,* რომლებისთვისაც გლობალიზაცია მათი „სიმართლის" და მარქსიზმის აღორძინების დადასტურებაა.

გლობალიზმისაგან განსხვავებით, გლობალურობაში იგულისხმება ის, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია ვცხოვრობთ მსოფლიო

საზოგადოებაში, სადაც წარმოდგენა დახურულ, ჩაკეტილ სივრცეზე წმინდა წყლის ფიქციაა. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ჩაიკეტება თავის ნაჭუჭში და ვერ განცალკევდება სხვებისაგან. მსოფლიო საზოგადოება გულისხმობს სოციალური ურთიერთობების ერთობას, რომელიც არ განისაზღვრება ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკით.

რაც შეეხება გლობალიზაციას, იგი არის პროცესი (პროცესები), როცა ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი იფარება ტრანსნაციონალური აქტორებით და მათ ქმორჩილება (Бек, 2001).

ყველა ზემოთქმული განმარტებიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის მთავარი ნიშანი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლაა. ყველაფერი ეს სრულიად ეწინააღმდეგება ნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს. სადაც ეროვნული სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკა, კულტურა თუ ცნობიერება ითვლება უმაღლეს ღირებულებად. ამიტომ გლობალიზაცია და ნაციონალიზმი თანამედროვე ეპოქის მთავარი დაპირისპირებული ძალებია და მათ შორის წინააღმდეგობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს.

## 5. 2. გლობალიზაცია და მისი ასპექტები სხვადასხვა თეორიის თვალსაზრისით

საერთაშორისო ურთიერთობების სამი მთავარი თეორიული პარადიგმა – რეალიზმი, პლურალიზმი და მარქსიზმი (ეს უკანასკნელი ხშირად გლობალიზმის სახელით გვხვდება, მაგრამ რადგან გლობალიზმს ჩვენ სხვა მნიშვნელობითაც ვიყენებთ, უმჯობესია აღნიშნული პარადიგმა მარქსიზმის სახელწოდებით მოვიხსენიოთ) სხვადასხვანაირად ხედავს და აფასებს გლობალიზაციის პროცესს. ეს განსხვავება განპირობებულია იმ განსხვავებული ხედვით, რომელიც დამახასიათებელია მათთვის მსოფლიო პოლიტიკის ანალიზისას. კერძოდ, რეალიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიული მიმართულებები (კლასიკური რეალიზმი, ნეორეალიზმი, გეოპოლიტიკური და

ისტორიული ანალიზი და სხვ) ძირითად აქცენტს აკეთებენ ძალის ფაქტორზე და ეროვნულ ინტერესებზე. პლურალიზმთან დაკავშირებული თეორიული სკოლები (იდეალიზმი, ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია) ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების შორის ურთიერთობების ინტენსივობის ხასიათზე. მარქსიზმი კი (როგორც კლასიკური ისე ნეომარქსიზმი), განმსაზღვრელად მიიჩნევს მსოფლიო ეკონომიკის სახეს. შესაბამისად სამივე პარადიგმა ურთიერთდაპირისპირებაშია, რადგან თითოეული მათგანი თვლის, რომ სწორედ მისი მიდგომაა სწორი.

რეალისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია არ ცვლის მსოფლიო პოლიტიკის ძირითად თავისებურებას. კერძოდ, მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას ერ-სახელმწიფოებად. ისინი კვლავ არიან და მომავალშიც იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი აქტორები. ხოლო სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესები ყოველთვის იქნება სახელმწიფოთა ქმედებების მთავარი ფაქტორი საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება ძალას, მისი მიჩნევა მოძველებულ და მეორეხარისხოვან ფაქტორად გლობალიზაციის ეპოქაში სრულიად გაუმართლებელია. პირიქით, სწორედ ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული გავლენის გამოხატულებად (ანუ ვესტერნიზაციად) უნდა მივიჩნიოთ გლობალიზაცია. ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის არის თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსი, ისევე როგორც ეს იყო წარსულში. გლობალიზაციამ შეიძლება გარკვეულად შეცვალოს ჩვენი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, მაგრამ იგი ვერ შეცვლის საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთაშორის ხასიათს.

პლურალისტები (ლიბერალები) სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ გლობალიზაციას. მათ გლობალიზაცია მიაჩნიათ მსოფლიო პოლიტიკის ხანგრძლივი ტრანსფორმაციის საბოლოო პროდუქტად. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფოები აღარაა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორები, მათ ადგილს სულ უფრო და უფრო მეტად იკავებს საერთაშორისო (განსაკუთრებით არასამთავრობო) ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. მეტიც, სახელმწიფო არ არის უნიტარული სუბიექტი და საერთაშორისო არენაზე მთავრობის აზრი, სრულიადაც არ ასახავს ქვეყნის ყველა

მოქალაქის თუ ორგანიზაციის აზრს. ძალის ფაქტორზე ბევრად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალი, მორალი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ხოლო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ადამიანის უფლებები და მოქალაქეთა კეთილდღეობა დგას. პლურალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ტექნოლოგიურ და კომუნიკაციურ მიღწევებს, რაც გლობალიზაციას ახლავს თან. სწორედ ეს ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირები საზოგადოებებს შორის აყალიბებს მსოფლიო ურთიერთობების სრულად ახალ მოდელს, რომელიც ძირეულად განსხვავდება როგორც რეალისტების სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური სისტემისაგან, ისე მარქსისტების კლასობრივი მოდელისაგან.

მარქსისტებისთვის გლობალიზაცია ფიქციაა. მასში არაფერია ახალი და იგი უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალიზმის განვითარების დღევანდელი, უკანასკნელი სტადიაა. იგი არ იწვევს საერთაშორისო პოლიტიკის თვისობრივ ცვლილებას და ყველა არსებულ სტრუქტურას თუ თეორიას ძალაში ტოვებს. კერძოდ, გლობალიზაცია დასავლეთის ქვეყნების მიერ დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატირების თანამედროვე ფორმაა, რომელიც სულ უფრო აღრმავებს განსხვავებას ბირთვს, ნახევრადპერიფერიულ და პერიფერიულ ქვეყნებს შორის.

საერთო, რაც სამივე პარადიგმას გააჩნია გლობალიზაციის მიმართ, არის ის, რომ ეს პროცესი აღიქმება როგორც საზოგადოებებს შორის მზარდი ურთიერთდაკავშირებულობა, როცა ერთი მოვლენა მსოფლიოს ერთ რეგიონში სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს დაშორებულ ხალხებზე და საზოგადოებებზე.

აღნიშნული მდგომარეობა დღეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა და არავითარ დავას არ იწვევს. ის, რომ შორს მომხდარი მოვლენები მომენტალურად აისახება ჩვენზე, მაგალითების მოყვანას არ საჭიროებს. ეს თანაბრად ეხება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ მოვლენებს. მსოფლიო სულ უფრო და უფრო „ვიწრო" ხდება და ხალხი აშკარად გრძნობს ამას. 90-იანი წლების დასაწყისისთვის ინტერნეტი და ელექტროფოსტა უცნობი იყო, დღეს კი მათ გარეშე არსებობა თითქმის წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას საკაბელო, ტელევიზიაზე ან თუნდაც უკვე თითქმის ყველგან გავრცელებულ მაკდონალდზე, კოკა-კოლასა თუ პიცაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სუპერმარკეტებში და

მაღაზიებში წარმოდგენილი პროდუქციის გეოგრაფიაზე და ისეთ გლობალურ მოვლენებზე, როგორიც ატმოსფეროს გაბინძურება, შიდსი და საერთაშორისო ტერორიზმი.

ცხადია, გლობალიზაცია როგორც პროცესი უცებ არ დაწყებულა, მაგრამ მისი საყოველთაობა მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიძლება მომხდარიყო, როცა სოციალიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მაუწყებელი გახდა. მხოლოდ ახალ საერთაშორისო ვითარებაში გახდა შესაძლებელი გლობალიზაციის პროცესი განვითარებულიყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცესის კონტურები მანამდე არ შეინიშნებოდა და მკვლევარებს იგი ყურადღების მიღმა დარჩენოდათ.

ჯ. ბაილისი და ს. სმიტი (Y. Baylis and S. Smith, 2001) გამოყოფენ რამდენიმე თეორიულ შრომას, სადაც აშკარად ჩანს გლობალიზაციის პროცესის კონტურები და ამდენად, ისინი გლობალიზაციის თეორიულ წინამორბედებად შეიძლება ჩაითვალონ:

პირველი, **მოდერნიზაციის თეორია** (Modelsky, 1972, Morse, 1976), რომლის მიხედვითაც ინდუსტრიალიზაცია იწვევს სრულიად ახალ კავშირებს საზოგადოებებს შორის და ცვლის იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, რომლებიც წინამოდერნული მსოფლიოსთვის იყო დამახასიათებელი. მოდერნიზაცია და პირველ რიგში ინდუსტრიალიზაცია ასუსტებს სახელმწიფოს კონტროლს, რის შედეგადაც საერთაშორისო ურთიერთობების ძალისმიერი მოდელი წარსულის საკუთრება ხდება, ძალა ნაკლებ როლს ასრულებს პოლიტიკაში და მიზნის მიღწევის მთავარი საშუალება მოლაპარაკება ხდება. ამგვარად, მოდერნიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი.

მეორე, უოლტ როსტოუს (Rortow, 1960) ცნობილი **ზრდის სტადიების თეორია,** რომელიც ამტკიცებს, რომ ისტორიის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ეკონომიკური პროდუქციის ზრდა, რაც თავის მხრივ ინდუსტრიალიზაციის შედეგია. შესაბამისად ისტორია იყოფა ინდუსტრიალამდელ, ინდუსტრიულ, პოსტინდუსტრიულ და საყოველთაო კეთილდღეობის ეტაპებად და სხვადასხვა ქვეყნები ინდუსტრიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება. საერთო, რაც აქვს ამ თეორიას გლობალიზაციასთან, არის ის, რომ ეკონომიკური განვითარების

ზოგადი სურათი განაპირობებს და იმორჩილებს პოლიტიკურ, სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს.

მესამე, **ეკონომიკური ანუ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია** (Cooper 1968, Keohane,Nay, 1977), რომელშიც გატარებულია აზრი, რომ საზოგადოებები ისეთნაირადაა ერთმანეთზე ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებული, რომ სახელმწიფო უკვე ხელშემშლელი ფაქტორია ნორმალური განვითარებისათვის. მით უფრო, რომ ურთიერთდამოკიდებულება პიროვნებების და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების დონეზე გაცილებით უფრო აშკარაა, ვიდრე სახელმწიფო ურთიერთდამოკიდებულება.

მეოთხე, მარშალ მაკლუჰანის **„გლობალური სოფლის" თეორია** (McLuhan, 1964), რომელიც თვლის, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფამ გამოიწვია ისეთი სამყაროს ჩამოყალიბება, როცა ჩვენ შეგვიძლია იმავდროულად ვუყუროთ ჩვენგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ მოვლენებს. შესაბამისად დრო და სივრცე ისეთნაირად „შევიწროვდა", რომ ყველაფერმა დაკარგა ტრადიციული იდენტურობა, მათ შორის – პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ჯგუფებმა, რომლებიც ტრადიციული ფორმით ვეღარ ფუნქციონირებენ. როგორც ვხედავთ, მაკლუჰანი ეხება გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, თუმცა, რა თქმა უნდა, გლობალიზაცია მხოლოდ კომუნიკაციურ რევოლუციაზე არ დაიყვანება.

მეხუთე, ბარტონის **მსოფლიო საზოგადოების თეორია** (Burton, 1972). ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფოთა სისტემამ თავისი დრო მოჭამა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო და უფრო წამყვან როლს იკავებს არასახელმწიფოებრივი აქტორები. ბარტონმა მსოფლიო პოლიტიკის მოდელი ობობის ქსელს შეადარა, სადაც ძირითად „ძაფებს" ქმნის ვაჭრობა, კომუნიკაციები, ენა, იდეოლოგია, პოლიტიკურ კავშირებთან ერთად. როგორც ვხედავთ, ამ თეორიაშიც ბევრი რამ არის საერთო გლობალიზაციასთან.

მეექვსე, 60–80-იან წლებში აქტიურად მოღვაწეობდა ე. წ. **მსოფლიო წესრიგის მოდელირების პროექტი (WOMP),** რომელიც მიზნად ისახავდა შეექმნა არსებული სახელმწიფოთშორისი სისტემის ალტერნატიული მოდელი, რაც თავის მხრივ, მსოფლიო ომის თავიდან აცილების გარანტი უნდა გამხდარიყო. ამ პროექტის ავტორები (მენდლოვიჩი, ფალკი და სხვები) აყენებ-

დნენ გლობალური მთავრობის იდეას. მათთვის ანალიზის ერთეული ინდივიდი იყო, ხოლო ანალიზის დონე გლობალური, ანუ სახელმწიფო ამ მოდელიდან ამოვარდნილი იყო, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

მეშვიდე, ბევრი საერთოა გლობალიზაციის იდეებსა და **საერთაშორისო საზოგადოების თეორიას** შორის. ამ თეორიის მთავარი წარმომადგენელი ჰედლი ბული (Bull, 1977) მიუთითებდა, რომ საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა ნორმები და საერთო ურთიერთგაგება სახელმწიფოთა ლიდერებს შორის, რამაც უფრო საერთაშორისო საზოგადოება ჩამოაყალიბა, ვიდრე საერთაშორისო სისტემა. მომავალში საერთაშორისო საზოგადოება უფრო განვითარდება და სახელმწიფოთა როლი შესუსტდება. თუმცა ბული არ მიიჩნევს, რომ ერი-სახელმწიფოები მთლიანად შეიცვლება საერთაშორისო საზოგადოებით.

მერვე, გლობალიზაციის თეორია გარკვეულწილად უახლოვდება **ფრენსის ფუკუიამას** მოსაზრებებს, რომლებიც მან გამოთქვა თავის ცნობილ **„ისტორიის დასასრულში"** (ფუკუიამა, 1999). ფუკუიამა თვლის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით მოისპო ის უკანასკნელი ირაციონალური საწყისი, ის ბოროტება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ისტორიაში და უპირისპირდებოდა რაციონალურ კეთილ საწყისს. სწორედ ამ ორი საწყისის დაპირისპირება შეადგენდა ისტორიის არსს და რამდენადაც ეს დაპირისპირება აღარ არსებობს ისტორიაც დამთავრდა: მსოფლიოს შემდგომი განვითარება ეკონომიკური ბაზრის განვითარების ასახვაა და ასეთ პირობებში ერთადერთი მმართველობის ფორმა ლიბერალური დემოკრატია იქნება. სხვა რეჟიმები (კომუნიზმი, ფაშიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი) ლიბერალური დემოკრატიას ვერ დაუპირისპირდებიან, მით უფრო, რომ სწორედ ეს უკანასკნელი შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამგვარად, ლიბერალური დემოკრატიისა და ეკონომიკური ბაზრის ბატონობა უალტერნატივოა და მსოფლიოს მომავალიც სწორედ ეს არის.

დაბოლოს მეცხრე, ბევრი მსგავსებაა გლობალიზაციისა და **ლიბერალური მშვიდობის თეორიას** შორის, რომლის მიხედვითაც ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთში არ ომობენ და ყველა პრობლემას ცივილიზებული გზით აგვარებენ. ამდენად, თუ ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა იქნება, საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებულია. ხოლო, რამდენადაც ლიბერა-

ლური დემოკრატია დაინტერესებულია ურთიერთთანამშრომლობით და სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატის შეზღუდვით, ეს უკვე კარგ პირობებს ქმნის გლობალიზაციის პროცესისათვის.

## 5.3. გლობალიზაციის ფორმები, ისტორია, ჩარჩოები

გლობალიზაცია, როგორც საყოველთაო და უაღრესად მრავალმხრივი მოვლენა ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს მრავალი ფორმით იჩენს:

**კომუნიკაციების** თვალსაზრისით გლობალიზაცია წარმოჩინდება კომპიუტერული ქსელის, ტელეფონების, ელექტრო ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის და სხვა მსგავსი საშუალებების უპრეცედენტო გავრცელებით და რაოდენობრივი ზრდით. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს უშუალოდ, მომენტალურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და სახელმწიფო საზღვრებისა. დრომ და მანძილმა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა ფაქტიურად დაკარგა.

**ორგანიზაციების** თვალსაზრისით გლობალიზაცია გამომჟღავნდა კომპანიების, ასოციაციების თუ სააგენტოების სწრაფი ზრდით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც ტრანსნაციონალური სუბიექტები. კერძოდ, ისეთი ორგანიზაციები როგორიცაა *ნისან კორპორეიშნი, გადავარჩინოთ ბავშვები* ან *მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია* საკუთარი მოღვაწეობის არეალად მიიჩნევენ მთელ პლანეტას, ხოლო თავიანთ უკვე არსებულ ან პოტენციურ კლიენტად თვლიან კაცობრიობას მთლიანად.

**ეკოლოგიურად** გლობალიზაცია თავს იჩენს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების სახით, როგორიცაა პლანეტის კლიმატის ცვლილება („გლობალური დათბობა"), ოზონის ხვრელები, ატმოსფეროს გაბინძურება, დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაქვეითება, გაუდაბნოება, ჰიდროსფეროს და მდინარეების გაჭუჭყიანება და ა.შ. არც ერთი ეს პრობლემა არ შეიძლება შეიზღუდოს ცალკეული ქვეყნების საზღვრებით და ცალკე აღებულ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მათი

გადაჭრა. ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიოს როგორც ერთიანი მთლიანისა და განუყოფელის გლობალური პრობლემაა.

**პროდუქტების** თვალსაზრისით გლობალიზაციის გამოვლინებაა ე. წ. „გლობალური ქარხნები", რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში და განსაკუთრებით მიკროელექტრონიკულ მრეწველობაში. აქ მთელი რიგი საწარმოები არ შედიან ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში მდებარეობის მიუხედავად ერთ საწარმოო ხაზს ქმნიან. ასევე ფინანსურ ურთიერთობებში გლობალიზაციის შედეგია საკრედიტო ბარათების საყოველთაო გავრცელება და ზოგიერთი ვალუტის (დოლარი, ევრო) ფაქტიურად ყველგან მიმოქცევა.

**სამხედრო სფეროში** გლობალიზაციის გამოვლინებად მიიჩნევა გლობალური იარაღი – კონტინენტშორისი ბალისტიკური რაკეტები და სადაზვერვო სატელიტები. თუმცა 1990–91 წლების ომი სპარსეთის ყურეში, ფორმალურად ერაყისა და კუვეიტის სახმელეთო ბრძოლა იყო, მასში მომენტალურად აღმოჩნდა ჩართული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები თავიანთი ულტრათანამედროვე შეიარაღებით. ხოლო მათი გადასროლა საომარი მოქმედების თეატრში სანქცირებული იქნა გლობალური სამთავრობო დაწესებულების – გაეროს მიერ.

გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული მთელი რიგი **ნორმები**, რომლებიც მართავენ ჩვენს ცხოვრებას, მათ შორის ათასობით ტექნიკური სტანდარტი და ადამიანის უფლებები. ეს და სხვა მუდმივად მზარდი ნორმები და წესები პირველ რიგში საყოველთაოა და ნაკლებად ემორჩილება სახელმწიფოეროვნულ ინტერესებს.

დაბოლოს, გლობალიზაცია თავს იჩენს ჩვენს **ყოველდღიურ ფიქრებში**. XXI საუკუნის დასაწყისში მცხოვრებ ადამიანს გაცნობიერებული აქვს მსოფლიო როგორც ერთიანი და მთლიანი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ეს მის წინა თაობებს ჰქონდათ და აქედან გამომდინარე თავისი მენტალიტეტით უფრო და უფრო ხდება „მსოფლიო მოქალაქე".

როცა ჩვენ ვზივართ საკუთარ სახლში და ტელევიზიით ვუყურებთ თუ რა ხდება მოცემულ მომენტში ბუენოს-აირესსა და პეკინში, მობილურით ველაპარაკებით ნიუ-იორკში, გვაცვია ჯინსები, ვსვამთ კოკა-კოლას და ვჭამთ ჩისბურგერს, ვუსმენთ ამერიკულ პოპ-მუსიკას, ინტერნეტის საშუალებით ვკითხულობთ

უახლეს პარიზულ გაზეთებს და მისივე დახმარებით სახლიდან გაუსვლელად ვყიდულობთ საჭირო ნივთს, ევროკავშირი გვისაზღვრავს პროდუქტებზე ფასებს და შორეულ საფინანსო ბირჟებზე მომხდარი ცვლილებები მაშინვე აისახება ჩვენს ბიუჯეტზე, გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს აქვთ მინდობილი წესრიგის შენარჩუნება აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონის პრობლემა კი ეუთოს გადასაწყვეტია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არაფერი ამის მსგავსი არ არსებობდა, როცა ჩვენი მშობლები ბავშვები იყვნენ. ძალიან ბევრი რამ ასევე სრულიად უცნობი იყო, როცა ჩვენ ვიყავით ბავშვები, ხოლო ჩვენი შვილები გაცილებით მეტად გრძნობენ გლობალიზაციის შედეგებს, მით უფრო, რომ უკვე დღეს ჩვენ აღარ ვართ მარტო ერთი ქვეყნის მოქალაქეები, არამედ ვცხოვრობთ ერთიან მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია, როგორც დავინახეთ, სრულიად ახალი ფენომენია, მსოფლიო ისტორიაში მაინც მოიძებნება გარკვეული ანალოგები, რომლებიც ზოგიერთი ნიშნით მსგავსებას ამჟღავნებენ გლობალიზაციის ცალკეულ მახასიათებლებთან.

პირველ რიგში ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო რელიგიების წარმოშობა და გავრცელება. ბუდიზმიც, ქრისტიანობაც და ისლამიც არ სცნობს სახელმწიფო და ეროვნულ საზღვრებს, მანამდე არსებულ კულტურებს და საკუთარი ღირებულებების ქვეშ ცდილობდნენ გაეერთიანებინათ რაც შეიძლება მეტი ხალხი, მიუხედავად მათი ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობისა. ქრისტიანისთვის თავისივე რწმენის, მაგრამ სხვა ეროვნების ადამიანი გაცილებით უფრო ახლობელი და თავისიანი უნდა იყოს, ვიდრე მისივე ეროვნების, მაგრამ სხვა აღმსარებლობის პიროვნება. ისლამი კი საერთოდ არ სცნობს ეროვნებას და ყველა მუსლიმანი ერთიანი საზოგადოების „უმმას“ წევრად მიაჩნია. მსოფლიო რელიგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მათ გავრცელებამდე არსებული ეროვნული კულტურები და ერთმანეთთან დააახლოვეს საერთო რელიგიით გაერთიანებული ხალხები, მაგრამ საერთო, უეროვნებო ქრისტიანული ან მუსლიმანური საზოგადოების (ერთობის) ჩამოყალიბება მაინც ვერ შეძლეს.

გლობალიზაციის თავისებური წინაპირობა შეიძლება ჩაითვალოს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და განსაკუთრებით კი კონტინენტშორისი მიგრაციების სწრაფი გავრცელება. ზოგიერთი ავტორი გლობალიზაციის საწყისად მიიჩნევს ახალი

ისტორიული პერიოდის (XVII საუკუნე) დადგომას, ზოგი ამ პროცესის დაწყებას XIX საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. გლობალიზაციის დასაწყისად ზოგს XX საუკუნის 50-იანი წლები მიაჩნია, ზოგს კი 70–80-იანი წლების მიჯნა, მაგრამ თუ გლობალიზაციას მისი ძირითადი მნიშვნელობით, კერძოდ კი, სუპრატერიტორიალიზმის კუთხით განვიხილავთ, მაშინ სადავო არ უნდა იყოს, რომ იგი უკანასკნელი ათწლეულების ფენომენია. ჯ. შოლტს (Sholte, 2001) მოჰყავს ქრონოლოგიური ცხრილი, სადაც ის მოვლენები და თარიღებია, რომლებიც გლობალიზაციის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. 42 მოვლენიდან 26-ს 1950 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი, ხოლო მის ნახევარს (19) 1970 წლის შემდეგ.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მოვლენათა დიდი ნაწილი მოსახლეობის უმრავლესობისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა და მხოლოდ 60–70-იანი წლებიდან მიიღო გლობალური ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ კომპიუტერებზე და ინტერნეტზე. ტელეფონებით და ტელევიზორებით მოსახლეობის უზრუნველყოფა 70-იანი წლების შემდეგ მოხდა. ამავე პერიოდის შემდეგ შეიქმნა 60 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია. დღეს ყოველდღიურად 1,5 ტრილიონ დოლარზე მეტი გადაირიცხება სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ და 1,5 მილიარდ კაცზე მეტი კვეთს ქვეყნების საზღვრებს ყოველწლიურად. სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ გლობალიზაცია თანამედროვეობის ფენომენად (Sholte, 2001).

მაგრამ ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ გლობალიზაციას არა აქვს გარკვეული შეზღუდვები და რაიმე ჩარჩოებში არ არის მოქცეული. სულ ცოტა ხუთი მაგალითი მაინც შეიძლება დავასახელოთ, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ გლობალიზაცია არც ისეთი „გლობალურია“, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

პირველი გლობალიზაცია ყველგან ერთნაირი ინტენსივობით არ იჩენს თავს. თუკი ტერიტორიული გეოგრაფიის მნიშვნელობის შემცირება ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და წყნარ ოკეანურ არეალში (იაპონია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ავსტრალია-ოკეანეთი) აშკარა ფაქტია, იგივეს ვერ ვიტყვით ტროპიკულ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაზე. გლობალური კომპანიები, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა ძირითადად თავმოყრილია ე. წ. ჩრდილოეთში ანუ განვითარებულ სამყაროში. ამის გარდა, გლობალიზაცია ძირითადად შეეხო ქალაქის

მოსახლეობას, კვალიფიციურ კადრებს და ახალგაზრდა თაობას. ასე, რომ, დრო და საზღვრები ისევ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მეორე, გლობალიზაცია არ არის კულტურული ჰომოგენიზაციის, ერთმნიშვნელოვანი პროცესი. გლობალიზაციის შედეგად კულტურული დაახლოება არ ნიშნავს კულტურული განსხვავებულობის წაშლას. ერთი და იგივე ფილმი სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა კულტურის მიერ და ერთი და იგივე პროდუქცია ადგილობრივი პირობების და ტრადიციების გამო სხვადასხვანაირად გამოიყენება. ამიტომ ეროვნული კულტურების გაქრობასა და სიკვდილზე ლაპარაკი აშკარად გადაჭარბებულია.

მესამე, გლობალიზაცია სრულიადაც არ უარყოფს ტერიტორიულობის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების როლი, მანძილი და დრო მნიშვნელოვნად შეიცვალა და ნაკლებად დაბრკოლებადი გახდა, ეს არ ნიშნავს, რომ გეოგრაფიულმა პარამეტრებმა საერთოდ დაკარგეს მნიშვნელობა. გლობალიზაციას არ მოაქვს ტერიტორიული გეოგრაფიის დასასრული, არამედ ქმნის ახალი სუპრატერიტორიულ სივრცეს, რომელიც კავშირშია ძველ ტერიტორიულ სივრცესთან. მსოფლიო პოლიტიკის „რუკა" იძენს ახალ განზომილებებს და უფრო რთული ხდება.

მეოთხე, გლობალიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც შედეგი ერთი წარმმართველი ძალისა. იგი არ უნდა შეფასდეს მარტო ამერიკული ან დასავლური თვალთახედვით. იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ცალსახად კაპიტალიზმის შედეგად, ანდა ინდუსტრიული რევოლუციის პროდუქტად, არც უნივერსალური აზროვნების ძიებად, არამედ როგორც ყველაფერ ამის და სხვა მოვლენების საბოლოო შედეგი.

მეხუთე, გლობალიზაცია არ არის პანაცეა. ზოგიერთი ლიბერალის მოსაზრება, რომ მოდის უსაზღვრებო მსოფლიოს ერა, სადაც იქნება სრული თანასწორობა, აყვავება, მშვიდობა და თავისუფლება (Ohmae, 1990) უფრო უტოპიურია, ვიდრე რეალური. ვერავითარი გლობალიზაცია ვერ შეცვლის (ჯერჯერობით მაინც) იმ უთანასწორობას და განსხვავებას, რაც მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებს, ქვეყნებს თუ ქვეყნის შიგნით რეგიონებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსებობს. ამდენად, გლობალიზაციის გაიგივება საყოველთაო კეთილდღეობასთან და დემოკრატიასთან ძალიან გადაჭარბებული და დამაჯერებლობას მოკლებულია.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია მიუხედავად მისი სახელწოდებისა, საკმაოდ შეზღუდულია და მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. სწორედ ამან მისცა მიზეზი მკვლევართა მნიშვნელოვან ნაწილს გლობალიზაცია მითად გამოეცხადებინათ და ანტიგლობალისტებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

## 5.4. გლობალიზაცია: მითი თუ რეალობა? მომხრეები და მოწინააღმდეგეები

გლობალიზაცია, როგორც ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი შეუძლებელია ცალსახად შევასხდეს და იგი გამოკვეთილად პროგრესულ ანდა ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გლობალიზაციის პროცესის მკვლევართა შორის დიამეტრიულად განსხვავებული შეფასებები გვხვდება.

დ. ჰელდისა და სხვა ავტორთა 1999 წელს გამოცემულ წიგნში „გლობალური ტრანსფორმაცია" მკვლევართა სამი კატეგორიაა გამოყოფილი: – ჰიპერგლობალისტები, ტრანსფორმაციონისტები და სკეპტიკოსები (Held et al, 1999). ჰიპერგლობალისტებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც გადაჭრით ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია უნდა განისაზღვროს როგორც ახალი ერა, სადაც ხალხი მზარდად განიცდის გლობალური ბაზრის გავლენას (Ohmae, 1990). სკეპტიკოსები (Hirst and Thompson, 1996) თვლიან, რომ გლობალიზაცია მითია, რომელიც მალავს საერთაშორისო ეკონომიკის რეალურ სახეს, კერძოდ მის დანაწილებას სამ რეგიონულ ბლოკად, სადაც ეროვნული მთავრობების ძალა უაღრესად დიდია. ტრანსფორმაციონისტები კი (Giddens, 1990, Rosenau, 1997) მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის მოდელი წარმოადგენს ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენას, როცა სახელმწიფოები და საზოგადოებები მთელს დედამიწაზე განიცდიან ღრმა ცვლილებებს და ცდილობენ შეეგუონ უფრო ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ უაღრესად გაურკვეველ და არასაიმედო მსოფლიოს.

მკვლევართა დაყოფა ჰიპერგლობალისტებად, სკეპტიკოსებად და ტრანსფორმაციონისტებად არ არის თეორიების მიხედვით დაყოფა, რადგან ჰიპერგლობალისტებში ნეოლიბერალური მოსაზრებების გვერდით შეიძლება მარქსისტულ

განმარტებებსაც შევხვდეთ. თავის მხრივ, მარქსისტები რეალისტებთან ერთად შეიძლება სკეპტიკოსების ბანაკში გაერთიანდნენ, ხოლო ერთი და იმავე ჯგუფის წარმომადგენლებმა (მაგ., ტრანსფორმაციონისტებმა) შესაძლებელია სრულიად განსხვავებული დასკვნები გააკეთონ.

**გლობალიზაციის კონცეფცია: სამი ტენდენცია**

ცხრილი №1

| | ჰიპერგლობალისტები | სკეპტიკოსები | ტრანსფორმაციონისტები |
|---|---|---|---|
| რა არის ახალი? | გლობალური ერა | სავაჭრო ბლოკები, სუსტი გეომმართველობა | გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ისტორიულად უპრეცედენტო დონე |
| ძირითადი თავისებურება | გლობალური კაპიტალიზმი, გლობალური მთავრობა, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება | მსოფლიო უფრო ნაკლებად არის ურთიერთდამოკიდებული, ვიდრე 1890-იან წლებში | „სქელი" (ინტენსიური და ექსტენსიური) გლობალიზაცია |
| ეროვნული მთავრობის ძალაუფლება | სუსტდება და იშლება | გადანაწილდება და ძლიერდება | გარდაიქმნება და სტრუქტურულად იცვლება |
| გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალები | კაპიტალიზმი და ტექნოლოგია | სახელმწიფო და ბაზარი | თანამედროვეობის ერთიანი ძალები |
| სტრატიფიკაციის მოდელი | ძველი იერარქიის მოშლა | სამხრეთის მზარდი მარგინალიზაცია | მსოფლიო წესრიგის ახალი სახე |
| დომინანტი მოტივი | მაკდონალდსი, მადონა, კოკა-კოლა | ეროვნული ინტერესები | პოლიტიკური საზოგადოების ტრანსფორმაცია |
| გლობალიზაციის კონცეპტუალიზაცია | ადამიანთა ქმედებების სტრუქტურის მოწესრიგება | ინტერნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია | რეგიონთშორისი ურთიერთობების და შორ მანძილზე ქმედებების მოწესრიგება |
| ისტორიული ტრაექტორია | გლობალური ცივილიზაცია | რეგიონული ბლოკები და ცივილიზაციათა შეჯახება | გაურკვეველია: გლობალური ინტეგრაცია და ფრაგმენტაცია |
| საბოლოო დასკვნა | ერი-სახელმწიფოების დასასრული | ინტერნაციონალიზაცია დამოკიდებულია სახელმწიფოთა მოთხოვნასა და მხარდაჭერაზე | გლობალიზაცია ცვლის სახელმწიფო ხელისუფლებას და მსოფლიო პოლიტიკას |

წყარო: Held et al., 1999, p.10

მიუხედავად გარკვეული განსხვავებულობისა, შესაძლებელია ზოგადად განისაზღვროს, თუ თითოეული ეს მიმართულება როგორ განსაზღვრავს გლობალიზაციას ისეთი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა ამ პროცესის კონცეფცია, მიზეზობრივი დინამიკა, სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, სახელმწიფო ხელისუფლებასთან და მთავრობასთან დამოკიდებულება და ისტორიული ტრაექტორია. ზოგადი სახით ეს ნაჩვენებია №5.1 ცხრილში.

ჰიპერგლობალისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია თვისობრივად სრულიად ახალი ერაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც გლობალური ერა შეიძლება ეწოდოს. მათი აზრით, ერი-სახელმწიფოების ეპოქა დამთავრდა. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბების მეშვეობით ეკონომიკის დენაციონალიზაცია გამოიწვია. ეს არის საზღვრებს გარეშე ეკონომიკა, რომელსაც ემორჩილება სახელმწიფო. შესაბამისად ეროვნული სახელმწიფოს როლი განუხრელად სუსტდება, იშლება ძველი იერარქია, ჩნდება და ძლიერდება ახალი ფასეულობები, რაც ერთიანი, გლობალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ცხადია, რომ ჰიპერგლობალისტებს შორის საკმაოდ სერიოზული განსხვავებებია გლობალიზაციის პროცესის შეფასების კუთხით. თუ ნეოლიბერალები ულაპარაკოდ პროგრესულად თვლიან საბაზრო პრინციპების დომინირებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე, ნეომარქსისტებს თანამედროვე გლობალიზაცია გლობალური კაპიტალიზმის ნათელ გამოვლინებად მიაჩნიათ. მაგრამ მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებისა ორივე თანხმდება, რომ გლობალიზაცია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური მოვლენაა, რომელზეც დამოკიდებულია პოლიტიკა. ასე რომ, გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკა არა შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აშკარად გამოხატული „ეკონომიკური მენეჯმენტია".

სკეპტიკოსებს თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად ხშირად მოჰყავთ სტატისტიკური მონაცემები ადარებენ რა დღევანდელი ვაჭრობის, ინვესტიციების და სამუშაო ძალის ნაკადების ინტენსივობას XIX საუკუნის დასასრულის ანალოგიურ მონაცემებს. ამ მონაცემების შედარების საფუძველზე კეთდება დასკვნა, თანამედროვე გლობალიზაცია სრულიადაც არ არის ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენა. სახეზეა მხო-

ლოდ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია ანუ ურთიერთობების ინტენსიფიკაცია ნაციონალურ ეკონომიკებს შორის, ხოლო ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს 1870–1914 წლებში იყო. ასე რომ გლობალიზაცია მითია, ხოლო ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკის წარმმართველ მთავარ ძალად რჩება. საერთაშორისო ეკონომიკაში კი გლობალიზაციის ნაცვლად რეგიონალიზაციასთან გვაქვს საქმე, რადგან მსოფლიო ეკონომიკა ვითარდება სამი მთავარი სავაჭრო და საფინანსო ბლოკის მიმართულებით – ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია – წყნაროკეანური სარტყელი.

სკეპტიკოსებისთვის სრულიად მიუღებელია მოსაზრება ერი-სახელმწიფოების ეპოქის დასრულებისა და ახალი არასახელმწიფო-ცენტრული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების შესახებ. სახელმწიფო რჩება და მომავალშიც იქნება მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი აქტორი. სწორედ მასზეა დამოკიდებული თვით გლობალიზაციის პროცესის მომავალი. ეროვნული ინტერესები კი სახელმწიფოს ქმედების მთავარი ფაქტორია და ვერანაირი გლობალური ინტერესი მას ვერ შეცვლის. ასე რომ ისტორიის დასასრულის იდეა ანუ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მთელ მსოფლიოში გაბატონება უტოპიაა და მსოფლიოს დაყოფა რეგიონულ ბლოკებად და ცივილიზაციათა დაპირისპირება გარდაუვალია.

ტრანსფორმაციონისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია ახალი ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალური მოვლენაა, რომელიც სწრაფ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცვლილებებს იწვევს და თანამედროვე საზოგადოებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებას განაპირობებს. ისინი უფრო „ზომიერი" გლობალისტები არიან და თუმცა ძირითადში ეთანხმებიან ჰიპერგლობალისტებს, ზოგჯერ სკეპტიკოსების ცალკეულ აზრებსაც იზიარებენ.

კერძოდ, ტრანსფორმაციონისტები არ თვლიან, რომ თანამედროვე პერიოდი გლობალური ერაა (რაც ჰიპერგლობალისტებს მიაჩნიათ), მაგრამ მას არც მითად აღიქვამენ. მათი აზრით, გლობალური ურთიერთდამოკიდებულება არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი აღიარებენ, რომ სახელმწიფოების როლი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შემცირდა, მაგრამ სახელმწიფოთა სისტემის კვდომაზე ლაპარაკი ყველანაირ საფუძველს მოკლებულია. სახელმწიფოთშორისი და რეგიონთშორისი ურთიერთობები კვლავაც დიდ როლს ასრულებს,

მაგრამ ისინი ტრანსფორმაციას განიცდიან გლობალიზაციის პროცესის გავლენით. ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო გარემო სახელმწიფოთა, რეგიონებისა და გლობალიზაციური პროცესების რთული სინთეზია, რაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უაღრესად რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს განსაზღვრავს.

რაც შეეხება მოსახლეობის ძირითად მასას, გლობალიზაციის გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე უდავოა და, როგორც ყველა რთული პროცესი, არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს: ამის მიხედვით მოსახლეობაში გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც პოზიტიურად აფასებენ ამ პროცესს და მათ პირობითად გლობალისტები შეიძლება ვუწოდოთ. მათგან განსხვავებით, მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად აფასებს გლობალიზაციის შედეგებს და აშკარად ანტიგლობალისტების კატეგორიას მიეკუთვნება. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ნეიტრალურ პოზიციაზე რჩება, თუმცა გლობალიზაციის ზოგიერთ გამოვლინებაზე დადებით, ზოგიერთის მიმართ კი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს.

ანტიგლობალისტური განწყობა ძირითადად არადასავლური ქვეყნების მოსახლეობაში იგრძნობა, სადაც გლობალიზაცია ვესტერნიზაციად, ანუ დასავლეთის გავლენის უპრეცედენტო გაძლიერებად აღიქმება. მკვიდრდება აზრი, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც რეალურად დასავლური კომპანიებია, უმოწყალოდ ძარცვავენ ქვეყანას, აჩანაგებენ მის რესურსებს, ანგრევენ ნაციონალურ ეკონომიკას და ფაქტიურად მონებად აქცევენ ადგილობრივ მოსახლეობას. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება დასავლური მასობრივი კულტურის მოძალება, რომელიც ანგრევს ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, მენტალიტეტს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნულ იდენტურობას. სწორედ ამ შიშის მიზეზია ნაციონალიზმის აღორძინება მთელ რიგ ქვეყნებში, ხოლო ისლამურ სამყაროში ნოყიერი ნიადაგი შეექმნა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას. ამასთანავე, მესამე სამყაროს ქვეყნები უარს არ ამბობენ დასავლური ტექნიკური მიღწევების (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, ავტომობილები და ა. შ.) ფართო გამოყენებაზე და სიამოვნებით მიეშურებიან დასავლეთის ქვეყნებში სამუშაოდ და ხშირ შემთხვევაში (არალეგალურად) მუდმივ საცხოვრებლადაც.

თავის მხრივ, დასავლეთის სამყაროშიც საკმაოდ ძლიერი ანტიგლობალისტური განწყობაა. აქ განსაკუთრებულ გაღიზია-

ნებას არალეგალური იმიგრაცია იწვევს, რაც გლობალიზაციის შედეგად აღიქმება. განვითარებადი სამყაროდან მიძალებული მიგრანტების რაოდენობამ დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში და აშშ-ში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი შეადგინა მოსახლეობის რაოდენობაში, რაც მათი მაღალი ბუნებრივი მატების გათვალისწინებით საკმაოდ სერიოზული საფრთხეა. დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში თავი იჩინა თითქოსდა უკვე დიდი ხნის მივიწყებულმა ნაციონალისტურმა განწყობამ, ქსენოფობიამ და დაპირისპირებამ ადგილობრივ და ჩამოსულ მოსახლეობას შორის. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს 2002 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსის ჟან-მარი ლე პენის წარმატება, რომელიც ნაციონალისტური ლოზუნგებითა და იმიგრაციის უმკაცრესი შეზღუდვის მოთხოვნებით გამოდის. მსგავს სურათს ჰქონდა ადგილი 2000 წელს ავსტრიის პარლამენტის არჩევნებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს ზოგადი დასკვნა: გლობალიზაცია თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი, არსებითი თავისებურებაა. მიუხედავად მისი რთული და წინააღმდეგობრივი შინაარსისა, იგი უზარმაზარ როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფერო მოიცვა. გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია მისი საპირისპირო ფენომენის – ნაციონალიზმის – გამოცოცხლება და გავრცელება. ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთქმედება აშკარა და რეალური ფაქტია და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

**კითხვები და დავალებები:**

1. რა მნიშვნელობით შემოვიდა პირველად ხმარებაში ტერმინი "გლობალიზაცია" და რა მნიშვნელობა მიიღო შემდგომში?
2. რას გულისხმობენ როცა ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკა მსოფლიო პოლიტიკად გარდაიქმნა?

3. როგორ განსაზღვრავენ გლობალიზაციას სხვადასხვა ავტორები? (გიდენსი, რიხტერი, კოქსი, კანტერი).
4. რა განსხვავებაა გლობალიზაციასა და ინტერნაციონალიზაციას შორის?
5. რა განსხვავებებს ხედავს უ. ბეკი გლობალიზაციას, გლობალურობასა და გლობალიზმს შორის?
6. როგორ აღიქვამენ გლობალიზაციას რეალისტები, ლიბერალები და მარქსისტები?
7. ჩამოთვალეთ ის თეორიები, რომლებიც შეიძლება გლობალიზაციის თეორიულ წინამორბედებად ჩაითვალოს.
8. რა ფორმებით იჩენს თავს გლობალიზაცია?
9. ჩამოთვალეთ მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია არც ისე „გლობალურია", როგორც ერთი შეხედვით ჩანს.
10. შეადრეთ ჰიპერგლობალისტების, სკეპტიკოსებისა და ტრანსფორმაციონისტების შეხედულებები გლობალიზაციის შესახებ.

## ლიტერატურა


1. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Edition. Oxford University Press. Oxford, 2001, p.p. 1–12.
2. Held D., McGrew A. - The Global Transformation. Reader Oxford. 200, p.p.1-139.
3. Held D. et al. - Global Transformations: Politics, Economics and Culture. Cambridge Polity Press. Cambridge, 1999, p.p. 1–28.
4. Scholte J. A. - Globalization. A Critical Introduction. Palgrave. New-York, 2000, p.p. 13–61.
5. Бек У. - Что такое глобализация? Прогресс-Традиция. Москва, 2001, ст. 9–34.

თემა 6

# გლობალიზაცია და სახელმწიფო

გლობალიზაციის მრავალ მახასიათებელს შორის ერთ-ერთი ძირითადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი დეტერიტორიზაცია, ანუ სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლაა. შესაბამისად, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს მნიშვნელობა და როლი. თუ ადრე იგი საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტიურად ერთადერთი რეგულატორი იყო, გლობალიზაციის პროცესის განვითარების პარალელურად მისი მნიშვნელობა საგრძნობლად მცირდება (ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ გლობალისტები). ამასთანავე, ეს ცვლილება ეხება როგორც სახელმწიფოს, როგორც ინდივიდუალურ ერთეულს მთელი თავისი რთული და მრავალფეროვანი ფუნქციებით, ისე სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემას და შესაბამისად მსოფლიო წესრიგს. გლობალიზაციის როლზე მსოფლიო წესრიგში და საერთაშორისო სისტემის ცვლილებაში ჩვენ შემდეგ ვისაუბრებთ. ამჯერად კი ყურადღებას გავამახვილებთ უშუალოდ სახელმწიფოს ადგილზე და ფუნქციებზე გლობალიზაციის ეპოქაში.

## 6.1 თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირება: ანტიგლობალისტური ხედვა

თანამედროვე სოციალური ცხოვრება ასოცირდება სახელმწიფოსთან, როგორც საზოგადოებრივი ქმედებების

ფაქტიურად ყველა ფორმის განმსაზღვრელთან. სახელმწიფო გვესახება, როგორც ყველგან მყოფი და მუდამ არსებული ფენომენი, რომელიც არეგულირებს ცხოვრების პირობებს დაბადების რეგისტრაციიდან სიკვდილის ცნობის გაცემამდე. ხოლო ის, რომ თავის საზღვრებს შიგნით იგი ძალაუფლების ერთადერთი მატარებელია, იცავს წესრიგს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, განათლებას და ჯანმრთელობის დაცვას საყოველთაო ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი ადამიანი მიეკუთვნება რომელიმე ერს და ცხოვრობს განსაზღვრულ სახელმწიფოში. ამდენად, სახელმწიფო ადამიანის ცხოვრებაში რაღაც ხელშეუხებელი და მფარველი ფენომენის სახით წარმოგვიდგება.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. თანამედროვე სახელმწიფო, როგორიც ჩვენ ვიცით, შედარებით ახალი მოვლენაა და მისი ისტორია ორი-სამი საუკუნის წინ დაიწყო, ისიც დასავლეთ ევროპაში. პლანეტის სხვა რეგიონებში თანამედროვე სახელმწიფო კიდევ უფრო გვიანდელი ფენომენია. ხუთასი-ექვსასი წლის წინ მსოფლიოს მაშინდელი ნებისმიერი ქვეყნის სოფლის მაცხოვრებელმა ძალიან ცოტა რამ თუ იცოდა იმის შესახებ, რაც მისი სოფლის გარეთ იყო. ბევრი მათგანი ისე ატარებდა სიცოცხლეს, რომ საკუთარი სოფლის გარეთ ფეხი არ გაედგა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ პიროვნებას საერთო სახელმწიფოებრივი თვითშეგნება ჰქონოდა. არც ის უნდა იყოს სადავო, რომ არც ერთი მმართველი და არც ერთი სახელმწიფო არ იყო სუვერენული იმ მნიშვნელობით, რომ უზენაეს ხელისუფალს წარმოადგენდა გარკვეულ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე.

თანამედროვე სახელმწიფოები წარმოიშვნენ დასავლეთ ევროპაში და მათ კოლონიებში XVIII–XIX საუკუნეებში, თუმცა პირველი ასეთი სახელმწიფოები XVI საუკუნის ბოლოს შეიძლება მივაკუთვნოთ. ისინი განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული პოლიტიკური ერთობებისაგან ნათლად გამოკვეთილი ტერიტორიით, სუვერენიტეტით მასზე და ლეგიტიმაციით. სწორედ ეს ფაქტორები გახდა განმსაზღვრელი ახალი ტიპის ანუ ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებისათვის.

ახლად ჩამოყალიბებული ერი-სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება იყო ტერიტორიალურობა, რომელიც გულისხმობდა ზუსტ და გამოკვეთილ საზღვრებს, ამ ტერიტორიაზე მონოპოლისტურ კონტროლს და სრულ სუვერენობას, მისი

ქმედებების ლეგიტიმურად მიჩნევას და დამოუკიდებლობას საგარეო ურთიერთობებში. ეს მახასიათებლები რჩება ძირითად და არსებით ნიშნებად დღევანდელი სახელმწიფოსთვისაც.

სწორედ ასეთი ერი-სახელმწიფოების შექმნამ განაპირობა სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ახლაც საერთაშორისო სისტემის ძირითადი შინაარსია. XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერი-სახელმწიფოები და განისაზღვრა მათი ნიშნები და ფუნქციები. ეს იყო ტერიტორიული სუვერენიტეტი, სახელმწიფოთა ფორმალური (იურიდიული) თანასწორობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სახელმწიფოთა თანხმობა, როგორც აუცილებელი პირობა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლისათვის.

სახელმწიფოთა და პირველ რიგში ერი-სახელმწიფოთა რიცხვი განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუ 1871–1914 წლებში 12 ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, 1918–1945 წლებში კი – 16, 1945–1997 წლებში ახლად შექმნილმა სუვერენული სახელმწიფოების რაოდენობამ 110 შეადგინა ანუ ორნახევარჯერ მეტი, რაც მანამდე იყო (Holton, 1998). ამასთანავე საყურადღებოა ის ცვლილებები, რასაც ადგილი აქვს სახელმწიფოთა პოლიტიკურ რეჟიმში. სახელმწიფოთა უმრავლესობა დღეს დემოკრატიული მმართველობის გზაზეა, ხოლო ავტორიტარული და მით უფრო ტოტალიტარული რეჟიმების როლი განუხრელად მცირდება (იხ. ცხრილი 6.1).

უკვე ის ფაქტი, რომ სახელმწიფოთა რიცხვი იზრდება, ხოლო ახლად შექმნილი სახელმწიფოების ძირითადი მიზანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერებაა, ანტიგლობალისტებისთვის საკმარისი საბაბია იმის დასამტკიცებლად, რომ ერი-სახელმწიფოების დრო კი არ მთავრდება, არამედ პირიქით, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. გარკვეული ტრანსფორმაცია, რასაც ერი-სახელმწიფოები განიცდიან გლობალიზაციის პროცესის გამო, სრულიადაც არ ნიშნავს მათ კვდომას. ეს მხოლოდ ერი-სახელმწიფოების ახალი როლისა და ფუნქციების მანიშნებელია.

გლობალიზაციისადმი სკეპტიკურად განწყობილ მკვლევართათვის უდავო ფაქტია, რომ დღეს სახელმწიფოთა ისეთი უფლება, როგორიცაა ძალის გამოყენება და სამართლებრივი ზეწოლა, ისევე როგორც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების აკრეფა, საერთო-სახელმწიფოებრივი კომუნიკა-

**დემოკრატიზაცია მსოფლიოს ქვეყნებში**

ცხრილი №6.1

| რეგიონი | 1975 | | | 1995 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ავტორიტა-რული | ნახევრად დემოკრატიული | ლიბერალურ-დემოკრატიული | ავტორი-ტარული | ნახევრადდე-მოკრატიული | ლიბერალურ-დემოკრატიული |
| დასავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა, ავსტრალია | 2 | 0 | 22 | 0 | 0 | 24 |
| ლათინური ამერიკა | 15 | 2 | 5 | 2 | 5 | 15 |
| აზია | 18 | 4 | 3 | 11 | 5 | 9 |
| ტროპიკული აფრიკა | 43 | 2 | 3 | 12 | 16 | 20 |
| ახლო აღმოსავლეთი | 14 | 3 | 2 | 13 | 3 | 2 |
| აღმ. ევროპა და ყოფილი სსრკ | 9 | 0 | 0 | 5 | 14 | 8 |
| **სულ** | **101** | **11** | **35** | **43** | **43** | **78** |
| პროცენტი | 68,7% | 7,5% | 23,8% | 26,2% | 26,2% | 47,6% |

წყარო: Potter et al. 1997, p.9

ციების სრულყოფა, ეროვნული ენის და ეროვნული იდენტურობის გაძლიერებაზე ზრუნვა, ეროვნულ კულტურაზე, განათლების სისტემაზე და კიდევ სხვა მრავალ სფეროზე მონოპოლია არა თუ რჩება მთლიანად სახელმწიფოს გამგებლობაში, არამედ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ სფეროებში განუხრელად იზრდება კიდეც.

სხვა საკითხია, რომ მრავალი ქვეყანა ვერ ახერხებს შეასრულოს სახელმწიფოს ყველა ფუნქცია (ე. წ. კვაზისახელმწიფოები და არშემდგარი ქვეყნები), მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ერი-სახელმწიფოების კრიზისის მაჩვენებელი. მისი ძირები, სკეპტიკოსების აზრით, კოლონიალიზმის სისტემის ხასიათშია. იმის გამო, რომ დასავლეთის ძლიერმა სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს ჰეგემონია ყოფილ კოლონიებში (რამაც არ მისცა საშუალება ახლად შექმნილ სახელმწიფოებს მათი პოტენციალის შესაბამისი ეკონომიკა განევითარებინათ და სწორი პოლიტიკა ეწარმოებინათ), გამოიწვია კიდეც არსებული მძიმე პრობლემები.

თვით ძლიერი და განვითარებული ქვეყნების გეოპოლიტიკური როლი შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიო იმპერიებიდან საშუალო კატეგორიის ქვეყნებამდე ჩამოვიდნენ. მაგრამ ეს მსოფლიო წესრიგში, საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგია და არა ზოგადად ერი-სახელმწიფოს კრიზისი. ამ ზესახელმწიფოების ადგილი სხვებმა დაიკავეს (აშშ, სსრკ), ხოლო XXI საუკუნეში შესაძლოა უკვე სუპერსახელმწიფოდ ჩინეთი მოგვევლინოს. ასე რომ, აღნიშნული ცვლილებები სისტემის შიგნით ხდება. საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო სისტემის ხასიათი, სტრუქტურა და ძალთა ბალანსი, მაგრამ ის, რომ საერთაშორისო სისტემის საფუძველი სახელმწიფოთა სისტემაა — უცვლელი დარჩა.

რაც შეეხება უშუალოდ ერ-სახელმწიფოებს, სკეპტიკოსები თვლიან, რომ ერი-სახელმწიფოები რჩებიან პოლიტიკურ ერთობებად, რომლებიც ქმნიან ყველა პირობას წარმოქმნან და გააძლიერონ ბედის ერთობით დაკავშირებული ნაციონალური ერთობები. ნაციონალური პოლიტიკა კი ისეთივე მნიშვნელოვანია (თუ უფრო მნიშვნელოვანი არა), როგორც მაშინ იყო, როცა ერი-სახელმწიფოები პირველად ჩამოყალიბდა.

ერი-სახელმწიფოების ეკონომიკურ როლზე საუბრისას გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები ხშირად უსვამენ ხაზს სტატისტიკურ მონაცემებს, რითაც სურთ დაამტკიცონ, რომ თვით ეკონომიკაშიც კი სახელმწიფოს როლი არა თუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც. ჟურნალ „Economist"-ში (1997წ. 20 სექტემბერი) მოყვანილია ასეთი მაგალითი:

„მეოცე საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფოს ხვედრითი წილი შეადგენდა ეროვნული შემოსავლის ერთ მეათედზე ნაკლებს. 1997 წელს იმავე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მთლიანი პროდუქციის ნახევარს აღწევდა. ათწლეულიდან ათწლეულში სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში ერთი მიმართულებით —ზევით მოძრაობდა. ომის დროს იზრდებოდა, მშვიდობის დროს იზრდებოდა, 1920—1935 წლებში საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების მკვეთრი შემცირების დროსაც კი იზრდებოდა. 1960—1980 წლებს შუა პერიოდში, როცა გლობალური ვაჭრობა და ფინანსები გაფართოვდა კვლავ იზრდებოდა, 1980—1990 წლებში, როცა გლობალიზაციის სიო ძლიერ ქარად იქცა, ისევ იზრდებოდა,

ხოლო 1990 წლის შემდეგ, როცა ქარი ქარიშხლად იქცა, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.“

აი, ასეთ არგუმენტებზე დაყრდნობით ამტკიცებენ ანტიგლობალისტები, რომ გლობალიზაცია ეს მითია. რეალისტებისთვის უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ერი-სახელმწიფო, ეროვნული ინტერესები და ძალის ფაქტორი არის და მომავალშიც დარჩება საერთაშორისო ურთიერთობების ქვაკუთხედად. ნეომარქსისტებისთვის კი გლობალიზაცია „აუცილებელი მითია“, რომლის საშუალებითაც თანამედროვე იმპერიალიზმი თავის ნამდვილ სახეს ფარავს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სკეპტიკოსები ვერ ხედავენ გლობალიზაციის ფენომენს და მის გავლენას სახელმწიფოზე. მაგრამ მათი აზრით, აქ რაიმე ახალი და უპრეცედენტო არაფერია. ეს მოვლენები ადრეც ხდებოდა, ოღონდ მათ სხვა სახელი ერქვათ. ხოლო ის, რაშიც სკეპტიკოსებიც და გლობალისტებიც ერთმანეთს ეთანხმებიან, განსხვავებულ ახსნას პოულობს თითოეული მათგანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით სამი მომენტი უნდა გამოიყოს.

პირველი, გლობალიზაციის გავლენით სახელმწიფოს პოლიტიკას დაქვემდებარებული კონტინგენტი რამდენადმე შეიცვალა. თუ ტრადიციული სახელმწიფოს პოლიტიკური ქმედება საკუთარ მოსახლეობაზე იყო გამიზნული, გლობალიზაციის გავლენით სახელმწიფო თავის ინტერესებს სხვებზეც ავრცელებს და ამით სახელმწიფო ეროვნულ საზღვრებს უგულებელყოფს. მაგალითად, ირანი XX საუკუნის 80-იან წლებში აქტიურ დახმარებას უწევდა მსოფლიო ისლამიზმს, მიაჩნდა რა მსოფლიოს მთელი მუსლიმანური მოსახლეობა თავისი გავლენის გავრცელების ობიექტად.

მეორე, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის უფრო ხშირ და ინტენსიურ მრავალმხრივ კონსულტაციებს. ყოველწლიურად ათასობით ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეხვედრა იმართება სამთავრობო დონეზე, რაც სახელმწიფოთა დაახლოებას და ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დიდი შვიდეული“ პლუს რუსეთის ყოველწლიური შეხვედრები, სადაც მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა და განხორციელება ხდება.

მესამე, დაჩქარებულმა გლობალიზაციამ საგრძნობლად შეამცირა სახელმწიფოთაშორისი ომების შესაძლებლობა. თანა-

მედროვეობის ყველაზე გავრცელებული კონფლიქტის ფორმად იქცა შიდა დაპირისპირება სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ და არა ტერიტორიული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის.

აღნიშნული მაგალითები გლობალისტებს გლობალიზაციის გამოვლინების შედეგად მიაჩნიათ, მაშინ, როცა სკეპტიკოსები მასში რაიმე ახალს და განსაკუთრებულს ვერ ხედავენ. პირიქით, მიიჩნევენ, რომ თუნდაც ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სწორედ სახელმწიფოა მთავარი სუბიექტი და მისი როლის დაკნინებაზე ლაპარაკი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თავის მხრივ გლობალისტებს მრავალი არგუმენტი მოჰყავთ, რომლითაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გლობალიზაციის პროცესმა არსებითად შეცვალა ერი-სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.

## 6.2. ერი-სახელმწიფო თანამედროვე მსოფლიოში: გლობალისტური ხედვა

გლობალისტების შეხედულება სახელმწიფოს როლსა და მომავალზე, გლობალიზაციის ეპოქაში, დიამეტრულად განსხვავდება სკეპტიკოსების წარმოდგენისაგან.

ტრადიციული წარმოდგენა სახელმწიფოზე, როგორც მსოფლიო წესრიგის ძირითად ერთეულზე, გულისხმობს მის შედარებით ჰომოგენურობას, ანუ იგი გვევლინება როგორც უნიტარული, ერთიანი მიზნების მქონე სუბიექტი. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ (გაეროთი და მისი სპეციალური ორგანიზაციებით დაწყებული და არასამთავრობო გაერთიანებებით დამთავრებული) შეცვალა როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოების დინამიკა. სახელმწიფო იქცა დანაწევრებულ არენად, სადაც როგორც ტრანსნაციონალური (სამთავრობო და არასამთავრობო), ისე სხვადასხვა შინაური ძალები გვევლინება პოლიტიკის მკეთებლებად, ისევე როგორც ტრანსნაციონალური ძალების შეჭრამ სამოქალაქო საზოგადოებაში შეცვალა ამ უკანასკნელის ფორმა.

ექსკლუზიური კავშირი ტერიტორიასა და პოლიტიკურ ძალას შორის გაწყდა. ახალი საერთაშორისო და ტრანსნაციონა-

ლური ინსტიტუტები შეკავშირდა სუვერენულ სახელმწიფოებთან და სუვერენიტეტი საზიარო ძალად აქცია, ანუ სახელმწიფო სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში აღმოჩნდა.

ეს ტრანსფორმაცია თვალსაჩინოდ ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდის დინამიკაში. სწორედ მათი რაოდენობისა და გავლენის მუდმივმა ზრდამ დაამკვიდრა გლობალური პოლიტიკის ახალი ფორმები. თუ 1909 წელს მსოფლიოში მხოლოდ 37 საერთაშორისო სამთავრობო და 176 არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობდა, 90-იანი წლების შუა პერიოდისთვის უკვე 260 სამთავრობო და 5500-ზე მეტი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა (Held, Mc.Grew. p. 11. 1998). ყოველივე ამას უნდა დაემატოს საერთაშორისო შეხვედრებისა და კონფერენციების ფართო და მრავალმხრივი როლი, სადაც ერთობლივად წყდება მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე უფრო აქტუალური საკითხები. თუ XIX საუკუნის შუა წლებში წელიწადში ორი-სამი სახელმწიფოთაშორისი კონფერენცია და კონგრესი იმართებოდა, დღეს ეს რიცხვი ოთხ ათასს აღემატება. ასეთ პირობებში ძნელია სახელმწიფო დამოუკიდებელ და აბსოლუტურ სუვერენად მიიჩნიო. ფაქტია, რომ ეროვნული ხელისუფლება თანდათან იზღუდება სხვა სახელისუფლებო (ლოკალური, რეგიონული, გლობალური) სისტემებით ე. ი. იზღუდება სახელმწიფოს მთავარი ნიშანი–სუვერენიტეტი.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი ზესახელმწიფოებრივი (სუპრანაციონალური) ორგანიზაცია, როგორც ევროკავშირია. იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვეულებრივ საერთაშორისო ორგანიზაციად, სადაც წევრი სახელმწიფოები აბსოლუტურად სუვერენულია და თავიანთ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს. ევროკავშირი თავისებური, რეგიონული მასშტაბის გლობალიზაციის ნათელი გამოხატულებაა: საერთო პარლამენტი, ერთიანი თავდაცვა, საერთო მოქალაქეობა, უვიზო მიმოსვლა საერთო პასპორტით, ერთიანი ვალუტა და სხვა მრავალი ატრიბუტი გვიჩვენებს, რომ ეს ორგანიზაცია ზესახელმწიფოს ჩანასახია. მისმა წევრებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე, ხოლო ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე და ინტერესებზე მაღლა ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობა და

გაერთიანების იდეა დააყენეს. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი გლობალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო და ნათელი გამოხატულებაა.

ეს პროცესი მარტო ევროპაში არ მიმდინარეობს. აღსანიშნავია ინტეგრაციისადმი მისწრაფება ჩრდილოეთ ამერიკაში (NAFTA), ლათინურ ამერიკაში (MERCOSUR), არაბულ სამყაროში (არაბული ქვეყნების ლიგა), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ASEAN) და სხვა. გაერთიანების წევრი ქვეყნები ცხადია ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სხვა წევრებისა და მთლიანად ორგანიზაციის ინტერესებს და უარი თქვან ზოგიერთ საკუთარ სურვილზე, ხოლო მთლიანად საერთაშორისო არენაზე არა მარტო თავისი, არამედ გაერთიანების სხვა წევრების სახელითაც გამოვიდეს. ე. ი. ნაციონალური დიპლომატიის პარალელურად (და ზოგჯერ მის ხარჯზე) საფუძველი ეყრება ე. წ. რეგიონულ დიპლომატიას. შემდეგ ეტაპზე ხდება რეგიონებს შორის დაახლოება, რასაც საბოლოოდ მივყავართ ერთიან გლობალურ მსოფლიომდე, სადაც გლობალური ინტერესები დაჩრდილავს ეროვნულ ინტერესებს.

რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ურთიერთკავშირი ტრადიციული გეოპოლიტიკის ჩარჩოებში ვერ თავსდება. ნარკოტიკების კონტრაბანდა, კაპიტალის გადინება, მჟავე წვიმა, ტრეფიკი, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ტერორიზმი თუ უკანონო ემიგრაცია არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს. ცალკე ვერც ერთი ქვეყანა ამ პრობლემებს ვერ გაუმკლავდება. მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შეიძლება მათი გადაჭრა. ასე რომ, თვით ობიექტური პირობები ქმნის სუვერენიტეტის განაწილების აუცილებლობას სხვადასხვა ძალებს შორის.

ამგვარად, გლობალისტების დასკვნა პარადოქსულია: სახელმწიფო სუვერენიტეტი წარსულის კუთვნილებაა. ვესტფალიის სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემამ არსებობა ფაქტიურად დაამთავრა. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ მსოფლიო პოლიტიკა აღარ არის დაფუძნებული სუვერენულ სახელმწიფოებრიობაზე, როგორ ხორციელდება მმართველობა თანამედროვე გლობალიზირებულ მსოფლიოში?

გლობალისტების პასუხი ასეთია: თანამედროვე პოლიტიკაში შენარჩუნებულია სახელმწიფო მმართველობა, მაგრამ იგი მჭიდროდ არის გადახლართული სუბსახელმწიფოებრივ, სუპრასახელმწიფოებრივ, საბაზრო და სამოქალაქო საზოგადოებრივ მმართველობასთან.

**სუბსახელმწიფოებრივი მმართველობა.** გლობალიზაციის ეპოქისთვის დამახასიათებელი ახალი მოვლენაა. პირდაპირი საზღვარგარეთული კავშირები ისეთი სუბსახელმწიფოებრივი ელემენტებისა, როგორიცაა ადმინისტრაციული ერთეულები (პროვინცია, შტატი, რეგიონი), მუნიციპალიტეტები, ქალაქები და სხვა დასახლებები. როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნების სუბსახელმწიფოებრივი ერთეულები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ უშუალოდ, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით. კანადის პროვინციებს თუ ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობას ჰყავთ თავიანთი „დიპლომატიური" წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ქვეყნების საელჩოებისაგან საკმაოდ დამოუკიდებლად მოღვაწეობენ. ევროპაში 17 ქვეყნის 50-ზე მეტი რეგიონული მთავრობა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, ევროპის რეგიონების ასამბლეის მეშვეობით. საკმაოდ ინტენსიური კავშირებია მუნიციპალურ დონეზეც ისეთ საკითხების ერთობლივად გადაჭრის მიზნით, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, დანაშაულის პრევენცია, კულტურულ-სპორტული კავშირები და სხვა. ასევე თანამშრომლობის გავრცელებული ფორმაა დაძმობილებული ქალაქების ურთიერთკავშირები და ა.შ. თავისთავად ცხადია, რომ სუბსახელმწიფოებრივი მმართველობა გარკვეულწილად სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუნქციების გაზიარებაა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, გლობალიზაციის ეპოქაში კი რაიმე უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენს.

**სუპრასახელმწიფოებრივი მმართველობა.** მმართველობის ამ ფორმაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი და მასში იგულისხმება იმ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მმართველობა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილს ინაწილებენ. გარდა გაეროსი, ევროკავშირისა და სხვა გლობალური თუ რეგიონული ორგანიზაციებისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური პროფილის ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რომელთა მოღვაწეობა იმდენად ღრმა კვალს ტოვებს მრავალი ქვეყნის (განსაკუთრებით განვითარებად და დსთ-ს სახელმწიფოებზე) ეკონომიკაზე, რომ ხშირად მათ ამ ქვეყნების ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ და ანტიგლობალისტების განსაკუთრებულ სამიზნეებადაა ქცეული.

სხვა ასეთი ორგანიზაციებიდან უნდა აღინიშნოს ეუთო, რომელიც კონფლიქტების დარეგულირებისა და გადაჭრის ძირითადი ორგანიზაციაა ევროპაში და მასზეა დამოკიდებული მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და ლტოლვილთა ბედი (რაც, როგორც წესი, უშუალოდ სახელმწიფოს საქმე იყო ყოველთვის). ასევე აღსანიშნავია ადამიანის უფლებების დაცვის მთელი რიგი ორგანიზაციები, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი და ა. შ.

**საბაზრო გლობალური მმართველობა**. თანამედროვე მმართველობის ფორმა არ ამოიწურება მარტო ოფიციალური ორგანოების მმართველობით სახელმწიფო, სუბსახელმწიფოებრივ თუ სუპრასახელმწიფოებრივ დონეზე. გლობალიზაციის ეპოქაში ბაზარი ასრულებს უდიდეს როლს გლობალურ მმართველობაში და ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ოფიციალური ხელისუფლების მოღვაწეობას აქვს.

კერძო სექტორის მმართველობა განსაკუთრებით საგრძნობია გლობალური საფინანსო ბაზრის მიმართებაში. ვაჭრობის გლობალური უსაფრთხოების, სტანდარტიზაციის და ნორმირების საკითხებს არეგულირებს ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა აქციათა მიმოქცევის საერთაშორისო ფედერაცია და ბაზრის უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაცია. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს, ოფიციალური ორგანიზაციების პარალელურად (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი) დიდი წვლილი მიუძღვით სამხრეთის ქვეყნების ფინანსურ მენეჯმენტში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF), რომელიც 900-ზე მეტ მსხვილ კომპანიას აერთიანებს, არა მარტო მსოფლიო ფინანსურ, სავაჭრო და წარმოების პრობლემებზე ახდენს არსებით გავლენას და გარკვეულწილად წარმართავს კიდეც მას, არამედ აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების (მაგ., ისრაელ-პალესტინის) მოგვარებაში. სულ უკანასკნელ წლებში ფართო გაქანება პოვა სხვადასხვა ფონდებმა, რომლებიც შემოწირულობისა და გრანტების გაცემის საშუალებებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გლობალურ მმართველობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ფორდის (ეკონომიკური განვითარების) და სოროსის (ყოფილ საბჭოთა ბლოკში დემოკრატიის დამკვიდრების) ფონდები.

**გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მმართველობა**. საბაზრო ინსტიტუციების გარდა არასახელმწიფო სექტორიდან სხვა ორგანიზაციებიც იღებენ მონაწილეობას თანა-

მედროვე გლობალიზირებული მსოფლიოს მართვაში. გლობალიზაციის ეპოქაში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არასამთავრობო, არაკომერციულ ე. წ. „მესამე სექტორს" – სამოქალაქო საზოგადოებას. აქ მოქალაქეები გაერთიანებული არიან ნებაყოფლობით ასოციაციებში, რომელთა ამოცანაა გადაჭრან ის პრობლემები, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას და რომელთა გადაჭრაც მარტო სამთავრობო ან თუნდაც კომერციული ორგანიზაციების დონეზე შეუძლებელია.

თანამედროვე სამოქალაქო ორგანიზაციების პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ საყოველთაო, გლობალური გაქანება ამ პროცესმა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში მიიღო. დღეს გლობალური სამოქალაქო ასოციაციების ინტერესების სფერო უაღრესად ფართოა: საყოველთაო განიარაღებიდან დაწყებული, ცალკეული ბიოლოგიური სახეობების დაცვით დამთავრებული. თუმცა მესამე სექტორის ასოციაციებს რესურსებისა და განსაკუთრებით ფინანსების დეფიციტი ახასიათებს, მათი გავლენა სახელმწიფო ორგანოებზე დიდია და სულ უფრო და უფრო იზრდება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია 90-იანი წლებიდან, როცა სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს თუ მთლიანად კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში. დღეს არამარტო სახელმწიფო ხელისუფლება, არამედ ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ამოცანაა არა მარტო პოლიტიკის შეცვლა, არამედ თვით პოლიტიკის ბუნების რეკონსტრუქცია. მაგალითად, მათი ერთ-ერთი ამოცანაა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების არაიერარქიული მოდელის დამკვიდრება, ქალების აქტიური ჩაბმა პოლიტიკაში, მოსახლეობის პირდაპირი ჩართვა საერთაშორისო ურთიერთობებში და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი გლობალური მმართველობის ფორმები, მიუხედავად მათი განსხვავებული შინაარსისა, ერთი საერთო ნიშნით არიან გაერთიანებული: თითოეული მათგანი საგრძნობლად ამცირებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობას და ხელს უწყობს სახელმწიფოს როლის შემცირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გლობა-

ლისტების აზრით, სწორედ ესაა გლობალიზაციის არსი სახელმწიფოსთან მიმართებაში.

აღნიშნულ ვითარებაში ისმის კითხვა. ნიშნავს თუ არა ასეთი არსებითი ცვლილებები მმართველობაში დემოკრატიზაციის პროცესის საყოველთაო გავრცელების, ანუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია?

ენთუზიასტების აზრით, გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია ერთი მონეტის ორი მხარეა. სახელმწიფო მმართველობის დონეზე დემოკრატიზაციის ტრიუმფი გლობალიზაციის ეპოქაში აშკარაა. ამაზე თუნდაც დემოკრატიული მმართველობის სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა და ავტორიტარული რეჟიმების მკვეთრი შემცირება მიუთითებს (ცხრილი №6.1.) უკანასკნელ ათწლეულში. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იზიარებს ამ ოპტიმიზმს, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული რეჟიმია შენარჩუნებული. ამის გარდა, თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც საკმაოდ ხშირია ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყურადღების გარეშე რჩება და ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც თავისი შინაარსით აშკარად არადემოკრატიულია. მაგალითად, მოსახლეობა, როგორც წესი, არავითარ როლს არ თამაშობს მთავრობის გადაწყვეტილებაში: მიიღოს თუ უარყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რომლის შედეგებიც შემდეგ მოსახლეობაზე აისახება. იგივე შეიძლება ითქვას მთელ რიგ სხვა მოვლენებზე, რომლებიც მოსახლეობის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად ხდება.

დემოკრატიის თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი პრობლემებია სუპრასახელმწიფოებრივი დონის მმართველობაში. საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობა და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, დახურულ კარს მიღმა ხდება და მსოფლიო მოსახლეობის აზრი ფაქტიურად იგნორირებულია. გარდა ამისა, თვით ასეთი ორგანიზაციების დაკომპლექტება საკმაოდ საკამათოა. ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობაში ერთი სახელმწიფო ერთი ხმით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ სახელმწიფოთა თანასწორობის და ამდენად დემოკრატიულობის მაჩვენებელია, მაგრამ მეორეს მხრივ, როცა ნაურუსა და ინდოეთს თანაბარი ხმა აქვთ, ეს გარკვეულწილად რეალურ მდგომარეობას არ ასახავს და ამდენად არადემოკრატიულია. ასევე დემოკრატიულობის

თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში ხუთი ქვეყანა მუდმივი წევრია და თანაც ვეტოს უფლებით სარგებლობს, რაც სხვა სახელმწიფოების უფლებებს საგრძნობლად ლახავს. ხოლო კვოტებზე დაფუძნებული ხმები მსოფლიო ბანკში და საერთაშორისო სავალუტო ფონდში იწვევს იმას, რომ წევრ სახელმწიფოთა ერთი მეოთხედი ხმების სამ მეოთხედს ფლობს. მსგავსი შეუსაბამობების დაძლევის მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ევროკავშირის მიერ. კერძოდ, ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევნები მოსახლეობის მიერ და ამ ორგანიზაციის სხვა სტრუქტურების მოღვაწეობის საჯაროობა ამის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

სერიოზულ პრობლემებს ბადებს მმართველობის მარკეტიზაცია. ეკონომიკის სრული ლიბერალიზაცია ანუ laissez-faire გულისხმობს, რომ მთავრობა საერთოდ არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, ხოლო გლობალური ბაზარი უნდა გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების (როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე კულტურული) განმსაზღვრელი. ცხადია, მხოლოდ ფულზე და მატერიალურ კომფორტზე დაფუძნებული დემოკრატია ძნელად შეესაბამება ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის იდეას, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძველია. საბაზრო დემოკრატიაში პასუხისმგებლობა გულისხმობს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას აქციონერებთან და კომპანიის პასუხისმგებლობას მომხმარებლებთან, რაც ხშირად ირღვევა. ბაზარზე დაყრდნობილ მმართველობაში მონაწილეობა განისაზღვრება შემოსავლებით. აქციონერად გახდომისათვის კაპიტალია საჭირო. ცოტა ვინმეს თუ მიიწვევენ ისეთ კორპორაციებთან შეხვედრაზე, როგორიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმია და ვინც მოხვდება, ისიც ვიწრო და პრივილეგირებული წრეების წარმომადგენელი იქნება.

ბევრს გლობალიზაციის ეპოქაში დემოკრატიის მთავარ გამოვლინებად სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მიაჩნია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ სახელმწიფო გაცილებით ნაკლებად არღვევს ადამიანის უფლებებს, ხოლო თანამედროვე პოლიტიკაში და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების, არაშრომისუნარიანი მოსახლეობის, უმცირესობის როლი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ვესტფალიური მსოფლიო პოლიტიკისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ პრობლემად რჩება ის, რომ მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების

არეალში. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, სხვადასხვა პრობლემების გამო, მოწყვეტილია იმ რესურსებს, რომელთა მეშვეობითაც გლობალური სამოქალაქო ასოციაციების გავლენა ვრცელდება. ხოლო განვითარებად სამყაროზე, რომელშიც მსოფლიოს მოსახლეობის 3/4-ზე მეტია თავმოყრილი, არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ 15% მოდის.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაცია და დემოკრატიზაცია არ არის ისე მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენები, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში მმართველობა უფრო ელიტათა დაპირისპირების შედეგია, ვიდრე წარმომადგენლობითი და მით უფრო აღმასრულებელი დემოკრატიისა. ამ მომენტისთვის მთლად ნათელი არ არის რამდენად რეალიზდება დემოკრატია უფრო გლობალურ სამყაროში, თუმცა მისი ამა თუ იმ ფორმით გამოვლენის (და თანაც უფრო და უფრო ფართო მასშტაბით) გარდაუვალობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

## 6. 3. თავდაცვა და უსაფრთხოება გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფოს ისეთი სპეციფიკური ფუნქციებიც, როგორიც თავდაცვა და უსაფრთხოებაა. ეს სფერო ცალსახად სახელმწიფოს კომპეტენციაში შედიოდა და, ბუნებრივია, ხშირად მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. გლობალიზაციის პროცესმა აქაც თავისი ცვლილებები შეიტანა და ბევრი რამ საფუძვლიანად შეცვალა. დღეს ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიად ნეიტრალიტეტს ან მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად ყოფნას ირჩევს. ახლა მთავარი როლი გლობალური და რეგიონული უშიშროების ინსტიტუტებს ენიჭება. ამიტომ ბევრმა სახელმწიფომ არჩია კოლექტიური უშიშროების წევრი გამხდარიყო და ამით უზრუნველეყო თავისი უსაფრთხოება. თანამშრომლობა და კოოპერაცია მარტო სამხედრო სფეროს არ შეეხო, იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო უშიშროების სამსახურებზე და განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე. სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის წარმოება გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალიზებული სფერო, სადაც

სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო საწარმოების მჭიდრო თანამშრომლობა აღინიშნება.

რაც შეეხება ეროვნულ უშიშროებას, პირველად ისტორიაში იგი გახდა ერთობლივი საქმე, როცა სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფს საკუთარ ეროვნულ უშიშროებას თუკი სახელმწიფოები ერთობლივი ძალისხმევით მოახდენენ საკუთარი რესურსების, ტექნოლოგიების, საიდუმლო სამსახურების და სხვა ძალების ურთიერთდაკავშირებას.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ერთგვარი სამხედრო გლობალიზაცია. რაში გამოიხატება ეს და მოიძებნება თუ არა ანალოგი წარსულ ისტორიულ ეპოქებში?

გასულ საუკუნეში გლობალიზაცია სამხედრო სფეროში პირველ რიგში გამოიხატებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში, სამხედრო ალიანსების ჩამოყალიბებაში და იარაღით ვაჭრობაში. ცივი ომის დამთავრება ის საკვანძო მომენტია, როცა სამხედრო დაპირისპირება და სამხედრო-ბლოკური სისტემა შეიცვალა ახალი მოდელით, რომელსაც სამხედრო გლობალიზაციას ვუწოდებთ.

ერთი შეხედვით მსოფლიო სამხედრო წესრიგი XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე მრავალპოლუსური საერთაშორისო სისტემისაკენ დაბრუნებაა, მაგრამ მეორე მხრივ ერთი ზესახელმწიფოს არსებობა (აშშ) და მისი სამხედრო შესაძლებლობების მოცულობა ისტორიულად უნიკალური მოვლენაა. აქ მხედველობაში მისაღებია სამი გარემობა:

პირველი, სხვაობა ამერიკის სამხედრო სიძლიერესა და დანარჩენი დიდი სახელმწიფოების ერთობლივ სიძლიერეს შორის საკმაოდ საგრძნობია აშშ-ის სასარგებლოდ. ამდენად, აშშ რჩება სამხედრო თვალსაზრისით სუპერსახელმწიფოდ საშუალო რანგის სამხედრო სიძლიერის სახელმწიფოებს შორის. მეორე, წინა ისტორიულ პერიოდებთან შედარებით, არა მარტო სახელმწიფოთა შორის სამხედრო მეტოქეობაა სუსტი (მხოლოდ ჩინეთს აქვს პერსპექტივა მომავალში მეტოქეობა გაუწიოს აშშ-ს), არამედ უკვე აღარც გამოიხატება სამხედრო ტერმინებით. მესამე, დღევანდელი დიდი სახელმწიფოების უპირველესი ინტერესები, უშიშროების თვალსაზრისით (აშშ-ის გარდა), რეგიონულ და ლოკალურ დონეს არ სცილდება.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ არსებული სისტემა, მრავალპოლუსური სახელმწიფოთაშორისი სისტემისაგან გან-

სხვაეებით, რასაც ადგილი ჰქონდა XIX–XX საუკუნეების უმეტეს წლებში და როცა დიდი სახელმწიფოების მეტოქეობას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, დღეს უფრო რეგიონიზირებული, ფრაგმენტიზირებული და შესაბამისად უფრო არაორგანიზებული ხდება.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს რამდენიმე არგუმენტი:

*პირველი,* ბევრ რეგიონში მიმდინარეობს პროცესი, რომელიც მიმართულია თავდაცვისა და უშიშროების სფეროში ერთობლივი მოქმედებისა და თანამშრომლობისაკენ. ცივი ომის დამთავრება სრულიადაც არ ნიშნავდა ნატოს, სიკვდილს. პირიქით, ამ ორგანიზაციამ ახალი და გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა და ევროპაში თავდაცვისა და უსაფრთხოების საყოველთაო, გლობალურ ორგანოდ იქცა, სადაც ევროპის უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგია მუშავდება და ხორციელდება. ეს კი სამხედრო გლობალიზაციის კარგი მაგალითია. ასევე გლობალურ დონეზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების ფუნქციები (მშვიდობისმყოფელთა ქმედება). ისიც ფაქტია, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს, რომ თავდაცვის და უშიშროების უზრუნველყოფა საკუთარი ძალებით შეუძლებელია და კოლექტიური თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემას უერთდება.

*მეორე,* სახელმწიფოთა შორის ფინანსური, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციამ სახელმწიფო ძალზე მგრძნობიარე გახადა ნებისმიერი კრიზისის მიმართ, თუნდაც ეს მისგან შორს ხდებოდეს. შესაბამისად მრავალი ქვეყანა (და არა მარტო დიდი სახელმწიფოები) დაკავშირებულია სხვა რეგიონების უშიშროებასა და სამხედრო განვითარებასთან. 1990 წლის სპარსეთის ყურის კრიზისმა გლობალური მნიშვნელობა შეიძინა. რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია სამხედრო და უშიშროების სფეროში წინააღმდეგობრივი პროცესებია და შესაძლებელია, რომ ისინი ერთდროულად და ერთმანეთთან კავშირში ვითარდებოდეს.

*მესამე,* ეროვნული უსაფრთხოების მიმართ საშიშროება მრავალგვაროვანია და მარტო სამხედრო საფრთხეზე არ დაიყვანება. მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება საშიშროებას წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის. მაგრამ თვით ამ იარაღის წარმოება და გავრცელება არის სამრეწველო და ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების პროდუქტი. ამდენად

ასეთი იარაღის გავრცელებისადმი წინააღმდეგობა გულისხმობს გლობალურ აქციებს. როგორც ეროვნული უსაფრთხოების საშიშროებები: ეკონომიკური საფრთხე, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ნარკოტიკები, ტერორიზმი, ეროვნული კულტურის საწინააღმდეგო ქმედებები და სხვა შეუძლებელია გადაწყდეს მხოლოდ სამხედრო ძალით და ნაციონალურ დონეზე, ასევე ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთო ძალისხმევას.

*მეოთხე,* სახელმწიფოთა სისტემაში სამხედრო უსაფრთხოება სისტემური ფაქტორების საგრძნობი გავლენის ქვეშაა მოქცეული. დიდი სახელმწიფოების ძალა და მათი ქმედებები დიდ გავლენას ახდენს ერთმანეთზე და სხვა სახელმწიფოებზე. ისინი ქმნიან „თამაშის წესებს", რომლებსაც სხვა სახელმწიფოებიც უერთდებიან. ასე რომ, დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ კიდეც მსოფლიო უსაფრთხოებას. მეორე მხრივ, არ არსებობს რა გლობალური სტაბილურობის გარანტი სახელმწიფოები, თითოეული ქვეყანა საკუთარი უსაფრთხოების დაცვას სამხედრო ძლიერების მიღწევით ცდილობს. ეს წარმოშობს მძიმე დილემას. თითოეული ქვეყნის სამხედრო გაძლიერება საფრთხეს უქმნის სხვა ქვეყანას, რომელიც იძულებულია თვითონაც იზრუნოს სამხედრო გაძლიერებაზე. შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოება ანარქიულ სახელმწიფოთაშორის სისტემაში ვერასოდეს ვერ იქნება თავისუფალი გლობალური სისტემური პირობებისაგან.

სამხედრო გლობალიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იარაღის წარმოებას და იარაღით ვაჭრობას. მსოფლიოში წარმოებული იარაღის მოცულობის თვალსაზრისით სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. პირველ ჯგუფში შედიან ის ქვეყნები, რომლებიც იარაღის წარმოებაში და ვაჭრობაში მონოპოლისტებია. 1980 წლისთვის ამ ჯგუფში ორი ქვეყანა – აშშ და სსრკ შედიოდა, ამჟამად კი ამ ჯგუფს მხოლოდ აშშ შეიძლება მივაკუთვნოთ. მეორე ჯგუფში 90-იანი წლების ბოლოს შედიოდა რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია, იაპონია, იტალია, კანადა, შვედეთი, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ჩეხეთი და პოლონეთი. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ინდოეთი, ისრაელი, ბრაზილია, სამხრეთი კორეა, არგენტინა, ტაივანი, თურქეთი, პაკისტანი, საბერძნეთი, სინგაპური, სამხრეთი აფრიკა, ეგვიპტე,

ჩრდილოეთ კორეა, სერბია, ირანი და ერაყი. ყველა სხვა ქვეყანა მეოთხე ჯგუფში ხვდება (Held et al, 1999, p. 118).

იმის გამო, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგია მეცნიერებატევადი და უაღრესად სპეციალიზებული დარგია, იარაღის წარმოებაში კოოპერაცია განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი იარაღის წარმოებაში სწრაფად იზრდება. დასავლეთის ქვეყნების თავდაცვითი ინდუსტრიის ტრანსნაციონალიზაცია მიმდინარეობს კომერციული ლოგიკიდან, რაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს აშკარად ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ტენდენცია საყოველთაოა. მით უფრო, რომ სამხედრო მრეწველობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სამოქალაქო დარგებთან, რომელთა საზღვრები სახელმწიფოებს შორის ფაქტიურად წაიშალა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო, სადაც გლობალიზაციის პროცესმა თავისი კორექტივები შეიტანა, საერთაშორისო უსაფრთხოების რეჟიმია. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტები უკვე აღარ არის მხოლოდ კონფლიქტის მონაწილეთა საქმე. საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ნატო, ეუთო) გადამწყვეტ როლს თამაშობენ არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მათი მოღვაწეობა ყოველთვის ეფექტურია, მაგრამ თვითონ პრინციპი, რომ ნებისმიერი რეგიონული თუ ლოკალური კონფლიქტი მსოფლიოს გადასაწყვეტია — გლობალიზაციის ფენომენის მაჩვენებელია. გაეროს სამშვიდობო ძალების მოღვაწეობამ მსოფლიოს ყველა კუთხე მოიცვა. ამასთან, თუ ცივი ომის პერიოდში ისინი 15 ქვეყანაში იყვნენ განლაგებული, ამჟამად 30 ქვეყანაში არიან წარმოდგენილნი. რაც შეეხება ნატოს, მისი აღმოსავლეთით გაფართოება სამხედრო გლობალიზაციის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

ზოგადად თანამედროვე სამხედრო გლობალიზაცია შემდეგი ძირითადი ნიშნებით შეიძლება დახასიათდეს.

— გლობალურ სახელმწიფოთა სისტემა, გლობალური სამხედრო წარმოება და იარაღით ვაჭრობა, გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების ურთიერთგადაჯაჭვა;

— ყველა სამხედრო დარგს შორის ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების უპრეცედენტო დონე;

— სწრაფი საყოველთაო გავრცელება;

— მაღალი მგრძნობიარობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ;

– უაღრესად განვითარებული ინფრასტრუქტურა, უნივერსალური კომუნიკაციები;

– ფართო ინსტიტუციონალიზაცია: იარაღის წარმოებისა და იარაღით ვაჭრობის კონსოლიდაცია, კოლექტიური თავდაცვა და უსაფრთხოება;

– ატლანტისტური დომინანტის შესუსტება, შედარებითი დეცენტრალიზაცია;

– მეტოქეობა, კონკურენცია და კონფლიქტი კოოპერატიულ, კოლექტიურ და კოლაბორაციულ სტრუქტურებს შიგნით.

რაც შეეხება სამხედრო გლობალიზაციის პოლიტიკურ შედეგებს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ცვლილება გადაწყვეტილების მიღებაში, როცა სამხედრო მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლექტიური უსაფრთხოების წევრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით. შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოება იცვლება კოლექტიური უსაფრთხოებით, რის შედეგადაც თანდათანობით ხდება ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფოს გარდაქმნა ახალ, ნაკლებად მილიტარიზებულ საზოგადოებად, რომელსაც „პოსტმილიტარისტული" საზოგადოება შეიძლება ვუწოდოთ (Held et al., 1999, p. 147).

**კითხვები და დავალებები:**

1. რა თავისებურებით ხასიათდებოდა ერი-სახელმწიფო?
2. როგორ უყურებენ გლობალისტები და სკეპტიკოსები გლობალიზაციის გავლენას ერ-სახელმწიფოზე?
3. დაასახელეთ ის ძირითადი ახალი მომენტები, რაც გლობალიზაციის პროცესმა სახელმწიფოზე მოახდინა.
4. რა კავშირი შეიძლება დავინახოთ ინტეგრაციულ პროცესებსა და გლობალიზაციას შორის? (ევროკავშირის მაგალითი).
5. დაახასიათეთ სუბსახელმწიფოებრივი და სუპრასახელმწიფოებრივი მმართველობის ძირითადი ნიშნები.
6. რას გულისხმობს გლობალური ბაზრის და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მმართველობა?
7. როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია გლობალიზაცია და დემოკრატია?
8. რა იგულისხმება ე. წ. სამხედრო გლობალიზაციაში?

9. რა მოსაზრებები მოჰყავთ ხოლმე თანამედროვე საერთაშორისო სისტემის უკიდურესად რეგიონიზებულობისა და ფრაგმენტიზებულობის საწინააღმდეგოდ?
10. ჩამოთვალეთ სამხედრო გლობალიზაციის ძირითადი ნიშნები.

## ლიტერატურა


1. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Edition. Oxford University Press. Oxford, 2001, p.p. 13–34.
2. Held D. et al. - Global Transformation. Politics, Economics, Culture. Cambridge. Polity Press. 1999, p.p. 32–49.
3. Holton R. - Globalization and the Nation-State. Palgrave. NewYork, 1998, p.p 80–107.
4. Scholte J. A. - Globalization. A Critical Introduction. Palgrave.NewYork, 2000, p.p. 132–158.
5. Hirst P. and Thompson G. - Globalization in Question. Second Edition. Polity. Cambridge, 1999, p.p. 256–280.

## თემა 7

# ეკონომიკური გლობალიზაცია

როგორც უკვე ითქვა, გლობალიზაციის ცნება თავდაპირველად ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის მნიშვნელობით შემოვიდა ხმარებაში და ამდენად ეკონომიკური შინაარსის მატარებელი იყო. მართალია, შემდგომში გლობალიზაციის მნიშვნელობა გაფართოვდა და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ დღესაც ტერმინი გლობალიზაცია ხშირ შემთხვევაში უფრო ეკონომიკური დატვირთვით გვხვდება და ამ ფენომენზე საუბრისას ძირითადად ეკონომიკური პარამეტრები მოჰყავთ ხოლმე.

ეკონომიკური გლობალიზაცია ძალზე რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს გლობალური ვაჭრობით დაწყებული და ბავშვთა შრომით დამთავრებული. ცხადია, აქ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს, მაგრამ ისევე როგორც მთლიანად გლობალიზაციის ფენომენის შეფასებისას, ეკონომიკური გლობალიზაციის ირგვლივაც შეიძლება გამოიკვეთონ სკეპტიკოსები და გლობალისტები, რომლებიც სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ ეკონომიკური გლობალიზაციის არსსა და თავისებურებას.

ეკონომიკური გლობალიზაციის ირგვლივ დებატები შემდეგ ძირითად კითხვებზე დაიყვანება:

— რა მოცულობით ხდება ეკონომიკური აქტივობის გლობალიზაცია?

— ხომ არ ყალიბდება „მესამე სამრეწველო რევოლუციიდან" მომდინარე კაპიტალიზმის ახალი ფორმა?

— რამდენად შენარჩუნდება ეროვნული და ინტერნაციონა-

ლური მმართველობა ეკონომიკური გლობალიზაციის დროს?

– ხომ არ ნიშნავს გლობალური მეტოქეობა ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის დასასრულს?

ზოგადად ამ კითხვებზე სკეპტიკოსების პასუხია, რომ ადგილი აქვს არა ეკონომიკურ გლობალიზაციას, არამედ ინტერნაციონალიზაციას. იზრდება კავშირები ეროვნულ ეკონომიკებს შორის და სახელმწიფო კვლავაც არის მთავარი აქტორი ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამასთანავე, დღევანდელი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სრულიადაც არ არის უპრეცედენტო მოვლენა. 1870–1914 წლებში საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეს დღეს არის. ყოველივე ამის გამო წარმოდგენა ერთიან, უსაზღვრო, გლობალურ ეკონომიკაზე წმინდა წყლის მითია (Hirst, Thompson, 1999).

სულ სხვა შეხედულებისა არიან გლობალისტები. მათი აზრით, დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკურ სურათს ანალოგი არ მოეძებნება ისტორიაში. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის უბრალოდ ეროვნულ ეკონომიკებს შორის კავშირების ინტენსიფიკაცია, არამედ თვისებრივად სულ სხვა მოვლენაა, როცა ხდება ეროვნული საზღვრების წაშლა და ყალიბდება ერთიანი, გლობალური ეკონომიკა, ერთიანი ბაზარი და ერთიანი საფინანსო სისტემა. გლობალურ და საერთაშორისო ეკონომიკებს შორის არსებითი განსხვავებაა, რადგან პირველი ერთიანი და განუყოფელია, მეორე კი ეროვნული ეკონომიკებისა და მათი ურთიერთკავშირების სისტემაა.

იმისათვის, რომ გლობალიზაციის როლი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ნათლად დავინახოთ, ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული სფეროების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში.

## 7.1. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაციის ეპოქაში

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია საერთაშორისო ურთიერთობების გააზრებისა და ანალიზის ერთგვარი გამოხატულებაა. ამ ტერმინით აღინიშნება როგორც მიმდინარე პოლი-

ტიკურ-ეკონომიკური პროცესები, ისე ამ პროცესების შემსწავლელი მეცნიერება.

თვითონ ცნება საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია (ზოგჯერ მას საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკურ ეკონომიას უწოდებენ) ორ მნიშვნელოვან თავისებურებას გულისხმობს. პირველი მათგანის მიხედვით პოლიტიკა და ეკონომიკა ურთიერთგანუყოფელი ცნებებია. პოლიტიკა შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ ეკონომიკასთან კავშირში და პირიქით, პოლიტიკა ქმნის ეკონომიკას და ეკონომიკა ქმნის პოლიტიკას.

მეორე თავისებურება კი ისაა, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიისათვის ის, რაც არის ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო (ე. ი. ქვეყნის გარეთ) და რაც არის ნაციონალური ანუ სახელმწიფოს შიგნით არსებული, განურჩეველია. დღევანდელ პირობებში სახელმწიფოები იმდენადაა ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული, ხოლო საქონლის, ფულის, მოსახლეობის ნაკადები საზღვრებს გარეთ იმდენად ინტენსიურია, რომ არც ერთი ეროვნული ეკონომიკა თუ პოლიტიკა არ შეიძლება ჩაითვალოს „საშინაოდ" (R. Tooze, 1997).

ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია დიდწილად ფარავს საერთაშორისო ურთიერთობებს. ჯოშუა გოლდშტეინის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობები ორ მთავარ ნაწილად იყოფა — საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიად და საერთაშორისო უსაფრთხოებად (Goldstein, 2000)

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია უკვე თავისი შინაარსით გულისხმობს რა საზღვრების წაშლას ეკონომიკასა და პოლიტიკას, საერთაშორისოსა და შიდასახელმწიფოებრივს შორის, თითქოსდა გლობალიზაციის პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებად წარმოჩინდება. ამდენად, დიდ ინტერესს იწვევს იმ ძირითადი თავისებურებების ანალიზი, რასაც ადგილი აქვს საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში გლობალიზაციის ეპოქაში.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით გლობალიზაციის მთავარი პრობლემა არ გამომდინარეობს წარმოების, ფინანსების, ვაჭრობის. ინვესტიციების ინტენსიური, საზღვრებსგარეშე მიმოქცევისგან (თუმცა ესეც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია). მთავარი პრობლემა არის ის სრული შეუთავსებლობა, რაც გლობალიზაციის შედეგად წარმოიშვა სახელმწიფოთა სისტემის, რომელიც ტერიტორიულ პრინციპზეა დაფუძნებული და ეკონომიკურ სისტემას შორის, რომელიც

არატერიტორიულ, გლობალურ საფუძველზე ჩამოყალიბდა და განუხრელად ძლიერდება.

რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკას?

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი სათავეს იღებს 1944 წლიდან, როცა აშშ საკურორტო ქალაქ ბრეტონ-ვუდსში შეიკრიბა პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა დიდი ჯგუფი იმ მიზნით, რომ გადაეჭრათ ორი ძალიან სერიოზული პრობლემა. პირველი, შეექმნათ გარანტიები, რომ 30-იანი წლების დიდი დეპრესიის მსგავსი მოვლენა აღარ განმეორდებოდა. სხვა სიტყვებით, მოეძებნათ გზები, რომელიც უზრუნველყოფდა სტაბილური მსოფლიო სავალუტო სისტემისა და თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას. მეორე, ხელი შეეწყოთ ომისაგან დანგრეული ევროპის ეკონომიკის აღორძინებისათვის.

ამ მიზნით შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სისტემის ანუ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის სამი მთავარი ინსტიტუტი: *საერთაშორისო სავალუტო ფონდი*, რომელიც უზრუნველყოფდა სტაბილურ სავალუტო კურსის რეჟიმს და გადაუდებელ დახმარებას იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საგადასახადო ბალანსის რეჟიმის დროებით კრიზისში აღმოჩნდებოდნენ; *რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი*, რომელსაც შემდგომში მსოფლიოში ბანკი ეწოდა და რომლის ამოცანაც იყო გაეადვილებინა კერძო ინვესტიციები ევროპაში და ხელი შეეწყო მისი ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის, ხოლო შემდგომში სხვა რეგიონებისთვისაც იგივე მიზნები დაესახა, რაც დღეს ამ ბანკის მთავარი მისიაა; დაბოლოს, *ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (GATT)*, რომლის ამოცანაც საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია იყო.

ბრეტონ-ვუდსის სისტემის საფუძველი იყო შეთანხმება, რომ ქვეყნების ვალუტის კურსი მიბმული იქნებოდა აშშ-ის დოლართან, ხოლო აშშ-ის მთავრობა უზრუნველყოფდა დოლარის ფიქსირებულ კურსს ოქროსთან მიმართებაში (1 უნცია ოქრო – 35 დოლარი). 60-იანი წლების შუა პერიოდამდე ბრეტონ-ვუდსის სისტემა პრობლემების გარეშე ფუნქციონირებდა. მაგრამ 1965 წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. აშშ-ის ომმა ვიეტნამში ძალიან გაზარდა სამხედრო ხარჯები, ამას დაერთო პრეზიდენტ ჯონსონის „დიდი საზოგადოების" პროგრამა, რაც განათლებაზე, სოციალურ სფეროზე და ქალაქების განვითა-

რებაზე თანხების მნიშვნელოვან გაზრდას ითვალისწინებდა და თანაც გადასახადების ზრდის გარეშე. შედეგი სავალალო აღმოჩნდა. ქვეყნის შიგნით ფასების ზრდას თან დაერთო ამერიკული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება მსოფლიო ბაზარზე, რასაც დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური აღმავლობაც უწყობდა ხელს. ყოველივე ამის გამო აშშ-ის დოლარის მიმართ ნდობა დაიკარგა. 1971 წელს აშშ-მა გამოაცხადა, რომ იგი უარს ამბობს დოლარის კონვერტაციაზე ფიქსირებული ფასით (35 $ უნცია ოქროზე) და აწესებს ე. წ. „მცურავ კურსს", ამასთანავე იმპორტის ბაჟზე ამატებს 10%-იან დამატებით გადასახადს. ამ გადაწყვეტილებით ბრეტონვუდსის სისტემა ისტორიის კუთვნილება გახდა და იგი თვისებრივად შეიცვალა.

70-იან წლებში მთავარმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს მოეძებნათ გზები თავიანთი სავალუტო კურსის კოორდინირებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურებს შიგნით. ამის ნაცვლად რეგულარული ხასიათი მიიღო ამ სახელმწიფოების მეთაურთა (დიდი შვიდეული) ყოველწლიურმა შეხვედრებმა, სადაც ძირითადი ეკონომიკური (და პოლიტიკური) პრობლემების ურთიერთშეთანხმებულად გადაჭრა ხდებოდა.

ამავე პერიოდში გარკვეულწილად დაირღვა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT) პრინციპი ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. განვითარებული ქვეყნების მხრიდან ადგილი ჰქონდა ახალი პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებას, რაც განვითარებადი ქვეყნების პროდუქციის იმპორტზე ბარიერების დაწესებას ითვალისწინებდა. ამის საპირისპიროდ განვითარებადმა ქვეყნებმა გაეროს ფარგლებში გააჩაღეს კამპანია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დასამყარებლად, რაშიც დიდი როლი ითამაშა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) მიერ 1973 წელს გატარებულმა პოლიტიკამ. მან სერიოზული ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებში. ეს ბრძოლა საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და საბოლოოდ მხოლოდ 80–90-იანი წლების მიჯნაზე დამთავრდა და ცივი ომის დამთავრებას დაემთხვა. 1995 წელს GATT-ის ნაცვლად ჩამოყალიბდა მუდმივ მოქმედი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომლის ამოცანაც მსოფლიო ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაციაა.

როდესაც დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ყოველთვის უნდა გვქონდეს ის ტრადიციული თეორიული მიდგომები, რომლებიც მისთვის არის დამახასიათებელი.

**ლიბერალური** თვალთახედვით, მსოფლიო ეკონომიკა უნდა წარმოადგენდეს გლობალურ ბაზარს, სადაც თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა უნდა განსაზღვრავდეს მთავრობისა და ეკონომიკური აქტორების პოლიტიკას. წესრიგი მიიღწევა მხოლოდ გლობალური ბაზრის კონკურენციის „უხილავი ხელით".

**მერკანტილური** მიდგომით, მსოფლიო ეკონომიკა არის სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობის არენა, სადაც თითოეული ქვეყანა ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თავისი სიმდიდრე და დამოუკიდებლობა. წესრიგი მიიღწევა მხოლოდ ძალთა წონასწორობის ან ჰეგემონობის პირობებში;

**მარქსისტული** თვალსაზრისით, მსოფლიო ეკონომიკა არის კაპიტალისტური დაპირისპირების არენა, სადაც კლასები (ბურჟუაზია და პროლეტარიატი) და სოციალური ჯგუფები მუდმივ კონფლიქტში არიან ერთმანეთთან. კაპიტალისტების მიზანია მოგების მიღება. წესრიგი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი სავსებით დაიმორჩილებენ სხვებს.

ამ ტრადიციულ მიდგომებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში მიემატა ახალი მიდგომები:

**ინსტიტუციონალისტები** თვლიან, რომ მსოფლიო ეკონომიკა არის სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის არენა. მთავარი აქტორები არიან ინსტიტუციები, რომლებზეც დელეგირებულია ძალაუფლება. მთავარი მამოძრავებელი ძალაა რაციონალური არჩევანი, რომელიც სახელმწიფოს დონეზე გამართლებულია თანამშრომლობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებით. წესრიგის მთავარი პირობა საერთაშორისო ინსტიტუციების არსებობაა, რაც თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

**პოლიტეკონომისტებისთვის** მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება იმ დაპირისპირებით, რომელიც არსებობს სახელმწიფოს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს შორის. ძირითადი აქტორები არიან ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს შიდა ეკონომიკის შიგნით ყალიბდებიან. მთავარი *მამოძრავებელი* ძალაა რაციონალური არჩევანი ჯგუფების დონეზე საშინაო ეკონომიკის შიგნით და პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს.

**კონსტრუქტივისტები, კერძოდ ნეოგრამშიანელები,** მსოფლიო ეკონომიკას აღიქვამენ როგორც ცოდნის, იდეების და ინსტიტუტების განსაზღვრულ სისტემას, რომელიც ასახავს მთავარი აქტორების ინტერესებს და რომლის შიგნითაც მუდმივ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. სისტემის ხასიათს განსაზღვრავს მისი სტრუქტურა. მთავარი მამოძრავებელი ძალაა კაპიტალისტური დაპირისპირებები. ერთი სახელმწიფოს უბრალო უპირატესობა არ არის საკმარისი პირობა საერთაშორისო წესრიგისთვის, არამედ ჰეგემონობა გულისხმობს ცოდნაზე და იდეებზე კონტროლსაც.

როგორც ტრადიციული, ისე ახალი თეორიული მიდგომები თავის აქტუალობას ინარჩუნებს (და გარკვეულწილად მეტ მნიშვნელობასაც იძენს) გლობალიზაციის პირობებში.

ცნება „გლობალიზაცია" მსოფლიო ეკონომიკაში სულ ცოტა სამ მნიშვნელობას მოიცავს:

1. *ინტერნაციონალიზაცია* აღნიშნავს სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო, ფინანსური და წარმოებითი კავშირების მუდმივ ზრდას. ინტერნაციონალიზაციის პროცესი ვითარდება და ყალიბდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე ვაჭრობის, ინვესტიციებისა და კაპიტალის ურთიერთმიმოქცევის შესახებ, ასევე საშინაო პოლიტიკის შედეგად, რომელიც ნებას რთავს კერძო სექტორს საზღვარგარეთულ პარტნიორებთან ითანამშრომლოს.

2. *ტექნოლოგიური რევოლუცია.* ამ მნიშვნელობით გლობალიზაცია გულისხმობს უდიდეს მიღწევებს თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებში (ინტერნეტი, სატელიტური კავშირგაბმულობა, კომპიუტერიზაცია), რამაც ადგილისა და მანძილის პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი გახადა არა მარტო მთავრობებისთვის, არამედ სხვა აქტორებისთვისაც.

3. *ლიბერალიზაციაში* იგულისხმება გლობალიზაციის ის მხარე, როცა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში განუხრელად მცირდება სავაჭრო ტარიფებისა და ბარიერების მოხსნის, უცხოელი ინვესტორებისთვის თავისუფალი მოქმედების მიცემისა და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის გზით.

აღნიშნული პროცესების არნახულმა გავრცელებამ საბაბი მისცა გლობალიზაციის აპოლოგეტებს (გლობალისტებს) სახელმწიფო უკვე დრომოჭმულ ინსტიტუტად გამოეცხადებინათ. კენიჩი ომე, მაგალითად, პირდაპირ აღნიშნავს: „ერი-სახელმწიფო საზღვრებს გარეშე მსოფლიოში იქცა არაბუნებრივ, უფუნქციო

ერთეულად ადამიანთა მოქმედების ორგანიზაციისთვის და ეკონომიკური ცხოვრების მართვისთვის (Ohmae, 1990, p.24).

რაც შეეხება სკეპტიკოსებს, ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ასეთ მტკიცებას და მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არა თუ ინარჩუნებს თავის ფუნქციებს, არამედ მომავალშიც იქნება საერთაშორისო ურთიერთობების (მათ შორის ეკონომიკურის) ძირითადი აქტორი. სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კავშირების გაღრმავება ჩვეულებრივი მოვლენაა და თვით სახელმწიფოს გაძლიერებას ემსახურება. სახელმწიფოს ყურადღების მოდუნება კაპიტალის მიმოქცევაზე და მცურავი სავალუტო კურსის მართვაზე იწვევს კატასტროფულ შედეგებს, რის მაგალითადაც 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისი გამოდგება, რამაც უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უმრავლესობა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პროცესის საპასუხოდ სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ. კერძოდ, ძლიერი ქვეყნების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ იმ წესებსა და ინსტიტუტებზე შექმნილი სახელმწიფოები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან გლობალურ ეკონომიკას. მათ რიცხვს მიეკუთვნება არა მარტო დაწინაურებული ინდუსტრიული სახელმწიფოები (მაგ.,აშშ, რომელმაც ფაქტიურად შექმნა და დაშალა კიდეც ბრეტონ-ვუდსის სისტემა), არამედ ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც (ბრაზილია, ჩინეთი, მალაიზია, ირანი, ერაყი). როგორც ვხედავთ, ამ ქვეყნების რიგში მოხვდა როგორც ლიბერალური ეკონომიკის (ბრაზილია), ისე მკაცრად პროტექციონისტური ეკონომიკის (ერაყი) ქვეყნები. სუსტი ქვეყნები მოკლებულნი არიან არჩევანის საშუალებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და თითქმის არავითარი გავლენა არ გააჩნიათ გლობალური ეკონომიკის წესების ფორმირებაზე.

აღნიშნული მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ გლობალიზაციის ეპოქაშიც სახელმწიფოს სიძლიერე განმსაზღვრელი ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და წარმოდგენა სახელმწიფოს სიკვდილის შესახებ ძალზე გადაჭარბებულია.

როცა გლობალიზაციის შედეგად ამა თუ იმ ქვეყანაში ფინანსურ თუ ეკონომიკურ კრიზისს აქვს ადგილი, მთავარ დამნაშავედ გლობალიზაციის პროცესი „ცხადდება". კერძოდ, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის

მსოფლიო ორგანიზაცია ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ფინანსების თუ საერთოდ ეროვნული სახელმწიფოს დამანგრეველ ძალებად, ახალი მოდის იმპერიალისტებად და კოლონიზატორებად მიიჩნევა. ეკონომიკური გლობალიზაცია მკაცრ პროტესტს იწვევს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რამაც ანტიგლობალისტურ მოძრაობას დაუდო სათავე. ანტიგლობალისტების მასიურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი 1999 წლის ნოემბერში სიეტლში, სადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონფერენცია ტარდებოდა და 2000 წლის სექტემბერში პრაღაში მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყრილობაზე. ანტიგლობალისტებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკონომიკურ ნაციონალისტებს უკავიათ, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ მკაცრი პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებას, ეროვნული ეკონომიკის დაცვას უცხოური საქონლისაგან, სავაჭრო და სატარიფო ბარიერების დაწესებას და სხვა უმკაცრესი ღონისძიებების გატარებას სახელმწიფოს მხრიდან.

საერთოდ, გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების როლის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და ეს კარგად ჩანს სხვადასხვა თეორიული სკოლების წარმომადგენელთა მიდგომაში.

*ინსტიტუციონალისტები, კერძოდ ნეოლიბერალები* თვლიან, რომ საერთაშორისო ინსტიტუციების შექმნის საფუძველი სახელმწიფოთა მიერ ურთიერთსარგებელი და მოგება უნდა იყოს, მოგების ნაწილი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას უნდა მოხმარდეს, ხოლო თვით ინსტიტუციებმა ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას.

*რეალისტების* აზრით, საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ მტრულად არ იყვნენ განწყობილნი, მათი მიზანი უნდა იყოს თანამშრომლობის გაღრმავება, მაგრამ ისე, რომ არ შეიცვალოს ძალთა წონასწორობა, ხოლო ინსტიტუტების მიერ გლობალიზაციის პროცესი უნდა იმართოს დომინანტი და ძლიერი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად.

*კონსტრუქტივისტების* აზრით, ინსტიტუციები წარმოიქმნება როგორც სახელმწიფოთა და ჯგუფების იდენტურობისა და ინტერესების ასახვა, რომლებიც ისედაც ურთიერთკავშირშია. მიზანია ურთიერთქმედებების მოდელების შეცვლა და ახლის წარმოქმნა, რაც გლობალიზაციაზე პასუხად წარმოჩინდება (Woods, 2001).

მიუხედავად განსხვავებული წარმოდგენისა, საერთაშორისო ინსტიტუციებზე, ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება როგორც ასეთი ორგანიზაციების რიცხვი, ისე მათი წევრი ქვეყნების რაოდენობა, რაც გლობალიზაციის პროცესის სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

## 7.2. ფინანსების გლობალიზაცია

სიტყვა „გლობალიზაცია“ ალბათ ყველაზე უფრო ადეკვატურად იმ პროცესებს გამოხატავს, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ოპერაციების სფეროში აქვს ადგილი.

მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო ოპერაციების მოცულობა 70-იანი წლების დასაწყისში 15 მილიარდი დოლარიდან 90-იანი წლების ბოლოს 1,1 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა (Удовик, 2002, с. 228). საერთაშორისო ბაზარზე ფინანსების მოცულობის ზრდამ საგრძნობლად გადააჭარბა საერთაშორისო ვაჭრობისა და მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის მოცულობების ზრდის მაჩვენებლებს (Тобин Дж., 1999, с. 54).

ზოგადად ფინანსების გლობალიზაცია შეიძლება განიმარტოს როგორც საფინანსო ბაზრების მზარდი და განუხრელი დაახლოება, შერწყმა და ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება. ამ პროცესის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ წარმოქმნილი საფინანსო სისტემა არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე ქვეყანაზე. თუკი ტელევიზიამ და კავშირგაბმულობის საშუალებებმა მანძილის პრობლემა მოხსნა, საფინანსო გლობალიზაცია „გეოგრაფიის დასასრულის“ მაჩვენებელია, რადგან ფინანსური გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიულ მდებარეობას მნიშვნელობა აღარა აქვს (O'Brien, 1992).

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ფინანსურმა გლობალიზაციამ თანაბრად მოიცვა მთელი მსოფლიო. ფინანსური ოპერაციების ძირითადი მასა ნაწილდება მსოფლიო ეკონომიკის სამ მთავარ ცენტრზე – აშშ-ზე, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე. მსოფლიო ფინანსების დიდი ნაწილი კონტროლდება აშშ-ის ფედერალური რეზერვების საბჭოს, იაპონიის ბანკის, გერმანული ბუნდესბანკისა და ლონდონის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს საფინანსო ბაზრების მიერ. უცხოელ ინვესტორთა

აქტივებმა აშშ-ის სავალუტო ბირჟებზე 300 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო იაპონიაში 1980-იან წლებში 4,6 მილიარდიდან 54 მილიარდამდე გაიზარდა (Kegely and Wittkopf, 2001, p. 305).

მაგრამ ის, რომ ამ საფინანსო ცენტრების გავლენამ მთელი მსოფლიო მოიცვა, უეჭველი ფაქტია. ასეთი მასშტაბური (და ამავე დროს ლოკალური, ფინანსური გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ საერთოდ დაკარგა კონტროლი ფინანსურ მართვაზე, მით უფრო გლობალიზებული საფინანსო სისტემა ვერ იქნება ცალკეული ქვეყნების მიერ რეგულირების ობიექტი. ხდება პირიქით, ფინანსური ტრანსნაციონალური კორპორაციები ხდებიან მთავარი აგენტები მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში, რომლებიც თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას.

ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია გლობალური, სუპრატერიტორიული ფულის არსებობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით მოქმედი ფიქსირებული, შემდეგ კი მცურავი სავალუტო გაცვლის რეჟიმმა საშუალება მისცა ზოგიერთ ეროვნულ ვალუტას საზღვარგარეთ გასულიყო მიმოქცევაში.

ცხადია, ვერც ერთი ეროვნული ფულის ერთეული ვერ იქნებოდა უფრო საყოველთაო, როგორც აშშ-ის დოლარი. მოხდა დოლარის გლობალიზაცია და მისი უზარმაზარი მასა აშშ-ის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს სწორედ დოლარი ცვლიდა ეროვნულ ვალუტას. 70-იან წლებში ზოგიერთმა სხვა ეროვნულმა ვალუტამაც (გერმანული მარკა, იაპონური იენი, შვეიცარიული ფრანკი) შეიძინა გლობალური ხასიათი. 2002 წელს ევროს შემოღება ევროპის 12 ქვეყნის ერთადერთ ვალუტად ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოვლინებად იქცა.

საგარეო სავალუტო ვაჭრობა ერთ-ერთ გავრცელებულ სუპრატერიტორიულ ბიზნესად იქცა. გლობალიზაციის პერიოდში ეს ვაჭრობა, როგორც წესი, ტელეფონით, ფაქსით, ელფოსტით ხორციელდება და მანძილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მსოფლიოს ბანკების უმრავლესობა ინტერნეტითაა დაკავშირებული ერთმანეთთან და პიროვნებას, რომელსაც ანგარიში აშშ-ის რომელიმე ბანკში აქვს გახსნილი, ფული შეუძლია გამოიტანოს ათასობით კილომეტრით დაშორებული ქვეყნების ბანკიდან ისე, რომ ბანკის მოხელეს არც კი შეხვდეს. იგულის-

ხმება ავტომატური მოლარე-მანქანები (ATM), ვიზა და მასტერკარდები.

გლობალიზაცია შეეხო საბანკო საქმეს და გამოიხატა საზღვრის იქით დეპოზიტების ზრდაში, საზღვრის გარეთ სესხების გაცემაში, საზღვარგარეთ ფილიალების ქსელის შექმნაში და მყისიერ მსოფლიო ბანკთაშორისი ტრანსფერების წარმოქმნაში.

საზღვრისიქითა დეპოზიტების მაგალითია ე. წ. ევროპული ანუ ეროვნული ფული, იმ პიროვნებებისა და დაწესებულებების ხელში, რომლებიც მდებარეობენ მოცემული ვალუტის „სამშობლოს" გარეთ (მაგ., ევროდოლარები, ევროიენები და ა. შ.). ევროფულის სწრაფი ზრდის მაგალითი იყო 70-იან წლებში ნავთობდოლარების მოზღვავება.

ფინანსური გლობალიზაციის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ოფშორული ცენტრების წარმოქმნა ანუ საბანკო-საფინანსო ოპერაციების ჩატარება ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ინვესტორებს სთავაზობენძალიან დაბალ გადასახადს და გამარტივებულ მომსახურებას. მაგალითად, კაიმანის კუნძულებზე (კარიბის ზღვა) ხუთასზე მეტი ოფშორული ბანკია 442 მილიარდი დოლარის საერთო დეპოზიტით (Globalization of World Politics, p. 530).

## 7.3. ვაჭრობის გლობალიზაცია

უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე მომხდარმა ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ქვეყნების ეროვნული ბაზრების დაახლოებას. მაგრამ განსაკუთრებული სისწრაფით ეროვნულ ბაზრებს შორის კავშირების განმტკიცება ბოლო ათწლეულებში მოხდა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების თვისებრივ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მსოფლიო ვაჭრობის სწრაფი განვითარებისა იყო ტარიფების შემცირება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს შეიქმნა ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება (GATT), რომლის მიზანი იყო ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია. 1947 წლის ჟენევის რაუნდზე

მიღწეულ იქნა შეთანხმება ტარიფების 35%-ით შემცირების თაობაზე. 1950 წლის, 1960 წ. (კენედის რაუნდი), 1970 წ. (ტოკიოს რაუნდი) და უკანასკნელი, ურუგვაის რაუნდი ასევე წარმატებული აღმოჩნდა და საბოლოოდ ფაქტიურად გაუქმდა ტარიფები დამუშავებითი მრეწველობის ნაწარმზე. ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია (WTO), რომელმაც 1994 წელს შეცვალა GATT, ამჟამად იბრძვის სავაჭრო ბარიერების სრული გაუქმებისთვის და აერთიანებს რა 135 ქვეყანას, იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც GATT-ის ინტერესების სფეროში არ შედიოდნენ.

მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წარმოება (შესაბამისად 6 და 3% ყოველწლიურად). 1996 წელს 5,2 ტრილიონი დოლარის პროდუქცია გაიყიდა ერთი ქვეყნიდან მეორეში, რაც ორნახევარჯერ მეტია 80-იანი წლების ბოლოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. უცხოური საქონელი სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე და ეს ფაქტი ეკონომიკური გლობალიზაციის კარგი დადასტურებაა.

ცხადია, უცხოური საქონლით ეროვნული ბაზრის დაპყრობა მძიმე დარტყმას აყენებს ადგილობრივ წარმოებას, რაც მეწარმეების მკაცრ პროტესტს და წინააღმდეგობას იწვევს. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ ქვეყნებს, არამედ მთელ რიგ რეგიონებსაც. თვით ამ კონკურენციაში გამარჯვებული მხარე –გლობალური ჩრდილოეთი მიმართავს ნეომერკანტილისტურ ზომებს, რათა საკუთარი ბაზარი დაიცვას უცხოური პროდუქციის შემოტევისაგან, კერძოდ, აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სამრეწველო ნაწარმისაგან. ამ უკანასკნელთათვის კი ვაჭრობის გლობალიზაცია საუკეთესო გზაა ეკონომიკური დაწინაურებისაკენ და უცხოური ფირმების ინვესტიციების მისაზიდად, რაც მომავალში დაეხმარება მათ კონკურენცია გაუწიონ დასავლეთს (გლობალურ ჩრდილოეთს).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან იმ ხარისხით, რითაც მათი ეკონომიკა ვაჭრობის მეშვეობით არის ინტეგრირებული გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიკაში. გლობალური სამხრეთის სავაჭრო ინტეგრაციის ტემპები უფრო მაღალია, ვიდრე გლობალური ჩრდილოეთისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სამხრეთს მზარდი როლი ენიჭება ჩრდილოეთის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში. ამასთან, სამხრეთის რეგიონების მონაწილეობა

ვაჭრობის ინტეგრაციაში განსხვავებულია. ცენტრალური და აღმოსავლეთი აზია, ისევე როგორც აღმოსავლეთი ევროპა გლობალურ ბაზარში მზარდი წილით გამოირჩევა, მაშინ როცა ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და ტროპიკული აფრიკა ბევრად ჩამორჩებიან. მთლიანად გლობალური სამხრეთის ხვედრითი წილი გლობალურ ვაჭრობაში 23-დან (1985წ.) 28%-მდე გაიზარდა (1997წ). განსაკუთრებით საგრძნობია სამხრეთის ქვეყნების ხვედრითი წილის ზრდა დამუშავებითი მრეწველობის ექსპორტში (10%–1980 წ., 25%–1997 წ), რომელშიც უნდა აღინიშნოს ე. წ. ახალი პროდუქციის (კომპიუტერები, ელექტრონიკა, ვიდეო, ტელე და ფოტოაპარატურა) ექსპორტი. სამ აზიურ „ვეფხვზე“ (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური) პლუს მალაიზია და ტაილანდი, მოდის განვითარებადი ქვეყნებიდან აღნიშნული პროდუქციის ექსპორტის 2/3 (Kegley, Wittkopf, 2001).

თანამედროვე ვაჭრობის გლობალიზაციაზე ნათლად მიუთითებს ასეთი ციფრები: „ნესკაფე“ იყიდება 200 ქვეყანაში, ლუდ „ჰაინეკენს“ სვამენ 170 სახელმწიფოში, „ნოკიას“ მობილური ტელეფონები გამოიყენება 130 ქვეყანაში, თომას კუკის ტურისტულ ბიუროს წარმომადგენლობა ჰყავს 140 სახელმწიფოში, CNN-ს უყურებენ 128 ქვეყანაში, „ფაინენშელ ტაიმსს“ კითხულობენ 160 ქვეყანაში, „მალბორო“ იყიდება 170 სახელმწიფოში (Scholte, 2001, p. 527).

მაღაზიათა დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან მარაგდება. ხოლო მაღაზიების საზღვრებს გარეთ გატანა ჩვეულებრივი მოვლენაა (მაგ., იტალიური „ბენეტონი“, ინგლისური „ბოდიშოპი“ და სხვ.).

1990-იან წლებში განვითარდა ახალი სუპრატერიტორიული ბაზარი – ელექტრონული ვაჭრობა. დღევანდელ გლობალურ მომხმარებელს საკრედიტო ბარათით, ტელეფონით ან ინტერნეტით შეუძლია იყიდოს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად. ინტერნეტით გაყიდული პროდუქციის მოცულობამ 1996 წლის 2,6 მილიარდი დოლარიდან 2000 წელს 300 მილიარდს მიაღწია (Scholte, 2001, p. 528).

ყოველივე ეს მიგვანიშნებს ვაჭრობის გლობალიზაციის უნიკალურ მასშტაბებზე. გლობალისტების აზრით, ეს ყველაფერი თანდათან მიგვიყვანს ერთიანი გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებამდე და პროტექციონიზმის ყოველგვარი გამოვლინების მოსპობამდე. სკეპტიკოსები კი თვლიან, რომ სავაჭრო გლობალიზაცია გამოიწვევს უკმაყოფილებას და წინააღმდე-

გობის გაძლიერებას სახელმწიფოს მთელი რიგი ძალების მხრიდან, რის შედეგადაც პროტექციონიზმი და ეკონომიკური ნაციონალიზმი ხელახალი ძალით იჩენს თავს და საგრძნობლად ამცირებს მსოფლიო ბაზრის გავლენას.

## 7.4. წარმოების გლობალიზაცია

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია წარმოების გლობალიზაცია, ანუ მრავალეროვნული კორპორაციების როლის სწრაფი ზრდა.

თავისთავად ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ) ახალი მოვლენა არ არის და ისინი უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკაში. მაგრამ გლობალიზაციის ეპოქაში არა მარტო მათი რიცხვი გაიზარდა, არამედ თვისებრივადაც ახალი შინაარსი შეიძინა. ისინი ჭეშმარიტად ტრანსნაციონალურ, უსაზღვრებო, უეროვნებო და უსახელმწიფოო ორგანიზაციებად იქცნენ. ცნობილი კომპანიის „ლევი სტრაუსის" ხელმძღვანელის სიტყვები ნათლად გამოხატავს თანამედროვე ვითარების თავისებურებას: „ჩვენი კომპანია ყიდულობს ნედლეულს ჩრდილოეთ კაროლინაში, გზავნის მას საფრანგეთში, სადაც იკერება ჯინსები, შემდეგ პროდუქცია მუშავდება ბელგიაში და იყიდება გერმანიაში ინგლისის სატელევიზიო რეკლამების გამოყენებით" (Scholte, 2001).

ამჟამად მსოფლიოში 60 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომლებიც 450 ათასზე მეტ შვილობილ კომპანიას და ფილიალებს ფლობენ სათავო ოფისის ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მსოფლიოს 100 ყველაზე მსხვილი ტნკ-ის აქტივების თითქმის ნახევარი იმ სახელმწიფოებში საზღვრებს გარეთაა, სადაც სათავო კომპანიაა.

ტნკ-ს წილი მსოფლიოს ერთობლივ პროდუქტში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში 17-დან 30%-მდე გაიზარდა, ხოლო კომპანიათა რიცხვმა თითქმის ხუთჯერ იმატა. 500 ყველაზე მსხვილი ტნკ-ს წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული ელექტრონიკისა და ქიმიური პროდუქციის 80%, მანქანათმშენებლობის – 76%, ფარმაცევტიკის – 95% (ციტირებულია **Удовик**, 2002, с. 208).

თუ მსოფლიოს სახელმწიფოებს და ტნკ-ებს მათი წლიური შემოსავლების მიხედვით დავალაგებთ, პირველ ასეულში 51 ტნკ და 49 სახელმწიფო მოხვდება. ე.ი. ას ყველაზე მდიდარ ერთეულში ტნკ-ები მეტია, ვიდრე სახელმწიფოები. ყველაზე მძლავრი ტნკ-ის „ჯენერალ მოტორსის" გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 2000 წლისთვის 161,3 მილიარდი დოლარი შეადგინა (დაახლოებით 80-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს მთელი ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობა) და აღნიშნულ სიაში 24-ე ადგილზე იყო, მცირედ ჩამორჩებოდა რა დანიას (176,4 მილიარდი დოლარი), მაგრამ უსწრებდა ნორვეგიას (154 მილიარდი), პოლონეთს (150,8 მილიარდი) და ინდონეზიას (138,5 მილიარდი). „ჯენერალ მოტორსს" დიდად არ ჩამორჩება „დაიმლერ კრაისლერი" ,(154,6 მილიარდი) და „ფორდ მოტორი" (144,4 მილიარდი) (Kegely, Wittkopf, 2001, p. 231).

ამ ასეულში ბოლო ადგილებზე მყოფ „ტოშიბას" (41,5 მილიარდი) და „რენოს" (41,4 მილიარდი) წლიური შემოსავალი კი თითქმის იმდენივეა, რაც უკრაინის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ღირებულება (42,7 მილიარდი).

ტნკ-ების როლზე თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ისიც მიუთითებს, რომ მათი აქტივების საერთო თანხა 13 ტრილიონ დოლარს აღემატება, ხოლო წლიურად მათ მიერ გაყიდული პროდუქციის საერთო ღირებულება 9,5 ტრილიონ დოლარზე მეტია. ამ კომპანიებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კი 75 მილიონ კაცს აღწევს ანუ გაცილებით მეტს, ვიდრე საფრანგეთის, იტალიის ან დიდი ბრიტანეთის მოსახლეობაა.

საინტერესო დეტალია, რომ ტნკ-ებში დასაქმებულთა მხოლოდ 20% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე და ეს მაშინ, როცა ათი ყველაზე უფრო გლობალური კორპორაციიდან რვა ევროპულია, ათი ყველაზე დიდი (შემოსავლის მიხედვით) კორპორაციიდან კი ხუთი ამერიკული და ოთხი იაპონურია. საერთოდ 500 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციიდან 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური და მხოლოდ 42 სხვა ქვეყნებიდან. ე. ი. 92% სამ ეკონომიკურ ცენტრზე მოდის.

როგორც ვხედავთ, ტნკ-ის განაწილება (სათავო ოფისების მიხედვით) გეოგრაფიულად საკმაოდ არათანაბარია. მაგრამ მდგომარეობას ცვლის ის უამრავი შვილობილი კომპანია და ფილიალი, რომლებიც ფაქტიურად მთელ მსოფლიოს მოიცავს.

გლობალიზაციის პროცესმა თავი იჩინა არა მარტო ტნკ-ის რაოდენობის ზრდაში და მათი გეოგრაფიის გაფართოებაში, არამედ თვით კომპანიების სტრუქტურასა და წარმოების მართვის ფორმაში.

90-იანი წლების დასაწყისში ფორდ მოტორმა დაიწყო კომპანიის რეკონსტრუქცია (პროგრამა ფორდი 2000) იმ მიზნით, რომ იგი გამხდარიყო ჭეშმარიტად საერთაშორისო კორპორაცია. კომპანიის მართვა და კონტროლი აღარ უნდა განხორციელებულიყო ერთი ცენტრიდან, კერძოდ, მიჩიგანის შტატის ქალაქ დერბორნიდან, როგორც ეს ადრე იყო, არამედ უნდა განაწილებულიყო მთელს მსოფლიოში, სადაც ადგილობრივი კადრები დააკომპლექტებდნენ ყველა ადგილს. დაისახა წარმოების ხაზის შეცვლაც. სხვა მრავალი ტნკ-გან განსხვავებით, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან პროდუქციას ცალკეული განსაზღვრული რეგიონული ბაზრებისათვის, ფორდმა განავითარა წარმოების შესაძლებლობები, რამაც საშუალება მისცა მოეხდინა პროდუქციის სტანდარტიზაცია და ყველგან გამოეშვათ ერთი და იგივე მანქანა, ნამდვილი „მსოფლიო ავტომობილი“.

ფორდ მოტორის ეს რეკონსტრუქცია ყველაზე ნათლად გამოხატავს ტრანსნაციონალიზაციის და გლობალიზაციის „უმაღლეს სტადიას“ ანუ ტნკ-ის მომავალს 21-ე საუკუნეში. ასეთ შემთხვევაში წარმოებული პროდუქცია ვერანაირად ვერ იქნება რომელიმე ქვეყნის ნაწარმი, არამედ ის ჩაითვლება ჭეშმარიტ „მსოფლიო პროდუქციად“ საზღვრების გარეშე. ისე რომ, მარკა „დამზადებულია აშშ-ში“ შეიცვლება მარკით „დამზადებულია ფორდ მოტორში“ და არავითარი მნიშვნელობა არ ექნება თუ კონკრეტულად რომელ ქვეყანაში დამზადდა პროდუქცია. ასევე შეუძლებელი იქნება თვითონ ფორდ მოტორი ამერიკულ კორპორაციად ჩაითვალოს, რადგან იგი სათავო ოფისის გარეშე იქნება წარმოდგენილი.

ზოგადად, წარმოების გლობალიზაციის პარალელურად ტნკ-ები გაივლის გარკვეულ სტადიებს, პირველ ეტაპზე ანუ კორპორაციული კოლონიალიზმის ეპოქაში დასავლური კორპორაციები მიმართავს თავიანთ ინვესტიციებს განვითარებადი სამყაროსკენ. ასე იყო II მსოფლიო ომის შემდეგ, როცა აშშ-ს კომპანიები დომინირებდა, ევროპულმა კომპანიებმა ინვესტიციები ჩადეს თავიანთ კოლონიებში. შემდეგ ეტაპზე იაფი მუშახელისა და ნაკლები დანახარჯების გამო ხდება წარმოების გატანა განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ მენეჯმენტი მეტრო-

პოლიდან ხორციელდება. (ასეა დღეს არსებული ტნკ-ის უმრავლესობა). ბოლო სტადიაზე კი, რაც ფორდ მოტორმა უკვე განახორციელა, „ცენტრი" უქმდება და კორპორაცია ფაქტიურად საყოველთაო „გლობალური მსოფლიოს" ნაწილი ხდება.

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ტრანსნაციონალური კორპორაციების გლობალურ კორპორაციებად გარდაქმნას. თუ მათ ეკონომიკურ სიძლიერეს გავითვალისწინებთ და იმ ტენდენციებს მივიღებთ მხედველობაში, როგორი გზითაც ეს პროცესი ვითარდება, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მსოფლიო ეკონომიკა თანდათან აღმოჩნდება ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში და სახელმწიფო საერთოდ დაკარგავს ყველანაირ ეკონომიკურ ფუნქციას. ეს კი სახელმწიფოს კვდომის აშკარა ნიშანია. შესაბამისად კონკურენცია ბაზრის ხელში ჩასაგდებად იქნება არა სახელმწიფოებს, არამედ ტნკ-ს შორის.

უკვე დღეს ტნკ-ს შორის თანამშრომლობა გლობალური ხასიათისაა და თავისი მასშტაბებით დიდად არ ჩამორჩება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სტრატეგიული კორპორაციული ალიანსი ანუ ტნკ-ს და უცხოურ კომპანიებს შორის კოოპერაცია წარმოების ერთსა და იმავე დარგში და ვირტუალური კორპორაციები, რომლებიც გულისხმობს ტნკ-ს შორის შეთანხმებებს, რათა გაერთიანებული ძალებით აწარმოონ და გაყიდონ ცალკეული პროდუქტები გლობალურ ბაზარზე.

წარმოების გლობალიზაცია შრომის გლობალიზაციას ნიშნავს, რაც მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

## 7.5. გლობალიზაცია და მოსახლეობა

წარმოებისა და შრომის გლობალიზაციამ მასიური ხასიათი მისცა მოსახლეობის მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბებს. ეს პირველ რიგში ეხება მიგრაციულ ნაკადებს გლობალური სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ანუ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული სახელმწიფოებისაკენ. განსაკუთრებულ პრობლემას ის ქმნის, რომ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურ მიგრანტებს მიეკუთვნება.

მიგრაცია თავისი გამომწვევი მიზეზების მიხედვით შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თუ ეკოლოგიური ხასიათის. განხორციელების ფორმებით შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და იძულებითი, ხოლო დროითი განზომილებით – მუდმივი ან დროებითი. განვითარებადი სამყაროდან განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, როგორც წესი, ეკონომიკური ხასიათისაა და თუმცა დროებით მიგრაციად ითვლება, ხშირ შემთხვევაში მიგრანტთა ნაწილი უკან აღარ ბრუნდება და ლეგალური თუ არალეგალური ფორმებით ცდილობს მიმღებ ქვეყნებში დარჩენას.

ყველას, ვინც ახალ ქვეყანაში ემიგრაციაში მიდის, იმედი აქვს, რომ იშოვის უკეთეს სამუშაოს, მატერიალურად უკეთ იქნება უზრუნველყოფილი და უკეთესი საცხოვრებელი პირობები ექნება, ვიდრე სამშობლოში ჰქონდა. მაგრამ მიმღები ქვეყანაც არ არის ვალდებული უზრუნველყოს მიგრანტთა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა. ისევე როგორც ვაჭრობაში, მიგრაციაშიც არიან მოგებულები და წაგებულები. მიგრანტები იაფი მუშახელია მასპინძელი ქვეყნისთვის და ამით ხელს უწყობენ მის ეკონომიკურ აღმავლობას და კეთილდღეობას, მაგრამ ხშირად უმუშევრად ტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რაც ზოგჯერ მძაფრ დაპირისპირებას იწვევს.

გლობალიზაციის პროცესმა არალეგალური მიგრაციის პრობლემა კიდევ უფრო მწვავე გახადა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში „დროებითი“ მიგრანტების ხვედრითმა წილმა მთელ მოსახლეობაში საკმაოდ მაღალ ციფრს მიაღწია. გერმანიაში, მაგალითად, 4 მილიონზე მეტი თურქია, ხოლო საფრანგეთში არაბებისა და აფრიკელების რაოდენობა ოფიციალური მონაცემებით ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტია. მარტო ქალაქ მარსელში მუსლიმანების ხვედრითმა წილმა ქალაქის მოსახლეობის ნახევარს ბევრად გადააჭარბა. უკვე დღეს აშშ-ის მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს ესპანურენოვანი ამერიკელები შეადგენენ, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან (პირველ რიგში მექსიკიდან) არიან იმიგრირებულნი, ხოლო XXI საუკუნის ბოლოს, როგორც ვარაუდობენ, ისინი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. დასავლეთის ქვეყნების ბევრი ლიდერი შიშობს, რომ ემიგრაციის ასეთი გააქტიურებისა და ქვეყანათშორისი მიმოსვლის ლიბერალიზაციის პირობებში შეიძლება სერიოზული პოლიტიკური პრობლემები წარმოიშვას.

კერძოდ, უცხო ეთნიკური და რელიგიურ-კულტურული ჯგუფების ზრდა ადგილობრივ მოსახლეობაში იწვევს უკვე თითქოს მივიწყებული ეთნიკური ნაციონალიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის გამოცოცხლებას, რაც შეიძლება ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებასა და კონფლიქტებში გადაიზარდოს.

საერთაშორისო სამართალი მიგრანტებისაგან ასხვავებს ლტოლვილებს. მათ მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სამშობლო ომის, კონფლიქტების, ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური დევნის, აგრეთვე ეკოლოგიური კატასტროფის გამო. ამასთან საერთაშორისო სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს ლტოლვილები, რომლებიც მის საზღვრებს მიადგებიან. ომის, კონფლიქტის ან ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად ლტოლვილებს ეძლევათ თავშესაფარი დროებით ბანაკებში, ხოლო პოლიტიკურ დევნილებს შეიძლება მიეცეთ მიმღებ ქვეყნებში მუდმივად ცხოვრების უფლება. ლტოლვილთა რაოდენობა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მიგრანტთა რიცხვი. თუ 1976 წელს მსოფლიოში სულ 3 მილიონი ლტოლვილი იყო, 1995 წლისთვის მათმა რაოდენობამ 23 მილიონს მიაღწია, ამას უნდა დაემატოს 26 მილიონი კაცი, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში არიან ადგილნაცვალი პირები, ანუ დევნილები, კიდევ 40 მილიონი კაცი იმყოფება რისკის ქვეშ და საჭიროებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას (Goldstein, 1996 p. 496).

მიგრაცია, თავის მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც დემოგრაფიული პრობლემების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. (რა თქმა უნდა, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან კავშირში).

დემოგრაფიული პრობლემები ერთ-ერთი უმწვავესი გლობალური პრობლემებია, რომელთა გადაჭრაც კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ცალკეული ქვეყნები თუ ქვეყანათა ჯგუფები ამ პრობლემების გადაჭრაში უძლურნი არიან.

მესამე ათასწლეულის დასაწყისისთვის მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ 6 მილიარდს გადააჭარბა და ყოველწლიურად დაახლოებით 90 მილიონი კაცით იზრდება. პროგნოზით 2025 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 8, ხოლო 2050 წლისთვის 10 მილიარდს მიაღწევს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. მოსახლეობის მატების 97% მოვა გლობალურ სამ-

ხრეთზე ანუ განვითარებად სამყაროზე, აქედან 1/.3 – აფრიკის წილად (Goldstein, 1996, p.451)

მნიშვნელოვნად შეიცვლება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების წილი მსოფლიოს ყველაზე უფრო ხალხმრავალი ქვეყნების რიგში. XX საუკუნის დასაწყისისთვის მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოს 10 ყველაზე დიდი ქვეყნიდან 8 (რუსეთი, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ავსტრია-უნგრეთი) ჩრდილოეთის ქვეყნები იყო, 2000 წლისთვის ამ პირველ ათეულში ჩრდილოეთს მხოლოდ სამი ქვეყანაღა დარჩა (აშშ, რუსეთი, იაპონია), 2050 წლისთვის კი მხოლოდ აშშ (ისიც იმიგრანტების წყალობით) დარჩება მათ რიგში.

. განვითარებული ქვეყნები უკვე დიდი ხანია გადავიდნენ მარტივი აღწარმოების სტადიაში. ზოგიერთ ქვეყანაში კი მოსახლეობის ბუნებრივი კლება ანუ დეპოპულაცია აღინიშნება. ამიტომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების არა მარტო ხვედრითი წილის შემცირება ხდება მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობაში, არამედ ამ სახელმწიფოებში ადგილი აქვს მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვის შემცირებას. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის რუსეთის მოსახლეობა დღევანდელთან შედარებით 35 მილიონი კაცით დაიკლებს და 114 მილიონამდე ჩამოვა, ხოლო გერმანიისა განახევრდება. სამაგიეროდ, კენიის, ზაირის, ტანზანიის და აფრიკის კიდევ ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც ამჟამად 25–30 მილიონს არ აღემატება, 100 მილიონს გადააჭარბებს.

ცხადია, დღევანდელი ტენდენციები მუდმივად არ იქნება შენარჩუნებული და სამხრეთის ქვეყნებიც თანდათანობით გადავლენ დემოგრაფიული აღწარმოების ახალ სტადიაზე, როცა შობადობის შემცირების შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები შემცირდება. აზიისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში უკვე სახეზეა ბუნებრივი მატების ტემპის აშკარა კლება. პერსპექტივაში იგივე მოხდება აფრიკის ქვეყნებშიც. ყოველივე ეს აძლევს საშუალებას დემოგრაფებს დაასკვნან, რომ XXI საუკუნის ბოლოს მსოფლიოს მოსახლეობა 12–13 მილიარდი კაცის დონეზე გამყარდება და შემდგომში მარტივი აღწარმოების დონეზე დარჩება.

კიდევ ერთი თავისებურება დღევანდელი დემოგრაფიული ვითარებისა არის ის, რომ, არათანაბარი ბუნებრივი მატების გამო, ძალიან არის დარღვეული მოსახლეობის ასაკობრივი

სტრუქტურა ცალკეული რეგიონების მიხედვით. თუ სამხრეთის ქვეყნებში მოსახლეობის ნახევარი 18–20 წელზე ახალგაზრდაა, ჩრდილოეთში დემოგრაფიულად „დაბერებული" ერებია, სადაც ხანდაზმულთა ხვედრითი წილი (60 წელზე ზევით) მოსახლეობის 30–35%-ს აღწევს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა განიცდის შრომითი რესურსების დეფიციტს და მათი შევსება განვითარებადი ქვეყნებიდან მოსული მიგრანტებით ხდება. ამგვარად, პერსპექტივაში მოსალოდნელია ევროპელი ხალხების როგორც აბსოლუტური რიცხვის, ისე განსაკუთრებით მათი ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირება არა მარტო მთლიანად მსოფლიოს, არამედ თვით საკუთარი ქვეყნების მოსახლეობაში, რაც, ბუნებრივია, საკმაოდ სერიოზული პრობლემების წარმოშობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

## 7.6. გლობალიზაცია და ეკოლოგიური პრობლემები

სანამ ტერმინი „გლობალიზაცია" დამკვიდრდებოდა, „გლობალური პრობლემების" ცნება უკვე საკმაოდ გავრცელებული და საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ამ ცნებაში გაერთიანებული იყო ის პრობლემები, რომლებიც არ დაიყვანებოდა ცალკეული ქვეყნების, რეგიონების ანდა საზოგადოებების დონეზე და საყოველთაო, გლობალური ხასიათი ჰქონდა, ხოლო მათი გადაჭრა მხოლოდ მთელი კაცობრიობის ერთიანი ძალისხმევით იყო შესაძლებელი.

ამ საყოველთაო, გლობალურ პრობლემებს შორის პირველ რიგში გულისხმობდნენ გარემოს დაცვის პრობლემებს ანუ იმ ეკოლოგიურ მდგომარეობას, რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზული საფრთხე შეუქმნა კაცობრიობის უსაფრთხოებასა და თვით არსებობასაც კი.

დღეს უკვე არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო საფრთხისაგან სახელმწიფოს დაცვა ანუ ეროვნული უსაფრთხოება. ამასთანავე, ეკოლოგიური უსაფრთხოება მაშინ, როცა ყველა ერთ დედამიწაზე ვცხოვრობთ, საერთო ჰაერს ვსუნთქავთ და საერთო რესურსებს ვიყენებთ, არც ერთი ქვეყნის კერძო საქმე არ არის და ინტენსიურ ურთიერთთანამშრომ-

ლობას საჭიროებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეკოლოგიური პრობლემები ის სფეროა, სადაც სახელმწიფოთა თანამშრომლობა და საერთაშორისო ორგანიზაციების (განსაკუთრებით არასამთავრობო) მოღვაწეობა განსაკუთრებით ინტენსიურია. სწორედ გარემოს საკითხებზე აღწევენ შეთანხმებას ყველაზე ადვილად სხვადასხვა მხარეები, რადგან ეკოლოგიური საფრთხე და საერთო ძალისხმევის აუცილებლობა ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული. შესაბამისად ნეოლიბერალიზმის თეორიული დებულება მსოფლიოს, როგორც ერთიანი, საზღვრებს გარეშე ერთობისა, რაც ასევე გლობალიზაციის ძირითადი არსია, ყველაზე მკაფიოდ სწორედ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრისათვის თანამშრომლობაში იჩენს თავს.

ეკოლოგიური პრობლემები ძალზე რთული და მრავალფეროვანია და თითოეულ მათგანზე გულდასმით შემუშავებული გლობალური პოლიტიკის გატარებაა საჭირო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე მათგანი იმსახურებს.

**ენერგიის ეკოპოლიტიკა** გულისხმობს ენერგიის წყაროების მაქსიმალურად რაციონალურ და გეგმაზომიერ გამოყენებას, როგორც მათი დაცვის, ისე გარემოს გაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

მთავარი ენერგეტიკული რესურსის, *ნავთობის* მოხმარების დონე XX საუკუნის მანძილზე არნახულად გაიზარდა და 90-იანი წლების ბოლოს წელიწადში 3.3 მილიარდ ტონას მიაღწია (ანუ დღე-ღამეში 65 მილიონი ბარელი). ამჟამად ნავთობზე მოდის მსოფლიო ენერგომომარაგების 85%. ამასთანავე ნავთობის მოპოვების, გაყიდვისა და ფასების დაწესების მონოპოლია დიდი ხნის განმავლობაში ტნკ-ების პატარა ჯგუფის (ექსონი, მობილი, ბრიტიშ პეტროლიუმი, როიალ დაჩ-შელი, ამოკო და სხვ.) ხელში იყო. ისინი ადვილად იღებდნენ კონცესიებს ნავთობით მდიდარი ახლოაღმოსავლური სახელმწიფოებისაგან, ხოლო მათ ერთადერთ კონკურენტს კომუნისტური სახელმწიფოები წარმოადგენდა. ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციამ და ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების ორგანიზაციის (OPEC) ჩამოყალიბებამ რამდენადმე შეცვალა არსებული სურათი, თუმცა ნავთობის მოპოვება და გადამუშავება კვლავ რჩება ერთ-ერთ „ტრანსნაციონალიზებულ" სფეროდ.

როგორც ჩანს, XXI საუკუნეშიც ნავთობი კვლავ დარჩება ენერგიის ძირითად წყაროდ. იმ დროს, როცა ნავთობის მსოფ-

ლიო მარაგი ლიმიტირებულია და უკვე დღეს ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვანი, თანაც მზარდი ნაწილი ზღვის შელფზე მოდის, ნავთობით უზრუნველყოფისა და მისი რაციონალური გამოყენების პრობლემა გლობალურ აქტუალობას იძენს. განვითარებადი ქვეყნების დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია და ავტომობილიზაცია არა მარტო ნავთობის მოხმარების რაოდენობას გაზრდის, არამედ მკვეთრად გააუარესებს ატმოსფეროს მდგომარეობას, მით უფრო, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებში გარემოს გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა. ასევე უმწვავესი პრობლემაა ტანკერებიდან ოკეანეში ჩაღვრილი ნავთობი, რომელიც უზარმაზარ ფართობზე აბინძურებს წყალს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ზღვის ფაუნას.

*ბუნებრივი გაზის* როლი ენერგიის წყაროებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გაიზარდა. ნავთობისაგან განსხვავებით, ბუნებრივი გაზის ძირითადი მარაგი ჩრდილოეთში, კერძოდ აშშ-სა და რუსეთშია. 2000 წლისთვის ბუნებრივი გაზის მოხმარებამ შეადგინა 2 მილიარდი ტონა ნავთობის ეკვივალენტი და 2010 წლისთვის 2,6 მილიარდამდე გაიზრდება (The Economist, 1999, № 21). მომხმარებლისთვის გაზის მიწოდების ერთადერთი საშუალება გაზსადენია, მაგრამ ის ძალიან ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს. ერთადერთი ალტერნატივაა გაზის გათხევადება და ტანკერებით გადატანა, მაგრამ ეკოლოგიურად ეს უსაფრთხო არ არის და ექსპერტები თავს იკავებენ ამ ნაბიჯის გადადგმისაგან.

*ნახშირი* იაფი და ხელმისაწვდომი ალტერნატივაა ნავთობის და გაზის ენერგიის. მით უფრო, რომ იგი ერთადერთი სათბობი წიაღისეულია, რომლის მარაგი კიდევ ათასი წლის მანძილზე ეყოფა კაცობრიობას (მოხმარების დღევანდელი დონის პირობებში), მაშინ როცა ნავთობის მოძიებული მარაგი 2040 წლისთვის ამოიწურება.

თუმცა ნახშირის წილმა მსოფლიო ენერგეტიკაში 62-დან (1910 წ.) 23%-მდე (2000 წლისთვის) დაიწია, იგი მაინც რჩება მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსად და, როგორც ჩანს, მომავალშიც შეინარჩუნებს მნიშვნელობას. ნახშირის მოპოვებისა და მოხმარების 60% სამ ქვეყანაზე – აშშ, რუსეთსა და ჩინეთზე მოდის. მათ შორის ეს უკანასკნელი სწრაფი ტემპით ზრდის ნახშირის მოპოვებას და მის გამოყენებას ენერგიის წყაროდ, რაც საგრძნობლად აბინძურებს გარემოს და მსოფლიო საზოგადოების პროტესტს იწვევს.

ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა სახეები – *ქარი, წყალი, მზე,* სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ქვეყნებში. ზოგიერთი ოპტიმისტური მოსაზრებით XXI საუკუნის ბოლოსთვის კაცობრიობის მიერ მოხმარებული ენერგიის 2/3 მოვა მზისა და ქარის ენერგიაზე, 1/4 – ბიომასაზე და დანარჩენი – ჰიდრო და გეოთერმულ ენერგიაზე. ატომური ენერგიის გამოყენება შეწყდება XXI საუკუნის 20-იანი წლებისათვის, ნავთობისა – 70-იან, ხოლო ნახშირისა და ბუნებრივი გაზისა – 80–90-იანი წლებისთვის (Crump, 1998). ენერგიის სუფთა სახეები, როგორც წესი, ეკოლოგიურ საშიშროებას არ შეიცავს და ამდენად ყველაზე პერსპექტიულია. გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს ჰიდროენერგეტიკა, რომელიც დიდი კაშხალების მშენებლობას მოითხოვს, რაც ტერიტორიის ნაწილს ტბორავს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდინარის ჩამოტანილ მასალას კაშხალში ტოვებს, რითაც ირღვევა წონასწორობა მდინარის აკუმულაციურ და ზღვის დამანგრეველ მოქმედებას შორის. შედეგად შეიძლება სანაპიროს ნაწილი ზღვამ დაფაროს (ამით იყო გამოწვეული ქართველი მწვანეების პროტესტი თურქეთში მდ. ჭოროხზე დიდი ელექტროსადგურისა და კაშხლის მშენებლობის გამო).

ყველაზე უფრო მწვავედ ეკოლოგიური პოლიტიკის თვალსაზრისით *ატომური ენერგეტიკა* დგას, რადგან ატომური ელექტროსადგურის თუნდაც პატარა ავარიამ შეიძლება უზარმაზარი ზიანი მიაყენოს არა მარტო იმ ქვეყანას, სადაც ეს აეს-ი მდებარეობს, არამედ მრავალ სხვა სახელმწიფოსაც. ჩერნობილის კატასტროფა ამის დადასტურება იყო. ძალიან სერიოზული პრობლემაა ბირთვული ნარჩენების შენახვის პრობლემა. ისევე როგორც ზოგადად „ჭუჭყიანი საწარმოები", ბირთვული ნარჩენებიც გლობალურ ჩრდილოეთს გლობალურ სამხრეთში გააქვს და იქ მარხავს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრ პროტესტს იწვევს. ამის და მრავალი სხვა პრობლემის გამო ატომური ენერგეტიკა, მიუხედავად სიიაფისა და მოხერხებულობისა, თანდათან ნაკლებ როლს თამაშობს და მოსალოდნელია მისი შეცვლა ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა სახეებით.

**კლიმატური ცვლილებები**. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ეკოლოგიური გლობალური პრობლემა ატმოსფეროს პრობლემაა. მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებამ კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა ჰაერის გაბინძურება. ზოგიერთ

სამრეწველო ქალაქში მავნე გამონაბოლქვი გაზების შემცველობა ჰაერში რამდენიმე ასეულჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. საქმე მარტო ატმოსფეროს გაბინძურებაში არ არის (თუმცა მხოლოდ ეს ფაქტორიც ყველაზე უფრო სერიოზულ გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება). გამონაბოლქვი გაზების და, პირველ რიგში, ნახშირორჟანგის შემცველობის ზრდამ ატმოსფეროში გამოიწვია ე. წ. სათბურის ეფექტი ანუ გლობალური დათბობა, როცა სათბობის წვის შედეგად გამოყოფილი გაზები საბანივით ეფარება ატმოსფეროს ქვედა ფენებს, რაც ზრდის ჰაერის საშუალო ტემპერატურას. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 2 გრადუსით მოიმატა და კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, რადგან თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, იქნება საშიშროება დაიწყოს ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულების დნობა, რაც მსოფლიო ოკეანის დონეს რამდენიმე მეტრით ასწევს და მთელი რიგი ქვეყნების დაბლობი ტერიტორიები წყლით დაფარული აღმოჩნდება. ცხადია, ეს უმწვავესი გლობალური პრობლემაა და ყველა სახელმწიფოს ერთიან მოქმედებას მოითხოვს.

ატმოსფეროს გაბინძურებასთან არის დაკავშირებული ასევე უმძიმესი ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა მჟავე წვიმები, ანუ ნალექები, რომელიც გამოწვეულია გოგირდის ორჟანგისა და აზოტის ჟანგის შერევის შედეგად და რომელიც უმძიმეს ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს. მეორე ასეთი პრობლემა ოზონის გარსში (რომელიც დედამიწის ცოცხალ ორგანიზმებს მზის რადიაციისაგან იცავს) ხვრელების გაჩენაა. ოზონის პირველი ხვრელის გაჩენამ ანტარქტიდის თავზე იმ ტერიტორიაზე, სადაც ულტრაიისფერმა სხივებმა დაუბრკოლებლივ მიაღწიეს დედამიწის ზედაპირს, ადგილობრივი ფაუნის მასობრივი სიკვდილი გამოიწვია.

ყველა ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად 1972 წლიდან მოქმედებს გაეროს გარემოს პროგრამა (UNEP), რომელიც შეისწავლის გარემოს მდგომარეობას და მისი გლობალური დაცვისა და რეგულირების ღონისძიებებს შეიმუშავებს.

*ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების ეკოპოლიტიკა.* კიდევ ერთი უმწვავესი გლობალური ეკოლოგიური პრობლემა მსოფლიოს ტყეების დაცვას ეხება. როგორც ცნობილია, დედამიწაზე ჟანგბადის ერთადერთი წყაროს მცენარეები წარმოადგენენ, ამიტომ ტყეებით დაფარული ფართობის სიდიდე პირდაპირ

კავშირშია ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობასთან. თანამედროვე პირობებში, როცა წარმოების პროცესის ინტენსიფიკაციის გამო ჰაერში სხვადასხვა მავნე გაზები გამოიფრქვევა, ტყეებით დაფარული ფართობების ზრდა პირდაპირ უკავშირდება წონასწორობის დაცვას ატმოსფეროში. სწორედ ამიტომ უწოდებენ ტყით დაფარულ ტერიტორიებს (განსაკუთრებით ამაზონიის ჯუნგლებს) დედამიწის ფილტვებს.

სამწუხაროდ, ტყით დაფარული ტერიტორიების ფართობი დედამიწაზე განუხრელად მცირდება, რაც უმძიმესი პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას. ტყეების გაჩეხვის შედეგად იცვლება კლიმატი, კლებულობს ნალექების რაოდენობა და შესაბამისად ჩნდება წყლის დეფიციტი, იცვლება მცენარეული საფარი. ყოველივე ამის შედეგია გაუდაბნოების ინტენსიური პროცესი, რომელმაც მსოფლიოს მრავალი რეგიონი მოიცვა, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ აფრიკის კონტინენტზე ე. წ. საჰელის ზონაში იჩინა თავი. ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი ტყის გაჩეხვისა და თითქმის ამავე რაოდენობის ნაყოფიერი მიწების გაუდაბნოების პროცესი (იმ დროს, როცა დედამიწის მოსახლეობა წელიწადში 90 მილიონი კაცით მატულობს) იმის მაჩვენებელია, რომ დედამიწის ყოველ მცხოვრებზე მიწით და შესაბამისად სურსათით უზრუნველყოფა მცირდება, რაც ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა.

ასევე სერიოზული პრობლემაა ბიომრავალფეროვნების დაცვა. ამ ცნებაში იგულისხმება პლანეტის ეკოსისტემების მცენარეული და ცხოველური სახეობებით სიმდიდრე. ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში უამრავი სახეობა დადგა გადაშენებისა და მოსპობის გზაზე. ყოველწლიურად რამდენიმე სახეობა ქრება და საბოლოოდ იკარგება. ამიტომ მათი დაცვა და გადარჩენა ასევე საკაცობრიო, გლობალური პრობლემაა.

ეკოლოგიური პრობლემების უაღრესმა სიმწვავემ ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში წარმოშვა *მდგრადი განვითარების* კონცეფცია, რაც გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას ისეთნაირად, რომ არ გამოიწვიოს რესურსების განადგურება და ეკოლოგიური პრობლემები.

მდგრადი განვითარების პრინციპები შემუშავდა 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართულ „მსოფლიო სამიტზე", რომელშიც 150 ქვეყანა მონაწილეობდა და ერთ-ერთ ყველაზე წარმომადგენლობით შეხვედრად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სამიტზე საფუძველი დაედო მსოფლიოს სახელმწიფოთა ერთობლივ ეკოლოგიურ პოლიტიკას გლობალიზაციის ეპოქაში.

რიოს სამიტზე მიღებული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

*Agenda 21* – 400-გვერდიანი პროგრამული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს იმ კონკრეტულ მოქმედებებს, რაც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. აქ ცალ-ცალკეა განხილული საქალაქო განვითარების, ტყეების დაცვის, ბიოტექნოლოგიური მენეჯმენტის, მთიანი ეკოსისტემებისა და სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრის პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივი ხელისუფლების, პროფკავშირების, ბიზნესის, ინდუსტრიის, მეცნიერების, ქალების, მკვიდრი მოსახლეობისა და სხვა ფაქტორების როლს მდგრადი განვითარების განხორციელებაში. მდგრადი განვითარების სპეციალური კომისია დაფუძნდა როგორც გაეროს სისტემის ნაწილი და, უდავოდ, წარმოადგენს ერთ-ერთ ავტორიტეტულ ორგანიზაციას მსოფლიოს მასშტაბით.

*კლიმატური ცვლილებების ჩარჩო კონვენცია* (FCCC) ხელმოწერილია 153 სახელმწიფოს მიერ. ადგენს იმ პრინციპებს, მიზნებს, ინსტიტუციებსა და პროცედურებს, რომლებიც მომავალში უნდა განვითარდეს, რათა მაქსიმალურად მიაღწიონ გლობალური დათბობისა და სათბურის ეფექტის შედეგების განეიტრალების და ამ პროცესის შემდგომი განვითარების შეწყვეტას.

*კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.* ხელი მოაწერა 155 ქვეყანამ. მიზნად ისახავს შეინარჩუნოს დედამიწის ბიომრავალფეროვნება, სახეობების, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დაცვის გზით და შექმნას პირობები გენეტიკური რესურსებისა და ბიოტექნოლოგიების გამოყენებისათვის.

ტყეების პრინციპი. აცხადებს ტყის დაცვის პრინციპებს და მენეჯმენტს იმის ხაზგასმით, რომ ქვეყანას აქვს სუვერენული უფლება საკუთარ ტერიტორიაზე ტყეების ექსპლუატაციისა.

*კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ* ბრძოლისთვის. აღნიშნავს კოორდინირებული საერთაშორისო ქმედებების მნიშვნელობას არიდულ, სემი-არიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ არეალებში, რომლებიც ხელს შეუშლიდა გაუდაბნოების პროცესის შემდგომ გავრცელებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ მიწისმფლობელთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, ხელისუფლების, საერთაშორისო დონორების ერთობლივ მუშაობას.

როგორც უკვე ითქვა, ეკოლოგიური პრობლემები ის იშვიათი სფეროა, სადაც სახელმწიფოთა შორის თანხმობა შედა-

რებით ადვილად მიიღწევა, მაგრამ ეფექტური მოქმედება იშვიათია. გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება მესამე სექტორის როლი (თუნდაც მარტი გრინპისი გავიხსენოთ) და, როგორც ვარაუდობენ, სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის ამაღლება იქნება ის ფაქტორები, რომლებიც წარმატებით გადაჭრიან ამ მწვავე პრობლემებს.

## კითხვები და დავალებები:

1. რა ძირითად კითხვებზე დაიყვანება დებატები ეკონომიკური გლობალიზაციის ირგვლივ ?
2. რას მიიჩნევს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაციის მთავარ პრობლემად?
3. რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკას?
4. დაახასიათეთ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები.
5. რა ძირითადი თავისებურებით ხასიათდება ფინანსების გლობალიზაცია?
6. დაახასიათეთ ვაჭრობის გლობალიზაციის მთავარი ნიშნები.
7. რაში გამოიხატება წარმოების გლობალიზაცია?
8. როგორ აისახა გლობალიზაცია ტნკ-ის სტრუქტურაზე? (ფორდ მოტორის მაგალითი).
9. აღწერეთ გლობალიზაციის გავლენა მოსახლეობის მიგრაციაზე.
10. დაახასიათეთ თანამედროვე გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

## ლიტერატურა


1. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Edition. Oxford University Press. Oxford, 2001, pp. 277–298; 387–414, 519–539.
2. Held D. et al. - Global Transformation. Politics, Economics, Culture. Cambridge. Polity Press. 1999, pp. 163–189, 201–235, 297–326, 76–413.

3. Scholte J. A. - Globalization. A Critical Introduction. Palgrave, New-York. 2000, pp. 111–131.
4. Hirst P. Thompson G. - Globalization in Question. Second Edition. Polity. Cambridge, 1999, pp. 19–96.
5. Бек У. - Что такое глобализация? Прогресс -Традиция. Москва, 2001, с. 224–278.

თემა 8

# კულტურის გლობალიზაცია

## 8.1. ზოგადი თავისებურებანი

გლობალიზაციის სხვადასხვა გამოხატულებებს შორის კულტურის გლობალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო, ფართოდ გავრცელებული და წინააღმდეგობრივია. საუკუნეების მანძილზე ხალხები თავიანთ თვითმყოფადობის შენარჩუნებას საკუთარი ეროვნული კულტურის შენარჩუნების ფასად ახერხებდნენ. სწორედ ეროვნული კულტურა და ეროვნული ენა იყო ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ხალხს სხვისგან გამოარჩევდა და ეროვნული იდენტიფიკაციის საშუალებას იძლეოდა. ამდენად ეროვნება და ეროვნული კულტურა თითქმის გაიგივებულ ცნებებად აღიქმებოდა და პიროვნება მაშინ ითვლებოდა გარკვეული ეროვნების წარმომადგენლად, როცა ამავე ეროვნული კულტურის მატარებელი იყო.

გლობალიზაციის პროცესმა ეს თითქოსდა ხელშეუხებელი სფეროც მოიცვა. ბევრის აზრით, თანდათან ქრება ეროვნული კულტურების უნიკალური მრავალფეროვნება და ყალიბდება გლობალური, ზეეროვნული მასობრივი კულტურა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის სუროგატული კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელება. ე. ი. ეროვნული კულტურების ნაცვლად ყალიბდება კოსმოპოლიტური კულტურა, სადაც ყველაფერი ეროვნული იკარგება. სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას აცვია ერთნაირად, ჭამენ ერთსა და იმავე საჭმელს (მაკდონალდსიზაცია), სვამენ ერთსა და იმავე სასმელს (კოკა-კოლიზაცია), უსმენენ ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებენ ერთსა და იმავე ფილმებსა და ტელეგადაცემებს და ყოველივე ამის შედეგად აქვთ ერთნაირი ღირებულებები და

ერთნაირად ფიქრობენ. მოკლედ, ყალიბდება უეროვნებო, კოსმოპოლიტი, მსოფლიო მოქალაქე.

სკეპტიკოსები არ იზიარებენ ასეთ უკიდურეს თვალსაზრისს და მიაჩნიათ, რომ შეფასება აშკარად მცდარია. ეროვნული კულტურა კვლავაც რჩება ადამიანის ეროვნული იდენტიფიკაციისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფაქტორად. გლობალიზაციის პროცესს არ შეუძლია შეცვალოს კულტურების ეროვნული სახე და მრავალფეროვნება. ხდება მხოლოდ სხვადასხვა კულტურების ურთიერთგაცნობა და არა ერთიანი კოსმოპოლიტური კულტურის ჩამოყალიბება. პირიქით, კულტურებს შორის განსხვავება უფრო და უფრო აღრმავებს წინააღმდეგობას და ცივილიზაციათა შეჯახებისკენ მივყავართ.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას ანუ ტრანსფორმაციონისტებს, მათი აზრით, მიმდინარეობს ეროვნული კულტურების ურთიერთშერწყმა და ახალი გლობალური კულტურული ქსელის წარმოქმნა, რომელიც მრავალეროვნულია და არა ზეეროვნული და, მით უმეტეს, კოსმოპოლიტური.

ამგვარად, სახეზეა ეროვნული კულტურების ტრანსფორმაცია. ის, რომ ისინი გლობალიზაციის პირობებში სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან, არავისთვის სადავო არ არის. საკითხი დგას მხოლოდ იმ კუთხით, თუ როგორ და რა მიმართულებით იცვლება კულტურა. ავსტრალიელი მეცნიერი რ. ჰოლტონი (Holton, 1998) სამ ძირითად ფორმას გამოყოფს – *ჰომოგენიზაციას, პოლარიზაციას, ჰიბრიდიზაციას.*

**ჰომოგენიზაცია** გულისხმობს კულტურების გაერთიანებას, შერწყმას ისეთნაირად, რომ წარმოიშვება ერთი, არაეროვნული, კოსმოპოლიტური, გლობალური კულტურა. ხდება კულტურის გაერთფეროვნება და ხალხები სულ უფრო და უფრო ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი კულტურით. სწორედ ასე ესახებათ გლობალისტებს კულტურის მომავალი.

მაგრამ, ბუნებრივია, კულტურების ჰომოგენიზაცია შეუძლებელია ისე მოხდეს, რომ რომელიმე კულტურის დომინანტი არ ფიგურირებდეს. სწორედ ამიტომ, როცა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კულტურის ჰომოგენიზაციაზეა ლაპარაკი, ბევრის მიერ ის აღიქმება როგორც დასავლეთის კულტურული იმპერიალიზმი – ვესტერნიზაცია, უფრო კონკრეტულად კი ამერიკანიზაცია.

ბოლო საუკუნეებში დასავლეთის დაწინაურებამ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად, ჩამოაყა-

ლიბა ღირებულებათა სისტემა, რომელიც დასავლეთში აღიქმება უნივერსალურ და ერთადერთ ჭეშმარიტ სისტემად. ამიტომ ყველა სხვა შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება დასავლურს ითვლება უცხოდ და მიუღებლად. ამოცანა სწორედ ისაა, რომ მოხდეს დასავლური აზროვნების, დასავლური ფასეულობების და დასავლური ცხოვრების სტილის საყოველთაო, გლობალური გავრცელება. მსოფლიოს უნდა ეცვას, ჭამდეს, ფიქრობდეს, აფასებდეს ისე, როგორც დასავლეთი. რა თქმა უნდა, ამას ძალით არავინ ახორციელებს, მაგრამ დღევანდელი კომუნიკაციის პირობებში (და ესეც დასავლეთის მიღწევაა) უბრძოლველად, უსისხლოდ, შეპარვით და შეუმჩნევლად ხდება დასავლური ცხოვრების სტილის დამკვიდრება.

მაგრამ თვითონ დასავლეთიც არ არის ჰომოგენური და დასავლურ ეროვნულ კულტურებს შორისაც საკმაო განსხვავებაა. ამიტომ თვით დასავლურ კულტურებს შორის დაპირისპირებისას უპირატესობა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნის, აშშ-ის მხარეზეა. შესაბამისად ამერიკული კულტურის დომინანტი უდავოა და ვესტერნიზაცია უპირველეს ყოვლისა ამერიკანიზაციაა. ამერიკელები ამაში არაბუნებრივს არაფერს ხედავენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ამერიკული კულტურა უკვე თვითონვე წარმოადგენს სინთეზურ კულტურას, რომელიც სხვადასხვა (მათ შორის ზოგიერთი არადასავლური) კულტურების შერწყმის შედეგად წარმოიშვა.

ცხადია, სულ სხვაგვარად აღიქვამენ დასავლურ და კერძოდ, ამერიკული კულტურის მოძალებას არადასავლური ცივილიზაციები. მათთვის ამერიკული მუსიკა თუ ტელესერიალები, მაკდონალდსი თუ კოკა-კოლა, ჰოლივუდი თუ CNN, და, რაც მთავარია, ამერიკული ლიბერალიზმი და დემოკრატია არის ის იარაღი, რომლითაც ნადგურდება მათი ცივილიზაცია, ეროვნული კულტურები, რელიგია, თვითმყოფადობა და იდენტურობა. ამიტომაც სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში ჩნდება აშკარად ექსტრემისტული ნაციონალისტური თუ რელიგიური ჯგუფები, რომელთა მიზანი ამერიკის და საერთოდ დასავლეთის გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლაა. მარტო ისლამისტური ორგანიზაციების გახსენებაც კი საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ის მასშტაბები, რაც დასავლური კულტურული იმპერიალიზმის გავრცელებას და მის საწინააღმდეგო მოქმედებებს მოჰყვა.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა მულტიეთნიკური და შესაბამისად მულტიკულ-

ტურულია. როდესაც ასეთ ქვეყანაში რომელიმე ეროვნული კულტურა დომინირებს, დანარჩენი ეთნოკულტურების წარმომადგენლებისთვის სწორედ ის უცხო, შორეული, გლობალური (ანუ დასავლური, თუნდაც ამერიკული) კულტურა შეიძლება უფრო მისაღები იყოს, ვიდრე თავისივე ქვეყანაში დომინირებული ეროვნული, მაგრამ მისთვის უცხო კულტურა. როგორც არჯუნ აპადურაი აღნიშნავს, „ირიან ჯაიას ხალხისთვის სავარაუდოა, რომ ინდონეზიზაცია უფრო მიუღებელი და საშიშია, ვიდრე ამერიკანიზაცია, ასევე კორეელებისათვის – იაპონიზაცია, შრილანკელებისთვის – ინდიზაცია, კამბოჯელებისთვის – ვიეტნამიზაცია, ხოლო სომხებისთვის – რუსიზაცია“ (ციტირებულია Holton, 1998, p. 170).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი, კერძოდ ისინი, რომლებიც გლობალიზაციის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებაში არიან, თვლიან, რომ კულტურის ჰომოგენიზაცია ჩვეულებრივი მითია, რეალურად კი ხდება სულ სხვა პროცესი, რომელსაც კულტურის პოლარიზაცია შეიძლება ეწოდოს.

**პოლარიზაციის** ცნება გაიგება, როგორც კულტურების არათუ დაახლოების და შერწყმის პროცესი, არამედ პირიქით, მათი მზარდი ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთწინააღმდეგობა. ამ მიმართულების მიმდევრები თვლიან, რომ გლობალიზაციის პროცესმა უკუშედეგი მოიტანა და ეროვნული კულტურები ერთმანეთს დააშორა, მეტიც, ისინი ერთმანეთის მიმართ მტრულად ჩამოაყალიბა.

იმ ავტორთა შორის, რომლებიც გლობალიზაციაში კულტურის პოლარიზაციას ხედავენ, პირველ რიგში სამუელ ჰანტინგტონი და ბენჯამენ ბარბერი უნდა აღინიშნოს. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ (Huntington, 1996) ერთ-ერთ პოპულარულ წიგნად იქცა, სადაც ავტორი მსოფლიოს მთავარ საფრთხეს ცივილიზაციათა ომში, კერძოდ, დასავლურ და ისლამურ-კონფუციურ ცივილიზაციათა დაპირისპირებაში ხედავს. ბარბერი კი თავის მონოგრაფიაში „ჯიჰადი და Mc მსოფლიო“ [Barber, 1995] (აქ Mc მაკდონალდსის მნიშვნელობითაა და მსოფლიოს მაკდონალდსიზაციას ანუ ამერიკული ფასეულობის გლობალურ გავრცელებას გულისხმობს) თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დინამიკას იმ წინააღმდეგობაში ხედავს, რომელიც, ერთი მხრივ, გლობალურ მომხმარებლობით კაპიტალიზმს, კომერციულ ეშმაკობებს, ტექნოლოგიას, პოპკუ-

ლტურასა და დისნეის, ხოლო, მეორე მხრივ, ტომობრიობას, ეთნიკურობას, რელიგიურობას და გამორჩეულობის თვითრწმენას შორის წარმოიშვა.

ამ ორი თითქოსდა ემოციების დონეზე დაწერილი შრომის საფუძველი არის მკაცრი ნორმატიული და ფასეულობაზე ორიენტირებული მიდგომა. ბარბერისათვის მაკმსოფლიოსა და ჯიჰადს შორის პოლარიზაციის პრობლემა ისაა, რომ ორივე ძალა მტრულად არის განწყობილი დემოკრატიზაციისადმი. პირველი გლობალური ეკონომიკური სიძლიერის, მეორე კი ყოველივე განსხვავებულისადმი ფუნდამენტური მიუღებლობისა და სიძულვილის გამო. ჰანტინგტონისთვის კი გამორიცხულია სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის მორალური თანაბარუფლებიანობა.

ჰანტინგტონი დუმილით უვლის გვერდს იმ ფაქტებს, რომ ყველაზე უფრო ექსტრემისტი ანტივესტერნისტებიც კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იყენებენ დასავლურ ტექნოლოგიებს – კომპიუტერს, ინტერნეტს, მობილურ ტელეფონებს, ვიდეოაპარატურას, ტელევიზორს, რომ არაფერი ვთქვათ დასავლურ სამედიცინო ტექნოლოგიებზე და, რაც მთავარია, სამხედრო ტექნიკაზე, რომლითაც ისევ დასავლეთს უნდა ებრძოლონ.

ბარბერი, პირიქით, ხაზს უსვამს დაპირისპირებული მხარეების ურთიერთგადახლართვას და ურთიერთში შეღწევას. იგი წერს: „ირანელ ფანატიკოსს ერთი თვალი მიპყრობილი აქვს მოლასაკენ, რომელიც საღვთო ომისკენ მოუწოდებს, მეორეთი კი რუპერტ მერდოკის „star tv“-ში „დინასტიას“, დონაჰიუს და სიმპსონებს მისჩერებია. ჩინელი მეწარმეები ერთმანეთს ეცილებიან, რომელი მიიპყრობს პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღებას და იმავდროულად თვალს ადევნებენ KFC-ის პრივილეგიებს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც იბრძვის ძველი სარწმუნოების ნებისმიერი განახლების წინააღმდეგ, კალიფორნიელ ბიზნესმენებთან ერთად სარისკო საქმეში ებმება ნატურალური წყლების ჩამოსხმისა და გაყიდვის სახით. ორთოდოქსი ჰასიდები და პირწავარდნილი ნეონაცისტები, ორივენი, როკ-მუსიკას მიმართავენ, როცა ახალი თაობის წინაშე წარსდგებიან ხოლმე“ (**Barber**, 1995, p.5).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კულტურების სრული პოლარიზაცია ისევე შეუძლებელია, როგორც სრული ჰომოგენიზაცია. ამიტომ საკმაოდ ბევრი მკვლევარი უარყოფს რა კულ-

ტურის ჰომოგენიზაციასაც და პოლარიზაციასაც, მხარს უჭერს მესამე გზას, რომელსაც კულტურის ჰიბრიდიზაციას უწოდებენ.

**ჰიბრიდიზაცია.** ამ ცნებაში იგულისხმება ცალკეული კულტურების დაახლოება, ურთიერთგამდიდრება და ურთიერთშერწყმა ისეთნაირად, რომ ეროვნული ხასიათი არ იკარგება. იგი უბრალოდ ინოვაციას განიცდის და სხვა ეროვნული კულტურების ელემენტებით ივსება.

ასეთი კულტურის ჩამოყალიბების მიზეზი ხალხთა, იდეათა და ღირებულებათა ინტენსიური მოძრაობაა, რომელიც პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს არ სცნობს. იგი ზოგჯერ იძულებითია (მაგ., მონებით ვაჭრობა, რამაც აფრიკული მუსიკალური ტრადიციები შეიტანა ამერიკაში), ზოგჯერ ბაზარი მართავს (ნებაყოფლობითი მიგრაციები, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოუტანა ამერიკულ, ევროპულ თუ ავსტრალიურ კულტურას). კულტურული ჰიბრიდიზაციის მაგალითებია ბანგრა მუსიკა ბრიტანეთის აზიური წარმოშობის ახალგაზრდებში, რომელიც ინდური მუსიკისა და ევროპული საცეკვაო რიტმების კომბინაციაა, ანდა რაი მუსიკა, რაც არაბული სიმღერებისა და დასავლური პოპის სინთეზია. გერმანელი მკვლევარი უ. ბეკი კულტურული გლობალიზაციის საუკეთესო დადასტურებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ 1997 წელს საფრანგეთის პოპ-მუსიკის ფესტივალზე სწორედ რაი მუსიკის „მეფის", ალჟირიდან ემიგრირებული მომღერლის ჰალედის სიმღერა „აიშამ" გაიმარჯვა და ეს სიმღერა ყოველდღე გადაიცემა საფრანგეთის მთავარი რადიოსადგურებით. ბეკის აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფრანგულ ნაციონალურ კულტურაში მაღრიბული ელემენტი დამკვიდრდა, ხოლო ჰალედი უცხოელების თვალში საფრანგეთს გამოხატავს და არა ალჟირს (**Бек, 2001, с.40**).

კულტურის ჰიბრიდიზაცია არ ნიშნავს კოსმოპოლიტიზაციას და დეტერიტორიზაციას. ჰიბრიდიზაციის დროს კულტურა ეროვნულობას ინარჩუნებს. დღევანდელი ფრანგული კულტურა უკვე უხვად შეიცავს არაბული (მაღრიბული) და აფრიკული კულტურების ელემენტებს. სავსებით სხვა მდგომარეობა იყო ასი წლის წინ, როცა ფრანგულ კულტურაში ამ ელემენტებზე საუბარს უბრალოდ უაზრობად თვლიდნენ. მაგრამ მაშინაც და დღესაც ეს ფრანგული ეროვნული კულტურაა და არავის მოუვა აზრად იგი კოსმოპოლიტურ კულტურად მიიჩნიოს.

იგივე შეიძლება ითქვას დეტერიტორიზაციაზე. ევროპაში და ამერიკაში მიგრირებული აზიელები თუ აფრიკელები, მიუხე-

დავად თავიანთ კულტურაში ევროპული ელემენტის შემოსვლისა, ხშირად უფრო ნაციონალისტური იდეებით და მოქმედებებით გამოირჩევიან, ვიდრე მათი სამშობლოში დარჩენილი თანამემამულეები (მაგ., ქურთები, სომხები და ა. შ.). ასე რომ, კულტურის ჰიბრიდიზაცია, რომელიც ხელს არ უშლის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას და ხშირად განმტკიცებასაც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო შეესფერება კულტურული გლობალიზაციის დღევანდელ სურათს.

ენტონი სმიტი გლობალურ კულტურაში, რომელიც ახლა ყალიბდება და მისი აზრით მომავალში მართლაც საყოველთაო, გლობალური გახდება, სამ თავისებურებას ხედავს. ესაა მისი *უნივერსალურობა, ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა* (Smith, 1995, p.20).

**უნივერსალურობა** გამოიხატება მის საყოველთაობაში. არც ერთი აქამდე არსებული იმპერიული და ერთი შეხედვით „კოსმოპოლიტური"კულტურა უნივერსალურობას ვერ დაიჩემებს. ჩინეთის, რომის, ბიზანტიის, თუ საბჭოთა იმპერიების კულტურები, ანდა მსოფლიო ცივილიზაციები (ბუდისტური, ისლამური, ქრისტიანული) გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული და თავიანთი დრო და ადგილი ჰქონდა. დღევანდელი და ხვალინდელი გლობალური კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში დასავლეთ ევროპასთან და ჩრდილოეთ ამერიკასთან ასოცირდება, ძნელად ექვემდებარება დროში და სივრცეში განსაზღვრას.

**ტექნიკურობაში** იგულისხმება, რომ დღევანდელი გლობალური კულტურა პირველი წმინდა ტექნიკური ცივილიზაციაა. კულტურის ეთნიკური და ნაციონალური ელემენტების მიმართ იგი ძირითადად ნეიტრალურია. იგი ემყარება თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს, ტექნოლოგიურ ბაზას, კომუნიკაციურ სისტემებს, რაც ქმნის ურთიერთზე დამოკიდებულ სოციალურ ქსელებს, რომლებიც თავის გამოხატულებას სტანდარტიზებულ, ტექნიკურ, ხშირად რაოდენობრივ ფორმაში პოულობენ. ამით აიხსნება ტექნიკური ინტელიგენციის გადამწყვეტი როლი თანამედროვე (უფრო სწორად გვიანი მოდერნიზმის) ეპოქაში და მის მიერ ჰუმანიტარული და ნაციონალისტური ინტელექტუალების შევიწროება.

გლობალური კულტურა **დროის გარეშე** კულტურაა. მას არა აქვს ისტორიული ფონი, განვითარების რიტმი, არა აქვს

დროის და თანამიმდევრობის გრძნობა. ასეთმა ხელოვნურმა, არაბუნებრივმა გლობალურმა კულტურამ შეიძლება წარსული უბრალოდ ილუსტრაციის მიზნით და ეკლექტიკური კაპრიზების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს, თვითონ კი უარს ამბობს ადგილზე ისტორიაში. უარყოფს რა განვითარების ისტორიულ ფესვებს, გლობალური კულტურა არის უფორმო, ყველგან არსებული და ზედაპირული.

როგორც ვხედავთ, სმიტის შეფასება საკმაოდ კატეგორიულია. ბუნებრივია, ასეთი მკვეთრი დასკვნები არ შეიძლება საწინააღმდეგო მოსაზრებებს არ იწვევდეს. განსაკუთრებით საკამათოა იმის მტკიცება, რომ გლობალურ კულტურას ისტორიული ფესვები არ აქვს. მრავალი ავტორი პირიქით ამტკიცებს, რომ კულტურის გლობალიზაციას მრავალი ისტორიული ანალოგი მოეძებნება. ამდენად, საინტერესო იქნება ამ საკითხზეც შევჩერდეთ.

## 8.2. კულტურის გლობალიზაცია ისტორიულ რეტროსპექტივაში

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის გლობალიზაცია, იმ მნიშვნელობით, რაც ამ ცნებაში იგულისხმება, უდავოდ ახალი ფენომენია და სულ რამდენიმე ათწლეულს მოიცავს, კულტურების ურთიერთშერწყმა, მათი დიფუზია ყოველთვის მიმდინარეობდა და ამ პროცესის გარეშე ნებისმიერი ეროვნული კულტურის განვითარება შეუძლებელია. ერთ-ერთი ეთნოლოგიური თეორია – დიფუზიონიზმი – საერთოდ ნებისმიერი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების და განვითარების მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორად კულტურათა დიფუზიას მიიჩნევს და თვლის, რომ იზოლირებულად წარმოშობილი და განვითარებული კულტურები საერთოდ არ არსებობს.

მაგრამ კულტურული დიფუზიისაგან განსხვავებით, კულტურული გლობალიზაცია კულტურათა შერწყმას კი არ გულისხმობს, არამედ ერთიანი ზენაციონალური, გლობალური კულტურის ჩამოყალიბებას. ამდენად, კითხვა ასე ისმის: იყო თუ არა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მომენტები, როცა ადგილი ჰქონდა ერთიანი, ზენაციონალური კულტურის ჩამოყალიბებას და გავრცელებას? ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი

ნაწილი ამ კითხვას დადებითად პასუხობს და რამდენიმე ასეთ მომენტს ასახელებს:

**მსოფლიო რელიგიები.** ნებისმიერი რელიგია რწმენას ეროვნებაზე და სახელმწიფოზე მაღლა აყენებს და ყოველგვარი იდეა, ქმედება თუ ღირებულება, რაც მის დოგმებს ეწინააღმდეგება, მიუღებლად მიაჩნია. როცა ქრისტიანობა, ბუდიზმი ან ისლამი ვრცელდებოდა ამა თუ იმ ხალხში, აუცილებელი იყო ხალხს უარი ეთქვა იმ წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე და იდეებზე, რომლებიც მათთვის ახლობელი და წინაპრებიდან მომდინარე იყო, მაგრამ ახალ სარწმუნოებას არ შეესაბამებოდა. ე. ი. ხალხი უარს ამბობდა ეროვნული კულტურის საკმაოდ დიდ ნაწილზე და მის ნაცვლად ახალ, რელიგიურ კულტურას ითვისებდა. ეს კულტურა კი ზეეროვნული და ზესახელმწიფოებრივი იყო. რელიგიური მორალიდან გამომდინარე, მხოლოდ შენივე სარწმუნოების ადამიანია შენი სულიერი ძმა და იგი უფრო ახლობელია რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, ვიდრე შენი ეროვნების ის წარმომადგენელი, რომელიც სხვა სარწმუნოებას აღიარებს.

აქედან გამომდინარე, რომელიმე რელიგიის გავრცელება უკვე თავისთავად იყო თავისებური „რელიგიური გლობალიზაცია". ისლამი, მაგალითად, საერთოდ უარყოფს ეროვნულ დაყოფას და ყველა მუსლიმანი ერთიანი საზოგადოების „უმმას" წევრად მიაჩნია. შესაბამისად არსებობს ერთიანი ისლამური საზოგადოება, მუსლიმანი ხალხი და ისლამური კულტურა, ხოლო საკუთარ ენებზე ლოცვა კატეგორიულად აკრძალულია და ამ მიზნით მხოლოდ არაბული ენა გამოიყენება. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტიანულ რელიგიაზე. განსაკუთრებით კი კათოლიციზმზე, სადაც წირვა-ლოცვა მხოლოდ ლათინურ ენაზე უნდა შესრულებულიყო. ეს თავისებური ენობრივი გლობალიზაციის მაგალითებია.

ცხადია, ვერავინ ვერ უარყოფს ქრისტიანული (მის შიგნით კი მართლმადიდებლური, კათოლიკური, პროტესტანტული), ისლამური, ბუდისტური, ინდუისტური, კონფუციანური კულტურების არსებობას. არც ის არ არის ხადავო, რომ ერთი და იმავე რელიგიის მიმდევარი ხალხების კულტურებს გაცილებით მეტი აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე სხვა რელიგიის კულტურებთან (მაგ., ქართველი, რუსი, ბერძენი, რუმინელი საერთო მართლმადიდებლური კულტურის მატარებლები არიან და ერთმანეთთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ფრანგებთან,

ინგლისელებთან, ამერიკელებთან და მით უმეტეს არაბებთან და იაპონელებთან). მაგრამ ეროვნული კულტურების სრული შერწყმა და ერთიანი ზენაციონალური რელიგიური კულტურების წარმოქმნა მაინც არ მოხდა. ქართული კულტურა, მაგალითად, საგრძნობლად განსხვავდება ასევე მართლმადიდებლური ბულგარული ან სერბული კულტურისაგან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ერთი და იგივე სარწმუნოების, მაგრამ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კულტურების შესახებაც. მაშასადამე, კულტურის გლობალიზაცია საშუალოდ რელიგიამ ვერ შეძლო, თუმცა სწორედ მან ითამაშა ყველაზე დიდი როლი იმ პროცესებში, რომლებსაც დღეს გლობალიზაციას ვუწოდებთ.

**იმპერიები**. მსოფლიო ისტორიაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ცალკეულ იმპერიებში ხორციელდებოდა მიზანმიმართული (ზოგჯერ კი სტიქიური) პროცესი, რომლის მიზანიც იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური განსხვავების წაშლა იყო, რათა წარმოქმნილიყო ერთიანი ხალხი საერთო თვითშეგნებით, ენით, რელიგიით და კულტურით. მართალია, ასეთ შემთხვევაში უფრო გაბატონებული ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვა ხალხების ასიმილაციასთან გვაქვს საქმე, და არა ეროვნებების წაშლა, არამედ ერთი ეროვნების გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა ხდებოდა ხოლმე. მაგრამ მაინც ეს პროცესი გარკვეულად ემსგავსება დღევანდელ კულტურულ გლობალიზაციას (დღესაც ხომ ბევრს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია სხვა არაფერია თუ არა ამერიკანიზაცია).

ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, სადაც ერთიანი იმპერია ფაქტიურად შექმნისთანავე დაიშალა და ცალკეული სახელმწიფოები წარმოიშვა, ადგილი ჰქონდა აღმოსავლური და ბერძნული კულტურების უნიკალურ სინთეზს, რაც ელინიზმის სახელითაა ცნობილი. ელინისტური კულტურა ფაქტიურად ერთიანი კულტურაა, საერთო ოფიციალური და ლიტერატურული ენით (ბერძნული) და ერთიანი ღირებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ელინისტური სახელმწიფოების მოსახლეობა ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი იყო და ადგილობრივი ენობრივ-კულტურული განსხვავებები საკმაოდ საგრძნობი, საერთო ელინისტური კულტურა სრულიად აშკარად გამოკვეთილი ფენომენია და იგი კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთ პირველ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ.

კულტურული გლობალიზაციის აშკარა ნიშნები იგრძნობოდა რომის იმპერიაში. მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიჭრელისა, აქ ეს პროცესი საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა. დაპყრობილი და შემოერთებული ტერიტორიების საბოლოო დამორჩილება და იმპერიის ნაწილად გადაქცევა იმდენად სამხედრო ძალით არ ხდებოდა, რამდენადაც რომაული კულტურისა და ლათინური ენის დამკვიდრებით. რომი ამას ახერხებდა იმით, რომ ომით დაკავებულ ტერიტორიებზე მმართველ ელიტას იმავე პოზიციებზე ტოვებდა, რომლებზეც იმყოფებოდნენ და ცდილობდა მათ კულტურულ და პოლიტიკურ ინკორპორაციას რომის სახელმწიფოში. შედეგი თვალსაჩინო იყო, ხდებოდა შემოერთებული ხალხების (განსაკუთრებით განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი ეთნიკური ჯგუფების, რომლებისთვისაც სახელმწიფოებრიობა და დამწერლობა უცნობი იყო) მასობრივი რომანიზაცია, ლათინიზაცია და რომაული კულტურის სამყაროში ჩართვა.

შუა საუკუნეებში იგივე პროცესი ხდებოდა ბიზანტიის იმპერიაში, სადაც მართლმადიდებლური რელიგიისა და ბერძნული ენის საფუძველზე ხდებოდა იმპერიის ფარგლებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერწყმა ერთიან კულტურად და ერთიან ეთნოსად. კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ეს პროცესი არაბთა ხალიფატში, სადაც ისლამური რელიგია და არაბული ენა იქცა იმ ფაქტორებად, რომლებმაც უამრავი სხვადასხვა ხალხი და ტომი გააერთიანეს ერთ ეთნოკულტურულ ერთობად. ცოტა მოგვიანებით მსგავსი მოვლენები განვითარდა ოსმალეთის იმპერიაშიც, როცა ჩამოყალიბდა თურქი ეთნოსი და მასში მრავალი ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფის ჩართვა მოხდა.

ახალ პერიოდში უნდა აღინიშნოს ბრიტანეთის იმპერია, რომელიც, ალბათ, ყველაზე გლობალური იმპერია იყო ისტორიაში. განსხვავებით ზემოთ ხსენებული ანტიკური და შუა საუკუნეების იმპერიებისაგან, იგი არ წარმოადგენდა სახმელეთო, კომპაქტურ და ტერიტორიულად ერთიან სივრცეს, არამედ შეადგენდა ერთმანეთისაგან ზღვით დაშორებულ, სხვადასხვა კონტინენტებზე მდებარე ხალხებისა და ქვეყნების კონგლომერატს, რომლებიც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავიანთი ენებით, რელიგიით, კულტურით და მენტალიტეტით. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელი იყო მათი ისეთნაირად დაახლოება, რომ რაღაც საერთო სოციალურ-

კულტურული ერთობა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ კულტურების ჰიბრიდიზაცია უდაეოდ ხდებოდა. ეს პირველ რიგში ეხება ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელებას იმპერიაში და ინგლისური განათლების სისტემის დანერგვას. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ელიტის შვილები უმაღლეს განათლებას იღებდნენ რა კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში, შემდეგ ცდილობდნენ თავიანთ ქვეყნებში ისეთი რეფორმები გაეტარებინათ, რაც მათ „ევროპიზაციას" შეუწყობდა ხელს. ბრიტანეთის იმპერიის ცალკეული ნაწილების ურთიერთდაკავშირებასა და ურთიერთდაახლოებაში დიდი როლი ითამაშა ტექნიკურმა პროგრესმა, კერძოდ, ტელეგრაფმა. მის შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთი ტელეგრაფის კაბელით დაუკავშირდა ერთი მხრივ ჩრდილოეთ ამერიკას, ხოლო მეორე მხრივ ინდოეთისა და ინდოჩინეთის გავლით ავსტრალიას, ინფორმაციების გაცვლა მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის სწრაფი და ყოველდღიური გახდა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ინგლისური ენისა და ინგლისური კულტურის ფართოდ გავრცელებისათვის.

ბრიტანეთის იმპერიისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერია ტერიტორიულად კომპაქტური სახმელეთო იმპერია იყო. ამიტომ მასში შემავალ ეთნიკურად არარუსულ ტერტორიებს კოლონიების სტატუსი არ ჰქონია და უშუალოდ იყო მიერთებული იმპერიას. შესაბამისად ავტონომიაზე და განსხვავებულ პოლიტიკაზე არარუსულ ტერიტორიებზე ლაპარაკიც კი გამორიცხული იყო. ერთადერთი ოფიციალური პოლიტიკა ეროვნებების მიმართ რუსიფიკაცია იყო. როგორც განათლების, ისე საქმეთწარმოების ენა მთელს იმპერიაში რუსული უნდა ყოფილიყო. ამ პოლიტიკას გარკვეული წარმატება ჰქონდა იმ ხალხების მიმართ, რომლებსაც ისტორიულად არასოდეს ჰქონიათ თავიანთი სახელმწიფო ან პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული და წარმართულ ანდა მართლმადიდებლურ რელიგიებს აღიარებდნენ (ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხები, აგრეთვე უკრაინელები და ბელორუსები). დანარჩენ ხალხებში რუსიფიკაცია დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ერთი მხრივ ისლამური სარწმუნოების ძლიერი, ხშირად ფანატიზმამდე მისული პოზიციების გამო (ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიის და აზერბაიჯანის მოსახლეობა), მეორე მხრივ სხვა უფრო დაწინაურებული ცივილიზაციისადმი კუთვნილების გამო (ბალტიის-

პირეთი, ფინეთი, პოლონეთი) და მესამე მხრივ ძველი სახელმწიფოებრიობისა და კულტურული ტრადიციების არსებობის გამო (ქართველები, სომხები). ასე რომ, მიუხედავად მიზანდასახული მცდელობისა, საერთო რუსეთული კულტურა ვერ ჩამოყალიბდა, თუმცა იმპერიის ხალხების კულტურების გარკვეული დაახლოება რუსულ კულტურასთან და ზოგიერთი საერთო ნიშნის წარმოქმნა უდავოდ მოხდა.

კიდევ უფრო ინტენსიურად ხდებოდა ასიმილაციისა და ეთნოსთშორისი ინტეგრაციის პროცესების არათუ წახალისება, არამედ ხშირ შემთხვევაში შემუშავება და განხორციელება საბჭოთა იმპერიაში. ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა აცხადებდა, რომ შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა „საბჭოთა ხალხი", რაც ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბების წინაპირობად ცხადდებოდა. აშკარა ფაქტად მიიჩნევოდა ერთიანი საბჭოთა კულტურის არსებობა, რომელიც შინაარსით სოციალისტური, ფორმით კი ეროვნული (მრავალეროვნული) იყო. ამგვარად, ის, რაც ოფიციალურად აღიარებული იყო და რისი პროპაგანდაც ხდებოდა, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ კულტურული გლობალიზაციის გამოვლინებად ერთი ქვეყნის ფარგლებში. სხვა საკითხია, რომ საბჭოთა ხალხი და საბჭოთა კულტურა უფრო კომუნისტური პროპაგანდა იყო, ვიდრე რეალობა, მაგრამ ასევე აბსოლუტურად არასწორია ამ პროცესის უარყოფა. საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 75 წლის მანძილზე, მართლაც ჩამოყალიბდა ხალხის რაღაც რაოდენობა, რომელსაც საბჭოთა ხალხი შეიძლება ეწოდოს. ისინი რეალურად არ მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულად რომელიმე ეროვნებას და არ იყვნენ რომელიმე ეროვნული კულტურის მატარებლები. მათთვის სამშობლო მთელი საბჭოთა კავშირი იყო და არა რომელიმე რესპუბლიკა. ცხადია, მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსულად ლაპარაკობდა და რუსულ განათლებას იღებდა, მაგრამ თავს რუსებად არ მიიჩნევდნენ. ზოგადად ისინი რუსულენოვან (русскоязычное) მოსახლეობად იწოდებოდნენ და საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად ითვლებოდნენ ეროვნულ რესპუბლიკებში. მათი რიცხვი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და საბოლოოდ უნდა გადაქცეულიყვნენ კიდეც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობად. ამ პროცესს ბევრი რუსიფიკაციის თანამედროვე ვარიანტად თვლიდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ გარკვეული საბჭოთა კულტურული (და არა მარტო კულტურული) გლობალიზაცია აშკარად ხდებოდა, სადავო არ უნდა იყოს.

**იდეოლოგიები.** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც საგრძნობი როლი ითამაშა კულტურის გლობალიზაციაში არის არარელიგიური, სეკულარული იდეოლოგიების წარმოქმნა და გავრცელება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი პოლიტიკური იდეოლოგიები, როგორიც სოციალიზმი და ლიბერალიზმია.

სოციალიზმი და კერძოდ მისი უკიდურესი, მარქსისტული ვარიანტი – კომუნიზმი – სათავეს XIX საუკუნის ევროპული კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციისგან იღებს და გულისხმობს როგორც ფილოსოფიურ, თეორიულ მოძღვრებას, ისე პრაქტიკულ ქმედებას და ბრძოლას. იგი ძალიან სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ეკონომიკურად და კულტურულად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებსა და რეგიონებში. თუმცა მან საკმაო ცვლილებები განიცადა ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე და დღეს შეიძლება ლაპარაკი ისეთ ცნებებზე, როგორიცაა საბჭოთა, ჩინური, იუგოსლავიური თუ დასავლეთ ევროპული კომუნიზმი, ანდა აფრიკული, არაბული და ლათინურ-ამერიკული სოციალიზმი, ზოგადად იდეები საერთოა და ამდენად იგი ერთიან იდეოლოგიად წარმოჩინდება.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომ ისტორიის განვითარების ობიექტური კანონებიდან გამომდინარე, მსოფლიო რევოლუციურ პროცესში პროლეტარიატის გამარჯვება გარდაუვალია და შესაბამისად მთელს მსოფლიოში დამყარდება უკლასო, სოციალისტური საზოგადოება. სოციალისტური მსოფლიო სისტემა, რომელიც მთელს დედამიწას მოიცავს, შემდგომი განვითარების და სრულყოფის შესაბამისად გარდაიქმნება მსოფლიო კომუნისტურ სისტემად. როცა მთელს მსოფლიოში კომუნიზმი გაიმარჯვებს, თავისთავად გამოირიცხება სახელმწიფოების არსებობის აუცილებლობა. პოლიტიკური საზღვრები აღარ იარსებებს და ერთი ადგილიდან მეორეში მიმოსვლა თუ საქონლის გაცვლა უპრობლემო იქნება. ეკონომიკური განსხვავებები განვითარების დონეში მოისპობა, ყველგან სიუხვე და სიმდიდრე იქნება და წარმოება მოთხოვნილების შესაბამისი გახდება. ფულის არსებობა აზრს დაკარგავს. ყოველივე ამის შედეგად კულტურული განსხვავებები ხალხებს შორის მოისპობა, ჩამოყალიბდება ერთი საერთო ენა, რომელიც არა დღეს არსებული რომელიმე ენა, არამედ ახალი, სინთეზურ საფუძველზე წარმოშობილი ენა იქნება.

ყოველივე ამის შედეგად კი ერების გაქრობა და მათი თანდათანობითი შერწყმა ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთიანი კულტურის მქონე ახალ ერად გარდაუვალი გახდება.

ზემოაღნიშნული დებულება (სხვა საქმეა, რომ იგი ფაქტიურად სრული უტოპია გამოდგა და მიუხედავად უამრავი ბრძოლისა და მსხვერპლისა კრახით დასრულდა) კლასიკური მაგალითია სრული გლობალიზაციისა. ამგვარად, თუ თანამედროვე გაგებით გლობალიზაციის ანალოგებს წარსულში დავუწყებთ ძიებას, მარქსიზმი ალბათ ყველაზე ნათელი და შესაფერისი მაგალითი იქნება.

რაც შეეხება ლიბერალიზმს, იგი უკვე დიდი ხანია წარმოადგენს დასავლური ფასეულობების მსოფლიოში გავრცელებისა და დამკვიდრების იდეოლოგიას. დასავლური ლიბერალიზმის ისეთი დებულებები, როგორიცაა დემოკრატია, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები, თვითგამორკვევა და სხვ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხებია და საერთაშორისო სამართლის ნორმად იქცა. ლიბერალიზმის სულ უფრო და უფრო მკვიდრად დამკვიდრება მსოფლიოს ისეთ რეგიონებში, სადაც ადრე სულ სხვა იდეოლოგიები იყო გაბატონებული, უეჭველი ფაქტია. სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს ლიბერალიზაცია მიიჩნევა გლობალიზაციის აუცილებელ პირობად. მეტიც, „დემოკრატიული მშვიდობის" თეორიის თანახმად, თუ ყველა ქვეყანაში ლიბერალური რეჟიმი იქნება, ომი სახელმწიფოთა შორის გამორიცხულია. ეს კი მთავარი ხელშემწყობი პირობა იქნება მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაახლოებისთვის. ასე რომ, ლიბერალიზმი გლობალიზაციის წინაპირობაა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიბერალიზმისა და კერძოდ, დასავლური ფასეულობების გავრცელება არადასავლურ ქვეყნებში ხშირად ვესტერნიზაციად და ახალ იმპერიალიზმად აღიქმება, რაც მძაფრ უკურეაქციას იწვევს, ნაციონალიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის აფეთქების წყარო ხდება.

## 8.3. თანამედროვე კულტურული გლობალიზაციის ფორმები

თანამედროვე კულტურული გლობალიზაცია, როგორც რთული და მრავალმხრივი პროცესი თავს იჩენს სხვადასხვა ფორმით. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: უპრეცედენტო მასშტაბის ახალი გლობალური ინფრასტრუქტურები; კულტურული გაცვლა-გამოცვლის გაზრდა და დაჩქარება; დასავლური მასობრივი კულტურის როლის ზრდა გლობალურ კულტურულ ურთიერთობებში; კულტურული პროდუქციის წარმოებაში მულტინაციონალური კომპანიების როლის ზრდა; გლობალური კულტურული ურთიერთმოქმედებების გეოგრაფიის ცვლილება მეორე მსოფლიო ომამდელ სურათთან შედარებით და სხვ. ეს ზოგადი ნიშნები გამოიხატება როგორც მთლიანად კულტურასთან მიმართებაში, ისე კულტურის ცალკეული სფეროების მიმართაც.

### *8.3.1. გლობალური ინფრასტრუქტურები: ტელეკომუნიკაციები და ინტერნეტი*

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი აღინიშნება რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებებით, ტელეკომუნიკაციების ექსპლუატაციის თვალსაზრისით. ეს ცვლილებები უპირველეს ყოვლისა ტექნოლოგიური სიახლეებით იყო გამოწვეული, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ტელეკომუნიკაციების მოცულობა და სისწრაფე. თვისებრივად ახალი ტექნოლოგიის სადენებს და კაბელებს შეეძლოთ ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა მყისიერად გადაეტანათ ნებისმიერ წერტილში. სწორედ ამ ახალი სისტემების დანერგვამ დაუდო საფუძველი ინფორმაციულ გლობალიზაციას.

პირველი ახალი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა, იყო ტელექსი, რომელიც საშუალებას იძლეოდა ტექსტის ორმხრივი ურთიერთგაცვლისა, ნაცვლად ომამდე არსებული ტელეგრაფის ცალმხრივი მიმართულებისა. შემდეგ ტრანსატლანტიკური სატელეფონო კაბელის გაყვანამ ტელეგრაფი და ტელექსი ტელეფონით შეცვალა საერთაშორისო კომუნიკაციებში. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ტელეკომუნიკაციების რაოდენობა 80–90-იან წლებში.

1983 წელს მოქმედებდა 22 ათასი ტრანსატლანტიკური და 2 ათასი ტრანსპასიფიკური (წყნარი ოკეანის გადამკვეთი) კაბელი, ხოლო 1996 წელს შესაბამისად 1264 ათასი და 864 ათასი. იმავე პერიოდში სატელიტური კავშირების ხაზების რიცხვი ატლანტის ოკეანის გავლით 78 ათასიდან 710 ათასამდე, ხოლო წყნარი ოკეანის გავლით 39 ათასიდან 234 ათასამდე გაიზარდა (Held et al., 1999, p. 343). ეს მა'შინ, როცა პირველი ექსპერიმენტული საკომუნიკაციო სატელიტი 1962 წელს ამოქმედდა აშშ-ში.

კიდევ უფრო თვალსაჩინო ზრდა აღინიშნა მსოფლიო სატელეფონო კავშირებში. 1982 წელს მსოფლიოში დაფიქსირდა 12,7 მილიარდი წუთი სატელეფონო საუბარი, 1996 წელს კი – 67,5 მილიარდი.

ცხადია, კომუნიკაციების ინტენსივობა თანაბარი არ არის მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. ეს კარგად ჩანს ცხრილიდან №8.1.

ცხრილში მოცემული მონაცემები მეტყველებს თუ რა უზარმაზარი როლი ენიჭება კომუნიკაციის საშუალებებს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეპოქა ინფორმაციული, კომუნიკაციური რევოლუციის ეპოქაა. თანაც, ის მონაცემები, რომლებიც ცხრილშია მოყვანილი 1995 წელს შეესაბამება და ახლა გაცილებით მეტია.

**ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ქვეყნებში (1995 წ.)**

ცხრილი №8.1

| ქვეყანა | მოსახლეობა (მლნ) | ფიქსური ტელეფონები (ათასი) | ფაქსი მანქანები (ათასი) | პერსონალური კომპიუტერები (ათასი) | ტელეფონიდან დარეკვა (მლნ წუთი) | გარედან დარეკვა (მლნ წუთი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 1201,0 | 3629 | 279 | 2600 | 533 | 551 |
| საფრანგეთი | 58,1 | 1379 | 1200 | 9300 | 2804 | 2959 |
| გერმანია | 81,9 | 3500 | 1447 | 13500 | 5244 | 3881 |
| ინდოეთი | 929,3 | 135 | 50 | 1000 | 341 | 805 |
| იაპონია | 125,1 | 10204 | 6000 | 19000 | 1638 | 1140 |
| შვედეთი | 8,8 | 2025 | უცნობია | 1700 | 900 | უცნობია |
| დიდი ბრიტანეთი | 58,5 | 5737 | უცნობია | 10900 | 4016 | 4021 |
| აშშ | 263,1 | 33786 | 14052 | 86400 | 15623 | 7010 |

წყარო: (Held et al., p. 344)

მაგრამ ინფორმაციული გლობალიზაციის ყველაზე მკაფიო მაგალითი ინტერნეტია, რომელმაც სრულიად ახალ ეპოქას დაუდო სათავე და ფაქტიურად ნებისმიერი ინფორმაციის მომენტალური მიღება შესაძლებელი გახადა დედამიწის ნებისმიერი რეგიონიდან. ფაქტიურად, ინტერნეტმა დროისა და მანძილის პრობლემა მოხსნა.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა: მყისიერად მოხდეს კონტაქტი ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებლებს შორის; ჩატარდეს ინტერნეტ-კონფერენციები და კრებები ადგილის შეუცვლელად; დაუკავშირდე ნებისმიერ რეფერენტულ ჯგუფს და სხვადასხვა ელიტებს, რითაც სტატუსში განსხვავების ფაქტორის ლიკვიდაცია ხდება. გამოიყენო იგი დასვენებისა და გართობის საშუალებად; განახორციელო ბიზნესის წარმართვა, ვაჭრობა, საბანკო ოპერაციები, საქონლისა და მომსახურების რეკლამა; გამოიყენო როგორც სწავლების საშუალება, მიიღო ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა და ჩართო სხვადასხვა რანგის სპეციალისტები; უზრუნველყო პირადი მობილური კავშირები და კომფორტული ცხოვრება; მოახდინო ავტომობილის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მართვა დისტანციაზე; გამოიყენო იგი როგორც მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების საშუალებად და ოპერატიული რეაგირება მოახდინო სიტუაციის ცვლილებაზე ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში; ორგანიზება გაუკეთო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რეალური დროის რეჟიმში (**Удовик, 2002,c. 223**).

ამ ამოუწურავი საშუალებების ფენომენმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო ერთ სისტემად გააერთიანა და ამასთან გააღრმავა განსხვავება ბირთვისა და პერიფერიის ქვეყნებს შორის. ფაქტიურად კაცობრიობა დაიყო ინტერნეტის მცოდნე და ინტერნეტის უცოდინარ ნაწილებად ანუ „მქონებლებლად" და „უქონლებად". ინტერნეტის მომხმარებელთა 38,4% აშშ-ზე მოდის (ეს აბსოლუტურ ციფრებში 135 მილიონია ანუ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი), 24,1% – დასავლეთ ევროპაზე, 7,6 – იაპონიაზე, 1,9% – რუსეთზე, 4,5% – ჩინეთზე, 4,2% – სამხრეთ კორეაზე, 4,3% – კანადაზე, 4.0% – ბრაზილიაზე, 2,3% – ავსტრალიაზე, 1,8% – ტაივანზე და ყველა დანარჩენ ქვეყანაზე – 12,4%. თუ ინტერნეტით სარგებლობს აშშ-ის მოსახლეობის ნახევარი, იაპონიაში ეს მაჩვენებელი 23%-ია, იტალიაში – 20%, რუსეთში – 4%, ჩინეთში – 1,3% (**Baylis and Smith**, 2001, **p.** 548). ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

ინტერნეტის გამოყენების ტემპი ძალიან სწრაფად იზრდება და ალბათ მომავალში სხვაობა ცენტრსა და პერიფერიის ქვეყნებს შორის რამდენადმე შემცირდება. მოსალოდნელია, რომ ინტერნეტით მოსარგებლეთა გეოგრაფია ქვეყნების შიგნითაც შეიცვლება, სადაც დღეს აშკარა დისპროპორციაა. მაგალითად, რუსეთში ინტერნეტით მოსარგებლეთა 60% მოსკოვის აგლომერაციაზე მოდის, უკრაინაში კი კიევის წილი 45%-ია (Удовек, 2002, с. 224–225). სავარაუდოა, რომ კიდევ უფრო მაღალი იქნება თბილისის წილი საქართველოში ინტერნეტით მოსარგებლეთა შორის.

### *8.3.2. კულტურის ტნკ-ები. კულტურის გლობალური ბაზარი*

როგორც უკვე ითქვა თანამედროვე ეპოქა ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობისა და როლის უპრეცედენტო ზრდის ეპოქაა და სწორედ ეს ფაქტი ითვლება გლობალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო და, ბუნებრივია, არც კომუნიკაციები წარმოადგენს გამონაკლისს.

70-იან წლებამდე ტელეკომუნიკაციების კორპორაციები და მედიის კომპანიები საკმაოდ მრავლად იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ეროვნულ კორპორაციებს წარმოადგენდნენ და შიდა ბაზარს ემსახურებოდნენ. ხოლო უმრავლეს ქვეყნებში როგორც ტელესაკომუნიკაციო კომპანიები, ისე ტელერადიოგადამცემები სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო. იგივე შეიძლება ითქვას პრესაზე. 70-იანი წლებიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება და ტელეკომუნიკაციებისა და მედიაინდუსტრიის ეროვნულმა თუ გლობალურმა რეგულაციამ ტრანსფორმაცია განიცადა. ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ, მფლობელობის მზარდი კონცენტრაციით, სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაზე გადასვლის ტენდენციით, კორპორაციების ტრანსნაციონალურ სტრუქტურაზე გადასვლით, პატარა ფირმების შესყიდვით და სხვ.

დღეს უმსხვილესი ტელესაკომუნიკაციო და მედიაინდუსტრიის კორპორაციებიდან უმრავლესობა ამერიკულია, შემდეგ მოდის დასავლეთ-ევროპული და იაპონური კორპორაციები. სხვა

რეგიონების წილი უმნიშვნელოა. კერძოდ, 81 უმსხვილესი კორპორაციიდან 39 ამერიკული, 29 ევროპული, 8 იაპონური, 5 კანადური და 1 ავსტრალიურია. ამერიკული კორპორაციებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია: თაიმ-უორნერი, უოლტ დისნეი, ABC, CBS. იაპონური კორპორაციების ამ სექტორში ყოფნა განპირობებულია არა ადგილობრივი კულტურული ინდუსტრიის ექსპანსიით, არამედ – მედიის და ელექტრონული მრეწველობით. როგორც სონი, ისე მაცუშიტა დამკვიდრდა ამ სფეროში ამერიკული ფირმების კოლუმბიის (სონი) და MCA-ის (მაცუშიტა) შეძენით. ნიუს ინტერნეიშენელი არის ავსტრალიური კომპანია, რომელიც რუპერტ მერდოკის საკუთრებაა. ევროპაში მხოლოდ ოთხ ქვეყანაშია მნიშვნელოვანი მედია, კორპორაციები. დიდ ბრიტანეთში ესაა Thorn-EMI, BBC, რანკი და როიტერი, გერმანიაში – ბერთელსმანი, საფრანგეთში – მატრა-აშეტი და ავასი, ხოლო ელსევიერი და პოლიგრამი – ნიდერლანდებში.

ამ კორპორაციების უპირატესობა და დომინირება დარგების მიხედვით იცვლება. ინფორმაციის მოპოვებაში ლიდერობენ UPI (United Pres Internationals), ასოშეიტედ პრესსი და როიტერი. მაშინ, როცა ვიზუალური ინფორმაციის მოგროვება მთავარი ქსელების გარეთ, ძირითადად, როიტერისა და WTN-ის ხელშია. საერთაშორისო სატელევიზიო ახალ ამბებში CNN და BBC ლიდერობს. მუსიკალური ფირფიტებით ვაჭრობის 73% Thorn-EMI-ს, პოლიგრამის, ვორნერისა და სონის წილად მოდის. სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების ბაზარში აშშ-ის კორპორაციების უპირატესობა აშკარაა.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო პრესის, ტელევიზიის, მუსიკის, კინოსა და კულტურის სხვა სფეროების ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა რამდენიმე ტრანსნაციონალურ კორპორაციას უკავია, რაც კულტურული გლობალიზაციის და კულტურის საბაზრო პროდუქტად გადაქცევის ნათელი დადასტურებაა.

### *8.3.3. რადიო და მუსიკის ინდუსტრია*

ელექტრონული მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შორის რადიო ყველაზე უფრო გლობალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს. მისი გამოგონება XX საუკუნის დასაწყისში მოხდა და თავდაპირველად ტელეგრაფის ალტერნატივად მიიჩნევდნენ. რადიოს მნიშვნელობა განსაკუთრებით მოკლეტალღოვანი სიხშირის შექმნის შემდეგ გაიზარდა. იგი ტექ-

ნოლოგიურად მარტივი და იაფი კავშირგაბმულობის საშუალებად იქცა. ამ მიზეზების გამო, რადიოგადაცემების ტრანსნაციონალიზაცია და გლობალური დიფუზია სხვა ელექტრონული მედიის საშუალებებზე ბევრად ადრე მოხდა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ რადიო მასობრივი საერთაშორისო კომუნიკაციის მთავარი საშუალება იყო. ცივი ომის პერიოდმა მნიშვნელოვანი სტიმული მისცა სხვა ქვეყნებისთვის გამიზნული პროპაგანდისტური შინაარსის რადიოგადაცემების ფართო გავრცელებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთი რადიოსადგურები, როგორიცაა „ამერიკის ხმა", „თავისუფლება", „გერმანული ტალღა" და სხვ.

უკანასკნელ ათწლეულებში ელექტრონული მედიის სხვა საშუალებების განვითარების გამო (პირველ რიგში კი საკაბელო ტელევიზია და განსაკუთრებით ინტერნეტი) რადიოს როლი შემცირდა, უფრო სწორედ იგი აღარ არის საერთაშორისო კომუნიკაციების ერთადერთი საშუალება მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. მაგრამ იგი კვლავ რჩება ყველაზე უფრო მასობრივ და ყველგან არსებულ ელექტრომედიის საშუალებად. ამდენად, მისი როლი გლობალიზაციის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია.

გარდა საინფორმაციო და პროპაგანდისტული მნიშვნელობისა, რადიო კულტურის დიფუზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. განსაკუთრებით დიდია რადიოს როლი მუსიკის პოპულარიზაციაში. კერძოდ, სწორედ რადიოს საშუალებით მოხდა ანგლოამერიკული პოპ-მუსიკის მთელ მსოფლიოში გავრცელება. როკენ-როლის ევროპაში დამკვიდრებაც რადიოს დამსახურებაა.

თანამედროვე დასავლური პოპ-მუსიკის მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელება და მისი პოპულარობა ყველა კონტინენტზე, გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ პროცესში რადიოსთან ერთად არსებით როლს თამაშობს მუსიკის ინდუსტრია, რომელიც, თავის მხრივ, ტრანსნაციონალურ სახეს იღებს. მსოფლიოში უკვე რამდენიმე ათეული ტრანსნაციონალური კორპორაციაა, რომელიც მუსიკალური ფირფიტების წარმოებითა და გავრცელებით არის დაკავებული. მუსიკალური პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, უცხოელი შემსრულებლებისა და უცხოური მუსიკის შეჭრა ეროვნულ ბაზარზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი გლობა-

ლიზაციის პერიოდში არის უცხოური (ძირითადად ამერიკული) სტილის და მანერის შეჭრა და დამკვიდრება ეროვნულ მუსიკაში. ყოველივე ამის შედეგად მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სერიოზულ პრობლემად აღიქმება ეროვნული მუსიკალური ტრადიციების დაკარგვა და მისი ანგლო-ამერიკულ სტილზე ტრანსფორმაცია. ეროვნული მუსიკალური პროდუქციის წილი საკუთარ ეროვნულ ბაზარზეც კი მცირდება, რომ არაფერი ვთქვათ მის ექსპორტზე მსოფლიო ბაზარზე, რომელიც ძირითადად ამერიკული პოპ-მუსიკით არის გაჯერებული.

### 8.3.4. ტელევიზია

ტელევიზიამ, როგორც ელექტრომედიის ერთ-ერთმა მთავარმა სფერომ, თავიდანვე წამყვანი ადგილი დაიკავა ელექტროკომუნიკაციებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის. იგი ყოველდღიური ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ატრიბუტი გახდა, რომ მის გარეშე არსებობა დღეს თითქმის წარმოუდგენელია.

მაგრამ რადიოსაგან განსხვავებით, ტელევიზია დიდი ხნის განმავლობაში არ წარმოადგენდა საერთაშორისო კომუნიკაციის საშუალებას. მას შიდასახელმწიფოებრივი, ეროვნული დანიშნულება ჰქონდა და, როგორც წესი, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. სატელევიზიო ინდუსტრიის გლობალიზაცია შედარებით ახალი მოვლენაა. ნაწილობრივ ამის მიზეზი ისაა, რომ საერთაშორისო ტელეკავშირების ტექნოლოგია გვიანდელი გამოგონებაა. მეორე მხრივ კი, ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა უცხოური და საერთაშორისო ტელეპროგრამების დაშვებას ეროვნულ ტელემაუწყებლობაში.

ძირეული ცვლილებები სატელევიზიო ინდუსტრიაში და ამ სფეროს გლობალიზაცია XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში მოხდა. ჯერ ერთი, სწორედ ამ პერიოდში მოხდა მსოფლიოს მასობრივი „ტელევიზაცია". თუ 1969 წელს მსოფლიოში 87 მილიონი ტელევიზორი იყო, 1992 წელს მათმა რიცხვმა 873 მილიონს მიაღწია, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე მათი რაოდენობა 39-დან 160-მდე გაიზარდა. (Held et al., p. 358). მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო არხებისა და პროგრამების რიცხვიც. ტელევიზორი ინფორმაციის მასობრივი საშუალება გახდა.

მეორეც, უკანასკნელ წლებში მოხდა ნამდვილი ტექნოლოგიური რევოლუცია, რაც სატელიტური და საკაბელო ტელევიზიის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. ამ სიახლემ არა მარტო სატელევიზიო არხების რიცხვი გააორმაგა პირველსავე ხუთ წელიწადში, არამედ ტელევიზია ჭეშმარიტად მსოფლიო, გლობალურ საშუალებად აქცია. საკაბელო და სატელიტურმა ტელევიზიამ აიძულა ბევრი ქვეყნის ხელისუფლება უარი ეთქვა ტელევიზიის კონტროლზე და ერთი-ორი (ე. წ. სამთავრობო ანუ ოფიციალური) არხით დაკმაყოფილებულიყო. მოსახლეობას კი საშუალება მიეცა სხვადასხვა ქვეყნის სატელევიზიო პროგრამებს გასცნობოდა.

სატელევიზიო ინდუსტრიაში, ისევე როგორც კულტურის ინდუსტრიის სხვა სფეროებში, წამყვანი როლი მსხვილ კორპორაციებს ენიჭებათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი კომპანიები, როგორიცაა CNN, ABC, BBC, FOX, MTV, Eurosport და სხვ. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი სატელევიზიო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. ამ თვალსაზრისით მთავარი ექსპორტიორია აშშ, მაშინ, როცა საკუთრივ ამერიკულ ეროვნულ ბაზარზე სხვა ქვეყნების სატელევიზიო პროდუქციის იმპორტის წილი 2%-ს არ აღემატება. ლათინურ ამერიკაში, მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, იმპორტული ტელეპროგრამების 75% ამერიკულია, დასავლეთ ევროპაში კი ეს მაჩვენებელი 45%-ს აღწევს. ეს ციფრი განსაკუთრებით მაღალია პატარა ქვეყნებში, მაშინ როცა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის შემთხვევაში სატელევიზიო პროდუქციის იმპორტის წილად მოდის ტელეპროგრამების 20–25%. ამასთან, ეს ქვეყნები ტელეპროდუქციის მსხვილ ექსპორტიორებად გვევლინებიან. სატელევიზიო პროგრამების ექსპორტიორ ქვეყნებს მიეკუთვნება აგრეთვე იაპონია, იტალია, ბრაზილია, მექსიკა, ეგვიპტე, ჰონგ-კონგი, ესპანეთი და ავსტრალია.

### *8.3.5. კინო*

წლის მანძილზე ეკრანზე გამოსული ფილმების რაოდენობა და მათი დემონსტრირების საერთო დროის ხანგრძლივობა თუმცა გაცილებით მცირეა ტელეინდუსტრიის პროდუქციის მოცულობასა და რადიოგადაცემების საათების რაოდენობის ჯამზე, მაინც კინოინდუსტრიას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე მსოფლიოში. იგი არა მარტო ეკონომიკის სრუ-

ლიად დამოუკიდებელი დარგია, არამედ აუდიო-ვიდეო ინდუსტრიის საფუძველიცაა, ხოლო სატელევიზიო პროგრამებში ფილმების ჩვენებას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია.

კინომ, როგორც კულტურის ინდუსტრიის ერთ-ერთმა დარგმა, ადრევე შეიძინა საერთაშორისო ფუნქციები და ჯერ კიდევ მაშინ მოგვევლინა გლობალიზაციის ნიშნად, როცა კულტურისა და კომუნიკაციების სხვა საშუალებებს ეს ფუნქცია არ ჰქონდათ. დღესაც აზიისა და აფრიკის სასოფლო რაიონებში, სადაც სატელევიზიო გადაცემების მიღება ვერ ხერხდება, ანდა მხოლოდ ადგილობრივი არხების ყურებაა შესაძლებელი, კინო რჩება კულტურული გლობალიზაციის ლამის ერთადერთ საშუალებად.

ცხადია, კინო როგორც ხელოვნების დარგი, პირველ რიგში ეროვნულია და ეროვნულ სულს გამოხატავს. როცა კინოპროდუქციის ექსპორტირება ხდება სხვა ქვეყნებში, ეს ექსპორტიორი ქვეყნების კულტურისა და ცხოვრების სტილის ერთგვარი დემონსტრაციაა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნების დიდ უმრავლესობას ან საერთოდ არა აქვთ საკუთარი კინემატოგრაფია, ან ძალიან სუსტადაა განვითარებული, ეროვნულ კინობაზარზე უცხოური ფილმების ძალიან დიდი უპირატესობაა. შესაბამისად მაყურებელი უცხო ცხოვრების სტილს ეზიარება, რაც, როგორც წესი, ეროვნულ საფრთხედ აღიქმება ხოლმე. ამიტომ ანტიგლობალისტებისთვის კოკა-კოლასა და მაკდონალდსის გვერდით ერთ-ერთი საძულველი სიტყვა ჰოლივუდიცაა, როგორც ამერიკული კულტურული იმპერიალიზმის ერთ-ერთი აშკარა გამოვლინება.

თუ კინოს სფეროში გლობალიზაციად ფილმების წარმოებისა და მათი ექსპორტის მოცულობას მივიჩნევთ, აშკარა იქნება, რომ სულ რამდენიმე ქვეყანა შეიძლება მივიჩნიოთ ამ დარგის მონოპოლისტად. 80-იანი წლების ბოლოსთვის წელიწადში 150 ფილმზე მეტს იღებდნენ მხოლოდ ხუთ ქვეყანაში — აშშ-ში, ინდოეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ჰონგკონგში, ხოლო 100-დან 150-მდე — სსრკ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში. იმ ქვეყნების დიდ უმრავლესობაში, რომელსაც საკუთარი კინომრეწველობა აქვს, წელიწადში ოცზე ნაკლები ფილმი იქმნება.

რაც შეეხება ფილმების ექსპორტს აქ აშშ-ის უპირატესობა აშკარაა და მსოფლიო გლობალური კინობაზარი ამერიკული ფილმებით არის „გაჯერებული“. სხვა მთავარი კინოექსპორტიო-

რებიდან გამოირჩევა ინდოეთი, საფრანგეთი და იტალია. შეიმჩნევა გარკვეული გეოგრაფიული კანონზომიერებაც. ფრანგული ფილმები ძირითადად აფრიკის ფრანგულენოვან ქვეყნებში დომინირებს, ინდური კი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და აღმოსავლეთ აფრიკაში. თვითონ საფრანგეთში დემონსტრირებული ფილმების 65% უცხოურია (ძირითადად ამერიკული), ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია) ეს მაჩვენებელი 80–90%-ია. იაპონიაშიც კი, სადაც ტრადიციულად ეროვნულ კინემატოგრაფიას ძლიერი პოზიციები ჰქონდა 90-იანი წლების ბოლოს უცხოურმა (ძირითადად ამერიკულმა) ფილმებმა ქვეყნის ეკრანებზე გასული ფილმების 60% შეადგინა (Held et al., p. 356).

### *8.3.6. ტურიზმი*

ტურიზმი კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე აშკარად გამოხატული ფორმაა. იგი თანამედროვე მსოფლიოს უაღრესად მნიშვნელოვანი და სწრაფად მზარდი ფენომენია, ხოლო ტურისტული ინდუსტრია ძალიან ბევრი ქვეყნისთვის ეკონომიკის წამყვანი დროა.

საერთაშორისო ტურიზმი თუმცა პირველ რიგში ორგანიზებული ბიზნესია, მას ფართო კულტურული განზომილებაც აქვს. აქ იგულისხმება როგორც ტურისტების მიერ შემეცნებითი ობიექტების ნახვა და ამდენად სხვა ქვეყნების კულტურასთან დაახლოება, ისე მიმღები ქვეყნის მოსახლეობის ქცევისა და კულტურის ტრანსფორმაცია ტურიზმის ინდუსტრიის შესაბამისად. ხოლო, თუ ტურისტები, ძირითადად, ერთი რომელიმე ქვეყნიდან მოდიან მოცემულ ადგილზე, ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც წესი, არა მარტო მათ ენას სწავლობს, არამედ მათ ქცევისა და კულტურის ბევრ ელემენტს ითვისებს კიდეც. სწორედ ამაში გამოიხატება ტურიზმის, როგორც კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთი აგენტის როლი.

ძნელია ადამიანთა აქტივობის სხვა რომელიმე სფერო მოიძებნოს, რომელსაც ასეთი სწრაფი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები განეცადოს, როგორც ტურიზმს. თუ 1950 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 25,3 მილიონს შეადგენდა და მთელი ტურისტული ხარჯების რაოდენობა 2 მილიარდ დოლარს არ აღემატებოდა, 1995 წელს ამ მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 564,8 მილიონ კაცსა და 385 მილიარდ

დოლარს მიაღწია (World Tourist Organization, 1997). ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყოველი მეათე მცხოვრები საერთაშორისო ტურისტია. თუმცა, ცხადია, ტურიზმის გეოგრაფია ძალზე არათანაბარია და ტურისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას განვითარებული ქვეყნების ანუ გლობალური ჩრდილოეთის მცხოვრებნი შეადგენენ. მაშინ როცა აფრიკის წილად მოდის ტურისტთა 2,5%, ახლო აღმოსავლეთის წილად – 1,2%, ხოლო სამხრეთ აზიის წილად მხოლოდ – 0,6% (World Tourist Organization, 1997).

## 8.4. ინგლისური ენის გლობალიზაცია

გლობალიზებულ მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განსხვავებების თანდათან წაშლისა და დაახლოების პარალელურად, კანონების, ნორმების, პროცედურების უნიფიკაციასთან ერთად აუცილებელი გახდა ურთიერთობის ერთიანი საშუალების ამოქმედება ანუ ერთი საერთო ენის არსებობა, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა და რომელზეც განხორციელდებოდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფოებს და ერებს შორის.

საერთაშორისო უნივერსალური ენის ანუ Lingua franca-ს იდეა ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1887 წელს ლ. ზამენჰოფის მიერ უნივერსალურ ენად შემოტანილ იქნა მის მიერ ხელოვნურად შექმნილი ენა – ესპერანტო, რომელიც ევროპული (ძირითადად რომანული ჯგუფის) ენების ბაზაზე შემუშავდა, უკიდურესად მარტივი გრამატიკით გამოირჩეოდა, შესასწავლად იოლი და გამოსაყენებლად მოხერხებული იყო. მაგრამ ეს თვისებები საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი მსოფლიო ენა გამხდარიყო. აშკარაა, რომ ხელოვნურად შექმნილი ენა ასეთ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

ამგვარად, უნივერსალური ენის ფუნქცია ერთ-ერთ ცოცხალ, სალაპარაკო ენას უნდა დაკისრებოდა.

მსოფლიოში ხუთი ათასზე მეტი ენაა, მაგრამ მათგან სამწერლობო ენა ათასზე ნაკლებია. ამ ენებიდანაც თითქმის 2/3 მილიონზე ნაკლები კაცი ლაპარაკობს. მხოლოდ 12 ენაა, რომელზედაც 100 მილიონზე მეტი მოლაპარაკეა და მათი საერთო რიცხვი დედამიწის მოსახლეობის 2/3-ს შეადგენს. ამ

ენებიდან სამი – გერმანული, იაპონური და ბენგალური მხოლოდ ამ ენებზე, როგორც დედაენაზე მოლაპარაკეთა საცხოვრებელი ტერიტორიით შემოიფარგლება. ხოლო გერმანულისა და იაპონურის, როგორც მეორე ენის გავრცელება მკვეთრად შემცირდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ენათა მეორე ჯგუფში შედიან რუსული, ჩინური, ჰინდი, მალაური და არაბული, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის წარმოადგენენ მშობლიურ ენებს, მეორე ენებად და ერთა შორის ურთიერთობების საშუალებად გამოიყენებიან საკმაოდ დიდ, მაგრამ კომპაქტურ და ერთიან გეოგრაფიულ რეგიონებში. მესამე ჯგუფს კი შეადგენენ ის ენები, რომლებიც გლობალურად არიან გავრცელებული და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში წარმოადგენენ „ლინგვა ფრანკას“. ასეთებია ინგლისური, ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური. აქედან პირველი სამი გაეროს ოფიციალური და სამუშაო ენებია.

ამგვარად, მსოფლიო ენის ფუნქცია ამ სამი ენიდან ერთ-ერთს უნდა შეესრულებინა. 50-იანი წლებისათვის მათგან ყველაზე გავრცელებული (როგორც მშობლიურზე მოლაპარაკეთა რიცხვით) ესპანური იყო, ყველაზე პრესტიჟული კი, როგორც დიპლომატიისა და მსოფლიო ელიტის საურთიერთობო ენის სამსაუკუნოვანი გამოცდილებით – ფრანგული.

და მაინც მსოფლიო ენად ინგლისური იქცა. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მისი გავრცელების ტემპი და არეალი მართლაც უპრეცედენტოა. ამას, უკრაინელი მეცნიერის ს. უდოვიკის აზრით (**Удовик**, 2002, с. 253–257), რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი:

**პირველი,** ეს არის იმ ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, რომლის მოსახლეობაც ინგლისურად ლაპარაკობს. აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აშშ იგულისხმება, რომელიც ერთადერთი სუპერსახელმწიფოა, გადამწყვეტი როლი აკისრია მსოფლიო პოლიტიკის წარმართვაში, ხოლო მისი სამხედრო ძლიერება ბევრად აღემატება დანარჩენი დიდი სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალს;

**მეორე,** უძლიერესი ეკონომიკა და აქ არსებული ტრანსნაციონალური კომპანიების მოქმედება გლობალურ მასშტაბში. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტნკ-დან ნახევარი ინგლისურენოვან ქვეყნებშია ბაზირებული;

**მესამე,** სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა

ძირითადად ინგლისურენოვანია. ყველაზე სერიოზული სამეცნიერო ჟურნალებიდან (სულ 6 ათასი) 39% აშშ-ში გამოდის, 19% კი – დიდ ბრიტანეთში, ხოლო ჰოლანდიურ (10%) და გერმანულ (7%) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების დიდი უმრავლესობა ინგლისურენოვანია. რუსულ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი სტატია ხშირად შეუმჩნეველია მანამდე, სანამ ინგლისურად არ ითარგმნება. დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში მეცნიერისთვის ინგლისური ენის ცოდნა უკვე აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან მის გარეშე რაიმე დიდი წარმატების მიღწევა ძალიან გართულებულია;

**მეოთხე,** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფართო გავრცელება. ძირითადი, სატელევიზიო და რადიოპროგრამები ყველაზე პოპულარული ჟურნალები და გაზეთები ინგლისურენოვანია;

**მეხუთე,** რეკლამის გავრცელება. რეკლამის ბუმმა, სარეკლამო ბუკლეტებმა და ხარისხიან პროდუქციაზე წარწერებმა ძალიან შეუწყო ხელი ინგლისური ენის გავრცელებას. მსოფლიოს 30 უმსხვილესი სარეკლამო სააგენტოდან 27 ამერიკულია, ერთი – ინგლისური და მხოლოდ – ორი იაპონური;

**მეექვსე,** ფენომენალური გავლენა ინგლისური ენის გავრცელებაზე მოახდინა კინომ. 30-იან წლებში მსოფლიოს 44 უმსხვილესი კინოსტუდიიდან 32 ამერიკული ან ინგლისური იყო. 90-იან წლებში აშშ აკონტროლებდა მსოფლიო კინობაზრის 85%-ს;

**მეშვიდე,** ინგლისური ენის აქტიურ გავრცელებას ხელი შეუწყო პოპ-მუსიკამ და მასკულტურამ. მსოფლიოს 557 ყველაზე პოპულარული პოპ-ჯგუფიდან 549 (99%) მთლიანად ან ძირითადად ინგლისურენოვანია, ხოლო ყველაზე პოპულარული მომღერლების 95% ინგლისურად მღერის;

**მერვე,** ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინგლისურის გავრცელებაზე მოახდინა ინტერნეტმა. უდავოა, რომ ინგლისური ენა ინტერნეტის ჭეშმარიტი „ლინგვა ფრანკაა";

**დაბოლოს მეცხრე,** ენის გავრცელებაზე უდიდეს როლს თამაშობს ადამიანური ფაქტორი. ამ ენებზე მოლაპარაკეთა წარმატებები და პოპულარობა. შორს წაგვიყვანდა ინგლისურენოვანი მწერლების, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეების, პოლიტიკოსების, სპორტსმენების ჩამოთვლა.

გარდა ამისა, ინგლისურის გავრცელებას ხელი შეუწყო ამ ენის ზოგიერთმა თვისებამაც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი შემგუებლობა სიახლისადმი. არასოდეს არავის შეუშლია

ხელი ინგლისურ ენაში უცხოური სიტყვების დამკვიდრებისათვის, რამაც მას კოსმოპოლიტური ხასიათი მისცა. მეორეც, ინგლისურენოვან ქვეყნებში, განსხვავებით ნებისმიერი სხვა ქვეყნებისა, არ არის ორგანიზაციები, რომლებიც ენის სიწმინდისა და სხვა ენების „მავნე" გავლენისაგან მის დასაცავად იბრძოლებდნენ. ამასთან, ინგლისურ ენას არა აქვს აშშ-ს სახელმწიფო ენის სტატუსი, რადგან ასეთ ცნებას აშშ-ის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. გარკვეულ როლს თამაშობს ინგლისური ენის არაფლექსურობა. გრამატიკული კონსტრუქციების სიმარტივე და ბრუნვებისა და უღლების არარსებობა. თუმცა სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს წერასა და გამოთქმას შორის არსებითი განსხვავება.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში თარგმნილი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურიდანაა. კერძოდ, ინგლისურიდან არის თარგმნილი საფრანგეთში გამოსული მთელი თარგმნილი ლიტერატურის 65%, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 60,7%-ია, იაპონიაში – 78,3%, ნიდერლანდებში – 56,8%, ესპანეთში – 50,1%, ხოლო შვედეთში – 65,5%. თვითონ აშშ-ში ნათარგმნი ლიტერატურის 23,8% გერმანულიდან არის, ხოლო 21,8% – ფრანგულიდან. დიდ ბრიტანეთში კი 25,7% – გერმანულიდან 23,2% – ფრანგულიდან (Held et al., p. 346).

ცხადია, ინგლისური ენის გავრცელება და, რაც მთავარია, სხვა ენების „ანგლიზაცია" უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ამ პროცესს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას საფრანგეთი უწევს, რომელიც ფრანგული ენის დაკარგული პრივილეგიების ნოსტალგიის გარდა, თვით ფრანგულში ინგლისური სიტყვების მოძალებით არის შეშფოთებული. საკმაო გაღიზიანებას იწვევს ინგლისური სიტყვების დამკვიდრება არაბულ სამყაროშიც. ჩინეთი და იაპონია კი ამ პროცესს მშვიდად უყურებენ, რადგან იეროგლიფურ სისტემაზე ინგლისურის გავლენა უმნიშვნელოა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფაქტია, რომ ინგლისური დედაენაა „მხოლოდ" 327 მილიონი კაცისთვის, ანუ დაახლოებით იმდენისათვის, რამდენისთვისაც ჰინდი და უფრო ნაკლებისათვის – ვიდრე ესპანური. აღარაფერს ვამბობთ ჩინურზე, რომელსაც დედაენად მიიჩნევს 1200 მილიონი კაცი. ს. ჰანტინგტონი იმოწმებს რა ამერიკელი მეცნიერის ს. კალბერლის მონაცემებს, რომ 1958 წელს ინგლისური დედაენა იყო მსოფლიოს მოსახლეობის 9,8%-თვის, 1992 წელს კი მხოლოდ – 7,8%-თვის, წერს „ენა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის

92%-თვის უცხოა, არ შეიძლება მსოფლიო ენად ჩაითვალოს" (ჰანტიგტონი, 2001).

მაგრამ ინგლისური, როგორც უცხო ენა იცის დაახლოებით ნახევარმა მილიარდმა კაცმა და ეს რიცხვი მომავალში მუდმივად გაიზრდება. დღეს სადავო არ არის, რომ ინგლისური ენის მცოდნე პიროვნებას დიდი უპირატესობა აქვს ამ ენის არმცოდნე პიროვნებასთან შედარებით, რაც გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

## 8.5. დასავლური ღირებულებების ექსპორტი და ვესტერნიზაცია

გლობალიზაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განსხვავებების წაშლასთან ერთად საერთო ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და გავრცელებასაც გულისხმობს. სწორედ აქ აწყდება გლობალიზაცია ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. ბუნებრივია, რომ ახალ ღირებულებათა სისტემაზე გადასვლა ნიშნავს ფასეულობათა გადაფასებას, ძველ ღირებულებებზე უარის თქმას და ახლის შეთვისებას. ეს კი მთელი ცხოვრების წესისა და მენტალიტეტის შეცვლას გულისხმობს, რაც უაღრესად რთული და მტკივნეული პროცესია და ხშირად მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებს, რომ ის ღირებულებები, რომლებიც გლობალიზაციის შედეგად მკვიდრდება არ არის რაღაც ახალი, კოსმოპოლიტური ანდა სინთეზური სისტემა, სადაც ყველა ცივილიზაციაა წარმოდგენილი. იგი, ფაქტობრივად, იმ ფასეულობათა სისტემაა, რომელიც დასავლური ცივილიზაციისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ სხვა ცივილიზაციების ხალხებისთვის ამ ღირებულებათა დამკვიდრება დასავლური ღირებულებების აშკარა ექსპანსია, კულტურული იმპერიალიზმია, სადაც ლომის წილი აშშ-ზე მოდის. ეს პროცესი ზოგადად ვესტერნიზაციის სახელით არის ცნობილი, თუმცა ზოგჯერ ამერიკანიზაციის სახელითაც მოიხსენიებენ.

რა არის ის ძირითადი ღირებულებები, რომელთა გავრცელებაც გლობალიზაციის პროცესის გამო მთელ მსოფლიოში ხდება და რატომ უნდა იწვევდეს ის წინააღმდეგობას არადასავლური ცივილიზაციების სამყაროში?

**ინდივიდუალიზმი.** ინდივიდუალიზმი დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის საფუძველი და ძირითადი კატეგორიაა. სხვადასხვა ისტორიულმა გარემოებებმა, ფეოდალიზმის დასავლურმა მოდელმა, მიწაზე კერძო საკუთრებამ, ბურჟუაზიის გაბატონებულმა მდგომარეობამ და სხვა ფაქტორებმა ჩამოაყალიბა პიროვნული მენტალიტეტი, როცა ადამიანი თვითონ არის საკუთარი თავის პატრონი, არავისზეა დამოკიდებული და აკეთებს იმას, რაც სურს. ე. ი. პიროვნება თავისუფალია. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა შორის ურთიერთობების ერთადერთი რეგულატორი კანონია. ამიტომ კანონის უზენაესობა ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში აუცილებელი პირობაა და კანონის წინაშე ყველა თანაბარია მიუხედავად მდგომარეობისა და ცენზისა.

ყველა სხვა ცივილიზაციაში ინვიდიდზე მაღლა კოლექტივი დგას და პიროვნება მის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს. ისტორიულად ამ კულტურებში მიწაზე თემური საკუთრება იყო და ურთიერთობებსაც თემი არეგულირებდა. შესაბამისად დღესაც ასეთ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლება კოლექტივზეა დამოკიდებული და საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელისუფლებო ელიტა, რელიგიური თემები თუ გვაროვნულ-ტომობრივი კლანები წარმართავენ.

კოლექტივიზმი ყველგან ერთნაირი ფორმებით არ არის წარმოდგენილი. რუსული კოლექტივიზმი ფართოა და მთელ სახელმწიფოზე ვრცელდება, კერძოდ, სახელმწიფოსა და მის ხელმძღვანელს (Батьюшка-царь) ყველა მორჩილად უნდა ემსახურებოდეს, ხოლო უბრალო მოქალაქეები ერთი კოლექტივის თანაბარუფლებიანი წევრები არიან და ამიტომ თითოეულ მათგანს უფლება აქვს მეორეს შენიშვნა მისცეს, თუ ეს უკანასკნელი კოლექტივისთვის მიუღებელ ქმედებებს ჩაიდენს. იაპონიაში კოლექტივიზმი კორპორაციული ხასიათისაა და კომპანიის წევრების ურთიერთნდობაზე და კომპანიისადმი ერთგულების პრინციპზეა დაფუძნებული. ჩინეთში კოლექტივიზმი უფრო ოჯახური დონისაა და სწორედ ოჯახია ჩინური საქმიანი სამყაროს ძირითადი რგოლი. პირადი ურთიერთობები და დამოკიდებულება იურიდიულ ნორმებსა და კონტრაქტებზე მაღლა დგას. ამ სიტუაციით აიხსნება მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების უმნიშვნელო როლი ჩინურ სამყაროში. რაც შეეხება ისლამურ სამყაროს აქ კოლექტივიზმის საფუძველი ტომი ან გვარია და პიროვნებაც, პირველ რიგში, მის წინაშეა

პასუხისმგებელი. ინდური ცივილიზაციისათვის კოლექტივიზმის კასტური პრინციპია დამახასიათებელი.

რაც შეეხება ქართულ კოლექტივიზმს იგი არ მოიცავს მთელ ერს ან სახელმწიფოს და უფრო ვიწრო ფარგლებით იზღუდება. ესაა ჩვენში გავრცელებული ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „სანათესავო", „სამეგობრო", „სამეზობლო" და ა. შ. სწორედ ნათესავების, მეგობრების თუ მეზობლების წინაშე თვლის თავს პასუხისმგებლად ქართველი და მათ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებსა და კანონებს.

**ცხადია,** კოლექტივისტური მენტალიტეტის საზოგადოებისთვის ძალიან ძნელია ინდივიდუალისტურ ცნობიერებაზე გადასვლა და კანონის კოლექტივზე მაღლა დაყენება. ამითაა გამოწვეული ის გაღიზიანება, რასაც დასავლეთი იწვევს სხვა, არადასავლურ საზოგადოებებში.

**დემოკრატია.** დემოკრატია პირდაპირი მნიშვნელობით „ხალხის მმართველობას" ნიშნავს და საზოგადოების ყველა წევრის სრულ თანასწორობას გულისხმობს. დემოკრატია თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია. იგი საზოგადოების მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა. მაშ რით უნდა აიხსნას დემოკრატიზაციის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ზოგიერთ არადასავლურ ქვეყანასა თუ რეგიონში? ცხადია, ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის მმართველ ავტორიტარულ რეჟიმებთან და კორუმპირებულ ხელისუფლებასთან და ისინი ყველანაირად შეეწინააღმდეგებიან დემოკრატიულ გარდაქმნებს. მაგრამ არის ზოგიერთი ობიექტური გარემოებაც, რომელიც დემოკრატიის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ცხადია, რომ სრული სახით დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ პატარა სოციუმებში. მაგალითისთვის გამოდგება ძველი ბერძნული პოლისები. უფრო დიდ საზოგადოებაში სრული დემოკრატია შეუძლებელია, რადგან იგი სოციალური კავშირების რღვევას გამოიწვევს.

ამიტომ დიდ სახელმწიფოებში პირდაპირ დემოკრატია არ შეიძლება არსებობდეს და იგი იცვლება წარმომადგენლობითი დემოკრატიით. ეს უკანასკნელი პოლიტიკური ელიტის ფორმირების გარკვეულ, განსაკუთრებულ წესს და მასზე კონტროლს გულისხმობს. ამასთავე, ხელისუფლების დემოკრატიუ-

ლად არჩევა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამომრჩევლის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. იმისათვის კი, რომ ამომრჩეველმა დასაბუთებული არჩევანი გააკეთოს ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, საკმარისად შეძლებული და ჰქონდეს რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარი.

დასავლეთის ქვეყნებში დემოკრატია ვითარდებოდა სოციალური საფეხურების მიხედვით ზემოდან ქვემოთ. მაგ., აშშ-ში ხმის მიცემის უფლება ჯერ ჰქონდათ მხოლოდ მესაკუთრეებს, შემდეგ ყველა მამაკაცს და მხოლოდ 1919 წლიდან ყველა მოქალაქეს. საფრანგეთსა და იტალიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება 1946 წლიდანაა და უკვე მაშინ, საშუალო შემოსავალი ერთ სულზე 3500 დოლარს აღწევდა.

მოსახლეობის ის ფენა, რომლის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია, მოკლებულია რეალობის ადეკვატურად აღქმის უნარს და ადვილად ვარდება ხან ერთ, ხან მეორე უკიდურესობაში. ხელმძღვანელობენ რა არა ლოგიკით, არამედ ემოციით. ეს ფენა ქმნის ე. წ. საპროტესტო დემოკრატიას, რაც უკიდურესად საშიშია სახელმწიფოსთვის. ხოლო, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს მისთვის მთავარი ფიზიკური გადარჩენაა და არა დემოკრატია. აშკარაა, რომ ლატაკთა დემოკრატია ვერ იქნება დემოკრატია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სწორედ ეს პრობლემაა გლობალურ სამხრეთში, რაც დემოკრატიზაციის მიმართ უნდობლობას და წინააღმდეგობას წარმოშობს. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს რაიმე გამართლება ჰქონდეს.

**თავისუფლება.** თავისუფლება სულ სხვადასხვანაირად გაიგება სხვადასხვა ცივილიზაციების მიერ. შესაბამისად, ამ ფენომენისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია.

საქართველოში, რუსეთსა და, ალბათ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში (შესაძლებელია ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ ერთგვარ გამონაკლისს) თავისუფლება ნიშნავს თავის ნებაზე ყოფნას: „ვაკეთებ იმას, რაც მინდა და ეს არავის საქმე არ არის". იგი აღიქმება, როგორც საშუალება თავი აარიდო პასუხისმგებლობას შენს ნამოქმედარზე. ამიტომ პირადი თავისუფლების მაქსიმალიზაციის მიზნით გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ისეთი ფორმა, როგორიცაა „კოლექტიური პასუხისმგებლობა", ანუ თუ პიროვნებამ რამე დააშავა, პასუხი მთელმა კოლექტივმა უნდა აგოს, რეალობაში ეს „კოლექტიური

უპასუხისმგებლობა" იყო, როცა პასუხს არავინ აგებდა. თავისუფლების ასეთი გაგება ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში წარმოუდგენელია. აშშ-ში თავისუფლებაში იგულსხმება არჩევის თავისუფლება, შესაძლებლობა თავი აარიდო ისეთ სიტუაციას, როცა ვინმეს შეეძლება ჩაერიოს შენს პირად ცხოვრებაში. ამავე დროს, სამსახურში თავისუფლება მკაცრად რეგლამენტირებულია ინსტრუქციით. სპეციფიკურია სიტყვის თავისუფლებაც. უნდა ითქვას ის, რაც არ გააღიზიანებს ამერიკელთა უმრავლესობას. თუ, მაგალითად, ტელევიზია აჩვენებს კადრებს, თუ, როგორ იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა ამერიკული ავიაციის დაბომბვის შემდეგ კოსოვოს კონფლიქტში, საეჭვოა, რომ ასეთ პროგრამას წარმატება ხვდეს.

რაც შეეხება ევროპას, აქ თავისუფლება უფრო ფართო ცნებაა და მომდინარეობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგიდან „თავისუფლება, ძმობა, ერთობა", ეს „აუცილებლობის გაცნობიერებაა", რომელიც გულისხმობს ურთიერთკავშირს: რაც მეტია თავისუფლება — მით მეტია პასუხისმგებლობა.

ასეთნაირად გაგებული თავისუფლება ცოტა ძნელი გასაგებია არადასავლური ცივილიზაციებისთვის და ამდენად ძნელად მისაღწევია.

**ადამიანთა უფლებები და თანასწორობა.** თანასწორობა და ადამიანთა უფლებები თვით დასავლეთშიც კი საკმაოდ პირობითი ცნებებია. ცხადია, რეალურად მილიარდელებისა და მათხოვრების შვილებს სრულიად განსხვავებული უფლებები აქვთ, თუმცა ფორმალურად, კანონის ძალით თანასწორნი არიან. ამიტომ ზოგიერთი უფლება, რომელიც ადამიანს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, განხორციელდება იმ ხარისხით, რის ეკონომიკური შესაძლებლობაც მოქალაქეს აქვს.

თავისთავად ცხადია, თანასწორობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის იდეა უაღრესად ჰუმანური და პროგრესული იდეაა. მის საწინააღმდეგოდ აშკარად არავინ არ გამოდის, მაგრამ ხშირად ეს უფლებები ისეთ ფორმას იღებს, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში არა თუ წინააღმდეგობას, არამედ აგრესიასაც კი იწვევს.

მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით როგორც სახელმწიფომ, ისე ზოგიერთმა ეკლესიამ დაუშვა ქორწინება ერთი და იგივე სქესის პირებს შორის. ამავე ლოგიკით, როგორც ეს

ირონიით აღნიშნა ერთმა ჟურნალისტმა, შესაძლებელია მომავალში მიღწეულ იქნეს ცხოველებთან ქორწინების უფლებაც. ასეთი „უფლებები“ საბაბს აძლევს სხვა ცივილიზაციების წარმომადგენლებს დასავლეთი სატანურ სამყაროდ მიიჩნიოს და მის წინააღმდეგ მოსახლეობის ფართო ფენები განაწყოს.

ამიტომ ის, რაც მისაღებია ერთი ცივილიზაციისათვის არ შეიძლება საყოველთაო კეთილდღეობად ჩათვალო და სხვა ხალხებშიც მისი გავრცელებისთვის იბრძოლო.

ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით დასავლეთმა მრავალ ქვეყანაში განახორციელა მთელი რიგი (მათ შორის სამხედრო) ღონისძიებებიც. ამ პროცესს ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელი უწოდეს და, მართლაც, ჰუმანური მიზნების ფონზე (შიმშილის, სიღარიბის, სტიქიური უბედურებების, ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით) ადგილი ჰქონდა ქვეყნის ფაქტობრივ ოკუპაციას და იქ აშშ-ისთვის მისაღები ხელისუფლების დასმას.

ალბათ, როცა ადამიანის უფლებებზეა ლაპარაკი არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა ერების უფლებაც იცხოვრონ ისე, როგორც სურთ და თავს არ მოვახვიოთ მათთვის უცხო ცხოვრების სტილი და ნორმები. ისტორიაში მრავალი ფაქტი არსებობს, როცა მონებს და ყმებს არ უნდოდათ თავისუფლება (მაგ., 1861 წლის რეფორმის დროს რუსეთში) და ძალით მიცემულ თავისუფლებას უკუშედეგი მოუტანია. აფრიკის სახელმწიფო ლიბერია XIX საუკუნეში აშშ-ში განთავისუფლებული მონებისა და მათი აფრიკაში ემიგრაციის შედეგად შეიქმნა. ყოფილმა მონებმა ხელში ჩაიგდეს ხელმძღვანელი თანამდებობები და მონებად აქციეს ადგილობრივი მოსახლეობა. დღეს ლიბერია ერთ-ერთი ჩამორჩენილი, არშემდგარი სახელმწიფოა, სადაც სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

როგორც ჩანს, სანამ მონას თავისუფლებას მისცემ, ჯერ უნდა ასწავლო, როგორ ისარგებლოს ამ თავისუფლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება თავნებობად იქცევა.

ს. ჰანტიგტონი თავის სტატიაში „დასავლეთი: უნიკალური, მაგრამ არა უნივერსალური“ (ჰანტინგტონი, 2001) წერს, რომ უნდა გავარჩიოთ მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია. თუ მოდერნიზაცია შეიძლება და საჭიროცაა გამოიყენონ სხვა ცივილიზაციებმა, ვესტერნიზაცია ეს მხოლოდ დასავლური საზოგადოების პროდუქტია. დასავლური ცივილიზაცია კი

ფასეულია არა იმიტომ, რომ ის უნივერსალურია, არამედ იმიტომ, რომ ის უნიკალურია.

ამიტომ არ შეიძლება დასავლურმა ცივილიზაციამ არ გაითვალისწინოს სხვა ცივილიზაციების სულიერი და მორალური ღირებულებები და თავს მოახვიოს საკუთარი ღირებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია სერიოზული დაპირისპირება დასავლეთსა და არადასავლეთს შორის და სწორედ ესაა გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი საშიშროება.

## კითხვები და დავალებები:

1. დაახასიათეთ კულტურის ტრანსფორმაციის სამი ძირითადი ფორმა რ. ჰოლტონის მიხედვით.
2. რას აღნიშნავს თანამედროვე კულტურის უნივერსალურობა, ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა?
3. რა გავლენა იქონია მსოფლიო რელიგიებმა გლობალური კულტურის ჩამოყალიბებაში?
4. დაახასიათეთ იმპერიების როლი კულტურათა დაახლოებაში.
5. რა როლი ითამაშა იდეოლოგიამ კულტურის გლობალიზაციაში?
6. დაახასიათეთ ტელეკომუნიკაციებისა და ინტერნეტის როლი კულტურის გლობალიზაციაში.
7. რა გავლენას ახდენს კულტურის ტნკ-ები თანამედროვე პირობებში?
8. ჩამოაყალიბეთ რადიოსა და მუსიკის ინდუსტრიის მნიშვნელობა კულტურის გლობალიზაციაში.
9. რა როლი აქვს ტელევიზიასა და კინოს გლობალური კულტურის ჩამოყალიბებაში?
10. რაში გამოიხატება ინგლისური ენის გლობალიზაცია?
11. რა პრობლემებთან არის დაკავშირებული ვესტერნიზაცია?
12. დაახასიათეთ ძირითადი დასავლური ღირებულებები.

## ლიტერატურა

1. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Edition. Oxford University Press. Oxford, 2001, p.p. 456–469; p.p. 540–558.

2. Held D. et al. - Global Transformation. Politics, Economics, Culture. Cambridge. Polity Press, 1999, p.p. 327–375.
3. Holton R. Globalization and the Nation-State. Palgrave. New-York, 1998, p.p. 161–185.
4. Huntington S. - The Clash of Civilizations and Remaking of World Order. A Touchstone Book. New-York, 1997, p.p. 40–78.
5. Удовик С. Л. - Глобализация. Семиотические подходы. Рефл-бук, Ваклер. Киев, 2002, ст. 149–203 .

თემა 9

# გლობალიზაცია. საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი

გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და მსოფლიო წესრიგის ძირეული ცვლილებაა. ცივი ომის შემდგომი მსოფლიო კარდინალურად განსხვავდება წინა ისტორიული პერიოდების მსოფლიოსაგან როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით, ისე ძალთა განაწილებისა და ერთმანეთთან კავშირების ფორმების თვალსაზრისით.

საერთაშორისო სისტემის ისტორიული ანალიზი ახალ და უახლეს ისტორიის პერიოდში იძლევა საშუალებას გამოვყოთ საერთაშორისო სისტემის განვითარების რამდენიმე ეტაპი:

**1. ვესტფალიის სისტემა (1648 წ.)**, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობების, ფაქტობრივად, ერთადერთ აქტორებად ერი-სახელმწიფოები აქცია, შეცვალა რა ამით მანამდე არსებული აქტორები (ეკლესია, დინასტიები, ქალაქები და ა. შ.). ეს სისტემა დღემდე უცვლელი იყო, რადგან სახელმწიფოები წარმოადგენდნენ (და უმრავლესობის აზრით, დღესაც წარმოადგენენ) საერთაშორისო ურთიერთობების თუ ერთადერთ არა, მთავარ აქტორებს მაინც. რაც შეეხება გეოპოლიტიკურ წესრიგს ამ სისტემით დაკანონდა გერმანიის დაქუცმაცებულობა და საფრანგეთის წამყვანი როლი ევროპის კონტინენტზე. შემდგომში ინგლისის გაძლიერებამ და XVIII საუკუნეში მის აშკარა ჰეგემონად ქცევამ, ხოლო საფრანგეთის მიერ პოზიციების დაკარგვამ გამოიწვია ახალი დაპირისპირება (ნაპოლეონის ომები), რამაც ახალ საერთაშორისო სისტემას დაუდო სათავე.

**2. ვენის სისტემამ (1815 წ.)** ძირეულად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ჩამოყალიბდა ძალთა ახალი წონასწორობა

ინგლისის აშკარა ჰეგემონობის ქვეშ. პირველხარისხოვან სახელმწიფოებად იქცა ავსტრია და პრუსია. სულ გერმანულ სახელმწიფოთა რაოდენობამ 38 შეადგინა (ნაცვლად 300-ისა ვესტფალიის წესრიგით). ერთიანი გერმანული ლიტერატურული ენისა და საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებამ საფუძველი დაუდო გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების პროცესს. ჩრდილოეთ იტალიის, ავსტრიის ხელში გადასვლამ ბიძგი მისცა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (რისორჯიმენტო) დაწყებასა და იტალიის გაერთიანებას. გერმანიის გაერთიანებამ და ერთიანი იტალიის სახელმწიფოს შექმნამ, აგრეთვე ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი, რამაც ახალი დაპირისპირება გამოიწვია და კაცობრიობა პირველ მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

**3. ვერსალის სისტემა (1919)** ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის მაუწყებელი იყო ევროპაში, რომელსაც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჰეგემონობა უნდა განემტკიცებინა, ხოლო გერმანია, ფაქტობრივად, მეორეხარისხოვანი სახელმწიფოს მდგომარეობაში დაეტოვებინა. ამასთან ერთად, მისი ყველა კოლონია გამარჯვებული ქვეყნების ხელში გადადიოდა. გერმანიასა და რუსეთს შორის იქმნებოდა ახალი, ბუფერული სახელმწიფოები, როგორც რუსეთ-გერმანიის შესაძლო დაახლოების (კონტინენტური ბლოკი) ერთგვარი წინაღობა. მნიშვნელოვანი სიახლე იყო უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნა, რომელიც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა ყოფილიყო მსოფლიოში. ვერსალის სისტემა ძალიან მყიფე და უტოპიური იყო და ამიტომ მხოლოდ 20 წელი იარსება. გერმანიაში ნაციზმის გამარჯვებამ, იტალიაში ფაშისტურმა დიქტატურამ და იაპონიის მილიტარიზაციამ ერთა ლიგა ფიქციად აქცია, ხოლო კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა.

**4. იალტა-პოტსდამის სისტემა (1945)** მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეალობის ოფიციალური დადასტურება იყო. მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო, რომლებსაც სათავეში ორი ზესახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ედგა. პირველად ისტორიაში მსოფლიო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალები ევროპის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ. დაიწყო ცივი ომის ხანა და სისტემამ მკვეთრად გამოხატული

ბიპოლარული ხასიათი მიიღო. 50-იანი წლების შუა ხანებამდე იგი ხისტ ბიპოლარულ სისტემას წარმოადგენდა. შემდეგ კი (როცა მიუმხრობელ ქვეყანათა ჯგუფი ჩამოყალიბდა, ჩინეთი განუდგა საბჭოთა ბანაკს, ხოლო გაერთიანებული ევროპის იდეა თანდათანობით რეალური გახდა), იგი რბილ ბიპოლარულ სისტემად იქცა. 80–90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს, სოციალისტური სისტემისა და თვით საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ცივი ომი დამთავრდა და იალტა-პოტსდამის სისტემამ არსებობა შეწყვიტა.

ამჟამად, მსოფლიო ახალი გეოპოლიტიკურ ტრანზიციაშია. ყველა სხვა წინა სისტემისაგან განსხვავებით, იალტა-პოტსდამის სისტემა ომის შედეგად არ დამთავრებულა და არც სამშვიდობო ხელშეკრულებას განუსაზღვრავს ძალთა ახალი წონასწორობა. ამიტომ ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი ჯერ არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა. ცივი ომის შემდგომი პერიოდი ძირეულად განსხვავდება წინა პერიოდებისაგან. ეროვნული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორის როლი მცირდება. გლობალიზაციამ მოიტანა ტრანსნაციონალური სუბიექტების და სამოქალაქო სექტორის როლის სწრაფი ზრდა. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ იცვლება ვესტფალიის სისტემის ძირითადი იდეა ანუ სახელმწიფო კარგავს თავის მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემაში. სწორედ ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს ის მოვლენები, რომლებიც საერთაშორისო სისტემისთვის და მსოფლიო წესრიგისთვის არის დამახასიათებელი გლობალიზაციის ეპოქაში.

## 9.1. ცივი ომის შემდგომი მსოფლიო სხვადასხვა ხედვა

ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემის რთული და მრავალმხრივი სურათი სრულად განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ამიტომ ავტორები, რომლებიც სხვადასხვა იდეოლოგიურ ბაზას ეყრდნობიან და სხვადასხვა თეორიულ მიმართულებებს წარმოადგენენ, მკვეთრად განსხვავებულ შეფასებას აძლევენ ცივი ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოს. თეორეტიკოს მკვლე-

ვართა მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა მიმდინარეობის ჯგუფები საბოლოო ჯამში სამ ძირითად ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ: *ლიბერალ-ოპტიმისტებს,* რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მსოფლიო განვითარების უზარმაზარ პოტენციალს ხედავენ და ირწმუნებიან, რომ ბევრად უკეთესი და ბედნიერი დრო დადგა, ვიდრე აქამდე ოდესმე ყოფილა; *„მძიმე" რეალისტებს,* რომლებიც თვლიან, რომ მსოფლიო ისევე (თუ უფრო მეტად არა) საშიში და დაძაბულია, როგორც ადრე იყო; *რადიკალებს,* რომლებიც ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო წესრიგი რჩება ისეთივე არათანაბარი და ექსპლოატატორული, როგორც ყოველთვის იყო.

**ლიბერალ-ოპტიმისტები**. ლიბერალური ხედვა ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო სისტემის შემდგომი განვითარების მიმართ, ყველაზე ნათლად და მკაფიოდ (და ალბათ ყველაზე უფრო ოპტიმისტურად) გამოხატულია ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულში" (ფუკუიამა, 1999). მისი საკმაოდ მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დებულებები ასეთნაირად გამოიყურება:

ა) საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ისტორიის შინაარსი გამოიხატება იმ ბრძოლით და დაპირისპირებით, რომელიც არსებობს კოლექტივიზმისა და ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის მხარდამჭერ ძალებს შორის;

ბ) 1917 წლის რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ უპირატესობა აშკარად „კოლექტივისტების" მხარეს გადავიდა;

გ) 70-იანი წლებიდან ძლიერდება ინდივიდუალისტების პოზიციები, რადგან გეგმიანი ეკონომიკის განვითარების მცდელობამ მესამე სამყაროს ქვეყნებში მარცხი განიცადა, ხოლო სოციალიზმის პოზიციები თვით სოციალისტურ ქვეყნებშიც კი შეირყა;

დ) ინდივიდუალიზმის პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა 1985 წლიდან, როცა სსრკ-ს ახალმა ხელმძღვანელობამ მ. გორბაჩოვის მეთაურობით დაიწყო შემობრუნება საბაზრო ეკონომიკისაკენ;

ე) ინდივიდუალისტების დიდი წარმატება იყო საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დატოვება, რამაც საშუალება მისცა ამ ქვეყნებს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზით წასულიყვნენ, ხოლო ევროპის ორ დაპირისპირებულ ნაწილად დაყოფა წარსულს ჩაბარდა. 1991 წელს კომუნიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა კოლექტი-

ვიზმის ინდივიდუალიზმთან ბრძოლაში საბოლოო დამარცხების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ფუკუიამას აზრით, ისტორია დამთავრდა იმ გაგებით, რომ იგი აღარ წარმოადგენს რაციონალური და ირაციონალური ძალების დაპირისპირებისა და ბრძოლის გამოხატულებას. კაცობრიობა შევიდა სულ სხვა ეპოქაში, რომლის შინაარსიც არის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გლობალური დამკვიდრება და საყოველთაო გავრცელება. იწყება საყოველთაო ეკონომიკური აღმავლობის ეპოქა, ხოლო პოლიტიკური ცხოვრება ახლა ნაკლებად მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია, ვიდრე ის ადრე იყო. სახელმწიფოთა როლი მცირდება და იწყება გლობალიზაციის ხანა.

ფუკუიამას ეს მოსაზრებები პრაქტიკულად მთლიანად არის გაზიარებული ლიბერალური მიმართულების მკვლევრებისა და სპეციალისტების მიერ. მათი აზრით, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე საშიში და სისხლიანი მოვლენები უკვე გავლილია და მომავლის საერთაშორისო სისტემას ასეთი საშიშროებები არ ემუქრება.

მათი ეს ოპტიმიზმი სამ ჰიპოთეზას ემყარება:

1. მსოფლიოში, სადაც ლიბერალური დემოკრატია ნორმად არის ქცეული ომის ალბათობა ძალიან მცირეა. არა იმიტომ, რომ დემოკრატიული რეჟიმი უარს ამბობს ომზე საერთოდ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთში არასოდეს ომობენ. ამდენად, რაც მეტი იქნება ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები, იმდენად ნაკლები იქნება ომის საფრთხე. რადგან ცივი ომის დამთავრების შემდეგ, დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვი სწრაფად იზრდება, პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა იქნება. შესაბამისად, მსოფლიოც აბსოლუტურად უსაფრთხო გახდება.

2. თანამედროვე მსოფლიოში სწრაფად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და რაოდენობა. ისეთი მრავალფუნქციური ორგანიზაცია, როგორებიცაა გაერო, ნატო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვები თანდათანობით უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ისინი არა მარტო ცალკეული ერი-სახელმწიფოების ინტერესებს გამოხატავენ, არამედ აქვთ ფართო ფუნქციები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირონ სხვადასხვა სახელმწიფოები, ხელი შეუწყონ მათ დაახ-

ლოებას, ურთიერთთანამშრომლობისა და დავის მშვიდობიან მოგვარებას, რითაც ხელს უწყობენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

3. აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, ძირეულად იცვლება თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა. სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო მეტად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული ეკონომიკურად. ხდება სახელმწიფოთა როლის შემცირება საერთაშორისო ვაჭრობასა და წარმოებაში და სწრაფად იზრდება ტრანსნაციონალური კომპანიების როლი. როგორც ქვეყნები, ისე კომპანიები და მოსახლეობა, დაინტერესებული არიან ეკონომიკური კავშირების გაფართოებითა და პოლიტიკური სტაბილურობით. ყოველივე ამის გამო, ომის საფრთხე კლებულობს.

**რეალისტები.** ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ოპტიმისტური ხედვა ლიბერალების მხრიდან, დიამეტრულად ეწინააღმდეგება რეალისტების პესიმისტურ შეხედულებებს. როგორც უკვე ითქვა, რეალიზმის მიმდევრებისთვის გლობალიზაცია მითია. ერი-სახელმწიფოები კვლავ დიდხანს იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორები, პოლიტიკის წარმმართველ ფაქტორად კვლავ ეროვნული ინტერესები დარჩება, ხოლო სახელმწიფოს სიძლიერე განსაზღვრავს მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში. რაც შეეხება ცივი ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგს, აქ მაინც და მაინც დიდი სასიკეთო ძვრები არ მომხდარა და გარკვეული თვალსაზრისით მდგომარეობა უფრო დაძაბული და გაურკვეველი გახდა. შევჩერდებით სამ გახმაურებულ შრომაზე.

1. *ჯონ მეარშეიმერის „უკან მომავლისაკენ"* ერთ-ერთი პირველი სტატია იყო, სადაც ცივი ომის დასასრული უარყოფითად იქნა შეფასებული (Mearsheimer, 1990). ავტორი არ იზიარებს იმ საყოველთაო აღტაცებას, რაც ცივ ომში ამერიკის გამარჯვებასთან იყო დაკავშირებული და მიიჩნევს, რომ ეს ეიფორია ისტორიის არასწორად გაგებისაგან გამომდინარეობს. მერშეიმერის აზრით, ცივმა ომმა მსოფლიო გადაარჩინა ქაოსსა და ომებს, რადგან 1945 წლის შემდეგ დამყარდა ძალთა ისეთი წონასწორობა, რომელიც გამორიცხავდა დიდი მასშტაბის ომს. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს წონასწორობა დაირღვა, რადგან სტაბილურობის მთავარი გარანტი –ბიპოლარული სისტემა დაიშალა. ამ მოვლენამ მხოლოდ ახალი პრობლემები გააჩინა, მათ შორის ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი.

ევროპის გაერთიანებამ კი დაარღვია ამ კონტინენტზე არსებული სტაბილური წესრიგი და მხოლოდ გაურკვევლობა დაბადა. დაბოლოს, მეარშეიმერს მიაჩნია, რომ კომუნიზმის ნგრევამ მოსპო ის ბარიერი, რომელიც აკავებდა ეთნიკურ დაპირისპირებასა და მტრობას საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამიტომ ეს რეგიონი პერმანენტულ ეთნოკონფლიქტებისთვის არის განწირული და მთელ კონტინენტს უკან, ქაოსისაკენ აბრუნებს (როგორც ეს ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი). ბოსნიისა და კოსოვოს ომები მეარშეიმერს წინასწარმეტყველების ერთგვარ გამართლებად იქცა.

2. *სამუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება"*, რომელიც 1993 წელს სტატიის სახით დაიბეჭდა ჟურნალ „ფორინ ეფეარსში", ხოლო 1996 წელს უკვე საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნიც გამოვიდა იმავე სახელწოდებით, ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი და სადავო შრომაა. ჰანტინგტონი ასევე დარწმუნებულია, რომ ლიბერალების ოპტიმიზმი იმის შესახებ, რომ მსოფლიო საბოლოოდ დაწყნარდა და ცივი ომის შემდეგ მას გლობალური ომი აღარ ემუქრება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მისი აზრით, ყოველ საუკუნეში იყო ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც მრავალრიცხოვან და სისხლისმღვრელ შეტაკებას იწვევდა. შუა საუკუნეებში ეს იყო დაპირისპირება დინასტიებს, მონარქებს ან რელიგიებს შორის, XIX საუკუნეში – იმპერიებს შორის, XX საუკუნეში კი – იდეოლოგიებს შორის. რაც შეეხება XXI საუკუნეს, ჰანტინგტონის აზრით, იგი იქნება ანტაგონიზმი ცივილიზაციებს შორის. ცივი ომის დამთავრებისთანავე მთავარ წინააღმდეგობად იქცა დაპირისპირება დასავლურ ცივილიზაციასა და სხვა (მართლმადიდებლურ, ისლამურ, ინდუისტურ, კონფუციანურ) ცივილიზაციებს შორის. გარკვეული დაპირისპირება ყველა ცივილიზაციის შორის არის, მაგრამ ძირითადი მაინც დასავლეთსა და სხვა ცივილიზაციებს შორის წინააღმდეგობაა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დასავლურ ცივილიზაციას უნივერსალობის პრეტენზია აქვს და გლობალიზაციაც, ფაქტობრივად, დასავლური ცივილიზაციის დანარჩენ მსოფლიოზე თავს მოხვევაა, რაც სხვა ცივილიზაციების მძაფრ პროტესტს იწვევს. განსაკუთრებული აგრესიულობით დასავლური ცივილიზაციის მიმართ გამოირჩევა ისლამი. ჰანტინგტონი ვარაუდობს, რომ მოსალოდნელია ისლამურ-კონფუციანური ბლოკის ჩამოყალიბება დასავლეთის წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება სხვა ცივილიზაციებიც (მათ

შორის მართლმადიდებლური) შეუერთდეს. ამგვარად, მომავლის კონფლიქტები იქნება არა პოლიტიკური ან იდეოლოგიური, არამედ კულტურული ხასიათისა. მართალია ჰანტინგტონის მოსაზრებებს მძაფრი წინააღმდეგობა მოჰყვა და მეცნიერთა უმრავლესობას იგი სერიოზულად არ აღუქვამს, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ბევრი იძულებული გახდა სხვა თვალით შეეხედა მისთვის.

3. *რობერტ კაპლანის „მომავალი ანარქია"* (Kaplan, 1994) ჟურნალისტური მიმოხილვაა და არა სამეცნიერო სტატია, მაგრამ მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში. კაპლანმა ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს უდიდესი საშიშროება განვითარებად სამყაროში ანუ გლობალურ სამხრეთში დაინახა. მისი აზრით, იქ არსებული ვითარება ყველანაირ საფუძველს აცლის ლიბერალების ოპტიმიზმს, რადგან მომავლის სურათი ერთობ მძიმე და უიმედოა. კერძოდ, დასავლეთი აფრიკა იმავე როლს ითამაშებს მსოფლიო პოლიტიკაში, რასაც ბალკანეთი XX საუკუნის დასაწყისში თამაშობდა და რასაც ჯერ ორი ბალკანური ომი, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომის გაჩაღება მოჰყვა. აფრიკა და საერთოდ განვითარებადი სამყაროს უდიდესი ნაწილი გაუსაძლის პირობებშია ჩავარდნილი. უკიდურესი სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, დაპირისპირება კლანებს შორის, კორუფცია და სხვა მსგავსი მოვლენები არის მიზეზი იმ ქაოსისა და ანარქიისა, რაც ამ სამყაროში, ათეულობით არშემდგარ სახელმწიფოში სუფევს. ამასთან, აღნიშნული სამყაროს მოსახლეობა საოცარი სისწრაფით იზრდება და სულ 20–25 წელია საჭირო მათი გაორმაგებისათვის. მოსახლეობის ასეთი მატებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კატასტროფული გახდება. ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როცა მდიდარ ჩრდილოეთში, ანუ განვითარებულ სამყაროში ცხოვრების დონე და პირობები ყოველწლიურად უმჯობესდება, ხოლო მოსახლეობის ზრდა ნულოვანი, ზოგან კი უარყოფითიც კია. ამ ვითარებაში შიმშილით სიკვდილის საშიშროების წინაშე მდგარი მილიონობით ღატაკი დიდხანს აღარ გაჩერდება ასეთ მდგომარეობაში და იმ სამყაროს მიუკაკუნებს კარზე, სადაც აყვავება და განცხრომაა. სწორედ ეს სამხრეთიდან ჩრდილოეთში მომავალი ანარქია იქნება ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის დამანგრეველი ფაქტორი და ყველაზე დიდი საშიშროება, რაც კაცობრიობას ელის.

**რადიკალები.** რადიკალების სახელით საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მემარცხენე შეხედულების მქონე მეცნიერები არიან ცნობილი, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკის არათანაბარი და წინააღმდეგობრივი განვითარების მიზეზად კაპიტალისტური ეკონომიკის ექსპლუატატორულ ბუნებას მიიჩნევენ. რადიკალებში ძირითადი ადგილი მარქსისტებსა და ნეომარქსისტებს ეკუთვნოდათ, თუმცა მათ გარდა სხვა თეორიული მიმდინარეობის წარმომადგენლებიც იყვნენ წარმოდგენილი. ცივი ომის დამთავრებისა და კომუნიზმის კრახის შემდეგ მემარცხენე რადიკალების პოზიციები ძალიან შეირყა, მაგრამ ისინი მაინც რჩებიან ანგარიშგასაწევ ძალად. ამდენად, საინტერესოა რადიკალების მოსაზრებები ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის შესახებ. შევჩერდებით ორ მათგანზე:

1. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი *ნოამ ჩომსკი* პირველ რიგში ცნობილია, როგორც თანამედროვეობის უდიდესი ლინგვისტი-თეორეტიკოსი, მაგრამ იგი გამოჩენილი ანთროპოლოგი, სოციოლოგი და პოლიტოლოგიცაა. 1994 წელს გამოსულ მის წიგნში „მსოფლიო წესრიგი: ახალი და ძველი" (Chomsky, 1994) თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მისეული ხედვაა გადმოცემული, რომელიც შემდეგ ძირითად დებულებებამდე დაიყვანება:

ა) საერთაშორისო სისტემის ხასიათი 1989 წლის შემდეგ მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა, შინაარსობრივად კი მაინცდამაინც ბევრი არაფერი შეცვლილა. იგი კვლავ რჩება გაყოფილ, ბიპოლარულ სისტემად, სადაც ერთ პოლუსს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოები წარმოადგენენ, ხოლო მეორეს — მათზე დამოკიდებული მესამე სამყაროს ღარიბი ქვეყნები;

ბ) სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეესაბამება აშშ-ის მიჩნევა პროგრესისა და ლიბერალიზმის ბასტიონად. სინამდვილეში ის იმპერიალისტური და ექსპანსიონისტური ძალაა, რომლის მთავარი მიზანიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში არის საკუთარი გავლენის დამკვიდრება მთელ მსოფლიოში და უსაფრთხო პირობების შექმნა მულტინაციონალური კომპანიებისთვის;

გ) ამერიკული ელიტარული დემოკრატიის მიზანია არა ის, რომ დემოკრატიას აზიაროს მსოფლიო მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ ის, რომ შეუზღუდოს მათ არჩევანის უფლება. ამერიკას ეშინია ჭეშმარიტი დემოკრატიისა და ყველა

ღონეს გამოიყენებს მის წინააღმდეგ, თუ ასეთი დემოკრატია არ ეთანხმება ქვეყნის მატერიალურ და სტრატეგიულ ინტერესებს;

დ) ამერიკის გლობალური გავლენის გაძლიერება გამოწვეულია იმითაც, რომ ამერიკას აქვს უნარი მიაღწიოს შიდა თანხმობას მოსახლეობასთან, რაც მას თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. ამერიკელების ძალიან ცოტა რაოდენობას თუ აინტერესებს რა ხდება მისი საკუთარი თავის იქით;

ე) აუცილებელია უარი ითქვას ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე, რამეთუ იგი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ძველი იმპერიალიზმია.

2. *რობერტ კოქსი* (Cox, 1996) გამოყოფს სამ მთავარ დებულებას, რომლებიც მისი აზრით, განსაზღვრავენ ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების გზას და მის მთავარ ნიშნებს:

ა) „ახალი" მსოფლიო წესრიგი უნდა იქნეს გაგებული ისტორიული თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საერთოდ გაუგებარი დარჩება. მსოფლიო პოლიტიკაში არსებითი ცვლილება მოხდა არა 1989 ან 1991 წლებში, არამედ 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ გეზი აღებულ იქნა ეკონომიკურ ნეოლიბერალიზმზე. საერთაშორისო სისტემა დაემორჩილა ნეოლიბერალური ეკონომიკური წესრიგის მკაცრ დისციპლინას, რომელიც არის არა ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების, არამედ ტრანსნაციონალური ელიტის მიერ შემოტანილი და დანერგილი.

ბ) სხვა თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. იდეოლოგია და პოლიტიკური სტრუქტურა იგივე დარჩა. ეროვნული უსაფრთხოება, დაზვერვა, თავდაცვა და სახელმწიფოთა იერარქია (ყველაზე ძლიერით სათავეში) პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც ცივი ომის დროს იყო;

გ) ე. წ. ახალი მსოფლიო წესრიგი შორსაა სტაბილურობისაგან. კაპიტალის დაუგეგმავი დაგროვების დინამიკა, გლობალური ფინანსური ქაოსი, გაკოტრებულთა რიცხვის ზრდა და ცივი ომის შემდგომი სხვა მოვლენები საერთაშორისო სისტემას არასტაბილურ სისტემად აყალიბებს. თუმცა მუშათა კლასის რევოლუციები ნაკლებად მოსალოდნელია, ახალი ემანსიპატორული ძალების გამოჩენის შესაძლებლობა გლობალიზაციის პერიოდში კვლავ დგას დღის წესრიგში.

## 9.2. ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემის გლობალური ტენდენციები

ზემოთ განხილული სხვადასხვა შეხედულებები თანამედროვე ანუ ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემასა და მსოფლიო წესრიგზე იმის მაჩვენებელია, რომ არც ერთ მათგანს არ შეიძლება ჰქონდეს სრული ჭეშმარიტების პრეტენზია, ისევე, როგორც არც ერთი მათგანი არ არის აბსოლუტურად მცდარი და მიუღებელი. ასეთი განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების მიზეზი კი ისაა, რომ თანამედროვე, გლობალიზებული საერთაშორისო სისტემა, მართლაც ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. იგი ჩამოყალიბების სტადიაშია და თუ როგორ განვითარდება იგი მომავალში, საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგიერთი ავტორი (Singer, Wildavsky, 1993) იმასაც კი ამტკიცებს, რომ დღეს ერთიანი საერთაშორისო სისტემის ნაცვლად არსებობს ორი „ზონა": ერთი მშვიდობისა და აყვავების (მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები), მეორე კი – არეულობისა და უწესრიგობის (მესამე სამყარო და ყოფილი საბჭოთა ბლოკი). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამენ სხვა ავტორებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსოფლიო გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე სამყაროდ – აღმშენებლობით ანუ შემაკავშირებელ და დამანგრეველ, ანუ დამაქუცმაცებელ ძალებად. ამასთან, საერთაშორისო სისტემა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორების გამომწვევი მიზეზიცაა, რომლებსაც სისტემის ცალკეული ნაწილებისთვის სტაბილურობა და აყვავება მოაქვთ, ხოლო სხვა ნაწილებისთვის შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგი მოიტანონ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დიდ ინტერესს იწვევს და აუცილებელიცაა განისაზღვროს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო სისტემისათვის. მაიკლ კოქსი რამდენიმე ასეთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს გამოყოფს (Cox M., 2001), რომელზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

### *9.2.1. კაპიტალიზმის ტრიუმფი*

ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში მრავალი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა მოხდა, რომელთა

ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ისინი (სპარსეთის ყურის ომიდან დაწყებული 2001 წლის 11 სექტემბრით დამთავრებული) მაინც ვერ გამოხატავენ ეპოქის შინაარსს და უპასუხოდ ტოვებენ მთავარ კითხვას: რამ შეცვალა მსოფლიო ანუ რა არის ის ძირითადი, რაც განასხვავებს ცივი ომის შემდგომ პერიოდს წინა პერიოდებისაგან?

მთავარი ტენდენცია, რაც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი, მოკლედ ორი სიტყვით შეიძლება ითქვას: – კაპიტალიზმის ტრიუმფი. სწორედ მისი საყოველთაო, გლობალურ სისტემად გადაქცევა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრება (უკეთესობის ან უარესობისაკენ) და რამაც მოსპო ბარიერები მსოფლიო ბაზრისათვის არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკისა და თანამედროვე ისტორიის ხასიათი საფუძვლიანად გარდაქმნა.

მართლაც, თუ ცივი ომი ორი ეკონომიკური სისტემის დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ერთში კერძო საკუთრება დომინირებდა, ხოლო მეორეში ეკონომიკური სადავეები სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მაშინ გასაგებია, თუ რა მნიშვნელობის იყო ამ დაპირისპირების მოსპობა და ერთი მათგანის სრული გამარჯვება მეორეზე. სწორედ სოციალისტური ეკონომიკის კრახმა განაპირობა სოციალისტური სამყაროს, საბჭოთა კავშირისა და მარქსისტული იდეოლოგიის „გარდაცვალება". მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნა ერთიან, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემად რთული და ხანგრძლივი პროცესია და დღევანდელი ისტორიაც სწორედ ამ პროცესის გამოხატულებაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის უზარმაზარი ძალაუფლება, რომელიც მიეცა ფინანსურ ორგანიზაციებს, პირველ რიგში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს. მათი ამოცანაა ხელი შეუწყონ ჩამორჩენილ და გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მათ საბაზრო „რელსებზე" გადაყვანას. ეს პროცესი ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს და ბევრი ასეთი ქვეყნის მიერ ახალ იმპერიალიზმად აღიქმება, რადგან ამ ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგი, მათი აზრით, დასავლეთის (ჩრდილოეთის) გამდიდრება და სამხრეთის კიდევ უფრო გაღატაკებაა.

საბაზრო ეკონომიკის გლობალიზაციამ საგრძნობლად შეცვალა სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

თუ ცივი ომის პერიოდში სახელმწიფოთა ძირითადი ყურადღება ეროვნულ უსაფრთხოებაზე იყო გადატანილი და ეკონომიკა პოლიტიკას ექვემდებარებოდა, ახლა მდგომარეობა განსხვავებულია. სახელმწიფოები არა მარტო ამცირებენ თავდაცვისა და უშიშროების ხარჯებს, არამედ თვით ეს დარგები თანდათან ეკონომიკაზე ხდებიან დამოკიდებულნი. ხოლო სახელმწიფო სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში. დადგა პერიოდი, რომელსაც გეოეკონომიკის ეპოქა შეიძლება ეწოდოს.

რადგან ცივი ომის შინაარსს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება წარმოადგენდა და ამდენად სახელმწიფო მიზანიც ისეთი სამხედრო ძლიერების მიღწევა იყო, რომელიც უსაფრთხოების გარანტია იქნებოდა ქვეყნისათვის. თანამედროვე პირობებში ყურადღება გადატანილია გლობალურ ეკონომიკაზე, იმაზე თუ, როგორ მიაღწიოს ქვეყანამ და ხალხმა წარმატებებსა და აყვავებას ეკონომიკური მეტოქეობის ვითარებაში. ასეთმა ცვლილებამ გარკვეულწილად შეცვალა კულტურული და სულიერი ფასეულობების რაღაც ნაწილიც. მაგალითად, თუ გმირის ეტალონად ითვლებოდა მამაცი და მოხერხებული მეომარი, ამჟამად წარმატებულ ბიზნესმენს და კომპიუტერული სამყაროს წარმომადგენელს ენიჭებათ უპირატესობა.

ამასთანავე, კაპიტალიზმის აღნიშნული ტრიუმფი არ ნიშნავს კეთილდღეობის ტრიუმფს. საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები ხშირად მძიმედ აისახება მოსახლეობაზე (გავიხსენოთ თუნდაც 1997 წლის აზიის და 1998 წლის რუსეთის ფინანსური კრიზისები). ახალი ეკონომიკური წესრიგით წარმატებამოპოვებულმა ზოგიერთმა ფინანსისტ-ბიზნესმენმაც კი (კერძოდ, ჯორჯ სოროსმა) მოუწოდა ხელისუფლებას აქტიურად ჩაერიოს ხოლმე ეკონომიკაში, რათა დაიცვას მოსახლეობა ბაზრის სტიქიური შემოტევისაგან.

როგორც ვხედავთ, ახალ კაპიტალიზმს აქვს დადებითი (პროდუქციის ზრდა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საწინდარია) და უარყოფითი (სტიქიურობა, კრიზისი, ინფლაცია, რაც მძიმედ აისახება მოსახლეობაზე) მხარეები. იგი, ფაქტობრივად, უკონტროლოა და მხოლოდ ბაზარი არეგულირებს, მაგრამ მისი სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

### 9.2.2. აშშ — ერთადერთი ჰეგემონი

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გახდა მისი უნიპოლარულობა. ორი პოლუსის (აშშ და სსრკ) ნაცვლად ცივი ომის შემდეგ ერთადერთი პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა. არასოდეს უახლესი ისტორიის მანძილზე, ერთ ქვეყანას არ ჰქონია სხვებთან შედარებით ასეთი უპირატესობა საერთაშორისო სისტემაში, როგორც დღეს ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამერიკის ხანაა. ეს აძლევს საბაბს სკეპტიკოსებს იმისათვის, რომ გლობალიზაციაში ამერიკანიზაცია დაინახონ და იგი ამერიკული იმპერიალიზმის გარეგნულ სახედ მიიჩნიონ.

80-იანი წლების დასაწყისში ამერიკის ასეთ მომავალს ვერავინ განჭვრეტდა. პირიქით, გახშირდა წიგნები და სტატიები, სადაც ამერიკის მომავალი საკმაოდ პესიმისტურ ფერებში იყო წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის პოლ კენედის წიგნი „დიდი სახელმწიფოების აღზევება და დაცემა" (Kenedy, 1987), სადაც ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ ისევე, როგორც ყველა დიდ სახელმწიფოს აყვავებას დაცემა მოჰყვა, ამერიკის შეერთებული შტატებიც ვერ გადაურჩება ასეთ მომავალს. აშშ-ის ძლიერება კლებულობს, მისი ეკონომიკური პოტენციალი მცირდება და XXI საუკუნეში იგი პირველობას იაპონიას გადაულოცავს.

მაგრამ მოვლენები ისე წარიმართა, რომ აღნიშნული პროგნოზი არა თუ არ გამართლდა, არამედ სრულიად საპირისპიროდ განვითარდა. საბჭოთა კავშირში განვითარებული „პერესტროიკის" კურსის კრახმა დაანგრია სოციალიზმი აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო თვითონ საბჭოთა კავშირის როგორც ეკონომიკურმა, ისე პოლიტიკურმა დასუსტებამ აშშ კონკურენტის გარეშე დატოვა. ამას მოჰყვა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომი, სადაც ამერიკის გამარჯვებამ ყოველგვარი დანაკარგების გარეშე უაღრესად გაზარდა მისი პრესტიჟი, რასაც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამერიკელებისთვის (მოეხსნათ რა ე.წ. „ვიეტნამის სინდრომი"). ამ გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, რამაც აშშ-ის დასუსტებისა და გავლენის დაკარგვის მითს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა.

პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერების ფონზე სერიოზულ პრობლემად მაინც რჩებოდა ამერიკის ეკონომიკური სიძნელეები, რაც ფინანსურ დეფიციტში (ხარჯები სჭარბობდა შემოსავალს, რომელიც გადასახადებიდან შემოდიოდა) გამოიხატებოდა. მაგრამ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდი (1993–2001) უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისთვის. ეკონომიკური აღმავლობის და წარმოების ზრდის ტემპები უპრეცედენტო იყო, რამაც სახელმწიფო ფასიანი აქციების ღირებულება გაათოხმაგა და ფინანსური დეფიციტი არა თუ დაძლეულ იქნა, არამედ შემოსავლებმა ბევრით გადააჭარბა ხარჯებს. შეიქმნა 10 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი და უმუშევრობა მინიმუმამდე დავიდა. ამგვარად, ეკონომიკური თვალსაზრისითაც გლობალიზაციამ ამერიკაზე უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინა.

აღნიშნულმა მოვლენებმა აშშ თანამედროვე მსოფლიოს ჭეშმარიტი ჰეგემონი გახადა. ფაქტობრივად, მან თავის ხელში აიღო მსოფლიოს ყველა სერიოზული კონფლიქტის მოგვარება (ბოსნია, კოსოვო, ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-პაკისტანისა და ა. შ.) თანაც ისე, რომ ხშირად ამას ერთპიროვნულად აკეთებს[1], ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები და თანხმობა ღონისძიებების გატარებაზე აშშ-ის კარნახით ხდება.

ერთგვარი შოკი აღმოჩნდა ამერიკისთვის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები. მაგრამ ამ მოვლენამ კიდევ უფრო გაზარდა მისი გავლენა და როლი მსოფლიოში. ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ განხორციელებულმა ოპერაციამ საშუალება მისცა ამერიკას თავის სამხედრო კონტინგენტი შეეყვანა უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამერიკა მკვიდრდება ცენტრალურ აზიაში, რაც ძირეულად ცვლის გეოპოლიტიკურ წესრიგს ამ რეგიონში. ხოლო 2002 წლის მაისში საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების კონტინგენტის შემოყვანა და მათ მიერ ქართული არმიის მომზადება მიგვანიშნებს, რომ კავკასიაც უკვე შევიდა ამერიკის სასიცოცხლო გეოპოლიტკური ინტერესების სფეროში. ამიტომ ამ ფაქტს მოჰყვა რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება.

როგორც ვხედავთ, დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო სისტემაში

[1] ამის დადასტურებაა აშშ-ის ომი ერაყში 2003 წლის გაზაფხულზე.

უალტერნატივო ჰეგემონია და მდგომარეობის შეცვლა არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

### 9.2.3. რუსეთი — რეფორმები თუ დაქვეითება?

ამერიკის ეკონომიკური და პოლიტიკური ჰეგემონობის ფონზე რუსეთის როლი საერთაშორისო სისტემაში ისევე, როგორც მისი გავლენა მსოფლიოში 90-იან წლებში მუდმივად მცირდებოდა. თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე რუსეთმა უზარმაზარი დახმარება მიიღო როგორც დასავლეთის ქვეყნებიდან და პირველ რიგში აშშ-დან, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, რუსეთის ეკონომიკა მაინც უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმიდან და გეგმიანი ეკონომიკიდან დემოკრატიულ მმართველობასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ მძიმე იქნებოდა, მაგრამ ასეთ შედეგებს მაინც არავინ მოელოდა.

თუ 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით მეორე ადგილზე იყო მსოფლიოში და ეს სიდიდე ამერიკის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 70%-ს შეადგენდა (თანაც გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ს ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში რუსეთის წილი 2/3-ზე მეტი იყო), 2000 წლისთვის რუსეთი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობით მე-16 ქვეყანა იყო მსოფლიოში, ჩამორჩებოდა რა ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია, ნიდერლანდები, ინდოეთი, თითქმის ორჯერ – ბრაზილიას, ოთხჯერ – საფრანგეთს, 12-ჯერ – იაპონიასა და 25-ჯერ – ამერიკის შეერთებულ შტატებს (Kegley, Wittkopf, 2001, p. 231). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთი მეორეხარისხოვან ქვეყნად იქცა. ასეთ დაქვეითებას კი, რა თქმა უნდა, მოჰყვა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მატერიალური შემოსავლების დაქვეითება, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მოიშალა, სიკვდილიანობამ გადააჭარბა შობადობას, კატასტროფულად იმატა დანაშაულმა. ერთი სიტყვით, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთ პირობებში მოსახლეობაში გაძლიერდა ნოსტალგია საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ რეჟიმზე, რის გამოხატულებაც საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტების წარმატება იყო.

ასეთი მძიმე შედეგების მიზეზი, ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნების არასწორი პოლიტიკა და განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაუსაბუთებელი რეკომენდაციები იყო, მეორე მხრივ კი – თვით რუსი რეფორმატორების შეცდომები. რუსეთში არ იმუშავა იმ მეთოდმა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა პოლონეთსა და სხვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, ანუ ე. წ. „შოკურმა თერაპიამ". ამას დაერთო ფინანსური კრიზისი 1998 წლის ზაფხულში, რამაც, ფაქტობრივად, დაანგრია რუსეთის ფინანსური სისტემა.

ეკონომიკური დასუსტება, ბუნებრივია, აისახება ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო პოტენციალზე. რუსეთის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. დღეს რუსეთის სამხედრო ხარჯები ათეულჯერ ჩამორჩება ამერიკის სამხედრო ბიუჯეტს. უკვე რამდენიმე წელია, რუსეთი ამაოდ ცდილობს სამხედრო გზით გადაწყვიტოს ჩეჩნეთის პრობლემა. საკმაოდ შესუსტდა რუსეთის პოლიტიკური პრესტიჟი და მისი როლი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

ასეთ პირობებში დასავლეთი კვლავ ცდილობს ხელი შეუწყოს რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, გაცნობიერებული აქვს რა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს უზარმაზარი ბირთვული პოტენციალის მქონე, მაგრამ ეკონომიკურ გაჭირვებაში მყოფი ქვეყანა.

2000 წლიდან რუსეთის პრეზიდენტად ვ. პუტინის მოსვლის შემდეგ შეიმჩნევა ძვრები რუსეთის ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით, მაგრამ რუსეთის პირველხარისხოვან, ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოდ გადაქცევა საკმაოდ შორეული პერსპექტივაა. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის პოლიტიკური როლის ამაღლების შესახებაც. ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ამერიკის ჯარები და სამხედრო ინსტრუქტორები იმყოფებიან (ანუ იმ რეგიონებში, რომლებიც რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის სფეროდ მიიჩნევა, რუსეთის ნაცვლად სხვა სახელმწიფო დომინირებს) იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის პოლიტიკური პრესტიჟი საკმაოდ შერყეულია.

### 9.2.4. ჩინეთი — მომავლის ჰეგემონი?

როდესაც ცივი ომის დამთავრებაზე საუბრობენ, მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, აქვთ კომუნისტური რეჟიმების დამხობა ჯერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი თვით — საბჭოთა კავშირში. მაგრამ იმავე პერიოდში ჩინეთში, სადაც პლანეტის მოსახლეობის ერთი მეხუთედი ცხოვრობს კომუნისტური რეჟიმი არა თუ შენარჩუნებულ იქნა, არამედ გარკვეული მოდერნიზაცია განიცადა და უფრო განმტკიცდა კიდეც.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა უარი თქვა კვლავ ძალით ჰყოლოდა ისინი თავისი ჰეგემონიის ქვეშ გაერთიანებული, მოსახლეობის მშვიდობიანი საპროტესტო აქციები საკმარისი იყო იმისათვის, რომ აქ კომუნისტური რეჟიმები დამხობილიყო. ჩინეთის ხელისუფლებამ კი სტუდენტთა ასეთი მასობრივი საპროტესტო აქცია ტიანანმენის მოედანზე პეკინში 1989 წლის ივნისში სისხლში ჩაახრჩო, რითაც ყველას დაანახა, რომ კომუნისტური რეჟიმის შეცვლაზე ჩინეთში ლაპარაკიც კი ზედმეტია.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩინეთის თანამედროვე ისტორია, რომელიც კომუნისტური რეჟიმისა და საბაზრო ეკონომიკის უცნაური სინთეზია. ჯერ კიდევ 70-იანი წლების ბოლოს ჩინეთმა დაიწყო ღრმა რეფორმების გატარება ეკონომიკაში, დაუშვა რა კერძო საკუთრების უფლება სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროსა და გარკვეულ ფარგლებში მრეწველობაშიც. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვამ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, ქვეყანას მართლაც მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოუტანა. ჩინეთში, როგორც მდიდარი რესურსებისა და იაფი მუშახელის ქვეყანაში უცხოურმა ინვესტიციებმა იწყო დენა. ძალზე წარმატებული გამოდგა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირება ქვეყნის სანაპირო რაიონებში. ყოველივე ამის შედეგად, სწრაფად იწყო ზრდა ერთობლივი ეროვნული პროდუქციის მოცულობამ და მოსახლეობის ცხოვრების დონეც საგრძნობლად ამაღლდა.

ამასთანავე, რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და იდეოლოგიას. ჩინეთი რჩება კომუნისტურ სახელმწიფოდ, ერთპარტიული სისტემით, სადაც სიტყვის თავისუფლება, ადამიანთა უფლებები და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები უხეშად ირღვევა. ექსპერტთა აზრით, საბაზრო

ეკონომიკისა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დიქტატურის ეს უცნაური სიმბიოზი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და დღეს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში 2020 წლისთვის ჩინეთი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს ახალ ჰეგემონად მოგვევლინება.

ცხადია, ეკონომიკის მიღწევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ძალაზე და საგრძნობლად ცვლის მის „წონას" საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთი, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო, მილიარდ ხამასი მილიონი მოსახლეობით და როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, უკვე თავისთავად არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა საერთაშორისო სისტემაში. ხოლო ბოლო წლებში კი მისი როლი განუხრელად იზრდება. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდი არმიის მფლობელია, რომლის სამხედრო შეიარაღების მოცულობა და ხარისხი მუდმივად მატულობს.

უკვე დღეს, ჩინეთი გვევლინება, როგორც რეგიონული ლიდერი აღმოსავლეთ აზიაში, რაც მომავალში შეიძლება სერიოზულ საფრთხედ იქცეს ამ რეგიონისათვის და არა მარტო მისთვის. ყოველ შემთხვევაში, ამერიკული ექსპერტების უმრავლესობა სწორედ ჩინეთში ხედავს აშშ-ის მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო მეტოქეს.

მაგრამ ღია ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ქვეყანამ არ გაითვალისწინოს რეალური მდგომარეობა და იზოლირებული დარჩეს მთავარი პოლიტიკური მოვლენებისაგან. ეს ჩინეთის საგარეო პოლიტიკაშიც იგრძნობა, რომელიც უფრო დემოკრატიული გახდა და ისე კატეგორიულად აღარ ეწინააღმდეგება დასავლეთს, როგორც ეს ადრე იყო. კერძოდ, ჩინეთმა არ გამოიყენა ვეტოს უფლება ერაყის წინააღმდეგ ლონისძიებების დამტკიცებისას უშიშროების საბჭოში, არ შეწინააღმდეგებია კოსოვოს ოპერაციის ჩატარებას, კონსტრუქციული პოზიცია დაიკავა 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისის დროს. ერთი სიტყვით, იგი ძირითადად მიჰყვება იმ ტენდენციებს, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი და რომელთა წარმმართველიც დასავლეთია. მხოლოდ ტაივანის საკითხზე რჩება ჩინეთი

ტრადიციულ პოზიციაზე და ნებისმიერი გზით ჩინეთთან მის შეერთებას მოითხოვს.

გლობალიზაციის პროცესი აშკარად შეეხო ჩინეთსაც (თუმცა არა ისეთი ინტენსივობით, როგორც დასავლეთს). დღეს ჩინური პროდუქცია მთელს მსოფლიოშია მოდებული, მაგრამ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ჩინეთის როლი უმნიშვნელოა. მომავალში საფიქრებელია, რომ ჩინეთის აქტიური ჩართვა გლობალიზაციის პროცესში, რამდენადმე შეცვლის გლობალიზაციის „დასავლურ" ხასიათს და ნაკლებ საფუძველს დატოვებს გლობალიზაციის ვესტერნიზაციად მიჩნევისთვის.

### 9.2.5. იაპონია და „აზიის ვეფხვები"

80-იან წლებში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა მოსაზრებას, რომ აშშ-ის ეკონომიკური ჰეგემონიის დრო დასასრულს უახლოვდება და XXI საუკუნე იაპონიის ჰეგემონობის ეპოქა იქნებოდა. ასეთი მსჯელობის საფუძველს იძლეოდა ის შთამბეჭდავი წარმატებები, რასაც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია. ქვეყანა, რომელიც სასტიკად დამარცხდა ომში და თავის თავზე იწვნია ატომური ბომბის საშინელება, რომლის ეკონომიკაც მიწასთან იყო გასწორებული და არც არავითარი ბუნებრივი რესურსი გააჩნდა, სულ რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოში მესამე სახელმწიფო (აშშ-ისა და სსრკ-ს შემდეგ) გახდა წარმოების პროდუქციის საერთო მოცულობით და შორს გაუსწრო ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს.

ეკონომიკური ზრდის ტემპები იაპონიაში უპრეცედენტოდ მაღალი იყო, ხოლო იაპონური პროდუქცია ხარისხიანობისა და საიმედოობის ეტალონად იქცა. რაც მთავარია, იაპონურმა ნაწარმმა და პირველ რიგში ავტომობილებმა, ჩარხებმა, გემებმა, ელექტროტექნიკურმა და ელექტრონულმა პროდუქციამ დაიპყრო მსოფლიო ბაზარი, ხოლო თვით ამერიკაში ადგილობრივი ნაწარმი, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციას ვერ უწევდა იაპონურ იმპორტულ საქონელს. იაპონია წამყვანი ქვეყანა გახდა როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობასა და საფინანსო ურთიერთობებში, ხოლო მსოფლიოს უდიდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების პირველ ათეულში ოთხი იაპონური იყო.

70–80-იან წლებში ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა და მისი სტრუქტურის კარდინალური შეცვლა (კერძოდ, მანქანათ-

მშენებლობისა და ელექტრონიკის წამყვან დარგებად გადაქცევა) მოხდა აზიის წყნაროკეანური სარტყლის ქვეყნებშიც – სამხრეთ კორეაში, ტაივანში, ჰონგკონგსა და სინგაპურში. ამ ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ „ოთხთა ბანდას", ხოლო შემდეგ „აზიის ვეფხვებს" უწოდებდნენ მოგვიანებით ტაილანდი, მალაიზია და, გარკვეული მოსაზრებით, ინდონეზია და ფილიპინებიც მიემატა. ამგვარად, წარმოიქმნა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯაჭვი, რომელთა როლიც მსოფლიო ეკონომიკაში სწრაფად იზრდებოდა და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ცალკე პოლუსის სახით გამოჩნდა. ეს კი საკმარისი საფუძველი გახდა სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფისათვის, რომ იაპონია პლუს ახალი ინდუსტრიული ქვეყნები მომავალ ეკონომიკურ ჰეგემონად წარმოესახათ და XXI საუკუნე წყნაროკეანურ საუკუნედ მოენათლათ.

ცივი ომის დამთავრებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ წარმოდგენაში. ამერიკის ეკონომიკურმა ბუმმა 90-იან წლებში ნათელი გახადა, რომ იგი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს ჰეგემონობას მსოფლიო ეკონომიკაში და წარმოდგენა წყნაროკეანური ჰეგემონიზმის შესახებ აშკარად გადაჭარბებულია.

მაგრამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა 1997 წლის აზიის ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც საგრძნობლად შეარყია რეგიონის ფინანსური სტაბილურობა და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვია. წყნაროკეანური საუკუნის იდეა დაიმსხვრა და ამ რეგიონის ჰეგემონობისა მსოფლიო ეკონომიკაში ახლა ცოტა ვინმეს თუ სჯერა.

ამერიკელ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობას ახლა თითქმის აღარ აღარდებს იაპონიის ეკონომიკური მეტოქეობა და თვლის, რომ იგი აღარ არის აშშ-ის კონკურენტი. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკაში მდგომარეობა სწრაფად იცვლება და არ არის გამორიცხული მოვლენების სხვაგვარი განვითარებაც. მით უფრო, რომ იაპონია რჩება მსოფლიოს მეორე სახელმწიფოდ ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით, რომელიც აშშ-ის საერთო ეროვნული პროდუქტის ნახევარს შეადგენს და ამ მონაცემებს შორის სხვაობას შემცირების ტენდენცია ახასიათებს. გასათვალისწინებელია მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების როლის ზრდაც.

### 9.2.6. ევროპა — ინტეგრაცია, გაფართოება, სიძნელეები

ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ეკონომიკურად იგი გაჩანაგებული და დანგრეული იყო, პოლიტიკურადაც ამ კონტინენტის ვერც ერთი ქვეყანა ვეღარ ჩაითვლებოდა პირველხარისხოვან სახელმწიფოდ, რომელიც აშშ-ის ან სსრკ-ს გვერდზე შეიძლება დამდგარიყო (დიდ ბრიტანეთს, სანამ კოლონიების მფლობელი იყო გარკვეული თვალსაზრისით, კიდევ შეიძლებოდა სუპერსახელმწიფოს ტიტული მისადაგებოდა, მაგრამ უკვე 50-იანი წლებიდან მისი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში განუწყვეტლივ კლებულობდა). მსოფლიო პოლიტიკური განვითარების ცენტრმა პირველად გადაინაცვლა ევროპის გარეთ. მართალია აშშ-ის დახმარებამ (მარშალის გეგმა) და სხვა ობიექტურმა ფაქტორებმა დასავლეთ ევროპა მალე დააყენა ფეხზე და მისი სახელმწიფოებიც აყვავებულ ქვეყნებად იქცა, მაგრამ ვერც ერთი ქვეყანა ზესახელმწიფოს დონეზე ვერ ავიდა, თუმცა ინგლისი და საფრანგეთი ბირთვული სახელმწიფოებია და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიც არიან.

ამდენად, ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში ერთადერთი ალტერნატივა, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის გარდა, მესამე, დაახლოებით ისეთივე ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის პოლუსი გაჩენილიყო, მხოლოდ გაერთიანებული ევროპა შეიძლებოდა ყოფილიყო. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია ცივი ომის პერიოდში. ასე რომ, გლობალიზაცია ვიწრო, „ევროპულ მასშტაბში" ჯერ კიდევ ცივი ომის დროინდელი ფენომენია. ეს პროცესი ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იყო. 50–70-იან წლებში იგი, ძირითადად, ეკონომიკურ თანამშრომლობას და თანდათანობით დაახლოების ფორმით ვითარდებოდა („საერთო ბაზარი"), 80-იან წლებში კი უკვე პოლიტიკური ინტეგრაციის ხაზითაც გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. არის რაღაც სიმბოლური, რომ როცა ცივი ომი დასრულდა და საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა, თითქმის იმავდროულად იქნა დადებული მაასტრიხტის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანება

ევროკავშირად ანუ ზესახელმწიფოებრივ, სუპრანაციონალურ ორგანიზაციად აქცია.

ცივი ომის დამთავრების შემდგომ, ევროპაში (რა თქმა უნდა სოციალისტური სისტემის მსხვრევის, ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის გარდა) ოთხი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა:

*გერმანიის გაერთიანება.* ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას გარკვეული შიშით შეხვდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოებსა და თვით გერმანიაშიც. პირველ შემთხვევაში შიში გამოწვეული იყო იმით, რომ გაერთიანებული გერმანია თავისი ეკონომიკური პოტენციალით ბევრად აღემატებოდა ევროპის სხვა ქვეყნებს, რასაც შეიძლებოდა გერმანიის გაბატონებული მდგომარეობა და სხვა ქვეყნების შევიწროება მოჰყოლოდა. ზოგიერთი არც გერმანიის რევანშისტულ მოქმედებებს გამორიცხავდა. მეორე შემთხვევაში კი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის შიშს იწვევდა აღმოსავლეთ გერმანიის შეერთების შედეგად წარმოქნილი შესაძლო ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები. პირველი შიში უსაფუძვლო გამოდგა, მეორე კი მნიშვნელოვანწილად გამართლდა. ქვეყანაში საგრძნობლად იმატა ფასებმა, გაიზარდა უმუშევრობა და თავი იჩინა სოციალურ-კულტურული ადაპტაციის სიძნელეებმა. ამჟამად, ამ სიძნელეების დიდი ნაწილი დაძლეულია, ხოლო გერმანიის უსისხლოდ გაერთიანება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ორად გაყოფილი ერის ნაცვლად, რომლის ერთ ნაწილს აშშ, ხოლო მეორეს საბჭოთა კავშირი მართავდა, ახლა სახეზეა დამოუკიდებელი აქტორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპისა და მსოფლიოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი, ამავე დროს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მთავარი პარტნიორი და დონორია.

*ევროპული ინტეგრაცია.* გერმანიის გაერთიანებამ დააჩქარა ევროპული ინტეგრაციის პროცესი. 90-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე მომწიფდა პირობები ერთიანი ევროპის შესაქმნელად. ეკონომიკურმა ინტეგრაციამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი უფრო ფართო და მრავალმხრივი შეკავშირების შესახებ, რაც გულისხმობდა არა მარტო ერთიანი ვალუტის შემოღების (2002 წლის იანვრიდან ეს ვალუტა ევრო გახდა, ერთადერთი ვალუტა ევროკავშირის 15 ქვეყნიდან 12-ში), ერთიან საბაჟო სივრცეს

და უვიზო მიმოსვლას, არამედ საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკას, საერთო პარლამენტსა და საერთო მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში გაერთიანებული ევროპა არა მარტო ერთობლივი ეროვნული პროდუქტის საერთო მოცულობით ხდებოდა მსოფლიო ლიდერი, უსწრებდა რა აშშ-ის ევპ-ის საერთო მოცულობას, არამედ პოლიტიკურად და სამხედრო პოტენციალითაც ძალის ერთ-ერთ მთავარ პოლუსად გვევლინებოდა. მთელი 90-იანი წლები ამ მიზნების განხორციელებისთვის ბრძოლის წლები იყო. თუმცა პირველი მიზანი – ევროპა, როგორც მსოფლიოს მთავარი ეკონომიკური ძალა, ფაქტობრივად, მიღწეულ იქნა, იგივეს ვერ ვიტყვით მეორე მიზანზე. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი ჯერ კიდევ საგრძნობლად სუსტია აშშ-ზე, რაც იუგოსლავიის ომმაც დაადასტურა:

*ომი ყოფილ იუგოსლავიაში.* იუგოსლავია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის პოლიტიკურად ყველაზე პლურალისტური და ყველაზე უფრო მრავალეროვნული იყო, რაც მის ფედერაციულ მოწყობაშიც გამოიხატებოდა. მისმა დეზინტეგრაციამ თანამედროვე ევროპის ისტორიაში ყველაზე უფრო სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი გამოიწვია, რომლის ერთ მხარეს სერბები იყვნენ, როგორც იუგოსლავიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი და რომლებიც ქვეყნის დაშლის კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ, ხოლო, მეორე მხარეს, ხორვატები, ბოსნიელი მუსლიმანები, კოსოვოს ალბანელები და სლოვენიელები, რომლებიც თავიანთ ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ითხოვდნენ. ეს ომი ბევრმა შეაფასა, როგორც ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების" პრაქტიკული გამოვლინება, სადაც დასავლეთი ცალსახად დადგა ხორვატებისა და სლოვენების (როგორც კათოლიკების) მხარეს, რუსეთმა მხარი დაუჭირა მართლმადიდებელ სერბებს, ხოლო ისლამურმა სამყარომ – მუსლიმ ბოსნიელებს. დასავლეთის შეფასება კატეგორიულია: ერთ მხარეს იდგნენ „კარგი ბიჭები" (ხორვატები, ბოსნიელები, კოსოვოელები), მეორე მხარეს ისეთი პოლიტიკური კაციჭამიები და მონსტრები, როგორებიც სლობოდან მილოშევიჩი და რადოვან კარაჯიჩია. დასავლეთმა და პირველ რიგში ევროპამ ვერ შეძლეს ვერც ამ კონფლიქტის თავიდან აცილება, ვერც მოგვარება. პირიქით, თავისი ტენდენციურობითა და ინდიფერენტულობით ხელი შეუწყო მის გაღვივებას და საბოლოოდ ევროპაში წესრიგის დამყარება ნატოს და, პირველ რიგში, აშშ-ის საქმე გახდა. სიმპტომატურია, რომ ბოსნიის კონფლიქტის

დამთავრების ხელშეკრულება ამერიკის ქალაქ დეიტონში დაიდო და არა ევროპის, რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში.

*ნატოს გაფართოება.* ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ადრე მისი ამოცანა იყო დაეცვა ევროპა საბჭოთა და კომუნისტური ექსპანსიისაგან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მთავარი (ზოგჯერ ერთადერთი) გარანტი გახდა. ზოგიერთის აზრით, ამ ახალ გარემოებაში ევროპა უფრო მეტად აღმოჩნდა აშშ-ზე დამოკიდებული, ვიდრე ადრე იყო, რადგან ნატოს როლის ამაღლება, აშშ-ს გავლენის გაძლიერებად აღიქმება. თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, როცა ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფუნქცია აკისრია, დასავლეთის პოლიტიკური ელიტის აზრით არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიც არის ნატოს გაფართოება და მასში ახალი წევრების მიღება. და რადგან ეს ახალი წევრები ძირითადად ყოფილი სოციალისტური და საბჭოთა რესპუბლიკები შეიძლება გახდნენ, რუსეთის რეაქცია და წინააღმდეგობა ამ პროცესის მიმართ გასაკვირი არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, 1999 წელს ნატოს სამი ახალი წევრი პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი შეემატა. უახლოეს წლებში კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიღებაა გათვალისწინებული. მოვლენების ასეთი განვითარება, როგორც ჩანს, შეუქცევადი ხასიათისაა და ახალ გეოპოლიტიკურ სინამდვილეს ასახავს. ამ პირობებში რუსეთიც იძულებული გახდა გარკვეულწილად მიჰყოლოდა მოვლენებს და ნატოსთან თანამშრომლობისკენ აეღო გეზი. 2001 წლის მაისში დადებული ხელშეკრულება „ნატო პლუს რუსეთი" ახალი ვითარების ამსახველია და საერთაშორისო სისტემაში ძალთა ახალ გადანაწილებაზე მიუთითებს.

### *9.2.7. ჩრდილოეთი-სამხრეთი*

ბევრი მკვლევრის აზრით, ცივი ომის დამთავრება საერთაშორისო სისტემაში ბიპოლარიზმის მოსპობას არ ნიშნავს. უბრალოდ, თუ ადრე დაპირისპირებულ მხარეებს დასავლეთი (კაპიტალისტური ქვეყნები) და აღმოსავლეთი (სოციალისტური სამყარო) წარმოადგენდა, ამჯერად, დაპირისპირებულ პოლუსებს ჩრდილოეთი (განვითარებული ქვეყნები) და სამხრეთი (განვითარებადი სამყარო) შეადგენს. სწორედ ბირთვისა და პერიფერიის

წინააღმდეგობა მიიჩნევა თანამედროვეობის მთავარ წინააღმდეგობად და, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მრავალი მეცნიერი ამაში ხედავს კაცობრიობის ძირითად საფრთხეს.

გლობალური სამხრეთი ანუ განვითარებადი სამყარო თავისი შემადგენლობით ძალიან რთული და განსხვავებულია. როგორც ჩანს, უკვე აღარ არის გამართლებული მათი გაერთიანება ერთი სახელწოდების „მესამე სამყაროს" ქვეშ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამყაროებად დაყოფამ სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ აზრი დაკარგა. მეორეც, ამ ქვეყნების მიერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის „მესამე გზამ", რომელიც არც კაპიტალისტური იქნებოდა და არც სოციალისტური კრახი განიცადა და სახელმწიფოთა უმრავლესობა საბაზრო ეკონომიკისაკენ შემობრუნდა და მესამეც, თვით ამ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თვალსაზრისით იმხელა განსხვავებაა (შევადაროთ, მაგალითად, არგენტინა და ბურუნდი ანდა კუვეიტი და ბურკინა-ფასო), რომ ერთ კატეგორიაში მათი გაყვანა საფუძველს მოკლებულია.

ცივი ომის დამთავრებამ ცოტა რამ თუ შეცვალა განვითარებად სამყაროში. ხოლო ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მდგომარეობა გაუარესდა კიდეც: ბევრ ქვეყანას მოაკლდა ის დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან იღებდა, გარდა ამისა, ისინი უფრო მეტად აღმოჩნდნენ დამოკიდებულნი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ამიტომ კაპიტალიზმის ტრიუმფს არ გამოუწვევია განვითარებადი სამყაროს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ათწლიანმა რეფორმებმა, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიურმა მოღვაწეობამ და მათმა რეკომენდაციებმა, რამდენადმე მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ ცნობილი პერუელი ეკონომისტის ერნანდო დე სოტოს სიტყვებით, კაპიტალიზმის ტრიუმფი ჩრდილოეთში კაპიტალიზმის კრიზისად იქცა სამხრეთში. მან „იმუშავა" მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებში, სხვაგან კი ყველგან წარუმატებლად დამთავრდა და სრულიად სხვა, მახინჯი სახე მიიღო.

თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავება მაინც საგრძნობია. ზოგიერთმა ქვეყანამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ზოგიერთი კი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკონომიკური სირთულეები ხშირად პოლიტიკური დაძაბულობების მიზეზი ხდება. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში პოლიტიკური ვითარება არასტაბილური და ფეთქებადსაშიშია,

ხოლო ზოგან სამოქალაქო ომმა, კლანებს შორის დაპირისპირებამ, ეთნოკონფლიქტებმა სახელმწიფო, ფაქტობრივად, დაანგრია. ამას ემატება კორუფციის მაღალი დონე და მძიმე კრიმინალური მდგომარეობა, ნარკობიზნესი, ტერორიზმი და სხვა საშიში მოვლენები. მათი გავრცელების მასშტაბები სცდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და, შესაბამისად, საერთაშორისო ანდა გლობალური პრობლემის სახეს იღებს, რაც კიდევ ერთ საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს პრობლემების გადაჭრის საბაბით გააძლიეროს თავისი გავლენა განვითარებად სამყაროში.

## 9.3. გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი

ნებისმიერი ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც პოლიტიკურ ძალთა შორის წონასწორობის დაცვას და, შესაბამისი, საერთაშორისო სისტემის მდგრადობას უზრუნველყოფს. წესრიგის დარღვევა იწვევს ძალთა ბალანსის დარღვევას და სისტემის დაშლას. ცივი ომის საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის არსებობას უზრუნველყოფდა, 90-იანი წლების დასაწყისისათვის დაირღვა. დღევანდელი მსოფლიო ისტორიის ახალ ეტაპზეა და ახალი საერთაშორისო წესრიგის პირობებში უნდა ცხოვრობდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის კითხვა: რა თავისებურებებით ხასიათდება ცივი ომის შემდგომი წესრიგი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელია, რადგან, ჯერ ერთი, ის ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა და მეორეც, ჯერ კიდევ უცნობია რა შედეგებს მოიტანს იგი. როცა ისტორიულად არსებული საერთაშორისო წესრიგის შეფასება ხდება, ჩვენთვის უკვე ცნობილია, როგორ ჩამოყალიბდა, რა სახე მიიღო, როგორ განვითარდა, როგორ დაინგრა და რა შედეგები დატოვა მან. ამდენად, მათი ანალიზი და შეფასება სირთულეს არ წარმოადგენს. მათგან განსხვავებით, დღევანდელი ვითარების სრული გაანალიზება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ამიტომ ხშირ შემთხვევაში მსჯელობა მხოლოდ ვარაუდების დონეზე ხდება.

ერთი, რაც შეიძლება ითქვას, დღევანდელ მდგომარეობაზე არის ის, რომ იგი საგრძნობლად განსხვავდება წინა ისტორიული პერიოდებისაგან, რაც საფუძველს აძლევს ზოგიერთ მკვლევარს დასვას კითხვა: არის თუ არა ცივი ომის შემდგომი წესრიგი საერთაშორისო წესრიგი? აქ მარტო ის არ იგულისხმება საერთოდ თუ არის რაიმე წესრიგი საერთაშორისო არენაზე, არამედ უფრო ის, შეიძლება თუ არა დღევანდელ წესრიგს საერთაშორისო ეწოდოს? ადრე არსებული სხვადასხვა საერთაშორისო წესრიგი, ფაქტობრივად, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დამარეგულირებელი წესრიგი იყო და ძირითად მიზანს სახელმწიფოების უსაფრთხოება შეადგენდა. დღევანდელ სიტუაციაში ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონის პირობებში იგი უფრო პოზიტიური შინაარსის გახდა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ფუნქცია შეიძინა. ამას გარდა, საერთაშორისო სისტემის ძალზე მნიშვნელოვან და სულ უფრო მზარდ ელემენტებს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ა. შ. ამდენად, სახელმწიფოები (ერები) აღარ არიან საერთაშორისო სისტემის არა თუ ერთადერთი, არამედ მთავარი ელემენტებიც კი და ამის გამო საერთაშორისო პოლიტიკა მსოფლიო პოლიტიკად, ხოლო საერთაშორისო წესრიგი მსოფლიო წესრიგად გარდაიქმნა.

რა ძირითადი განსხვავებაა საერთაშორისო წესრიგსა და მსოფლიო წესრიგს შორის?

საერთაშორისო წესრიგი გულისხმობს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ რეგულირებას, დამყარებულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და სამხედრო უსაფრთხოებაზე და გარანტირებულია საერთაშორისო სისტემაში არსებულ ძალთა წონასწორობით.

მსოფლიო წესრიგი უფრო ფართო კატეგორიაა და ემყარება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სამართლიანობა, უფლებები, განვითარება, ემანსიპაცია. იგი გულისხმობს არა სახელმწიფოთაშორის წესრიგს, არამედ საზოგადოებრივ ინდივიდებს შორის წესრიგს და მისი დონის შეფასებას კაცობრიობისთვის მთლიანად.

ნიშნავს თუ არა გლობალიზებული წესრიგი მსოფლიო წესრიგს საკამათო საკითხია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კიდევ უფრო ძნელი გასარკვევია მიეკუთვნება ცივი ომის შემდ-

გომი წესრიგი მსოფლიო ან გლობალიზებულ წესრიგს, თუ იგი საერთაშორისო წესრიგის ახალი მოდელია?

საკითხს ართულებს მთელი რიგი პრობლემების გაურკვევლობა და ბუნდოვნება. რეალისტური თვალსაზრისით გაურკვეველია, რას წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, არის ის უნიპოლარული, მულტიპოლარული თუ უნივერსალური? ლიბერალური კუთხით პრობლემა ისაა, თუ რამდენად არის მიახლოებული თანამედროვე მსოფლიო გლობალურ მმართველობას ანუ რა დონეზე ხდება გლობალური რეგულირების ინსტიტუციური და ნორმატიული ელემენტების (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება და სხვ.) ფუნქციონირება და რამდენად არის მიღწეული ადამიანის ემანსიპაცია და მისი უფლებების დაცვა?

დაბოლოს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გლობალიზაციის პროცესის გავლენა საერთაშორისო თუ მსოფლიო წესრიგზე, შესაძლებელია თუ არა ვილაპარაკოთ გლობალიზებულ წესრიგზე, როგორც გამოკვეთილ პოლიტიკურ ფორმაზე და ხომ არ ყალიბდება დასავლეთის ქვეყნების კონგლომერატიდან ერთიანი „გლობალური სახელმწიფო!“

### 9.3.1. თანამედროვე წესრიგის ელემენტები

ცივი ომის შემდგომი წესრიგისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი თავისებურება, რომლის ძირითადი ელემენტები შემდეგში მდგომარეობს:

ა) **„სოციალურ“ სახელმწიფოთა სისტემა**. თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა სოციალურია იმ თვალსაზრისით, რომ აქამდე არსებული პერიოდებისაგან განსხვავებით დღეს სახელმწიფო უამრავ სოციალურ ფუნქციას ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა წარმატებით ართმევს თავს ამ ფუნქციას, იგი მაინც ძირითადი ფუნქცია ხდება და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვა ხელისუფლების მთავარ ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, სისტემა „სოციალური“ გახდა იმიტომაც, რომ სამხედრო მეტოქეობის ნაცვლად ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებასა და ეფექტურობაში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტად თმობს ზოგიერთ ბერკეტს და ნებას რთავს

სხვადასხვა საზოგადოებრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩაერიონ იმ საქმეებში, რაც ადრე ცალსახად შინაურ საქმედ მიიჩნეოდა (ადამიანის უფლებების დაცვა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პრობლემა და ა.შ.). მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და სტაბილური განვითარების მიზნით, სახელმწიფო ხშირად მზად არის დათმოს სუვერენიტეტის რაღაც ნაწილიც კი (მაგ., ევროკავშირის ქვეყნები).

**ბ) იდენტურობა და ერი-სახელმწიფო**. 90-იან წლებში მკვეთრად გამოიხატა იდენტურობის პრობლემა. იგი ძირითადად ნაციონალიზმის თანამედროვე ფორმებითაა წარმოდგენილი და გაურკვეველია არის ეს „ახალი ნაციონალიზმი", თუ ადრე არსებული პრიმორდიალიზმისკენ დაბრუნება. პრობლემას ართულებს ის შეუთავსებლობა, რომელიც, ერთი მხრივ, გლობალიზაციის, ტრანსნაციონალიზაციისა და ახალ სოციალურ მოძრაობას, ხოლო, მეორე მხრივ, ეთნიკური სეპარატიზმს, ტრაიბალიზმს, და ირედენტიზმს შორისაა. ცალსახად იმის თქმა, რომ, რომელიმე მათგანი ისტორიული ატავიზმია სწორი არ იქნებოდა. იდენტურობის პოლიტიკა მესამე ათასწლეულის დასაწყისში დიდ გავლენას ახდენს და სვამს საკითხს მოქალაქეობის ბუნების შესახებ, ანუ ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მოქალაქე. ამასთან, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აღნიშნული პრობლემები მხოლოდ ახლა წარმოიშვა. ცივი ომის პერიოდშიც განვითარებადი ქვეყნების მთელი რიგი წინააღმდეგობის გამოვლინება დასავლეთისადმი საკუთარი იდენტურობის დაცვას ისახავდა მიზნად. ირანის რევოლუციაც ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

**გ) პოლარულობა და უსაფრთხოების კოლექტივიზაცია.** თანამედროვე, უსაფრთხოების წესრიგისათვის, პირველ რიგში, დამახასიათებელია გარკვეული უნიპოლარულობა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლში გამოიხატება, რომელიც, ფაქტობრივად, მთავარ (თუ ერთადერთ არა) „წესრიგის დამამყარებლად" მოევლინა დღევანდელ მსოფლიოს. ამის გარდა, ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენციაა უშიშროების „კოლექტივიზაცია". იგი არ ნიშნავს კოლექტიურ უსაფრთხოებას, რაც ადრეც გვხვდებოდა, არამედ წარმოადგენს მულტილატერალიზმის (საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქციონალურ ასპექტებში არსებული ტენდენცია, რომელიც უსაფრთხოების, ვაჭრობის ან გარემოს დაცვის სფეროში, უნივერ-

სალურ, სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ორგანიზებას და ერთობლივ მოქმედებას გულისხმობს) გამოვლინებას. უსაფრთხოების კოლექტივიზაცია კოალიციებისა და მშვიდობის დამცველთა საერთო ჯგუფების შექმნასა და ინტერვენციის მოწყობას, თუ არიდებას ითვალისწინებს.

**დ) წარმოების ორგანიზაცია და გაცვლა.** დღეს არსებული წესრიგის კიდევ ერთი გამოვლინებაა თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკა. ამ სფეროში წესრიგი გულისხმობს სავაჭრო და საფინანსო სისტემების უსაფრთხოებას. თანამედროვე ეკონომიკური წესრიგი მნიშვნელოვანწილად კონტროლდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ეკონომიკური წესრიგი ღრმად შეიჭრა სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებშიც. პროდუქციის „ინტერნაციონალიზაციის" (სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთქმედების უკიდურესად მაღალი დონე) სრული შეფასება შესაძლებელია, როცა მხედველობაში იქნება მიღებული ისეთი ასპექტებიც, როგორიცაა სამხედრო ნაწარმი, გარემოს დაცვა, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანთა უფლებები, გენდერული უთანასწორობა ეკონომიკასა და განვითარებაში და სხვ.

**ე) მულტილატერალური მართვა და მმართველობა.** ცივი ომის შემდგომი წესრიგის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო მმართველობითი ორგანოების (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები) სიმრავლე. ისინი დიდწილად განსაზღვრავენ თანამედროვე ცხოვრების მრავალ ასპექტს, კერძოდ, სამართლებრივ (ადამიანის უფლებები, სამხედრო დანაშაული), ეკოლოგიურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. მათი მოღვაწეობის გააქტიურება და ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიო ნელნელა მიემართება საერთაშორისო მმართველობისაკენ. მაგრამ დღევანდელი რეჟიმი ცალკეულ რეგიონებში ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ზოგან სერიოზულ პრობლემებს იწვევს. ბევრი მათგანის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციები დასავლეთის ექსპანსიად აღიქმება.

ვ) **რეგიონალიზმი.** თანამედროვე რეგიონალიზმი დღეს არსებული წესრიგის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა. იგი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური (სავაჭრო რეგიონები), ისე თავდაცვითი (ნატო) და კულტურული ფორმებით. რეგიონალიზმის ინტენსიფიკაცია ორი ტენდენციის მახასიათებელია.

ერთი იმას მიუთითებს, რომ, რადგან რეგიონთა დიდ რიცხვს სჭირდება რეგიონული ინსტიტუციების განვითარება, მაშასადამე, ეს გლობალიზაციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. მეორე კი პირიქით, რეგიონული სტრუქტურების განვითარებას გლობალიზაციის საწინააღმდეგო ფენომენად აღიქვამს, რადგან მიიჩნევს, რომ ეს პროცესი მსოფლიოს რეგიონებად დაყოფას უწყობს ხელს. ცალკეული რეგიონები „ზესახელმწიფოთა" მსგავს ერთობებად შეიძლება ჩამოყალიბდეს, რაც ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებას.

**ზ) ლიბერალური სამართლის წესრიგი**. ცივი ომის დამთავრების შემდგომი პერიოდის წესრიგს შეიძლება ლიბერალური სამართლის წესრიგი ეწოდოს. ამ ცნებაში იგულისხმება კლასიკური ლიბერალიზმიდან, როგორც დასავლური ხედვიდან მომდინარე ადამიანთა უფლებების მთელი სისტემა. სწორედ ადამიანთა უფლებების (დასავლური ღირებულებების მიხედვით) დაცვის პოზიციიდან ხდება ახალი სამართლებრივი ნორმების დანერგვა სხვადასხვა ქვეყნებში, რაც დემოკრატიზაციის პარალელურად წინააღმდეგობის ზრდასაც იწვევს. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის არსებულ წესრიგს.

**თ) ორი მსოფლიო წესრიგი**. თანამედროვეობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა იმ განსხვავების განუხრელი გაღრმავება, რაც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებობს. ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად ბირთვი და პერიფერია იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან და განსხვავებული წესებით იმართება, რომ ზოგიერთი მკვლევრისათვის შეუძლებელია რაიმე ერთიან მსოფლიო წესრიგზე საუბარი. არსებობს ჩრდილოეთის ანუ ბირთვის წესრიგი და არსებობს სამხრეთის, ანუ პერიფერიის წესრიგი (ამჯერად, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ერთგვაროვანი არ არის და თითოეულ მათგანში სხვადასხვა სტრუქტურები გამოიყოფა). ზოგიერთი კიდევ უფრო შორს მიდის და რამდენიმე მსოფლიო წესრიგს გამოყოფს. არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ რაიმე წესრიგის არსებობას ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში. დაბოლოს, ძალიან ცოტა ვინმე თუ შეეცადა გაერკვია გლობალიზაციის როლი თანამედროვე წესრიგის ფორმირებასა თუ დაშლაში.

### 8.3.2. გლობალიზებული მსოფლიო წესრიგი, თუ წესრიგი გლობალიზებულ ქვეყნებს შორის?

საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი გლობალიზაციის შედეგია და იგი საერთაშორისოდან მსოფლიო წესრიგად გარდაქმნის პროცესშია, ხოლო მომავალში საერთოდ ახალი გლობალიზებული წესრიგი დამყარდება. ეს მოსაზრება გარკვეულწილად იქიდან გამომდინარეობს, რომ ბევრი მკვლევრის აზრით, თვითონ გლობალიზაცია ცივი ომის დამთავრების შედეგია. ერთი შეხედვით ეს ასეცაა, რადგან გლობალიზაციის პროცესს და მის საყოველთაო გავრცელებას სწორედ ე. წ. მეორე სამყარო ანუ სოციალისტური ქვეყნები უშლიდნენ ხელს. მხოლოდ სოციალისტური სისტემის კრახმა, რაც ცივი ომის შედეგი იყო და ამ ქვეყნების გახსნამ მსოფლიო ბაზრისათვის გახადა შესაძლებელი ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შექმნა და ერთიანი გლობალური ფინანსური წესრიგის ჩამოყალიბება, სადაც მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს განუსაზღვრელი გავლენა აქვს.

მაგრამ გლობალიზაციის მიჩნევა მხოლოდ ცივი ომის დამთავრების შედეგად საფუძველს მოკლებულია. იან კლარკი (Clark, 1997) თვლის, რომ თვითონ გლობალიზაცია გახდა ცივი ომის დამთავრების მიზეზი, რადგან გლობალიზაციის პროცესისაგან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გვერდზე გადგომამ გამოიწვია ამ ქვეყნების უიმედო ეკონომიკური ჩამორჩენა, რაც ცივ ომში მათი დამარცხების მიზეზი გახდა.

აქედან გამომდინარეობს, რომ გლობალიზაცია უწყვეტი, დამაკავშირებელი პროცესია ცივი ომისა და ცივი ომის შემდგომ წესრიგს შორის. ისე რომ, ეს უკანასკნელი არ არის სრულიად ახალი მოვლენა. ამიტომაც არ არის სწორი გლობალიზაციის მიჩნევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გარეგნულ გამოხატულებად და როგორც ხანგრძლივი ისტორიული პროცესი ის არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ XX საუკუნის დასასრულის ფენომენად.

ცხადია, ასეთ მოსაზრებას ყველა არ ეთანხმება და ძალიან ბევრი ავტორი გლობალიზაციას სწორედ თანამედროვე, ცივი ომის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს, თუმცა არ უარყოფს მსგავს პროცესს წარსულშიც, მაგრამ გლობალიზაციის სახელით მისი

მოხსენიება გაუმართლებლად მიაჩნია. თანამედროვე გლობალიზაციის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ადრე არსებული მსგავსი პროცესებისაგან ისაა, რომ იგი ერთმანეთთან დაპირისპირებულ ფასეულობებს აერთიანებს და სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტროლს გარეთ იმყოფება. ჩვენ გლობალიზაციის ობიექტები ვართ და არა სუბიექტები.

მიუხედავად საერთაშორისო წესრიგში გლობალიზაციის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, იგი არ განსაზღვრავს წესრიგის ყველა პირობას. გლობალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წესრიგის საფუძველი, თუ იგი შეცვლიდა ყველა იმ ელემენტს, რაც ტრადიციულად წესრიგისთვის არის დამახასიათებელი. რეალობაში ეს შეუძლებელია. ამიტომ პასუხი კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა მსოფლიო წესრიგის გლობალიზაცია და რას უნდა წარმოადგენდეს გლობალიზებული მსოფლიო წესრიგის საბოლოო სურათი, საკამათო და ძნელად განსასაზღვრავია.

გლობალიზაციას ხშირად მიიჩნევენ ურთიერთდამოკიდებულების უკიდურეს ფორმად, როცა ქვეყნები იმდენადაა ერთმანეთზე დამოკიდებული და საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე, რომ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ამ შემთხვევაში ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები, ახლა გაცილებით სუსტები არიან, ვიდრე გლობალიზაციამდე იყვნენ. ხოლო ზოგიერთის აზრით, სახელმწიფო, როგორც ასეთი „მოძველდა". შესაბამისად, საერთაშორისო წესრიგის იდეა აღარ შეესაბამება თანამედროვეობას.

იან კლარკი (Clark, 1997) ასეთი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ აყენებს გლობალიზაციის ისეთ გაგებას, როცა იგი ამ პროცესს მიიჩნევს თვით სახელმწიფოს ბუნების, მისი არსის ცვლილებად და შემოაქვს გლობალიზებული ქვეყნის კონცეფცია. გლობალიზებული სახელმწიფო არის გლობალური მმართველობის, ტრანსნაციონალური კორპორაციების, გლობალური უსაფრთხოების სისტემისა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურული ელემენტი. ამრიგად, სახელმწიფო იცვლის თავის შინაარსს, იგი აღარ არის აბსოლუტურად სუვერენული ერთეული, მაგრამ რჩება საერთაშორისო წესრიგის მთავარ ელემენტად.

ამ შემთხვევაში არ არის წინააღმდეგობა სახელმწიფოთა სისტემის წესებს, ნორმებსა და გლობალიზებული სახელმწი-

ყოს არსებობას შორის. ხოლო ახალი საერთაშორისო წესრიგის პირობებში სახელმწიფოებს განსხვავებული ბუნება და ფუნქციები ექნება. კერძოდ, სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები ძირეულ ცვლილებას განიცდის, რაც ახალ წესრიგთან ადაპტაციის სიმპტომად უნდა მივიჩნიოთ.

### კითხვები და დავალებები:

1. როგორ განიხილავენ ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემასა და მსოფლიო წესრიგს ლიბერალ-ოპტიმისტები?
2. როგორია რეალისტების შეხედულება საერთაშორისო სისტემისა და მსოფლიო წესრიგის მომავალზე?
3. დაახასიათეთ რადიკალების შეხედულება გლობალიზაციის პერიოდის საერთაშორისო სისტემაზე.
4. რას გულისხმობენ კაპიტალიზმის ტრიუმფში?
5. რაში გამოიხატება აშშ-ის, როგორც ახალი ჰეგემონის როლი?
6. როგორ წარმოჩინდება რუსეთი ახალ მსოფლიო წესრიგში?
7. დაახასიათეთ ჩინეთის მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.
8. რა როლი აკისრება იაპონიასა და „აზიის ვეფხვებს"?
9. როგორ გესახებათ ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობა მომავალ საერთაშორისო სისტემაში?
10. გააანალიზეთ ჩრდილოეთი-სამხრეთის დაპირისპირების ძირითადი თავისებურებები.
11. დაახასიათეთ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ძირითადი ელემენტები.
12. რა იგულისხმება სახელმწიფოთა გლობალიზაციაში?

## ლიტერატურა


1. ფ უ კ უ ი ა მ ა ფ. - ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი, 1999, გვ.67–151.
2. H u n t i n g t o n S. - The Clash of Civilizations and the Remaking oh World Order. A Touchstone Book. New-York ,1997, p.p. 183–245.

3. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Edition. Oxford University Press. Oxford, p.p. 634–647.
4. Held D. et al., - Global Transformations. Politics, Economics, Culture. Cambridge. Polity Press, 1999, p.p. 49–86.
5. Scholte J. A. - Globalization. A Critical Introduction. Palgrave. New-York, 2000, p.p. 283–314.

## თემა 10

# ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში

ნაციონალიზმის და გლობალიზაციის არსის, თეორიის და სტრუქტურის შესწავლა გვარწმუნებს, რომ თანამედროვე მსოფლიოს ეს ორი განმსაზღვრელი მოვლენა, თავიანთი შინაარსით ურთიერთდაპირისპირებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენებია.

ნაციონალიზმი ეროვნული სახელმწიფოების შექმნისათვის, განმტკიცებისთვის ბრძოლა და მისი თეორიული დასაბუთებაა, რომლისთვისაც ერი, ერი-სახელმწიფო, სუვერენიტეტი, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ვალუტა, ეროვნული კულტურა წმინდა ცნებებია და მათი დაცვის, განმტკიცებისა და განვითარებისთვის აბსოლუტურად ყველა საშუალება მისაღები და გამართლებულია. გლობალიზაცია, პირიქით, ეროვნული საზღვრებისა და განსხვავებების მოშლის, ერი-სახელმწიფოების გაუქმების, საერთო მოქალაქეობის, ერთიანი ზენაციონალური ეკონომიკის, საერთო ვალუტის, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობისა და საერთო სუპრანაციონალური, კოსმოპოლიტური კულტურის გავრცელების გამოხატულება და თეორიული აპოლოგიაა. პირველი მათგანი ფრაგმენტაციის, იდენტიფიკაციისა და პარტიკულარიზაციის სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო მეორე — დეტერიტორიზაციის, ინტეგრაციისა და უნივერსალიზაციის სიმბოლოა.

ნაციონალიზმი უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ყველაზე უფრო მძლავრი, წარმატებული და გავრცელებული იდეოლოგია იყო. მილიონობით ადამიანმა შესწირა თავი ნაციონალურ იდეებს, ერს, სამშობლოს, ეროვნულ თავისუფლებას. პოლიტიკოსებისთვის და მოქალაქეთა ფართო ფენებისათვის ეროვნული ინტერესები იყო ყველაზე უფრო მაღალი ღირებულება, რომე-

ლიც განსაზღვრავდა პოლიტიკასა და მთელ საერთაშორისო ურთიერთობებს, ხოლო ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა, უმაღლეს ზნეობად ცხადდებოდა. ნაციონალიზმი მისი ლიბერალური, სამოქალაქო ფორმით (აქ არ იგულისხმება ეთნიკური ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმები: შოვინიზმი, ეგოცენტრიზმი, არატოლერანტულობა და ა. შ), ფაქტობრივად, ყველა ერი-სახელმწიფოს მთავარი იდეოლოგია იყო და სახელმწიფოს არსებობისა და განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ (თუ ერთადერთ არა) იარაღად მიიჩნეოდა.

და აი, XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციის სახით თავი იჩინა, ახალმა მოვლენამ, რაც სრულიად სხვა ღირებულებებს ემყარება და ყველაფერი იმის წინააღმდეგ არის მიმართული, რაც ნაციონალიზმისათვის წმინდა და ხელშეუხებელია. ცხადია, ეს დაპირისპირება არ შეიძლება უმტკივნეულო ყოფილიყო და თავისი სიტყვა არ ეთქვა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ პრობლემას მსოფლიო განსაკუთრებით მწვავედ შეეჯახა 90-იან წლებში. იმ დროს, როცა გლობალიზაცია, მართლაც გლობალური მოვლენა გახდა და, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ძალა, რომელიც ამ პროცესის გავრცელებასა და განვითარებას წინააღმდეგობას გაუწევდა, სწორედ მაშინ იფეთქა ახალმა ნაციონალიზმმა (რომელიც, როგორც წესი ეთნიკური ხასიათისაა) და უმწვავესი ეთნოკონფლიქტების ფორმა მიიღო.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კავშირშია ნაციონალიზმის ახალი ტალღა გლობალიზაციის პროცესთან ანუ ხომ არ გამოიწვია გლობალიზაციამ ნაციონალიზმის გამოცოცხლება და ხომ არ წარმოადგენს ეს უკანასკნელი რეაქციას იმ ტენდენციებზე, რომელიც ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული კულტურის წინააღმდეგ არის მიმართული?

მეცნიერთა უმრავლესობა ამ კითხვას დადებითად პასუხობს და მიიჩნევს, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი ნამდვილად არის რეაქცია გლობალიზაციაზე, გარკვეულწილად მისი შედეგიც კი და, ამდენად, ეს ორი ფენომენი განუყოფელია, ერთი და იგივე მონეტის ორი მხარეა (Giddens, 1999, Delanty, 2000). ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გლობალიზაციამ, პირიქით, შეასუსტა ნაციონალიზმი და რაც უფრო ინტენსიური იქნება გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო კლებულობს ნაციონალიზმის გამოვლინებისა და მისი გავრცელების ალბათობა.

ჩვენი აზრით, ალბათ არ იქნებოდა გამართლებული ცალსახად ან ერთი, ან მეორე პოზიციის გაზიარება. უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოგვეხდინა თანამედროვე ნაციონალიზმის დაყოფა თავისი წარმოშობის მიზეზებისა და მიზნების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში აშკარად გამოიკვეთება თანამედროვე ნაციონალისტური მოძრაობების ის კონკრეტული სახეები, რომლებიც უკვე დიდი ხანია არსებობს და გლობალიზაციის პროცესთან საერთო არაფერი აქვს (ბასკური, ირლანდიური ან ქურთული ნაციონალიზმი), ხოლო, მეორე მხრივ, უდავოდ დავინახავთ ისეთ ნაციონალისტურ ქმედებას, რომლის მიზეზიც გლობალიზაციაა და მას პირობითად „ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ.

## 10.1. ნაციონალიზმი გლობალისტური თვალთახედვით

გლობალისტები ნაციონალიზმს ცალსახად აფასებენ, როგორც ფრაგმენტაციის, ლოკალიზმისა და პარტიკულაციის წყაროს. ამავე დროს, ისინი თანამედროვე ნაციონალიზმში ძირითადად ეთნიკურ ნაციონალიზმს ხედავენ, რომელმაც ეთნიკური უმცირესობების მხრიდან იჩინა თავი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ბევრგან სასტიკი ეთნოკონფლიქტები გამოიწვია, საფრთხე შეუქმნა რა ერი-სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას და, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ მათ არსებობას. სწორედ ასეთ ნაციონალიზმს უწოდებენ ისინი ახალ ნაციონალიზმს, რომელიც გლობალიზაციის შედეგად მიაჩნიათ.

ჯერალდ დელანტის აზრით (Delanty, 2000), ახალი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზი ერი-სახელმწიფოების კრიზისია, რაც გლობალიზაციის პროცესის თანამდევი მოვლენაა. ერი-სახელმწიფოს დასუსტების, მის ფუნქციებში საერთაშორისო აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.) შეჭრისა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ძლიერდება მისახლეობის ოპოზიცია სახელმწიფოს მიმართ და ეთნიკური სოლიდარობის გრძნობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მულტიეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობები და სხვა არატიტულარული

ეთნოსები ხსნას სახელმწიფოდან გაქცევაში ხედავენ, რომელიც მათ ეროვნულ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. გლობალურ საზოგადოებაში მათ იგი აღარ სჭირდებათ და შეუძლიათ უშუალოდ, სახელმწიფოს გვერდის ავლით გახდნენ მსოფლიო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ტიტულარული ერისათვის ეს მათი ეროვნული სახელმწიფოს ნგრევას ნიშნავს, რაც გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს და ეთნოკონფლიქტების წყარო ხდება.

მაგრამ, თუ გადავხედავთ დღევანდელი ეთნოკონფლიქტების სურათს ადვილად დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყოველ მათგანს ხანგრძლივი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა გლობალიზაციის კონტურები შორეულ მომავალშიც კი არ ჩანდა. ის ფაქტი, რომ განსაკუთრებული ინტენსივობით ეთნოკონფლიქტები 90-იან წლებში გამომჟღავნდა, საეჭვოა, რომ მხოლოდ გლობალიზაციის მიზეზი იყოს. ცხადია, ეთნოკონფლიქტების გაღვივებას უკეთესი პირობები სუსტ სახელმწიფოებშია, სადაც მთავრობას არ შესწევს უნარი თვითონ მოაგვაროს კონფლიქტი, მაგრამ რამდენად დამნაშავეა მის სისუსტეში გლობალიზაცია, ნამდვილად საკამათო საკითხია.

ახალგაზრდა ქართველი მკვლევარი ნატა საბანაძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ნაციონალიზმის მიზეზები გლობალიზაციის ეპოქაში, შენიშნავს, რომ ეთნოკონფლიქტებიც და ე. წ. ახალი ნაციონალიზმიც განსაკუთრებით იმ ქვეყნებშია გავრცელებული, რომლებსაც გლობალიზაციის პროცესი შედარებით ნაკლებად შეეხო, ხოლო იქ სადაც გლობალიზაცია განსაკუთრებით ინტენსიურად მჟღავნდება ანუ დასავლეთის სამყაროში ნაციონალიზმისა და ეთნიკური დაპირისპირების მაგალითები ცოტაა და რაც არის, ისიც ძველი, გლობალიზაციამდელი პერიოდიდან მომდინარეობს (კვებეკი, ბასკეთი, ჩრდილოეთ ირლანდია). ამდენად, გლობალიზაციის დაკავშირება „ახალ ნაციონალიზმთან“ საკმაოდ საეჭვოა. სამაგიეროდ, აშკარა კავშირი ჩანს თანამედროვე ეთნოკონფლიქტების გავრცელებასა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ტრადიციულად ნაციონალიზმი ეთნიკური ფორმით არსებობდა.

როგორც უკვე ვთქვით (იხ. თემა 2), ჰანს კონის ცნობილი კლასიფიკაციით ნაციონალიზმის ორი ძირითადი ფორმა გამოიყოფა – დასავლური და აღმოსავლური. პირველმა მიიღო ის სახე, რომელსაც მოგვიანებით სამოქალაქო ანუ ლიბერალური

ნაციონალიზმი ეწოდა და რომელიც სახელმწიფო ნაციონალიზმის სახით არსებობს. ერის საფუძველი ტერიტორია – სახელმწიფოა, ამდენად ერი და სახელმწიფო იდენტური ცნებებია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დასავლეთის ქვეყნებში (ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია) ერი ჩამოყალიბდა უკვე არსებული ცენტრალიზებულ სახელმწიფოში და გააერთიანა მთელი მისი მოსახლეობა. მისგან განსხვავებით, აღმოსავლური ნაციონალიზმი (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა) ეთნიკური ნაციონალიზმია, სადაც ერის საფუძველი ეთნოსია. ასეთი ნაციონალიზმისთვის ერი და სახელმწიფო სხვადასხვა ცნებებია, რადგან აქ ჯერ ერები, როგორც კულტურულ-სოციალური ერთობები ჩამოყალიბდნენ და უკვე თავიანთი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ იქცნენ პოლიტიკურ ერთობად. აღმოსავლეთ ევროპის ხალხების უმრავლესობა სხვადასხვა იმპერიების (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, ოსმალეთი) შემადგენლობაში შედიოდნენ და თავისი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა მათი ცხოვრებისა და ბრძოლის მთავარი მიზანი იყო. ამიტომ სახელმწიფოსა და ერის გაიგივება, ვთქვათ, პოლონელისთვის ყოვლად მიუღებელი იყო, რადგან ამ შემთხვევაში იმისდა მიხედვით, თუ რომელი იმპერიის შემადგენლობაში მოხვდა მისი მშობლიური მიწა თავი ან რუსად, ან გერმანელად, ან ავსტრიელად უნდა ჩაეთვალა (Sabanadze).

სწორედ იქ, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმი ეროვნული იდენტიფიკაციისა და თვითგადარჩენის ძირითადი საშუალება იყო, იგი იქცა მოსახლეობის ძირითად იდეოლოგიად. მან მოუტანა დამოუკიდებლობა და საკუთარი სახელმწიფოებრიობა მთელ რიგ ხალხებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოში ძირითადი ეთნოსის გარდა სხვა ეთნიკური ჯგუფიც ხვდებოდა, იგი ასევე საკუთარი ეთნიკური ნაციონალიზმის საფუძველზე ცდილობდა შეექმნა თავისი სახელმწიფო, რაც ახლახან დამოუკიდებლობამოპოვებულ, უკვე ტიტულარულ ერად ქცეულ ეთნოსის წინააღმდეგობას აწყდებოდა და ეთნოკონფლიქტს იწვევდა. ეს პროცესი გრძელდებოდა ყველგან, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმია გავრცელებული და გრძელდება დღესაც. ამგვარად, ეთნოკონფლიქტების რეგიონებში ბრძოლა მიმდინარეობს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ანუ თვითგამორკვევის პრინციპსა (ეთნიკური უმცირესობები) და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპს (ტიტულა-

რული ერები) შორის. ასეთი მოვლენები არ ხდება სამოქალაქო ნაციონალიზმის ქვეყნებში ანუ იქ, სადაც ნაციონალიზმის გაჩენა მოხდა მას შემდეგ, რაც უკვე სახელმწიფო იყო ჩამოყალიბებული და სახელმწიფომ შექმნა ერი, გააერთიანა რა ქვეყნის ყველა მცხოვრები. შესაბამისად, დასავლეთის ერები თავიდანვე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან თავიანთი სახელმწიფოებისათვის ბრძოლა მათ არ მოუწიათ.

ეს განსხვავება დღევანდელი ეთნოდაპირისპირებისა და ნაციონალიზმის გამოვლინების ძირითადი მიზეზია. საეჭვოა ეს გლობალიზაციის შედეგი იყოს, მით უფრო, რომ ეთნიკური უმცირესობების ბრძოლა მიმართულია ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ (და ამით თითქოს გლობალიზაციის ხელშემწყობ ძალად გამოდის), მაგრამ სინამდვილეში მიზნად ისახავს საკუთარი სახელმწიფოების შექმნას ანუ საერთაშორისო სისტემის კიდევ უფრო ფრაგმენტაციასა და აშკარად ეწინააღმდეგება გლობალიზაციას.

ზოგადად ეთნონაციონალიზმის უკიდურესი ფორმით გამოვლინებისა და მით უფრო მისი კონფლიქტში გადაზრდის მიზეზი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არარსებობა და კომუნისტური მემკვიდრეობა იყო. ხოლო ის, რომ ნაციონალიზმის გამოცოცხლება 80–90-იანი წლების მიჯნაზე მოხდა მარტივად აიხსნება: ეთნიკური დაპირისპირება და ნაციონალური შუღლი აქ ყოველთვის არსებობდა და ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული, ჩადებული იყო რა შენელებული მოქმედების ბომბები „დაყავი და იბატონეს" პრინციპის შესაბამისად. საბჭოთა დიქტატურის პირობებში სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა ნაციონალისტურ გამოვლინებებს და მართავდა მას. სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას მოჰყვა კიდეც ნაციონალიზმის აფეთქება, რადგან ათწლეულებით დაგროვილი პრობლემების შემაკავებელი მექანიზმი აღარ არსებობდა. გლობალისტების აზრით, ეს ნაციონალისტური გამოცოცხლება იმდენად არის დაკავშირებული გლობალიზაციასთან, რამდენადაც სწორედ გლობალიზაციამ გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტება და იმ კონტროლის მოხსნა, რაც აკავებდა ნაციონალიზმის გამოვლინებას.

ცხადია, რომ ეთნონაციონალიზმი, როგორც წესი, მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა ეთნიკურ ჯგუფს რაიმე საფრთხე ექმნება. კერძოდ, საშიშროება ემუქრება ეთნოსის კულტურას, ენას, ტრადიციებს, ავტონომიას ან უფრო უკიდურეს შემთხვევაში ფიზიკურ არსებობას. ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როცა ეთნიკურ ჯგუფს მაშინ გამოუვლენია ეთნონაციონალიზმი, მაშინ გაუსვამს ხაზი თავისი განსაკუთრებულობისა და სხვებისგან განსხვავებულობაზე, როცა ასიმილაციის და საკუთარი თავის გაქრობის საფრთხე გაუცნობიერებია. ფრედ ჰოლიდეი (Halliday, 2001) დღევანდელი ნაციონალიზმის ასეთი მოულოდნელი „აღორძინებისა" და გავრცელების მიზეზად გლობალიზაციას იმიტომ მიიჩნევს, რომ მისი აზრით, სწორედ გლობალიზაციამ შეუქმნა ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულ იდენტურობას, რადგან არაფერია უფრო დაპირისპირებული და საწინააღმდეგო ნაციონალიზმისათვის, როგორც გლობალიზაცია.

მაგრამ იმის გამო, რომ გლობალიზაცია სხვადასხვაგვარად იჩენს თავს სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა საფრთხეს წარმოშობს, ცხადია, ნაციონალიზმიც სხვადასხვა ფორმით უნდა გამომჟღავნდეს. განვითარებადი ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა, შეშფოთებულები არიან მათი ეკონომიკის უცხოურ ფირმებზე და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე დაქვემდებარებისა და დასავლური (ამერიკული) კულტურისა და ღირებულებების მასიური გავრცელებით, რაც, მნიშვნელოვანწილად, ცვლის მათ ტრადიციულ ფასეულობებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ კულტურას. განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ საშიშროებად აღიქმება მასიური მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან, რამაც რასიზმისა და ქსენოფობიის ზრდა გამოიწვია. ორივე ამ შემთხვევაში საქმე ნამდვილად „ანტიგლობალისტურ ნაციონალიზმთან" გვაქვს, მაგრამ, ჯერ ერთი, განვითარებადი ქვეყნების რეაქცია იმდენად ნაციონალისტური არ არის, რამდენადაც უფრო ანტიიმპერიალისტური, მეორეც, დღეს მსოფლიოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტებს შორის ანტიგლობალისტური ნაციონალიზმის საფუძველზე წარმოშობილი ეთნოკონფლიქტები პრაქტიკულად არ გვხვდება (თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ევროპის ზოგიერთ ქალაქში მომხდარ შეტაკებებს იმიგრანტებთან).

გლობალისტურ ლიტერატურაში ნაციონალიზმი მხოლოდ გლობალიზაციის შედეგად და ამ პროცესის წინააღმდეგ მიმარ-

თულ ქმედებად არ განიხილება. ცალკეული ავტორები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ დღეს გამოვლენილი ყველა ნაციონალიზმი, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი და თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს გლობალიზაციასთან, მაინც გლობალიზაციის პროდუქტია. ის, რომ ბასკებს დამოუკიდებლობა სურთ, ქურთები თავიანთი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვიან, ხოლო ფრანკო-კანადელებს კვებეკის კანადისაგან გამოყოფა აქვთ განზრახული, გლობალიზაციის ერაში ახალ ძალებს იძენს, რადგან, ერთი მხრივ, სუსტდება სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებები (ამ შემთხვევაში ეროვნული თვითგამორკვევის უფლება) საყოველთაო და გლობალური ნორმა ხდება და ყველა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მას. ერთი სიტყვით, თუ ხალხთა თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, გლობალისტების აზრით, უპირატესობა ყოველთვის პირველს უნდა მიეცეს, რადგან საზღვრების უცვლელობის პრინციპი გლობალიზაციის ერაში ანაქრონიზმია.

ფ. ჰოლიდეი თვლის, რომ ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირი არ არის დღევანდელი ფენომენი და უფრო შორეულ წარსულში იღებს სათავეს, კერძოდ, იმ დროიდან, როცა თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ჩამოყალიბდა. ნაციონალიზმი, როგორც დოქტრინა, საბოლოო მიზნად ეროვნული სახელმწიფოს შექმნას ისახავს, იგი ხაზს უსვამს ყოველი ერის განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას. მაგრამ თვითონ ეს დოქტრინა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მთელ მსოფლიოში გავრცელდა, როგორც საერთაშორისო პროცესების თანამდები მოვლენა, მისი ნაწილი, როგორც გლობალური ცვლილებების შედეგი. სოლიდარობისა და ლოიალობის ძველი ფორმები დაიმსხვრა და ახლის მიღება და გავრცელება მოხდა. ნაციონალიზმის დიფუზია თავისთავად იყო გამოწვეული საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციით, ერი-სახელწიფოების აღზევებით, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებით, ევროპული კოლონიური იმპერიების შექმნით, ამ იმპერიების საწინააღმდეგო მოძრაობების წარმოქმნით, მსოფლიო ომებით და დემოკრატიის გავრცელებით. პარადოქსია, რომ ნაციონალიზმი, რომელიც ეროვნული ნიშნის მიხედვით ხალხთა განცალკევებას და დაყოფას ქადაგებს, წარმოიშვა ინტერნაციონალური და გლობალიზებული ტენდენციების შედეგად და მის საწინააღმდეგო რეაქციად (Halliday, 2001).

ამგვარად, ჰოლიდეის აზრით, თვითონ ნაციონალიზმის წარმოშობა იმ პროცესებთან არის დაკავშირებული, რომლებიც წარსულში იგივე ნიშნებით ხასიათდებოდა, როგორც დღევანდელი გლობალიზაცია, ანუ წარსული პერიოდისთვის დამახასიათებელმა გლობალიზაციამ შექმნა ნაციონალიზმი და დღესაც უკვე თანამედროვე, ჭეშმარიტი გლობალიზაცია წარმოშობს თანამედროვე ნაციონალიზმს.

ამასთანავე, ნაციონალიზმსა და თანამედროვე საერთაშორისო სისტემას შორის არ არის მარტო ისტორიული, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანია ნორმატიული კავშირები, რომლებიც ითვალისწინებენ, თუ რა იდეებითა და ღირებულებებით უნდა ცხოვრობდეს ხალხი და ვის მიმართ უნდა იყოს მორჩილი. თუ ნაციონალიზმის გაჩენამდე ხალხი უნდა დამორჩილებოდა მმართველს, მეფეს ან რელიგიას, მისი ჩამოყალიბების შემდეგ ასეთი კატეგორია გახდა ერი და, კერძოდ, მისი პოლიტიკური გამოხატულება — სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფო წარმოჩინდა, როგორც ხალხის (ერის) წარმომადგენელი და მისი ინტერესების გამომხატველი. აქედან მივიღეთ ცნება „ერი-სახელმწიფო", რაც გულისხმობს, რომ ყველა სახელმწიფო უნდა წარმოადგენდეს ხალხს. შესაბამისად ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი ინტერესების დამცველი და გამომხატველი სახელმწიფო. ამ იდეამ კი ერთა თვითგამორკვევის პრინციპს დაუდო სათავე, რომლის მიხედვითაც ყველა ხალხს აქვს უფლება იყოს დამოუკიდებელი ან თავისივე სურვილით შედიოდეს რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობაში. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო წესრიგის, სამართლის, კანონმდებლობის ნორმები უნდა ემყარებოდეს ამ პრინციპს. ნაციონალიზმი კი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მორალური ბაზა, თანაც იმდენად, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა უზენაეს ინსტიტუციას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეწოდება.

სწორედ ამ ბოლო საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ და დღემდე მოსულ ძირითად სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, რაც განსაზღვრავს თანამედროვე საერთაშორისო და ხშირ შემთხვევაში საშინაო პოლიტიკასაც (სახემწიფოთა სისტემა, ერი-სახელმწიფო, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხთა თვითგამორკვევა) უპირისპირდება თანამედროვე გლობალიზაცია, რომელიც შლის საზღვრებს ერებს, სახელმწიფოებს, ეროვ-

ნულ ეკონომიკებსა და კულტურებს შორის და ერთიანი, გლობალური მსოფლიოსაკენ მივყავართ.

გლობალისტურ ლიტერატურაში ნაციონალიზმის როლზე საუბრისას ხაზი ესმევა გლობალიზაციის იმ ფაქტორებს, რომლებიც თავისი არსით ნაციონალიზმის საპირისპიროა. ესაა ეკონომიკური ინტეგრაცია, მიგრაცია, მოგზაურობა და ტურიზმი, საზღვარგარეთ დასაქმება, გლობალური საფრთხე, მსოფლიო კომუნიკაციები, ეკონომიკური სუვერენიტეტის დასასრული. სწორედ ეს ფაქტორები იწვევს იმ რეაქციებს, რომლებიც ნაციონალიზმის ხელშემწყობ და ამღორძინებელ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: უცხოურ ინვესტიციებზე კონტროლის დაკარგვა, მტრული დამოკიდებულება იმიგრაციისადმი, დაუსაქმებლობის შიში, სუპრანაციონალური ინსტიტუციებისადმი უნდობლობა, უცხო კულტურის სიძულვილი, ტერორიზმის საფრთხე, გლობალური მედიისადმი უნდობლობა, სეცესიისაკენ სწრაფვა.

ენტონი სმიტი თავის წიგნში „ერები და ნაცინალიზმი გლობალურ ერში“ (Smith, 1995) ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის პროცესმა, კერძოდ კი კომუნიკაციების ახალმა სისტემამ „წაახალისა“ პატარა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის კულტურული და ლინგვისტური უმცირესობები, შეექმნათ და გაეძლიერებინათ თავიანთი კულტურული ქსელი, რომელიც მიმართული იქნებოდა როგორც ერისახელმწიფოს, ისე კონტინენტური თუ გლობალური კულტურის წინააღმდეგ. ესეც ეთნონაციონალიზმის აღორძინების ერთ-ერთი მოულოდნელი წყარო გახდა.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ის, თუ ვინ წარმართავს თანამედროვე ნაციონალიზმის პროცესს. ტრადიციულად ნაციონალიზმის წარმმართველი ძალა ინტელიგენცია, არისტოკრატია და ელიტა იყო. თანამედროვე ნაციონალიზმის ლიდერებად ყოფილ საბჭოთა სივრცეში დისიდენტები და ყოფილი პარტიული ელიტა გვევლინება, რომელმაც მოხერხებულად შეცვალა კომუნისტური ლოზუნგები ნაციონალისტურით, ასევე ნაციონალიზმის აპოლოგეტებად მოგვევლინენ ადგილობრივი მეწარმეები და საქმიანი წრეები, რომლებმაც გლობალიზაციაში საკუთარი ბიზნესისადმი საფრთხე გააცნობიერეს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ შეუძლებელია ნაციონალისტურ მოძრაობას რაიმე წარმატება ჰქონდეს, თუ მას ხალხის ფართო მასებმა არ დაუჭირეს მხარი.

აქვე იბადება მეორე კითხვა: კონკრეტულად რის ან ვის წინააღმდეგ არის მიმართული თანამედროვე ნაციონალიზმი? როგორც წესი, ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი ასეთია: ნაციონალიზმი იბრძვის ჰომოგენიზაციის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ნ. საბანაძე შენიშნავს, გლობალიზაციის მთავარი ფაქტორები და, პირველ რიგში, ტრანსნაციონალური კორპორაციები სრულიადაც არ არიან დაინტერესებული მსოფლიოს ჰომოგენიზაციით. პირიქით, მათ უპირატესობას სწორედ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება აძლევს, რადგან ის სხვაობები, რომლებიც არსებობენ სახელმწიფოთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ადამიანურ კაპიტალში, წარმოების დონეში და ბაზრის სიდიდეში, უზრუნველყოფენ ტნკ-ის წარმატებებს და მოგებას. თუ ლაპარაკია კულტურულ ჰომოგენიზაციაზე, ეს წმინდა ნებაყოფლობითი საქმეა. ვერავინ დაუშლის პოლონელსა თუ ქართველს ეცვას ამერიკული ჯინსები, უსმენდეს ინგლისურ პოპ-ჯგუფებს, დადიოდეს ჩინურ რესტორანში და უყურებდეს ბრაზილიურ ტელესერიალებს.

იმავე ავტორმა ყურადღება მიაქცია კიდევ ერთ თავისებურებას, რომელიც ასევე ეწინააღმდეგება ნაციონალიზმის შეფასებას გლობალისტების მიერ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომლებსაც ადანაშაულებენ ეთნონაციონალიზმში, ყველაზე უფრო აქტიურად მიისწრაფვიან ევროსტრუქტურებში და ნატოში გაერთიანებისაკენ. მათთვის არ არის დამახასიათებელი ეროვნული კარჩაკეტილობა, რითაც გამოირჩევა ნაციონალიზმი და ისინი თავიანთი ქმედებით სწორედ გლობალიზაციის მომხრეებად და ხელშემწყობებად გამოდიან. ამით კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი ჩნდება იმის საწინააღმდეგოდ, რომ თანამედროვე ნაციონალიზმი გლობალიზაციის შედეგად მივიჩნიოთ. ამიტომ თანამედროვე ეთნოკონფლიქტების დაკავშირება გლობალიზაციასთან, საკმაოდ საკამათო ჰიპოთეზაა. საეჭვოა, რომ თუკი გლობალიზაციის პროცესი არ იქნებოდა, დღეს არსებული ეთნოკონფლიქტები სხვა გზით წარიმართებოდა და სხვა შედეგებს მოიტანდა (**Sabanadze**).

## 10.2. ნაციონალიზმის სახეები გლობალიზებულ მსოფლიოში

დღევანდელ მსოფლიოში, რომელიც გლობალიზაციის პროცესით არის მოცული, ნაციონალიზმის გამოვლინება და ეთნოკონფლიქტები ლამის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად მოგვევლინოს. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ინტერესი, რომელსაც ამ პრობლემების შესწავლა იწვევს. კერძოდ, რით განსხვავდება დღევანდელი ნაციონალიზმი იმ ნაციონალიზმისაგან, რომელსაც ადგილი გლობალიზაციამდელ ეპოქაში ჰქონდა?

ერიკ ჰობსბაუმი თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლის შემდეგ" (Hobsbawm, 1990) აღნიშნავს, რომ XX საუკუნის დასასრულის ნაციონალიზმი მკვეთრად განსხვავდება XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ნაციონალიზმისაგან და იგი აღარ წარმოადგენს ისტორიული განვითარების ძირითად ვექტორს. თუკი XIX საუკუნის ნაციონალიზმი ეროვნული სახელმწიფოებისა და ეროვნული ინდუსტრიული ეკონომიკის გარშემო ერების ჩამოყალიბების ეპოქა იყო, ხოლო XX საუკუნის პირველი ნახევრის ნაციონალიზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელ და ანტიკოლონიურ მოძრაობად და იდეოლოგიად უნდა ჩაითვალოს, XX საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმმა უკიდურესად ნეგატიური და აგრესიული სახე მიიღო. იგი არის დამანგრეველი ძალა, რომელიც ეთნიკურ და ენობრივ განსხვავებულობას ეყრდნობა და ხშირად გადაჯაჭვულია რელიგიასთან. როგორც მარქსისტი, ჰობსბაუმი პარალელს ავლებს ესტონელებისა და კვებეკელების ნაციონალიზმსა (რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი მოსახლეობის იმიგრაციას) და XIX საუკუნის შუა წლების ჩეხურ ანტიგერმანულ ნაციონალიზმს შორის, რომელსაც მარქსი და ენგელსი უარყოფითად აფასებდნენ.

ჰობსბაუმის მიხედვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დრო დამთავრდა. ახალი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა კაცობრიობისთვის არავითარი სარგებლობის მომტანი არ არის. ამიტომ ყოველი დღევანდელი ნაციონალისტური მოძრაობა ანტიპროგრესული, ქაოსის მომტანი და დამანგრეველია. ასეთი დასკვნის გაკეთებისას ჰობსბაუმი ისევ მარქსიზმს ეყრდნობა და მარქსის მსგავსად ერებისათვის ისიც გარკვეულ ეკონომიკურ ზღურბლს აწესებს. ე. ი. ერი თავისი

შესაძლებლობებით მზად უნდა იყოს თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკისთვის და მისმა სახელმწიფოებრიობამ სარგებელი უნდა მიუტანოს სხვებსაც. მას ან მდიდარი ბუნებრივი რესურსები უნდა ჰქონდეს, ანდა კვალიფიციური და მომზადებული მოსახლეობა ჰყავდეს. ყველა ასეთ ხალხს უკვე აქვს სახელმწიფო და ახალი, მოუმზადებელი ხალხების სახელმწიფოებრიობა არავის კარგს არ მოუტანს. სწორედ ასეთი ხალხების ნაციონალიზმია გაბატონებული დღეს მსოფლიოში.

ე. სმიტი, ეწინააღმდეგება რა ჰობსბაუმის ამ დებულებას, გადაჭრით ამტკიცებს, რომ XX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ნაციონალური მოძრაობებიდან ბევრი დემოკრატიული და პროგრესულია, ხოლო ისეთი პატარა ხალხების დამოუკიდებლობას, როგორებიც სლოვენები, ჩეხები, სლოვაკები, ხორვატები ან თუნდაც კუვეიტელები, ტაივანელები და სინგაპურელები არიან, მსოფლიოსათვის არაფერი ზიანი არ მოუტანია, ისევე როგორც არც კატალონიელების, ბასკების ან კვებეკელების დამოუკიდებლობა არ მოიტანს რაიმე უბედურებას ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ ნაციონალიზმის და სახელმწიფოების შექმნის დაკავშირება ეკონომიკურ საფუძველთან სმიტს გამართლებულად არ მიაჩნია (Smith, 1995).

მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ეთნონაციონალიზმის გამოცოცხლება ფაქტია. სმიტი ამის მიზეზებს კულტურაში ეძებს. კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქამ კომუნიკაციების არნახული განვითარება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია ეროვნული ტრადიციები და კულტურა. ირღვევა ტრადიციული ღირებულებები და ამის შიშით ხალხი უბრუნდება ეთნიკური გამორჩეულობისა და რელიგიური ცნობიერების რადიკალურ ფორმებს და ხსნას მასში ეძებს. ეს აძლევს თანამედროვეობის ბევრ ნაციონალისტურ მოძრაობას უკიდურესად რადიკალურ და ზოგჯერ აგრესიულ ფორმას.

ეროვნული სახელმწიფო ეროვნული იდენტურობის დაცვის ყველაზე საიმედო გარანტიაა და ამიტომ ხშირად ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო განუყოფელ ცნებებად არის წარმოდგენილი. ე. სმიტს მიაჩნია, რომ ერი-სახელმწიფო არ არის ერთადერთი დამცველი და, ამდენად, ნაციონალიზმი და ერი-სახელმწიფო ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ: ნაციონალიზმის მიზანია შექმნას ერი (სამოქალაქო ან ეთნიკური), ხოლო სახელმწიფო ამ ერის გამოხატულებაა. თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმი არ შემოისაზღვრება მარტო ერი-სახელმწიფოს

შექმნით და მისი დაცვით, არამედ ეთნიკური კულტურის შენარჩუნებითა და განვითარებით. ყველა ერ-სახელმწიფოში არის დომინანტი ეთნოსი, რომლის ეთნიკური კულტურაც, მისი სიმბოლოები და მითები, მახსოვრობა და ფასეულობები აყალიბებს სამოქალაქო ერის (სახელმწიფო ერის) ხასიათს.

სწორედ ამ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას მიიჩნევს სმიტი თანამედროვე ნაციონალიზმის ძირითად მიზნად. იგი თვლის, რომ ინტეგრაციული პროცესები და გლობალიზაციის შედეგები ვერ ცვლის ეროვნული იდენტურობის, ეროვნული კულტურისა და ეროვნული ხასიათის უპირატეს და დომინანტურ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერები და ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაშიც რჩება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ერთადერთ რეალურ საყრდენად. მათ არ ჰყავთ მეტოქე დღევანდელ პირობებში. ერები იმდენად არიან მიბმული თავიანთ ისტორიულ ძირებთან, მახსოვრობასთან, მითებთან და სიმბოლოებთან, რომ ვერავითარი გლობალური კულტურა მას ვერ შეცვლის, ხოლო ერი-სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან პოლიტიკური ერთობების მთავარ ფორმად (Smith, 1995).

სმიტის ასეთ მოსაზრებას ბუნებრივია გლობალისტები არ იზიარებენ, მიიჩნევენ რა, რომ ერი-სახელმწიფოებისა და მით უფრო ნაციონალიზმის ეპოქა უკვე წარსულის კუთვნილებაა. ხოლო თვით ნაციონალისტური გამოსვლებიც ძირეულად განსხვავდება იმ კლასიკური ნაციონალიზმისაგან, რომელიც წარსული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

თანამედროვე ნაციონალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა გლობალიზაციის ისეთი დამახასიათებელი და თანმდევი ფენომენი, როგორიც ტრანსნაციონალური თემი და დიასპორაა.

*ტრანსნაციონალიზმი* ამ შემთხვევაში განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლითაც იმიგრანტთა თემები ქმნიან და ავითარებენ მრავალმხრივ სოციალურ კავშირებს ერთობლივად თავიანთი წარმოშობის ადგილისა და ჩასახლების ადგილის საზოგადოებებს შორის. ასეთი თემების სოციალური სახე კვეთს გეოგრაფიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ საზღვრებს. ისინი მყარად არიან დაკავშირებული როგორც თავისი სამშობლოს, ისე იმიგრაციის ქვეყნების საზოგადოებებთან. ასეთი თემი ფარავს დიასპორას, რადგან ყველა დიასპორა არ ხდება ტრანსნაციონალური თემი და რჩება ჩაკეტილ საზოგადოებად, არ

არის რა რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური კავშირები მიმღები ქვეყნის საზოგადოებასთან (Spenser and Wollman, 2002, p.163).

*დიასპორის* ცნება ძველია და უძველესი დროიდან (ძველი ებრაელები, ძველი ბერძნები) არის ცნობილი. ტრადიციულად დიასპორაში იგულისხმება სამშობლოდან ძალით განდევნილი და სხვაგან ჩასახლებული ხალხი, თუმცა ამჟამად ეს ცნება უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება და ზოგჯერ ტრანსნაციონალურ თემსაც გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ასეთ დიასპორებს და ტრანსნაციონალურ თემებს უყალიბდებათ გარკვეული ე. წ. ჰიბრიდული იდენტიფიკაცია, რის მაგალითსაც წარმოადგენს კარიბის რეგიონიდან დიდ ბრიტანეთში დამკვიდრებული იმიგრანტთა თემები. ეს იდენტიფიკაცია ხდება არატერიტორიული და არ არის დაკავშირებული რომელიმე ერსახელმწიფოსთან. შესაბამისად, მოქალაქეობაც განიცდის ტრანსფორმაციას. სწორედ ეს არატერიტორიული და ერსახელმწიფოსთან არმიბმული იდენტურობა წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას (Cohen, 1997).

დეტერიტორიზაციამ, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთმა მთავარმა ნიშანმა და დიასპორათა ინტენსიურმა გავრცელებამ საფუძვლიანად შეცვალა ნაციონალიზმის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი. რ. კოენი ამის შესახებ წერს: „რაც XIX საუკუნის ნაციონალისტს სურდა, ეს იყო „სივრცე" ყოველი „რასისთვის", ტერიტორია ყოველი სოციალური ერთობისთვის. რაც მათ მიიღეს მის ნაცვლად, ეს არის კოსმოპოლიტური ქალაქების უწყვეტი ჯაჭვი და ტრანსნაციონალური და სუბნაციონალური იდენტურობის მზარდი აღმავლობა, რომელიც ძნელად თუ მოთავსდება ერი-სახელმწიფოების სისტემაში" (Cohen, 1997).

იმავე ავტორის აზრით, სწორედ მიგრანტები და ლტოლვილები არიან გლობალიზაციის ყველაზე ნათელი გამოხატულება და მთავარი „მოთამაშეები" ე. წ. ფიქსირებული ნაციონალური თუ ეთნიკური იდენტურობის დასამარებაში. მის ნაცვლად მიმდინარეობს ჰიბრიდიზაციის პროცესი, რაც დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა.

ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინ „კრეოლიზაციას", რითაც ხაზს უსვამს ამ პროცესის ისტორიულ ფესვებს, როცა კოლონიზაციის დროსაც მსგავსი პროცესი ხდებოდა და ბევრი

ერი სწორედ ასე წარმოიშვა. ამჟერად, ამ მოვლენამ კოლონიებიდან მეტროპოლიაში გადმოინაცვლა და ხდება კულტურების გლობალური მიქსაცია.

ცხადია, კულტურის მიქსაცია ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ არსებობს რაღაც „შერეული" კულტურა და „სუფთა" ეროვნული კულტურა. ყველა ეროვნული კულტურა შერეულია და თუ მაინც მიქსაციაზეა ლაპარაკი მხოლოდ იმ გაგებით, რომ ხაზგასმულია ამ პროცესის ინტენსიფიკაცია მულტიეთნიკურ, კერძოდ, დიასპორულ საზოგადოებაში.

როგორ დამოკიდებულებაშია დიასპორის ეთნიკური თვითშეგნება და მისი თვითიდენტიფიკაცია დღევანდელ ნაციონალიზმთან? პასუხი ამ კითხვაზე ცალსახა არ შეიძლება იყოს, რადგან თვითონ დიასპორები არიან ძალიან განსხვავებული და ჰიბრიდიზაციის სხვადასხვა ხარისხი აქვთ. არიან დიასპორები, რომლებიც მკაცრად ინარჩუნებენ ეთნიკურ სახეს და არ ხდება მათი შერევა მიმღები ქვეყნის მოსახლეობასთან. არიან ისეთი დიასპორებიც, რომლებსაც პრაქტიკულად აღარ აქვთ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან და ფაქტიურად ახალ ეთნიკურ ერთობად ჩამოყალიბდნენ, ხოლო დიასპორათა ნაწილი შერეული, „ჰიბრიდული" კულტურითა და თვითშეგნებით გამოირჩევა. როგორც უკვე ითქვა, ისინი არატერიტორიული სოციალურ-კულტურული ერთობებია და არ არიან დაკავშირებული რომელიმე ერ-სახელმწიფოსთან. ცხადია, დიასპორათა თითოეული ამ ტიპისათვის თავისი შესაბამისი ნაციონალიზმია დამახასიათებელი, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს თამაშობს გარემო ფაქტორები.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნაციონალისტური მოძრაობა – სიონიზმი, მთლიანად დიასპორაში ჩამოყალიბებული და განვითარებული ნაციონალიზმია. ისტორიამ სხვა ბევრი მაგალითიც იცის, როცა ემიგრირებულ ინტელექტუალებს და ბიზნესმენებს დიდი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა და დახმარება გაუწევიათ ნაციონალისტური მოძრაობებისთვის (აღმოსავლეთ ევროპა კომუნისტურ პერიოდში, ირლანდიური დიასპორა აშშ-ში და სხვ.). ამასთანავე, ყალიბდება განსაკუთრებული, დიასპორული ნაციონალიზმი, რომელიც განსხვავდება იმ ნაციონალიზმისაგან, რომელიც საკუთარ სამშობლოშია დამახასიათებელი. თვით სიონიზმიც კი, რომელიც უარყოფს დიასპორაში ცხოვრებას და ყველა ებრაელს მოუწოდებს დაბ-

რუნდეს ისტორიულ სამშობლოში, პრაქტიკაში აღმოჩნდა დიასპორაში მყოფი ებრაელების ეროვნული იდეოლოგია.

მეორე მხრივ, ემიგრანტი კარიბიელებისა და აზიელების კომპლექსური, შერეული თვითიდენტიფიკაცია და მათი ტრადიციული კულტურის მიქსაცია ბრიტანულ კულტურასთან და ორმაგი ორიენტაცია წინაპრების სამშობლოსა და მიმღები ქვეყნის მიმართ, შეიძლება მივიჩნიოთ „სუფთა" ეროვნული და ნაციონალისტური იდეების აღრევისა და შერწყმის მაგალითად.

დიასპორული ნაციონალიზმი განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალიზაციის პროცესთან. ბევრი იზიარებს იმ აზრს, რომ საფრთხე, რომელიც გლობალიზაციას ახლავს თან, ბადებს მკვეთრ ნაციონალისტურ რეაქციას, რაც ხშირად რადიკალურ და ფუნდამენტალისტურ სახეს იღებს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი ფუნდამენტალისტურია, ანდა ყველა ანტიგლობალისტური ფუნდამენტალისტური გამოსვლა ნაციონალისტურია. მაგალითად, ისლამური ფუნდამენტალიზმი უფრო გლობალისტურია, ვიდრე ნაციონალისტური, უარყოფს რა მუსლიმანების დაყოფას ეროვნებებად და სახელმწიფოებად და ერთიანი მსოფლიო ისლამური საზოგადოების შესაქმნელად იბრძვის.

გლობალიზაციის შიში და გაურკვევლობა ბადებს მისწრაფებას ადგილობრივისაკენ, საკუთარისაკენ. ხსნად ახალი ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი ერთობების შექმნა მოიაზრება. ეს იწვევს სხვადასხვა სეპარატისტული, სეცესიური მოძრაობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ერი-სახელმწიფოს წინააღმდეგ არიან მიმართული და ამიტომ ეთნოკონფლიქტების მთავარი წყაროა. მაგრამ არ იქნება მართებული, თუ ყველა სეპარატისტულ და სეცესიურ მოძრაობას გლობალიზაციას დავუკავშირებთ. ბევრ ამ მოძრაობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და გლობალიზაციამდე გაცილებით ადრე არსებობდა. მეორე მიმართულებაა ე. წ. „გამაერთიანებელი ნაციონალიზმი", რომელიც ცდილობს გააერთიანოს ეთნიკურად და რელიგიურად მსგავსი ხალხები და ასე დაუპირისპირდეს გარეშე დამანგრეველ ძალას. ასეთია, მაგალითად, ჰინდუისტური ნაციონალიზმი ინდოეთში.

ანტიგლობალისტური ნაციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა და მკვეთრი გამოვლინებაა ე. წ. ანტიიმიგრანტული ანუ ქსენოფობიური ნაციონალიზმი, რომელიც ძირითადად

განვითარებულ ქვეყნებშია გავრცელებული. ამ ნაციონალიზმის წარმოქმნის მიზეზი ის მასიური მიგრაციაა, რომელიც განვითარებადი ქვეყნებიდან ხდება ამ ქვეყნებში. მიგრაციის უკონტროლო და ხშირ შემთხვევაში არალეგალური ხასიათი, რასაც უცხო ეთნიკური ელემენტების სწრაფი ზრდა მოსდევს, შიშსა და შეშფოთებას იწვევს დასავლეთში. ეს კი ნოყიერი ნიადაგია უკიდურესი, შოვინისტური ნაციონალიზმისა და რასიზმის ჩამოსაყალიბებლად.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰონი (Delanty and O'Mahony, 2002) ახდენენ ნაციონალიზმის ტიპოლოგიას და ათ ძირითად ტიპს შორის ცალკე გამოყოფენ თანამედროვე ნაციონალიზმს, რომელსაც ისინი ახალ რადიკალურ ნაციონალიზმს უწოდებენ. თავის მხრივ, ამ ახალ ნაციონალიზმში კიდევ სამი ქვეტიპი გამოიყოფა: *ახალ მემარჯვენე რადიკალთა ნაციონალიზმი, რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი* და *რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი*.

**ახალი რადიკალური მემარჯვენეების ნაციონალიზმი** ძირითადად დასავლეთის ქვეყნებშია გავრცელებული. იგი უფრო სხვადასხვა მემარჯვენე პარტიებიდან მომდინარეობს, ვიდრე მასების მოძრაობიდან. მაშინ როცა ნაციონალიზმის სხვა ფორმების მართვა, როგორც წესი, ორგანიზაციებიდან ხდება, მემარჯვენე რადიკალების ნაციონალიზმი აქტივისტებისა და საარჩევნო პოლიტიკის მოხერხებულად წარმართვის დამსახურებაა. ახალი მემარჯვენე რადიკალების იდეოლოგია წარმოადგენს ნეოლიბერალიზმისა და კულტურული ავტორიტარიზმის ერთგვარ კომბინაციას. კლასიკური ფაშიზმისაგან განსხვავებით, რომელიც ეკონომიკაში ანტიკაპიტალისტურ და ანტილიბერალურ პოზიციებზე იდგა, მემარჯვენე ნაციონალიზმი მხარს უჭერს რადიკალურ ლიბერალიზმს ეკონომიკაში და რადიკალურ კონსერვატიზმს სოციალურ და კულტურულ სფეროში. ბოლო წლებში ამ ნაციონალიზმის წარმომადგენლები საგრძნობლად გაემიჯნენ რასიზმს და აცხადებენ, რომ მათი წინააღმდეგობა იმიგრაციის პროცესისადმი სოციალური შინაარსისაა და არა ბიოლოგიური ან კულტურული. სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება ამ ნაციონალიზმის სხვადასხვა მიმართულებებს შორის განსხვავებულია. არიან მიმართულებები, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოს აქტიურ მხარდამჭერებად გამოდიან (მაგ., ლე პენის ეროვნული ფრონტი საფრანგეთში), ზოგნი კი ანტისტატისტებად (სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების) და

რადიკალური მულტიკულტურალიზმის მომხრეებად გვევლინებიან. ეს თავისებურება თანამედროვე რადიკალ მემარჯვენეებს საგრძნობლად განასხვავებს ევროპული ფაშიზმის ადრეული ფორმებისაგან და, ფაქტიურად, ახალი ტიპის მემარჯვენეობასთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა, ახალი მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმის იდეოლოგია არ არის მიმართული მასიურ პუბლიკაზე და უფრო წარსულზეა ორიენტირებული, ვიდრე მომავალზე, მაშინ როცა ფაშიზმი მოდერნიზმის პროდუქტი იყო და ისეთ ღირებულებებს ქადაგებდა, როგორცაა პროგრესის რწმენა, ტექნოლოგიური მიღწევები, სახელმწიფოს პრიმატი, პოლიტიკა, როგორც ხელოვნება, ქარიზმატული ლიდერი და ა. შ. ახალი მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმის შერეული იდეოლოგიური ბუნება, მიუხედავად აშკარა ქსენოფობიისა და არატოლერანტულობისა, არ იძლევა მის ფაშიზმთან გაიგივების საფუძველს და ამიტომაც დელანტი და ომაპონი ამჯობინებენ იგი ახალ მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმად მიიჩნიონ და არა ნეოფაშიზმად, რომელი სახელითაც იგი უფრო ხშირად გვხვდება.

**რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი.** ექსტრემისტული ნაციონალიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც, ცალკეულ შემთხვევებში. ეთნიკური მილიტარიზმის სახეს იღებს. უფრო რბილი ფორმით იგი ეთნოდემოკრატიის როლში გვევლინება, როცა სახელწიფო დომინანტი ეთნოსის ნება-სურვილით იმართება. ასეთმა „დემოკრატიამ" შესაძლებელია უკიდურესად შეზღუდოს სხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებები და ეთნიკურ წმენდამდეც კი მიიყვანოს საქმე. ეს უკვე ეთნიკური მილიტარიზმის გამოვლინებაა, რასაც ჰქონდა ადგილი იუგოსლავიაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში. ასე რომ, ეთნოდემოკრატია და ეთნომილიტარიზმი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენებია და ფაქტიურად ერთ მთლიან მოვლენას ქმნიან. რადიკალური ეთნონაციონალიზმი გაცილებით უფრო პოპულისტურია და იგი უფრო მიესადაგება ნეოფაშიზმს, ვიდრე მემარჯვენე რადიკალური ნაციონალიზმი. იგი, როგორც წესი, მომდინარეობს სახელმწიფოს შიდა აპარატის დომინანტი ელიტისაგან, ვიდრე საზოგადოების მარგინალური ჯგუფებისაგან. ამიტომ იგი უფრო სახელმწიფო „პროექტია".

რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი ყველაზე უფრო აშკარად თანამედროვე პერიოდში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

გამომჟღავნდა. მაგრამ პოსტკომუნისტურ ნაციონალიზმს აკლია იდეოლოგიური თანმიმდევრობა და ამ თვალსაზრისით არ შეიძლება მისი შედარება დასავლურ ნაციონალიზმთან. პოსტკომუნისტური ნაციონალისტური მოძრაობების დამახასიათებელი ნიშანია ისტორიული ამნეზია. კომუნისტურმა რეჟიმებმა გარკვეული სიცარიელე დატოვეს, რომელსაც დღეს ნაციონალიზმი ავსებს, მაგრამ ამ ნაციონალიზმს ცოტა რამ აქვს საერთო ადრეული ნაციონალიზმის ძველ ტრადიციებთან. ნაციონალიზმის მილიტარისტული ფორმა იმ ქვეყნებშია წარმოდგენილი, რომლებმაც სახელმწიფოებრიობას მიაღწიეს კომუნისტურ პერიოდში, ანდა კომუნისტურამდელ ხანაში ეროვნული იდენტურობის დონე საკმაოდ სუსტი იყო.

**რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმი.** მებრძოლი რელიგიური ნაციონალიზმიც თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა (სიონიზმი და ადრეული ნაციონალიზმის ზოგიერთი სხვა შემთხვევა), ნაციონალიზმი, როგორც წესი, არარელიგიური, სეკულარული მოვლენაა. მაგრამ დღეს როგორც ნაციონალიზმის, ისე რელიგიის გამოცოცხლებამ მათი საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირება გამოიწვია მსოფლიოს ბევრ რეგიონში. რელიგია, კერძოდ, შიიტური მიმართულების ისლამი, ირანული ნაციონალიზმის მთავარი კომპონენტია. ისლამური პარტიები ძირითადი ოპოზიციური ძალებია ალჟირში, ტუნისში, ეგვიპტეში და ზოგიერთ სხვა ისლამურ სახელმწიფოში. დელანტი და ომაჰონი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს რელიგიისა და ნაციონალიზმის კავშირს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მათი აზრით, „საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1992 წლიდან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ნაციონალიზმი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ეს კავშირი შევარდნაძის მხარდაჭერით სარგებლობს" (Delanty, O'Mohany, 2002, p. 151). ამავე ავტორების აზრით, რუსეთის ფედერაციის ბევრ რეგიონში რუსული მართლმადიდებლობა გახდა ეროვნული იდენტურობის მთავარი სიმბოლო, ხოლო აზიურ რესპუბლიკებში სულ უფრო და უფრო მზარდ პოლიტიკურ როლს თამაშობს ახალი, რადიკალური რეფორმისტული ისლამი. რელიგიის „ნაციონალიზაცია" და პოლიტიზაცია სულ უფრო შესამჩნევი ხდება სხვა რეგიონებშიც (ინდოეთი, ინდონეზია, თურქეთი და სხვა.). ამიტომ ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ რელიგიური ნაციონალიზმი მოდერნიზმის პროდუქტია და იგი

გლობალურ ძალად იქცა. კრიზისისა და არეულობის დროს ის შეიძლება მარგინალური ჯგუფების მართვის საშუალება გახდეს.

თანამედროვე ნაციონალიზმის ეს სამი ტიპი რეალურად არსებობს და არავისთვის, სადავო არ არის. მაგრამ უფრო რთული და საინტერესო საკითხია იმ მიზეზების ახსნა, რომლებმაც გამოიწვიეს თანამედროვე ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და მისი ასეთი გააქტიურება უკანასკნელ წლებში, ანუ ამ მოვლენის თეორიული გააზრება. იმავე დელანტისა და ომაჰონის მიერ გამოყოფილია ხუთი მთავარი მიდგომა, რომლებიც თანამედროვე ნაციონალიზმის ასეთ აღმავლობას და ფართო გავრცელებას სხვადასხვანაირად ხსნიან.

1. ***ისტორიის დაბრუნება.*** პირველ მიდგომას ისტორიის დაბრუნება შეიძლება ვუწოდოთ. ის ავტორები, რომლებიც ამ მიდგომას იზიარებენ, თვლიან, რომ ნაციონალიზმის „აფეთქება" პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გამოწვეულია იმით, რომ მას შემდეგ, რაც დიქტატურა შესუსტდა, თავი იჩინა საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ეთნიკურმა და რელიგიურმა შუღლმა. კომუნისტური რეჟიმი ასე თუ ისე აკავებდა ამ დაპირისპირებას, მაგრამ როცა შემკავებელი ძალა მოიხსნა, ურთიერთწინააღმდეგობამ და სიძულვილმა მთელი ძალით იფეთქა. ასე რომ, თანამედროვე ეთნოკონფლიქტები მხოლოდ ისტორიის დაბრუნებაა, ხოლო თანამედროვე პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წყარო ტრაიბალიზმი და ეთნიკური სიძულვილია.

ამ მოსაზრებას ძირითადად ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ემხრობიან. იშველიებენ რა ისტორიას, ისინი ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის და მით უმეტეს აზიის ნაციონალიზმი ყოველთვის იყო ეთნიკური ნაციონალიზმი. მისგან განსხვავებით, დასავლური ნაციონალიზმი სახელმწიფო, სამოქალაქო ნაციონალიზმია და ამიტომაც მისთვის ეთნოკონფლიქტები დამახასიათებელი არ არის.

მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა ისტორიის დაბრუნების იდეას არ იზიარებს. საკმაოდ ბევრი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ ეთნიკურ მილიტარიზმს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ადრეულ კოლექტიურ იდენტურობასთან. ს. კოენის მტკიცებით (Cohen, 1999), პოსტკომუნისტური ნაციონალიზმი ისტორიის არქონის შედეგია და არა ისტორიის დაბრუნებისა, ხოლო ბალკანეთის კონფლიქტი სულ სხვა მიზეზების გამო დაიწყო

და ეთნიკური ხასიათი შემდეგ შეიძინა. სარაევო ხუთასი წლის განმავლობაში ეთნოკულტურულად ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი ქალაქი იყო ევროპაში და არავითარ ეთნოკონფლიქტს იქ ადგილი არ ჰქონია. ამიტომ არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ ნაციონალისტური წარმოდგენები უკვე წარსულშია ჩამოყალიბებული და თანამედროვე პერიოდში უბრალოდ გამოვლენის საშუალება მიეცა.

2. ***ინტერნაციონალიზმი და მოდერნიზაცია***. ერთ-ერთი, საკმაოდ ხშირად გამოყენებული არგუმენტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის აღზევების ასახსნელად არის ის, რომ ეს მოვლენა ვერსალის სისტემის შემდგომი ერი-სახელმწიფოების მოდელის შედეგია, რომელიც დასავლეთმა მოახვია თავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელიც ამ მოდელს იცავდა, ძველმა შეცდომამ თავი ეთნიკური ნაციონალიზმის სახით იჩინა. ამდენად, ამ მოვლენის ისტორიული მიზეზი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე კულტურული ან ეთნიკური. ამ რეგიონში სახელმწიფოების ფორმირება დიდი სახელმწიფოების ზემოქმედების შედეგია და ამდენად, ბალკანეთი თანამედროვეობის პროდუქტად უნდა ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი ინტერნაციონალიზმის მიერ წარმოქმნილი მოდერნიზაციაა.

ეს მიდგომა თავისუფალია იმ უკიდურესობისაგან, რომელიც ისტორიის დაბრუნებას, როგორც თეორიულ მიმართულებას, ჰქონდა და ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად კულტურულ განსხვავებებს მიიჩნევდა. მაგრამ ამ მიმართულებასაც სერიოზული ნაკლი გააჩნია, რადგან ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა ფორმირების ადრეულ ისტორიულ სტრუქტურებს და სათანადო ყურადღების გარეშე ტოვებს მოქმედი ძალების (აგენტების) როლს. ცხადია, სტრუქტურულ ფაქტორებს (კულტურა იქნება ეს თუ ისტორია) დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოქმედი ძალების გარეშე მათი როლი მცირდება. მეოცე საუკუნის უმეტეს დროს ბალკანეთში მშვიდობა იყო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადრინდელი დასავლური მოდელის გადმოტანა არ უნდა იყოს მიმდინარე კრიზისის გადამწყვეტი მიზეზი. საერთაშორისო ინტერვენციაც მხოლოდ პასუხი იყო უკვე დაწყებულ კონფლიქტზე და იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება მის პირველ მიზეზად. თუ დავეთანხმებით, რომ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების მოდელი და საზღვრების

გატარებაში დაშვებული ძველი შეცდომებია ეთნიკური მილიტარიზმის მიზეზი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერნაციონალური ინტერვენციით შედეგი ვერ მიიღწევა. მხედველობაშია მისაღები ისეთი აგენტებიც, როგორიცაა მოქალაქეთა აღშფოთება უსამართლობისა და კორუფციის წინააღმდეგ, დემოკრატიზაციის მოთხოვნა და სხვ.

3. ***ინსტიტუციონალიზმი.*** ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ თანამედროვე პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის ფესვები კომუნისტური მმართველობის დროს ერებისა და ეროვნებების ინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირი დაფუძნებული იყო მრავალეროვნულობის ოფიციალურ ინსტიტუციონალიზაციაზე, რომელიც არა მარტო ოფიციალურ, სახელმწიფო და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნიკურ ეროვნებას, არამედ ცენტრალურ ინსტიტუციონალურ კატეგორიად მიიჩნევდა მას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტერიტორიული მოწყობა, ისევე როგორც ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობა, ეროვნულ პრინციპს ემყარებოდა. ამან კი თავისი შედეგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოიღო, როცა ეს პრინციპი ანაქრონიზმად იქცა. ეროვნებათშორისი დამოკიდებულება უკიდურესად გამწვავდა, რადგან საბჭოთა ეთნონაციონალური პოლიტიკის მემკვიდრეობას ღრმა ფესვები აქვს გადგმული. ამიტომ ნაციონალიზმის წყარო პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ სამყაროში პოლიტიკური ინსტიტუტების მდგომარეობაა და არა ეთნიკურობა ან კულტურა. ე. ი. ნაციონალიზმს ერები კი არ წარმოშობს, არამედ პოლიტიკა.

მთელ რიგ ავტორებს სხვადასხვა მაგალითები მოჰყავთ ამ მოსაზრების დასამტკიცებლად. კერძოდ, ახალი მემარჯვენე რადიკალი ნაციონალისტების წარმატებებს ისინი მიაწერენ არა იდეოლოგიას, არამედ პოლიტიკური და, კერძოდ, საარჩევნო სტრუქტურების თავისებურებებს. ის, რომ მემარჯვენეებმა შეძლეს ისეთი ფორმულების მოძებნა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა როგორც მემარჯვენეებისთვის, ისე მემარცხენეებისთვის, არის მათი წარმატების მიზეზი.

ინსტიტუციონალისტური მიდგომის უპირატესობაა, რომ იგი თავისუფალია როგორც ეთნიკურობისა და კულტურის როლის უზომოდ განდიდებისაგან, ისე საერთაშორისო ფაქტორების გადაჭარბებული შეფასებისაგან. ამასთანავე, საეჭვოა, რომ პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის მიზეზები მხოლოდ

კომუნისტური რეჟიმის ინსტიტუციები იყოს. გარდა ამისა, ეს მიმდინარეობა არ გვიჩვენებს, თუ როგორ არის ინსტიტუციონალიზებული პოსტკომუნისტური ნაციონალიზმი. ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი მხოლოდ საპროტესტო მოძრაობა იყოს.

4. ***გადასვლა დემოკრატიაზე.*** პოსტკომუნისტური ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების ახსნის ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა დემოკრატიაზე გადასვლის თეორია. ეს მიმდინარეობა ეყრდნობა იმ თეორიულ დებულებებს, რომლებიც აანალიზებენ ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის კანონზომიერებებს (ძირითადად სამხრეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მაგალითზე) და ამას ემატება ის თავისებურებები, რაც ცენტრალიზებული ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლას უკავშირდება. ასეთი გადასვლა არ არის მხოლოდ პოლიტიკური მოვლენა, არამედ მოითხოვს მთელი საზოგადოების სერიოზულ ტრანსფორმაციას.

დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში ინგრევა ის პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ცივი ომისათვის იყო დამახასიათებელი. ძველი იდეოლოგიების მსხვრევას მოსდევს ახალი მემარჯვენე თუ მემარცხენე იდეოლოგიების გავრცელება, რომლებიც ძნელად იკიდებენ ფეხს საზოგადოებაში. წარმოიშვება ერთგვარი სიცარიელე, ვაკუუმი და სწორედ ამ ვაკუუმის შევსება ხდება ახალი ნაციონალიზმით. დასავლეთის სამყაროში იგი რადიკალური კონსერვატიზმის სახით არის წარმოდგენილი (ახალი მემარჯვენე რადიკალები), პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი — რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმით. იგი უფრო ძლიერია იქ, სადაც დემოკრატია სუსტია და დემოკრატიული მობილიზაციის შემცვლელად გვევლინება.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ეთნიკური პოლიტიკა რაციონალური არჩევანია. „ეთნიფიკაცია" კულტურული იდენტიფიკაციისათვის საერთო სურვილის გამოხატულება კი არ არის, არამედ რაციონალური სტრატეგიაა იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზღვრების ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება, სადაც ეთნიკური უმცირესობები ასოცირდებიან მეზობელი ქვეყნების მოსახლეობასთან და ხელისუფლების სისუსტის პირობებში დესტაბილიზაციის სერიოზული საფრთხე იქმნება. სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის პი-

რობებში ეთნიკური პოლიტიკა ხშირად რაციონალური რესურსია. ეს მდგომარეობა ხუმრობით ასე შეიძლება შევაჯამოთ: „მემარცხენეებს არა აქვთ იდეოლოგია, მემარჯვენეებს კი – ფული. შედეგი ნაციონალიზმია" (ციტირებულია Delanty, O Mahony, 2002, p. 155).

დემოკრატიაზე გადასვლის თეორია ხსნის ნაციონალიზმის მიზეზებს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ გაუგებარს ტოვებს ნაციონალიზმის გამოცოცხლების მიზეზებს დასავლეთში. ამ მიდგომით ძნელი ასახსნელია ის ფაქტიც, რომ დემოკრატიაზე გადასვლა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (იუგოსლავია და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისია) მშვიდობიანი გზებით განხორციელდა. ცხადია, რაციონალური სტრატეგიის როლი ექსტრემისტულ ნაციონალისტურ და ეთნიკურ პოლიტიკაში არ უნდა დავამციროთ, მაგრამ არც კულტურული იდენტურობის უარყოფა შეიძლება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „პერესტროიკამ" უდავოდ დიდი როლი ითამაშა იმ პირობების ჩამოყალიბებაში, რომელმაც შემდგომში თანამედროვე, პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი წარმოშვა.

5. ***რეაქცია გლობალიზაციაზე***. თანამედროვე ნაციონალიზმის აღორძინების მიზეზების ახსნას მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს იმ თეორიული მიდგომით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ რეაქცია გლობალიზაციაზე. ამ მიდგომით თანამედროვე ექსტრემისტული ნაციონალისტური გამოსვლები, ნაციონალისტური იდეოლოგიების წარმატება, ეთნიკური დაპირისპირებები და კონფლიქტები, არის პასუხი იმ ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების შეცვლაზე, რაც გლობალიზაციას მოჰყვა.

ნაციონალიზმზე, როგორც გლობალიზაციის პროცესის მიმართ რეაქციაზე, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და აქ მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მოსაზრებას:

იურგენ ჰაბერმასი (Habermas, 2001) ამ მოვლენას დასავლეთის ქვეყნებში „კეთილდღეობის ნაციონალიზმს" უწოდებს, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური დაცემის, ინფლაციის, უმუშევრობის შიშით და მიმართულია იმიგრაციის წინააღმდეგ.

ჯ. დელანტი და პ. ომაჰანი ლაპარაკობენ ნაციონალიზმის ისეთ ფორმებზე, რომლებიც სოციალისტური ცენტრალიზებული ეკონომიკის ნგრევას მოჰყვა და გაზარდა დისპროპორცია ცენტრსა და რეგიონებს შორის, რამაც ცენტრის მიმართ ნაციონალისტური ოპოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი

(Delanty, O'Mahony, 2002). იგივე ავტორები მიუთითებენ, რომ ნაციონალიზმმა მთელ რიგ ქვეყნებში, და, პირველ რიგში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მიიღო წინააღმდეგობის ფორმა, როცა ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს არ სურთ ე. წ. „კომუნალურ სამოთხეში" ყოფნა და თავის იდენტურობის დაცვის ერთადერთ გზად მებრძოლი ეთნიკური ნაციონალიზმი მიაჩნიათ.

მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში თანამედროვე ნაციონალიზმი არ შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის პირდაპირ შედეგად. ისევე როგორც ანტიგლობალისტური მოძრაობების დიდი ნაწილი უფრო მემარცხენე და ანტიიმპერიალისტური ხასიათისაა, ვიდრე ნაციონალისტური, ასევე ნაციონალიზმის თანამედროვე გამოვლინებებს შორის შედარებით ცოტაა ისეთი, რომლებიც თავისი გამომწვევი მიზეზებით უშუალოდ გლობალიზაციასთან იყონ დაკავშირებული.

ახალი რადიკალური ნაციონალიზმის მიზეზებისადმი ხუთი აღნიშნული მიდგომა ერთმანეთს არ გამორიცხავს. სხვა საქმეა, რომ შეიძლება ცალკეული მკვლევრები ერთ რომელიმე მათგანს აძლევდნენ უპირატესობას ან რომელიმეს საერთოდ გამორიცხავდნენ (მაგ., დელანტი და ომაჰონი თანამედროვე ნაციონალიზმის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ რეაქციას გლობალიზაციაზე და საერთოდ უარყოფენ ისტორიის დაბრუნების მიდგომას). ფაქტია, რომ ისეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი, როგორიც ნაციონალიზმია, ერთი რომელიმე მიზეზით ვერ აიხსნება, თუნდაც ეს მიზეზი ასეთივე რთული და მრავალმხრივი ფენომენი – გლობალიზაცია – იყოს.

გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული ნაციონალიზმის, უფრო სწორად, სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის შედარებით ახალი ფორმა, რომელიც სხვა მიზეზებითაა გამოწვეული, ვიდრე ტრადიციულად ეს მოძრაობები ხასიათდებოდნენ. როგორც წესი, სეპარატიზმი და სეცესია ეთნიკური უმცირესობებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც თვლიან, რომ მოცემულ სახელმწიფოში მათი ყოფნა უკანონოა და საფრთხეს უქმნის მათი, როგორც ეთნოსის, არსებობას. ცხადია, ასეთი სეპარატიზმი და სეცესიისადმი მისწრაფება გლობალიზაციის ეპოქაშიც განაგრძნობს არსებობას და ძლიერდება კიდეც, მაგრამ მის გვერდით თავი იჩინა სეპარატიზმმა და სეცესიონიზმმა თვით ტიტულარული ერის შიგნით და ეს გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების დონეში განსხვავებით.

გლობალიზაციის პერიოდში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდა და სახელმწიფოს გავლენის შესუსტება საშუალებას აძლევს ცალკეულ რეგიონებს უშუალოდ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე და გარკვეული ეკონომიკური ავტონომიურობაც მოიპოვონ. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონს პრივილეგიები აქვს და მისი შემოსავლებიც საგრძნობლად იზრდება. შესაბამისად ყალიბდება აზრი: რეგიონი რომ ცალკე სახელმწიფო იყოს და მასზე მიტმასნილი არ იყოს ქვეყნის სხვა ჩამორჩენილი რეგიონები, მაშინ აქ ცხოვრების დონე და მოსახლეობის კეთილდღეობა გაცილებით მაღალი იქნებოდა. ეს კი საკმარისი საბაბია ასეთი რეგიონული ნაციონალიზმის, სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის წარმოშობისა და გავრცელებისთვის.

ასეთი ნაციონალიზმის მაგალითია იტალიის ჩრდილოეთი ლიგა, რომლის მიზანიცაა ახალი სახელმწიფოს — პადანიის — შექმნა, რომელშიც გაერთიანდება ჩრდილოეთ იტალიის ინდუსტრიული ოლქები. სამხრეთ იტალიის ჩამორჩენილი ოლქებისაგან განთავისუფლება საშუალებას მისცემს პადანიის სახელმწიფოს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყნად იქცეს. დაახლოებით ასეთივე მიზნებს ისახავს ბავარიული ნაციონალიზმი, რომელიც თვლის, რომ ბავარიის უშუალოდ შესვლა ევროკავშირში გაცილებით მომგებიანი იქნებოდა მისი მოსახლეობისათვის.

ზოგჯერ ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონი თვითონ გამოთქვამს პრეტენზიას, რომ მას „სათანადო ყურადღებას არ აქცევენ" და თუმცა აქ ეთნიკური პრობლემები არ დგას (ლაპარაკია იმ შემთხვევაზე, როცა რეგიონის მოსახლეობა იმავე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც ქვეყნის ტიტულარული ერი), მაინც თავს იჩენს სეპარატიზმი იმ იმედით, რომ დამოუკიდებლად ყოფნის ან მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება.

70-იან წლებში შოტლანდიური ნაციონალიზმის აღზევების მიზეზი იმდენად ტრადიციული ანტიინგლისური განწყობა კი არ იყო, რამდენადაც ჩრდილოეთის ზღვაში, შოტლანდიის სანაპიროებთან ახლოს, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის დიდი მარაგის აღმოჩენა. შოტლანდიელი ნაციონალისტების აზრით, ამ საბადოებიდან მიღებული შემოსავალი, შოტლანდიას დამოუკიდებლობის შემთხვევაში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ ქვეყნად გადააქცევდა.

ზოგადად, აღნიშნული ტიპის ნაციონალიზმი დასავლეთის სამყაროსათვის არის დამახასიათებელი და შეიძლება ის ნამდვილად მივიჩნიოთ გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად, ხოლო ის რეგიონები, რომლებიც ეთნიკურადაც განსხვავდება ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან, ავტონომიის განსაკუთრებულ ფორმებად ჩამოყალიბდა. მათ ხშირად უწოდებენ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის გარეშე. ასეთი ერების მაგალითია შოტლანდიელები, კატალონიელები და კვებეკელები. საითკენ წარიმართება მომავალში მათი ნაციონალიზმი, მთლად ნათელი არ არის. გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებლობის მოთხოვნა უფრო იმ მოტივით ხდება, რომ აღნიშნული ხალხები და მათი „არასუვერენული სახელმწიფოები" უშუალოდ ჩაერთვნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციულ პროცესებში. მეორე მხრივ, ადგილი აქვს ინტეგრაციულ პროცესებს ქვეყნებს შიგნითაც, რაც, გარკვეულწილად, ასევე გლობალიზაციის შედეგია. ამგვარად, ერთდროულად ხდება ორი, თითქოს შეუთავსებელი პროცესი: ერთი მხრივ მისწრაფება გამოცალკევებისაკენ, მეორე მხრივ, ზოგადსახელმწიფოებრივი იდენტურობის გაძლიერება.

ამ უკანასკნელ ტენდენციაზე შემდეგი მაჩვენებლები მეტყველებს: 1982 წელს შოტლანდიელების 37%-თვის თვითიდენტიფიკაცია იყო მხოლოდ შოტლანდიელი – არაბრიტანელი, 27%-თვის უფრო შოტლანდიელი, ვიდრე ბრიტანელი, 25%-თვის თანაბრად შოტლანდიელი და ბრიტანელი, 4%-თვის უფრო ბრიტანელი, ვიდრე შოტლანდიელი და 2%-თვის ბრიტანელი, არაშოტლანდიელი. 1998 წელს კი თავის თვითიდენტიფიკაციად მხოლოდ შოტლანდიელი – არაბრიტანელი ჩათვალა შოტლანდიელთა მხოლოდ 19%-მა, მაშინ, როცა თანაბრად ბრიტანელად და შოტლანდიელად თავს თვლიდა უკვე შოტლანდიელთა 40%.

იგივე ტენდენცია შეიმჩნევა კატალონიელებში. თუ მხოლოდ კატალონიელად, არაესპანელად 1982 წელს თავს თვლიდა კატალონიელთა 20%, უფრო კატალონიელად, ვიდრე ესპანელად 16%, თანაბრად კატალონიელად და ესპანელად 35%, უფრო ესპანელად, ვიდრე კატალონიელად 5% და მხოლოდ ესპანელად, არაკატალონიელად, არც ერთი კატალონიელი. 1998 წლისთვის მხოლოდ კატალონიელად თავი ჩათვალა კატალონიელთა 10%-მა, ხოლო თანაბრად ესპანელად და კატალონიელად 44%-მა (Spenser and Wollman, 2002, p. 178).

ეს ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ მოთხოვნა შოტლანდიის ან კატალონიის სეცესიის შესახებ, ეკონომიკურ მიზნებს ისახავს და არ არის დაკავშირებული ეთნიკურ ნაციონალიზმთან, განსხვავებით პოსტკომუნისტური ქვეყნებისა და განვითარებადი სამყაროსი, სადაც ანალოგიური მოთხოვნა ეთნიკური მტრობისა და შეუთავსებლობის შედეგია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ განვითარებულ სამყაროში ყველგან ასეთი სურათია. მაგალითად, კვებეკელების ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია როგორც კვებეკელის, ფრანკოფონის და ამიტომ დანარჩენი კანადელებისგან განსხვავებულის, მეტიც, არაკანადელის, ძლიერდება კიდეც.

საერთოდ, დასავლეთისთვის დამახასიათებელი ეს რეგიონული ნაციონალიზმი, რომელიც ნამდვილად არის დაკავშირებული გლობალიზაციასთან, არ გამოირჩევა აგრესიულობით და არატოლერანტულობით. ის სისხლისმღვრელი ეთნიკური კონფლიქტები კი, რომლებიც მოდებულია მთელს მსოფლიოში, თავისი მიზეზებითა და ხასიათით, ნაკლებად არის დაკავშირებული გლობალიზაციასთან. რაც შეეხება ანტიგლობალისტურ მასობრივ გამოსვლებს, ისინი (მექსიკა, 1994, სიეტლი, 1999, გენუა, 2001) ნაციონალისტური ნამდვილად არ არის და მემარცხენე, ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებს, რადგან მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია დასავლეთის და, კერძოდ, ამერიკის ექსპანსიაა მთელს მსოფლიოში და თანაც ცხოვრების ყველა სფეროში.

ამიტომ გლობალიზაციის მოწინააღმდეგე ძალებს შორის ის ძალები უნდა მივიჩნიოთ ყველაზე სერიოზულად, რომლებიც გლობალიზაციაში არა მარტო დასავლეთის მსოფლიო ექსპანსიას ხედავენ, არამედ თვითონვე აქვთ პრეტენზია საყოველთაობაზე და ჭეშმარიტებაზე. ასეთ ძალებს წარმოადგენენ არადასავლური ცივილიზაციები და განსაკუთრებით – ისლამი,

## 10.3. ცივილიზაციათა შეჯახება? ისლამური ფუნდამენტალიზმი გლობალურ ერაში

ზემოთ უკვე ითქვა სამუელ ჰანტინგტონის ცნობილ ჰიპოთეზაზე, რომელიც ცივილიზაციათა შეჯახების სახელით არის ცნობილი (ჰანტინგტონი, 2001, Huntington, 1996) და ამტკიცებს,

რომ ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მთავარი საფრთხე მსოფლიო ცივილიზაციების დაპირისპირებასა და მათ შორის მოსალოდნელ ომშია.

ჰანტინგტონი თანამედროვე მსოფლიოში რვა ცივილიზაციას გამოყოფს: დასავლურს, სლავურ-მართლმადიდებლურს, კონფუციანურს, იაპონურს, ისლამურს, ინდუისტურს, ლათინოამერიკულს და, შესაძლოა, აფრიკულს. იგი, რატომღაც, უგულებელყოფს ბუდისტურ ცივილიზაციას (თუმცა სხვები მას იაპონურ ცივილიზაციასთან ერთად განიხილავენ) და გაურკვეველს ტოვებს არასლავი მართლმადიდებლების (ბერძნები, რუმინელები, ქართველები), მონოფიზიტების (სომხები, ეთიოპიელები) და ებრაელების ადგილს ცივილიზაციათა მსოფლიო რუკაზე, მაგრამ ამჯერად მისი ჰიპოთეზის კრიტიკული შეფასება ჩვენს ინტერესებში არ შედის.

თითოეულ ცივილიზაციაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტიპი — მაგალითად, დასავლური ცივილიზაცია შეიძლება დაიყოს პროტესტანტულ და კათოლიკურ ცივილიზაციებად, თვითონ პროტესტანტულში შეიძლება გამოიყოს ოკეანური (ანგლოსაქსონური) და კონტინენტური სუბცივილიზაციები და ა. შ.

უკრაინელი ავტორი ს. უდოვიკი (**Удовик**, 2002) ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ოკეანური (ანგლოსაქსონური) სუბცივილიზაცია, რომელიც, ბრიტანეთის კუნძულებისა და ჩრდილოეთ ამერიკის გარდა, აერთიანებს ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და, ნაწილობრივ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ერთადერთია, რომელიც სხვების ისტორიულ ტერიტორიებზეა გავრცელებული (რა თქმა უნდა, ბრიტანეთის კუნძულების გარდა). იგი ყველაზე უფრო მობილური და დინამიკურია. დღეს ბევრი ლაპარაკობს დაპირისპირებაზე თვით დასავლურ ცივილიზაციაში, კერძოდ, ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სუბცივილიზაციებს შორის, სადაც ოკეანური ცივილიზაციის უპირატესობა აშკარად იკვეთება, ე. ი. ხდება თვით დასავლური ცივილიზაციის გარკვეული „ანგლოსაქსონიზაცია". იმის გამო, რომ ამ სუბცივილიზაციის წამყვანი ძალა ამერიკის შეერთებული შტატებია, პროცესმა „ამერიკანიზაციის" სახელი მიიღო. თუ შიდა ცივილიზაციურ დონეზე კონტინენტური (განსაკუთრებით კათოლიკური) სუბცივილიზაცია აშკარად ეწინააღმდეგება ამერიკანიზაციას (კერძოდ, საფრანგეთის ბრძოლა ინგლისური სიტყვების მოძალებისა და ამერიკული მასობრივი კულტურის წინააღმდეგ), მსოფლიო მასშტაბით, სხვა ცივილი-

ზაციებთან ურთიერთობაში, ისინი, როგორც ერთი მთლიანი, გამოდიან და ასევე აღიქმებიან სხვების მიერ.

უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დასავლეთი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცივილიზაცია. აქ მოხდა ყველა დიდი აღმოჩენა მეცნიერებასა და ტექნიკაში. დღევანდელ მესამე სამყაროში სულ ათამდე ქვეყანა თუ მოიძებნება, რომლებიც დასავლეთის კოლონიები ან პროტექტორები არ ყოფილან. ეკონომიკურად კი აბსოლუტურად დასავლეთის ყველა ქვეყნის სანედლეულო დანამატის როლს თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, მსოფლიო პოლიტიკას ბოლო ხუთი საუკუნის მანძილზე დასავლეთი წარმართავს.

ასეთ პირობებში იქმნება წარმოდგენა დასავლური ცივილიზაციის უნივერსალურობის შესახებ, რომ იგი ზეცივილიზაციაა და იმისთვის, რომ ამა თუ იმ ხალხმა პროგრესს მიაღწიოს, აუცილებლად უნდა ეზიაროს მას. ხოლო თუ დასავლური ცივილიზაციის ღირებულებები გავრცელდება მთელს მსოფლიოში, მაშინ საყოველთაო მშვიდობა, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა გარანტირებული იქნება. ამიტომ დასავლეთი, იყენებს რა მის ხელთ არსებულ გრანდიოზულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფინანსურ თუ პროპაგანდისტულ შესაძლებლობებს, აქტიურად ცდილობს დასავლური ფასეულობები მაქსიმალურად გაავრცელოს მთელს მსოფლიოში. ამის საუკეთესო საშუალება კი გლობალიზაციაა, რაც განვითარებად სამყაროში ბევრის მიერ აღიქმება, როგორც დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების, აშკარა ექსპანსია.

სწორედ დასავლეთის შიშმა, კერძოდ, იმის რწმენამ, რომ დასავლური ცივილიზაცია ანადგურებს ეროვნულს, ტრადიციულს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბღალავს რელიგიურ სიწმინდეებს და ნორმებს, წარმოშვა დასავლეთთან მკვეთრად დაპირისპირებული იდეოლოგია და მოძრაობა, რომელსაც ფუნდამენტალიზმი ეწოდება.

ცნება „ფუნდამენტალიზმი" გულისხმობს ნებისმიერ უკიდურესად კონსერვატორულ მიმდინარეობას როგორც თანამედროვე რელიგიებში, ისე პოლიტიკისა და იდეოლოგიის სფეროებში. თავდაპირველად ფუნდამენტალიზმი აშშ-ში ჩამოყალიბდა, როგორც პროტესტანტიზმის უკიდურესი კონსერვატორული ფორმა, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნების-

მიერ მეცნიერულ ახსნას ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში, უპირისპირებდა რა მას რელიგიურ პოსტულატებს.

ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს როგორც დასავლეთში, ისე მართლმადიდებლურ სამყაროში. კერძოდ, ქრისტიანული ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „ღმერთის არმიის" ნამოქმედარია ტერორისტული აქტი ოკლახომა-სიტიში, რომელმაც 167 კაცი იმსხვერპლა. საყოველთაოდ არის ცნობილი ისეთი ფუნდამენტალისტური სექტები, როგორიცაა „დავითის შთამომავლები" და „ღვთის ხელი და მახვილი". თუმცა ამერიკაში მათ უბრალოდ ფანატიკოსებს უწოდებენ და ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის არსებობას უარყოფენ. ბოლო წლებში ძლიერდება მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმიც, რომელიც სასტიკად ებრძვის „მწვალებელთა", ე. ი. დასავლური ქრისტიანობის ნებისმიერ მოქმედებას მართლმადიდებლურ სამყაროში (თუნდაც მარტო ბასილ მკალავიშვილი გავიხსენოთ). მაგრამ ყველაზე რადიკალური და აგრესიული ისლამური ფუნდამენტალიზმია. თვლის რა, რომ დასავლეთი და, კერძოდ ამერიკა, დიდი სატანაა, რომელიც მართავს კაცობრიობას, ისლამისტები მოუწოდებენ ყველა მართლმორწმუნე მუსლიმს საღვთო ომი ანუ ჯიჰადი გამოუცხადონ ურწმუნოებს, გაათავისუფლონ მსოფლიო სატანისაგან და კაცობრიობა დააბრუნონ „ისლამური ცივილიზაციის ოქროს საუკუნეში". თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის მასშტაბებს და რწმენას, რომ ურწმუნოებთან ომში დაღუპული მუსლიმი პირდაპირ სამოთხეში ხვდება, ადვილი გასაგები უნდა იყოს ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე. მით უფრო, რომ მისი სამოქმედო გზა ტერორიზმია.

რასაკვირველია ისლამური ფუნდამენტალიზმის ანუ ისლამიზმის სწრაფ და მზარდ გავრცელებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. აქ, პირველ რიგში, უნდა დასახელდეს ისლამური სამყაროს ხანგრძლივი, კოლონიური დამოკიდებულება დასავლეთზე, პალესტინის პრობლემის მოუგვარებლობა და დასავლეთის მიერ ისრაელის მხარდაჭერა, ისლამის ნორმებისადმი სრულიად მიუღებელი ზნეობრივი ნორმების პროპაგანდა და მუსლიმანური ქვეყნებისათვის ამერიკული ცხოვრების სტილის თავს მოხვევა. რადგან ეს უკანასკნელი გლობალიზაციის პროცესთან ასოცირდება, ისლამური ფუნდამენტალიზმი გლობალიზაციის პროცესის მთავარ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამიზმი ებრძვის გლობალიზაციას, როგორც დასავლური ცხოვრების წესის გავრცელებას. მაგრამ, იმავდროულად, თვითონ არის „ისლამური გლობალიზაციის" იდეების მატარებელი, თვლის რა, რომ სწორედ ისლამური ნორმების და ისლამური ცივილიზაციის საყოველთაო გავრცელება იქნება მშვიდობისა და კეთილდღეობის გარანტი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტალიზმი თვითონ არის გლობალური მოვლენა და გლობალიზაციის პროდუქტი.

კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. ნებისმიერი რადიკალური მოძრაობა და, მით უმეტეს ტერორიზმი, მაშინ აღწევს გარკვეულ წარმატებას, თუ იგი ფინანსურად კარგად არის უზრუნველყოფილი. ისლამური ფუნდამენტალიზმი მის შემდეგ აღორძინდა, რაც ისლამურ, კერძოდ, არაბულ სამყაროში ნავთობის უმდიდრესი საბადოები აღმოჩნდა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღატაკი და ჩამორჩენილი ქვეყნები უმდიდრეს, აყვავებულ სახელმწიფოებად აქცია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის ლიდერთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება ევროპისა და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში აქვთ მიღებული და საკმაოდ დიდხანს სწორედ დასავლური ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. ამიტომ მათი მიჩნევა ბნელ და გაუნათლებელ ფანატიკოსებად, სერიოზული შეცდომა იქნებოდა.

განსაკუთრებით საშიში ისლამური ფუნდამენტალისტების ტერორისტული ჯგუფებია, რომელთა სახელთან არის დაკავშირებული უამრავი აფეთქება, მკვლელობა, თვითმფრინავის გატაცება და ა. შ. მარტო ალჟირში ფუნდამენტალისტებმა 30 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირეს.

ყველაზე უფრო მთავარ ტერორისტულ ისლამურ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან:

ა) „ჰეზბოლაჰი" — ლიბანის რადიკალი შიიტების ორგანიზაცია;

ბ) არაბული „ისლამური ჯიჰადი" და „ჰამასი", რომლებსაც საღვთო ომი აქვთ გამოცხადებული ისრაელთან და მის მხრდამჭერებთან;

გ) „ჯამაათ ალ-ისლამი" იბრძვის ისლამური სახელწიფოების შექმნისათვის ცენტრალურ აზიაში და შტაბბინა ავღანეთში ჰქონდა;

დ) „ლაშქარ-ე-თაიბი“ – პაკისტანის რადიკალური ისლამისტური მოძრაობა.

ე) „თალიბანი“ – უკიდურესად კონსერვატორულ-რადიკალური ისლამური ორგანიზაცია, რომელიც 1995–2002 წლებში მმართველი ძალა იყო ავღანეთში.

ვ) „ალ-კაიდა“ – ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია უსამა ბენ-ლადენის ხელმძღვანელობით, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტები.

სწორედ უსამა ბენ ლადენის და ალ კაიდას სახელთანაა დაკავშირებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, რასაც უზარმაზარი გამოხმაურება მოჰყვა, ძირეულად შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი და, ბევრის აზრით, ცივილიზაციებს შორის ომის დაწყებას დაუდო სათავე.

ტერორისტული აქტის განხორციელების დღესვე აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. ბუშის მიერ წარმოთქმული იქნა ფრაზა „ჯვაროსნული ლაშქრობა“, რაც თავისთავად ასოცირდება შუა საუკუნეების ჯვაროსნულ ლაშქრობებთან ისლამის წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ ეს სიტყვები აღარ გამეორებულა. ამერიკის მაღალჩინოსნები ცალსახად აცხადებენ, რომ ისინი ებრძვიან არა ისლამს, არამედ ტერორიზმს. თუმცა ისლამურ სამყაროში 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული ომი ავღანეთში და აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გადასროლა სამხრეთ ფილიპინებზე, ცენტრალურ აზიაში და კავკასიაში, სწორედ ისლამის წინააღმდეგ ომად აღიქმება.

რას ნიშნავს ცივილიზაციათშორისი ომი და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი?

11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ომს ანალოგი არ მოეძებნება. ეს არ არის ომი ორ მოწინააღმდეგეს შორის, სადაც არსებობს საომარი მოქმედების თეატრი, ფრონტის ხაზი, მოწინააღმდეგეთა რეგულარული ჯარი და ა. შ. ეს არის ე. წ. ასიმეტრიული, გლობალური და მრავალგანზომილებიანი ომი.

რუსმა გენერალმა, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ექსპერტთა კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ვლადიმიროვმა (**Владимиров**, 2001) 11 სექტემბრამდე რამდენიმე თვით ადრე ჩამოაყალიბა ცივილიზაციათშორისი ომის ძირითადი თავისებურებები:

1. ცივილიზაციათშორისი ომი განპირობებულია სხვადასხვა ცივილიზაციების წარმომადგენელთა მიერ ერთმანეთის საბაზისო ფასეულობების უპატივცემულობით და საკუთარი ცივილიზაციის სხვებზე თავსმოხვევის მისწრაფებით;

2. ცივილიზაციათშორისი ომი იწყება მაშინ, როცა გადაილახება „ნაციონალური (რასობრივი) დამცირების" უკანასკნელი ზღვარი;

3. ცივილიზაციათშორის ომში ფრონტის ხაზი არ არსებობს. მან შეიძლება გაიაროს ნებისმიერ ადგილას ანუ იმყოფება ყველგან მოწინააღმდეგეთა ტერიტორიაზე.

4. სამხედრო მოქმედების კოორდინაცია შეუძლებელია და არ არსებობს სამხედრო მართვის ერთიანი ცენტრი;

5. ცივილიზაციათშორის ომში, ცივილიზაციური ანკლავები გადაიქცევა აგრესიულ პლაცდარმებად, რომლებიც მოცემული ცივილიზაციის წარმომადგენელთა ფანატიზმით გაჟღენთვის წყარო ხდება.

6. მკვეთრად კლებულობს ტექნოლოგიური უპირატესობის მნიშვნელობა, რადგან თავმოსხვეული იქნება ე. წ. „ახლო ბრძოლა" და ტერორიზმი;

7. ომის ძირითადი ფორმა იქნება პარტიზანული ომი, რომელიც მოწინააღმდეგის მთელ ტერიტორიაზე იქნება მოდებული;

8. ხდება საერთო-ადამიანური ფასეულობების დევალვაცია. საფრთხე შეიძლება მოდიოდეს ბავშვებიდანაც, მოხუციდანაც და ფეხმძიმე ქალიდანაც. ამიტომ საჭირო იქნება გაანადგურო ყველა საეჭვო პირი.

9. ეს ომი გაზრდის შიშისა და გაურკვევლობის გრძნობას და უკიდურესად დაძაბავს ატმოსფეროს;

10. უჩინარ მოწინააღმდეგესთან ომი მნიშვნელოვნად დააქვეითებს ფსიქოლოგიურ მდგრადობას, რაც გაზრდის ფსიქიური დაავადებების რიცხვს;

11. ფართოდ იქნება გამოყენებული უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგია; ინფორმაციული ომი, კომპიუტერული ვირუსების შეგზავნა და ა. შ.;

12. ასიმეტრული შეტევები გამოიყენებს ცივილიზაციის სუსტ მხარეებს. ასეთი შეტევების წინააღმდეგ შეუძლებელია ეფექტური თავდაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცივილიზაცია დაკარგავს თავის უპირატესობას და იძულებული იქნება უარი თქვას თავის ფასეულობებზე, რაც მისი დამარცხების ტოლფასი იქნება.

ა. ვლადიმიროვი თავის სტატიაში დასავლეთის ცივილიზაციის წინააღმდეგ იმს გულისხმობდა. მაგრამ, ალბათ, ჩეჩნეთში მიმდინარე ომი უფრო შეეფერება წარმოდგენილ სურათს. იგივე შეიძლება ითქვას პალესტინა-ისრაელის კონფლიქტზე. ძალზე ძნელია სხვა ახსნა მოუძებნო ისეთ ფაქტს, რომ 22 წლის პალესტინელი ქალიშვილი, რომელმაც კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა, თავს იფეთქებს იმიტომ, რომ თუნდაც ერთი ებრაელი იმსხვერპლოს.

ს. უდოეიკი (რომელიც აშკარად ანტიამერიკულ პოზიციაზეა და მიიჩნევს, რომ აშშ მართლაც არის უბედურების წყარო) თვლის, რომ ამერიკის ომი ავღანეთში სწორედ ასეთი ომია, რომელშიც იგი ჯერჯერობით მარცხდება. ასეთი დასკვნის გაკეთებისას იგი ეყრდნობა იმ ფაქტებს, რომ, ჯერ ერთი, ისლამურ ქვეყნებში ძალიან გაიზარდა სიმპათიები ალ კაიდას მიმართ, ხოლო ბენ ლადენი ლამის საყოველთაო გმირი, ისლამის იდეალებისათვის მებრძოლი რაინდი გახდა. ისეთ ისლამურ ქვეყნებშიც კი, სადაც ფუნდამენტალიზმი პრაქტიკულად არ არსებობდა, ახლა ასეთი ძალები გამოჩნდნენ; მეორეც, წარუმატებელი ოპერაციები უხილავი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, როცა იბომბება მშვიდობიანი ქალაქები და სოფლები, იღუპებიან ქალები, ბავშვები, მოხუცები, სულ უფრო და უფრო განაწყობს მსოფლიო საზოგადოებას ამერიკის წინააღმდეგ[1].

მაგრამ, უდოეიკის აზრით, მთავარი ისაა, რომ აშშ-მა, პირველად თავის ისტორიაში, მკვეთრად შეზღუდა ადამიანის უფლებები და თავისუფლება. კერძოდ, ფედერალურ სამსახურს უფლება მიეცა დააკავონ იმიგრანტები და შვიდი დღე ჰყავდეთ დაპატიმრებული ისე, რომ არ გააგებინონ დაკავების მიზეზი. სპეცსამსახურებს ეძლევათ უფლება სანქციის გარეშე მოისმინონ სატელეფონო საუბრები და გააკონტროლონ მთელი ინტერნეტ-გრაფიკი. განიხილება სხვა შესაძლებლობებიც, კერძოდ, რეგისტრირებულ იქნეს სტუდენტთა გადაადგილება და შემოიღონ კონტროლი საცხოვრებელ ადგილზე.

ყოველივე ეს, უდოეიკის აზრით, საგრძნობლად ზღუდავს დემოკრატიასა და პიროვნების თავისუფლებას, რაც ყოველთვის იყო საამაყო ამერიკისათვის და რამაც შექმნა მისი ძლიერება. მაშასადამე, მოწინააღმდეგემ უკვე მიაღწია პირველ გამარჯვებას. ამერიკამ შეზღუდა საკუთარი ცივილიზაციის მთავარი ფასე-

[1] ბევრი იგივე აზრისაა აშშ-ის ომზე ერაყში.

ულობა – დემოკრატია, რომლის გასავრცელებლად მთელს მსოფლიოში იგი მთელი XX საუკუნის მანძილზე იბრძოდა.

ავტორი, რატომღაც, არ ახსენებს იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ ომის შედეგად ხდება ძალიან დიდი ცვლილებები მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგში. აშშ გამოჩნდა ისეთ რეგიონებში (ცენტრალური აზია, კავკასია), რომელიც ტრადიციულად რუსეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და 11 სექტემბრამდე იქ ამერიკის ჯარების შეყვანას ყველა წარმოუდგენლად ჩათვლიდა.

არის თუ არა აშშ-ის ომი ავღანეთში და საერთოდ ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცივილიზაციათშორისი ომი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ისლამიზმი დღეს ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეა დასავლური ცივილიზაციის საყოველთაო გავრცელებისა და, ამდენად, გლობალიზაციის (იმ გაგებით, როგორც დღეს არის მიღებული) მტრად გვევლინება. განსხვავებით „ჩვეულებრივი" ანტიგლობალისტებისა, იგი რელიგიური მოძრაობაა, ერთიანი „მუსლიმი ნაციის" ლოზუნგით გამოდის და თვითონ გვევლინება „სხვა გლობალიზმისათვის" მებრძოლად.

როგორც ჩანს, XXI საუკუნის მსოფლიოს განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზით წავა ისლამური სამყარო.

## კითხვები და დავალებები

1. როგორია ორი ძირითადი თვალსაზრისი ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ?
2. რა მიიჩნევა ახალი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების მთავარ მიზეზად გლობალისტური ხედვით?
3. როგორია ნაციონალიზმის ე. წ. გლობალისტური ხედვის საწინააღმდეგო არგუმენტები?
4. რაში გამოიხატება თანამედროვე ნაციონალიზმის შეფასება ჰობსბაუმისა და სმიტის მიერ?
5. რა როლი აქვს თანამედროვე ნაციონალიზმის განვითარებაში ტრანსნაციონალურ თემსა და დიასპორას?
6. დაახასიათეთ დელანტისა და ომაჰონის მიერ გამოყოფილი თანამედროვე ნაციონალიზმის ქვეტიპები.

7. რა იგულისხმება ისტორიის დაბრუნებაში?
8. როგორ ხსნის ნაციონალიზმის აღმავლობას ინტერნაციონალიზმისა და მოდერნიზაციის თეორია?
9. რა როლი ეკისრება ინსტიტუციონალიზმს თანამედროვე ნაციონალიზმში?
10. რა გავლენას ახდენს დემოკრატიაზე გადასვლა ნაციონალიზმის გამოცოცხლებაზე?
11. რა არგუმენტებით ასაბუთებენ თანამედროვე ნაციონალიზმს, როგორც რეაქციას გლობალიზაციაზე?
12. დაახასიათეთ ისლამური ფუნდამენტალიზმის როლი თანამედროვე მსოფლიოში.

## ლიტერატურა


1. Smith A. - Nations and Nationalism in a Global Era. Polity Press: Cambridge. 1995, p.p. 51–146.
2. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith (ed.) Second Edition. Oxford University Press. Oxford, 2001, p.p. 440–455.
3. Spencer P., Wollman H. - Nationalism. A Critical Introduction. Sage Publications. London. Thousand Oaks. New Delhi, 2002, p.p. 157–184.
4. Delanty G., O'Mahony P. - Nationalism and Social Theory. Sage Publications. London. Thousand Oaks. New Delhi, 2002, p.p. 142–168.

თემა 11

# ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: მომავლის პერსპექტივები

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის, როგორც ურთიერთდაპირისპირებული და, იმავდროულად, ერთიანი ორი ფენომენის ურთიერთდამოკიდებულება, სვამს უაღრესად საინტერესო და რთულ კითხვას: როგორი იქნება ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის ბედი მომავალში? ანუ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მათი ურთიერთდამოკიდებულება პერსპექტივაში?

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. არსებობს მრავალი ჰიპოთეზა, რომლებიც შინაარსის მიხედვით შეიძლება წარმოდგენით განვალაგოთ ხაზზე, რომლის ბოლო წერტილებზე იქნება ორი ექსტრემალურად ურთიერთდაპირისპირებული პასუხი:

1. *მომავალი გლობალიზაციისა.* ამ პროცესის შედეგი იქნება ის, რომ მოხდება მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სრული ურთიერთშერწყმა. წაიშლება საზღვრები სახელმწიფოებს შორის. ერი-სახელმწიფოები არსებობას შეწყვეტენ. მოხდება ხალხების სრული აღრევა და წარმოიშობა ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთი მსოფლიო ერი. ერებისა და სახელმწიფოების გაქრობა თავისთავად ნიშნავს ნაციონალიზმის გაქრობას. გლობალიზებულ სამყაროში ნაციონალიზმისთვის ადგილი აღარ რჩება.

2. *გლობალიზაცია მითია.* ვერანაირი ინტეგრაცია და ურთიერთდაახლოება ვერ მოსპობს ერებს, ენებსა და კულტურებს. პირიქით, ეროვნული გრძნობები სულ უფრო და უფრო მეტ ხალხებში გაიღვიძებს და ისინი თავიანთი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძოლებენ. მომავალი მსოფლიოს ძირითადი შინაარსი იქნება ბრძოლა სახელმწიფოებსა და მათ

საკუთარ ეთნიკურ უმცირესობებს შორის. მაშასადამე მოდის ნაციონალიზმის ეპოქა.

ცხადია, მეცნიერებს შორის ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, რომელიც ასეთ უკიდურეს პროგნოზებს უჭერდეს მხარს. შესაძლო პასუხები მათ შორის მოთავსდება, მაგრამ, ზოგადად, ყველა პასუხი განაწილდება ორ ჯგუფში. ერთის მიხედვით, ნაციონალიზმის როლი მომავალ მსოფლიოში შემცირდება, ხოლო, მეორის მიხედვით, პირიქით, იგი უფრო გავლენიანი და მებრძოლი ძალა იქნება.

ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის მომავლის გასარკვევად ჯერ შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ რა ცვლილებები შეიძლება განიცადოს სახელმწიფომ და, საერთოდ, პოლიტიკურმა ერთობებმა.

## 11.1. პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია

ადამიანები ერთდროულად რამდენიმე საზოგადოებრივი გაერთიანების წევრები არიან. ისინი შეიძლება იყვნენ ნათესაური, ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი, პროფესიული და სხვა ერთობების წევრები. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ერთობას, რომელიც სხვისგან დამოუკიდებელი, თვითმართვადი ერთობაა.

პოლიტიკური ერთობის მთავარი სახეობა სახელმწიფოა. მაგრამ, თუ ტოტალიტარული სახელმწიფო ცდილობს პოლიტიკური ერთობა აბსოლუტურად აქციოს, ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები ცნობენ, რომ მისი მოქალაქეები, იმავდროულად, დამატებით სხვა ერთობების წევრებიც არიან. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ერთობის, ინტერესები (ეროვნული ინტერესები) უზენაესია სხვა ერთობების ინტერესებთან შედარებით. შესაბამისად, ქვეყნის ყველა მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს სახელმწიფო მოვალეობა და მისი დავალებები. გლობალიზაციის პროცესის შედეგად, დიდ სახელმწიფოებს შორის სამხედრო მეტოქეობის მკვეთრმა შემცირებამ წამოჭრა საკითხი, რომ პოლიტიკური ერთობები (სახელმწიფოები) სულ უფრო და უფრო ნაკლებად ნაციონალისტურები ხდებიან.

ამ საკითხის ლოგიკურობა იქიდანაც მომდინარეობს, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე პოლიტიკური ერთობები, ყოველთვის არ წარმოადგენდნენ ნაციონალური ინტერესების გამომხატველ სუბიექტებს. ისტორიის ადრეულ ეტაპებზე სახელმწიფოები არ წარმოადგენდნენ ერ-სახელმწიფოებს. ისინი ან ქალაქი-სახელმწიფოები, ან დინასტიური სამფლობელოები, ან რელიგიური პოლიტიკური ერთობები იყვნენ. ისინი ტერიტორიულადაც, ხშირ შემთხვევაში, არ წარმოადგენდნენ კომპაქტურ ერთეულებს და მათი საზღვრები საკმაოდ ძნელი გასარკვევი იყო. რაც შეეხება მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, ისინი არათუ არავითარ როლს არ თამაშობდნენ სახელმწიფო საქმეებში, არამედ ზოგჯერ არც კი იცოდნენ რომელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, რადგან მათი ჰორიზონტი საკუთარი სოფლით შემოიფარგლებოდა. თვით სრული დემოკრატიის მქონე ათენში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ჰქონდათ, ხოლო ქალები, მუდმივად მცხოვრები უცხოელები და მონები ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ.

XVII საუკუნის ევროპის სახელმწიფოები, უკვე სხვა ტიპის სახელმწიფოები იყვნენ. მათ შეიძლება ტერიტორიული სახელმწიფოები ვუწოდოთ, რომელთაც ჰქონდათ განსაზღვრული კომპაქტური ტერიტორია და იმართებოდნენ აბსოლუტური მონარქის მიერ, მაგრამ ერ-სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ. ადრინდელი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ტერიტორიულ ქვეყნებს ჰქონდათ, ე.წ. „ექსტენსიური ძალაუფლების" მაღალი დონე ანუ უნარი გაევრცელებინათ ძალაუფლება მთელ საკუთარ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთაც, კერძოდ, ამერიკისა და აზიის კოლონიებში. სწორედ აქედან იწყება გლობალიზაციის ისტორია, ხოლო პორტუგალიასა და ესპანეთს, როგორც პირველ კოლონიურ იმპერიებს, გლობალიზაციის არქიტექტორებსაც უწოდებენ (Held et al., 1999).

XVII საუკუნიდან იწყება ტერიტორიული სახელმწიფოების ტრანსფორმაცია ერ-სახელმწიფოებად, რაც ორი მთავარი მიზეზით — კაპიტალიზმით და ომებით — იყო გამოწვეული. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ე. წ. „ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა" შესაძლებელი გახადა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება. წიგნებმა, ჟურნალებმა, გაზეთებმა უცხო ადამიანებში, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ და არც არასოდეს შეხვედრიოდნენ, დაამკვიდრა ერთიანობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე

და ერთი კულტურის მქონე ერთობის იდეა, ანუ ის, რასაც ბ. ანდერსონი „წარმოსახვით საზოგადოებას“ უწოდებს (Anderson, 1991). ე. გელნერი ეროვნული ენებისა და კულტურების წარმოშობის მთავარ მიზეზად ინდუსტრიალიზაციას მიიჩნევს (Gellner, 1983), თუნდაც იმიტომაც, რომ წარმოებისა და ვაჭრობის პროცესში ადამიანებმა ერთ ენაზე უნდა ილაპარაკონ, ხოლო ერთიანი განათლების სისტემით და საერთო ფასეულობების დამკვიდრებით, სახელმწიფო თამაშობს ცენტრალურ როლს ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში.

ამგვარად, კაპიტალიზმი არის ის ძირითადი ფაქტორი (როგორც ამას ფიქრობს ბევრი მკვლევარი და, პირველ რიგში, ნაციონალიზმის თეორიის მოდერნისტული მიმართულების წარმომადგენლები), რომელიც აყალიბებს ერს და ამტკიცებს მასში ურთიერთსოლიდარობის გრძნობას. მეორე მთავარი ფაქტორი, რომელიც ერის განმტკიცებას და ერი-სახელმწიფოს ფორმირებას წარმართავს, არის ომი. მეომარ სახელმწიფოსთვის არსებითი საკითხია დარწმუნებული იყოს, რომ მისი მოქალაქეები იბრძოლებენ ომში. ეს კი გარანტირებული იქნება მაშინ, თუ მოქალაქეებს აქვთ ერთობის, კერძოდ, ეროვნული ერთობის ძლიერი გრძნობა, ანუ ეროვნული და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. სწორედ ომებმა ჩამოაყალიბა ევროპა ერ-სახელმწიფოებად. უფრო სწორად, ტერიტორიული სახელმწიფოები გარდაქმნა ერ-სახელმწიფოებად. ერის და სახელმწიფოს ცნებები ერთმანეთს დაემთხვა, ხოლო ერი-სახელმწიფოები პოლიტიკური ერთობების დომინანტ ფორმებად იქცა.

ის ფაქტი, რომ ერ-სახელმწიფოში ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია მთელი მოსახლეობის მობილიზება ანუ ჰყავდეს შეიარაღებული ერი, ნათლად ხნის იმ მიზეზს, თუ რატომ და როგორ შეძლო ევროპის შედარებით პატარა ქვეყნებმა ხელში ჩაეგდოთ უზარმაზარი კოლონიები აზიასა და აფრიკაში. ეს კი დღევანდელი გლობალიზაციის წინაპირობა იყო.

ნაციონალიზმი, რომელიც, ისევე, როგორც, ერი-სახელწიფო, ევროპული ფენომენია, კოლონიებში ევროპიდან გავრცელდა. მესამე სამყაროს ქვეყნებში მიმდინარე ეროვნული მოძრაობა იმეორებდა ევროპულ იდეებს უცხო მთავრობის შეცვლისა საკუთარი ხელისუფლებით ანუ თვითმმართველობით. ამ მოძრაობის წარმატება იყო ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფო წარმოიშვა, მაგრამ

ამ ახალი პოლიტიკური ერთობებიდან ძალიან ცოტა ჩამოყალიბდა ერ-სახელმწიფოდ. ნაციონალიზმის და ახალი სახელმწიფოების საყოველთაო გავრცელებაც გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მაგალითია.

თანამედროვე სახელმწიფოებს უზარმაზარი ძალაუფლება აქვთ საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რაც არცთუ იშვიათ შემთხვევაში მათზე ზემოქმედების უხეშ ფორმებში გადადის. სწორედ ასეთი ზეწოლისა და ძალდატანების საპასუხოდ გაჩნდა მოთხოვნილება მოქალაქეობის უფლებებზე და მათ დაცვაზე.

თავდაპირველად მოთხოვნები მიმართული იყო სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის, შემდეგ კი, XX საუკუნის დასაწყისიდან, სოციალური და კეთილდღეობის უფლებებიც იქნა ჩართული. პოლიტიკური ერთობების დღევანდელი ფორმების სტაბილურობა დიდწილად იმის შედეგიცაა, რომ მოქალაქეებმა მიაღწიეს თავიანთი უფლებების აღიარებას და დაცვას. დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნებში ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტია მიჩეული იქნა სახელმწიფოს შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძვლად. კერძოდ, მოდერნიზაციის თეორიის მტკიცებით, ლიბერალურ-დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გადაჭრეს ინდუსტრიულ საზოგადოებებში აღმოცენებული სოციალური კონფლიქტები. ამიტომ არადასავლურმა საზოგადოებებმა უნდა გაიმეორონ ის გზა, რაც დასავლეთმა გაიარა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. მაშასადამე, გარდაუვალია საზოგადოებრიობისა და მოქალაქეობრიობის დასავლური ფორმების გლობალიზაცია.

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება დღეს მართლაც არის დასავლური გავლენის გლობალური გავრცელება და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გლობალიზაცია. ამავე დროს, პოლიტიკური ერთობების ნაციონალური ფრაგმენტაცია არათუ არ შემცირებულა, არამედ უფრო ძლიერდება კიდეც. ეს ორი პროცესი, გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია, არის ის ორი მთავარი ფენომენი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაციაზე, კერძოდ, ერი-სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრივი (ეროვნული) მოქალაქეობრიობის ტრადიციულ წარმოდგენაზე.

განსაკუთრებით სერიოზულ პრობლემად 90-იან წლებში იქცა ეთნიკური ფრაგმენტაცია. სწორედ ამ პრობლემამ გამო-

იწვია, ე. წ. არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვის ზრდა. ეს ის ქვეყნებია, სადაც ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმის გამო სახელმწიფო ფაქტიურად დაშლილია ცალკეულ ნაწილებად და ცენტრალურ ხელისუფლებას არ ძალუძს თავისი იურისდიქცია გაავრცელოს საკუთარი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. არშემდგარ სახელმწიფოებს ემატება კვაზი-სახელმწიფოების დიდი რიცხვი, ანუ ის ქვეყნები, რომლებისთვისაც შეუძლებელია საკუთარი მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და სადაც სისტემატურად ირღვევა მოქალაქეთა უფლებები. კვაზი-სახელმწიფო ადვილად შეიძლება გადავიდეს არშემდგარი სახელმწიფოების კატეგორიაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი მრავალეთნიკურია. ასეთ პირობებში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები ხშირად ახდენენ ჩარევას კვაზი-სახელმწიფოების საქმეებში მოსახლეობის მატერიალური დახმარებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით. ე. ი. ადგილი აქვს „ჰუმანიტარულ ინტერვენციას", მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან სახელმწიფოები ვერ წყვეტენ ადამიანთა უფლებების პრობლემებს.

ყოველივე ამის გამო გლობალიზაციის ეპოქაში დღის წესრიგში დადგა რამდენიმე ახალი საკითხი, რომლებიც სერიოზულად შეცვლიან პოლიტიკური ერთობების ხასიათს, თუ მოხდება მათი განხორციელება. ერთი ასეთი საკითხია ცალკეული ჯგუფების (ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი და ა. შ.) უფლებების დაცვა. ტრადიციული მოქალაქეთა სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური უფლებების დაცვა არ ითვალისწინებდა ცალკეული ჯგუფების თავისებურებებს. მაგალითად, ფემინისტების აზრით, ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისთვის არასრულყოფილი იყო გენდერული თვალსაზრისით, რადგან არ ითვალისწინებდა სპეციალურ პირობებს ქალებისათვის. შესაბამისად, განსხვავება კულტურებსა და სქესს შორის აუცილებლად უნდა აისახოს სახელმწიფო პოლიტიკაში, ხოლო მკვიდრი ხალხები და ეთნიკური უმცირესობები ისევე უნდა იყვნენ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები, როგორც სახელმწიფოები.

სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და მათი უფლებებისთვის ბრძოლა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს ინტერესებთან. ნებისმიერი სახელმწიფოს კანონმდებლობა კი უპირატესობას სახელმწიფო ინტერესებს აძლევს და, ამდენად, ჯგუფების ინტერესების დამცველად ვერ გამოდგება. გარდა ამისა,

გლობალიზაციის ეპოქაში აშკარად შეუსაბამოდ გამოიყურება ტრადიციული სახელმწიფო კანონმდებლობა, რომელიც მოქალაქეებს დიდ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ ძალიან ცოტას – დანარჩენი კაცობრიობის მიმართ. არადა კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემებს ცალკე სახელმწიფო ვერ გადაწყვეტს.

სწორედ ამიტომ გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი პოლიტიკური ერთობების ალტერნატიული ფორმების შესახებ.

ერთ-ერთი მათგანია ე. წ. *კოსმოპოლიტური დემოკრატია*, რაც გულისხმობს კოსმოპოლიტურ პოლიტიკურ ერთობას და მსოფლიო მოქალაქეობას. კოსმოპოლიტური დემოკრატიის მომხრეთა აზრით, ეროვნული დემოკრატიები ვერ ახორციელებენ კონტროლს გლობალურ ბაზარზე და მით უფრო ტრანსნაციონალურ კორპორაციების საქმიანობაზე. ამ უკანასკნელთ კი უკვე წამყვანი როლი უკავიათ მსოფლიო ეკონომიკაში და მათი გავლენა მუდმივად იზრდება. ერი-სახელმწიფო ხელისშემშლელი ფაქტორია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში და დემოკრატიას აფერხებს. ისინი უნდა შეიცვალონ კოსმოპოლიტური პოლიტიკური ერთობით, სადაც სხვადასხვა საზოგადოების წევრები, როგორც კოსმოპოლიტური მოქალაქეები, ერთად იქნებიან წარმოდგენილები, რომელთა გადაწყვეტილებები მოიცავს მთელს მსოფლიოს. დ. ჰელდმა ჩამოაყალიბა კოსმოპოლიტურ დემოკრატიაზე გადასვლის მოსაზრებები, რაც, პირველ რიგში, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეორგანიზაციას გულისხმობს (Held, 1995).

მეორე მიდგომაა *ნეომედიევალიზმი*. იგი გულისხმობს ისეთ იდეალურ პოლიტიკურ წესრიგს, როცა ინდივიდები იმართებიან ურთიერთმფარავი ხელისუფლებებით და არც ერთი მათგანი არ არის აშკარა დომინანტი. სანამ თანამედროვე სახელმწიფოები ჩამოყალიბდებოდა, ასეთი მმართველობა იყო შუა საუკუნეების ევროპაში (აქედან, სახელწოდება ნეომედიევალიზმი). ამ მოდელის მიხედვით, სახელმწიფო თავის ძალაუფლების ნაწილს გადასცემს საერთაშორისო ინსტიტუციებს, რომლებიც გლობალური პრობლემებით იქნებიან დაკავებულნი, ხოლო ნაწილს – შიდა რეგიონებს, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები და ეთნოკულტურული თუ რელიგიური განსხვავებები. სახელმწიფო ინარჩუნებს ძალაუფლებას და მოქალაქეები ვალდებულები იქნებიან

მის წინაშე, მაგრამ სახელმწიფოს წილად მოვა ხელისუფლების მხოლოდ 1/3, დანარჩენი კი გადანაწილდება საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ე.ი. სახელმწიფო აღარ იქნება დომინანტი პოლიტიკური ერთეული (Linklater, 1998).

პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პროცესში მთავარ წინააღმდეგობას ნაციონალიზმის მხრიდან აწყდება. ნაციონალიზმის პიკი XX საუკუნის პირველი ნახევარი იყო, მაგრამ იგი დღესაც რჩება უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად. სწორედ ნაციონალიზმის, გლობალიზაციისა და ფრაგმენტაციის ურთიერთმიმართებამ უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ერთობების ბედი მომავალში. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაციის საკითხზე სამი მთავარი მიმართულება გამოიყოფა: *კოსმოპოლიტანიზმი, კომუნიტარიანიზმი და პოსტმოდერნიზმი.*

**კოსმოპოლიტანიზმი** საერთაშორისო სისტემას განიხილავს, როგორც ყველა ინდივიდის აბსოლუტურ თანასწორობას და თანაბარი განვითარების საშუალებას გლობალიზაციის თანამედროვე ფაზაში. ნაციონალიზმი, როგორც ძალა, კარგავს თავის გავლენას.

**კომუნიტარიანიზმი** თვლის, რომ ხალხის უმრავლესობისთვის გადამწყვეტი იქნება მისი კუთვნილება ამა თუ იმ ერთობისათვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობამ სხვა რომელიმე პოლიტიკური ერთობის მიმართ უფრო მეტი ლოიალობა და მორჩილება გამოიჩინოს, ვიდრე ერი-სახელმწიფოს მიმართ. ნაციონალიზმი კვლავ რჩება განმსაზღვრელ პოლიტიკურ ძალად.

**პოსტმოდერნისტების** აზრით, ერთობის ნებისმიერი ფორმა, იქნება ის ეროვნული (სახელმწიფო), საერთაშორისო თუ ადგილობრივი, პოტენციურად საშიშია, რადგან მათ მივყავართ საზოგადოების რაღაც ნაწილის გამორჩეულობისა და უპირატესობისკენ.

## 11.2. ნაციონალიზმი მომავალში

პოლიტიკური ერთობების ტრანსფორმაცია თავისთავად აყენებს საკითხს ნაციონალიზმის მომავლის შესახებ, კერძოდ,

რა როლს ითამაშებს ნაციონალიზმი გლობალიზებულ მსოფლიოში? რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მულტიეთნიკურ მსოფლიოში თავიდან იქნეს აცილებული ეთნიკური კონფლიქტების საფრთხე და ათეულობით ახალი კვაზი-სახელმწიფოს წარმოქმნა?

ჯერჯერობით ყველაზე გავრცელებულ, ეფექტურ საშუალებად ორი ინსტიტუციური ფორმა — *კონსოციასიონალიზმი* და *ფედერალიზმი* — ითვლება.

**კონსოციასიონალიზმი** არის ინსტიტუციური მოწყობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად იქნეს დაცული უმცირესობები და თავიდან იქნეს აშორებული უმრავლესობის მხრიდან ძალადობა და ჩაგვრა, ხელისუფლებაში ეთნიკური ჯგუფების პროპორციულად მონაწილეობის (კვოტების დაწესების) გზით. მმართველობის ასეთი ფორმა მოქმედებდა ლიბანში 1975 წლამდე, კვიპროსში — 1974 წლამდე და კიდევ ზოგიერთ ქვეყანაში. კონსოციასიონალიზმი აუცილებლად გულისხმობს ოთხ თავისებურებას. პირველი ეს არის „დიდი კოალიცია", რაც ითვალისწინებს, რომ მთავრობაში წარმოდგენილი იყოს ყველა ძირითადი ეთნიკური (რელიგიური) ჯგუფი; მეორე, უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ ვეტოს უფლება კონსტიტუციურ ცვლილებებზე; მესამე, სახელმწიფო სექტორის სამუშაოები და ფონდები პროპორციულად იყოს განაწილებული მოსახლეობის სტრუქტურის შესაბამისად, და მეოთხე, თითოეული ჯგუფი სარგებლობს ფართო ავტონომიით საკუთარი საქმეების მართვაში (Lijphart, 1977). მიუხედავად აღნიშნულისა, კონსოციასიონალიზმმა აჩვენა, რომ იგი ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტების აცილებისა თუ გადაჭრისათვის საკმაოდ სუსტი საშუალებაა.

კონსოციასიონალიზმის ალტერნატივაა **ფედერალიზმი**, რომელიც მრავალი მკვლევრის მიერ განიხილება, როგორც კაპიტალისტური ლიბერალური დემოკრატიის ყველაზე წარმატებული მოდელი (როგორც წესი, მხედველობაში აქვთ ხოლმე აშშ და გფრ.). მართვის საუკეთესო საშუალება, როცა ძალაუფლება გადანაწილებულია ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის. მაგრამ ფედერაცია შეიძლება იყოს ასიმეტრიულიც, სადაც ზოგიერთ რეგიონს მეტი უფლებები აქვს, სხვებთან შედარებით (მაგ., ესპანეთსა და კანადაში). კანადაში სწორედ ფედერალიზმმა შეცვალა კონსოციასიონალიზმი, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა.

მაგრამ ფედერალიზმს, როგორც ტერიტორიულ ავტონომიას, აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც, რადგან ასეთ შემთხვევაში, თვით სუბიექტის შიგნით აღმოჩნდებიან ხოლმე ცალკეული ეთნიკური ჯგუფები არათანაბარ მდგომარეობაში. მაგალითად, ანგლოფონები კვებეკში და ფრანკოფონები კანადის დანარჩენ პროვინციებში, ანდა ფლამანდიელები ვალონიაში და ვალონები ფლამანდიაში. იგივე შეიძლება ითქვას იმ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებიც ძალზე დისპერსიულად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგ., აშშ-ის ინდიელები). საერთოდ დღეს უკვე ბევრი ლაპარაკობს ფედერალიზმის კრიზისზე, რის დადასტურებადაც საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკის დაშლა მოჰყავთ ხოლმე.

ამიტომ ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ მომავალში მოხდება ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია სუპრანაციონალიზმად, ანუ ნაციონალური დაყოფა შეიცვლება ჯერ ეკონომიკური, ხოლო შემდეგ – პოლიტიკური კავშირით, რომელიც შეაკავებს და შეიძლება სრულიადაც მოსპოს ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინება. ამის მაგალითად ყველაზე ხშირად ევროკავშირს ასახელებენ და თვლიან, რომ თვით მისი შექმნა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მისმა წევრმა ერებმა დათმეს ეროვნული ინტერესების რაღაც ნაწილი, უარი თქვეს საკუთარ ეროვნულ ვალუტაზე, პასპორტზე, მოქალაქეობაზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ნაციონალურ გრძნობებს და ფაქტიურად ნაციონალიზმის დასასრულის მაუწყებელია. ის ავტორები, რომლებიც ასეთნაირად ფიქრობენ, მიიჩნევენ, რომ ევროპაში ნაციონალიზმს თანდათან შეცვლის ზენაციონალური, საერთო ევროპული ერთობის გრძნობა – სუპრანაციონალიზმი (Spenser and Wollman, 2002, p. 188).

ბუნებრივია, ავტორთა უმრავლესობა არ თვლის, რომ ევროპული სუპრანაციონალიზმი უფრო ძლიერი აღმოჩნდება „ეროვნულ" (სახელმწიფო) ნაციონალიზმზე. ევროპული ინტეგრაცია ძირითადად ეკონომიკური ფენომენია და საერთო ევროპული პოლიტიკური ინსტიტუტები, სახელმწიფო პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, გაცილებით სუსტია. პოლიტიკური გადაწყვეტილებები სახელმწიფო დონეზე მიიღება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფო (ეროვნული) ინტერესები პრიორიტეტულია და საეჭვოა, მომავალში სხვაგვარად იყოს. ევროპა რჩება ერი-სახელმწიფოების კონტინენტად და, ევროკავშირის საფუძველიც ერი-სახელმწიფოებია. ამდენად, ნაციონა-

ლიზმი (იგულისხმება სახელმწიფო, ლიბერალურ-დემოკრატიული ნაციონალიზმი), სრულიადაც არ იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი ევროკავშირის განვითარებაში და არც არანაირად არ ეწინააღმდეგება სუპრანაციონალიზმს (Goodman, 1997). გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ თვით ევროკავშირი გახდეს ნაციონალიზმის ახალი აღმავლობის წყარო. ერთიანი ვალუტისა და მოქალაქეობის შემთხვევაში არათანაბარმა ეკონომიკური განვითარების დონემ შესაძლებელია ევროკავშირის შიგნითვე წარმოშვას „ბირთვი" და „პერიფერია" და მოსახლეობის გადაადგილებამ პერიფერიული ევროპიდან ბირთვში საგრძნობლად დაძაბოს ეთნიკური ურთიერთობები (Baum, 1996). ისიც აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტის შედარებით სისუსტისა და შეზღუდული ძალაუფლების პირობებში ნაციონალისტურ მოძრაობებს საკმაოდ ფართო ასპარეზი ეძლევათ, წინ აღუდგნენ ევროპულ პროექტებს. ხოლო ევროპის პოლიტიკურ რეგიონად ფორმირება, სადაც ძალაუფლება სახელმწიფოდან ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ხელში გადავა, საერთოდ ეჭვს იწვევს.

მიუხედავად ამისა, საერთო ევროპული მოქალაქეობა უკვე ფაქტია. მაასტრიხტის ხელშეკრულების მერვე მუხლის მიხედვით, ყოველი პიროვნება, რომელიც არის ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქე, იმავდროულად ითვლება ევროკავშირის მოქალაქედ და უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და დასახლდეს ევროკავშირის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში. მას შეუძლია არა მარტო მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ, სახელმწიფო და ევროპარლამენტის არჩევნებში, არამედ, არჩეულ იქნეს კიდეც ახალი საცხოვრებელი ადგილის ხელისუფლების ორგანოებში. შენგენის ხელშეკრულებაც „ევროპის სახელმწიფოს" ჩამოყალიბების გზაზე გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე აღნიშნული, გარკვეულწილად, ადასტურებს იურგენ ჰაბერმასის მოსაზრებას (Habermas, 1992), რომ ეროვნული მოქალაქეობიდან ევროპულ მოქალაქეობაზე გადასვლა ლოგიკური და კანონზომიერი პროცესია, ხოლო ევროპის მოქალაქეობა, თავის მხრივ, ერთი ეტაპია მსოფლიო მოქალაქეობის გზაზე. ჰაბერმასი თვლის, რომ ერი-სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი პირობა იყო დემოკრატიის განვითარებისთვის. დემოკრატიული საზოგადოებისთვის კი ჰომოგენურობა აღარ წარმოადგენს საჭიროებას, რადგან ყველა, ვინც დემოკრატიის

საბაზო პრინციპებს ეთანხმება, აქვს უფლება იყოს პოლიტიკური ერთობის (სახელმწიფოს) წევრი. ღია საზღვრების შემთხვევაში, კონსტიტუციური პოლიტიკური ერთობა ღიაა ყველასათვის, ვინც დაემორჩილება მის წესებს და ნორმებს და სრულიადაც არ არის აუცილებელი სპეციფიკური (ნაციონალური) ერთობის არსებობა. მოქალაქეობა უნდა გამოცალკევდეს ეროვნებისაგან და, შესაბამისად, ნაციონალური იდენტურობა უნდა შეიცვალოს პოსტნაციონალური იდენტურობით.

მოკლედ, ჰაბერმასის აღნიშნული იდეა იმას უსვამს ხაზს, რომ ერი-სახელმწიფო წარსულის კუთვნილებაა და დღევანდელ რეალობას აბსოლუტურად აღარ შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის ეპოქა მთავრდება და დგება კოსმოპოლიტიზმის დრო.

კოსმოპოლიტიზმი და ინტერნაციონალიზმი იდენტური ცნებები არ არის. თვითონ ტერმინი „ინტერნაციონალიზმი" მიგვანიშნებს, რომ ლაპარაკია ერებზე, ნაციებზე და მათ შორის ურთიერთობებზე. „კოსმოპოლიტიზმი" კი (ბერძნულ „კოსმოს" და „პოლის") სამყაროს ერთიან მთლიანად, ერთი მმართველობის ქვეშ მყოფად წარმოგვიდგენს, სადაც ერები და სახელმწიფოები აღარ არსებობენ. ამიტომ, სადაც ინტერნაციონალიზმია, იქ ნაციონალიზმიც არის და ისინი განუყოფელი ცნებებია, უფრო სწორად, ერთი ფენომენის ორი ასპექტია. რაც შეეხება კოსმოპოლიტიზმს, იგი არა მარტო ნაციონალიზმის, არამედ ინტერნაციონალიზმის სრულიად საპირისპირო ცნებაა, გულისხმობს რა ყოველგვარი ეროვნულის არარსებობას და ეროვნულ-კულტურული განსხვავებების სრულ გაქრობას. ძნელი გასაგები არ არის, რომ კოსმოპოლიტიზმი თავის შინაარსით ემთხვევა იმ საბოლოო შედეგს, რაც უნდა მოიტანოს გლობალიზაციის პროცესმა (თუ ამ პროცესში მოვლენების ისეთი განვითარება მოხდება, როგორსაც უკიდურესი გლობალისტები ვარაუდობენ). თუმცა უკანასკნელ წლებში იყო მცდელობები რამენაირად შეეთავსებინათ კოსმოპოლიტიზმი ინტერნაციონალიზმთან და თვით ნაციონალიზმთანაც კი.

ასეთი „სინთეზის" გამოხატულებაა ტრანსნაციონალური და პოსტნაციონალური მოქალაქეობის იდეა. რ. ბაუბოკი (Baubock, 1994) მიიჩნევს, რომ მსოფლიოს, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთობის, არსებობა უტოპიაა. მაგრამ, ასევე, ანაქრონიზმია საზღვრების ჩაკეტვა, თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა და ცხოვრების უფლებაზე უარის თქმა.

ამიტომ უნდა მოხდეს პრობლემის „ტრანსნაციონალური" გადაწყვეტა. არა „სისხლის ერთობა" ან „ნიადაგის ერთობა", არამედ „საცხოვრებელი ადგილის" ერთობა. ანუ მოქალაქეობის უფლება რჩება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად, რომელსაც ემატება ყველა მოქალაქის უფლება – თავისუფლად გადაადგილდეს და დასახლდეს იქ, სადაც სურს.

დ. ჰელდის აზრით კი (Held, 1995), გარდაუვალია მრავალმხრივი მოქალაქეობა, რომელიც განისაზღვრება კოსმოპოლიტური დემოკრატიული სამართლით, წარმოდგენილი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო კონსტიტუციებში, სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში და განხორციელებული იქნება საერთაშორისო სასამართლოების მიერ. ამავე დროს, სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შეავსებს ადგილობრივი (ქვემოდან) და ტრანსნაციონალური (ზემოდან) ხელისუფლება.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ, თუ სახელმწიფოებს შორის საზღვრები ნამდვილად გაიხსნება, მაშინ მიგრაცია ისეთ მასშტაბებს მიიღებს, რომ ერი-სახელმწიფოების ძალაუფლება მთლიანად მოიშლება და ჩამოყალიბდება სრულიად ახალი, პოსტნაციონალური პოლიტიკური სისტემა, სადაც ქვეყნის მოქალაქეობა ფაქტიურად აზრს კარგავს.

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები დიდ წინააღმდეგობებს ხვდება მეცნიერთა მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფისაგან, რომლებიც თვლიან, რომ კოსმოპოლიტიზმი, გლობალიზაცია, ტრანსნაციონალიზმი, პოსტნაციონალიზმი თუ სუპრანაციონალიზმი მხოლოდ და მხოლოდ მითია და რეალურად მათი განხორციელება წარმოუდგენელია. ისინი მიიჩნევენ, რომ მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, რაც ერებისა და ერი-სახელმწიფოების არა თუ შენარჩუნებას, არამედ მათ განმტკიცებას და გაძლიერებას გულისხმობს. სწორედ ისინი არიან და მომავალშიც იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორები, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების უკან მაინც სახელმწიფოები და ერები იდგებიან. მეტიც, ინტერნაციონალიზმი თავისთავად გულისხმობს ნაციონალიზმის (მათ შორის მინინაციონალიზმის) გამოცოცხლებას. ამიტომ სერიოზულ პრობლემად რჩება, თუ რა როლს ითამაშებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ის ერები, რომლებსაც სახელმწიფო არ აქვთ.

## 11.3. ერები სახელმწიფოს გარეშე

მომავლის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა არის ეთნიკური უმცირესობების ანუ სახელმწიფოს არმქონე ერების ბედი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბევრი მკვლევრის აზრით, სწორედ სახელმწიფოსა და ეთნიკური უმცირესობების დაპირისპირება, საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპის – ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შეუთავსებლობა – იქნება მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა მომავალ მსოფლიოში.

ამერიკელი მკვლევარი გიდონ გოტლიბი თავის წიგნში „ერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (Gotlieb, 1993) ცდილობს სახელმწიფოთა საზოგადოებაში ადგილი მიუჩინოს ასეულობით ეთნოსს, რომლებსაც სახელმწიფო არა აქვთ და მის შესაქმნელად იბრძვიან. ამასთან დაკავშირებით, ავტორი გამოყოფს სამ მიდგომას: *ტერიტორიულს, იურიდიულსა* და *„სახელმწიფო პლუს ერი“*.

**ტერიტორიული** მიდგომით ყველა იმ ხალხს, რომლებსაც სურს სახელმწიფოებრიობის სტატუსის მოპოვება, ეს სტატუსი უნდა მიენიჭოს. ეს გამოიწვევს უამრავი ახალი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას, რასაც გარდაუვალად მოჰყვება უმწვავესი კონფლიქტები და ანარქია და შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს კაცობრიობას. ამდენად, ეს მიდგომა უკიდურესად სახიფათო და თითქმის განუხორციელებელია.

**იურიდიული** მიდგომა გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დამცველი სპეციალური საერთაშორისო რეჟიმის შექმნას, რომლის მოვალეობაც იქნება მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს სახელმწიფოების ქმედება ეთნიკური უმცირესობების მიმართ და არ დაუშვას მათი უფლებების დარღვევა. თეორიულად ეს განხორციელებადი იდეაა, მაგრამ დიქტატორული და დემოკრატიული ტრადიციების არმქონე ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ინდიფერენტულია თავისი მოქალაქეების უფლებების მიმართ, საეჭვოა, რომ ამ იდეის განხორციელება მოხდეს. იგი წარმატებული იქნება მხოლოდ იქ, სადაც კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს.

**„სახელმწიფო პლუს ერები“** წინა ორი მიდგომისგან სრულიად განსხვავებული მიდგომაა და გ. გოტლიბს სწორედ იგი მიაჩნია მომავლის საერთაშორისო სისტემის ყველაზე მისაღებ

მოდელად. ეს მიდგომა განსხვავებულად აღიქვამს სახელმწიფო სუვერენიტეტს და მთელი რიგი ახალი ინსტიტუტები შემოაქვს. კერძოდ:

*სტატუსი* – სახელმწიფოთა სისტემის გვერდით უნდა გაჩნდეს ერების სისტემა. ერის სტატუსის მქონე ერთეულები ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები და წარმოდგენილნი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში. ე. ი. ერებს ენიჭებათ საერთაშორისო სტატუსი, რომელიც არ გულისხმობს ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნას;

*კომპეტენცია* – სახელმწიფო სუვერენიტეტი უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა დონეებს შორის და იურიდიული, ფუნქციური და ტერიტორიული კომპეტენციები დანაწილდეს სახელმწიფოებს, ერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მმართველობას შორის.

*საზღვრები* – სახელმწიფო საზღვრების პარალელურად, არსებობს ერთა (ეროვნებათა) საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. ე. ი. ერებს უნდა მიეცეთ საშუალება სახელმწიფოთა პარალელურად შექმნან თავიანთი „ეროვნული სახლები", ისე რომ, არ ხელყონ სახელმწიფოთა მთლიანობა.

*მოქალაქეობა და ეროვნება* პიროვნების პერსონალური სტატუსის დამადასტურებელი ორი პარალელურად არსებული მახასიათებელია;

*ასოციაციები და კავშირები* უნდა შეიქმნას არა მარტო სახელმწიფოებს, არამედ ერებს შორისაც.

როგორც ვხედავთ, ერებს (ე. ი. ეთნიკურ ჯგუფებს) ენიჭებათ დიდი პოლიტიკური უფლებები, ისე რომ, არ ხდება არსებულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და მათი კომპეტენციები ერთმანეთს არ უპირისპირდება. გოტლიბის აზრით, საჭიროა შეიქმნას ახალი სივრცე (ერთა სისტემის სახით) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის ისე რომ, ადგილი არ ჰქონდეს სეპარატიზმს, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და საზღვრების ცვლილებას. ეს ახალი სივრცე მოითხოვს ამ ერებისა და ხალხებისათვის ახალ სტატუსს საერთაშორისო ორგანიზაციებში და დიპლომატიაში. აღნიშნული სივრცე გულისხმობს, რომ სახელმწიფოთა სისტემის პარალელურად არსებობდეს ერების და ხალხების სისტემა, რომელიც არ იქნება ტერიტორიულად ორგანიზებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

გ. გოტლიბის აზრით, ხალხებისათვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მიცემა, რომელიც არ იქნება ტერიტორიული და არ დაემუქრება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზაა. გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება ჩამოაყალიბოს ახალი სტატუსი – „გაეროსთან ასოცირებული ხალხი", იმ ერებისთვის, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო, მაგრამ პოლიტიკური დემოკრატიის სათანადო დონეზე იმყოფებიან. ამასთანავე, უსახელმწიფო ერებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე სახლობენ, შეუძლიათ შექმნან არატერიტორიული „ეროვნული სახლი". ასეთი ერის წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ ორი პასპორტი, ერთი მათი მოქალაქეობის, ხოლო მეორე – ეროვნების გამომხატველი.

გ. გოტლიბს არ მიაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება ერთბაშად გადაჭრის ეთნიკური კონფლიქტების პრობლემას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ „სახელმწიფო პლუს ერები" კონცეფცია მნიშვნელოვნად განმუხტავს დაძაბულობას. მაშინ, როცა ცივი ომის შემდეგ სულ უფრო იზრდება თვითგამორკვევისთვის მებრძოლი ერების რიცხვი და კულტურული და ეროვნული ფსიქოლოგია სეპარატიზმისაკენ მოუწოდებს, ეკონომიკური განვითარება და გლობალიზაციის პროცესი სახელმწიფოებს შერწყმისა და გაერთიანებისაკენ უბიძგებენ. ასეთ შემთხვევაში ერთა სისტემის ჩამოყალიბება და სახელმწიფოს გარეშე მყოფი ერებისათვის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, აღნიშნული კონცეფციის ავტორისათვის კონფლიქტების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

დაახლოებით მსგავს პოზიციაზეა ესპანელი მკვლევარი მონსერატ გიბერნო (Guibernau, 1999). იგი დარწმუნებულია, რომ კლასიკური ერი-სახელმწიფოების ადგილი გლობალიზაციის ერაში აღარ არის და ისინი ღრმა ტრანსფორმაციას განიცდიან. ერები სახელმწიფოების გარეშე ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობების ახალი გლობალური აქტორები.

გიბერნოს ეჭვი შეაქვს იაპონელი მეცნიერის კ. ომეს მოსაზრებაში (Ohmae, 1995), რომ ერი-სახელმწიფოების ევროპას შეცვლის რეგიონების ევროპა, რომლის ფრაგმენტაციის საფუძველი ეკონომიკა იქნება. ამ მოსაზრების მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი გახდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, რომლის მონაწილეებიც

იქნებიან არა იმდენად სახელმწიფოები, რამდენადაც გამოკვეთილი სამეურნეო სპეციალიზაციის მქონე და შიდა საწარმოო კავშირებით შეკავშირებული ეკონომიკური რაიონები.

გიბერნოს აზრით, მიუხედავად რეგიონების როლის ზრდისა, ისინი ვერ შეცვლიან ერ-სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს. ერი-სახელმწიფოები კვლავ დარჩებიან ძირითად სუბიექტებად, მაგრამ არა იმ სახით, როგორც დღემდე იყვნენ, არამედ მოხდება მათი მნიშვნელოვანი სახეცვლილება და ეროვნული უმცირესობები გახდებიან საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეები. თუმცა აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მაღალ დონეზე.

გიბერნოს მიაჩნია, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომლის შიგნითაც უკვე შესაძლებელია თანაბარ სუბიექტებად გამოიკვეთონ როგორც სახელმწიფოები, ისე სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ერები. კერძოდ, შოტლანდიას, უელსს, ინგლისს, კატალონიას, კასტილიას თუ ბასკეთს. დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მსგავსად, უნდა ჰქონდეთ უფლება წარმოადგენდნენ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრებს, სარგებლობდნენ პოლიტიკური ავტონომიის იმავე დონით ევროკავშირში და ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები ევროპარლამენტში. ასეთ შემთხვევაში ტრადიციული ერი-სახელმწიფობის ძალაუფლების რაღაც ნაწილი იკარგება, მაგრამ ყოფილი ეროვნული უმცირესობები იძენენ იმ უფლებებს, რაც ადრე მხოლოდ სახელმწიფოებისთვის იყო დამახასიათებელი. სახელმწიფოს შიგნით ისინი კვლავ შეიძლება ეროვნულ უმცირესობებად ჩანდნენ, მაგრამ თუკი მათი სტატუსი გაუთანაბრდება ევროკავშირის სხვა წევრებს, უმცირესობის კატეგორია ფაქტიურად აზრს კარგავს.

პოსტტრადიციული ერი-სახელმწიფოები ან უნდა დაეთანხმონ დომინანტი ერის (ინგლისელები – დიდ ბრიტანეთში, კასტილიელები – ესპანეთში) პრივილეგირებული მდგომარეობის შეზღუდვას, ანდა ყველა ეთნიკურად განსხვავებული რეგიონი უზრუნველყონ თავიანთი საკუთარი ავტონომიური ხელისუფლებით. ამასთანავე პოსტ-ტრადიციულმა ერმა-სახელმწიფოებმა თავი უნდა დაანებონ კულტურულ ჰომოგენიზაციაზე ოცნებას და კულტურულ-ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომინირებას. მოქალაქეობის ტრანსნაციონალური ფორმების უკვე არსებული მაგა-

ლითია ევროპის მოქალაქეობა, რომელიც გიბერნოს გამოსავლად მიაჩნია მულტიეთნიკური ერი-სახელმწიფოებისთვის.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმაოდ ძნელი გასაზიარებელია როგორც ეთნიკური უმცირესობების მიერ, რომლებსაც მიზნად თავიანთი ერი-სახელმწიფოების შექმნა აქვთ განზრახული, ისე ტრადიციული ერი-სახელმწიფოების მიერ, რომლებისთვისაც ეროვნული უმცირესობებისთვის პოლიტიკური უფლებების მიცემა და მით უფრო საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებად მათი გამოცხადება (თუნდაც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაურღვევლად), მიუღებელი და ძნელი წარმოსადგენია. სრული კულტურული და მაქსიმალური პოლიტიკური ავტონომია ერთიანი სახელმწიფოს შიგნით, ეთნიკურ უმცირესობებს ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებთ. სახელმწიფოსთვის კი სეცესიაა სრულიად მიუღებელი. ამდენად, დაპირისპირება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნული უმცირესობების თვითგამორკვევას შორის არათუ კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ მოვლენად, არამედ სულ უფრო და უფრო ძლიერდება კიდეც. როგორც ჩანს, იგი დარჩება ერთ-ერთ უმთავრეს წინააღმდეგობად გლობალიზაციის ხანაშიც.

### კითხვები და დავალებები:

1. როგორი მიდგომები გამოიყოფა გლობალიზაციის მომავლის შეფასებაში?
2. პოლიტიკური ერთობების რომელი ალტერნატიული ფორმები დააყენა დღის წესრიგში გლობალიზაციამ?
3. რას გულისხმობს კოსმოპოლიტანიზმი, კომუნიტარიანიზმი და პოსტ-მოდერნიზმი?
4. მოახდინეთ კონსოციასიონალიზმისა და ფედერალიზმის შედარებითი დახასიათება.
5. რა განსხვავებაა კოსმოპოლიტიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის?
6. რას ნიშნავს ტერიტორიული და იურიდიული მიდგომა ეთნოსისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაში.
7. რა იგულისხმება „სახელმწიფო პლუს ერი“ მიდგომაში?
8. როგორ წარმოადგენს უსახელმწიფო ერების მომავალს მ. გიბერნო?

## ლიტერატურა

1. The Globalization of World Politics. By J. Baylis & S. Smith. Second Editions.Oxford University Press. Oxford, 2001, p.p.617–633.
2. Spenser P. and Wollman H. - Nationalism. A Critical Introduction. Sage Publications. London. Thousand Oaks. New Delhi, 2002, p.p. 185–207.
3. Delanty G. and O'Mahony P. - Nationalism and Social Theory. Sage Publications. London. Thousand Oaks. New Delhy, 2002, p.p 169–187.
4. Gotlieb G. - Nation Against State. Council on Foreign Relations Press. New-York, 1993, p.p. 6–47.
5. Guibernau M. - Nations Without States. London, 1999, p.p. 149–174.

# თემა 12

# ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები თანამედროვე საქართველოში

## 12.1. თანამედროვე ქართული ნაციონალიზმი და მისი ისტორიული წანამძღვრები

ქართული ნაციონალიზმის ისტორია XIX საუკუნის 60–70-იანი წლებიდან იწყება და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების სახელებთანაა დაკავშირებული. სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური მიზეზების გამო, ქართული ნაციონალიზმი რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

1) ქართველები, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხებიდან იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდნენ, რომლებსაც რუსეთთან მიერთების მომენტისათვის, საკუთარი სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ. ამდენად, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა მათთვის სახელმწიფოებრიობის, საკუთარი დამოუკიდებელი ეკლესიის, ქართული ენის ოფიციალური სტატუსისა და ფაქტიურად ეროვნების დაკარგვის ტოლფასი აღმოჩნდა. შესაბამისად ქართული ნაციონალიზმის საბოლოო მიზანი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სუვერენული სახელმწიფოს აღდგენა იყო. მაშასადამე, ქართული ნაციონალიზმი თავისი არსით *განმათავისუფლებელ ნაციონალიზმს* წარმოადგენდა.

2) ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შედეგად საქართველო XV საუკუნის შემდეგ ერთიან სახელმწიფოს აღარ

წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იგი ცალკეული სამეფო-სამთავროების სახით შევიდა. აღნიშნული ვითარების გამო საერთო ქართული თვითშეგნება საკმაოდ შესუსტებული იყო და არსებობდა სერიოზული საფრთხე ქართველი ერი დაშლილიყო, ხოლო მისი ცალკეული სუბეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფები ცალკე ხალხებად ჩამოყალიბებულიყო (მით უფრო, რომ ამისაკენ იყო მიმართული რუსეთის ოფიციალური პოლიტიკაც). ამიტომ, ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ერის გამთლიანება და ზოგადქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება იყო. მაშასადამე, ქართული ნაციონალიზმი თავისი შინაარსით *გამაერთიანებელ ნაციონალიზმს* წარმოადგენდა.

3) ქართველი ერის კონსოლიდაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, თავისთავად იქნებოდა ძალზე საშიში პრეცედენტი რუსეთის იმპერიისათვის. ეს იქნებოდა სტიმული იმპერიის მთელი რიგი ხალხებისათვის, ასევე ებრძოლათ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება ქართველებს (პოლონელებთან ერთად) მიიჩნევდა იმპერიისათვის არასაიმედო ხალხად და უმკაცრესად ებრძოდა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. ქართული ნაციონალიზი რუსეთის იმპერიისათვის დამშლელ, *სეპარატისტულ მინი-ნაციონალიზმს* წარმოადგენდა.

4) რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა საშიში და უაზრო ავანტიურა იქნებოდა. თანაც მანამდე აუცილებელი იყო ქართველი ერის სულიერი შეკავშირება, რისთვისაც საჭირო იყო ერთიანი ახალი, ლიტერატურული ქართული ენის რეფორმირება, ქართული პრესის და თეატრის განვითარება, წერა-კითხვის მაქსიმალური გავრცელება, სკოლების მშენებლობა და ა.შ. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ადრეული ქართული ნაციონალიზმი. მაშასადამე, ფორმით ქართული ნაციონალიზმი წარმოადგენდა *კულტურულ ნაციონალიზმს*.

5) გარდა კულტურული მოთხოვნებისა, ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა ქართველი ხალხის მატერიალური პირობების გაუმჯობესება და ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბება. ის ფაქტი, რომ საქართველოში ეკონომიკური სადავეები ძირითადად სომხური

ბურჟუაზიის ხელში იყო და ქართული მესამე წოდება ძალზე მცირერიცხოვან და სუსტ ძალას წარმოადგენდა, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. ამიტომ, ქართველი ეროვნული მოღვაწეები მაქსიმალურ პროპაგანდას უწევდნენ ქართველ მოსახლეობას, რათა შეეცვალათ ტრადიციული, ფეოდალური მენტალიტეტი და ვაჭრობისა და მეწარმეობისათვის მიეღოთ ხელი. ამდენად, კულტურულთან ერთად, ქართული ნაციონალიზმი ასევე წარმოადგენდა *ეკონომიკურ ნაციონალიზმს.*

6) რუსეთის ოფიციალური ხელისუფლებისა და რუსული შავრაზმული პრესის გარდა ქართულ ნაციონალიზმს ბრძოლა უხდებოდა ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილთან, რომლებიც მემარცხენე პარტიულ იდეოლოგიებს უჭერდნენ მხარს და ფაქტიურად უგულებელყოფდნენ ეროვნულ ინტერესებს. სწორედ ისინი უნერგავდნენ ხალხს (და არც თუ წარუმატებლად) იმ აზრს, რომ ეროვნული პრობლემები თავისთავად გადაიჭრებოდა ერთიანი რუსეთის ფარგლებში, როცა სოციალური პრობლემები მოგვარდებოდა. ასეთი „ინტერნაციონალისტური" (უფრო სწორედ კოსმოპოლიტური და ხშირ შემთხვევაში რუსულ-ნაციონალისტური) იდეების წინააღმდეგ გამოდიოდა ქართული ნაციონალიზმი ანუ დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, იგი *ანტიგლობალისტურ ნაციონალიზმს* წარმოადგენდა.

7) ქართული ნაციონალიზმი არ ყოფილა მიმართული რომელიმე ხალხის წინააღმდეგ. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა არ გადაზრდილა რუსი ხალხის სიძულვილში, ისევე როგორც სომხური ბურჟუაზიის მიერ მოსახლეობის შევიწროება არ ქცეულა ანტისომხურ განწყობად. ქართულ ნაციონალიზმს არასოდეს არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ იმ ეთნიკური უმცირესობების უფლებები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. არასოდეს არ გამოთქმულა აზრი მათ დეპორტაციის, დარბევის, ასიმილაციის შესახებ და არავინ არ წასულა წინააღმდეგი იმისა, რომ მათ შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, კულტურა, რელიგია და ტრადიციები, მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება და ჰქონოდათ ეროვნული პრესა, თეატრი თუ კულტურის სხვა დაწესებულებები. მაშასადამე, ქართული ნაციონალიზმი წარმოადგენდა *ლიბერალურ, დემოკრატიულ ნაციონალიზმს.*

ქართულმა ნაციონალიზმმა აღნიშნული თავისებურებები შეინარჩუნა საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, როცა „საბჭო-

თა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" სახელით, ეროვნული იდეების გაცხადება ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებად აღიქმებოდა და სასტიკად იდევნებოდა.

მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა 1987 წლიდან. მ. გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული გარდაქმნისა და საჯაროობის კურსი, რომელიც 1987 წლის იანვარში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაცხადდა, სრულიად მოულოდნელი იყო და გაკვირვება გამოიწვია. პირველად საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში პარტიისა და ქვეყნის ლიდერი მოუწოდებდა მოსახლეობას საჯაროდ ეთქვათ სიმართლე და გამოეთქვათ საკუთარი აზრი ყველა მტკივნეულ საკითხზე და პრობლემაზე, თუნდაც იგი აბსოლუტურად საწინააღმდეგო ყოფილიყო კომუნისტური იდეოლოგიისა და ხელისუფლების აზრისაგან. თავდაპირველად „პერესტროიკა" მორიგ ხმაურიან, მაგრამ დროებით კამპანიად იქნა მიჩნეული და მოკავშირე რესპუბლიკებში პირველი თვეების განმავლობაში ყველაფერი ძველებურად დარჩა. ეროვნულ რესპუბლიკებში თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ დემოკრატიის თამაშია და რაც რუსებისათვის (კერძოდ, მოსკოვისა და ლენინგრადის ინტელიგენციისათვის) ნებადართულია, სხვებს იმას არ აპატიებენ. ასე თვლიდნენ საქართველოშიც, სადაც გარდაქმნისა და საჯაროობის მოწოდებას მოსახლეობა თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა. მაგრამ დრო გადიოდა და სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ პროცესი შეუქცევად ხასიათს იღებდა. ერთი სიტყვით, ჯინი ბოთლიდან იქნა ამოშვებული და მისი უკან დაბრუნება უკვე შეუძლებელი შეიქმნა.

1987 წლის ზაფხულში თბილისში დაფუძნდა პირველი არაფორმალური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება". რამდენიმე თვეში ამ ორგანიზაციაში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი მოღვაწე გაერთიანდა. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ სცადა თვითონ ჩადგომოდა სათავეში ეროვნულ მოძრაობას. იგი ამ მიზნით შეეცადა შეექმნა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა იმ მოღვაწეებით, რომლებიც ცნობილნი იყვნენ თავიანთი ეროვნული პოზიციით და ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მაგრამ თვით ორგანიზაცია ხელისუფლებაზე იქნებოდა დამოკიდებული და სახელმწიფოსაგან დაფინანსდებოდა. ეს კი ფაქტიურად გამორიცხავდა მის დაპირისპირებას ხელისუფლებასთან. ასევე შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ

კარგი საქმეების გაკეთება მოასწრო, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს აერთიანებდა და ისეთი ეროვნული მოღვაწე ხელმძღვანელობდა, როგორიც აკაკი ბაქრაძე იყო. მან ვერ შეძლო სათავეში ჩადგომოდა ეროვნულ მოძრაობას და ეს მისია არაფორმალებს დაუთმო. ამ უკანასკნელებმა კი ხელისუფლებასთან შეურიგებელი, რადიკალური პოზიცია დაიკავეს, რამაც ქართულ ეროვნულ მოძრაობას ქუჩის აქციებისა და მიტინგების ფორმა მისცა.

საწყის ეტაპზე ქართული ეროვნული მოძრაობა ექსტრემალური მოთხოვნებით არ გამოდიოდა და იმ მოვლენების და პროცესების წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამებოდა. მასობრივი პროტესტის პირველი გამოვლინება იყო ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ გამოსვლა. ამ რკინიგზას თბილისი ორჯონიკიძესთან (ვლადიკავკასთან) უნდა შეეერთებინა ფშავ-ხევსურეთის გავლით. ქართულ საზოგადოებაში შეშფოთება გამოიწვია იმ ეკოლოგიურმა საშიშროებამ, რაც ამ რკინიგზის მშენებლობას მოჰყვებოდა საქართველოს მთიანეთის უნიკალურ ლანდშაფტურ გარემოში. კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული სახის დაკარგვა, ციხე-კოშკების ნაცვლად რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ჩადგმა და უცხო ეთნიკური ჯგუფების მიერ ამ კუთხის დასახლება. ამას ისიც ემატებოდა, რომ ტრანსკავკასიური რკინიგზის ეკონომიკური ეფექტი ერთობ საეჭვო ჩანდა, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ შედეგებზე. საზოგადოების პროტესტმა შედეგი გამოიღო და მშენებლობა შეჩერებულ იქნა.

შემდეგი მასობრივი გამოსვლა 1988 წლის თებერვალში მოხდა. იგი მიმართული იყო საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიგონის გაუქმებისაკენ გარეჯის უდაბნოში. იქ მიმდინარე სამხედრო სწავლება აზიანებდა დავით გარეჯის უნიკალურ სამონასტრო კომპლექსს, რაც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის უაღრესად ფასეულ ძეგლს წარმოადგენს. უნივერსიტეტის სტუდენტობამ, რომელსაც მხარი მთელმა ახალგაზრდობამ დაუჭირა, კატეგორიულად მოითხოვა სამხედრო პოლიგონის გაუქმება. ეს უკვე აშკარა დაპირისპირება იყო სამხედრო მანქანასთან, რომელსაც საბჭოთა კავშირში განუზომელი ძალაუფლება ეპყრა და მის წინააღმდეგ გამოსვლა წარმოუდგენლად მიიჩნეოდა. პოლიგონი იმჟამად არ გაუქმებულა, მაგრამ

სწავლების, ინტენსივობა და აფეთქების სიმძლავრე საგრძნობლად შემცირდა.

იმავე 1988 წლის 26 მაისს, შესრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 70 წელი. ხელისუფლებამ არ დაუშვა დემონსტრაციისა და მიტინგის გამართვა ქუჩაში და ამ ღონისძიებისათვის დარბაზი „ბერიკონი" გამოყო. აქ საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ, პატიმრობიდან ახლად დაბრუნებული მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია და თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე და ირაკლი შენგელაია. აქვე პირველად საჯაროდ გაისმა ლოზუნგი „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

1988 წლის შემოდგომიდან მიტინგებმა და დემონსტრაციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, როგორც კონკრეტულ საკითხებზე (ხუდონჰესის, ატომური ელექტროსადგურისა და გაზსადენის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით), ისე ზოგადად კომპლექსურ ეროვნულ პრობლემებზე. სექტემბერ-ნოემბერში ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია (წმიდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს სახალხო ფრონტი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია) ხოლო ზოგიერთი ადრე არალეგალურად არსებული ორგანიზაცია (ჰელსინკის კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია) აშკარად და აქტიურად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური ძალა, ცალსახად ეროვნული მიმართულების გაერთიანებას წარმოადგენდა და მათი საბოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, თუმცა ბრძოლის მეთოდები და ტაქტიკა აღნიშნულ ძალებს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ჰქონდათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1988 წლის ნოემბრის ბოლოს მთავრობის სახლის წინ გამართული ერთკვირიანი ხალხმრავალი მიტინგი და შიმშილობის აქცია. იგი მიმართული იყო სსრკ კონსტიტუციაში იმ ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ, რომელთა ძალით იზღუდებოდა რესპუბლიკების უფლებები და ცენტრალურ ხელისუფლებას უფლება ეძლეოდა რესპუბლიკებში, ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე გამოეცხადებინა საგანგებო ვითარება და შეეყვანა ჯარები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება წმინდა წყლის ფორმალობა იყო (რადგან ცენტრალური ხელისუფლებისათვის ისედაც არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა რესპუბლიკებისაგან არა თუ

თანხმობა, არამედ თხოვნა და მიწვევა მიელო ჯარების შეყვანაზე), მაინც დიდი აღშფოთება გამოიწვია საქართველოში და მოსკოვმაც აღარ გაართულა საქმე. თბილისის მიტინგის გრანდიოზულმა ხასიათმა, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა კუთხე, ერთმანეთის გვერდით იდგა ყველა პოლიტიკური ძალა და მიღწეულმა მიზანმა შექმნა ილუზია, რომ შეურიგებელი ოპოზიციის გზით ხელისუფლება ყველანაირ დათმობაზე წავიდოდა.

ალნიშნულის გამო, 1988 წლის დეკემბრიდან 1989 წლის აპრილამდე მიმდინარე გამოსვლებს უკვე თითქმის მთლიანად პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. იგი ფართოდ მოედო მთელ საქართველოს და მიმართული იყო იმ პროცესებისა და პირების წინააღმდეგ, რომლებიც მომიტინგეთა მიერ ანტიეროვნულად იყო შეფასებული. კერძოდ, ხაზი ესმებოდა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა პარტიული და სახელმწიფო ჩინოვნიკების მიერ, მიწების უკანონოდ გაყიდვა არაქართველ მოსახლეობაზე. ქართველების შევიწროება რესპუბლიკის არაქართულ რეგიონებში, ქართული ენის შეზღუდვა სახელმწიფო ორგანოებში და ა.შ. გაისმა მოთხოვნები, რათა გაუქმებულიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (რად უნდათ ავტონომია ქართველების ერთ-ერთი ეთნოგრაფიულ ჯგუფს?) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (რატომ უნდა ჰქონდეს საქართველოში პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია ხალხს, რომელსაც ისტორიული სამშობლო საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს?). ამგვარად, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმა მიიღო. ამას ისიც დაერთო, რომ ეს მოძრაობა ძირითადად ქუჩის მოძრაობა იყო. ინტელექტუალური ელიტა მასში ნაკლებად მონაწილეობდა, რადგან იგი ქუჩაში ყვირილს და ლოზუნგების ძახილს მიჩვეული არ იყო და უმრავლესობისათვის არც ეთნიკური ნაციონალიზმი იყო მისაღები (მით უფრო, რომ რადიკალური ოპოზიცია მათ ხელისუფლებასთან ალიანსში ადანაშაულებდა და „წითელ“, ანდა „კრიმინალურ“ ინტელიგენციას უწოდებდა). ეროვნული მოძრაობის მმართველ ძალად თანდათან ხდებოდა სათანადო განათლებასა და ინტელექტს მოკლებული, ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც მიზნად კომუნისტური რეჟიმის ნგრევა დაესახათ, მაგრამ რა და როგორ უნდა ეშენებინათ, წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ცხადია, მოვლენების ასე განვითარება გულგრილს ვერ დატოვებდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს. ქართულ ეროვნულ მოძრაობაში მათ ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის აღორძინების საფრთხე დაინახეს, რომელიც მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. შესაბამისად დაიწყო აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული არაფორმალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შეწინააღმდეგებოდნენ ქართულ ეროვნულ მოძრაობას. გამოდიოდნენ რა „საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობის" ლოზუნგით, ისინი აშკარად დაუპირისპირდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, რადგან ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს ვერ ხედავდნენ. ყოველივე ეს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით ხორციელდებოდა, რადგან მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები არატიტულარული ხალხები, როგორც წესი, მოსკოვის მიერ ჩადებული შენელებული მოქმედების ბომბების როლს ასრულებდნენ და „გათიშე და იბატონეს" ცნობილი პრინციპის განხორციელების მექანიზმს წარმოადგენდნენ.

1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლებისადმი (ე.წ. „ლიხნის წერილი"), სადაც ამტკიცებდნენ, რომ აფხაზი ხალხი ქართველებისაგან განიცდის შევიწროებას და ჩაგვრას. ასიმილატორული პოლიტიკის გამო ეჭვის ქვეშ დგება აფხაზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის მომავალი. ამდენად, გადარჩენის ერთადერთი გზაა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობიდან გადავიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. სწორედ ეს თხოვნა იყო გამოხატული ლიხნის წერილში.

ამ წერილს მკვეთრი რეაქცია მოჰყვა მთელ საქართველოში. საპროტესტო აქციები გაიმართა მრავალ ქალაქსა და სოფელში. აპრილის დასაწყისში, თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ დაიწყო მრავალდღიანი, ხალხმრავალი აქცია აფხაზური სეპარატიზმის ხელმძღვანელთა გამოაშკარავებისა და დასჯის მოთხოვნით. აქციაში სხვა ეროვნული ორგანიზაციების ჩართვის შემდეგ, მოთხოვნა შეიცვალა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოწოდების სახე მიიღო. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს უკვე მოუთმენლად მიიჩნია და თბილისში სპეციალურად ჩამოყვანილი საგანგებო დანიშნულების სამხედრო ნაწილებით მიტინგი სასტიკად დაარბია, რასაც 20-ზე

მეტი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ეროვნული მოძრაობის ლიდერები (მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია, ი. წერეთელი, გ. ჭანტურია) დაკავებულ იქნენ, ხოლო თბილისში საგანგებო წესები გამოცხადდა.

პოლიტბიურომ თბილისში ედუარდ შევარდნაძე გამოგზავნა, რომელმაც შეძლო დაძაბულობის განმუხტვა, საგანგებო წესების გაუქმება და არაფორმალთა ლიდერების გათავისუფლება. მდგომარეობა რესპუბლიკაში კარდინალურად შეიცვალა. სიტუაციის ბატონ-პატრონი ეროვნული მოძრაობა გახდა, ხოლო ხელისუფლება ფაქტიურად მათი ნების აღმსრულებლად იქცა. ასეთმა ვითარებამ ის გამოიწვია, რომ ეროვნული მოძრაობა პოლიტიკურ ბრძოლად იქცა. საქართველოში თითქმის არ დარჩა ძალა (თვით კომუნისტური პარტიაც კი), რომელსაც 9 აპრილის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მხარი არ დაეჭირა. ამიტომ სოკოებივით მომრავლებული პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ „ვინ უფრო ეროვნული იყო", ანუ ვინ უფრო ხმამაღლა გალანძღავდა კომუნისტურ რეჟიმს და საბჭოთა ხელისუფლებას. ეს „ზემოდან ნებადართული ეაუკაცობა" მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც ქართველ შეგნებულ საზოგადოებაზე, ისე საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე.

საქმე ის იყო, რომ 9 აპრილის შემდეგ ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნდა, რომ ეროვნული უმცირესობები არა თუ უჭერდნენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ მას და პოტენციურ „მეხუთე კოლონას" წარმოადგენდნენ. ამიტომ ისინი მკაცრი კრიტიკის ობიექტები გახდნენ. მდგომარეობა დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა ფაქტიურად ქუჩის მოძრაობად იქცა, სადაც გადაწყვეტილებების მიღება მიტინგებზე ხდებოდა ეგზალტირებული მასის ზეწოლით. უხმაურო, გააზრებული და ინტელექტუალური ბრძოლა (ე.წ. ბალტიისპირეთის გზა) შემრიგებლურ და უზნეო მიმართულებად გამოცხადდა. ამიტომ, საქართველოს ინტელექტუალური ელიტის უდიდესი ნაწილი მთლიანად უჭერდა მხარს ეროვნული თავისუფლების იდეას, აქტიურ მოძრაობაში არ ჩაბმულა და გარკვეულწილად დაუპირისპირდა კიდეც ამ მოძრაობის არაფორმალ ლიდერებსა და აქტიურ წევრებს, რომელთა შორის ბევრი იყო შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და კულტურის არმქონე პიროვნება.

საერთოდ, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ოპოზიციაც ტოტალიტარული აზროვნებისაა. ამიტომ ასპარეზზე გამოსული ქართველი ნაციონალისტების უმრავლესობა „სხვაგვარად მოაზროვნეთა" წინააღმდეგ იმავე მეთოდების გამოყენებას უჭერდა მხარს, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმი იყენებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის ყოველი მოწინააღმდეგე (ხოლო ზოგჯერ ის პიროვნებაც კი, რომელიც დამოუკიდებლობას მიაპოვების, თავის განსხვავებულ გზას წამოაყენებდა), მოღალატედ, მტრად და დამნაშავედ ცხადდებოდა, ხოლო მიტინგებზე საჯაროდ გაცხადებული ზოგიერთი ლოზუნგი (ისევე როგორც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მთელი რიგი მასალები), სერიოზული საფუძველი იყო ეროვნული უმცირესობებისათვის ეფიქრათ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მათ აშკარა საფრთხე ელოდათ. ფაქტია, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ (იგულისხმება მისი რადიკალური ნაწილი, რადგან ლიბერალები ფაქტიურად ჩამოცილებულნი აღმოჩნდნენ) ვერ შეძლო საერთო ენა გამოენახა ეთნიკურ უმცირესობებთან. პირიქით, იგი მათ აშკარად დაუპირისპირდა. ამგვარად, ქართული ნაციონალიზმი, ლიბერალური, სამოქალაქო ნაციონალიზმიდან რადიკალურ ეთნონაციონალიზმად გარდაიქმნა. ასეთ ნაციონალიზმს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ზუსტად ასეთივე რადიკალური და ექსტრემისტული ეთნონაციონალიზმი დაუპირისპირდა, რომელსაც აქტიური მხარდაჭერა ჰქონდა მოსკოვიდან და იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ამ უმცირესობების ისტორიულ სამშობლოს წარმოადგენდნენ.

1989–1991 წლები ეთნიკური ნაციონალიზმის უკიდურესი და შეუზღუდავი „ბატონობის" ეპოქაა. იქმნებოდა უამრავი „საზოგადოებები" და ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად „ეროვნულ აღორძინებას" ისახავდნენ, რეალურად კი ეთნიკური ნაციონალიზმის გაძლიერებისა და გავრცელების წყაროს წარმოადგენდნენ. უკვე 1989 წელს ჩამოყალიბდნენ აფხაზური „აიდგილარა", ოსური „ადამონ ნახასი", სომხური „კრუნკი" და „ჯავახქი", აზერბაიჯანული „გეირათი" და ა.შ. თითოეული მათგანი ხაზს უსვამდა საკუთარი ეთნიკური ჯგუფის უფლებების შეზღუდვას და შევიწროებას საქართველოში და ისეთ მოთხოვნებს აყენებდნენ, რაც ქართველებისათვის და საქართველოსათვის ფაქტიურად მიუღებელი იყო.

თავის მხრივ, ქართველები ძალიან გააღიზიანა ეთნიკური უმცირესობების ასეთმა მოქმედებებმა და წარმოუდგენელ უმა-

დურიბად მიიჩნიეს ასეთი ქცევა იმ ხალხისაგან, რომლებიც საქართველომ შეიფარა, დაასახლა, მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მისცა და საკუთარ ენაზე განათლებისა და ეროვნული კულტურის განვითარების უფლება არასოდეს შეუზღუდავს. ამის გამო ქართველების მხრიდან მიტინგზე გაისმა ლოზუნგი „საქართველო ქართველებისთვის", „ჩვენივე სახლში მასპინძლად ქცეული სტუმრების თავხედობა", „ვისაც ჩვენთან არ უნდა წავიდეს საიდანაც მოსულა" და ა.შ. დაპირისპირებამ ზოგან სისხლიანი ფორმა მიიღო (სოხუმში – 1989 წლის ივლისში, მარნეულში – იმავე წლის ივნისში, ყვარლის რაიონში – ადგილობრივ ქართველ და დაღესტნიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას შორის).

ძირითადი წინააღმდეგობა მოკლედ ასე გამოიკვეთა: ქართული რადიკალური ეთნონაციონალიზმის აზრით, ეთნიკურ უმცირესობებს ან მთლიანად უნდა დაეჭირათ მხარი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ანდა უნდა დაეტოვებინათ საქართველო და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმი კი თვლიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალისტური რეჟიმი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა არა მარტო მათ ეთნიკურ თვითმყოფადობის შენარჩუნებას, არამედ ფიზიკურ არსებობასაც კი (საინტერესოა, რომ ამ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობები ნაციონალისტურ რეჟიმთან აიგივებდნენ და დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს არსებობას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ).

ეთნიკური უმცირესობებიდან პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აფხაზები და ოსები, რადგან მათ თავიანთი ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია ჰქონდათ. როდესაც საეჭვო გახდა საბჭოთა კავშირის შენარჩუნება და საქართველოს დამოუკიდებლობა რეალურად გამოიკვეთა, აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის ძირითადი იდეა ასეთნაირად გამოჩნდა: – საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველების საქმეა და რაც უნდათ ისა ქნან, მაგრამ არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი საქართველო არ არის. ამდენად აფხაზები და ოსები თავიანთ ბედს თვითონვე გადაწყვეტენ. ამგვარად, აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის ძირითადი იდეა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის საქართველო, დიამეტრულად განსხვავდებოდა ქართული ნაციონალიზმის იდეისაგან: აფხაზეთი

საქართველოს პროვინციაა, ხოლო სამხრეთ ოსეთი ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად და უკანონოდ შექმნილი ტერიტორიული ავტონომია (თანაც სრულიად გაუმართლებელი სახელწოდებით – სამხრეთ ოსეთი), საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის, შიდა ქართლის ჩრდილოეთ მთიან რაიონებში. ასეთი განსხვავებული ხედვა გარდაუვალს ხდიდა კონფლიქტს ამ ხალხებს შორის. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქართველო მართლაც გახდებოდა დამოუკიდებელი ქვეყანა და მის სათავეში რადიკალი-ნაციონალისტები მოვიდოდნენ.

როდესაც მოვლენები მართლაც ასე განვითარდა და პირველ მრავალპარტიულ არჩევნების შემდეგ (აფხაზ და ოს მოსახლეობას ამ არჩევნებში მონაწილეობა ფაქტიურად არ მიუღია), ხელისუფლების სათავეში უკიდურესად რადიკალ-ნაციონალისტები მოვიდნენ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, კონფლიქტი გარდაუვალი გახდა. მართალია გამსახურდია არ ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელი და მისი მმართველობის პერიოდში საქართველო ისევ საბჭოთა კავშირის შემადგენობაში შედიოდა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების გავლენა უკვე მინიმალური იყო.

გამსახურდიას მმართველობის პერიოდი (1990 წლის ოქტომბერი – 1991 წლის დეკემბერი) საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წელს დაემთხვა. ეს ის პეროდია, როცა სსრკ-ს ყველა ნაციონალურ-ტერიტორიულმა ერთეულმა სუვერენიტეტი გამოაცხადა. რუსეთის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა სიტყვა „ავტონომიური" სახელწოდებიდან ამოაგდეს, ხოლო ავტონომიური ოლქები რესპუბლიკებად გადაკეთდნენ. ამ პროცესმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც მოიცვა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოზიცია ასეთი იყო: ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში უნდა ჰქონდეთ მხოლოდ კულტურული ავტონომია. ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია მარტო იმ ეროვნებებს ეკუთვნით, რომლებიც თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ. ამიტომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომია უკანონოა და თავის დროზე ბოლშევიკებმა შექმნეს საქართველოს დასუსტებისა და გახლეჩვის მიზნით. ოსებს აქვთ ავტონომია თავიანთ სამშობლოში (იგულისხმება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა) და მეორე ავტონომია საქართველოში ჩამოსახლებული ოსებისათვის ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. ასევე უკანონოა აჭარის ავტონომია, რადგან აჭარლები იგივე ქართველები არიან (მხოლოდ მართლმადი-

დებლობის ნაცვლად, ისლამის სარწმუნოებას მისდევენ) და ამდენად ქართველებს საქართველოში ავტონომია არ სჭირდებათ. რაც შეეხება აფხაზებს, მათ სხვა სამშობლო არ გააჩნიათ და ამიტომ ავტონომია ეკუთვნით, მაგრამ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამიტომ, როცა აფხაზებმა დასვეს საკითხი საქართველოდან გამოყოფისა და აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, მაშინვე წამოტივტივდა თეზისი აფხაზების ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებისა და არამკვიდრობის შესახებ. ერთ-ერთ მიტინგზე გამსახურდიამ თქვა კიდეც, რომ აფხაზების მოთხოვნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ სავსებით კანონიერი და სამართლიანია. უკანონო მხოლოდ ის არის თუ რა ტერიტორიაზე ითხოვენ სახელმწიფოს. თუ ისინი დაბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ მოითხოვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას, ჩვენც სიამოვნებით ამოვუდგებით გვერდში. ცხადია ეს განცხადება თვით გამსახურდიას გარკვეული მიზნებისათვის სჭირდებოდა და საეჭვოა, რომ ამას იგი სერიოზულად ამბობდა. მაგრამ მისი მხარდამჭერი მასა, მის ყველა სიტყვას ჭეშმარიტებად იღებდა, რაც კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას.

ამის შედეგი იყო, რომ მაშინდელ პრესაში მომრავლდა სტატიები, რომლებიც დილეტანტურ დონეზე „ამტკიცებდნენ" აფხაზების მხოლოდ XVII–XVIII საუკუნეებში ჩამოსახლებას საქართველოს ტერიტორიაზე, ოსების ისტორიულ ვერაგობას ქართველების მიმართ, სომხების მზაკვრობას და მოღალატეობას, აზერბაიჯანელების უკონტროლო გამრავლების საფრთხეს საქართველოსათვის და ა.შ. ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს და შესანიშნავ საბაბს აძლევდა სეპარატისტებსა და მათ მხარდამჭერებს გაემართლებინათ თავიანთი ქმედება და მისწრაფება.

საქართველოს მთელმა რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა თეიანთ პროგრამაში შეიტანეს მიზანი – საქართველოს აღდგენა ისტორიულ საზღვრებში, რაც ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან ტერიტორიულ პრეტენზიებს გულისხმობდა. საზოგადოება „თვისტომი" მიმართავდა საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს დაეტოვებინათ საქართველო და თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. გახშირდა წერილები ქართველი ერის განსაკუთრებულობასა და გამორჩეულობაზე, რაც ეთნი-

კურ უმცირესობაში გაღიზიანებასა და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ქცევის შიშს იწვევდა.

თავის მხრივ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ პრესაში გახშირდა ფანტასტიკური შინაარსის სტატიები, ამ ხალხთა ისტორიულ დიდებაზე, მათ განსაკუთრებულობაზე და იმ წვლილზე, რაც მათ შეუტანიათ კაცობრიობის საგანძურში. პრესის ფურცლებზე კინკლაობა და ნამდვილი ლანძღვაგინებაც კი ქართველებსა და სხვა ეროვნებებს შორის (და თვით ეთნიკურ უმცირესობათა შორისაც) ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

ქართველებისა და საქართველოს განსაკუთრებული მისიის დასაბუთებას შეეცადნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. მერაბ კოსტავა თავის წიგნში „ფიქრები საქართველოს მისიაზე" (კოსტავა, 1991), ანთროპოსოფიური თვალსაზრისით განიხილავს ქართული ერის ისტორიულ დანიშნულებასა და ბედს მიიჩნევს საქართველოს მისიად მოახდინოს დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების სინთეზი, რომლის განსახორციელებლად აუცილებელია სულის უკვდავებისა და ღვთის რწმენის იდეა ქვაკუთხედად იქცეს ქართველი ერისათვის.

ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის მაისში წაკითხულ ლექციაში „საქართველოს სულიერი მისსია" (ზ. გამსახურდია, 1991, გვ.191–227) ჩამოაყალიბა თავისი ხედვა, რომელიც მისმა მომხრეებმა ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნიეს, მომავალ ეროვნულ იდეოლოგიად გამოაცხადეს, ხოლო ზოგიერთმა კონკრეტული სახელი „ზვიადიზმიც" კი უწოდა.

ზ. გამსახურდიამ თავისი იდეოლოგიის საფუძვლად აიღო ნიკო მარის იაფეტური თეორია, რომლის მიხედვითაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV–III ათასწლეულებში ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზია, კავკასია, შუამდინარეთი და ირანის ზეგანი დასახლებული იყო საერთო წარმოშობისა და ერთ ენობრივ ოჯახზე მოლაპარაკე ხალხებით, რომლებსაც იგი იაფეტურ ხალხებს უწოდებდა. ამ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ შუმერები, ელამელები, ხათები (პროტოხეთები), სუბარები, მითანელები, ურარტუელები, პროტოქართველები (იბერიელები, კოლხები) ჩრდილოეთ კავკასიელები, პელაზგები (საბერძნეთისა და ეგეოსის კუნძულების უძველესი მოსახლეობა), ეტრუსკები (იტალიის უძველესი მოსახლეობა), პირინეის იბერები (ეს უკანასკნელნი საფრანგეთში და ბრიტანეთის კუნძულებზეც განსახლდნენ). სწორედ იაფეტური ხალხები იყვნენ მსოფლიოს

პირველი ცივილიზაციის შემქმნელნი და კაცობრიობის „განმანათლებლები“. შემდგომში სხვა ენობრივ ოჯახებზე მოლაპარაკე ხალხების (ინდოევროპელები, სემიტები) შემოტევისა და მათ მიერ ასიმილაციის გამო იაფეტური ხალხების განსახლების არეალი მუდმივად მცირდებოდა და უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე ორი ერთმანეთისაგან მოწყვეტილი კუნძულის, კავკასიისა და ბასკეთის სახითღაა შემორჩენილი.

ამ ერთ-ერთ რიგით ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ ჰიპოთეზას ზ. გამსახურდიამ დაუკავშირა იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, სადაც მან ქართულ ენაში ქართველი ერი იგულისხმა და დაასკვნა, რომ იოანე ზოსიმეს ქართველი ერი გაცნობიერებული ჰყავდა როგორც ლაზარე, რომელიც აღდგებოდა იმ განფენილობით, როგორც ის იყო ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. ეს ნიშნავს, რომ ქართველი ერი, როგორც მეთაური და მედროშე დღეს შემორჩენილი იაფეტური ხალხისა, იმავე პოზიციას დაიბრუნებს, რაც ჰქონდა პრეისტორიულ ხანაში, ე.ი. წამყვანი მოდგმის, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. ხოლო სიტყვები, რომ მეორედ მოსვლისას ღმერთი ქართული ენით განიკითხავს, ნიშნავს, რომ იაფეტური ანუ ქართველური მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას. სწორედ ამაში მდგომარეობს საქართველოს სულიერი მისია და ქართველი ერის გამორჩეულობის საფუძველი.

ცხადია, ზვიად გამსახურდიას ეს მტკიცებები მეცნიერთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდ უმრავლესობას სერიოზულად არ მიუღია არა მარტო მისი ნაკლებად დამაჯერებლობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ძალზე დასაბუთებული მეცნიერული ჰიპოთეზაც კი, როცა იგი პოლიტიკურ ელფერს იღებს, უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენს და ფაშიზმს უახლოვდება. მაგრამ გაუცნობიერებელ მასას აღნიშნული იდეები ძალზე მიმზიდველად და მისაღებად მოეჩვენა. პრესაში და ზოგიერთ სამეცნიერო ჟურნალშიც კი გაჩნდა სტატიები, სადაც ეს გამორჩეულობის იდეა იყო გატარებული, რაც საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ქართულ საზოგადოებას. ეს ე.წ. აგრესიული დილეტანტიზმი, რომელიც აძრე არ იყო დამახასიათებელი ქართული მეცნიერებისათვის და რაზეც სხვები (პირველ რიგში საქართველოს მეზობელი ზოგიერთი ხალხი) იყვნენ

საყვედურისა და დაცინვის ობიექტები, აშკარად იკიდებდა ფეხს საქართველოშიც.

ეროვნებათშორისი დაპირისპირების ესკალაცია გარდაუვლად მიაქანებდა ქვეყანას ეთნოკონფლიქტებისაკენ, მით უფრო, რომ სეპარატიზმს მძლავრი მხარდამჭერები ჰყავდა რესპუბლიკის ფარგლებს გარედაც. თვით ქვეყნის ხელისუფლებაც უძლური აღმოჩნდა მდგომარეობა განემუხტა. პირიქით, ხელისუფლების (მათ შორის პრეზიდენტის) საჯარო გამონათქვამები ეთნიკურ პრობლემებზე ხშირ შემთხვევაში ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო. 1990 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთმა თავი რესპუბლიკად გამოაცხადა, რის საპასუხოდაც საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რაც შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი გახდა. სულ მცირე საბაბი იყო საჭირო ეთნოკონფლიქტისათვის აფხაზეთშიც (ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებზე იხ. ქვემოთ).

ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ თავისი არაკომპეტენტურობის, ანტიდემოკრატიულობისა და ექსტრემალური ნაციონალიზმის წყალობით მალე გაიტეხა სახელი და მოსახლეობის უმრავლესობის დასაყრდენის გარეშე დარჩა. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება შეიარაღებულ შეტაკებაში და სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რასაც გამსახურდიას დამხობა და უზენაესი საბჭოს დაშლა მოჰყვა. ხელისუფლებაში მოსულმა დროებითმა სამხედრო საბჭომ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე მოიწვია, რომელიც 1992 წლის არჩევნების შედეგად სახელმწიფოს მეთაური გახდა, ხოლო 1995 წლიდან – საქართველოს პრეზიდენტი.

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს უკანასკნელი ათწლეულის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის განხილვა-ანალიზი. ჩვენთვის საინტერესო ძირითად საკითხებზე, რომელიც ნაციონალიზმისა და საქართველოში მიმდინარე ეთნოკონფლიქტებს შორის ურთიერთკავშირს ეხება, ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი მოკლედ შევჩერდებით იმ ტრანსფორმაციაზე, რაც თანამედროვე ქართულმა ნაციონალიზმმა განიცადა უკანასკნელ წლებში.

ძირითადი ცვლილება, რაც ბოლო წლების ქართული ნაციონალიზმისათვისაა დამახასიათებელი, არის მისი გარდაქმნა ეთნიკურიდან ლიბერალურ-სამოქალაქო (სახელმწიფო) ნაციონალიზმად. ეს ტრანსფორმაცია ორი მიზეზითაა განპირობებული:

პირველი მიზეზია ის, რომ გამსახურდიას რეჟიმისა და ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ და მისმა მარცხმა, აგრეთვე, იმ ნაციონალისტურმა ფრაზეოლოგიამ რაც აღნიშნული ხელისუფლებისათვის იყო დამახასიათებელი, დაარწმუნა მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესი ეთნიკური ნაციონალიზმის სიმცდარეში და მის უარყოფით შედეგებში;

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ გამსახურდიას დამხობა და შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა, დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას. ე.ი. მიღწეულ იქნა ნაციონალიზმის უმთავრესი, არსებითი მიზანი: ერმა მიაღწია თავისი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. ამ სახელმწიფოს შენარჩუნება და განმტკიცება, მისი ერთიანობა და შეკავშირება კი ერის მთავარი ფუნქცია გახდა. ასეთ პირობებში ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ადრე ერის შეკავშირებისათვის იბრძოდა და არსებულ სახელმწიფოდან გამოყოფას და საკუთარი სახელმწიფოს შექმნას ისახავდა მიზნად, მიზნის მიღწევისთანავე უნდა გარდაიქმნას სახელმწიფო ნაციონალიზმად, რომელიც აქცენტს ეთნიკურობაზე კი არ გააკეთებს, არამედ სახელმწიფოებრიობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს სეპარატიზმისა და ირედენტიზმის საფრთხე დაემუქრება.

დღეს საქართველოში ხელისუფლებას და მოსახლეობის უმრავლესობას გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყნის მომავალი, არსებობის საფუძველი, ლიბერალურ-სამოქალაქო (სახელმწიფო) და არა ეთნიკური ნაციონალიზმია. მიზანიც ერთიანი ქართველი სახელმწიფო ერის ჩამოყალიბებაა, რომელიც ეთნიკურ ქართველებთან ერთად საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც გააერთიანებს და თითოეული მათგანისათვის უპირველესი, სწორედ საქართველოს ინტერესები იქნება. თუ ეს არ მოხდა და ქართული ერი-სახელმწიფო არ შეიქმნა (დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი უკვე დიდი ხანია დამთავრებულია), მაშინ საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იქნება საფრთხის ქვეშ. ეთნიკური ერიდან სახელმწიფო ერად ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესია და მის დასრულებას ათწლეულები დაჭირდება, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. საქართველოს სახელმწიფოს არსებობა და სიმტკიცე მხოლოდ მაშინ იქნება გარან-

ტირებული, როცა მისი ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, სახელმწიფოებრივად ქართველი იქნება.

ჯერჯერობით ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რჩება ეთნიკური ნაციონალიზმის დონეზე და შორსაა სახელმწიფოებრივი აზროვნებისაგან. ამის ნათელი გამოვლინება იყო ის აჟიოტაჟი, რაც გამოიწვია პირადობის აღმნიშვნელ დოკუმენტებიდან ეროვნების რეკვიზიტის ამოღებამ. ამ რეკვიზიტის შენარჩუნების მომხრეებს თავი პატრიოტებად მიაქვთ და მოწინააღმდეგეებს ანტიეროვნულობასა და კოსმოპოლიტიზმში ადანაშაულებენ. ამ დროს ვერ გააზრებიათ (თუ შეგნებულად არ იქცევიან ასე), რომ ქართული ერი-სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ გამოდიან, რადგან ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში ეროვნების დაფიქსირებით ისინი სამართლებრივ სტატუსს ანიჭებენ და პოლიტიკურ უფლებებს აძლევენ არა მოქალაქეს, არამედ – ეთნიკურ ჯგუფს. ეს კი სრულ სამართლებრივ უფლებას აძლევს ეთნიკურ ჯგუფს მოითხოვოს პოლიტიკური ავტონომია, საკუთარი პარტიები, კვოტები მთავრობასა და პარლამენტში და ა.შ. ერთი სიტყვით, სახელმწიფო დაიყოს ეთნიკურ ნაწილებად. ყველაზე კურიოზული კი ისაა, რომ ამ მოთხოვნით საქართველოში გამოდიან არა სეპარატისტები და ეთნიკური უმცირესობები, არამედ ტიტულარული ერის ის წარმომადგენლები, რომლებიც თავს პატრიოტებად და ეროვნულ მოღვაწეებად მიიჩნევენ.

ასეთივე ეთნიკური ნაციონალიზმის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ მოთხოვნა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების, არატრადიციული რელიგიური სექტების აკრძალვის შესახებ და ა.შ. ეს მოთხოვნები, თუმცა ერთი შეხედვით ქართულ ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება, სინამდვილეში სწორედ ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისა და განვითარების წინააღმდეგ არის მიმართული.

ეთნიკური ნაციონალიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მუზეუმში დაცული ქართული ხატების აშშ-ის მუზეუმებში გამოფენის საწინააღმდეგო გამოსვლები, „წითელი ჯვრის“ საზოგადოების საქართველოს დატოვების მოთხოვნა, პროტესტი „მაკდონალდის“ მშენებლობის გამო თბილისში, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მოღვაწეობის საწინააღმდეგო კამპანია, უცხოური კომპანიებისა და კორპორაციების მიერ საწარმოებისა და ობიექტების შესყიდვის აკრძალვის მოთხოვნა და ა.შ. აღნიშნული მოთხოვნები ტიპური ანტიგლობალისტური

ნაციონალიზმია, რაც იმის მანიშნებელია, რომ თანამედროვე ქართული ეთნიკური ნაციონალიზმი თავისი შინაარსით გლობალიზაციის საპირისპიროა, თუმცა ანტიგლობალიზმი მისი ძირითადი მიზანი არ არის.

მიუხედავად ეთნიკური ნაციონალიზმის საკმაოდ ძლიერი პოზიციისა, დღევანდელი ქართული ნაციონალიზმი ძირითადად უკვე სამოქალაქო, სახელმწიფო ხასიათისაა. იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოში არსებულ ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმზე. იგი მყარად დგას ეთნიკური ნაციონალიზმის პოზიციებზე, რომლებსაც ადგილობრივი მმართველი ძალები საკუთარი მიზნების მიღწევის მთავარ საშუალებად თვლიან.

## 12.2. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ნაციონალიზმის თვალთახედვით

როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტების ძირითადი მიზეზი საქართველოში იყო ქართული (ერთი მხრივ), აფხაზური და ოსური (მეორე მხრივ) ნაციონალიზმის დიამეტრულად განსხვავებული პასუხი კითხვებზე: „რა არის საქართველო"?, „რა არის აფხაზეთი"?, „რა არის სამხრეთ ოსეთი"?

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული იყო, აფხაზეთისათვის და სამხრეთ ოსეთისათვისაც ცენტრალური ხელისუფლება მაინც მოსკოვი იყო და ყოველთვის შეეძლოთ საქართველოს ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები გამოეთქვათ. როცა დადგა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესახებ, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ბერკეტი ცენტრალური ხელისუფლების სახით დაიკარგა, რამაც უაღრესად შეაშფოთა აფხაზური და ოსური ელიტა. სწორედ საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდი უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად გამოყენებული, რათა რამენაირად მოხერხებულიყო საქართველოდან ჩამოცილება.

რასაკვირველია ვერც აფხაზები და ვერც ოსები მარტო საკუთარი იმედით ვერ გაბედავდნენ საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლას. მაგრამ ჰქონდათ რა ყველანაირი მხარდაჭერა რუსეთის გარკვეული ძალებისაგან (კომუნისტები, ნაციონა-

ლისტები და რაც მთავარია სამხედროები) მათი მოქმედება მიმართული იყო კონფლიქტის ესკალაციისაკენ. გათვლა მარტივი იყო, მხოლოდ კონფლიქტის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მივიღოთ მატერიალური და სამხედრო მხარდაჭერა რუსეთისაგან, რაც საკმარისი იქნება საქართველოს დამარცხებისათვის და მისგან თავის დახსნისათვის. სწორად იქნა გათვლილი ისიც, რომ მსოფლიო საზოგადოების სიმპათია მათ მხარზე იქნებოდა, რადგან ეთნოკონფლიქტში, როგორც წესი, ყოველთვის ტიტულარულ ერს (ეროვნულ უმრავლესობას) ამტყუნებენ და უმცირესობას ამართლებენ. მით უფრო, რომ 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის ქართული მასმედია ულტრანაციონალისტური გამონათქვამებით უხვად იძლეოდა საბაბს, რომ მსოფლიო საზოგადოებას ისინი უკიდურესად ნაციონალისტებად და ეთნიკური უმცირესობების მჩაგვრელებად წარმოედგინა.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არ ჯდება იმ მოდელში, რომელსაც დასავლური მეცნიერება წარმოგვიდგენს და საკითხი განიხილება როგორც უმცირესობის რეაგირება უმრავლესობის შემოტევაზე (Hannum, 1992). ეს თეზისი, როცა ლაპარაკია „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებზე“ და „უმრავლესობის პასუხისმგებლობაზე“, სრულიად სამართლიანია უკვე ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოთა შემთხვევაში, დემოკრატიის გარკვეული დონის პირობებში. რაკი არავითარი ქართული ეროვნული სახელმწიფო არ არსებობდა (თუ 1918–1921 წლის ხანმოკლე პერიოდს არ ჩავთვლით) ამიტომ, შეუძლებელია აფხაზებსა და ოსებს თავიანთი ნაციონალიზმი ქართული ქმედების საპასუხოდ შეემუშავებინათ. საკითხი სხვაგვარად იდგა: მათ არ სურდათ ყოფილიყვნენ ეროვნული უმცირესობები ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში. ისინი რომ ეროვნული უმცირესობების სტატუსს დასჯერებულიყვნენ, უკიდურესად ნაციონალისტი ქართველებიც კი ულაპარაკოდ დათანხმდებოდნენ კულტურული ავტონომიისათვის დამახასიათებელ უფლებათა მაქსიმუმზე, ხოლო აფხაზეთს — პოლიტიკურ ავტონომიაზეც საქართველოს შემადგენლობაში. ეს ყველაფერი იქნებოდა ერთადერთი მოთხოვნის სანაცვლოდ — დაცული ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპი. სწორედ ეს პრინციპი იყო მიუღებელი აფხაზური და ოსური მხარეებისათვის, რაც კონფლიქტის ძირითადი მიზეზი გახდა.

სხვა საკითხია თუ რატომ არ სურდათ აფხაზებსა და ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. ამის გასამართლებლად მით უამრავი არგუმენტი მოჰყავთ და ნებისმიერ მათგანს ქართული მხარის კონტრარგუმენტი უპირისპირდება. მოკლედ შევჩერდებით ძირითად პრობლემებზე.

მთავარი არგუმენტი, რომელიც აფხაზებსა და ოსებს მოჰყავთ არის ის, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველო არ არის და ამის დასამტკიცებლად ისტორიას იშველიებენ. საერთოდ დაპირისპირებული მხარეები განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ ისტორიას, მიიჩნევდნენ რა, მას თავიანთი სამართლიანობის დამამტკიცებელ ძირითად არგუმენტად.

კერძოდ, აფხაზების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ აფხაზეთი საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, იგი დამოუკიდებლად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მხოლოდ 1931 წელს, სსრკ-ს ქართველი ლიდერების – სტალინისა და ბერიას თვითნებობის შედეგად, აღმოჩნდა საქართველოს შემადგენლობაში.

ქართულ მხარეს უამრავი ისტორიული საბუთი მოჰყავს, რომ აფხაზეთის ტერიტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე შედიოდა დასავლეთქართული სახელმწიფოს – კოლხეთის (შემდგომში ლაზიკა) – შემადგენლობაში. VI საუკუნეში იგი რამდენიმე სამთავროდ დაიშალა. ერთ-ერთი მათგანი იყო აფხაზთა სამთავრო, რომლის ტერიტორია დაახლოებით დღევანდელი გუდაუთის რაიონის საზღვრებს ემთხვეოდა. აფხაზთა მთავრებმა შეძლეს დაემორჩილებინათ და შეერთებინათ მეზობელი სამთავროები და VIII საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამეფო, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა. სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო, მოსახლეობის სულ მცირე 80–85%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ, სახელმწიფო ენა – ქართული იყო და ა.შ. ამრიგად ეს იყო ქართული სახელმწიფო, ხოლო სიტყვა აფხაზი ნიშნავდა დასავლეთ ქართველს და არა აფხაზ ეთნოსს. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად სხვა სიტყვა – აფსარი (მომდინარეობს აფხაზების თვითსახელწოდებიდან – აფსუა) იხმარებოდა. როცა XI საუკუნეში დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) და აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) გაერთიანდა, გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტული გახდა აფხაზთა

და ქართველთა (ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართველთა) მეფე. ხოლო „აფხაზეთი“ და „ქართლი“ სინონიმები იყვნენ. შემდეგ საუკუნეებში დამკვიდრდა ტერმინი „საქართველო“, ხოლო „აფხაზეთის“ მნიშვნელობა შეიკვეცა და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის სახელად დარჩა. „აფხაზმა“ ეთნიკური მნიშვნელობა შეიძინა და ტერმინი „აფსარი“ შეცვალა. XV საუკუნეში, როცა საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, აფხაზეთი ერთ-ერთი მათგანი იყო, სადაც სახელმწიფო და ეკლესიის ენა მხოლოდ ქართული იყო და მხოლოდ XVII საუკუნიდან (როცა ქრისტიანობა შესუსტდა, დანარჩენ საქართველოსთან კულტურული კავშირები შემცირდა, ფეხი მოიკიდა თურქეთმა და შესაბამისად – ისლამმა, გაძლიერდა ჩრდილოკავკასიელთა მიგრაცია) მოხდა აფხაზების თვითიდენტიფიკაცია, როგორც ქართველებისაგან განსხვავებული ეთნოსისა.

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აფხაზეთის ცალკე შესვლას, იგივე შეიძლება ითქვას ყველა ქართულ სამეფო-სამთავროზე. ცალ-ცალკე შევიდნენ რუსეთის იმპერიაში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის სამთავროები, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, აფხაზეთი სოხუმის ოკრუგის სახელწოდებით მთელ დასავლეთ საქართველოსთან ერთად გაერთიანებული იყო ქუთაისის გუბერნიაში. ხოლო 1918–1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციით ავტონომიური ერთეულის სტატუსი ჰქონდა.

აფხაზების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს აფხაზეთის სტატუსის დაღმასვლა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1921 წლის მარტში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, იმავე წლის დეკემბრიდან საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირებული რესპუბლიკა 1931 წლიდან კი ავტონომიური რესპუბლიკა. ქართული მხარის არგუმენტია, რომ თვით აფხაზეთის სსრ-ს შექმნა დროებითი ნაბიჯი იყო და ამას აფხაზეთის მაშინდელი ხელმძღვანელებიც (ეთნიკურად აფხაზები ეშბა და ლაკობა) აღიარებდნენ. იმ პერიოდში ხომ ასეთი დროებითი საბჭოთა რესპუბლიკები ჩვეულებრივი ამბავი იყო (თერგის, მთიელთა, დონის, შორეული აღმოსავლეთის და ა.შ.), ხოლო საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირების სტატუსი, რომელიც აფხაზეთს 1921–1931 წლებში ჰქონდა, თავისთავად უნიკალური იყო და პრეცენდენტი არ მოეძებნებოდა. ამიტომ

იგი შეიცვალა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით, რაც საბჭოთა კავშირის 20-მდე ხალხს ჰქონდა. ამიტომ ქართველების აზრით, სტალინის დანაშაული ის კი არ არის, რომ აფხაზეთის სსრ-ს სტატუსი ავტონომიურამდე დაიყვანა, არამედ ის, რომ 1921 წელს აფხაზეთი საქართველოს მოწყვიტა და ცალკე რესპუბლიკად გამოაცხადა.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ ისტორიული არგუმენტები ისეთ დიდ როლს არ თამაშობდა. ეს ტერიტორია რომ ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო და ოსების დასახლება აქ XVII საუკუნეში დაიწყო, სადავოდ არ გაუხდიათ თვით ოს მეცნიერებსაც. საკითხი აქ სხვაგვარად იდგა: ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ რეგიონში, აქაც მოხდა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის შეცვლა, ოსებმა აქ უმრავლესობა შეადგინეს, საქართველოს ყოფილი ნაწილი ოსეთად იქცა და ახეთი სახელწოდებითაა ცნობილი ყველგან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ ტერიტორიამ პოლიტიკური სტატუსიც მიიღო და გამომდინარე მოსახლეობის უმრავლესობის უფლებიდან თვითგამორკვევაზე, სრულიად სამართლიანია სამხრეთ ოსეთის გასვლა საქართველოს შემადგენლობიდან და რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკასთან შეერთება.

ოსების ეს მოთხოვნა ქართველებს წარმოუდგენელ უმადურობად მიაჩნიათ იმ ხალხისგან, რომელიც საქართველომ შეიფარა, თავის ტერიტორიაზე დაასახლა და ახლა მიწას ეცილება, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას 1922 წელს აბსოლუტურად უკანონოდ და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად თვლიან. ამიტომ, თუ აფხაზეთის ავტონომიის წინააღმდეგ არც ერთ უკიდურესად ნაციონალისტ ქართველსაც კი არ დასცდენია ხმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სამართლიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს ბევრი ლიბერალურად განწყობილი ქართველიც კი.

ისტორიული არგუმენტები და ისტორიული სამართლიანობის იდეა, როგორც ითქვა, ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ პოლემიკაში. მაგრამ დაპირისპირებული მხარეებისათვის მალე გახდა აშკარა, რომ დასავლეთის ქვეყნებს, მათ მასმედიას და თვით საერთაშორისო სამართალს ნაკლებად აინტერესებს ისტორიაში ქექვა და არც მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ტერიტორია ისტორიულად. ამიტომ, საკუთარი მოთ-

ხოვნების დასასაბუთებლად სხვა არგუმენტების მოყვანა გახდა საჭირო.

აფხაზების ძირითადი არგუმენტია, რომ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას (ძირითადად, 30-50–იან წლებში) ისინი მუდმივ შევიწროებას, ეროვნულ ჩაგვრას და დისკრიმინაციას განიცდიდნენ ქართველების მხრიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზი ეთნოსის არსებობა დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. აქ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამოუკიდებელი ქვეყანა არ ყოფილა და როგორც სსრკ-ს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული, ვერავითარ დამოუკიდებელ პოლიტიკას აფხაზების მიმართ ვერ გაატარებდა. ამასთანავე, საბჭოთა ხელისუფლება და სოციალიზმი, აფხაზთა ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ ყოველთვის აღიქმეოდა როგორც ყველაზე პროგრესული და აფხაზი ხალხის ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალება. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ისევ ეთნიკური ფაქტორი იქნა მოშველიებული: კომუნისტური რეჟიმი ძალიან კარგია, მაგრამ იგი დამახინჯებულ იქნა მისი ქართველი ლიდერების – სტალინისა და ბერიას მიერ. ამიტომ, ხანამ სახელმწიფოს სათავეში ისინი იყვნენ მოახერხეს გაეტარებინათ აფხაზების საწინააღმდეგო ქართული შოვინისტური პოლიტიკა.

რაში გამოიხატებოდა ეს?

აფხაზების მტკიცებით, 1886 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 85%-ს – შეადგენდნენ აფხაზები და 8%-ს ქართველები, ხოლო 1989 წელს აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 17,8% იყო, მაშინ როცა, ქართველების ხვედრითმა წილმა 45,7%-ს მიაღწია. ე.ი. ადგილი ჰქონდა უმძიმეს დემოგრაფიულ ექსპანსიას აფხაზეთის წინააღმდეგ (Жоржолиани, 2000).

ქართული მხარის მონაცემებით, იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას უკავია, ეთნიკური აფხაზები არასოდეს არ შეადგენდნენ მოსახლეობის 2/3-ზე მეტს. მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 60–70-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზების თითქმის ნახევარი თურქეთში გადაასახლა, ქართველებმა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა შეადგინეს. რაც შეეხება 1886 წლის მონაცემებს, აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილის – სამურზაყანოს მთელი მოსახლეობა, რომელიც ეთნიკურად ქართველები (მეგრელები) იყვნენ აფხაზებად არიან ჩათვლილი და ამით აიხსნება რომ აფხაზების ხვედრითი წილი 85%, ხოლო ქართველებისა 8%-ია.

სინამდვილეში ქართველები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 51%-ს (მეტს, ვიდრე ოდესმე შემდეგ წლებში), ხოლო აფხაზები 41%-ს. რუსებისა და სომხების ხვედრითი წილი 1,5–1,5%-ს არ აღემატებოდა. შემდგომი ასი წლის მანძილზე აფხაზების რიცხვი გაიზარდა 3,3-ჯერ, ქართველებისა – 6,1-ჯერ, სომხების – 75-ჯერ, ხოლო რუსების – 72-ჯერ. აფხაზებისათვის ეს ორი უკანასკნელი ციფრი ყურადღების გარეშე რჩება და კატასტროფად ქართველების ზრდა მიაჩნდათ – 1989 წლის მოსახლეობის აღწერით ქართველები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 45,7%-ს, აფხაზები – 17,8%-ს, სომხები – 14,6%-ს, ხოლო რუსები – 14,3%-ს. ასეთი ვითარების მიზეზად მათ 40–50-იან წლებში აფხაზეთში ქართველების მასიური ჩასახლება მიაჩნდათ. ქართული მხარის მტკიცებით ამ პერიოდში აფხაზეთში ჩასახლებულ იქნა სულ 25 ათასი ქართველი (და არა 150–200 ათასი, როგორც აფხაზურ მხარეს მიაჩნია), საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან. ეს ღონისძიება განხორციელდა სსრკ-ს ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებით, რაც აფხაზეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებას ისახავდა მიზნად, დაკავშირებული იყო გამოუყენებული და დაჭაობებული მიწების ათვისებასთან და შესაბამისი რაოდენობის მუშა-ხელით უზრუნველყოფასთან. ქართველების გარდა სხვა ეროვნების (ძირითადად რუსები) მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნა ჩამოსახლებული და ასეთი ღონისძიებები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხორციელდებოდა (მაგალითად, ყამირი მიწების ათვისება). ისე, რომ აფხაზეთი გამონაკლისი არ ყოფილა. გარდა ამისა, 1989 წელს აფხაზეთში რომ არც ერთ ქართველს არ ეცხოვრა, აფხაზების ხვედრითი წილი ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 35%-ს მაინც არ ასცდებოდა. ასე, რომ ქართველების მიერ აფხაზეთის დემოგრაფიული ექსპანსია, ქართველი მხარის აზრით, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

შემდეგი პრეტენზია აფხაზების მხრიდან არის აფხაზური ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა 30-იანი წლების ბოლოს და აფხაზური სკოლების ქართულ სკოლებად გადაკეთება, რაც მათი აზრით, აფხაზების ძალდატანებით გაქართველებას ისახავდა მიზნად. ქართული მხარე ორივე ამ ბრალდებას უარყოფს. საქმე ისაა, რომ აფხაზურმა ანბანმა (შედგენილ იქნა 1892 წელს აფხაზი დ. გულიასა და ქართველი ი. მაჭავარიანის მიერ) რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. იგი ჯერ ქართულ,

შემდეგ – რუსულ, 20-იან წლებში – ლათინურ, 30-იან წლებში – კვლავ რუსულ გრაფიკაზე ფუნქციონირებდა. 1938 წელს იგი ისევ ქართულ დამწერლობაზე გადავიდა, როგორც საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის ენა. 1954 წლიდან კი (სტალინის სიკვდილისა და ბერიას დახვრეტის შემდეგ), ისევ სლავურ (რუსულ) გრაფიკაზეა და არავითარი პრეტენზია ქართველების მხრიდან, რომ აფხაზური დამწერლობა მაინცდამაინც ქართულად იყოს, არ ყოფილა.

რაც შეეხება აფხაზური სკოლების დახურვას და მათ ნაცვლად ქართულის გახსნას, ეს სერიოზული ბრალდებაა და ქართველების გამართლება ძნელი იქნებოდა ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ აფხაზური სკოლა ერქვა ისეთ სკოლას, სადაც დაწყებით კლასებში (I–4) სწავლა აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მაღალ კლასებში (V–X) აფხაზური ენა ისწავლებოდა როგორც საგანი, დანარჩენი საგნები – რუსულად. 1938 წლის მოსკოვის დადგენილებით სწავლება მთელს საბჭოთა კავშირში უნდა გადასულიყო რუსულ ან მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე. აფხაზური სკოლები დარჩნენ ისევე, როგორც იყვნენ. ე.ი. პირველ-მეოთხე კლასებში სწავლა აფხაზურ ენაზე, მეხუთე კლასიდან კი სწავლა ხდებოდა ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზური ენა დარჩა როგორც ცალკე საგანი. ამგვარად აფხაზური სკოლები კი არ დაუხურავთ, არამედ სწავლების ენა (ისიც მაღალ კლასებში) რუსულის ნაცვლად ქართული გახდა, ხოლო აფხაზების პრეტენზია, ფაქტიურად რუსულად სწავლების ქართულით შეცვლას შეეხებოდა (აფხაზურის სწავლება ისევე დარჩა როგორც მანამდე იყო). სხვათა შორის, რსფსრ-ს ავტონომიური რესპუბლიკები მასიურად გადავიდნენ რუსულად სწავლებაზე და ადგილობრივი ენები მხოლოდ საგნად დარჩა (ისიც უკეთეს შემთხვევაში, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრგან ადგილობრივი მოსახლეობის ენა საერთოდ არ ისწავლებოდა). ამ თვალსაზრისით აფხაზები ყველაზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთან შედარებით, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკა ჰქონდათ. ასე რომ, ძალდატანებით გაქართველებას ადგილი არ ჰქონია ნათლად ჩანს შემდეგ სტატისტიკურ მაჩვენებელში. 1989 წლის აღწერით ქართულ ენას ფლობდა აფხაზების მხოლოდ 1,9%, მაშინ როცა, რუსულს – 81,5% (საქართველოს მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მასალები). ამდენად თუ ასიმილაციაზეა

ლაპარაკი, აფხაზები ასიმილაციას რუსებისაგან განიცდიდნენ და არა ქართველებისაგან, მით უფრო, რომ ქართული ენა (საქართველოს სახელმწიფო ენა) აფხაზურ სკოლებში, 1954 წლის შემდეგ, საერთოდ აღარ ისწავლება.

საერთოდ, ქართული მხარის აზრით, აფხაზეთი რომ რუსეთის შემადგენლობაში ყოფილიყო აფხაზი ეთნოსი მთლიანად იქნებოდა ასიმილირებული რუსების მიერ და მშობლიური ენის მცოდნე აფხაზი სანთლით საძებარი იქნებოდა (რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად, რუსულად ლაპარაკობს და აზროვნებს). საქართველოს შემადგენლობაში ყოფნამ გადაარჩინა აფხაზები ასიმილაციას, მეტიც, ისინი ყველაზე პრივილეგირებული ხალხი იყო საბჭოთა კავშირში. კერძოდ, აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა იყო, სადაც ადგილობრივ ენას (აფხაზურს) სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. აფხაზი ეროვნების პირები პრივილეგიებით სარგებლობენ. მათ ეკავათ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა აფხაზეთში (მაშინ, როცა მოსახლეობის 17%-ს შეადგენდნენ), ჰქონდათ აფხაზური უნივერსიტეტი (თუმცა ეს წმინდა წყლის ფორმალობა იყო, რადგან ტერმინოლოგიისა და ტრადიციების უქონლობის გამო აფხაზურ ენაზე საუნივერსიტეტო საგნების სწავლება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ აფხაზურ სკოლებში მეხუთე კლასის ზევით ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლებოდა. ფაქტიურად, ეს რუსული უნივერსიტეტი იყო აფხაზი ეროვნების სტუდენტებისთვის). ჰქონდათ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია აფხაზურ ენაზე, ხოლო მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რაოდენობით, ისინი პირველ ადგილზე იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. „აფხაზობა“ სოციალური ფენა გახდა და ამდენად ზოგიერთი ქართველი (მეგრულ და აფხაზურ გვარებს მსგავსი დაბოლოებები აქვთ) აფხაზად იწერებოდა, რათა პირად კარიერაში წარმატებისათვის მიეღწია. ამდენად აფხაზების დისკრედიტაციას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ პირიქით, 50-იანი წლებიდან აფხაზეთში ჩამოყალიბდა ტიპური აპარტეიდული რეჟიმი – „ეთნოკრატია“ – აფხაზთა ეთნიკური ჯგუფის განუსაზღვრელი უფლებებით.

ქართველებისათვის სრულიად გაუგებარი იყო რა პრეტენზიები შეიძლება ჰქონოდათ აფხაზებს ქართველების მიმართ. ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ხომ არც ერთი ეთნო-

კური უმცირესობა არ ყოფილა მთელს მსოფლიოში. ხოლო თუ რაიმე დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი 30–40-იან წლებში, აქ ქართველები არაფერ შუაშია. ეს საბჭოთა რეჟიმის ბრალია (რომელიც ასე მოსწონდათ აფხაზებს) და ქართველი ხალხი ერთ-ერთი ყველაზე რეპრესირებული ხალხი იყო სსრკ-ში. ხოლო იმის მტკიცება, რომ სტალინი და ბერია ქართულ პოლიტიკას ატარებდნენ, — უბრალოდ სასაცილოა.

დღეს ბევრი ქართველისათვისაც უკვე აშკარაა, რომ დისკრიმინაცია არაფერ შუაშია. უბრალოდ აფხაზებს არ სურთ იყვნენ ეთნიკური უმცირესობა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში, თუნდაც იქ მათ წარმოუდგენელი პრივილეგიები ჰქონდეთ. ისინი სიამოვნებით გახდებიან რუსეთის ერთ-ერთი რესპუბლიკა, ან ჩრდილოეთ კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს ნაწილი (სხვათა შორის, დამოუკიდებლობის მოთხოვნა აფხაზებს არც ადრე ჰქონდათ და ახლაც ამ ლოზუნგს მხოლოდ საჭიროების მიხედვით თუ წამოაყენებენ ხოლმე), მაგრამ არავითარ შემთხვევაში — საქართველოს ნაწილი. ყველაზე დიდი, რაზეც შეიძლება ისინი დათანხმდნენ ეს არის საქართველო-აფხაზეთის კონფედერაცია ან საკავშირო სახელმწიფო, სადაც აფხაზეთს, როგორც სუბიექტს ექნება ფაქტიურად სრული დამოუკიდებლობა და კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება. ასე რომ, აფხაზური ნაციონალიზმი გამორიცხავს აფხაზეთის ყოფნას საქართველოს შემადგენლობაში და ამაში მას მხარს უჭერს (ფარულად მაინც) ოფიციალური რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

იგივე პრობლემაა სამხრეთ ოსეთში. ნამდვილად ძნელი იქნება, რომ ოსებმა რაიმე პრეტენზია გამოთქვან ქართველების მიმართ. სამხრეთ ოსეთში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა (ოთხი წელი სწავლა ოსურად, შემდეგ რუსულად, ოსური ენის როგორც საგნის სწავლებით. ქართული ენა ოსურ სკოლებში არ ისწავლებოდა), მაშინ როცა, ოსების ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთში — არც ერთი ოსური სკოლა არ იყო. ოსური კულტურაც ძირითადად სამხრეთ ოსეთში ვითარდებოდა და არა ჩრდილოეთ ოსეთში. ავტონომიური ოლქის ცენტრში, ქ. ცხინვალში, სადაც XIX საუკუნის ბოლოს არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა, 1989 წელს 41 ათასი მცხოვრებიდან 70% ოსი იყო. ამიტომ 1990 წელს ატეხილ კონფლიქტამდე ოსების მხრიდან ქართველების დადანაშაულებას დისკრიმინაციაში ადგილი არ ჰქონია. საქართველოდან გასვლის მოთხოვნამ

მხოლოდ მაშინ იჩინა თავი, როცა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა რეალური გახდა. ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში კი ოსებს ეროვნული უმცირესობის სტატუსი აშკარად არ აკმაყოფილებდათ. ამიტომ დადგა საკითხი ორი ოსეთის გაერთიანებისა და ოსეთის რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის შესახებ. ოსეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა არც სამხრეთ და არც ჩრდილო ოსეთში არ ყოფილა. 1990–1992 წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტებმა საქართველოდან გასვლის ან უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს თანასწორი სტატუსის მოთხოვნა საქართველო-აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთ (და შეიძლება აჭარის) სამოკავშირეო სახელმწიფოში ჩამოაყალიბდა როგორც ოსური ნაციონალური პროექტი.

მიუხედავად აშკარა წინააღმდეგობისა, ერთი მხრივ ქართულ და, მეორე მხრივ, აფხაზურ ნაციონალურ პროექტებს შორის, ალბათ, შესაძლებელი იყო რაღაც საერთო ენა გამონახულიყო და საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მისულიყო. კონფლიქტი და მისი შედეგები ყველაზე უფრო ძნელად გადასალახავი დაბრკოლებაა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დაპირისპირების მოგვარების გზაზე. თითოეული მხარე, განსაკუთრებით უცხოელებთან საუბარში, გულმოდგინეთ უსვამს ხაზს მოწინააღმდეგის ბარბაროსობასა და სისასტიკეს, რომლის პატიება არაფრით არ შეიძლება.

ქართულ-ოსური კონფლიქტი 1990 წელს დაიწყო, როცა საქართველო ჯერ ისევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რესპუბლიკის სათავეში რადიკალური ნაციონალისტური ბლოკი – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ მოვიდა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. თავის საჯარო განცხადებებში ზვიად გამსახურდია ხაზს უსვამდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შენარჩუნებული იქნებოდა, მიუხედავად მისი უკანონობისა. მაგრამ, როცა 1990 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთმა თავი რესპუბლიკად გამოაცხადა (თუმცა საქართველოდან გასვლაზე მაშინ ლაპარაკი არ ყოფილა, უბრალოდ სტატუსის აწევის სურვილი იყო საქართველოს შემადგენლობაში), საქართველოს ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი აღიქვა როგორც ეტაპი სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გასვლისა და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების გზაზე. რეაქცია სწრაფი და რადიკალური იყო. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი,

ხოლო ოლქის ცენტრში მილიციის შეიარაღებული ძალები შეიყვანა (საკუთარი ჯარი საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰყავდა). ბუნებრივია, ასეთ ნაბიჯს საპასუხო რეაქცია მოჰყვა ოსების მხრიდან, მოხდა პირველი შეტაკებები. ეს კი უკვე საკმარისი იყო შეიარაღებული კონფლიქტის გასაჩაღებლად. ოსების დასახმარებლად გამოჩნდნენ შეიარაღებული ბოევიკები ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან (მათ შორის ყოფილი სამხედრო ოფიცრები). ქართველებს კი საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული „მოხალისეები" შეუერთდნენ. დაპირისპირებულ მხარეთა „ბრძოლა" ძირითადად მნიშვნელოვანი მოსახლეობის ძარცვაში, სახლების გადაწვაში, მიტაცებაში და გამოსასყიდის მოთხოვნაში გამოიხატებოდა, რაც ერთმანეთის მიმართ სიძულვილსა და უნდობლობას უკიდურეს ზომამდე აღვივებდა. ორივე მხრიდან ისმოდა ხმები, რომ ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება. თუმცა თითოეული მხარე სხვადასხვანაირად ხედავდა ამის პერსპექტივას. ოსებისათვის ეს იყო სამხრეთ ოსეთის გამოსვლა საქართველოს შემადგენლობიდან, ქართველი მხარისათვის კი იმ ოსების საქართველოდან გადასახლება ვისაც არ აკმაყოფილებს კულტურული ავტონომიის სტატუსი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიგნით.

1992 წელს, როცა გამსახურდიას რეჟიმი დაემხო და საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ედუარდ შევარდნაძე მოვიდა, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც მან გადადგა სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტა და იქ სამმხრივი (ქართულ-ოსურ-რუსული) სამშვიდობო ჯარის ჩაყენება იყო. ამ ღონისძიების შემდეგ ოსი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც კონფლიქტის დროს ჩრდილოეთ ოსეთში იყო გახიზნული დაბრუნდა, მაგრამ საქართველოს სხვა რეგიონებიდან ლტოლვილი ოსები ან ჩრდილოეთ ოსეთში დარჩნენ, ან სამხრეთ ოსეთში გადასახლდნენ. ცხინვალის ქართველი მოსახლეობა ცხინვალში არ დაბრუნებულა. ამჟამად სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი დაკონსერვებულ მდგომარეობაშია. ქართველებს არ აღუდგენიათ სამხრეთ ოსეთის ავტონომია და არსად ოფიციალურ წყაროში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" არ იხმარება. ოსებმა კი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოაცხადეს, აირჩიეს პრეზიდენტი და პარლამენტი და თავს საქართველოსაგან სრულიად დამოუკიდებელ რესპუბლიკად თვლიან. თუმცა იგი არავის მიერ არ არის აღიარებული, ხოლო ის რაიონები, სადაც ქართველები კომპაქტურად არიან დასახ-

ლებულნი და უმრავლესობას შეადგენენ ცხინვალს არ ემორჩილება და თბილისის ხელისუფლების ქვეშ არის მოქცეული. რაიმე პროგრესი ქართულ-ოსური კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტას გზაზე ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

გაცილებით რთული და ძნელადგადასაჭრელია აფხაზეთის კონფლიქტი. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტისაგან განსხვავებით იგი მაშინ დაიწყო, როცა გამსახურდიას ნაციონალისტური მთავრობა უკვე დამხობილი იყო და საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ედუარდ შევარდნაძე (პიროვნება, რომელსაც დემოკრატიისა და ლიბერალი პოლიტიკოსის იმიჯი აქვს და ნაციონალისტს ვერაფრით ვერ უწოდებ) იდგა. ერთი შეხედვით გაუგებარია, როგორ დაუშვა შევარდნაძემ კონფლიქტის გაჩაღება, როცა სამხრეთ ოსეთის მაგალითი თვალწინ ჰქონდა და მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოში დაბრუნების შემდეგ იქ ცეცხლის შეწყვეტა იყო.

ჯერ კიდევ გამსახურდიას ხელისუფლების დროს აფხაზეთთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ აფხაზეთის პარლამენტი დაკომპლექტებულიყო კვოტების პრინციპით. ეთნიკურ აფხაზებს (მოსახლეობის 17,6%) პარლამენტში ექნებოდათ 28 ადგილი, ქართველებს (45,7%) – 26, ხოლო სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს (36,7%) – 11. ყველა კონსტიტუციური ცვლილება ხმების 2/3-ით უნდა გადაწყვეტილიყო. ამ პრინციპით იქნა არჩეული აფხაზეთის პარლამენტი.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ დროებითმა სამხედრო საბჭომ (ე. შევარდნაძე ჯერ არ იყო საქართველოში დაბრუნებული) აღადგინა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ამის საპასუხოდ აფხაზეთის პარლამენტმა ხმების უბრალო უმრავლესობით (ქართველმა დეპუტატებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და სხდომა დატოვეს) მიიღეს აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც თავის დროზე დაწუნებული იყო, როგორც „იურიდიული იდიოტიზმი“ (აფხაზეთის მაშინდელი კომუნისტური მთავრობის მეთაურის ნ. ლაკობას სიტყვებია) და არასოდეს არ შესულა ძალაში. ამ კონსტიტუციით აფხაზეთი ცალკე რესპუბლიკად ცხადდებოდა, რომელიც საქრთველოსთან ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ აძლევდა იგი ხელს აფხაზებს. იმ ფაქტს კი, რომ იგი ხმების უბრალო უმრავლესობით იქნა მიღებული, აფხაზებმა ერთობ ორიგინალური გამართლება მოუძებნეს: ხმების 2/3 ახალი კონსტიტუციის მიღებას სჭირდება და არა ძველის აღდგენასი.

მაგრამ კონფლიქტის გაჩაღებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა იმ სიტუაციამ, რაც აფხაზეთში შეიქმნა გამსახურდიას რეჟიმის დამხობის შემდეგ.

ზვიად გამსახურდიას განსაკუთრებული მხარდაჭერა სამეგრელოსა და აფხაზეთში ჰქონდა. ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ არ სცნო სამხედრო ძალით მოსული ხელისუფლება და მას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. მდგომარეობა არც შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ შეცვლილა, პირიქით, უფრო გამწვავდა და მისი ხელისუფლება ამ რეგიონში არალეგიტიმურად აღიქმებოდა. დაუმორჩილებლობამ აშკარა საბოტაჟისა და დივერსიების ფორმა მიიღო. განსაკუთრებით მასიური გახდა მატარებლების გაჩერება და ძარცვა, აგრეთვე, ახალი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების მოტაცება და მთავრობისადმი ულტიმატუმების წაყენება. წესრიგის დასამყარებლად სამეგრელოს რეგიონში თბილისმა შეიარაღებული ფორმირებები „მხედრიონი" გაგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვას მიჰყო ხელი. ამან კი ისე გაამწვავა ვითარება, რომ ფაქტიურად სამოქალაქო ომის დაწყებას ბევრი აღარაფერი უკლდა.

ეს სიტუაცია უაღრესად ხელსაყრელი იყო აფხაზი სეპარატისტებისათვის. როცა აფხაზეთის მეზობელი კუთხე, სამეგრელო ფაქტიურად ომის მდგომარეობაშია თბილისთან, როცა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უმრავლესობა არ ემორჩილება თბილისს და ბევრი მათგანი იგივეს მოითხოვს აფხაზეთის ხელისუფლებისაგან, უკეთესი მომენტი, სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად მართლაც ძნელი წარმოსადგენია. სწორედ „ლეგიტიმური ხელისუფლების ვაკუუმმა" (საქართველოს ახალი პარლამენტის არჩევნები 1992 წლის ოქტომბრისათვის იყო დანიშნული) მისცა საშუალება აფხაზებს მიეღოთ გადაწყვეტილება „ან ახლა, ან არასოდეს", მით უმეტეს რომ კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების (პირველ რიგში სამხედროების) მხარდაჭერა და ჩრდილო კავკასიელი მოსახლეობის აქტიური დახმარება მათ გარანტირებული ჰქონდათ.

პირველი ნაბიჯები რაც აფხაზეთის ხელისუფლებამ გადადგა იყო ქართველი თანამდებობის პირების გათავისუფლება და მათ ნაცვლად აფხაზების დანიშვნა. შექმნილი სიტუაციის გამო თბილისი აფხაზეთის ხელისუფლებას ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევდა. შემდეგ მოხდა უკვე ხსენებული კონსტიტუ-

ციის მიღება და სოხუმის გამოცხადება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქად. ფაქტიურად ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს თბილისს მოთმინების ფიალა ავსებოდა და შეიარაღებული გზით ეცადა წესრიგის დამყარება აფხაზეთში. მართლაც, მოვლენები სწორედ ასე წარიმართა.

კონფლიქტის საბაბი გახდა 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ძალების შესვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ოფიციალური ვერსიით ეს ნაბიჯი გადაიდგა რკინიგზის დაცვის მიზნით და ამის შესახებ წინასწარ ეცნობა აფხაზეთის ხელისუფლებას. აფხაზეთის მხარე კატეგორიულად უარყოფს, რომ მისი მხრიდან რაიმე თანხმობა არსებობდა ქართული ჯარის აფხაზეთში შესვლის შესახებ და ეს ნაბიჯი აღქმული იქნა როგორც აგრესია. ამიტომ ცეცხლი პირველად აფხაზურმა მხარემ გაუხსნა შემოჭრილ „აგრესორებს". იმავე დღეს გუდაუთაში არსებულ რუსული სამხედრო ბაზიდან აფხაზების მიერ გატაცებულ იქნა ათასზე მეტი ავტომატი (ქართული მხარე დარწმუნებულია, რომ რუსებმა თვითონ დაურიგეს აფხაზებს იარაღი, ხოლო სამხედრო ბაზაზე თავდასხმა მათ მიერვე იყო ინსპირირებული). კონფლიქტის აცილება უკვე შეუძლებელი გახდა.

აფხაზეთის ხელისუფლება გუდაუთაში გადავიდა, სადაც ეთნიკური აფხაზების ყველაზე დიდი კომპაქტური დასახლებაა. ერთი, რაც ქართველებმა გააკეთეს ის იყო, რომ გუდაუთის რაიონში და ოჩამჩირის რაიონის მთიან ნაწილში, სადაც აფხაზი მოსახლეობა იყო თავმოყრილი არ შესულან, რომ ეთნიკური დაპირისპირების საბაბი ნაკლები ყოფილიყო. მაგრამ სოხუმში შესვლისას, რომელიც აფხაზმა მოსახლეობამ მთლიანად დატოვა, აფხაზების სახლები მასიურად იქნა გაძარცული და გაქურდული (ამაში არა მარტო და არა იმდენად სამხედროები არიან დამნაშავე, რამდენადაც ადგილობრივი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები), ხოლო როცა აფხაზების სახლების ძარცვას მორჩნენ, ასევე აქტიურად გადავიდნენ ქართველების სახლების ძარცვაზეც. მოვლენების ასეთი განვითარება სრულიად მიუღებელი და წამგებიანი იყო ქართველებისათვის. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება შეეცადა რამენაირად გადაეჭრა ეს პრობლემა.

1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ ელცინი, შევარდნაძე და არძინბა,

აგრეთვე, აფხაზეთის პარლამენტის ქართული (ოპოზიციური) ფრაქციის ხელმძღვანელი ნადარეიშვილი და რუსეთის ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების (გარდა ჩეჩნეთისა) ხელმძღვანელები. ხელშეკრულება ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთის ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში, ცეცხლის შეწყვეტას და სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას. ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება უნდა დაშლილიყო და განიარაღებულიყო (ეს ფაქტიურად აფხაზურ მხარეს ეხებოდა, რადგან საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები სავსებით ლეგალური იყო). ხოლო აფხაზეთში ჯარების ის რაოდენობა უნდა დარჩენილიყო, რომელიც აუცილებელი იქნებოდა რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად.

ეს ხელშეკრულება სავსებით აკმაყოფილებდა ქართულ მხარეს და ფაქტიურად იმის მაქსიმუმს წარმოადგენდა რისი მიღწევაც შეიძლებოდა. მაგრამ სავსებით მიუღებელი იყო აფხაზური მხარისათვის და ფაქტიურად, აფხაზეთის საქართველოს პროვინციად აღიარებას ნიშნავდა. რაც მთავარია კონფლიქტის ასეთი დაბოლოება არაფრით არ აძლევდა ხელს რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის აღდგენას ან უკიდურეს შემთხვევაში რუსეთის საზღვრების გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. პირველ რიგში მიუღებელი იყო ეს სამხედრო ელიტისათვის, რომელთა უმრავლესობას საკუთარი აგარაკები ჰქონდათ აფხაზეთში და გარდა ამისა ოცნებად ჰქონდათ სამაგალითოდ დაესაჯათ საქართველო, როგორც „ბუნტარი“ რესპუბლიკა, განსაკუთრებით კი მისი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე, როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის, ევროპიდან და ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის და გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი. აქ ერთმანეთს დაემთხვა რუსი კომუნისტების, ნაციონალისტებისა, და თვით დემოკრატების (ეს უკანასკნელნი საქართველოს აღიქვამდნენ როგორც „მცირე იმპერიას“, რომელიც ავიწროებს და ჩაგრავს ეთნიკურ უმცირესობას) ინტერესები. ამასთანავე, რადგან რუსული პრესა ერთხმად ადანაშაულებდა საქართველოს უმცირესობის უფლებების დარღვევაში და დასავლეთის სამყაროს ინფორმაციის ძირითადი წყაროც რუსეთის მასმედია იყო, დასავლეთის ქვეყნების სიმპათიაც მცირერიცხოვანი, „ჩაგრული“ აფხაზი ხალხის მხარეზე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში, როგორც ჩანს, ელცინმა გადაწყვიტა არ გაელიზიანებინა სამხედროები და დაეთმო მათთვის.

1992 წლის 1 ოქტომბერს აფხაზურმა მხარემ, რომლის შეიარაღებული ფორმირებების 80%-ზე მეტს შეადგენდნენ ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკები, კაზაკები, რუსები, მუსლიმანი ფუნდამენტალისტები სირიიდან და თურქეთიდან, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრები უწევდნენ, განახორციელეს თავდასხმა ქალაქ გაგრაზე, აიღეს იგი და ამით უშუალოდ გავიდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე. ამდენად, აფხაზურმა მხარემ მიიღო შესაძლებლობა პირდაპირ მიეღო იარაღი და აღჭურვილობა რუსეთიდან რკინიგზისა და საავტომობილო გზების საშუალებით (მანამდე ამის საშუალება მხოლოდ ზღვითა და ავიაციით არსებობდა). გაგრის ქართული მოსახლეობა, რომელმაც გახიზვნა ვერ მოასწრო, ადგილზევე იქნა გაჟლეტილი. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა შემდგომში კარგად ცნობილი შამილ ბასაევი, რომელმაც მომზადება რუსულ სამხედრო ბაზებზე გაიარა და გაგრის აღებისათვის არძინბამ აფხაზეთის გმირის წოდება მიანიჭა.

გაგრის აღების შემდეგ ნათელი გახდა, რომ აფხაზური მხარე ბოლომდე იბრძოლებდა, რათა თავისი მიზნისათვის მიეღწია. რაკი კონფლიქტი უკვე გაჩაღებული იყო და მსოფლიო საზოგადოება ამაში ქართულ მხარეს ადანაშაულებდა, ხოლო ფინანსური და მატერიალური დახმარება, იარაღით მომარაგება და დაქირავებული სამხედრო ძალა საკმარისზე მეტი იყო, მიზნის მიღწევისათვის (საქართველოდან გამოყოფა) უკეთესი დრო და შესაძლებლობები ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა.

ასევე ქართული მხარისათვის აშკარა გახდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში მას გარდაუვალი დამარცხება ეწერა. ამის მრავალი მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, საქართველოს არ ჰყავდა არმია და მისი შეიარაღებული ძალები ყოველგვარ სამხედრო დისციპლინას მოკლებული, გამოუცდელი და მოუმზადებელი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, რომელთაგან ბევრი დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენელი იყო. ქართული საზოგადოება, ქართული მასმედია და ოფიციალური ხელისუფლებაც კი (პირადად შევარდნაძე) აფხაზეთის კონფლიქტს აღიქვამდნენ როგორც უაზრო და ძმათამკვლელ ომს, მაშინ როცა, აფხაზებისათვის ეს სამამულო, წმინდათაწმინდა ომი იყო და მის შედეგს უკავშირებდნენ აფხაზი ეთნოსის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ეკონომიკურად გაჩანაგებულ საქართველოს არავითარი მატერიალური საშუალება არ ჰქონდა ომი ეწარმოებინა მაშინ, როცა

აფხაზურ მხარეს მოსკოვი უხვად აფინანსებდა. ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მარტო და არა იმდენად აფხაზები, რამდენადაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები (ე.წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რომელმაც თავის დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა და როგორც შემდეგ გახდა ცნობილი რუსეთის სპეცსამსახურების შექმნილი ორგანიზაცია აღმოჩნდა). სამხედრო ოპერაციები მოსკოვში, გენერალურ შტაბში იგეგმებოდა და რუსი გენერლები და ოფიცრები გაცილებით გულმოდგინედ და მონდომებით იბრძოდნენ აფხაზეთში, ვიდრე ჩეჩნეთში. ხოლო, როცა რუსული მასმედია გადმოსცემდა „აფხაზური ავიაციის" მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ეს თვით რუსებში იწვევდა სიცილს, რადგან ყველასათვის ცხადი იყო ვის ავიაციაზე იყო ლაპარაკი. რუსეთის ასეთი აქტიური მხარდაჭერა სეპარატიზმისადმი იმდენად ლოგიკური და გაუგებარი იყო (როცა თვითონ რუსეთს თავის შემადგენლობაში 20-ზე მეტი ავტონომიური რესპუბლიკა ჰყავს), რომ ყოველთვის თავშეკავებულმა შევარდნაძემაც კი პირდაპირ გააფრთხილა „ეს მოქმედება ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკანო". ჩეჩნეთის ამბებმა ეს სავსებით დაადასტურა. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლმა ჩეჩენმა (საველე მეთაურებიდან) ბევრმა სამხედრო მომზადება რუსეთის სამხედრო ბაზებზე გაიარა, სანამ აფხაზეთში გაიგზავნებოდნენ ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არა თუ არ უბრძოლია აფხაზების წინააღმდეგ, არამედ ბევრი მათგანი მხარსაც კი უჭერდა მათ. ჩეჩნეთში ლტოლვილმა ექსპრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა თავის მომხრეებს ყველანაირი წინააღმდეგობა გაეწიათ შევარდნაძის რეჟიმისათვის. გამსახურდიას მომხრეები (ისინი კი უმრავლესობა იყვნენ აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში) დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ აფხაზები სოხუმს აიღებდნენ, შევარდნაძე იძულებული გახდებოდა გადამდგარიყო. ეს კი გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენას გამოიწვევდა. ამიტომ მათი გარკვეული ნაწილი სოხუმის აღებას ელოდა კიდეც.

საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა რამენაირად დაემთავრებინა ეს კონფლიქტი. შევარდნაძე ხშირად ლაპარაკობდა ომის ღირსეულად დამთავრებაზე და ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „გამარჯვება". იგი ბევრ დათმობაზე

წავიდა, თუმცა, ალბათ, თვითონაც არ სჯეროდა, რომ ამ დათმობების ხარჯზე რაიმე შედეგს მიიღებდა. 1993 წლის ივლისში დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორივე მხარის განიარაღებას და ქართული ჯარის აფხაზეთიდან გამოყვანას. ქართული საზოგადოება სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ამ ხელშეკრულებით საქართველოს მწარედ მოატყუებდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ ჩანდა. სექტემბერში ქართული ჯარის გამოყვანა და შეიარაღების გამოტანა აფხაზეთიდან ფაქტიურად დამთავრდა. ამავე პერიოდში გამსახურდია გროზნოდან საქართველოში დაბრუნდა და სამეგრელოში თავისი მომხრე შეიარაღებული ფორმირებით აფხაზეთისაკენ გზა გადაკეტა. 16 სექტემბერს კი აფხაზებმა მასირებული შტურმი დაიწყეს სოხუმზე. თერთმეტდღიანი ბრძოლების შედეგად სოხუმი დაეცა. აფხაზმა, რუსმა და ჩრდილოკავკასიელმა ბოევიკებმა ისეთი სისასტიკით დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა, რომ აფხაზეთის ქართველებისათვის აშკარა გახდა — მათი აფხაზეთში დარჩენა აღარ შეიძლებოდა (მიუხედავად იმისა გამსახურდიას მომხრენი იყვნენ თუ არა). აფხაზეთი ქართული მოსახლეობისაგან დაიცალა. საეჭვოა, რომ აფხაზებს კონფლიქტის დასაწყისში ეს განზრახვა ჰქონოდათ, მაგრამ შედეგი ასეთი იყო. ამით აფხაზებმა არა მარტო თავიანთ მიზანს მიაღწიეს (განთავისუფლდნენ თბილისის ხელისუფლებისაგან), არამედ ძირფესვიანად შეცვალეს აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურაც.

აფხაზეთის ომში დამარცხების შემდეგ შევარდნაძემ დიამეტრული შემობრუნება გააკეთა. საქართველო შევიდა დსთ-ში და დაეთანხმა თავის ტერიტორიაზე რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზა განელაგებინა. სამაგიეროდ რუსეთმა დახმარება გაუწია შევარდნაძეს 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მიმდინარე სამოქალაქო ომში და მისცა საშუალება დაემარცხებინა გამსახურდია. ეს უკანასკნელი იმავე წლის დეკემბრის ბოლოს დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში. ერთი ვერსიით მან თავი მოიკლა, მეორეს მიხედვით კი რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიშორეს თავიდან, რადგან მან თავისი მისია ამოწურა და უკვე აღარ სჭირდებოდათ.

ამრიგად, როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე განსაკუთრებით აფხაზეთის კონფლიქტები საქართველოსათვის კატასტროფით დამთავრდა. საქართველოს იურისდიქცია აღარ ვრცელდება აფხაზეთში (გარდა მდ. კოდორის ხეობის ზემო წელისა, სადაც

რამდენიმე ქართული, კერძოდ, სვანური სოფელი არ ემორჩილება სოხუმის ხელისუფლებას) და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში აფხაზეთიდან ლტოლვილი 200 ათასზე მეტი და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილი 15 ათასამდე კაცია. მათი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და სოციალურ აფეთქების საშიშროებას ქმნის. აფხაზეთის საზღვარზე რუსეთის სამშვიდობო ძალები და გაეროს მეთვალყურეები დგანან, ხოლო ცხინვალის რეგიონში სამმხრივი სამშვიდობო ძალები ეწევიან სამსახურს. გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოსა და დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილებებს ამ კონფლიქტების მოგვარების შესახებ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო საქართველოს იმედი, რომ დსთ-ში შესვლა და რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება ამ კონფლიქტებს გადაწყვეტდა – ტყუილი ოცნება გამოდგა.

## 12.3. ეთნოკონფლიქტების მოგვარების შესაძლო გზები

დღეს საქართველოში ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საბოლოო გადაჭრა ისეთი სახით, როგორიც ორივე დაპირისპირებულ მხარეს დააკმაყოფილებდა, თითქმის მიუღწეველი პრობლემაა. ილუზიაა, რომ რუსეთი ან საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო) მოაგვარებენ კონფლიქტს და აღადგენენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ძალიან ცოტას თუ დარჩა. ამიტომ, ქართველი პოლიტიკური საზოგადოება ცდილობს ახალი გზები ეძებოს აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენის გამოსანახავად.

პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის პოვნა, რომელიც დაეთანხმებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფას (ყოველ შემთხვევაში, ეს აშკარად არავის განუცხადებია). ამიტომ მთავარი წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ქართული და, მეორე მხრივ, აფხაზური და ოსური ნაციონალური პროექტების პრინციპული განსხვავებაა. მოკლედ, პრობლემის მოგვარების მთავარი პირობა ასეთია: ან ქართველები უნდა შეეგუონ რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველო არ არის და მათთან ურთიერთობა

როგორც მეზობელ ქვეყნებთან (ან მეზობელი ქვეყნის რეგიონებთან) ისე ააგონ, ან აფხაზებმა და ოსებმა უნდა აღიარონ, რომ მათი ტერიტორიები საქართველოს პროვინციებია და თავიანთი მოქმედება იქითკენ წარმართოს თუ რა მაქსიმალური ავტონომია შეიძლება მიიპოვინ საქართველოს შემადგენლობაში.

რასაკვირველია, არის უკიდურესი ექსტრემისტული მოწოდებები, რომლებიც კონფლიქტის გადაჭრისათვის თავის გზებს გვთავაზობენ. მაგალითად, აფხაზეთის ყოფილი ხელისუფლების ქართული ნაწილის ხელმძღვანელს თამაზ ნადარეიშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ძალით არის შესაძლებელი, რადგან არძინბას ხელისუფლებასთან ყოველგვარი მოლაპარაკება უაზრობაა. აფხაზეთის მხრიდან მართლაც შეიმჩნევა უკიდურესი რადიკალიზმი და ეს ომში გამარჯვების ეიფორიაა. დე ფაქტოდ აფხაზეთი საქართველოსაგან დამოუკიდებელია, ქართველი მოსახლეობა განდევნილია თავისი ტერიტორიიდან და რაკი აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა არავის მიერ არ არის აღიარებული, მის მმართველ ჯგუფს (რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აფხაზებისაგან შედგება) შეუზღუდავი უფლებები აქვს და რაც უნდა იმას აკეთებს. ასეთ პირობებში კი საეჭვოა აფხაზები რაიმე დათმობაზე წავიდნენ. მათ იმაზე გაცილებით მეტს მიაღწიეს, რაზეც ადრე მხოლოდ თუ ოცნებებდნენ.

დღევანდელ პირობებში შეიარაღებული გზით აფხაზეთის დაბრუნება უფრო ფანტაზიას განეკუთვნება, ვიდრე რეალობას. ჯერ ერთი, საქართველოს ისეთი ჯარი უნდა ჰყავდეს, რომ ორ-სამ დღეში მოახერხოს მთელი აფხაზეთის დამორჩილება და მსოფლიო უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს. ამის მიღწევა კი ქართულ შეიარაღებულ ძალებს, ალბათ მომავალშიც არ შეუძლიათ. მეორეც, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა აფხაზების, როგორც ეთნიკური უმცირესობის მხარეზე იქნება. ასეთ პირობებში კი მიღწეული გამარჯვების შენარჩუნებაც გაჭირდება. მსოფლიო საზოგადოებისათვის, რომელიც ნაკლებად იცნობს აფხაზეთის კონფლიქტს და ის ჩვეულებრივი უმრავლესობა-უმცირესობის ეთნიკურ კონფლიქტად მიაჩნია, სავსებით გაუგებარია ქართველების პრეტენზია აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე, რადგან უმცირესობის მიერ უმრავლესობის ეთნიკური წმენდა უპრეცენდენტო ამბავია, რომ

არაფერი ვთქვათ 100 ათასიან ხალხის მიერ 4 მილიონიანი ერის დამარცხებაზე. ეს უკანასკნელი ფაქტი აფხაზების მუდმივი სიამაყის საგანია, მაშინ როცა, ქართველებისთვის ეროვნული სირცხვილია და თავის გასამართლებლად მხოლოდ ერთი არგუმენტი რჩება: საქართველო აფხაზებმა კი არა, რუსეთმა დაამარცხა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საომარი მოქმედების განახლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრაქტიკულად გამორიცხულია, თუ რა თქმა უნდა რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

კონფლიქტის მოგვარებისათვის თავისი ვერსია აქვთ კომუნისტებს. რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს და მათ ქართველ კოლეგებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ეთნოკონფლიქტებისა და საერთოდ ყოველგვარი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მიზეზი საბჭოთა კავშირის დაშლაა. ამიტომ, განახლებული კავშირის შექმნა იქნება ის გარანტია, რომელიც საბოლოოდ გადაჭრის ყოველგვარ ეთნიკურ კონფლიქტს. მეტიც, ამ პრობლემის მოგვარება დღესვე შეიძლება. კერძოდ, რუსი კომუნისტები სთავაზობენ ქართველებს რუსეთთან კავშირში შესვლას (ბელორუსიის მსგავსად), რის სანაცვლოდ ყოველგვარი გართულების გარეშე პირდებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას. ფაქტიურად ეს ნიშნავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სუვერენიტეტის დაკარგვის საფასურად.

ერთი წუთით რომ დავუშვათ კიდეც მოვლენების ასე განვითარება, ისეთივე სურათს მივიღებთ, როგორსაც საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფორმალურად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ფაქტიურად კი მათ (ისევე როგორც მთელ საქართველოს) მოსკოვი მართავდა (ანუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა, ფიქტიური ტერიტორიული მთლიანობის საფასურად). ცხადია, ქართველები ამაზე არ წავლენ. საქართველოს ნამდვილადაც რომ დაუბრუნდეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ოღონდ ამის საფასურად შესთავაზონ დათმოს დამოუკიდებლობა, პასუხი ცალსახად უარყოფითი იქნება. დღეს ქართველების დიდი უმრავლესობისათვის სუვერენიტეტი უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რუს კომუნისტებს ძალიან გამარტივებულად წარმოუდგენიათ აფხაზეთისა და

სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ, რადგან აფხაზები და ოსები ყოველთვის მოსკოვის კარნახით მოქმედებდნენ და მოქმედებენ, უსიტყვოდ დაემორჩილებიან მათ და თანხმობას განაცხადებენ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე, თუ რუსეთი ამას მოითხოვს (მით უფრო, თუ საბჭოთა კავშირი აღდგება). სინამდვილეში საქმე გაცილებით რთულად არის. აფხაზები და ოსები იმიტომ მოქმედებენ რუსეთის მითითებების შესაბამისად, რომ ეს ემთხვევა მათ ნაციონალურ პროექტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ დაემორჩილებიან მათ (ყოველ შემთხვევაში, ნებაყოფლობით მაინც). შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანებში აფხაზები ალაპარაკდნენ დამოუკიდებლობაზე და არა რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე. ამაზე შეიძლება იმანაც იქონია გავლენა, რომ, როცა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მთავარი მტერი რუსეთია და მას ლანძღავენ, აფხაზები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და იძულებულნი არიან ამტკიცონ, რომ რუსეთი არც ისე ცუდია და ზოგჯერ მცირე ხალხებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ეხმარება, როგორც მან ეს გააკეთა აფხაზი ხალხის მიმართ ქართული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასევე საეჭვოა, რომ ოსებმა მორჩილად დაუკრან თავი რუსეთს და ქართულ-რუსულ გარიგებაში ხურდა ფულის როლში გამოვიდნენ (ნოდია, 1999).

ერთი სიტყვით, კონფლიქტის გადაწყვეტა შეიარაღებული გზით ან ახალი კავშირის შექმნით საფუძველს მოკლებულია.

მოკლედ განვიხილოთ რა შესაძლო გზები შეიძლება არსებობდეს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონფლიქტის გადაჭრას.

პირველი და უმთავრესი ჭეშმარიტებაა, რომ კონფლიქტები არასოდეს არ გადაიჭრება თუ დაპირისპირებული მხარეები კომპრომისზე არ წავლენ. დღეს კომპრომისისაკენ უფრო ქართველები იხრებიან, რადგან ისინი არიან ომში დამარცხებულნი და საქმის გაჭიანურება მათთვის უაღრესად წამგებიანია. მაგრამ უკიდურესი დათმობაც კი არ სცილდება ავტონომიის ფარგლებს. კერძოდ, ქართველები მზად არიან მისცენ აფხაზებს იმ ავტონომიური უფლებების მაქსიმუმი, რაც კი ცნობილია საერთაშორისო სამართალსა და პოლიტიკაში (და რისთვისაც, როგორც წესი, იბრძვიან ეროვნული უმცირესობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში). აფხაზებისათვის (და შეიძლება ითქვა ოსებისათვისაც) ეს საკმარისი არ არის: საქართველოსგან დამოუკიდებლობა და მასთან თანასწორუფლებიანობა — ეს არის

მათი მთავარი პრინციპი. ეს კი არაფრით არ ჯდება ქართულ ნაციონალურ პროექტში.

თეორიულად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაბოლოების შემდეგი ძირითადი ვარიანტები შეიძლება წარმოვიდგინოთ:

***პირველი ვარიანტი.*** აფხაზეთი იღებს სრულ დამოუკიდებლობას საქართველოსაგან. აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები ეგუებიან იმას, რომ ისინი ვეღარასოდეს დაბრუნდებიან აფხაზეთში. აფხაზებისათვისაც და ქართველებისათვისაც მეორეხარისხოვანია რა სტატუსი ექნება აფხაზეთს – იქნება ის დამოუკიდებელი ქვეყანა, რუსეთის ფედერაციის ნაწილი თუ ჩრდილოეთ კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს ნაწილი. მთავარია, რომ ის არ იქნება საქართველოს რეგიონი. ასეთი დასასრული სავსებით მისაღებია აფხაზებისათვის, მაგრამ სრულიად მიუღებელი ქართველებისათვის. ეს ნიშნავს, რომ მათ აღიარონ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა, უარი თქვან ლტოლვილთა დაბრუნებაზე და შეეგუონ სამარცხვინო მარცხს. საეჭვოა, რომ ეს ოდესმე მოხდეს და ამის ილუზია არც აფხაზებს არა აქვთ. კონფლიქტის ასეთი დაბოლოება არახელსაყრელია რუსეთისათვისაც (თუნდაც აფხაზეთი მის შემადგენლობაში შევიდეს), რადგან აფხაზეთის მიღების ხანაცვლოდ იგი მთლიანად კარგავს საქართველოს და შესაძლოა მთელ ამიერკავკასიასაც. ამიტომ ეს ვარიანტი ფაქტიურად გამორიცხულია.

***მეორე ვარიანტი.*** აფხაზეთი რჩება საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის უფლებით. ყველა იძულებით გადაადგილებული პირი ბრუნდება სახლში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს კონსტიტუცია და მასთან შესაბამისობაში მყოფი აფხაზეთის კონსტიტუცია. როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ენებს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე. კონფლიქტის ასეთი დაბოლოება სავსებით შეესაბამება ქართულ ნაციონალურ პროექტს, მაგრამ ძირეულად ეწინააღმდეგება აფხაზურს. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთმა დათმოს ომის შედეგად მიღებული უპირატესობა და უაზროდ ჩათვალოს ის მსხვერპლი, რაც ამ ომში გაიღო. ასეთ პირობებზე აფხაზები ნებაყოფლობით, ალბათ, არასოდეს დათანხმდებიან. გარდა ამისა ასეთი დაბოლოება არაფრით არ აძლევს ხელს რუსეთსაც. უაზრო გამოდის მისი მთელი ძალისხმევა აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაციაში

და თანაც ეკარგება ის ბერკეტი, რომლითაც მან შეიძლება მუდმივად იმოქმედოს საქართველოზე. კონფლიქტის დაბოლოების ეს ვარიანტი ძნელი წარმოსადგენია თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რაიმე სერიოზული ცვლილება არ მოხდა.

***მესამე ვარიანტი.*** აფხაზეთის ტერიტორია იყოფა აფხაზეთსა და საქართველოს შორის. აფხაზურ ნაწილში ხდება აფხაზების გადასახლება და ქართველების (თუ დარჩნენ) გამოსახლება. ხოლო ქართულ ნაწილში აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების ჩასახლება და აფხაზების გადასახლება აფხაზურ ნაწილში. ასეთი დაბოლოება მიუღებელია აფხაზებისათვისაც და ქართველებისათვისაც (და ასევე არაფრით არ აწყობს რუსეთსაც), მაგრამ მაინც ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება, ვიდრე პირველ ვარიანტს (ქართველების მხრიდან) და მეორე ვარიანტს (აფხაზების მხრიდან). იგი თავისებური და იძულებითი კომპრომისია და მისი ინციატორი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნებიან, თუკი შეუძლებლად ჩათვლიან სხვა რომელიმე ღონისძიების განხორციელებას (გარკვეულწილად აღნიშნული ვარიანტი იმეორებს ბოსნიის მაგალითს). ეს ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად მისაღები მოდელი შესაძლებელია იქცეს კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთ საშუალებად.

***მეოთხე ვარიანტი.*** აფხაზეთი ხდება დამოუკიდებელი სუვერენული აფხაზურ-ქართული სახელმწიფო. ქართველი ლტოლვილები ბრუნდებიან აფხაზეთში. ქართული ენა, აფხაზურთან ერთად, არის აფხაზეთის სახელმწიფო ენა. აფხაზეთის კონსტიტუცია უზრუნველყოფს ქართველების პროპორციულ წარმომადგენლობას ხელისუფლებაში. აფხაზეთსა და საქართველოს შორის არის თანასწორუფლებიანი და მეგობრული ურთიერთობა, უვიზო მიმოსვლა და ერთიანი საბაჟო სივრცე (დაახლოებით ბელგია-ლუქსემბურგის მსგავსად). ამასთანავე, აფხაზეთი ცხადდება ნეიტრალურ სახელმწიფოდ, სადაც არც ერთი უცხო ქვეყნის ჯარი არ დგას. ეს ვარიანტი შესაძლებელია ყველაზე მისაღები იყოს ქართველებისათვის და აფხაზებისათვისაც, ოღონდ მომავალ თაობებში, როცა ქართველებისათვის არ იქნება ტრაგედია აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და აფხაზებისთვის უბედურებად არ ჩაითვლება თუ აფხაზეთში ქართველების რაოდენობა აფხაზებზე მეტი იქნება და ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ექნება.

ჯერჯერობით კი ასეთ ვარიანტზე არც ქართველები და არც აფხაზები არ დათანხმდებიან. მაგრამ კონფლიქტის ასეთი დაბოლოება ყველაზე მიუღებელი რუსეთისათვის იქნება, რადგან იგი არა მარტო საქართველოს კარგავს აფხაზეთთან ერთად, არამედ იქმნება პრეცენდენტი, რომ ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკა ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო. ასეთი რესპუბლიკები კი რუსეთში 21-ია და ფაქტიურად რუსეთის დაშლას ნიშნავს. ამიტომ საფიქრებელია, რომ რუსეთი ყველანაირად შეეწინააღმდეგება ამ ვარიანტს მაშინც კი, თუ მას აფხაზებიც და ქართველებიც დათანხმდებიან.

***მეხუთე ვარიანტი.*** კონფლიქტი რჩება დაკონსერვებული იმ სახით როგორც დღეს არის. სამას ათასამდე დევნილი და ლტოლვილი, პარტიზანული მოძრაობა, ეკონომიკური კატასტროფა და უმძიმესი კრიმინალური მდგომარეობა. ეს ვარიანტი ყოვლად მიუღებელია აფხაზებისათვისაც და ქართველებისათვისაც. მაგრამ სრულიად მისაღებია რუსეთისათვის. ეს არის ერთადერთი ვარიანტი, როცა რუსეთი მთლიანად აკონტროლებს აფხაზეთს და თავის გავლენის ქვეშ ინარჩუნებს საქართველოს. კონფლიქტის გადაჭრის შემთხვევაში, რუსეთს ხელიდან ეცლება მძლავრი კოზირი, რომლის მეშვეობითაც იგი თავის ნებაზე ატარებს საქართველოს და ინარჩუნებს მას თავისი გავლენის სფეროში.

საკმაოდ რთული გადასაჭრელია ქართულ-ოსური კონფლიქტიც. ძნელი გასაზიარებელია ის აზრი, რომ აფხაზეთთან შედარებით სამხრეთ ოსეთის პრობლემა გაცილებით მარტივად გადაწყდება (როგორც ეს ქართველების უმრავლესობას მიაჩნია). ოსების შედარებით ლიბერალური ნაწილიც კი არ მალავს, რომ მათი საბოლოო მიზანი ორი ოსეთის გაერთიანებაა. თუმცა ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, ამბობენ, რომ ეს საკითხი ამჟამად არ დგას (რაც, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მომავალშიც არ დადგება). ჯერჯერობით კი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრაზეა ლაპარაკი, რომელიც, მათი აზრით, საქარველოს თანასწორი სუბიექტი უნდა იყოს მომავალ ფედერაციულ სახელმწიფოში.

ქართული ნაციონალური პროექტისათვის არა თუ საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფაა აბსოლუტურად წარმოუდგენელი, არამედ მიუღებელია რაიმე ოსური რესპუბლიკის არსებობაც კი საქართველოს შემადგენლობაში. მეტიც, ოსებისათვის ნებისმიერი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის

(თუნდაც ავტონომიური ოლქის) არსებობას ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუძლებლად მიიჩნევს. ოსები საქართველოში ოსეთიდან (იგულისხმება ჩრდილოეთ ოსეთი) მიგრირებული ხალხია და პოლიტიკური სტატუსის პრეტენზია თავიანთ ისტორიულ სამშობლოში უნდა ჰქონდეთ. საქართველოში ისინი ეთნიკური უმცირესობაა და მხოლოდ კულტურული ავტონომიის სტატუსს შეიძლება დასჯერდნენ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა საქართველოში იგივეა, რაც საფრანგეთში მცხოვრებმა მაროკოელებმა ჩრდილოეთ მაროკოს რესპუბლიკის შექმნა დააპირონ საფრანგეთის ტერიტორიაზე ან გერმანიაში მცხოვრებმა თურქებმა დასავლეთ თურქეთის რესპუბლიკის დაარსებისთვის დაიწყონ ბრძოლა.

ამით იხსნება ის ფაქტი, რომ გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გაუქმებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენაზე საქართველოს ხელისუფლებაში საჯაროდ ვერავინ ბედავს ლაპარაკს. თვით ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში ოფიციალურად არის უარყოფილი და ყოფილი ავტონომიური ოლქის აღსანიშნავად სხვადასხვა ცნებები (შიდა ქართლი, ცხინვალის რეგიონი ან სამაჩაბლო) იხმარება. ხოლო თუ მაინცდამაინც აუცილებელია სამხრეთ ოსეთის მოხსენიება მას ყოველთვის ურთავენ ეპითეტს „ეგრეთ წოდებული“. ქართული მხარის აზრით, არ შეიძლება საქართველოში ოსეთი იყოს, რადგან ეს ისეთივე აბსურდია როგორც მაგალითად, კორეა ამერიკაში. აქ დაახლოებით ისეთ პრეტენზიასთან გვაქვს საქმე, როგორიც საბერძნეთს გააჩნია იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის მაკედონიის მიმართ, მიაჩნია რა, რომ მაკედონია ძველი საბერძნეთის ნაწილია და ეს სახელი არ შეიძლება ერთ-ერთ სლავურ ქვეყანას ერქვას. შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი ზოგჯერ მოიხსენიება როგორც პოლიტიკურ-ტერმინილოგიური კონფლიქტი.

ასეთი სერიოზული წინააღმდეგობების პირობებში აშკარაა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაჭრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. როგორც ჩანს, ორივე მხარეს მოუწევს სერიოზულ დათმობებზე წასვლა. ქართველები უნდა შეეგუონ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის არსებობას საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტისა, ოსებმა კი თავი უნდა დაანებონ საქართველოდან გასვლისა და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებაზე ოცნებას. ნებისმიერი სხვაგვარი გადაწყვეტა მიუღებელი იქნება ერთ-

ერთი მხარისათვის და ამდენად, კონფლიქტიც გადაუჭრელი დარჩება. რაც შეეხება „ტერმინოლოგიურ" დაპირისპირებას, აქაც საჭირო იქნება კომპრომისული გადაწყვეტილება. კერძოდ, ქართველებს ვერავინ დაავალდებულებს, რომ მაინცდამაინც სამხრეთ ოსეთს უწოდებდნენ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, ისევე როგორც ოსებს ვერავინ აუკრძალავს, რომ მას სწორედ სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებდნენ. სხვათა შორის ასეთი პრეცენდენტი არსებობს. იტალიის შემადგენლობაში მყოფი ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება იტალიელებისათვის ალტო-ადიჯეა, მაშინ, როცა ადგილობრივი გერმანულენოვანი მოსახლეობა მას სამხრეთ ტიროლს უწოდებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დაბრკოლება. თუ ქართულ-ოსური კონფლიქტი ასეთი სახით გადაიჭრება, თავს იჩენს ისეთი სიძნელე, რომელიც სერიოზულად აშფოთებს ქართულ საზოგადოებას. კერძოდ, საქართველო უშვებს პრეცედენტს, რომ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ავტონომიას აძლევს ხალხს, რომელსაც ისტორიული სამშობლო საქართველოს საზღვრებს გარეთ აქვს. ეს კი აუცილებლად გამოიწვევს იგივე მოთხოვნას სხვა ეთნიკური უმცირესობების მხრიდან. კერძოდ, აუცილებლად დადგება კითხვა: თუ 60 ათას ოსს აქვს უფლება ჰქონდეს ტერიტორიული ავტონომია შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მაშინ, რატომ არ უნდა ჰქონდეს ასეთივე ავტონომია 120 ათას სომეხს, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ჯავახეთში და 250 ათას აზერბაიჯანელს, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქვემო ქართლში. ოსური, სომხური და აზერბაიჯანული პოლიტიკური ავტონომიები კი სერიოზული პრობლემა იქნება საქართველოს ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე. ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც საქართველოს ხელისუფლება ვერ ბედავს ალადგინოს სამხრეთ ოსეთის ავტონომია.

როგორც ვხედავთ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარება იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად არიან მზად მოწინააღმდეგე მხარეები წავიდნენ კომპრომისებზე და ერთმანეთისათვის მისაღები წინადადებები შეიმუშაონ. ჯერჯერობით ასეთი სურვილი ნაკლებად შეიმჩნევა და ამიტომ კონფლიქტი გაჭიანურებულ, დაკონსერვებულ სახეს იღებს. საომარი მოქმედება შეჩერებულია და ერთი შეხედვით მშვიდობიანი ვითარებაა, მაგრამ ეს, ალბათ, ისეთი მშვიდობაა, რომელზედაც თავის დროზე თქვა ბერტოლდ ბრეხტმა: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ".

## კითხვები და დავალებები:

1. რა ძირითადი დამახასითებელი ნიშნებით გამოირჩევა ქართული ნაციონალიზმი?
2. მოკლედ დაახასიათეთ თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის პირველი ეტაპი (80-იანი წლების მეორე ნახევარი).
3. რა ძირითად მოთხოვნებს აყენებდა ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში?
4. რა ძირითადი განსხვავება იყო ქართულ და ეთნიკურ უმცირესობათა (აფხაზურ და ოსურ) ნაციონალურ პროექტებს შორის?
5. რაში ხედავდა ზვიად გამსახურდია საქართველოს სულიერ მისიას?
6. რა ანტიგლობალისტურ მოთხოვნებს აყენებს თანამედროვე ქართული ეთნიკური ნაციონალიზმი?
7. რა პრეტენზიებს აყენებდნენ აფხაზები და ოსები ქართველების მიმართ?
8. რა იყო ქართველების კონტრარგუმენტები აფხაზებისა და ოსების მიმართ?
9. როგორ დაიწყო და წარიმართა ქართულ-ოსური კონფლიქტი?
10. მოკლედ აღწერეთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმდინარეობა.
11. რა ძირითადი შესაძლო სცენარები არსებობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების გზაზე?
12. რა სიძნელეები ეღობება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას.

## ლიტერატურა


1. ყორანაშვილი გ., ეროვნული საკითხი. თბილისი, 1997, გვ. 187–260.
2. ჭელიძე მ., ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 2002, გვ. 258–322.
3. გამსახურდია ზ., წერილები. ესსეები. თბილისი, ხელოვნება. 1991, გვ. 191–227.

4. კოსტავა მ., ფიქრები საქართველოს მისიაზე. გამომცემლობა საქართველო. თბილისი, 1991, გვ. 5–25.
5. ბაქრაძე ა., დაწუნებული გზა. თბილისი, 1995, გვ. 3–56.
6. ნოდია გ., კონფლიქტი აფხაზეთში. – მიზეზები და გააზრება. თბილისი, 1999, გვ. 3–74.

## ლიტერატურა

ბაქრაძე ა. დაწუნებული გზა. თბილისი., „სარანგი“, 1995.
ბერძენიშვილი ა. პოლიტიკის სოციოლოგია. თბილისი, 2000.
გამსახურდია ზ. წერილები, ესსეები. თბილისი „ხელოვნება“, 1991.
გოგებაშვილი ი. რჩეული პედაგოგიური თხზულებები. თბილისი, 1977.
დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თარგმანი რუსულიდან. თბილისი, „მთაწმინდელი“, 1999.
ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987.
კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1996.
კოდუა ე. სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2001.
კოდუა ე. ეთნოსოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2002.
კოსტავა მ. ფიქრები საქართველოს მისიაზე. „საქართველო“, თბილისი, 1991.
მაცაბერიძე მ. გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები. თბილისი, 1998.
ნათაძე ნ. ერი და ეროვნული კულტურა. თბილისი, „მეცნიერება“, 1988.
ნიკოლაძე ნ. მამულის სიყვარული და მსახურება. თხზულებანი, ტომი VII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1985.
ნოდია გ. კონფლიქტი აფხაზეთში, მიზეზები და გააზრება. თბილისი, 1999.

ქორდანია ნ. რჩეული ნაწერები. თბილისი, 1990.
რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი, 1996.
სტალინი ი. მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თხზულებანი, ტომი II, თბილისი, 1947.
ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი, 1999.
ყორანაშვილი გ. ეროვნული საკითხი. თბილისი, 1991.
წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1990.
ჭავჭავაძე ი. თხზულებანი თბილისი „საბჭოთა საქართველო“, 1984.
ჭელიძე მ. ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2002.
ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი, 1996.
ჯორჯაძე ა. სამშობლო და მამულიშვილობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1990.
ჰანტინგტონი ს. პოლიტიკური სტატიები. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 2001.

Арон Р. Демократия и тоталитаризм. Москва, 1993.
Бек У. Что такое глобализация? Перевод с немецкого. Прогресс – Традиция. Москва, 2001.
Брук С.И. Население мира. Этнодемографический справочник. Москва , „Наука“, 1986.
Владимиров А.О. О войнах третьего тысячелетия (цивилизационный аспект). Журнал „Власть“. № 2, 2001.
Гумилев Л.Н. Ритмы Евразии: эпохи и цивилизации. Москва. Экопрос. 1993. Дипломатический словарь. Москва, 1985.
Жоржолиани Г. Исторические и политические корни конфликта в Абхазии (Грузия). Тбилиси, „Мецниереба“, 2000.
Козинг А. Нация в истории и современности. Москва, 1978.
Кукулка Ю. Проблемы теории международных отношений. Москва, 1980.
Ленинизм и национальный вопрос в современных условиях. Москва, 1974.
Общая теория права и государства. Под редакцией В.В.Лазарева. Москва, 1996.

Пигачев В.П. Соловьев А.И. Введение в политологию. Москва,1996.
Поздняков Э.А. Философия политики. т.т. 1–2. Москва, 1994.
Словарь русского языка. Составил С.И.Ожегов. Москва, 1952.
Советский энциклопедический словарь. Москва,1985.
Солоневич И.Л. Народная империя. Москва, 1991.
Сталин И.В. Сочинения. Т. 11. Москва, 1950.
Тихонравов Ю.В. Геополитика. Москва, 1998.
Тобин. Глобальная экономика: кто у руля? Журнал „Проблемы теории и практики управления“,1999, № 1.
Трубецкой Н.С. Записка о народах Кавказа. Журнал „Политика“, 1993, № 3.
Удовик С.Л. Глобализация: семиотические подходы. Киев, 2002.
Федотов Г.П. Судьба и грехи России. В 2-х томах. Москва, 1992.
Цыганков П.А. Международные отношения. Москва,1996.
Чебоксаров Н.Н., Чебоксарова И.А. Народы, расы, культуры. Москва, „Наука“, 1985.

Albrow· M.–Introduction in „Globalization: Knowledge and Society“. London: Sage, 1990.
Albrow M. – The Global Age. Cambridge. Polity Press, 1996.
Anderson B. – Imagined Communities: Reflections on the Origins and Spread of Nationalism. Second Edition. London, Verso, 1991.
Armstrong J. – Nations Before Nationalism. Chapel Hill. University of North Carolina Press, 1982.
Aron R. – Paix et guerre entre les nations. Paris, 1984.
Barber B. – Jihad versus McWorld. New-York. Ballantine Books. 1995.
Baubock R. – Transnational Citizenship – Membership and Rights in International Migration. London: Edward Elgar, 1994.
Bauer O. – The Nation. in „Mapping the Nation“ Ed. by G. Balakrishnan. London. Verso. 1996. p. 39–77.
Baum M. – An Imperfect Union – The Maastricht Treaty and the New Politics of European Integration. Oxford. Westview 1996.
Baycroft T. – Nationalism in Europe 1789–1945. Cambridge. Cambridge University Press, 1998.
Baylis J. Smith S. (Ed) – The Globalization of World Politics. Second Edition. Oxford, Oxford University Press, 2001.
Becoming National. A reader. Ed. by G. Eley and R. G. Suny. New-York and Oxford, Oxford University Press,1996.

Bell-Fialkoff A. – Ethnic Cleansing. New-York. St. Martin's Griffin, 1999.
Billing M. – Banal Nationalism. London: Sage, 1995.
Bloom W. – Personal Identity, National Identity and International Relations. Cambridge: Cambridge University Press, 1990.
Brass P.R. – Ethnicity and Nationalism: Theory and Comparison. New Delhi and Newbury Park: Sage 1991.
Braud Ph. – La science politique. Paris, 1992.
Breuilly J. – Nationalism and the State. Second Edition. Manchester. Manchester University Press, 1993.
Brubaker R. – Nationalism Reformed: Nationhood and the National Question in the New Europe. Cambridge. Cambridge University Press. 1996.
Bull H. – The Anarchical Society. A Study of Order in World Politics. London. Macmillan, 1977.
Burton J. – World Society. Cambridge. Cambridge University, Press 1972.
Calhoun C. – Nationalism. Buckingham. Open University Press, 1997.
Carr E. – Nationalism and After. London. Macmillan, 1945.
Chomsky N. – World Order, Old and New. London. Pluto Press, 1994.
Clark J. – Globalization and Fragmentation: International Relations in the Twentieth Century. Oxford, Oxford University Press, 1997.
Clark J. – Globalization and International Relations Theory. Oxford. Oxford University Press. 1999.
Cohen R. – Global Diasporas: An Introduction. London: UCL Press, 1997.
Cohen S. J. – Geography and Politics in a Divided World. New-York. 1973.
Cohen S.J. – Politics Without a Past: The Absence of History in Postcommunist Nationalism. Durham, NJ. Duke University Press. 1999.
Concise Oxford Dictionary of Politics. New-York, Oxford. Oxford University Press, 1996.
Connor W. – Ethnonationalism: The Question for Understanding, Princeton. Princeton University Press, 1994.
Cooper R. – The Economics of Interdependence. New-York. McGraw Hill, 1968.

Cox R. – Approach to World Order. Cambridge. Cambridge University Press, 1996.

Cox M. – International History Since 1989. in Baylis J, Smith S (Ed) The Globalization of World Politics. Second Edition. Oxford University Press. 2001, p. 111–137.

Crump A. – The A to Z of World Development. Oxford. Oxford University Press, 1998.

Delanty G. – Citizenship in a Global Age. Philadelphia. Open University Press, 2000.

Delanty G., O'Mahony P. – Nationalism and Social Theory. London. Sage, 2002.

Deutsch K. – Nationalism and Social Communication: An Inquire into the Foundation of Nationality. New-York, 1965.

Eller J. D., Coughlan R.M. – The Poverty of Primordialism: The Demystification of Ethnic Attachment. In „Ethnic and Racial Studies" 16 (2) 1993, p. 183–201.

Encyclopedia of Nationalism By L. Snyder. Chicago and London. St. James Press. 1990.

Ethnicity. Edited by J. Hutchinson and A. Smith. Oxford and New-York. Oxford University Press, 1996.

Geertz C. – The Interpretation of Cultures: Selected Essays. London, Fontana, 1973.

Gellner E. – Thought and Change. London. Weidenfeld and Nicolson, 1964.

Gellner E. – Nations and Nationalism. Ithaca, New-York. Cornell University Press, 1983.

Gellner E. – Encounter with Nationalism. Oxford, Blackwell. 1995.

Gellner E. – Nationalism. New-York. New-York University Press, 1997.

Giddens A. – The Consequences of Modernity. Cambridge and Stanford, 1990.

Giddens A. – Runaway World. London. Profile, 1999.

Goldstein J. – International Relations. Second Edition. New -York. Harpers Collins College Publishers, 1996.

Goodman J. – The European Union: Reconstituting Democracy Beyond the Nation-State. In McGrew A. (Ed) The Transformation of Democracy? Cambridge. Polity Press, 1997.

Gottlieb G. – Nation Against State. A New Approach to Ethnic Conflicts and the decline of Sovereignty. New-York, 1993.

Greenfield L. – Nationalism: Five Roads to Modernity. Cambridge, Mass. Harvard University Press, 1992.

Guibernau M. – Nationalism: The Nation-State and Nationalism in the Twentieth Century. Cambridge. Polity Press. 1996.

Guibernau M. – Nations Without States. Cambridge. Polity Press, 1999.

Gurr T. R. – Peoples Versus States. Minorities at Risk in the New Century. Washington D.C. US Institute of Peace Press, 2000.

Gurr T.R., Harff B. – Ethnic Conflict in World Politics. , Boulder, San Francisco Oxford. Westview Press, 1994.

Habermas J. – Citizenship and National Identity – Some Reflections on the Future of Europe In " Praxis International" , 12 (1), 1992.

Habermas J. – The Postnational Constellation. Cambridge. Polity, 2001.

Halliday F. – Nationalism. In Baylis J. Smith S. (Ed) The Globalization of World Politics. Oxford University Press, 2001. p. 440–455.

Hannum H. – Autonomy, Sovereignty and Self-Determination. Philadelphia. University of Pennsylvania Press, 1992.

Hastings A. – The Construction of Nationhood: Ethnicity, Religion and Nationalism. Cambridge. Cambridge University Press, 1997.

Hayes C. J. H. – Essays on Nationalism. New- York, 1926.

Hayes C. J. H. – The Historical Evolution Of Modern Nationalism. Second Edition. New- York, 1955.

Hayes C. J. H – Nationalism: A Religion. New-York. The Macmillan Company, 1960.

Hechter M. – Internal Colonialism: The Celtic Fringe in British National Development, 1536–1966. London and Henley. Routledge and Kegan Paul, 1975.

Held D. – Democracy and the Global Order: From the Modern State to Cosmopolitan Governance. Cambridge. Cambridge Polity Press, 1995.

Held D, McGrew A., Goldblatt D., Perraton G. – Global Transformation. Cambridge. Polity Press, 1999.

Held D., McGrew A. – The Global Transformation. Reader. Oxford, Blackwell, 2000.

Hirst P., Thompson G. – Globalization in Question: The International Economy and The Possibilities of Governance. Cambridge. Polity Press, 1996.

Hobsbawm E. J. – Nations and Nationalism Since 1780: Program, Myth, Reality. Cambridge, Cambridge University Press, 1990.

Hobsbawm E. J. and Ranger T. (Ed) The Invention of Traditions. Cambridge. Cambridge University Press, 1983.

Holton R. – Globalization and the Nation-State. New-York. Palgrave, 1998.

Hroch M. – Social Preconditions of National Revival in Europe. Cambridge. Cambridge University Press, 1985.

Hutchinson J. – The Dynamics of Cultural Nationalism. London. Harper collins Publishers Limited, 1987.

Hutchinson J. – Modern Nationalism. London, Fontana, 1994.

Huntington S. – The Clash of Civilizations and Remaking of World Politics. New-York Simon and Schuster, 1996.

Inegalites entre Etats dans le systeme international. Laval, 1975.

Kaplan R. – The Coming Anarchy. In „The Atlantic Monthly", 1994.

Kedourie E. – Nationalism in Asia and Africa. London. Weidenfeld and Nicolson, 1971.

Kedourie E. – Nationalism. 4-th Edition. Oxford. Blackwell, 1994.

Kegeley C., Wittkopf E. – World Politics. 8-th Edition. Boston and New-York, 2001.

Kohn H. – The Idea of Nationalism: A Study of Its Origin and Backgrounds. New-York, 1944.

Kohn H. – Nationalism: Its Meaning and History. Princeton NJ, 1955.

Kellas J. G. – The Politics of Nationalism and Ethnicity. Second Edition. New-York, St. Martin's Press, 1998.

Kennedy P. – The Rise and Fall of the Great Power. New-York. Random House, 1987.

Keohane R., Nye J. – Power and Interdependence. World Politics in Transition. Boston, Little Brown, 1977.

Lijphart A. – Democracy in Plural Societies – A Comparative Exploration. New Heaven CT. Yale University Press, 1977.

Linklater A. – The Transformation of Political Community: Ethical Foundation of the Post-Westphalian Era. Cambridge, Polity Press, 1998.

Llobera J. R. – The God of Modernity: The Development of Nationalism in Western Europe. Oxford and Providence, 1994.

Loard E. – International Society. London, 1991.

Mayall J. – Nationalism and International Society. Cambridge. Cambridge University Press, 1990.

McCrone D. – The Sociology of Nationalism. London. Routledge, 1998.

Mearsheimer J. – Back to the Future: Instability After the Cold War. In „International Security" 19 (3), 1990, p. 5–56.

McLuhan M. – Understanding Media. London, Routledge, 1964.
Mill J. S. – Nationality. In „Nationalism in Europe", 1815 to the Present: A Reader. London and New -York, Routledge, 1996.
Modelski G. – Principles of World Politics. New -York, Free Press, 1972.
Morgenthau H. J. – Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. New -York, Alfred A Knopf, 1948.
Morse E. – Modernization and the Transformation of International Relations. New-York. Free Press, 1976.
Nairn T. – The Break-up of Britain: Crisis and Neo-Nationalism. Second Edition. London, Verso, 1981.
Nairn T. – Faces of Nationalism. Janus Revisited. London, Verso,1997.
Nationalism and Internationalism in the Post-Cold War Era. Ed. by K. Goldman, U. Hannerz, C. Westin. London and New-York, 2000.
Nationalism, Ethnic Conflict and Democracy. Baltimore and London. The Johns Hopkins University Press, 1994.
Nationalism. Edited by J. Hutchinson and A. Smith. Oxford and New - York, Oxford University Press, 1994.
Nations and Nationalism. A Quarterly Revue.
Nimni E. – Marxism and Nationalism. Theoretical Origins of a Political Crisis. London. Pluto, 1991.
Nodia G. – Nationalism and Democracy. In „Nationalism, Ethnic Conflict and Democracy." Baltimore and London. The Johns Hopkins University Press, 1994.
O'Brien R. – Global Financial Integration. The End of Geography. New- York, 1992.
Ohmae K. – The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. London. Fontana, 1990.
Ohmae K. – The End of the Nation-State: The Rise of Regional Economies. New -York, Free Press, 1995.
Ozkirimli U. – Theories of Nationalism. A Critical Introduction. London, Macmillan Press LTD, 2000.
Papp D.S. – Contemporary International Relations. Frameworks for Understanding. 4-th Edition. New-York and Toronto, Macmillan College Publishing Company, 1994.
Penguin Dictionary of International Relations. By G. Evans and J. Newnham. London and New-York. Penguin Books, 1998.
Perkins D. – A History of the Monroe Doctrine. Boston, 1955.
Pfaf W. – The Wrath of Nations. Civilization and the furies of Nationalism. New-York, Simon and Schuster, 1993.

Potter D., Goldblatt D., Kiloh M., Lewis P. – Democratization. Cambridge. Polity Press, 1997.
Robertson A. – Globalization: Social Theory and Global Culture. London, Sage, 1992.
Rosenau J. – Turbulence in World Politics. Brighton. Harvester Wheatsheaf, 1990.
Rosenau J. – Along the Domestic-Foreign Frontier. Cambridge, Cambridge University Press, 1997.
Rostow W. – The Stages of Economic Growth. A Non-Communist Manifesto. London, 1960.
Rourke J. T. – International Politics on the World Stage. 4-th Edition. Guilford CT. DPG, 1993.
Sabanadze N. – Globalization and Nationalism. (Unpublished article).
Scholte J. A. – Globalization. A Critical Introduction. New-York. Palgrave, 2000.
Scholte J. A. – The Globalization of World Politics. In Baylis G. and Smith S. (Ed) „The Globalization of World Politics" Second Edition. Oxford University Press, 2001.
Seton-Watson H. – Nations and States. London. Methuen, 1977.
Shafer B. C. – Nationalism. Myth and Reality. New-York, 1955.
Singer M. Wildawsky A. – The Real World Order: Zones of Peace, Zone of Turmoil. New Jersey. Chatham House Publishers, 1993.
Smith A. D. – Theories of Nationalism. Second Edition. London, Duck-Worth, 1983.
Smith A. D. – National Identity. London, Penguin, 1991.
Smith A. D. – The Ethnic Origins of Nations. Second Edition. Oxford and Cambridge (Mass). Blackwell, 1993.
Smith A. D. – Nations and Nationalism in a Global Era. Cambridge. Polity Press, 1995.
Smith A. D. – Nationalism and Modernism. London, Rutledge, 1998.
Snyder L. – The Meaning of Nationalism. New Brunswick . Rutgers University Press, 1954.
Snyder L. – The New Nationalism. Ithaca, New-York. Cornel University Press, 1968.
Snyder L. – Varieties of Nationalism: A Comparative Study. New - York. Holt Rinehart and Winston, 1976.
Snyder L. – Global Mini-Nationalism: Autonomy or Independence. Westport and London. Greenwood Press, 1982.

Snyder L. – Macro-Nationalism. A History of the Pan-Movements. Westport and London. Greenwood Press, 1984.
Spanier J., Wendzel R. – Games Nations Play. 9-th Edition. Washington D.C. CQ Press, 1999.
Spencer P., Wollman H. – Nationalism. A Critical Introduction. London Sage Publication, 2002.
The State of Indigenous People. Washington D.C. Olympia, 2000.
Strousz-Hupe R. – Geopolitics. The Struggle for Space and Power. New-York, 1942.
Symmons-Symonolewicz K. – Nationalist Movements: A Comparative View. Meadville PA, 1970.
Tilley V. – The Terms of the Debates: Untangling Language about Ethnicity and Ethnic Movements. In "Ethnic and Racial Studies" 20 (3), 1997.
Tooze R. – International Political Economy in an Age of Globalization. In Baylis J. and Smith S. (Ed) "The Globalization of World Politics" Oxford University Press,1997.
Toynbee A. – A Study of History. New-York and Oxford. Oxford University Press, 1974.
Van den Berghe P. – Race and Ethnicity: A Sociobiological Perspective. In „Ethnic and Racial Studies". 1978, 1(4).
Van den Berghe P. – The Ethnic Phenomenon. New-York. Elsevier, 1979.
Waltz K. – Theory of International Politics. New-York, 1979.
Webster's New International Dictionary. New-York, 1996.
Woods N. – International Political Economy in an Age of Globalization. In Baylis J. and Smith S. (Ed) „the Globalization of World Politics" Second Edition. Oxford University Press, 2001.
World Tourist Organization 1997. Statistics, Madrid.
Wright Q. – The Study of International Relations. New-York, 1955.

WWW.Nationalism.org.
WWW.lse.ac.uk/collection/ASEN/nat.nationalism.htm
WWW.scholiast.org./nations/
WWW.nationalismproject.org
WWW.russ.ru/antolog/predely/4
WWW.csgr.org.
WWW.focusweb.org
WWW.arts.deakin.edu.au/IR/community
http://web.inter.nl.net/users/Paul.Treanor/world.nation.html
http://web. inter.nl.net/users/Paul.Treanor/plana.html.

ზურაბ დავითაშვილი

# ნაციონალიზმი და გლობალიზაცია


თბილისი
„მეცნიერება"
2003

ენობრივი რედაქტორი: ლ. კაჭარავა
გამომცემლობის რედაქტორი: ლ. გელოვანი
ტექრედაქტორი: ნ. ოქუჯავა
კორექტორი: ა. გოგეშვილი, ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 23.12.2002; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.03
ქაღალდის ზომა $60X90^{1}/_{16}$; ქაღალდი ოფსეტური;
ბეჭდვა ოფსეტური. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 500 შეკვეთა № 243

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება"
თბილისი, გამრეკელის ქ. 19